

# მნათობი

5

მწიგნობ



1949

# ენათმეცნიერება



საქართველოს საბჭოთა მეცნიერების  
კავშირის ურველთვიური სალიბრატორო  
სახელოსნო და საზოგადოებრივ-საკოლბიტიკო  
ქუჩაზე

წიგნიანი ოცდახეცეცხე

F-1097



5

მანიანი

\*

---

თბილისი

1949



ილო მოსაგვილი

## ჩემი ქვეყნის ღაუგაგავს

ქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IV სესიაზე

★

დღეს აქ მოვსულვართ, საქმედ ვაქციით —  
ხალხს და ქვეყანას რაცა სწადია.  
ეს წელიწადი ორა უტოლდება,  
განა უბრალო წელიწადია!  
ამ წელიწადმა უნდა ააწყოს  
დიდი ხუთწლედის ყველა კედელი,  
ის არის ჩვენი გმირული შრომის  
და გამარჯვების გადამწყვეტელი.  
აბა გახედეთ ომის წინა წლებს, —  
ქვეყანას ფერი როგორ უცვლია, —  
ჩვემა ზერებს გახედეთ, ხნულებს გახედეთ,  
გმირთა სამშობლოს რა შეუძლია!  
გახედეთ ქართლის დალოცვილ მიწას,  
კოლხიდის ბაღნარს, კახეთს, თრიალეთს;  
გახედეთ, სადაც ჩვენი გმირების  
დაღუპენარი ხელი ტრიალებს, —  
რა ერთიორად ქცეულა ჩვენი  
ხალხის დოვლათი, ხნულიც და ხვაიცი,  
ქვა რომ ქვა არის — უქმად ნაგდები,  
ისიც კი ეხლა სიცოცხლით ჰყვავის!  
დღეს აქ მოვსულვართ, დაეკანონოთ  
ხალხს და ქვეყანას რაცა სწადიათ, —  
ეს წელიწადი ახალი წინსვლის  
და გამარჯვების წელიწადია!  
ჩვენ ხომ პირობა მივეციით ბელადს,  
უფრო გამრავლოთ საქვეყნო ძღვენი,  
ნარიჩჯის ბაღად, ფორთოხლის ბაღად  
გადავაქციოთ სამშობლო ჩვენი;  
სადაც კი ვაზის ძირი იხარებს  
ქართველმა კაცმა გაავენახოს,



რომ ქვეყანაზე ასეთი ზეარი  
 და ყურძნის ხეები არვის ენახოს;  
 რომ საბჭოეთის ყველა ბინადარს,  
 ვინც კი იქნება მისი მსურველი,  
 ქართული ჩაი ჰქონდეს სუფრაზე,  
 ქართული შხის და მიწის სურნელი;  
 რომ შეესიონ უძრავ ყაპირებს  
 გუთნით ნაცადი მიწისმტეხლები  
 და ხელხევიან დოლსა და თავთუხს  
 ვეღარ იტყვიან ჩვენი ბელლები!  
 ჩვენ ეს პირობა მივეციტ ბელადს,  
 იგი ქართველი ხალხის ფიცია,  
 ხომ გავანადღეთ ქვეყნის წინაშე —  
 დღემდე პირობა რაც მიგვიცია;  
 ახლაც შესრულდეს სახალხო ფიცი!  
 უნდა კანონად დაეწერათ აქვე, —  
 ჩვენთვის ერთია საქმე და სიტყვა,  
 როგორც ბელადის სიტყვა და საქმე.  
 განა სად არის ამქვეყნად კიდევ  
 ხალხი, სადაურ მხარეს და კიდეს, —  
 ხნადეს და ხნული მისივე იყოს,  
 მკიდეს და სამკალს თავისთვის მკიდეს!  
 ჩვენი ხალხია საერთო ძალით  
 თანვის სიმტკიცის მართლა მკედელი,  
 თვითეულ ჩვენგანს საკუთარ ხელით  
 აპყავს ხუთწლედის ბჭე და კედელი.  
 ის არის ჩვენი სიმტკიცის ძალა  
 და ჩაიმაყე საბჭოთა კაცის,  
 რომ ამ შენობის თვითეულ აგურს  
 ჩვენი კაცობის ბეჭედი აზის.  
 ყოველ დღეს მიაქვს კედლები მალლა,  
 ყოველდღე განზე იწვივენ ბჭენი,  
 ქვეყნიერების ნატერად ქცეულა  
 დიდი საბჭოთა სამშობლო ჩვენი.  
 შიშით ამიტომ შესცქერის რუკას  
 და გვიღრენს მხეცი უოლ-სტრიტელი,  
 რომ ორი ფერი შერჩა იმ რუკას: —  
 მისი — შავი და ჩვენი — წითელი!  
 ეს ორი ფერი, ორი სამყარო,  
 ამ ქვეყანაზე ორი გზით მიდის, —  
 ჩვენი — ხალხისთვის კომუნისშს აგებს,  
 მისი — თავის ხალხს ოქროზე ჰყიდის.  
 ჩვენი ოცნებაც, ჩვენი გეგმებიც  
 არის მშრომელი ხალხის მსახური;

მის გეგმაშია ხალხის მონობა  
 და კაცის ტანჯვა გამოსახული;  
 მის გეგმაშია, პატარა ქვეყნებს  
 ტყვეობაში რომ ბორკილით ჰკეტავს,  
 ჩვენი გზა ხალხის სიცოცხლეს ნიშნავს,  
 მისი—საქვეყნო ომსა და ჭლექტას.  
 ჩვენ კი არ გვინდა სისხლი და ომი,  
 ამიტომ უნდა ვამრავლოთ შრომა,  
 არ უნდა დაგვრჩეს არსად ჭრილობა,  
 რაც მოგვაყენა მრისხანე ომმა.  
 ომი არ გვინდა, მაგრამ უომრად  
 ტანთ უნდა გვეცვას მუდამ ბეჭთარი,  
 ორმაგს გვაძლევდეს მდნობელი რკინას  
 და ორმაგ ზორბალს ყველა ჰექტარი.  
 უნდა გაჩაღდეს ქართლის სამქედლოც,  
 უნდა აშენდეს მძლავრი ბრძმედები,  
 რუსთავეში ნაშედ სახნის-საკვეთებს  
 ელიან ჩვენი გუთნისდედები.  
 რუსთავეის ცეცხლში მოხარშულ ფოლადს  
 ელის რუსთაველის მიწის მხედარი,  
 როცა აქვს რკინა პირგალესილი,  
 ვაჟკაცის გული მუდამ მხნედ არი!  
 ელის ქუთათურ აეტომანქანას  
 ღირღიტა ურმის მგზავრი-გვიანი,  
 ვერ შეაშინებს მას მძიმე ტვირთი,  
 ვეღარც აედარი და გზა ქვიანი;  
 გაუხარდება სამგორის ველსაც.  
 სიცხისგან დამსკლარს, დაშლილს ძაფებად;  
 საუკუნეთა გვალვით დამწვარი,  
 ივრის ტალღებს რომ დაეწაფება.  
 დამწკრივდებიან ალვისხეები.  
 მოადგებიან ზერები მახათას,  
 ზოგი ღრმალელს შემოსავს მწვეანით,  
 ზოგიც რუსთავეის სერებს დახატავს.  
 შორიდან ეუსმენ ბაღების შრიალს,  
 ვითელი ჭირნახელს დადგმულს ზეინებად,  
 გაგზედავ თბილისს ტყეებში ჩასმულს  
 და გულს ნათელი მოეფინება.  
 დგება ფერფლიდან ქართლის მუხნარი,  
 ყიზილბაშების გადაბუგული  
 და ევკალიპტებს ყოლხიდის ბაღში  
 მზის სადიდებლად გააქვთ გუგუნო!  
 იდგნენ, უმღერონ კაცის მარჯვენას,  
 მკერდით დაიცვან სამშობლოს კარი,



რომ ჩვენს ნახნაევებს, ბალებს, ვენახებს,  
 ველარ იკლებდეს ავსული ქარი.  
 გაპქრა სამშობლოვ ის დრო — წყეული,  
 როცა დღემუდამ სისხლში სცურავდი,  
 ვისმა უკვდავმა ხელმა წაშალა  
 ცრემლით ნახატი შენი სურათი?  
 ვისმა უკვდავმა ხელმა შესცვალა  
 ფერები შენი მთის და მდელისი;  
 ვინ განაახლა, კოხტად დახატა,  
 დიდება ტურფა საქართველოსი?  
 დასწერეთ ყველა რკინით, აგურით,  
 სადაც კი მზე და მთვარე ანთია, —  
 დასწერეთ, ჩვენ ხალხს სამშობლო მისცა  
 ბოლშევიკების დიდმა პარტიამ!  
 სთქვით და იმღერეთ, შეიღებს ასწავლეთ,  
 ხალხს შორ წარსულში რაც უნატრია, —  
 ლენინ-სტალინმა უქციეს ცხადად,  
 ლენინ-სტალინის დიდმა პარტიამ!  
 თქვით, საქართველო ვინ ააყვავა,  
 დღეს რომ უჭკნობი ბაღის ფერია?  
 ჩვენმა ბერიამ და ვინც წინამძღვრად  
 ათი წლის წინათ მოგვცა ბერიამ!  
 — დიდება გორში დარწმუნულ აკვანს,  
 მას ლოცავს ყველა დედის ნანინა;  
 მან მისცა აზრი ხალხის ცხოვრებას  
 და თვალზე ცრემლი მოაბანინა!  
 დიდება ბელადს, მის უკვდავ საქმეს,  
 რაც გვინატრია — მისგან გვეღირსა!  
 მას დღეს უმღერის პუშკინის ენა  
 და ენა შოთა რუსთაველისა.  
 მას უმღერიან ყველა ენაზე,  
 რაც დედამიწას დღემდე სმენია...  
 იყოს დღეგრძელი, დიდება სტალინს!  
 გზას გვინათებდეს მისი გენია!

ლავრო სულიაშვილი

## გეოგრაფიკული მიწა

მოთხრობა

★

ლემსო.

ჯერ კიდევ გუშინ მოღუშული და სევდიანი ცა, მწუხარებით ავსებდა სოფელს, დაბურული მთები და გორაკები ღუმელს მოეცვათ. ყრუდ გაისმოდა დაბლობში მიწყნარებული მდინარის ჩხრიალი.

ღღეს კი სხივებით მზინავი ყანები და მდინარეები, ვენახები და შარავნები, ყაჭრის სახურავები და ალუბლის ყვავილები, ჩიტების კიკიკი და სკოლის ბავშვების ქრიაშული,—ხალისითა და სიცოცხლით ავსებს გარემოს...

გრგინეის მსგავსად გაისმის გვერდ-ჩავარდნილი წისქვილის შხრიალი,— მყუდროებას არღვევს, ძიგძიგებს, შეფეფებს აფრქვევს...

გამარჯვებული დღის ზეიმი და სიცოცხლი ეფინება სივრცეს...

შეგადაშიგ ღობეზე ფრთებს შეფართხალებს და იყვილებს მამალი.

ტიშკართან დაიყეფებს ძაღლი და ისევ მიყუჩდება მიდამო...

ღუმილია... და ამ ღუმელში, სადმე სოფლის მივარდნილ კუთხიდან სივრცეს გააბობს უცაბედი ძახილი.

— ჰაუ! ჰაუ! ჰაუ!...—და ღობეებსა და ვენახებზე გადაეფლება ბურთივით მსრბოლი ქორის ჩრდილი.

— ჰაუ! ჰაუ! ჰაუ!...—გამეორდება კიდევ სადმე გადაღმა მხარეს და ცელავ ღუმილი მოიციავს მიწყნარებულ სოფელს...

ჩემს ეზოში სიშინდს ვმარგლავ და ბუნების სიდიადით მოხიბლული ფიქრებით ვარ გართული.

— თბრუ!.. შე ვერანა!..—ორღობეში ჩემს ეზოს მიღმა ურემი აქრიალდება. კოფოზე მუჯდარი ჩემი მეზობელი, მოხუცი ლექსო, კამეჩებს სახრეს მოუქნევს...

ზანტი კამეჩები, დინჯი ნაბიჯითა და ცოხნით აღმართზე ამოდიან. უღელლით დამძიმებული კისერი მოუღერებიათ. შეკრული წნელის გრძელი კონების კენწეროები ურმის ბოლოზე დაკიდებულან და მიწაზე მიხობავენ. შიგადაშიგ ავარდნილი მტვერი ბოლივით უკან მიყვება...

— თბრე!—მკაბე ხმით კვლავ შესძახებს ლექსო, სახრეს მოიქნევს, მაგრამ არ დაჰკრავს.

ჩაფიქრებული, მოღუშული წარბებით, სიღრმეში წასული თვალებით, მოღუშული მხრებით, მაზარაში გახვეული,—კოფოზე ზის. მარცხენა იდაყვი მუხლებზე დაუდვია, მარჯვენათი სახრეს აქანავენს...

— მამო!—კვლავ შეუტევს საქონელს და ახლა რატომღაც კამეჩის მტერიან ზურგზე ხაზს დაამჩნევს.

როცა ურემი ჩემს ეზოს გაუსწორდება, მუშაობას თავს ვანებებ. მისკენ ნაბიჯს გადავდგამ.

— გამარჯობა, ლექსო, გამარჯობა! ღობეს ვეყრდნობი. მივესალმები.

— გაგი...—იტყვის. ხანტად ჩემსკენ მოიხედავს. მოღუშულ წარბებს ქვემოდან უსიამოდ შემომხედავს. თითქოს ფიქრების მსვლელობა რომ დავეურღვო ამან შეაწუხა, შუბლის ნაოქრებს ჯერ შეკუმშავს, მერე ისევ გახსნის. მიცნობს, გაიღიმებს და შემომძახებს:

— ოჰ! შენა, დათა, გაგიმარჯოს გაგიმარჯოს...

მოხრილ ტანს წინ წაჰწევს. სახრეს უღელზე გაასრიალებს, კამეჩებს რქებზე მოუცაცუნებს...

— ხი, მაამო!.. ხი... ოოო...—დაუყვავებს. ურემს შეაჩერებს.

— როდის მობრძანებულხართ?

— გუშინწინ!

— ხომ მშვიდობითა ბრძანდებით, კარგად!

მოღიშარი თვალებით მიმზერს.

— გმადლობთ, ლექსო, ეცხოვრობთ! შენ ხომ კარგად!

— მე კი, მაგრამა ი ბიჭისა რომ აღარაფერი ისმის?

— რა ვუყოთ მერე! შეიძლება დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოჩნდეს!

— რა ვიცი! ერთი წერილი კი მომივიდა თავშივე იმისაგანა და მერე კი აღარაფერი ვიცი! ომი რაცა ხანია გათავდა. სხვები მოვიდნენ. ის კი არსადა სჩანს!..

— ხომ იცი! ხშირად ხდება, ისე რომ ცნობა მოვა დაიღუპაო, მაგრამა მოდიან ხოლმე!

— რა ვიცი! ოლონდ იმის მოსვლას ვეღირსო და მერე რაც უნდა მომივიდეს!..—ამოყენსით სთქვა.—ნეტა კარგი მაინც არ ყოფილიყოს!—დაუმატა.

მისი უფროსი ვაჟი მთელს სოფელში გამოიჩინებოდა მხნეობით, ვარჯითა და მოსაზრებით. ის პირველი იყო, ახლადშემოდებულ კოლმეურნეობას რომ ჩაუდგა სათავეში. მამის წინააღმდეგ წავიდა.—“თუ შენ არ ვინდა, ჩემი წილი მომეცი და შენ რაც ვინ-

და ისა ჰქენიო“... მამას არ უნდოდა ცალკე დარჩენილიყო, შერჩენილიყო მო. მთელი თავისი ქონებით კარლმეურნეობის წევრი გახდა. მალე მისი შვილი თავმჯდომარედაც აირჩიეს. რამდენიმე წელიწადი ედგა სათავეში ამ საქმეს და კარგადაც მიჰყავდა.

— სხვა, ლექსო, როგორ მიღის საქმე თქვენ კოლმეურნეობაში?

სიჩუმე დაეარღვიე.

— რა უჭირს! კარგათაა! ძალიან კარგათაა! ამობრძანდით გვინახულეთ, გვეწვიეთ! ჩვენი ახალი თავმჯდომარეც გაიცანით, ნიკო კობალაძე.—სთქვა და მოიღუშა. წარბები შეეკრა. ფიქრში ჩაეარდა.

— ეჰ! რა იქნებოდა ჩემი შაქროც დაბრუნებულიყო? ახლა ხომ ის იქნებოდა თავმჯდომარე?.. დავიღუბე! დავიღუბე!—ნელი ხმით თავისთვის წარმოსთქვა.

— ეგ თავმჯდომარე როგორია?

— რა უჭირს, ძალიან კარგია!

ამ დროს ყაყანითა და ხმაურობით ჩვენს გვერდზე ქალებმა ჩაიარეს. გრძელი ნაოკიანი კაბებით, თეთრი თავსაყრავებით, ჩქარი ნაბიჯით და კამათით,—ერთმანეთს რაღაცას ედავებოდნენ, ყვიროდნენ... ზეგონებოდა ჩხუბობენო...

— მეხი კი დაგაყარე მაგ თავზედა. ჰაა! ძალიან რომ წაგიტლევია ენაი, რა გინდა ჩემგანა?—ძახდა ერთი.

— რა მინდა და, შენი გამოწაცვალი კაბაი!.. რა უნდა მინდოდეს!..

— კარგი, ჭა! აღარ ვაათავებთ ლაპარაკსა?.. მართლაცა და მართლაცა!—ჩაერეოდა მესამე.

ყაყანი მაინც არ თავდებოდა. კაცი ვერ გაიგებდა,—რა ჰქონდათ სადავო.

— ენდე! ახლა მიდიან სამუშაოზე! მე კი ჯერ ვათენებულები არ იყო, ტყეში წავედი სარეზზე და აგერ დაებრუნდი კიდევცა!.. ახლა მე მხოლოდ ხარები მამარია. სხვა კი არაფერი!

დაბერდით... მეტი არაფერი შეგიძლიათ, ასე შეუბნევინა!

— პოდა, შენც მეტი რა გინდა დაჯექ ურემზე, იარე ილიდინე.

მშემ უკვე საკმაოდ ამოფიცია. ჩრდილები შეამოკლა. სხივები ვაიცხოველა. გამეჩხა რალაც მწერმა უკბინა. წიხლი ვაიქნია და უღელსაც ვასწია. ლექსთმაც, თითქოს ამას ელოდათ, სახრე მოუქნია გამეჩხებს გაუჯავრდა.

— კარგად იყავი ამობრძანდი გვიანახულეს!—მითხრა. — თბრიე!.. მამა—შესძახა და ურემს უკან მტვერი დააყენა.

## ს ო ფ ე ლ ი

სალამოს, როცა მთის წვეროებზე სხივი ჩაქრა და მიდამოს ლილისფერი დაედო, კოლმეურნეობა „წინსვლას“ ეწეოდა.

საურმე გზის პირად ორობეცავით მისდევდა კუნელისა და ასკოლის ბუჩქები. ხეებზე ჩიტები ღამის ბინის ძებნაში ელურტულებდნენ, ტოტიდან ტოტზე ხტოდნენ. შუქმოკლებულ ყანებსა და მდელის დავეკერდი. ლურჯ ტბასავით ღელავდა მწვანე ჯეჯილი.

სოფელში შესასვლელ აღმართიან ორობეში პატარა გოგონა ვრძელი სახრით ბატებს მიერეკებოდა. თეთრი და ნაცრისფერა, ფრთებჩამოვარდნილი ბატები მიზაჯბაჯებდნენ. მტვერში იგუნგლებოდნენ.

კრელ კაბებში ვახვეულ ალუბლის ტოტებს ნელა არხევდა მთებიდან მოსული ნიახი. ზურმუხტოვან ბაღიაში თოვლივით ფარფატებდა ჩამოცვენილი ყვავილი და კონდარს ეფინებოდა. საღმე მივარდნილ კუთხეში ვახახულის ჩხრიალა რე დაუსრულებელ ზღაპარს ტიკტიკებდა. კორდზე ბტოდა. მყუდროებას არღვევდა.

მინდვრიდან ბრუნდებოდა, ნახირი. ბოსლებისაკენ ბლავილბტ/მარბმტდენ ჯიქანსავსე ძროხები. მინდვრიდან

ტრუსის სუნი და ბუხრებიდან ამოსული ზანტი კვამლი ეფინებოდა გარემოს.

სამუშაოდან ბრუნდებოდნენ კალმეურნეები, მხრებზე ვადებული ბარები და თოხებით. თან მოკჭონდათ მინდვრისა და ყანების მადლარი და მჭლავრი სუნთქვა. მოდიოდნენ მკერდგაღვლილნი, მზეზე დამწვარი ლოყებითა და პატოსანი შრომით დაქანცულები.

ველად სტოვებდნენ მზის სხივებზე გამთბარსა და ვადვივებულს, იმ ბარაქიან მიწას, ღამითაც რომ ვანაგრძობდა მუშაობას...

გულუხვი და უსაზღვრო მისი ღვაწლი ადამიანის წინაშე!.. პატოსანია და არასდროს არ დალატობს იგი მშრომელ ზალხს...

კოლექტივის მოედანზე გროვებოდა ტყიდან დაბრუნებული სარები და წნელით დატვირთული ურემები. კოლმეურნეობის შენობიდან გამოდიოდნენ კაცები და ქალები. ფუსფუსებდნენ, ერთმანეთს რალაცას ეკითხებოდნენ. ხვალინდელ დღის სამუშაოებს ონწილებდნენ და შინ ბრუნდებოდნენ.

ხალისიანი და მადლიანია მათი შრომა და ჯაფა, პატოსანი და სინდისიერი.. ჭეშმარიტად ბუნების დამამშვენებელი და გვირგვინია მშრომელი ადამიანი!..

და მეც ამ ადამიანებთან მივდიოდი...

ბევრ მათგანს ძველთაგანვე ვიცნობდით—ბავშვობაში მათთან მიცურავია ციგითა და მისრიალნია ყინულზე. ზაფხულში მათთან ერთად წავსულვარ ტყეში და ჩიტის ბუდეები დამინგრევია. ან მდინარეში პატარა კიკყინა თევზი დამოქერია. მივრბინებ

და წრელახტისა და ოთურმას თამაშში მონაწილეობა მიმიღია.

ჩემს გვერდით, რომ გამოივლიან— განკვიფრებულნი შედგებიან, დამაკვირდებიან.

— ბიკოს!.. დათა არ არის ესა?— ერთმანეთს შეეკითხებიან, | მომიახლოვდებიან.

— როგორა ხარ? მოინახულე ჩვენი კოლექტივი?

ხელს მართმევენ. ჩემს წინ დადგებიან და ღიმილით მიმხერენ.

ბევრ მათგანს ვერ ეცნობილობ. ძალზე მოხუცებულან, სახე დაღარეიათ, დაქნობიათ. თვალში შუქი ჩაქრობიათ. მკლავზე ხელს მიცაცუნებენ და იგონებენ:

— გახსოვს, დათა, ერთხელ ყველიერის საქანელაზე რომ თოკის ერთი ტოტი ჩამოვიწყე და ყირაზე ჩამოეკიდე?.. როგორ დაეცემოდი მიწაზე? რომ მაშინვე არ მოგშველდებოდი!..— ამბობს ერთი.

— ერთხელ კიდევ—მორევში რომ ჩაყარდი. ღრმა არ გეგონა და წყალმა რომ თავზე გადავიარა, ყვირილი მორთე. ხელი გყარი და იქვე ნაპირში გისროლე!..— იგონებს მეორე.

— ეჰ! კარგა ხანმა განვლო მას შემდეგ: რამდენი ომი, რამდენი რევოლუცია გადავიარეთ და პა აგერ ბრძოლის შედეგითა.. კოლექტივიზაცია ასეთ რასმეზე არ გეკიჰადგებდი ხოლმე შენცა!..

— მერე? ხომ კარგია?

— მაშა ღმერთმა აღდგერძელოს ამის მომგონი! პირველხანად კი გვიძნელდებოდა! მაგრამ ახლა კი ნამდვილად გავიგეთ მისი ძალა, სული მოვითქვით. შენც კარგად გეხსომება ჩვენი სოფლის გაქირვება! ახლა, აგერ გადავლუ თვალი ჩვენ დოვლათსა და ნახავ ჩვენ სიმდიდრესა!.. იმ ტიალა ომს რომ აჩ დაველუბეთ, რა ძიან წინწასული იქნებოდა ჩვენი საქმე!.. ახლა აგერ

თითქმის სულ მოხუცები და ქალები შეერჩით ამ სოფელსა. გინდობენ და დახდელი ჯანმრთელი დაგვიბრუნდა, ბევრი ინვალიდითა, ბევრიც დაგველუბა!.. რას იხამ!.. გაქირვებასაც უნდა გავუძლოთ!..

ჩვენს გარშემო ბავშვები გაივლიდნენ, შემოძხედავდნენ, რატომღაც გაიღიმებდნენ და ისევ ერთმანეთს გამოუდგებოდნენ. კოლექტივის შენობის აივანზე გლეხები აღიოდნენ. ზოგი ოთახებში შედიოდა. ზოგი ისევ უკან ბრუნდებოდა..

— აგე, ჩვენი კოლექტივის თავმჯდომარეცა! ნიკო კობალაძე. შენ არც კი გეხსომება ეგა! სალომეს თუ მოიგონებ, მისი შეილიშვილია! ქალაქში სწავლობდა. ისეთი კაცია, როგორც ჩვენ გვინდა!.. — მეუბნება ერთი.

ამ დროს იმანაც შორიხლო ჩაგვიარა. ხელში ვაზის ყლორტები ეჭირა. გვერდითმიმავალ გლეხს რაღაცას უხსნიდა. რომ მოგვიახლოვდა, შემომხედა. გზის გაგრძელებას აპირებდა. ჩემმა ნაცნობმა დაუძახა და ჩემი თავი გააცნო.

— ძალიან სასიამოვნოა!.. — სთქვა ნიკომ. მიმავალ ახალგაზრდას დაუძახა. ხელში რომ ვაზები ეჭირა — ვადასცა. რაღაც დაავალა. ისევ ამაყად ჩემსკენ მობრუნდა. ოცდაათი წლის იქნებოდა. ჩემებში ჩატანებული შარვალი და საყულოვახსნილი მოყვითალო ნალათი ეცვა. მაღალი ოდნავ გამხდარი, წვერგაპარსული, მოკლე შავი უღვაშებით— მიწილდეულ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ.

— ამობრძანდით ოთახში, — მითხრა. თავაზიანად წინ გაგვიძღვა.

ოთახში სათვალავზე ბულალტერი ანგარიშობდა. კოჭებს ჩხაკანხუკი გამქონდა. მაგიდას გლეხები შემოხვეოდნენ. ერთი მათგანი რაღაცას უმტკიცებდა, სხვები ერთმანეთში დაეობდნენ.



თავმჯდომარის მაგიდა მეორე კედელთან იდგა. დაწერილი თუ დაუწერილი ფურცლები, სამელნე, კალმისტარი, ფანქარი, საშრობი და ორიოდვე წიგნი ელაგა. თვითონ მაგიდის უკან სავარძელზე დაჯდა, ჩვენ სკამები შეგვეთავაზა.

— ძალიან კარგი გინებებიან, რომ ჩვენთან ამოსულხართ!

— ჩემი მეზობელი კოლმეურნეობაა და მინდა გავეცნო...

— ძალიან კეთილი ხოლო ჩვენ ვერაფრით ვერ გაგაკვირვებთ! საქართველოში მრავალია ჩვენისთანა. ჩვენ არა გვეყავს შრომის, ან სამამულო ომის გმირი. არც მილიონერობამდე მიგვიღწევია, თუმცა არც ისე შორსა ვართ ამისაგან. ჩვენ ვშრომობთ. სახელმწიფოსათვის სასარგებლო ღირებულებას ვქმნით და წინ მივიწევთ!..

— მერე რა ვუყოთ!— ეუბას უხუცეანა გზა კომუნისმისაყენ ხალხის ერთობლივი შრომით არ გაიკავება?..

— ჩვენც ვშრომობთ!

— დიჯად, დალაგებით მესაუბრებოდან იმ ხალხიან შრომაზე, რომელშიაც მთელი გატაცებით ჩამბულია ჩვენი სოფელი.

— მუსაიფი შეჩერდა. უჯრიდან რაღაც ქაღალდები ამოიღო, გადაფურცლა. მე კი ოთახის კედლები მოვათვალიერე. შუა კედელზე ბელადის სურათი ეკიდა, შემდეგ — განცხადებანი და პლაკატები. ქვევით გრძელი სია, შეიძლება კოლმეურნეობის წევრებისა.

### თავმჯდომარე

— მე მითხრეს, რომ თქვენ ქალაქში გიცხოვრიათ!— სიჩუმე დაფარდევით.

— დიალ!

— სწავლობდათ?

— დიალ, ვსწავლობდი!

— რა დარგზე?

— აგრონომიულზე! მერე იდგინებოდა პარტიულებმა, მოგვხვედნენ სოფელში დაგბრუნებულხართ! ახლა მეხუთე წელია აქ ვმუშაობი..

თანდათან მიმზიდველი და მახლობელი ხდებოდა ის ჩემთვის. ისეთი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომელთანაც, მიუხედავად ჩვენი პასუხის განსხვავებისა დამეგობრება შეიძლებოდა.

აივანზე ქალების ლაპარაკი გაისმა. ერთმანეთს ეკამათებოდნენ.

კარი უტბად გაიღო. ოთახში შემოვარდა ახალგაზრდა გოგონა. ღიმილით უბრწყინავდა სახე. მხიარული და ატაცებული მივიდა მაგიდასთან. მე რომ დამინახა, შეკრთა. სიტყვა შეაჩერა. თავი ჩაღუნა.

სიცილს მაინც ვერ იკავებდა. ვერაფერს ამბობდა. საზაფხულო ჩითის კაბაში გამოწყობილი, ცოცხალი, მოძრავი, შეგვერემანი, შავი თვალწარბით და ლოყებაწითლებული— მთელი სხეულით თრთოდა. დამნაშავე მოწყალებით ზან იღუნებოდა, ისევ სწორდებოდა. ეკრიალა თვალებით ჩემსკენ გამოიხედავდა, მერე თავმჯდომარეს შეხედავდა. მივიზიდავდა.

— სთქვი, ნატო! რა გინდა! რა დამეგობრთა!— უთხრა ნიკომ.

— უჰ! არაფერი!— ძლივს წარბოსთქვა.

— მაინც?

— ქალებმა გამომგზავნეს — კრება რომ არ არის დანიშნული.

სული მოითქვა, თითქო მოისვენა.

— მე არაფერი დამინიშნავს და...— უბასუხა თავმჯდომარემ.

— რა ვიცი! ქალებმა საქმე გამიჭირეს, დღეს დაბარებული ვართო... — განაგრძო და კვლავ სიცილი აუფარდა.

— იქნებ კლუბის გამგეს უნდა თქვენი შეკრება. წადი ჰკითხე! ხშირი წამწამების ქვეშ, შავი თვა-

ლები, — ხან ჩემსკენ ისროდნენ სხივებს, ხან ნიკოსკენ.

უცბად პირი იბრუნა გატრიალდა და წავიდა. ჩემი მოერიდა. თავმჯდომარეს ვეღარ უთხრა ის, რის თქმაც უნდოდა... ნიკოს თვალები კარებამდის ღიმილით აცილებდა მას...

— მუდამ იცინის, მზიარულია, ენერჯითა და სიცოცხლით სავსეა.— სთქვა თავმჯდომარემ—საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული. ქალაქში ვეღარ წავიდა. ჩვენს კოლექტივში მუშაობს. ბრიგადირია.

— პირველ ხანად ძალიან მიზიდავდა ქალაქი, ზოლო როცა დამავალეს, ბევრი არ მიფიქრია და დაებრუნდი

— მერე, არა ხართ კმაყოფილი?

— რასა ბრძანებთ, განა ასეთ კმაყოფილებას ვიგრძნობდი სადმე?

რამდენიმე წუთში და რამდენიმე ახრის გაცვლაგამოცვლის შემდეგ ჩვენ ისე მახლობლად ვიგრძენით ერთმანეთი, თითქო დიდხნის მეგობრები ვყოფილიყავით...

ბინდებოდა. ჩემი წამოსვლის დროც ახლოვდებოდა. ოთახში ელნათურები აციმციმდნენ.

— როდის გამოიყვანეთ ელექტრონი?—შევეკითხე.

— მაგისტვის ბევრი გარჯა, თხოვნა და სიარული დამქირდა, ჩვენი რაიკომის მდივანი რომ არ დამხმარებოდა, ალბათ, ისევ სიბნელეში ვიქნებოდით;

გარეთ რომ გამოვედით, ჯერ კიდევ დღის სინათლეზე მკრთალად ციმციმებდნენ მავთულზე ჩამოკიდებული ბურთივით მრგვალი თეთრი გამჟღავნებელი და მზინავი ელექტროს ლამფები.

მოედანზე თითქმის აღარავინ იყო. მხოლოდ გზას რომ გავუდგეით, ორ-

ღობიდან მომავალი ერთი ქალიშვილი და ვაჟი შევნიშნე. ჩვენს კარებში ორივე შეკრთა. ნაბიჯი შეწყვეტეს. მისი თანამგზავრიც ერთხანად განცვიფრებული დაამტერდა მათ. ერთმანეთს რომ დავეუბლოვდით, მაშინვე ვიცანი ის ცუგრუმელა გოგონა, წელან რომ თავმჯდომარესთან შემოვიდა ახლაც გაწითლებული იყო. კაბის კალთას სრესდა. დარცხვენილად ცმუკავდა. ფერმკრთალი ვაჟი მოკრძალებით გვიმზერდა.

— ეს გახლავთ ჩვენი პოეტი თენგო ნოზაძე,—სთქვა ნიკომ.

ჩემი ყურადღება ახალგაზრდამ მიიპყრა.

სიღრმეში წასული ჩაფიქრებული თვალები, მიმზიდველობით ციმციმებდნენ. ნაზი ნესტოები, შავი, ახლადამოსული უღვაშები და შუბლზე ჩამოცვენილი თმა, წამწამები ძირს დაეხარა.

— ბიძაჩემთან ვიყავი. რომ დაებრუნდი, თენგო შემხვდა. შინამდის მიგაცილებო, მითხრა,—თითქოს უმიოსოდ გზა ამებნეოდა—სთქვა ნატომ.

— კრება ხომ არ გქონიათ კლუბში?—შევეკითხა ნიკო.

— არა! ხვალ საღამოს კი ბიბლიოთეკაში თავის ახალ ლექსებს წაიკითხავს ჩვენი თენგო.—სთქვა და წელში გასწორდა.

პოეტი სდუმდა. ხშირად შემომხედავდა. უნდოდა რაღაც ეკითხნა და თითქო ვერ ბედავდა.

— საღამოზე დასწრება შეიძლება? — შევეკითხე ნატოს.

— როგორ არა, კი, ბატონო!—მომიგო და ნასიამოვნები ღიმილით შეხედა თენგოს.

— აბა, თენგო, არ შეგვარცხეინო!—მიუბრუნდა თენგოს თავმჯდომარე.

ელნათურები მოედანზე ჩირაღდნებივით აკამკამდნენ. ორღობეში კი



სიბნელე გვირაბებით გამოიყურებოდა. ჩემი გზა იქით მიდიოდა. გამოვექმედილობე და დაღმართზე დავეშვი.

სოფელი შორიდან ციციანთალებით აციალებულ ბაღნარს წაგავდა.

— : —

აკობი

დიღას რომ გამედვიძა და პირის დასაბანად აივანზე გავედი, მითხრეს:

— ერთი ყმაწვილი გაუთენებლივ მოვიდა, რამდენი ხანია ეზოში ზის და შენ გიციდისო!

ხეხილის მიღმა გავიხედე. კაკალთან სკამზე ჩამომჯდარი ის ყმაწვილი ვიცანი, გუშინ რომ გამაცნეს. ხელში რვეულები ეჭირა. ერთს გადაშლიდა წაიკითხავდა, ახლა მეორეს ამოიღებდა.

შევუახლოვდი. მოწიწებით ხელი ჩამომართვა.

— მობრძანდით! აივანზე ამობრძანდით! — მივიბატოე.

ბოღინის მოხდით და მოკრძალებით წამომყვა. მაგიდასთან დაესხედით.

— მამატიეთ! თქვენი შეწუხება არ მინდოდა, მაგრამ ვეღარ მოვიტოვინე. რამდენი ხანია ველი ვისმეს... ოცნებად გადამეჭყა თქვენისთანა აღამიანის ნახვა...

წითლდებოდა. სიტყვებს სხაპასხუპით ლაპარაკობდა. ერთ აზრს რომ გაათაეებდა, შეჩერდებოდა. ამოისუნთქავდა. თვალეზში შუქი გაიელვებდა.

— ბრძანეთ! ბრძანეთ! ყურს გიგლებთ!..

— მეც არ ვიცი, როგორ გითხრათ!—წინათაც მინდოდა თქვენთან მოსვლა, მაგრამ ვერ გაებედე. გუშინ კი გადავწყვიტე.

— დიად! დიად! ძალიან კარგად მოქცეულხართ!

— მართალია, ჩვენ პროვინციის ვიცხოვრობთ, მაგრამ რადუნიანდო ქალაქის ტემპებს ჩამოვყრდნობით.

— ცხადია რასაკვირველია!

— ჰოდა! მეც ვწერ! პოეტი ვარ!..

ამაყად სთქვა. გაჩუმდა. თითქოს დიდი აღმართი აიარა და უნდა დაისვენოსო. მერე თავი დახარა. რვეულებს გადაუსვა ხელი.

— ძალიან კარგი ძალიან კარგი! — გავამხნევე.

— ხოლო ჩემს ლექსებს რატომ-ღაც არ ბეჭდავენ!

— რა ვუყოთ მერე, ნუ აჩქარდებით!

— დიად! ამიტომ მოვედი თქვენთან. მინდა წაუგოთხოთ! აი ჩემი ლექსები! — სთქვა და რვეულები მაჩვენა. ლექსებით მაქვს საესე. ამათში ორი პოემაა.

— როდის დასწერეთ ამდენი! ჯერ ხომ ახალგაზრდა ხართ? ეს ხომ ძალიან ბევრია!

— მე კიდევ ვაშნადებ პოემას სიყვარულზე...

— კი, მაგრამ, თქვენ ხომ იცით, „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი ღარგი!“..

— როგორ არა! ამიტომ ჩემი შემოქმედება როდი განისაზღვრება მხოლოდ ერთი რომელიმე თემით. მე ვწერ სამშობლოზე, კაცობრიობაზე, სიყვარულზე... უკანასკნელი ყველაზე წარმტაცი თემაა ჩემთვის...

უფრო თამამად და გაბეღვით დაიწყა ლაპარაკი. თვალეზი დახრილი ჰქონდა.

რვეულიდან ერთი ამოარჩია.

ლექსი რომ დაასრულა, შემომხედა. განცვიფრებულ სახეს მოელოდა.

— ხომ მოგწონთ? — შემეკითხა. — საღამოებზე და ვახშმებზე წარმოვსთქ-

კამ ხოლმე. უკვირთ,—რატომ არ აბეჭდენებო...

კითხულობდა გატაცებით. აღფრთოვანებით. მარცხენა ხელში რვეული ეკავა. მარჯვენას ხან ეუმშად, ხან გაშლილს სივრცეში შეათამაშებდა. ერთ ლექსს რომ დაამთავრებდა, მეორეს დაიწყებდა.

— აი ჩემი მცირე ლექსების ნიმუშები. ყველას წაეკითხავდით, მაგრამ ახლა დრო არ გვეყოფა. ახლა ჩემი პოემები.—რვეული გადაშალა, — ეს პოემა კავკასიის ქედთან წარმოებულ ბრძოლაზეა დაწერილი,—სთქვა და კითხვაც დაიწყო:

ცაცხმოდებული მტერი აფთარი  
კავკასიონზე ილაშქრებოდა,  
წინ მოიწვედა ურჩი, თავხელი,  
სამშობლო მხარეს ეშუქრებოდა...

კითხულობდა აღფრთოვანებით.

პოემა გრძელი აღმოჩნდა.

უცხად კითხვა შეაჩერა. შემეკითხა:

— მგონი თავი მოვაბეზრეთ?

— არა! არა! განაგრძეთ! განაგრძეთ! კიდევ ბევრია?

— ამდენივეა კიდევ!

— ხოლო, არა სჯობია რომ დამიტოვოთ? მე თვითონ წაეკითხავ უფრო გულდადებით და ჩემ აზრს გატყუოთ!...—უთხარა.

— ძალიან კარგი ეგრე მიჩვენია!.. რვეულები შეაგროვა და მაგიდაზე დადო...

— თქვენს განაჩენს გულის ფანცქალით მოველი. თქვენი იმედი მექნება თბილისში რომ წახვალთ, თან წაიღეთ ჩემი ლექსები. თქვენვე ამოარჩიეთ!..

— კარგი! ძალიან კარგი!

— ახლა თავს ალაპარაკებდით. მშვიდობით ბრძანდებოდით. ხელი ჩამომართვა და წავიდა.

— : —

### კოლმეურნეობის მოედანი

კოლმეურნეობის მოედანი მოკრიალბულ კალისავით მრგვალია. მალაღირკებზე შემდგარი ცალთვლიანი ბელლები, დაშვებულ ყავრის სახურავებით სწორ რიგებად გამწკრივებულან ერთ მხარეს. გრძელაიენიანი, ორსართულიანი სახლი, მოზრდილი ცაცხვის ტოტებით იჩრდილება. მის უკან, მოედნიდან დაშორებით, — ბოსლები, საბძლები, საღორეები ცხვრის ფარეხები, საქათმეები და სხვა შენობები მიყვება.

წინათ ეს კარმიდამო, გადაკვარების ვხაზე დამდგარ ერთ ახნაურს ეკუთვნოდა, რომლის გარდაცვალების შემდეგ, ქალაქში წასული შვილები, სოფელში აღარ დაბრუნებულან. ჯერ კიდევ მაშინ, უპატრონოდ მივარდნილი ეზო, საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებდა, ხოლო შემდეგში სავსებით გავიარა და — ყავარი დაღმა, კოშები შავ ხაზებად აყირავდა. შეღესილი კედლები წვიმამ ჩამორეცხა. ჯვარედინებად ერთმანეთზე მიკრული ტყეჩი გამოაჩინა. ხეხილის ბაღის ღობე დაიშალა. შერჩენილი სარები, ჩაცვენილ კბილებივით აქა-იქ ფარფატებდა. ქლოეების ფშანებით გაივსო ეზო, ხოლო ისიც მალე საქონელმა მოძოვა... დარჩა მხოლოდ ჩონჩხივით აყუდებული სახლი.

უცოლშვილო და ოჯახს მოუკიდებელი ვაჟიშვილები, კაცმა არ იცოდა როგორ ცხოვრობდნენ თბილისში. გლეხები გებულობდნენ, რომ ერთი მათგანი საავადმყოფოში გარდაიცვალა. მეორეზე ხმა გავრცელდა — მენშევიკებს გამყვა სახლფარგარეთო... ხოლო



დრო და ხანი გადიოდა. გავერანებული და გაპარტახებული კარმიდამო ახალ პატრონს ელოდა. მასაც არ დაუგვიანია, — კოლმეურნეობის სახით მოვევლინა.

კარფანჯარაჩამტერებული სახლი კოლმეურნეობამ შეაკეთა. ყავრით დახურა. კედლები შელესა, ოთახები გადატახრა. შიგ კოლმეურნეობის კანტორა მოათავსა. ქვეტკირის ორი დიდი ოთახი მიადგა, ზევიდან ერთი სართული კიდევ დააშენა ერთი გრძელი ოთახი კლუბს დაუთმო.

ეზო კვლავ შეღობეს. გორაკიდან მიღებით გამოყვანილი წყაროს წყალი შეაგულ მოედანზე შადრევანად ააჩხრიალეს. გაცოცხლდა და გალამაზდა მოედანი. მალღობიდან ამაყად დასცქეროდა დაბლობში გაშლილ ტბასავით მოლურჯო ყანებს, ვერცხლის ქამრებივით ალაპლაკებულ მდინარეებს, მინდვრებსა და ველებს... სოფელიც დაშშვენდა; მის გარშემო კრუხის წიწილებივით გაფანტული შენობები, თავიანთი ორფანჯრიანი ოთახებით, უფრო ლაზათიანად გამოიქვიჩებოდნენ. ის გახდა ახლა სოფლის სუნთქვა და გულის ცემა. აქედან ნაწილდებოდა მატერიალური სიმდიდრე, ვრცელდებოდა კულტურული და ზნეობრივი სიფაქიზე. აქ ზედებოდნენ და უკავშირდებოდნენ ერთმანეთს წევრები. აქამდე თავიანთ ოჯახებში კარნაქეტოლნი, ერთმანეთს დაუახლოვდნენ და ცხოვრების სულ სხვა მხარე დაინახეს, გააცნეს. ახლა იცოდნენ, ვინ იქნებოდა მათი დამხმარე და ქომაგი ვაჭირების დროს. იცოდნენ, რომ შეერთებული ძალა მეტ ბედნიერებას მიანიჭებდა, ვიდრე დაქსაქსული ყოფა. აქ გებულობდნენ სახელმწიფოს ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებას. ვითარდებოდნენ. მსოფლიოს ამბობს ისმენდნენ. გაურკვეველ კითხვებში ერკვეოდნენ.

ბოსლებითა და საღორეებით, საქათმეებითა და საბძღმირთა მსახურით, სოფლის ოლქის მსახურებით, — ახლა სწორი სახით მიემართებთან. დაბალქერიან სახლებს რომ არც ერთი ხე, არც ერთი ნარგავი ჩრდილს არ აყენებდა, საპნიანი წყლით ატალახებულ, ღორებისგან აჩიქნილ ეზოებს შმორის სუნი რომ ასდიოდა, — ახლა კოლმეურნეობის აივნის შენობებს და ბაღებს დაუმშვენებია.

ასე გეგონება სოფელში კი არა, პატარა ქალაქში იმყოფები, რომელსაც სუფთა ქუჩებზე ორსართულიანი, ცისფრად შეღებილი სახლები გადმოდგომიან. აივნის თეთრ ჭერებზე ელექტრონის ლამფები ქანაობენ. ფანჯრების მინები ბზინავენ. მთელ მიდამოს სიცოცხლე და კისკისი ეფინება.

რადიოს გუგუნის სიერცეში იფანტება და შრომის უნარს ახალისებს.

სულ ცოტანის წინათ, გლეხებმა რომ პატეფონები პირველად შინ ზაიტანეს, სიხარულით და გაოცებით მოისმინეს და ფირფიტის ტრიალს რომ უშვირეს — ახლა ის პატეფონები სუფრით დაფარებულ კუთხის მაგიდაზე ალაგია.

რადიო ატეობს მათ სმენას და იგივე რადიო გადმოცემს ახალახალ ცნობებს...

ლხინსა და დღეობებზე საკრავი „მუზიკა“, ახლადშემოსულმა აკორდონებმა შესცვალეს.

ხეხილით სავსე ბაღებში, მზის გამკვარავლე სხივები — ტოტებში ციმციმებენ. მიღებით გამოყვანილი მთის წყაროს წყალი, ონკანზე რომ ჩხრიალით გადმოდის, გარემოს ახმაურებს, აცხოველებს.

სოფლის პირად ორსართულიანი ქვეტკირის შენობა, გრძელი და მაღალფანჯრებიანი, სიერცეში რომ აზიდულა, — სკოლის შენობაა. იქიდან

მოსწავლეების ქრიაშული ისმის. იქვე ბიბლიოთეკა და სამკითხველოა.

კოლმეურნეობის მოედანზე ამართული, ორსართულიანი გრძელი, აივნისანი შენობა, — ამაყად უმზერს მზიარულ სოფელს.

მსხვილი და ტოტებგაშლილი ცაცხვი ფარავს მთელ მოედანს. ცაცხვის ქვეშ ისვენებენ სამუშაოდან მოსული გლეხები მასლაათობენ, ახალ ამბებსაც იქ გებულობენ...

იმ დღესაც შაბათი საღამო იყო. მუშაობა კოლმეურნეებმა ადრე გაათავეს. ცაცხვის ქვეშ შეკრებილიყვნენ და ბაასობდნენ.

მათში ორიოდე ჩემი ძველი ნაცნობი შევნიშნე. ახალგაზრდებს ვეღარ ვცნობდი.

რატომ მიმიზიდა ასე ძლიერ და გამიტაცა მოხუცებულობის დროს სოფელში და მისმა ცხოვრებამ? რატომ იყო, რომ თითქმის ყოველდღე დაედოდი მათთან და ვეცნობოდი მათ ახალ ყოფას? იქნებ მომეზრდა ქალაქური ცხოვრება და ახლა ისევ სოფელში მიხმობ?

ან იქნება ბავშვობაში სოფელს შეჩვეული, მისი ბუნებით და მოგონებებით აფრთოვანებული ახლა შევბას ვპოვებდი?..

მიხარია მათთან რომ ვარ, მათ რომ ვესაუბრები. კვალად ნაცნობ ტიპებს ეხედები და წარსულსაც ვიგონებ.

წარმტაცია და ამაფრთოვანებელია ეს მაღლობი! ზემო ქართლის ერთ დიდ ნაწილს დაცქერის იგი ზევიდან! აგერ თრიალეთის მთები, რომლის მუდამ ნისლით მოფენილ კალთებზე შიგა და შიგ კიაფობს ქართლის სოფლები. დაბლობში, — მთების ძირში, — მილაპლაპებს თევზისფერი მტკვრის ზურგი. აქეთ, მინდორ-ველში სწორ ხაზად მიყვება რკინიგზის ლიანდაგი, უფრო ახლა, თითქოს მელანი დაუღვრიათო ნისლი და ბურუსით მოცუ-

ლი მატარებლების დებო და სადგური მოსჩანს...

კოლმეურნეობის ცაცხვის ტოტებს ამრიალებს. სკამზე სხედან მოხუცი, მოკლეტარიანი ყალიონს ალაყუნებენ. რომ გავიარე, მომესალმენ. როცა შევჩერდი, მიიწიეს. ადგილი დამითმეს.

— : —

### წარსულის მოზონება

— ამისთანა თამაჯდომარეი, ჯერ არა გეყოლია! — სთქვა პეტრემ.

— სწორია! მიუდგომელია და სამართლიანი! — დაუმატა მეორემ.

— მაგისი დედაცა, ძალიან სათნო აღამიანი იყო. მისი გამოზრდილია მამა ადრე გარდაეცვალა — გადასახლებაში... შენა კარგად გეხსოვება ისა, თანდგი!.. — მომმართა მე. რამდენი ხანია მას შემდეგ! აი დედასა! რა დრო იყო!.. გახსოვს, აიმ დებოში რომ გაფიცვა მოაწყეს ბიჭებმა?... მაშინა მეც იქ ვმუშაობდი! მაგის მამაი, მემანქანის თანაშემწე, პირველი მოთავე იყო! ჰოდა, სრულ თორმეტ საათზე დებოს საყვირი რომ ააგუჯუნეს, ყველამ დაანება მუშაობას თავი, ყველა სადგურის ბაქანზე გავჩნდიოთ ხელათა. წითელი დროშა ავწიეთ და სადგურსაც გარს შემოვუარეთ. მზრებზე შემდგარმა ქადაგმა, — ასე ეძახდნენ მაშინა პრობავანდისტსა, სიტყვა სთქვა. რომ გაათავა, ყველამ შესძახა: „ძირს თვითმპყრობელობას!.. ძირს ბურჟუაზია! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს სოციალიზმს!“... — ჩვენს გარშემო იმდენი ხალხი შემოკრბა, ჩვენზე მეტი...

— ეგ ხომ ცხრას თორმეტნი იყო! — ჩაეუბრეთ ლაპარაკში.

— ჰო! სწორედ მაშინა! ჰოდა, გაგეგონება თანდე კობალაქი!..

— როგორ არა! როგორ არა!



F-1091-F

ეგ მისი შეილია! თვითონ კი გადასახლებაში დაიღუპა... ჰოდა, ხალხი იმდენი მოგვემატა, რომ სადგურში ტევა აღარ იყო... ბათომიდან მომავალი მატარებელი რომ შევნიშნეთ, წინ ვაღავეღობეთ, შევაჩერეთ. ეანდარმებმა და ადგილობრივმა პოლიციელებმა ვერ შესძლეს ჩვენი დაშლა! მაგრამა თურმე ამ დროს ტელეფონები და ტელეგრაფები ამუშავებულა... უცბად მახლობელ ქალაქიდან გამოწვეული შეიარაღებული ჯარისკაცების ასეული მოგვადგა. „შეჩერდითო!“ მოგვაძახა ოფიცერმა, მაგრამ გათამაშებული ვიყავით. არ დავიშალეთ. წითელი დროშით განვაგრძეთ გზა, თან ემღეროდით. ასეულის ოფიცერი ხმალომოდებული წინ უძღოდა. უცბად შიშველი ხმალი მალლა ასწია... „ესროლეთო!“—დაიძახა [და მართლა დაიწყეს სროლა. ზოგი ჰაერში ისროდა, მალლა. მაგრამ ბევრმა პირდაპირ გვესროლა. ჩვენ მაინც არ გვეჯეროდა. წაქცეულები შევლას თხოულობდნენ. მიწაც სისხლით შეიღება. მაშინ დაიჭრა მაგისი მამაც. დაჭრილები წაიყვანეს, მოარჩინეს, გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს... მაგის მამაც იქ გარდაიცვალა. ეგ კი თავის დიდებამ გაზარდა...

ყოჩაღი ბიჭია, ყოჩაღი!  
 — კარგია, მაგრამა, ამდენი ხანი რომ უცოლოა, ეს კი აღარ მოაქონს! ყველაფერს თავის დრო აქვს.—დაურთო ერთმა.  
 — მაგასაც მალე მოეღება ბოლო!—სთქვა პეტრემ.—აგე ნატოი! ცუდი ვოგოა თუ? ისიც კაი ოჯახიდან არი! ნასწავლია! მართალია, ქალაქში აღარ წასულა, მაგრამა, კანა ვინმეს ჩამოუვარდება საქმეში? ისეთი ცოცხალია ისეთი მარდი, რომ... ჩვენი სოფლის მშენებება სწორეთა..  
 ბაასში არ ჩაერეულვარ.

ბინდებოდა. ქვემოთ, ტრიკალ მინდორში, ეღვასავით უცნობს... კიდევ გამეორდა. უხილავს... ვა. შორეული გრუხუნით გაისმა.

— ელმავალია! — სთქვა პეტრემ— ცისტერნები მიჰყავს.. დაკვესა, აყირავებულ მარხილივით აქვს მავთულზე მიბჯენილი რალაც პანტაგრაფი— იქიდან იღებს ელექტროსა.. პირველად რომ ვნახე, თხუთმეტჯერ შემოვუარე გარშემო—საიდან აგროებს ძალასა მეთქი, ვერ გამეგო. ცეცხლი იმას არ ეკიდა, ორთქლი არ ასდიოდა... ჩვეულებრივი ვაგონივით იღგა. ხოლო უფრო მალალი და მძლავრი. შიგა და შიგ აქოთქოთღებოდა. სულაც არ ჰკავს ორთქლმავალსა მაგრამ რა მძლავრია! ოცდაათი-ორმოცი ვაგონი ისე მიჰყავს, თითქო ასანთის კოლოფებია ერთმანეთზე მიბმულიო...

— ერთხელ, ეს მაშინ იყო, პირველად რომ შემოიღეს... აღმართზე მოვდიოდი,—სიტყვა ჩამოართვა ერთმა მოხუცმა,—შელამებული იყო. უცბად ქვემოდან განათდა. გავიხედე. კიდევ გაიღვა. პირჯვარი გადავიწერე. ამას რას ვხედავ.. წინათ ცაზე ელაგდა, ახლა ჩვენ მიწაზედაც დაუწყია მეთქი, გავიფიქრე. ცოტა არ იყოს შემეშინდა..

მოედანი თანდათან ცარიელდებოდა. თითქმის აღარავინ იყო და ის გლეხებიც, ჩემთან რომ ისხდნენ, თითოთითოდ შინისაკენ მიდიოდნენ.

როცა ავდექი, დანარჩენებიც წამოიშალნენ. ერთმანეთს რომ ვეშვილობებოდით, ჩვენ წინ მაზარაში გახვეული, წვერებგაბარდნილი, ტანში მოხრილი კაცი შეჩერდა.

— გამარჯობა, სანდალა! სად ყოფილხარ?—მიესალმა პეტრე.  
 რომ შევხედე ძლივს ვიცანი—სოფელში აბუჩადავებული უკვე ხანში შესული გლეხი სანდალა.



— სად იქნებოდა! მე შენ ვითბრა ყანიდან მოდის დაღლილ-დაქანცული სანიძლავს დაედებ თუ ეგ ქელეხში არ ყოფილიყო სადმე!

გამოვეითხეთ და მართლაც მეზობელ სოფლიდან ბრუნდებოდა, ქელეხში კარგად შეზარბოშებული.

— ახლა შინ წადი, დაიძინე! შენებურად ხეტილს ნუ დაიწყებ. შენ ცოლშვილს მიხედვე! — თობრა პეტრემ.

— ხომ იცნობ?.. შემეკითხა.

— როგორ არა! კაი ხანია არ შემხვედრია. ჯერ კიდევ მამაჩემის დროსაც აგრე იყო... — ეუბასუხე.

ის კი იღვა და ერთ ალაგას ტორტმანებდა, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ პირში ენას ვეღარ ამრუნებდა.

ერთმანეთს დავეშვიდობეთ. ჩვენჩვენი გზით წავედით შინ...

## ს ა ნ დ ა ლ ა

მთებიდან წამოსული დაღლილი ნიავი, ახლადშეფოთილ ალუბლისა და ტყემლის ტორტებს ნელი რხევით ზანტად აშრიალებს. ხეებზე შემომსხდარი ჩიტები ჭიკჭიკებენ, ვლურტულევენ. უსტვენენ და თავის ტოლს, უცხოსა და შორეულს უხმობენ, ეძახიან.

ლობის გადაღმა, ახმაურებული მდინარე ჩხრიალით მიედინება. მიხშვის. მიყუნებულ არემარეს აღვიძებს. დედამიწის წილიდან ავარდნილი ორთქლი საკმეველივით ეფინება მინდვრებსა და ვულებს. ყოველი სულდგმული მოძრაობს, მუშაობს, იღვიძებს, გაზაფხულის მზეს შეჰხარის.

გუშინ წვიმა მოვიდა — დღეს მზემ მიწა გაათბო და გააშრო. მზის ზედაპირს ეთონნი — ჩემს პატარა ეზოში სიმინდს ვმარგლავ. ყოველ ძირს მიწას ვაყრი. გამარგლოს შემდეგ აღე-

ბული სიმინდი ამაყად გამოიციქობა, შრიალებს ტბასავით ლეგენქანქანს.

შორით, ლობის გაღმართში, მცხეთის ფერდობზე, კოლმეურნეებიც სიმინდს თობნიან. ამწვანებულ ყანაში ერთ ხაზად გამოწყრივებულან, მოღუნულან და მკლავების სწრაფი მოძრაობით, თოხების პრიალით, ერთმანეთს ეჯიბრებიან. წინ მიიწევენ, ბალახს ჰკაფავენ. მობიბინე ლურჯ ყანას ახალი სებენ...

ჰაერი ისეთი სუფთაა და მიდამო ისეთი მშვიდი და წყნარი, რომ მათი ერთმანეთში გამახილი და ლაპარაკი გარკვევით მესმის.

მდინარის რიკბული ჩხრიალი, ფუტკრის ბზუილი და ფრინველთა სტენა სმენას ატკობობს ჩემს დაღლილსა და დაქანცულ გონებას ნანინასავით ესალმება, ასვენებს... მთიდან წამოსული ნიავი ყურში რაღაცას ჩამურჩულებს. მერე ლოყაზე მომიცაცუნებს და ისევ გაქრება.

გული ღიღინებს. თითქმის ჰამამალა ვმღერი, რადგან შეერთებული ვარ ბუნებასთან, მდინარის ჩხრიალთან, ჩიტების ჭიკჭიკთან, ბუხების ბზუილთან. მიხარია, ცხოველი მზის სხივები ჩემს მამულს რომ დაქათქათებენ. შემდგარი ჩრდილები დასასვენებლად რომ მიხმობენ. მშობლიური მიწა რომ მატკობს. კოლმეურნეების შეერთებული მუშაობა მახალისებს და მაშხნევენს...

უეცრად ჩემს გვერდით, თითქოს მოპარვით, დაბალი ტანის კაცის ჩრდილი შედგება.

— ოჰ! სანდალა, შენ? რასა იქ, როგორა ხარ? — ეეკითხები წვერულვაშში გაბარდნილ ძველ ნაცნობს; მას გახუნებულ მახარის კალთაში ხელები გაუხვევია, თითქოს სციოდეს. დახეულ საყელოს ქვეშ ბალნით მოფენილი მკერდი მოუჩანს. წვერულვაშში ერთმანეთში გადახლართვია,





აღმა-დაღმა გაფშევილა და ლოყები დაუფარავს. მოკუტული თვალეხი სიღრმეში საცოდავად ბეუტავენ.

გაყურსულია და თითქოს რაღაცაზე ფიქრობდეს, — ერთს წერტილზე მიშტერებულნი, გრძელ ჯოხზე ილღიით დაყრდნობილი — უმოძრაოდ დგას. შე-  
მოძვეების. სდუმს. და არაფერს ამ-  
ბობს. მე კი მუშაობას ვაგრძელებ.

— რა ქენი, ბოსტანი დაბარე?

— ცოტა ხნის შემდეგ ვეკითხები.

შეინძრევა, ჯოხს მეორე ილღიაში ამოიდებს.

— არა, ჯერა! — მიპასუხებს.

— მაშ, როდის უნდა დაბარო? რაღას უტდი?

— მოესწრება, შენი კირიმე!

სიტყვებს ამბობს, ხოლო გონება

რახე ფიქრობს, ვერ გაიგებ. დაკ-

ვირეებული უმზერს ჩემი თოხის

ლაღლას. თვალს არ ამორებს, თითქო

გასართობ რამეს წააწყდაო...

— მაინც, სანდალა, რატომ არ ბა-

რავ?

— ჩემი ცოლი დაბარავს!..

— ძროხასაც ის მოუვლის? ბავშ-

ვებსაც?

— მა რა უნდა გააკეთოს დედა-

კაცმა?

— შენ რაღას გააკეთებ, სანდალა?

სდუმს. არაფერს ამბობს. ჩემს

თოხს უმზერს. ხან კი მე შემომხე-

დავს, განცვიფრებით მიყურებს.

უცრად კიანქვლეების აფუსფუსე-

ბულ ზროვას ვამჩნევ. მათ სირბილს

ვაკვირდები. ვიწრო ზერელის გარშე-

მო შეშინებულნი და აშფოთებულნი

ღარბიან. გორბოხზე მიცოცავენ. ზურგ-

ზე ყვითელ კვერცხ მოკიდებულნი

მირბიან, ფუსფუსებენ. შემოსულ

მტერს ეძებენ. ერთმანეთს უსწრებენ,

წინ გადურბენენ. უკან ბრუნდებიან და

ბოლოს ნელნელა ისევ თავის ბუდეში

ლაგდებიან...

სანდალა უმოძრაოდ დგას. ხან მე

შემომხედავს, ხან თოხს. მუშაობას განვაგრძობ. ვეკითხები მარცხენაში.

— რად დადიხარ ზეგულში? რატომ

კოლექტივში არ შედიხარ? თუ იყავი და იქაც იზარმავე?

— სდუმს. არაფერს ამბობს.

— ეგრე ხეტიალი გირჩევნია? —

კვლავ ვეკითხები.

— ვინ ამბობს მაგასა, მაგრამ მე

სულ ავად ვარ!

— მერე, რა გტკივა?

— გული მაქვს ცუდადა!

— რამდენი წლისა ხარ?

— ორმოცდახუთმეტისა.

— წინადაც რომ ეგრე იყავი? მაშინაც

გული გტკიოდა? აბა, შეხედე შენ

მეზობელ მიტროს, თუნდ თელის,

ესენიც ერთ დროს ლატაქნი იყვნენ.

ახლა კი, კოლექტივში რომ შევიდ-

ნენ, ნახე როგორ მოლონიერდნენ?

გამდიდრდნენ! შენ კი ეგრე ხელგაუნ-

ძრევლად დადიხარ! რატომ არ მუ-

შაობ! აბა რას გარგებს მუდამ ეგრე

ხეტიალი?

კვლავ სდუმს, არაფერს ამბობს.

უძრავი სახე და გაბარდნილი წვერი

ძირს დაუხრია. ჯიუტი, ვიწრო შუბ-

ლი შეუყრავს. მუდამ ავადმყოფობას

იგონებს. მეტადრე მაშინ, როცა ცუდი

ამინდია. ქარი რომ ქრის ან წვიმს —

ლოგინს მიაშურებს. მთელი დღე და

ღამე წევს ჩერებით შეკოწიწებულ

საბანში. ცოლი ბავშვებს უკლის,

წისქვილში საფქვავს წაიღებს, შესას

დააბობს, სადილს მოხარშავს...

— აბა, შეხედე კოლექტივმა მთე-

ლი მიწა მოხნა, მოთოხნა... შენ კი

ბოსტანი არ დაგიბარავს!

ის მაინც უმოძრაოდ დგას. არ მპა-

სუხობს.

— მოდი ერთი თუთუნი მოეწიოთ,

არ გინდა?

სახე უბრწყინდება. ჩემსკენ წამო-

ვა. მახლობელ ხის ჩრდილში ვსხდე-

ბით.

თუთუნს ვწევ და მაგონდება—სან-  
დალა მამაჩემის დროსაც ასე მოვი-  
დოდა ეზოში. გაიზმორებოდა, დაწ-  
ყებდა ლაპარაკს, ჭორობას... ვის  
ოჯახში რა ხდებოდა, ყველაფერი  
იყო. უსიცოცხლოდ დადიოდა. მუ-  
დამ დაღვრემილი, შებღმეკრული და  
გაუღიშმარი.

ერთადერთი დღე, როცა ის გამო-  
ცოცხლდებოდა მაშინ იყო, როცა სო-  
ფელში ქელებს იხდიდნენ. ჯერ კი-  
დეც წინა დღეებში ჩამოიფლიდა მე-  
ზობლებს და ყველას ამცნობდა, რომ  
ლექსოს ცოლი სალომე უკანასკნელ  
დღეშიაო. გარდაცვალების დღიდანვე  
აღარ სცილდებოდა ჭრისუფლებს. მას  
ფრთხილდნენ მღვდელთან — პანაშვილის  
გადახდისათვის. მეზობლებში — და-  
საფლავებაზე დასწრებისათვის, მეკუ-  
ბოესთან და სხვა. ისიც ხალისით ას-  
რულებდა ყოველ დავალებას. მოვი-  
დოდა მიცვალებულის ნაცნობებთან  
და ეტყოდა „პაპანთ ლექსომ შემო-  
გითვალოთ, — ცოლი გარდამეცვალა,  
ხუთშაბათს ვასაფლავებ, მობრძანდით,  
ცრემლი დამაყარეთო“...

დაკრძალვის დღეს კი აღარსად წა-  
ვიდოდა. სამზარეულოში ტრიალებდა.  
სათონეში მივიდოდა, ცხრილზე დაწ-  
ყობილ ცხელ პურებსა და ლავაშებს  
ბედლის აივანზე გადებულ ფიცრებზე  
ალაგებდა, თან ილუქებოდა. ლავაშს  
გახევედა, დაახევედა, მოკებრდა ნელა  
მიამბიჯებდა.

წინსაფრებით აკრულ მზარეულებ-  
თან მივიდოდა. დიდი ქვაბის ქვეშ  
შემას გაასწორებდა, შეუბერაედა. ჩა-  
ფიდან ბოთლებში ღვინოს ჩამოსხმი-  
სას ძაბრს დაუჭერდა. საესე ბოთლს  
მოსვამდა.

დიდ ოთახში წივილ-კივილი გაის-  
მოდა. მღვდლები მიცვალებულს გარს  
შემორატყმოდნენ. ანთებული სანთ-  
ლებითა და საცეცხლურებით კუბოს

გარს უვლიდნენ. თან ბუბე ხმით გა-  
ლობდნენ.

გარეთ ხალხი მატულობდა. საშა-  
რეულოში მეზობლის ქალები დაფუს-  
ფუსებდნენ. სადმე გასაფანად სან-  
დალას ეძახდნენ. ისიც მირბოდა. მოკ-  
ჭონდა ქურქელი დანაჩანგალი, ბოთ-  
ლები და ჭიქები.

მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ  
ისიც სუფრას მიუჯდებოდა, თითქოს  
არაფერი ეკამოს. მადანე ილუქებო-  
და. მერე კი შეზარხოშებული შინ მი-  
დიოდა.

კვირაობით ეკლესიაზე უსათუოდ  
გავიდოდა. მერე ბაზარში ვაივლიდა.  
თრიოდე ჭიქა ღვინოს სადმე სამიკრ-  
ნოში დაალევირებდნენ. ღვინო მოკი-  
დებული უკან დაბრუნებისას ნახულ-  
სა და გაგონილს კალოზე შეკრებილ  
გლეხებს მოუყვებოდა...

პაპიროსის წვევა გავათავეთ, თონას  
ვაგრძელებ. ის კვლავ ჩემს გვერდით  
დგება.

მიდამოში დუმილია. ისმის ჩიტების  
ჭიკჭიკი და ბუზების ბზილი. ფიქ-  
რებში გართული ვთოხნი. სანდალა-  
მიმზერს...

— მერე, სანდალა, მერე?—უცბად  
ჩემდა მოულოდნელად გულმოსული  
შევძახებ. ის შეკრთება, ერთ ნაბიჯს  
უკან გადადგამს, ისევ მომიხსლოვლე-  
ბა და მეუბნება:

— ერთი რამ უნდა მეკითხნა  
თქვენთვისა...

— რა უნდა გეკითხნა?—ლბილი  
კილოთი მივმართავ. თოხნას შევიჩე-  
რებ.

— სიზმარი რისაგან არის? ღვთისა-  
გან არის, თუ რისაგან?

— რა ნახე სიზმარში?

— რა ვნახე და... ვითომ წუხელ სიზ-  
მარში ცა გაიხსნა და იქიდან ღმერთის  
გამოგზავნილი ანგელოზი გადმოვი-  
და. ვენაცვალე იმის სახელსა და  
მადლსა...



პირველის დაწერა უნდოდა, მაგრამ შეჩერდა, ჩემი მოერიდა.

— ჰოდა, ეს ანგელოზი უცბად ვითომ ადამიანად იქცა და რაღაც გაუგებარ ენაზე დაიწყო ლაპარაკი. ვერ გავიგე რას მეუბნებოდა. მერე ისევ გაქრა სადღაც და ახლა ერთი ძალღლი ამოდევნა... და მიყვარს ისე, რომ არ ვიცი საით გავიქცე ამ ძაღლსა. საითკენაც წავალ, ისიც იქით...

— მერე, სანდალა, მერე?

— მერე იმდენი მიყვება, იმდენი... სანამ ჯოჯოხეთში არ შემავლო... ტანში ერთუანტელმა დამიარა და... გამეღვიძა კიდევცა...

— კარგად გადარჩენილხარ!

— როგორა?

— როგორა და, რომ არ გამოგღვიძებოდა. ახლაც ხომ ჯოჯოხეთში იქნებოდი?

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდება. მე ვთხოვნი. ის კი მიცქერის გაშტერებულ და ჩემს განმარტებას ეღოს.

— მერე, სანდალა, მერე?— ვარდევე სიჩუმეს.

— მერე და, ჯოჯოხეთი მართლა არი თუ არა?

— შენ როგორ გგონია, სანდალა?

— მე ასე მგონია, რომ არ უნდა იყოს...

— ვითომ რატომაო?

— სადღაც ღმერთია, იქ ჯოჯოხეთს რა უნდა! ღმერთი ხომ კეთილია და ვანა არ დაენანებოდა იმ დალოცვილსა, რომ თავისი განჩენილი შვილები, რაც არ უნდა დაეშავებინოთ იმათა,— კუბრში ჩაეყარა და ისე ეწვალეზინა სამუდამოთა?

— სწორი აზრი მოგსვლია თავში, სანდალა!

— ჰოდა, ენდეს! მეც მანდა ვარ!

გაეხარდა, თითქოს დიდი საჩუქარი მიიღო რამეო...

— მერე, შენ რატომ ვერ გიხარია? იცინის, ხითხითებს.

მიმალული თვალები მთლავ მჩილულებიან, განიერ ტუჩებზე წყნარ მხოლოდ ორი ჩაყვითლებული სიხარულა სჩანს.

— იმიტომა რომა... — ხითხითებს, სიხარულისაგან ვერაფერი უთქვამს.

— ჰოდა, ესეც იცოდეს, რომა თუ ჯოჯოხეთი არ არი, მაშინ არც ღმერთია!..

— ღმერთი რატომ? ღმერთი კია! ისე როგორ შეიძლება?

უეცრად სიცილი შეაჩერა. ჩაფიქრდა, მოიღუშა. ცოტა ხნის შემდეგ სთქვა:

— ეჰ! რა ვიცი! რა ვიცი!— გაშტერებული ისევ მიწას მიაცქერდა.

კოლმეურნეებმა მარგვლა გაათავეს. ახლა სხვა სამუშაოზე გადავიდნენ.

ფუტკრები კვლავ ბზუოდნენ. ფეხებზე მოდებულ ყვავილის მტვრით ძირს დაეშვებოდნენ. სკამი ძვრებოდნენ.

სანდალა ისევ გაშტერებული, თუ ჩაფიქრებული ერთ წერტილს უმზერდა.

— ჰხედავ, სანდალა, ფუტკრები რა ამბავში არიან? როგორ შრომობენ და ზამთრისთვის თავლს ამზადებენ?

— ვხედავ, შენი ჭირიმე! მაგრამა, მერე რა?

— მერე ისა, რომ ზარმაცობას თავი უნდა დაანებო!.. აქეთ-იქით უქმად რომ დაეხეტები, არ შეიძლება! უნდა იშრომო, იმუშაო და ცოლშვილი გაახარო!.. კოლეკტივობაა ახლა, ხომ იცი!.. პეტრემაც აკი გითხრა!..

— მართალია, შენი ჭირიმე!— ცუდ გუნებაზე იმიტომა ხარ, რომ არ შრომობ! ჰარაფერს არ აკეთებ. შენი ნაშრომის ხილვას ვერ ღირსებიხარ! ხომ ხედავ, მეც ვმუშაობ! აბა ნახე, რა ტკბილია შენი შრომის ნაყოფი! როგორ გაგეხარდება! რა კარგ გუნებაზე დადგები!..

ისე შემომაცქერდა, თითქოს ახლა

გამიძნო და უნდა გაიგოს რასაც ვამბობდი, მართალია, თუ არაო. დიდხანს კიდევ სდუმდა, მიშვრდა. კვლავ ეპარგლავდი. თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეჰ რა ვიცი რა ვიცი!

ხის ჩრდილები შემოკლდნენ. მზის სხივები სწორი ხაზით ეშვებოდნენ მიწაზე და მეტი სიცხოველით ათბობდნენ ზედაპირს.

სანდალა ხმაამოუღებლად, ნელნელა დაიძრა ადგილიდან. ტიშყარი ააქრიალა და ეზოდან გავიდა...

### წიგნის მიმოხილვა

საღამოს, როცა მზის სხივები გორაკებზე აცივდებიან და მიდამოს ლილისფერი გადაეკერება, ფიქრებს ვინდა მისცე თავი. ამიტომ ახმაურებულ სოფელს გაურბიხარ და ბუნების წიაღში მიილტვი.

სოფლის პირად წისქვილი ძვერს, შხეფებს ისერის. გვერდზე ვაღახრილია. ბატის ფრთებივით დაშვებული სახურავი მიწისფრად ქცეულა.

მივარდნილ კუთხეში განმარტოვებით ძიგბიგებს იგი, სოფლის ყრიაშულს მოცილებული. კარების წინ ურმების მოსაბრუნებლად პატარა მოედანი მოკრიალებულ კალოსავით მორგეალებულია. გარშემო დიდრონი ნერვის ტოტები იდუმალ მყუდროებას იცავენ. ყავრის სახურავზე აქაიქ შავი ხაზები გაწოლილან... კოქები მოღრეცია, საძირკველიც ვაღახრილა, მაგრამ მაინც შეუპოვრად დგას. აქაფებული, აშფოთებული მდინარე ვიწრო ღარებიდან რაკი-ლა თავს დააღწევს — კალაპოტში ჩადგება, — ნელი მდინარებით გაყვება თავის გზას მოდუნებული, დაწყნარებული...

მეწისქვილეს კარები გადაუღრახნეს და საღლაე წასულა. ერთქნესული

მიტოვებულია წისქვილის მიწისქვილეს შენც მიტოვებული ხარ... მხოლოდ გვირავივით ვიწრო და გრეხილი საურმე გზა გაერთიანებს შორეულ სოფელთან, ქვეყანასთან...

სათავეში, საღაც მდინარე ღარებში ეშვება, ხილად ვაღებულ ფიცარზე ვხივარ ბორბლებს სრბოლას ვუმხერ. თვალს იტაცებს მილიარდ ნამცეცხად ქცეული წყლის შხეფების კორიანტელი.

თითქო მოვცილდი პირად ცხოვრებას და შეეცურდი ფიანდახებით დაფენილ უცხო მხარეში. გული დაამებულა. გრძობა დაწყნარებული ვონება დაშვიდებული.

ნერვის ძირს დაშვებული ტოტები, ჩემს გარშემო რკალივით შემოფარგლულა. თითქოს ვიჯდე გამეღვლისაგან უხილავი, განმარტოებული.

წისქვილი ძიგბიგებს. შხეფებს აფრქვევს. სარეკელა ტიტკოებს... ისე შემესმის, თითქოს სივრცეში დოლისა და ტბილი დუდუკის ხმები ვაფანტულიყოს. თითქოს საღმე მივარდნილ კუთხეში ქორწილია და მაყრები ქვიფობენ...

ფიქრებით გართულს ფეხის ხმა შემომესმა. საურმე გზისაკენ ვავიხედე. ჩვენი ნაცნობი ცუგრუმელა ნატო და ნიკო შევნიშნე. მას ხელში პატარა თოფრაკი ეჭირა. ალბად ნატოს შეხვდა, წისქვილში წამოყვა. საფეკავიც ჩამოართვა.

მოდოოდნენ თითქოს ერთმანეთს გაბუტებოდნენ. ნატო უფრო ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა. ცუღლუტი თვალეებით შორს იქიერებოდა. გზის პირად სიმინდის გამოშვერილ გრძელ ფოთოლს მოსწყევტდა, სიგრძეზე ჩახევიდა. დაანაკუწებდა. ვაფანტავდა.

დინჯი ნაბიჯით მომავალს ფიქრებში ჩაფლულ ნიკოს, — პირზე ღიმი



უტყობდა. წამწამებდახრილი ვხას  
დამსტყროდა, თითქოს ძნელ კითხვას  
სწყვეტდა.

ისე მიდიოდნენ, თითქოს ერთმანე-  
თისა რცხვენოდნათ, ერიდებოდნათ.  
ჩემს ფიქრებში ვიყავი ჩაფლული.  
მისალმება და გამოლაპარაკება არ  
მსურდა. ისინიც ვერ შემამჩნევდ-  
ნენ, — ასე ვიყავი ნერვის ტოტებში  
მიჩქმალული. არც მათ განმარტოები-  
სათვის მინდოდა შემეშალნა ხელი.

წისქვილთან მივიდნენ. ხოლო გადა-  
რაზული კარი რომ ნახეს, — გოცე-  
ბულნი შედგნენ.

— ვაი! შეწისქვილე აქ არ ყოფი-  
ლა! — წარმოსტევა ნატომ.

— ალბათ სადმე ახლოა წასული  
მალე მოვა!

— მერე, ჩვენ რა ვქნათ?  
— მოვიცადოთ!..

იქვე კარების წინ სიბ ქვაზე ჩამოსხ-  
დნენ.

წისქვილი ძიგძიგებდა. შეხფებს  
აფრქვევდა. სარეკელა ტიკტიკებდა.

— ნეტა მალე მაინც მოვიდო-  
დეს!.. — სტევა ნატომ.

— რატომ გეჩქარება?  
— მალე წავალ შინ!

— შე კი მინდა დაიგვიანოს!..  
ნატო შეერთა. გზიდან კენჭი აიღო  
და მდინარეში ისროლა... ჩემი ფიქრი  
ერთი მეორეს მისდევდა, მაგრამ არც  
ერთი არ იყო გარკვეული...

წისქვილი კვლავ ძიგძიგებდა. შეხ-  
ფებს აფრქვევდა...

ნერვების დახრილი ტოტები, გარს  
რომ შემოფენოდა, ნელი რხევით  
შრიალებდნენ. როგორც დაბინდულ  
ქობის სარკმელიდან, — ისე ეუმჯერდი  
ნათელსა და ჩამავალ მზის სხივებით  
გაშუქებულ გარემოს...

ნატო და ნიკო ჩარჩოში ჩასმულ  
სურათით მოსჩანდნენ:

ნიკოს თავი დაეხარა და ფხვიერ  
პაწაწე ჩხარით რაღაცას სწერდა...

— ნატო! იცი, რა!.. — დუმული  
არღვია მან, — იმ დღესა შემწიფე უმჯერ-  
რომ წყაროსკენ მიდიოდა: რაქველ-  
პარაკობდით?

— რა ვიცი, აბა რაზე უნდა გე-  
ლაპარაკა? რატომ შეკითხები?

— ისე! მეც არ ვიცი!  
— ალბათ თავის ლექსებზე!.. ჰო,  
მართლა!.. იმის ოცნება ახლა თბი-  
ლისში წასვლაა. არ მოსწონს ჩვენი  
სოფელი. სწავლის ეგაგრძელება უნ-  
და... პოეტობას უფრო დამიფასე-  
ბენო...

— მართალია!.. მერე, რა უშლის  
წასვლას?.. რატომ არ მიდის?  
— დედა არ არის თანახმა. ამ მო-  
ხეტობის დროს მართა ხომ არ დამ-  
ტოვებო?  
წისქვილის შშრიალი და ძიგძიგი  
შიგადაშიგ მკვეთრად გაისმოდა. ხან კი  
თითქოს დაიღალაო — შენეულდებოდა...  
კვლავ დუმული ჩამოვარდა.  
სხვა დროს თამამი და მოუსვენარი  
ნატო, ახლა მორიდებულნი და მოკრ-  
ძალებული იჯდა ქვაზე. საფეთქელზე  
თმა ჩამოშლიდა, მარცხენა წარბს  
უმაღავდა.  
— ნატო, მინდა ვითხრა რამე! —  
თავი მძლავ აიღო და ხმის კანკალით  
მიმართა ნიკომ.  
— მერე, სტევი! რა გიშლის?  
— მეც არ ვიცი! იცი რა? — და სათ-  
ქმელს ვერ ამბობდა. ხენეშოდა.  
თრთოდა. ერიდებოდა...  
ვერ გავივლიდი ისე, რომ მათ არ  
შევენიშნე. არ მინდოდა მათი ბაასი  
დამერღვია... გზა არსით მქონდა. მინ-  
დოდა ფიქრებს მივეცემოდი, მაგრამ  
ერთხელ აბნეული ფიქრები, არ ლაგ-  
დებოდნენ...  
წისქვილი შშრიალებდა. ძიგძიგებ-  
და. შეხფებს აფრქვევდა.  
ნიკო ცდილობდა ლაპარაკი ვანეგრ-  
ძო, მისი ყურადღება მიეპყრო, ხოლო  
ნატო, თითქოს განგებ არ აძლევდა მას

საშეალებას და ლაპარაკს აწყვეტინებდა.

— შეხე, შეხე იმ ქორსა, როგორ დატრიალებს თავზე კრუხსა? წიწილის მოტაცება უნდა...

ნიკო გაიხედავდა. ცაში აფრენილ ქორის გაშლილ ფრთებს მოჰკრავდა თვალს და მერე ისევ ძირს დახრიდა თავს.

— რა საზიზღარია ქორი!— განაგრძობდა ნატო.— როგორი მზრუნველობით გამოჩეკავს და ზრდის ხოლმე საცოდავ წიწილებს კრუხი და ქორი კი მათ მოტაცებას ლაშობს.

ნიკოს სახეზე აღმური ადიოდა. მხრებს შეაძრევდა. სიბ ქვაზე გასწორდებოდა. ნატოს პასუხს არ ამღვვდა.

ცოტა დუმილის შემდეგ მიმართავდა.

— ნატო! დამიგდე ყური!.. მუდამ შენზე ვფიქრობ. უნდა მოვლოს ამას ბოლო!... იმდენი მაქვს სათქმელი!— ენის ბორძიკით ეუბნებოდა.

— მერე?— ცუდლუტობდა ნატო.

— მგონია, რომ დავიწყო, ერთ დღესაც ვერ გავითავებ...

— სთქვი!— და ახლო მიიწია მისკენ.

— იცი რა?... — შეხედა. შეჩერდა. მერე უცხად მოხვია ხელი. თავისკენ მიიზიდა. ჯერ გაუბედავად, მაგრამ ნატო რომ დანებდა, მერე კი მძალერად მიიჭრა მყერდზე... გაინაბა ნატოც. მერე გაძალიანდა. ხელიდან გაუსხლტა.

— უჰ!— სული ძლივს მოითქვა. წამოხტა.

ნიკოც წამოდგა. ერთმანეთს შეხედეს, თითქოს ახლა დაინახეს ერთმანეთი.

ნიკოს თვალები ბზინავდნენ. გული უძგერდათ. სულისთქმა უძნელდებოდათ.

ფეხის ხმა მოისმა.

მეწისქვილე მოვიდა.

— ძია ვანო! საფეკვეი მოვიტანე, აი!...— მიადახა ნატომ მისკენ ხელსი, უცნობი ხმით.

— ხეალ დილამდის არ დაიფეკვება. — უპასუხა მეწისქვილემ.

გადარაზული კარი გააღო.

— ხეალ დილას წავიღებ! — უთხრა და საფეკვეი ღია კარში შეიტანა.

წისქვილი ძიგძიგებდა. შხეფებს აფრქვევდა. დოლისა და დუდუქის ხმები სიერცეში იფანტებოდნენ.

— : —

## კოლმეურნეობის ფოვლატი

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნახეა მუდამ მიზიდავდა. ისიც გრძნობდა ასეთ განწყობილებას და ცდილობდა ჩემთან გულწრფელი და თავაზიანი ყოფილიყო.

ვის არ მოზიბლავდა ნიკოს აზოვანი, ტანი, შავი ჯმუხი სახე, მუდამ დიმილით სავსე ტუჩები. ვიწრო წელი, სწორი მაღალი მუხლები... მესტებში ჩატანებული გალიფე, გრძელი ნაოჭებიანი ხალათის კალთები, — მის ტანის რხევას ახალისებდა.

შავგერემანი, ყოველთვის გაპარსული ლოყები, ხშირწამწამებიანი შავი თვალები. მაღალ შუბლზე ჩამოცვენილი თმა და მუდამ ალერსიანი თვალეზი — მიგვიზიდავდა. მასთან, ყოფნით გრძნობდი, რომ ის გავიტანდა, არ გადალატებდა. გამარჯვებულის დიმი ჰფარავდა მის სახეს, იცოდა რომ დამფასებელი და ქომავი ჰყავდა. ეს იყო მისი პარტია. როგორც ჰეშმარიტი ბოლშევიკი, იგი თითქოს უხილავეი ძაფით იყო დაკავშირებული პარტიის ხელმძღვანელებთან, მუდამ გრძნობდა მათს წარმმართველ ხელს.

ახლა მას სახაფხულო თეთრი ტილოს ხალათი ეცვა. თუმცა იენისის შუა რიცხვები თავდებოდა, მაგრამ ზაფხული ჯერ იგვიანებდა. შორეულ



მთების წვეროებზე თოვლი კიდევ კია-ფობდა.

თეთრ ხალათში, თითქოს უფრო ახალგაზრდული იერი მიეღო. ხალისიანად მიმიძღვებოდა წინ, დარწმუნებული, რომ მისი შრომის ნაყოფს მოვიწონებდი.

— წლებულ ძალიან კარგ მოსაგალს ველით! ამინდმა ძალიან შეგვიწყო ხელი. პურიც კარგია, სიმინდიც!—თუ ამის შემდეგ გვალვა არ დაგვიდგა—არაფრისა გვეშინია.

— ბოსტნეული? ჭარხალი, ხილი?

— ეგვიც კარგია! ხილიც, ხოლო კაკალმა გვიმტყუნა. რა მოუვიდა არ ვიცი! არ ასხია ზოგან ტოტებიც კი შეახმა...

კოლმეურნეობის შენობის უკან გავედით. აქ იწყებოდა საჭოწლისა და ფრთისნების შენობები, — გრძელი შუშაბანდიანი ბოსლები, ღორების დაბალი შენობები, ცხვრების ფარეხი, საქათმეები, სამჭედლო და სხვა...

— ის რაღაა იქით, დაუმთავრებელი?

— ელექტრო წისქვილი უნდა ავაშენოთ!.. დღისით დაფიქვავ, ღამით კი შუქს გაუშვებთ!..

აღფრთხილებული ბავშვივით, ახლად შეძენილ უცხო სათამაშოებით რომ უნდა გააკვირვოს მეგობარი, — გატაცებით მიყვებოდა თავის მეურნეობაზე.

— ოთხასი სული ცხვარი გვყავს!.. დიდი ხანი კი არ არის, რაც მოვაშენეთ... სულ რამდენი წელია, სოსო? — შეეკითხა ჩვენს გვერდში მომავალ მწყემსს.

— სამია ჯერ არც კია! — მიუგო მან. — ცხვრები სულ სხვადასხვა გვიშისა! გვინდა გავეცნოთ, რომელი უფრო მიუღდება ჩვენს მღებარეობას, რომელი უფრო გამოდგება. — დაუმოტა მან და წინ წამოდგა დაბალი ტა-

ნის, ფარაჯაში გახვეული, ქალბრაწერიანი გლეხი.

— ჩვენ უფრო მატყლი ვჭინდავს, ვიდრე ხორცი ან რძის ნაწარმი — დაურთო თავმჯდომარემ.

— საძოვარი ადგილები გაქვთ საყმარისი? — შევეკითხე.

— არა! ზაფხულში — აი, ამ რამდენიმე დღეში, — საქონელიც და ცხვარიც უდაბნოში უნდა წავიყვანოთ, ბაკურიანის ზევით, მთის კალთებზე! — მითხრა მწყემსმა.

— უდაბნოს რად უწოდებენ?

— ალბათ იმიტომ, რომ იქ სულ მინდორია, ხეები არ არის!

ნიკო კალოსავით რგვალად მოწინულ ფარეხში შევიდა. დატკეპნილ შავ მიწაზე უწესრიგოდ გაფანტულ წამოწოლილ ცხვრებს ხან ერთს წაავლებდა ხელს, ხან მეორეს. დამფრთხალი ცხვრები წამოცვივდებოდნენ, აქეთ-იქით გარბოდნენ. მერე შედგებოდნენ და გამტკრებული თვალებით სივრცეში იცქირებოდნენ. დაქერილ ცხვარს რქებით დაიჭერდა, მატყლს გადაფურჩქნიდა, ღუმას გაუსინჯავდა.

— აი, ეს ყოჩი სამი წლისაა! ამის მოშენებულია ცხვრების უმრავლესობა. რამხელაა! ღამის წამაქციოს! — იძახდა ნიკო.

დაგრეხილ რქებში ხელები ჩაეველო, თითქოს ეკიდებოდა, შუბლს აწევებოდა, ისიც უძალიანდებოდა, — უკანა ფეხები განზე გაედგა, წინა ჩლიქები მიწაში ჩაერჭო, თავი დაედუნა, კუნთებს სკიმავედა. როცა ნიკო უკან დაიწევდა, ყოჩი მისკენ გაექანებოდა, ღუმას აქანავებდა. მაშინ ის ხელის გულით შუბლზე მიბჯენით შეაჩერებდა. ყოჩი ფრუტუნებდა, ჯავრობდა...

ნიკო მაღალი ტანით კვლავ ფარეხში გაველიდა კმაყოფილი და მოღიშარო, ღუმას აუწევდა, თითქო სურდა გაეგო, რამდენს იწონიდა...

— წინათ სოფელში მეცხვარეობას

არ მისდევდნენ. ცხვარი კი ყველაზე სასარგებლო საქონელია. დაღიწევაში და ვაკირვებაში, უცხვაროდ ვერ გადავიღი. უამისოდ სუფრა არ გაიშლება. როგორ არ უნდა მოაშენო ასეთი საქონელი, — მეუბნებოდა ფარეხიდან გამოსული თავმჯდომარე, ხელებს იფშენებდა, ხალათს ისწორებდა.

— პირველად კი, როცა მისი მომრავლება დაიწყო, ბევრმა უცმაყოფილება გამოთქვა, ბურტყუნნი დაიწყო... ეგა მთიულებისა და ოსების საქმეაო... მაგრამ მე ჩემი გავიტანე. ახლა კი მალღობელი არიან. შენ აგაშენა ღმერთმაო... მეუბნებიან. როცა დაჭირდებათ, შორს კი არსად მიდიან... ამოდენა ცხვარს რომ შეხვდავენ, გული იმედით ევსებათ. უხარიათ... მომღელღიც რომ კარგი გამოადგას ისე უყვარს ცხვარი, თავის შეიღებებივით! იქნებ იმიტომაცა, რომ საკუთარი შეიღები არა ჰყავს? რას იტყვი, სოსო, ჰა? — მიუბრუნდა მეცხვარეს.

— როგორ შეიძლება პირუტყვი არ გიყვარდეს, რა ვიქ შერე ისიც ცხვარი!.. — სთქვა იმან და გრძელი მცხვარული ჯოხი, რომელზედაც დაყრდნობილი იყო. — გვერდზე გასწია.

კისკისით ჩვენ გვერდით ჭალებმა ჩაიარეს. ერთმანეთს ხელსა ჰკრავდნენ, ჩვენსკენ იცქირებოდნენ, თან სახეს თავშლით იფარავდნენ. მიიჩქაროდნენ.

ჩვენი ბაასის დროს თავმჯდომარეს ცხვრის ძალი მიუახლოვდა, მის გვერდით თავჩადუნული დადგა, მუხლზე თავი მიადო, დაცუცქდა. თითქოს რაღაცას უცდიდა, თავისი ჰკვიანი თვლებით შორს იხედებოდა. ნიკომ დიდხანს ვერ შენიშნა, მერე კი მიუალერსა, თავზე ხელი გადაუსვა. ძალი უფრო ახლოს მივიდა. ზედ მიეკრა. ხშირი, მგლური ნაცრისფერი მალნით დაყურსული და მშვიდი —

გაიხიბა. მაღლა აცქვეტილი ყურებით, ყელმოღერებული, გამაყვარებელი — ემაყოფილი გამოიციქვიებოდა. ცოტა ხანს შემდეგ წამოდგა, თითქოს რაღაც მოაგონდა. ნელი ნაბიჯით წავიდა. ფარეხის შესასვლელთან წამოწვა.

ბოსლებსკენ გავემართეთ. გრძელი, მაღალქერაიანი, ნათელი დასუფთა შენობა აღარ წაგავდა ძველებურ დაბალსა, ბნელსა და ვიწრო ბოსელს, თითოეულ ძროხას თავისი, ცალკე განკუთვნილი, შემოფარგლული, საკმარისად ფართო ადგილი ჰქონდა მიწნეული. მთელი შენობა რამდენიმე განყოფილებად იყო დანაწილებული და თითოეულში განცალკევებული საქონელი ება — ზოგან ძროხები, ზოგან კამეჩები, ხარები, ხბოები და სხვა...

— ოთხი თარაქამა გვყავს და ორიც ხეესურული. დანარჩენები ჩვენებურია... — მეუბნება თავმჯდომარე.

თარაქამა ყველა ძროხაზე დიდია ტანით, ულახათო და უშნო, ხოლო დაშვებული გაბერაილი მუცელი და დიდი ჯიქნები ამტკიცებენ მის ვეარიალობას. თვალებს ამრიალებდნენ. წყრომით გამოგვხედავდნენ, — „მოსვენებული ვიწეკი და რატომ წამომაყენო“... ხეესურულები, მორჩილი, კოპწია, მოხდენილი ტანის, ლამაზები და მიმზიდველნი არიან, ჯიქანიც თითქოს მცირე აქვთ, მაგრამ რძე ძლიან ნოყიერი და მსუქანი

— ჯერ კიდევ ვერ მოგვიმრავლებია საქმარისად. მით უმეტეს, ყოველ კოლმეურნეს ცალცალკე თავისი ძროხა ჰყავს... — აგრძელებდა თავმჯდომარე.

მეორე განყოფილების კარი გაიღო.

— როგორ მაღის საქმეები. დიმიტრი? — შეეკითხა ბოსლის გამგეს. ის კი ჩემს წინ დადგა, სალამი მომცა შექალაქავებული წვერულვაშებით და ჰკროლა თვლებით ისე მიმზერდა და მილიმოდა, თითქოს ნაცნობი ყოფილი-





ყოს. მიკვირდა რუსული მიმართებით რატომ შეზღუდა მას თავმჯდომარე.

— ველარ მიცანით, დათა? — ჩვენებური კილოთი შეეძეითხა ჩემს წინ მდგარი „დომიტრინი“. ჩემთან ახლო მოვიდა, ხელი ჩამომართვა, მე მაინც ვერ ვიცანი.

— პაი დედასა! მართალია კაი ხანი გავიდა, მაგრამა მე ხომ მაინც გიცანი? ახა, ვინ იყო ისა, ჩვენი ეკლესიის დღეობაზე ჰიდაობაში რომ ყველას წააქცევდა? აღარ ვახსოვს ვანო სამხარაძეი?..

— ოთ! ვანო!.. ვანო!.. როგორ არა! როგორ არა! კი მაგრამა ე „დომიტრინი“ როდის ვახდნი?

— რა ვი, შენი ჰირიმე, ახლა შემოიღეს, ვითომ პატეისაცემად! ჩვენ დროში კი ეს არ ყოფილა, თორე ავე შენც ვაგიკვირდა!

ვანო სამხარაძე ჩვენ მხარეში ერთს დროს განთქმულ მოჰიდავედ ითვლებოდა. სოფლის ყოველ დღეობაზე გამარჯვებული გამოდიოდა. მასთან ჰიდაობას ყველა ერიდებოდა. დაბალი ტანის, ჩამჯდარი კისრით, მაგარ-ძარღვებიანი და ჰარხალივით წითელი ცხვირით, ჯანმრთელი და მარდი, ახლაც ჰარმაჯ კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა...

— სხვა? როგორა ხარ ვანო? როგორ შეეწყე კოლმეურნეობასა?.. — ვკითხე.

— ძალიან კაათა, რომ მეტი არ შეიძლება! დმერთმა გაუმარჯოს ჩვენ თავმჯდომარე ნიკოსა. სწორედ შესაფერი სამუშაო მომცა ამ სიბერის დროსა. საქონელსაც კარგად ვუვლი და ოჯახშიც ძალიან კარგად ეცხოვრობ... მობრძანდი, მეწვიე! გვინახულე!...

— საქონლის ერთგულია — მომმართა ნიკომ, მას რომ დავცილდით. — კარგად უელის... პო, მართლა, ვანო!.. — დაუძახა. — ერთი ის თავლა

ძროხა გვაჩვენე, ყველაზე მეტა რომ იწველის!..

ვანო ჩვენსკენ წამოჰმჯდებოდა ვიძღვა.

— ავე ისიცა! — მიგვითითა მაღალსა და შოლტეით გრძელ თავლისფერ ძროხაზე.

— თერამეტ ჩარქვას იწველის! ჩვენებურია! ხევესურული და თარაქამას შეჯგარებაა! — მშვენიერი ჯიშში გამოვიდა. ახლა ჩვენ მაგის ნაშენი სამი დეკეული გყავს და ერთი მოხვერი.

— მთელ სოფელს უყვარს. რძე როცა სჰირდებათ, მხოლოდ მაგისი მიაქვთ. — დაუმატა თავმჯდომარემ.

— უყვართ რომელია! ნახირში რომ მიყავს, გოგო-ბიჭები დაედევნებოდნ, თითქოს საქონელი კი არა, ადამიანი ყოფილიყოს...

სხვა ძროხებიდან თვალსაჩინოდ გამოირჩეოდა. ცალკე საწოლი ბინა ჰქონდა. კელაბტარეით ჩამოსხმული მოხდენილი რქები. ყურებატევეტილი კოხტა თავი — თვალს მიიზიდავდა. გრძელი ვუდი კოქებამდის სცემდა. ქანაობდა. ემჩნეოდა, რომ მოვლილი და დაპურებული იყო. ჯიქანი, გრძელი ჰუძუებით ჰარვისფერ მტეენებით ეკიდა.

ვანო გვერდით ამოუდგა. ზურგზე ხელი გადაუსვა. ლაქებამდის ჩაყვა და ჯიქანსაც მოუცაცუნა.

— დღეში სამჯერ ვწველით. ამისთანა ძროხა მთელ რაიონში არავისა ჰყავს!.. — ამბობდა ვანო.

— . —

ძმრიში პელო

ბოსლიდან რომ გავედით, დაბლობში გადავიხედე. უნებლიედ შევიჩერდი. განცვიფრებით ვუმზერდი ფერლობში ხიშტებიანი ჯარისკაცებივით სწორ რიგებად გაყოლებულ ეენახის შაკებს...

ლურჯად შეფთოლილი ვაზები, სარბეზე მოხვეულ აღერებულ მწვანე ყლორტებით — ციმციმებდნენ, შრიალებდნენ ვაზებით საესე, განიერი და ძალზე გრძელი ფერდობი ახალგაზრდა ტყესავით ამართულიყო...

— აი, ეს ზვარიც! არც ამის მოშენება სურდათ! ბევრი შრომა უნდაო... — ამბობდნენ, მაგრამ მიწა გადაეპარუნეთ, ნამყენი ვაზი ჩაყვარეთ და ახლა უკვე საკმარისი ყურძენი და ქვიშხური ღვინო წლის განმავლობაში ჰყოფნის ყველას და ძალიან კმაყოფილი არიან...

— წინათ მახსოვს, ამ ფერდობში ბუჩქნარი და საძოვარი მინდორი იყო მხოლოდ! — შეენიშნე.

— დიად, სწორეა! ვხსოვებიათ! ახლა კი, აი, თითქმის ათ ჰექტარზე სულ ვენახია გაშენებული! მშვენიერი ყურძენია, ღვინოც კარგი დგება...

უკან რომ ვბრუნდებოდით, თივის ბუღბუღით დატვირთული ჩემი მეზობლის ლექსოს ურემი შეგვხვდა. ურემის ქალები და კოფოც მთლად დაფარული იყო თივით. ამიტომ უღელზე იჯდა. სახრეს აქეთიქით აქანავებდა. ისევე თავისებურად უჯავრდებოდა ხარებს, —

— თბრე, შე ვერანა, შენა!

მე რომ დამინახა, თითქოს გაეხარდაო, გაიღიმა. შემეკითხა, —

— როგორ მოგწონს ჩვენი კოლმეურნეობაი, დათა ჰა?

— ძალიან! ძალიან!..

— იცოცხლე! იცოცხლე!.. — მითხრა და ისევ ხარებს გაუჯავრდა. შენობას მიეფარა.

— ვერ ამისნია ზოგი გლეხი თავის ხარებს რატომ ავინებს და წყევლის? — „აი შე ვერანა!..“ „ტალიო!..“ პატრონი ხომ თვითონ არი, მაშ ვიღას ავინებს? — შევეკითხე ნიკოს.

— მოხუცებმა იციან! ძველი დროის

ნაშთი უნდა იყოს, როცა გლეხი არაფრის პატრონი აღწევდა. და ყველაფერი პატრონს ეკუთვნოდა... თორემ საქონელი ისე უყვარს გლეხსა, რო... შეიღებოდა...

— ოჯახიც ძალიან უყვარს! გულჩვილია!.. ვისაც ოჯახი უყვარს, ის კეთილია!

ბასით კოლმეურნეობის მოედანს მიეუახლოვდით. უცბად ჩვენ გვერდით იმ ქალების ჯგუფმა ჩავვიარა, გავლის დროს რომ კისკისით მიდიოდნენ. ახლა მათში ნატოც ერია. მისი სიცილი მკვეთრად გამოირჩეოდა საერთო სიცილიდან. მიდიოდა ისე, რომ ჩვენი ყურადღება მიეპყრო.

მისი პატარა, მაგრამ მოხდენილი მოყვანილობის ტანი, ზორბლისფერი სახე და შიშველი მკლავების კუნთები, ვერცხლისწყლის ლივლივით და სწრაფი მოძრაობით სხვებისაგან გაირჩეოდა.

ნიკო უცბად შედგა, თვალში შექი და ტუჩებში ღიმი გამოკრთა. მიმავალ ქალების ჯგუფიდან, ერთ ქალს დაუძახა:

— ბელო, ბელო, მოდი აქ!..

მიმავალი მოტრიალდა. ჩვენსკენ წამოვიდა. საშუალო ტანის, გრძელკბიანი ქალი ნიკოს წინ შეჩერდა. დინარჩენებიც ჩვენთან მოვიდნენ. იმას, ვისაც დაუძახა, შავი დიდრონი თვალები თავმჯდომარისკენ მიეპყრო, შეკითხვას ელოდა.

— როგორ არი შენი საქმე? — შევეკითხა.

— როგორ უნდა იყოს! გენა! ისევ ისეა! — მოკლედ უპასუხა, ვენაცვალეს მაგიერ, „გენას“ ხმარებას მიჩვეულმა პელომ.

— რაო! რას ამბობს! არაფერს ვითმობს?

— თუ გინდა მიჩვილეთ! მე კი არაფერს მოგეგმო, — ასე ამბობს, გენა!..

— შენ თითონ რატომ არაფერს ამბობდი ამდენ ხანს?

— ბარე ამბობდა, მაგრამ ყურს ვინ უგდებდა? — ჩაურთო ერთმა ჯგუფში მდგარმა.

— მოიცა, მოიცა! ჯერ კიდევ კაცები მიუფუგზავენოთ—ენახოთ რას იტყვის!.. — სთქვა თავმჯდომარემ...

— ეჰ! თქვე დალოცვილო, რამდენჯერ უნდა მიუფუგზავენოთ კაცები? ვერ ხედავთ როგორი ღვთისაგან შეჩვენებული ადამიანია?

— ამდენი ბოდიშობა, რა საჭიროა!

— უი ქა! რა გული ჰქონია იმ ბებერსა, ვერა ხედავ?

— მეხი კი ჩაეაყარე იმასა! — იძახდნენ ქალები.

— სულ იმისი ბრალი კი არ არი! იმის ცოლის ბრალია, იმ წუბაყისა... მაშა, გენა! — სთქვა პელომ.

— უი მეხი კი ჩაეაყარე იმასაცა და იმის ცოლსაცა!

— იმისი ცოლი ხომ დედინაცვალია ქა!

— დედინაცვალი იმასა და თვალში ნაცარი!

— კარგი, კარგი! თქვენ, თქვენ საქმეზე წადით. მე ვიცი ახლა!.. — გაისტუმრა ქალები ნიკომ.

როცა ისინი გაბრუნდნენ, ნიკომ ნატოს მიმართა და შეეკითხა, —

— რა გააკეთა დღეს თქვენმა ბრიგადამ?

— მოგახსენებთ, ბატონო, ლეიტენანტო, რომ თავისი ნორმა წარმატებით შეასრულა, — მარჯვენა ხელის გაშლილი გული შუბლთან მიიღო ფეხების ბაკუნით უპასუხა. მოტრიალდა და გაიქცა.

— ხომ არაფერს დამავალებთ, ბატონო ლეიტენანტო? — შორიდან მობრუნდა ისევ.

— ქალებმა გადიკისკისეს...

— რა კულრაქა რამეა ეგ შეჩვენებული! — სიყვარულით სფრქვევითაა ნიკო ღიმივდარ იკავებდა: მარჯვნივ არ უპასუხა.

როცა მარტო დავრჩით, ცოტა ხანს ეღუმედი. მის სახეზე ღიმი დიდხანს არ ჩამქარალა.

— რაშია იმ დედაკაცის საქმე? — შევეკითხე.

— მაგის ქმარი სამამულო ომში დაიღუპა. დარჩა სამი წერილი შვილი.

მამის წილი ეკუთვნის ობლებს... მამამთილი კი არ აძლევს...

— როგორ შეუძლია არ მისცეს! სხვა შვილი კიდევ ჰყავს?

— არა! მხოლოდ მეორე ცოლს მოჰყვა გოგო. მის გათხოვებას აპირებს და სიძის ჩასიძებას.

— ხომ არ ყოფილა შვილი ომამდე მამასთან გაყრილი?

— არა! და არც აქვს გაყოფის ქალღალი!

— მაშ, ცხადია, რომ სასამართლო მის სასარგებლოდ გადასწყვეტს...

— მეც ასე მგონია!.. ჯერ კი კომისიას შევადგენ, დადგენილებას გამოვატანინებ და ენახოთ რას იზამს მოხუცი...



საკოლმეურნეო მოედანზე

საკოლმეურნეო მოედანს მივუახლოვდით.

იმ საღამოს ცაცხვის ქვეშ რატომღაც მეტი ხალხი შეკრებილიყო — ახალგაზრდა ბიჭები და გოგოები.

წყნარი საღამო, დღის სიცხის შემდეგ მთებიდან წამოსული ნიავი, ჩამავალი მზის სხივების ტოტებში აცილებული შუქი, ისეთ განწყობილებას ჰქმნიდა, რომ ერთმანეთს ვეღარ დასცილებოდნენ. ენანებოდათ ერთობ-



უღელს, მაგრამ სათამაშოდ ჯერ არა-  
ვინ გამოდიოდა. ერთმანეთს ებატიყე-  
ბოდნენ, წრეში ეზიდებოდნენ. გოგო-  
ები ცალკე იდგნენ, ბიჭები ცალკე.

„ცანგალა გოგონადა“... „ჰოიდა გო-  
გონა!“.. გაისმოდა სივრცეში უკვე  
შეწყობილი ხმები ბიჭებისა. წრის  
შუაგული მინც ცარიელი იყო. მაშინ,  
აქამდის გოგონებში შეუშინველი ნა-  
ტო, წრიდან გამოხტა. ბიჭებისკენ გა-  
ეჭანა. ერთ მათგანს მკლავებში ხელი  
სტაცა. შუა წრეში ნახალადევედ გა-  
მოიყვანა, მიატრიალ-მოატრიალა. წინ  
აღულდა, არ გაუშვა...

სიმღერა აუმაღლეს, ტაში გაახუ-  
რეს. „აბა, ლადო, ჰე!.. ნუ ინაზები!  
იცივე, იცივე!“.. შესძახეს აქეთ-იქი-  
დან. იმანაც მკლავები გაშალა. გოგო-  
ების ჯგუფის წინ შედგა. შედგა ერთ-  
თი წამით, თითქოს არ იცოდა, რომელი  
ფეხით დაეწყო ცეკვა. უცბად ტანში  
შეირბა, მხრებით მალლა აზიდული,  
წელში გასწორდა. პეინტებზე ამალ-  
და და გაუსვა. ქორიარბნეული, ქა-  
მარში ნაოქებჩატანებულ ხალათის  
კალთების და შარელის ტოტების ქა-  
ნობით, წრეს შემოუვლიდა. ისევ  
გოგონების წინ დგებოდა...

„ცანგალა გოგონადა!!!...“ მღეროდა  
გუნდი.

„ეს ბიჭი კარგად თამაშობს,  
ფეხის ფრჩხილებზე დგებაო,  
ამან რომ ფეხი იტყინოს  
მე ხომ არ დამბრალდებაო...“

ცანგალა გოგონადა!.. ჰაიდა გოგო-  
ნა!!! — ირეოდა ერთმანეთში პირვე-  
ლი ხმა და მოძახილი...

მოცეკვავე ბიჭი და გოგო წრეში  
ტრიალებდნენ, მისრიალებდნენ. ხან  
ერთმანეთს მიუახლოვდებოდნენ, ხან  
დაშორდებოდნენ. ერთი წყვილი მეო-  
რეს სცელიდა. და როგორც ჰამის  
დროს მოდის მალა, ისე ცეკვის დროს  
უღვივდებოდათ სურვილი თამაშისა...

ახლა აღარ სჭირდებოდათ მღერე-  
ერთმანეთს უსწრებდნენ,  
„ცანგალა გოგონა და გოგონა“  
სმოდა სიმღერის ხმა... „გოგონი-გოგონი-  
გოგონი“ შეუწელებდა შიგა და შიგ  
გუნდი.

— ნატო აციკვეთ, ნატო!.. დაიძა-  
ხეს აქეთ-იქიდან...

წრეში ერთი ახალგაზრდა გადმოხ-  
ტა. შემოუარა. გოგონების წინ შენერ-  
და. ნატოს ეძებდა.—ის კი ძალიანდე-  
ბოდა, არ გადიოდა...

— „აბა, ნატო! ნატო!.. ერთი შენი  
ციკვა გეჩვენე! ტაში!.. ტაში!“—  
იძახდნენ და ტაშის კერას უმატებდ-  
ნენ, სიმღერას უმაღლებდნენ.

წრე გაირღვა. გოგონებმა ნატო შუა  
გულში გაიყვანეს. ის შედგა. წრეს  
მოავლო თვალი. კარგა ხანს იდგა  
მკლავებჩამშვებული, ლოყებგაწითლე-  
ბული, თმააბნეული. დაბალი, მაგრამ  
მწყობრი ტანით. მიმზიდველი და მომ-  
ხიბველი—თავის გამომწვევ მოცეკ-  
ვავის ფეხის სრიალს უმზერდა, რო-  
მელიც ხან მოღუნული, ხან წელში  
გასწორებული წრეს უვლიდა. მკლავ-  
ებს მის თავზე ავლებდა. ხტოდა.  
უახლოვდებოდა ისევ შორდებოდა.

ნატოც უცბად მოსწყდა ალაგს. ოდ-  
ნავ წელში მოიღუნა, წრეს შემოუარა,  
მიგოგმანებდა. უკან მოცეკვავე ვაჟი  
მიფრინავდა, ნატო შედგებოდა. ვაჟი  
მას გარს უვლიდა. სიმღერა და ტაშის  
კერა ცხოველდებოდა.

„თითქოს არ ვიციო?“

„მაშა, ქა!“

„მაგან ეგრე იცის!“

„ძალიან კი ვაინაზა და!..“

— „გოგონი, გოგონი, გოგონი!.. ჰაიდა  
გოგონა!“—მღეროდა გუნდი.

წრიდან გამოდრიოდნენ მოცეკვავენი  
და ერთმანეთს ებატიყებოდნენ. რამ-  
დენიმე წყვილი ერთად ცეკვავდა.  
ერთმანეთში ირეოდა. წრე ირდევო-  
და, ტაშის კერა იბნეოდა...

მომღერლები დაილაღნენ. ტაშის კერაც შენელდა. ცეკვა დამთავრდებოდა, რომ ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა:

„აბა, ახლა ჩვენი თავმჯდომარე ვაცეკვოთო“...

იმან რომ ეს გაიგონა შეჯგუფულ მხრების ღობე გაარღვია, წრიდან გავარდა. მაგრამ დაეწიენ, მკლავებში ჩაბლუჯეს. შუა წრეში მიიყვანეს.

ისევე გახურდა ტაში და სიმღერა. ის შედგა განცალკევებული, მაღალი ტანით. მოხდენილი მხარბეჭი ზევით ასწია. უცბად მკლავები გაშალა. წრეს ჩამოუარა...

„ცანგალა გოგონა და!“  
„თავმჯდომარეს გაუმარჯოს, იყოს მრავალყამიერი...“

იცოცხლოს და იღლეგრძელოს, მხარბეჭი აქვს განიერი!..

ცანგალა გოგონა და... ჰეი და გოგონა!“..

გატაცებით მღეროდა გუნდი...  
„ტაში! ტაში!“—ძახდნენ და ყველა წინ მიიწევედა. მხრების ღობე მკიდროვდებოდა.

ის კი მისრიალებდა. თამაშის გუნებაზე მოსული. როცა ქალების წინ შედგა,—გოგონებმა არც კი დააცადეს გამოწევეა,—ნატოს წააღეს ხელი, წრეში ძალით შეაგდეს...

ახლა წყვილი გაშლილი მკლავები ერთმანეთს თავს ევლებოდა. მიჰქროდა...

— : —

### კოლექტივის ძალა

იმ დღეს თავმჯდომარემ კოლექტივის ერთობლივ მუშაობაზე წამიყვანა.

დილა იყო მშვიდი, წყნარი, მტრედისფრად ნანათი. ჯერ კიდევ არ ისმოდა მცხოვრებთა ერთმანეთში გაძახი-

ლი. მყუდროებას მხოლოდ ჩიტების ერთმეული არღვევდა (არ ჩანს მისი პატარა მდინარის ჩხრიტება).

ორღობეში ჩემი მეზობლის ლექსოს ურემი შემხვდა.

— მობრძანდით! რაკილა ჩვენთან მოდიხარ, დაბრძანდით ურემზედა! — მიმიპატიეა ლექსომ.

ურემი შემიჩერა; უკანა კალს წავავლე ხელი და ურემზე ავხტი.

— თბრე! — შეუტია ხარებს და სირბილით გარეკა.

ტანმორჩილი ხარები ფეხების ბაკაბუკით მიარბენინებდნენ მაღალ ქალებიან საძენ ურემს. ლექსო კოფოსთან იდგა. სახრე მხარზე გაედო. შიგა და შიგ ხარებს შეუტევედა. სახრესაც სიურცეში მოიქნევედა.

— ძალიან ამინდი დაგვიდგა, აი! სწორედ ისეთია, კალოს რომ მოუხდება!.. — სთქვა ლექსომ.

— მოსავალიც ხომ კარგია.

— ძან კარგი, რომ მეტი არ შეიძლება.

აქეთიქით ღობეზე გადმოსრილი ხეხალის ტოტები თაღივით დადგომოდასაურმე გზას. გვირაბივით დაებნელებინა იგი. ქალებს ედებოდა. გაიშრიალებდა. ისევე ჩამოეკიდებოდა.

— ერთი ეს მითხარი, შენი ქირიმე, დათა, როგორ მოგწონს ჩვენი თავმჯდომარე?—ცოცხა სიჩუმის შემდეგ შემეკითხა ლექსო.

— ძალიან კარგია! მოსალაცი ხარო, რომ ასეთი თავმჯდომარე გყავთ!

— მართალია!—სთქვა და ხარებს გაუჯავრდა.— ჩემი ბიჭისა რო არა ისმის რა?—ამოხვნემით სთქვა...

— აჟი ვილაც დაბრუნებულმა ამბავი მოიტანაო,—კარვად არის და მაღე მოვაო!..

— ეგრე კი სთქვეს, მაგრამა, ის დაბრუნებული რო ვერ ვნახე?. ამდენი ხანი გადის და ის კი არსადა სჩანს... თ! ერთი ნეტა ის დამიბრუნდებოდეს და ისეთ ღზინს გადავიხდი,—თელ კოლექტივს დავპატივებ..

— რა ხნისაა შენი ვაჟი?

— ახლა ოცდათორმეტი წლისა იქნება! მეორეცა მყავს, მაგრამა ის სულ სხვაა!—უმცროსია! სულ ქალაქშია! სოფელს არ ეკარება. იმას კი ისე უყვარს სოფელი, რო... ერთთავად ბაღნაში იყო და მუშაობდა! პაი დედასა, რა კარგი კოლექტივის თავმჯდომარე გვეყოლებოდა?

თავი გაიქნია. ხარებს სახრე ვადაყრა.

— ჩვენ თავმჯდომარესაც რა უჭირს მაგრამა ის სულ სხვა იქნებოდა!

ორღობე აეთავიეთ. მოედანზე გავედი.

— პირდაპირ წავიდეთ კალოებისკენ, თუ კანტორაში გავიართო?—შემეკითხა ლექსო.

— კანტორაში! თავმჯდომარე მიცდის.

იქ რომ მივედი, ნიკო უკვე წასულიყო. დაბარებინა, კალოზე მნახოსო... ლექსოს ურემიც იქით წავიდა.

შემეც პირველი სხივები შორეულ მთის მწვერვალებს მიაშუქა. მერე დაბლობში დაეშვა, ზეწარივით მდელის მოფინა. მილიარდი სხივები აციმციმდა. მთის კალთებში მოყუყუღლი თეთრი ფარდები აიშალა, სივრცეში გაქრა.

ზევიდან დაცქეროდი ფარდაგივით აქრელებულ დაბლობს. გაყვითლებულ ყანებსა და მწვეანე მინდორს. ვენახებსა და ბაღებს. შარავნებსა და ბაწარივით დახლაკნილ ბილიკებს...

დაღმართზე დავეშვი. მცირე კორაკების ძირში მალაქარა მწვენი მორკალული კალოებმა გამოიხდა— ერთი, ორი, სამი, ხუთი, შეიდი... განიერ გრვალ კალოებზე გაშლილი ყანა ტბასავით დეღადა. ზედ ნავეების მსგავსად კვერები ცურავდნენ. ახლადდაფენილი, კვერის გავლით იზნიქებოდა. კვერის ტალღებში იმალებოდა, მერე ისევ იწვედა. მორჩილი ხარები ყანაში მუხლებამდი იფლობოდნენ. ბიჭები ორთითთ ვარს უვლიდნენ. კალოს ასწორებდნენ.

— ესეც ჩვენი კალოები!—სთქვა ლექსომ—ქვევით კი, ხან მწვეანე და ხან ყვითელი რომ მოსჩანს, ესენიც ჩვენი მამულებია. ერთ მხარეს სოკინდია, იქით კი უკვე მოსული პური. შიგადაშიგ ჭარხალი და კარტოფილი. მაგრამ თუ სიმინდსა და კარტოფილს წვიმა არ მოუვიდა, ამ ერთ კვირაში მაინც—დაიღუბება! დაიღუბება! — სთქვა და ხარებს გაუჯავრდა.

უფრო მოშორებით, ყანის შუაგულში დაუმთავრებელ შენობასავით, თვლებზე შემდგარი, აჩაჩხული, კომბაინი შევნიშნე. მის გარშემო ორთითებზე ჩამოცმული მალა აწეული ბულულები, სივრცეში მიექანებოდნენ. კომბაინის თავზე, კითხვითი ნიშნის მსგავსად მოკუზული კოლმეურნე ძნას მკლავებს მოხვევდა,—მოიღუნებოდა და კომბაინის გაღებულ პირში ჩაუშვებდა.

თასმა შრიალბდა. ბორბალი ტრიალებდა. კოლმეურნეები ჭიანჭველებით დაფუსფუსებდნენ. ღარში წამოსულ ხორბალს, ნაპირში რომ ქალის თმასავით იშლებოდა, ტომარას შეუღგამდნენ. წუთში ავსებულს ზურგზე მოიკიდებდნენ და ურემებზე ზეინებად აწყობდნენ.

მანქანის ხრიალსა, თასმების შრიალსა და ბორბლების ტრიალში შეუსვენებელი, სწრაფი მოძრაობით მიმობრბოდნენ პატარა კაცები. მანქანის ტემპს არ უნდა ჩამორჩენოდნენ.

როგორც კომბაინს, ისე მათაც დანაწილებული ჰქონდათ სამუშაო, — ზოგი ძნას აწვდიდა, ბულულს ასწევდა, ტომარას ზიდავდა, თავს უკრავდა, ნაგავს ხვეტდა, ნაკმაზს აგროვებდა.

— ეგა ხვალ ჩვენთან იმუშავენბს. — მითხრა ლექსომ, როცა იქით მიმართული ჩემი მხედველობა შენიშნა. — დღეს კი, რომ არ გავცდინილიყავით კალოები გავმართეთ და ყანას ვლუწავთ!

— აგე ჩვენი თავმჯდომარეცა! — სთქვა მან, გორაკებივით აზიდულ ყვითელ ზვინებს რომ მიეუხალოვდით.

ნიკო ამ დროს მაღალ ძნასთან შექუჩულ ბიჭებს მოსცილდა. ჩემსკენ წამოვიდა, მეც ურმიდან ჩავხტი. ბიჭები და გოგოები, კევრებზე რომ იდგნენ, ჩემსკენ მობრუნებულიყვნენ, ხელისგულით დაჩრდილულ შუბლის ქვეშოდან გაოცებით მიმხერდნენ.

— უკაცრავად, კანტორაში ვერ დაგხვდით! მეგონა დაიგვიანებდით! საქმისათვის აქეთ წამოვედით! — მომეგება ნიკო.

— შეხე! შეხე! ხიი... პოი!.. ვერა ხედავს, აი!.. — შესძახა ჩვენს ახლო მდგარმა ბიჭმა. მაღლა აწეული ორთითით უცბად ადგილს მოსწყდა. კალო გადაირბინა. კევრში შებმულ ხარებს წინ დაუდგა, შეაჩერა... გოგომ მხოლოდ ახლა შეამჩნია ახვეტილი ბულული. აყირავებულ კევრიდან გადმოხტა.

— საით იცქირები, რომა! ვერ ხედავ? — შეუტია, ორთითით ბულული გაასწორა, ხარები წინ წასწია. გოგო ისევ კევრზე შეხტა და ხარები ვარეჯა.

— კი არ გეგონოთ მთელი მოსავალი კევრებით გავლევით! როდის მო-

ვასწრებთ! ამ ორ დღეში კევრების/მაგირ აგე, ის სალექვი მანქანა მოგვყავს! ხელშეკრულების ძალაშია ჩვენს გალექვის მთელი ყანა... — მითხრა თავმჯდომარემ.

ყვითლად აბიბინებულ ყანაში დარჩევით გაყოლებულ ბილიკა ვზას გავყევით. მოსულ თაველებს კისრები მოელუნათ. ძირს დაეხარათ. ნიავის ოღნავი შრიალით ერთმანეთს ნელი რხევით ეხებოდნენ, თითქო დილის სალამს აძლევდნენ, ქანაობდნენ, ტოკავდნენ.

მოცელილ მინდორზე გავედით, — აქა-იქ გაფანტული ბულულები, ძნები, ქალები, კაცები, ორთითები და ფიჭულები, ცარიელი და უკვე დატვირთული ურმები — ერთმანეთში ირეოდნენ. ზოგი მოდიოდა, ზოგი მიდიოდა. მაგარ ულოებს გრეხდნენ, სხვაგან ძნებსა ჰკრავდნენ. ერთ ადგილას აგროვებდნენ. საქმე ურმებს ტვირთავდნენ. მაღალი ქალები ყანით დაიფარებოდა. თოკით შეიკვროდა. როცა ადგილიდან დაიმეროდა, ისე გეგონებოდა, თითქო ურეში კი არა თვით ბულულს შეუდგამს გორგლები და თავისით მიცოცავსო...

აქეთ მოუცელავი ყანა ბიბინებდა. მოშორებით, — ჩვიდმეტ - თვრამეტი გულგაღვლილი მცელავი მხრების მოძრაობით, პრიალა ცელებით, ყანას სცელავდნენ. მოლუნული ზურავით, განზე გამდგარი მუხლებით, მწკრივში ჩამდგარნი, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო სწრაფად იქნევენ ცელებს და ძირს აწვენდნენ აღერებულ პურის თაველებს.

იქით წავედით. ამ დროს ისინი ნაპირში სათითაოდ გამოდიოდნენ. ჯიბიდან სალესავს იღებდნენ. ცელს ააყირავებდნენ და ლესავდნენ. ცოტას შეისვენებდნენ. ისევ სათითაოდ, როგორც კიბის საფეხურები ერთმანეთს მისდევდნენ. მოხუცი თუ ახალგაზრ-



და, ტანმორჩილი თუ მაღალი რიგში ღვებოდა. ყანას შრიალი გაქონდა.

— აბა, ბიჭებო! სწრაფად! თორემ მალე მზე დააჭერს და მერე კი აღარ ვარგა ცელი...— შეუძახა ერთმა მოხუცმა.

— ამერიკა აღმოაჩინე შენც, რაღა...— უბასუხა ახალგაზრდამ და ჩვენსკენ მოიხედა, თითქოს გვეუბნებოდა:— „კი არ გეგონოთ უცოდინარები ვართო“...

— მე ამერიკისა არაფერი ვიცი, მაგრამა, თუ კაი ბიჭი ხარ,— მე მოხუცი და შენ ახალგაზრდა,— აბა ერთი ცელში მომყველი...

— ყოჩაღ, ყოჩაღ ზაქრო!

— აბა, ჰე! აბა ჰე!..

— მიდი! ზედ მიდი!..

— დახე, დახე, ამ ზაქარას, რა ყოფილა!...— შესძახეს მცელაეებმა.

ერთმანეთისაგან ნაბიჯით დაცილებული, აპრიალებული ჩვიდმეტი ცელი, სულ სხვადასხვა დროს ელავდა სივრცეში. ძირს დაწოლილი ყანა მრუდე რიგებად ერთიმეორეს მიყვებოდა.

— ზაქრო მოხუცია! 65 წლისაა, მაგრამ მცელაეებში პირველია!— მითხრა ნიკომ.

მისი ცელის მოქნევა სულ სხვანაირი იყო. მცლაეებს ძალას არ ატანდა. თითქოს თვით ცელი ამოძრავებდა მცლაეებს. მსუბუქად მიაქანებდა წინ... მოზრალი, თავდაღუნული გაერთწერთილებული უმზერდა ცელით მოსხვეპილ ყანის ძირს დაწოლას.

მოცელილ ყანას ჯგუფებად გაფანტული გოგოები კონებად ჰკრავდნენ... ძნებს ორთითებით ერთ ადგილას ალაგებდნენ. მიწაზე დარჩენილ თავთაეებს ფოცხით აგროვებდნენ. კისკისით, ხტუნვით, ცელქობით ასრულებდნენ დაკისრებულ საქმეს.

— რა მშვენიერი საესე თაველეუბია!— მივმართე თავმჯდომარეს; როცა

ერთი თაველი დაფშვენი და ხელის გულზე დაეყარე.

ხოლო, როცა მას მევხედე— მისი ჩვეულებრივი ჩაფიქრებული თვალეუბი ველარ დავინახე: სადღაც შორს იტყირებოდა, ილიმებოდა. რაღაცას აკვირდებოდა. რომ მომხედა, სახე შეეცვალა. ვერც გაიგო, რას ვეუბნებოდი. დაბნეული მიმზერდა ჩემი აზრი გავეუმეორე, გაურკვეველად მიბასუხა,

— კარგია, კარგია!...— და ისევე იქით მხარეს გაიხედა.

მეც მიეაბრუნე თავი და უცბად მხედვლობაში ამესახა— ბულულთან შეგროვილი გოგოები ერთმანეთს რომ ხელს ჰკრავდნენ, ბულულში აწვენდნენ, ზედ კონებს აყრიდნენ. წამოდგომას არ აცლიდნენ. ყველაზე მარდად ნატო მოქმედებდა. თმაგაწილი და გააფთრებული ხან ერთ გოგოს წააელებდა ხელს და ხან მეორეს. სათითოდ ბულულში ჩაფლავდა. არავის ინდობდა. მის დაჭერას ცდილობდნენ, მაგრამ ხელიდან უსხლტებოდა.

მერე, თითქოს პირი შეკრესო, ვარს შემოეხვიენ, მცლაეები გაუკავეს, მაგრად ჩაბლუჯეს, წააქციეს, ბულულში ჩაფლეს. ზევიდან დააწვენ. ორმა გახსნილი კონა მოიტანა. ერთმა დაგრეხილი ულო, ღეროებში გაახვიეს. გარშემო ულო შემოარტყეს... მისაც მოეწონა ეს ხუმრობა. დანებდა. გაინაბა.

როცა წამოაყენეს, ფეხზე დადგა. გაიარა. ღეროები ქანობდნენ. ყუთელთაელებში შავ ძაფებად არეული თმა, შიშველი მცლაეები და მუხლები, ცქრილა შავი თვალეები და წარბები ტანის რხევით, ყანის ფერიასავით ამართული— ჩვენსკენ წამოვიდა. კისკისით და ხარხარით უკან გოგოები მიყვებოდნენ.

ფერია მოგვიახლოვდა. შედგა. გოგოებმა ტაში შემოჰკრეს. იმანაც ჩამოუარა და უცბად გაიქცა. ულო მო-

გხსნა. ძნა დაიშალა და დაიბნა. მირბოდა. გოგოებიც მირბოდნენ, ძნებთან რომ მივიდნენ ფიწლებსა და ორთოთებს წამოავლეს ხელი სიცილით და ხითხითით მუშაობა განაგრძეს.

— ასეთი მოუსვენარია ეგ შეჩვენებული. ვერაფერი მითქვამს. მაგრამ მუშაობას კი არ შეამცირებს. სხვა გოგოებს სჯობია. მზიარულობს და საქმესაც ასწრებს. ყველას მაგასთან უნდა რგოლში ყოფნა. — სთქვა ნიკომ ღიმილით.

ტრიალ მინდორს გავცქერდი,—მოცელილი ყანის გაბრუდებული რიგები, ბულულები, მალა აზიდული ძნები, დატვირთული ურმების ჭრიალი, ჭირნახულის მოსავლის აკრეფა და წელში მოღუნული ადამიანების ზამთრის სარჩოსთვის გამძლავრებული ჯაფა და შრომა, მუშაობა და ოფლი,—მახალისებდა.

— : —

ეუმზერდი დიდებულ სურათს... გონების თვლით ვხედავდი,—ამ წუთში მიველ მსოფლიოში ათეული და ასეულ მილიონობით ხალხი მინდორზეა გასული. მკიან, ლეწავენ, ანიავენ, მარცვლეულობით ბელვებს ავსებენ. მაგრამ ვიცი, რომ არსად არ არის დადგენილი და მიღებული შრომის ანაზღაურებისა და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება ისე, როგორც ჩემს სამშობლოში, — რომ კოლმეურნობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისთვის, მისი ნაყოფიერი და მძლავრი აღმავლობისათვის ზრუნავს ჩემი პარტია და ხელისუფლება, — რომ სახელმწიფოს ყოველ ზრახვათა შესრულებისაკენ არის მიმართული კოლმეურნობათა შრომა და ღვაწლი, რომ ჩემს სამშობლოში აღარ არის დაჩაგრული და მჩაგვრელი. ექსპლოატატორი და ექსპლოატირებული...

აღტაცებული ვარ, როცა ვხედავ

მინდორზე გასულ ჩემ მეზობელ კოლმეურნეებს, რომლებიც ჩვენსა და იბრძვიან ისეთი ცხოვრების განსტკიცებისათვის. რომელიც კომუნისმისაკენ მიიღტვის, როცა ვუმზერ, როგორი ერთობლივი სულერი განწყობილებით მკიან, ხნავენ, თესვენ ლეწავენ და მრავალნაირ მეურნეობის დარგში გაუმჯობესებისაკენ მიისწრაფიან ჩემი ქვეყნის მშრომელები...

ბედნიერი ვარ ამ დიდი მიღწევების ეპოქაში რომ ვცხოვრობ, რომ ჩემს განთავისუფლებულ სამშობლოს კეთილდღეობას მოვესწარი...

ჩემს გულს უხარია, რომ გვერდში მიდგია ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ხელმძღვანელი, პატროსანი მშრომელი, ენერგიული და შეგნებული ამხანაგი... რომ ის შეყვარებულია კოლმეურნე გოგონაზე და მას იქაც გამარჯვება მოეღოს...

აღფრთოვანებული ვარ,—რომ ჩემი ცხოვრება შრომის სამეფოა და ადამიანის სიყვარული. რომ შრომისაკენ, ადამიანის სიყვარულისაკენ და ჩვენი სამშობლოს დაცვისაკენ მოგვიწოდებს ჩვენი ბელადი.

— : —

### ტრატორისტები

უცბად ისე ვიგრძენი, თითქო მზე ღრუბლებიდან გამოვიდა, — ბულულები ამზინდა, ყვითლად აციალდა გარემო, ბუჭებში დამცხა. ცას შევხედე—რამდენიმე წუთის წინათ ლეგა ღრუბლები ნელნელა მისრიალებდნენ მის ტატონზე, ნაკვთ ჩრდილებსაც მინდორზე მიაცურებდნენ. ახლა უცბად გაუჩინარდნენ და მოკრიალებულ ფირუზ თალიდან, მწველი სხივები მიდამოს მიეფინა...

ნატოს მერგოლურები მინდორის ბოლოში გავიდნენ. ნიკოს ბაგეზე კვლავ ღიმი კრთოდა.

უეცრად ხმაალაღი ლაპარაკი მოგვესმა. ძნით დატვირთულ ურემსე მდგარი ჩემი მეზობელი ლექსო, მეორე მეურმეს უჯავრდებოდა. ის კი გაცილებული უმზერდა. ორთითს ხელში ატრიალებდა, ლექსოს უმზერდა. არ იცოდა გაჯავრებულიყო, თუ განუმებულიყო...

— რა იყო, რა მოხდა? — შეეკითხა ახლო მისული თავმჯდომარე.

— ჯანდაბა მაგის თავსა! მაგან ხომ უმიზეზო ყვირილი იცის! — უპასუხა მეურმემ.

— რათა შეილოსა! ჩემ ურემთან ძნები ელაგა, შენ რად უნდა წაგელო? — გაიძახოდა ლექსო.

ნიკომ ტუჩების ნაპირებით გაიცინა. მიხედა რაშიც იყო საქმე.

ამ დროს მეორე მეურმემ ძნებით საესე ურმიდან ის ორი ძნა უკან გადმოუფდო.

— ამა! ამაზე არ ჩხუბობს.. არ გრცხენია! — უთხრა.

— ორივე ერთ ბრიგადაშია — ამიხსნა ნიკომ, — მაგრამ ორივე ცდილობს ურემი მალე დატვირთოს. კალოზე მიიტანოს. მალე ჩამოცხება და მუშობაც შეჩერდება, ვიდრე მზე გადაიხრიდეს...

ლექსოს ხმა აღარ ამოუღია. თითქოს შერცხვაო, ურემი მოატრიალა და მახლობლად დალაგებულ ძნებთან მიიყვანა.

ისევ კალოსკენ მიედროდი. გზადაგზა თავმჯდომარეს ბრიგადირები შეეკითხებოდნენ — მინდვრის რომელი მხარე ადრე მოეთავებინათ და რომელი შემდეგ.

კიბოსავით ამანჩხლული, რკინის განიერი მუხლუხიანი სალტეებით შეკრული ორი ტრაქტორი მინდვრის ნაპირად შემდგარიყო. ჯარს ტრაქტორისტები უტრიალებდნენ. მახუთში ამოგანგლული შავი ხალათებით, გამურული სახით და აკარწახებულ

მკლავებით, მეზობელ კოლმეურნეებს როდი წააგავდნენ... მოდუნდნენ უკლებლი, შეკრული წარბებიც და მკვირვარე მესი წასული მოციმციმე თვალებით, თითქოს უნდობლად გამოიციჩებოდნენ...

ესენი იყვნენ, დილას რომ გამოვიარეთ, ბულულიდან გამოძერენ. მაშინ ჩვენ გვერდი ჩაეუარეთ და ახლა კი პირისპირ შეეხედლით. ისინი მთელი დღე და მთვარიან ღამეშიც კი ტრაქტორს ამუშავებენ. ყვითლად მოპარსულ მიწას შავი ბელტებით ჰფარავენ.

ახლა ესენიც ეკითხებოდნენ თავმჯდომარეს: „ჯერ სულ მოცხნათ, რაც მოსახენელია, და შემდეგ ის, რაც ნაპირებშია ჩარჩენილიო, თუ ბარემ ახლავე დაეასრულოთ დატოვებული ალაგებიცო!“..

ბილიკიდან საურმე გზაზე გადაედით თუ არა, იქვე ფერდობზე გადაბრუნებული, გორგლებით მალდა აყირავეებული ძნით დატვირთული ურემი დაეინახეთ. ფეხს აუჩქარეთ და მეურმეს დაეცხმარეთ...

სივრცეში ჩამოკიდებული კონკილა და უღელი საცოდავად ქანაობდნენ... გადმოცენილი ძნები გაფანტული ეყარა.

— აბა, აქეთ მხრიდან მივაწვეთ ყველა. იქნებ ურემი დაუცლელად თვლებზე დაეყენოთ!.. — გვიოხრა თავმჯდომარემ, — პეტრე, პეტრე! მოდი დაგვეხმარე, — დაუძახა მოახლოებულ მეურმეს.

მხრებით მივაწქქით და ცოტა შეტორტმანების შემდეგ ურემი თვლებზე დაეყენეთ.

— როგორ დაგემართა, გიო? — შეეკითხა ნიკო მეურმეს.

— როგორ დაემართებოდა! უშნოა! — თავისთვის წაილაპარაკა მოსულმა მეურმე პეტრემ.

— როგორადა ურემი საძნე არ არის! ჭალები დაბალი აქვს. გრძელია და ვიწრო... — უპასუხა გიომ, — გადმოცევილ ძნებს ორთითით ისევე ურემზე აწყობდა, თოქს უჭერდა, ფუსფუსებდა...

— ურემის ბრალი კი არა, შენი ბრალია! აგე, ამასაც ვგრძეთი ურემი არ მიჰყავს? — მაგრამ კი არ უბრუნდებ! შენ კი იმიტომ დაგეშართა, რომ არ გცოდნია ურემზე როგორ უნდა დააწყოს ძნები თანაბრად ისე, რომ არც ერთ გვერდზე არ იყოს მეტნაკლები. შენ კი, აი, ახლაც სჩანს რომ ერთ გვერდზე მეტი მოგსვლია... აბა, აქეთ გადმოალაგე ზოგი მათგანი!.. აი, ასე!.. ახლა მოუჭირე თოქი! მაგრა! მაგრა!... აბა ახლა თუ გადაბრუნდება!..

ურემი რომ დაიძრა ნიკო მაინც გვერდით მიყვებოდა. ორთითით ბიძგს აძლევდა.

— ეჰ! თუ ამ ერთ კვირაში მაინც არ მოვიდა წვიმა, დაგველუბება სინინდი და კარტოფილი!.. — ამოკენესით სთქვა გვერდით მომავალმა პეტრემ.

გორიხიან ვზახე მიედლიოდით. ერთ მტკაველზე გამსკდარი მიწა, სიცხისასაგან თითქოს ხენეშოდა.

იმ ღამეს სიცხისაგან სუნთქვა მიძნელდებოდა. აივანზე დავაგე ლოგინი, ხოლო ძილი არ მეკარებოდა. დღის-შობებულობებიანი არ მასვენებდა. ყველაზე მძლავრად ტრაქტორისტების ნახვა მაგონდებოდა. მაშინ სრულიად არ მიიზიდა ჩემი ყურადღება იმ სურათმა, ხოლო ახლა თვალწინ მედგას ის შავგერეშანი ბიჭები, შავი ხალათებით, ნაპირიარევი შავი თვალებით და თეთრი გუბებით, ბულუღიდან რომ ისე ძვრებოდნენ, როგორც წიწილები კვერცხის ნაჭუჭებიდან. ზღაპრით გამოდიოდნენ, იზმოვრებოდნენ და შავი

ტუპყიანი ხელებით პირისკახტისკახტის-დნენ.

„რა კარგია ბუნების წიაღში ძილი!“ — ვფოთხარი ნიკოს.

— „კარგია, თუ პურის თაველის ფხამ მოვასვენა. მეც მქონია ასეთი შემთხვევა. დამე მინდორზე დაერჩენილვარ და ბულუღი ყოფილა ჩემი საბანი და ლეიბი. სანამ დაიძინებდე, აღარ იცი თავი როგორ დადო. ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მკლავს მიაშველებ. თაველი მაინც არ გშორდება — კისერში ნევისივით ჩაგერკობა, შუბლზე ეკალივით დაგესობა... ხოლო ვარსკვლავების ციმციმისაგან დაღლილ თვალბს მალე მილულავ, ძილს მიეცემი... ღამით ძალიან ცხელა. დილას კი ცივი ნიავი გაგაღვიძებს, — სთქვა ნიკომ.

ლოგინში ვერ ვისვენებდი, დუმცა თავქვე ყანა კი არა, ლბილი ბალიში მედო. არ მეძინებოდა ვფიქრობდი: „ახლა ისინი ჩაძინებული არიან. სუფთა და ვრილი მინდვრის პაერით სუნთქვენ“...

დიდხანს ვბორავდები. აღარ მახსოვს, ფიქრებში ვიყავი ვართული, თუ ჩამძინებოდა, — უცბად გრგვინვის ხმამ გამომაფხიზლა, გვერდი მაცვლევიანა, თვალი გამახილვინა... დასქექდა დაქუხა, ხის ტოტები ააშრიალა, ცივმა ნიავმა დაქროლა... ერთი კიდევ დაიქექა. წამით დაკლაკინილი თეთრი ხაზით ცა გაიპო. სახურავიდან, მალე წვრილი თოკები დაეშვა. შხაპუნა წვიმამ გარემო აახშურა, პაერი შესცვალა. შუბლი და მკერდი ნიავმა გამოვირია...

ლოგინში წამოფეკტი, აღფრთოვანებული ვიღიმებოდი... მიხაროდა, რომ მოულოდნელი წვიმით გახარებული ვლენები ახლა ლოგინებიდან წამოცვივდებოდნენ, მოლუშულ ცას გახედავდნენ. სიამით დაიძინებდნენ.

მაგრამ რა დღეში არიან ახლა ტრაქტორისტები? ბულულსაც და მათაც რომ წვიმა დაასველებს? სად წავლენ დამით?..

— : —

სადამო ხანი იყო. მე და თავმჯდომარე აივანზე ვისხედით. მთელი დღის მუშაობის შემდეგ, დაღლილი და დაქანცული ახლა ისვენებდა.

— რა არის თქვენს მუშაობაში ყველაზე ძნელი, ე. ი. მთავარი, რასაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს?— შევეკითხე მას.

— თავის დროს დათესვა, თავის დროზე მომკა, გაღვწვა და ჩაბარება...

— არა! უმთავრეს თქვენ მოვალეობას რომ შეადგენს...

— შრომადღებებს... შრომის ორგანიზაციის მოწყობა.— უცხად მიხვდა, რასაც ვეკითხებოდი.— წინათ, კოლმეურნეობის აღმავლობის დროს, სხვადასხვანაირი, თანდათანობით გაუმჯობესებული შრომის ორგანიზაციის წესები ვითარდებოდა. მაშინ არ იყო შემოღებული ახლანდელი შრომადღის დაჯგუფება — გამომუშავების ნორმებით, არამედ, ვინც კი სამუშაოზე გავიდოდა, ყველას აღუნიშნავდნენ მუშაობის შესრულებას, ოღონდ სამუშაოზე გასულდყო...

— მერე, ყველას თანაბრად ეწერებოდა შრომადღე?

— დიალ! მაგრამ... ყველა ხომ სინდისის ქვეშ არ მუშაობდა?.. რომელიმე სანდალა თოხს კი აიქნედა მარჯვლის დროს, მაგრამ ბალახს კი არ მოჭრიდა! ფხვიერ მიწას მიიყრიდა ზევიდან და მორბოდა შინ. ზოგჯერ დღეში ორ-სამ შრომა-დღეს იწერდა. პასუხისმგებელი მთლიანად რგოლი იყო და არა თითოეული. ახლა კი ცხოვრებამ გვიყარანახა, შრომის ორგანიზაციას ახალი მიდგომა. დაწესებულია სასტოკო კონტროლი სამუშაოთა ხარისხის

აღნიშვნისათვის. შემოღებულია წესი, რათა ყოველდღიურად ქარწყვეთელ-თითოეული კოლმეურნის მიხედვით შემოღებული სამუშაოთა და აგრეთვე მის მიერ შესრულებული შრომადღეები. სამუშაო ახლა სწარმოებს ინდივიდუალურ და წერილ ჯგუფურ სანარღო წესის საფუძველზე...

— ირკევა, რომელს როგორია ნამუშევარი აქვს?

— ახლა თითოეულს ევალება თავის ნაკვეთს უგდოს ყური, ე. ი. მას შეუძლია თავის დროზე ნაკელი დააყოლოს, მორწყოს და საერთოდ ისე მოუხაროს, როგორც მოუხდება მისთვის გამოყოფილ ნაკვეთს...

— თუ გულმოდგინედ იზრუნებს, ცხადია, მოსაჯალსაც კარგს მიიღებს. თუ არა და სხვას ჩამორჩება. შესაძლებელია პეტრეს ერთ ჰექტარზე თხუთმეტი ცენტნერი პური მოუვიდეს, ლექსომ კი ათიც ვერ მიიღოს. ცხადია, სამუშაოშიც ის ერგება, რასაც მოიყვანს.

— ეგ სწორია! ნამდვილია!— ჩავურთე.— პირადად თქვენი მუშაობის სიძნელე რაში მდგომარეობს?

— რომელი ერთი ჩამოგითვალთ! თავმჯდომარე პასუხს აგებს კოლმეურნეობის მუშაობაზე. მან უნდა სდევნოს ზარმაცები და გამოასწოროს ისინი, მოვალეა და პასუხისმგებელი საწარმოო და სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის. აგრეთვე არტელის წესდების განმტკიცებისა და განუხრულად დამუშავებისათვის. მან უნდა დაიცვას შრომის დისციპლინა, დაუზოგავად ამხილოს ტამნია-ვებლები და იბრძოდეს მათ წინააღმდეგ, სასტიკად ეწეოდეს ეკონომიას წარმოებაში. უნდა იღვწოდეს იმისთვის, რომ ყველა კოლმეურნე ბეჯითად მუშაობდეს კოლმეურნეობის დოვლათის გამრავლებისათვის. თავმჯდომარე ვალდებულია იცოდეს საქ-

მის მდგომარეობა კოლმეურნეობაში. ყური უგდოს სამართლიან ხმას და თავის დროზე ყურადღება მიაქციოს მათ ნამდვილ შენიშვნებს და სწორ აზრებს.

ჩვენი პარტია და ხელისუფლება ხელს გვიწვდის იმისათვის, რომ აღეურ-პოლიტიკური დონის სიმაღლეზე ვიდგეთ, რომ ყველა ჩვენგანი გამოწრთობილი ვიყოთ საკოლმეურნეო მეურნეობის ნამდვილ ბოლშევიკ ხელმძღვანელად. ამიტომ უფრო მეტი გეპარტებს სიფხიზლე და გულწრფელობა მთელი ენერჯით ვემსახუროთ იმ დიად საქმეს, რაც პარტიამ და ხელისუფლებამ დაგვაეხლა...

ლაპარაკობდა დინჯად, წყნარად, დამაჯერებლად და გულწრფელად. მათაცებდა მისი ასეთი სისწორით უფლება-მოვალეობათა შეგნება.

უცბად შენახირემ კიბე ამოირბინა, დალილ-დაქანცული, — სულს რომ ძლივს ითქვამდა, — თავმჯდომარესთან მიირბინა, ხენეშით, დაუშთავრებელი აზრის გამოთქმით, აჩქარებული სიტყვებით ძლივს გააგებია, რომ თავლა ძროხა კლდეზე გადაიჩხვო.. რომ მას აღარაფერი შეეკლო და აქეთ გამოიქცა ამბის შესატყობინებლად...

— როგორ დავემართა, ბიჭო, როგორ!... უცბად წამოხტა ნიკო, შეუტია შენახირეს...

— ჩემი ბრალი არ არის! აბა რა ვიცი, როგორ მოხდა, არც კი მაგონდება. კლდის პირად ძოვდა. სხვიმისად რამდენჯერ მიძოვებია იქა... სხვა ძროხებიც იყვნენ, რალა იმას დაემართა..

— მერე! მერე! რა ზომები მიიღე! არ ჩახვედი? არ ნახე?..

— არა, შენი ჭირიმე! ზევიდან გადავიხადე... რქა მოტეხილი, ამოსვრილი, ფეხებს აფართხალებდა, წამოდგომა უნდოდა, მაგრამ აბა როგორ აღგებოდა, პირიდან სისხლი გადმოდიო-

და... რომ ჩავსულიყავი, მაინც ვერაფერს ვუშველიდი...

— აბა ჩქარა! დაწინააღმდეგე ურემი შეაბით. იქნებ როგორმე ცოცხალს მიუღსწროთ. გადავარჩინოთ! საქონლის ექიმი მონახე სასწრაფოდ! ბიჭებს უთხარი, დანაც წამოიღონ.

ეს ამბავი სოფელს ელვის სისწრაფით მოედო.

ჯგუფდებოდნენ გლეხები და ერთმანეთს გადასცემდნენ ახალ ამბავს.

გროვდებოდნენ ქალები და სახეს იკაწრავდნენ.

ბავშვები და გოგობიჭები ხან ერთჯგუფს მიუახლოვდებოდნენ, ყურს წაუღებდნენ. ხან მეორესთან მივიდოდნენ. სახე-მოღუშულნი, თვალცრემლიანი დაიარებოდნენ.

— ნეტა კი გადარჩებოდეს, და!

— უჰ! ცოცხალი რომ მოიყვანონ, რა იქნება!..

— რალა ცოცხალი.. ვერ გაიგონე, რა უთქვამს შენახირესა?

— უჰ! როგორ შენახება, იცი? ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აზრს ბავშვები და გოგობიჭები.

— გაიგე, დედაკაცო, გაიგე? — ერთმანეთს შეხვდებოდნენ ქალები.

— გავიგე მამა! აფსუს ჩვენი თავლა?

— რა დროს გვიღალატა?

— მერე, ახალი შშობიარე მაინც არ ყოფილიყო!

ოჯახურ საქმეებს თავს ანებებდნენ ქალები და მოედანზე იკრიბებოდნენ.

— მაინც როგორ დავმართა? — ერთმანეთს ეკითხებოდნენ კაცები.

— რა ვი! მართლაცა და მართლაც! რას აკეთებდა შენახირეი?

— დამნაშავე მარტო არ არის.

— კაცო, კლდის პირად ძოვდაო... გულში რა წვიმა მოვიდა, აღბათ მიწა დალბა. ბელტი მოსწყდა, ფეხი დაუცურდა, და...



— ან იქნება ბულა გამოუღდა... აბა, რა ვიცი!..

— ახლა, შეილოსა, რაც გინდა ისა სთქვით... ბე!.. ეს მშვენიერი ძროხა კი დაგველუბა და!..

— ვითომ ველარაფერს ვუშველით?

— აბა, რა ვიცი!.. აგე ჩვენი ექიმიცა! ურემიც მოიტანეს.

— აბა, ექიმო მობრძანდით!.. თქვენც ხომ არ წამობრძანდებით? მომმართა თავმჯდომარემ.

თანხმობა რომ განვაცხადე, ხელი მომიკადა. ურემზე შემსვია. სირბილით გარეკეს ხარები.

მთელი სოფელი უკან დაგვეღვენა.

ბავშვები წინ მირბოდნენ. ერთი გოგო სლუკუნებდა.

— აბა, თქვენ რაღა გინდათ! არ შეიძლება!

შეუტიეს დიდებმა ბავშვებს. ხელს აკიდებდნენ. უკან აბრუნებდნენ მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ. ხელიდან უსხლტებოდნენ და წინ გარბოდნენ...

აღმართზე ურემი ნელნელა ავიდა. ურმიდან ჩამოვხტით.

ხალხს რომ გადავხედე — გავვოცდი — მთელი სოფელი მოდიოდა.

დამშრალი მდინარის ხევს გაყვებით. სლიბ ქვებზე ხტუნვით მივდიოდით. ყველაზე წინ თავმჯდომარე და ექიმი მირბოდა.

შორიდანვე დაენახეთ მუცელგაბერილი თავფლა ძროხა. ფეხები მაღლა აეშვირა. მსუქანი თეთრი ჯიქანი გაფიცქნოლ ბატკანივით იდო მიწაზე. მინასავით აპრიალებული, უსახლვრო სეფდით საეყ თვალებით, სივრცეს მიშტერებოდა.

ახლოს რომ მოვედით, ტალახიან სისხლში ამოსვრილი, კისერმოღრეცილი თავფლა თითქოს შეინძრა. ფეხი შეაფართხალა. დრუნჩზე შეჩერებული სისხლი შედგებოდა. ძირში გა-

დატეხილი რქა, ტყფით გულა შეტლზე.

ყველა ახლოს მისვლამ, ცხინკობდა. ქალები დახედავდნენ, შეკვივლენდნენ და უკანვე გარბოდნენ. გოგობიკები შორიასლო ქვებზე შემდგარიყვნენ. თვალს არ აშორებდნენ. არ სცილდებოდნენ.

ექიმი დახედა. ფერდები გაუშინჯა. თავი გააქნია და სთქვა, —

— აღარაფერი ეშველუბა! — გვერდზე გადავა.

— რაო? რა სთქვა ექიმი? — შეეკითხნენ ერთმანეთს.

— არაფერი ეშველეზაო...

— მაშ, რა ექნათ? — შეეკითხა თავმჯდომარე.

— უნდა დავკლათ! — სთქვა მან.

— უი! უი! ჩემს თვალუბსა!

— უი! უი! საცოდაო თავფლა! — აწრიალდნენ ქალები.

ბავშვები სდუმდნენ. განციფრებულნი გაშტერებულნი, ჩანესტიანებული თვალებით უშერდნენ ძროხას.

— მოიყვანეთ მიხო! — დაიძახა თავმჯდომარემ.

ყასაბი მიხა ძროხასთან მივიდა.

ყველა უკან გაბრუნდა. ყველა ჩამოეცალა. მხოლოდ ბავშვები არ სცილდებოდნენ. სიბ ქვებზე შემდგარნი, გაშტერებული თვალებით უშერდნენ — როგორ გაუსვია მიხომ დანა მეორე დანას. ძროხას კისერი გადაუწვია. როგორ შედგა ერთი გლენი ძროხის ფეხებზე და როცა თავფლას ველში გალესილი დანა გაურკვო, თქრიალით ჩამოუვიდა თბილი სისხლი და ქვიშიან მიწას შეერია.

ძროხამ ერთი კიდეე უმწეოდ გაასრიალა ფეხი ქვებზე და მერე კი გაიტერინა. გაჩერდა.

რეყვზე, დიდრონ, გაფანტულ ქვებზე, ოდრონოდრო გზით ხარეზგამოშვებული ურემი მოიტანეს. ააყირავეს და სისხლში მოსვრილი ძროხა

ხედ აათრის. ხარები შეაბეს და წაი-  
ლეს.

ხალხი უკან მისდევდა. შარავნაზე  
რომ გავედით, მოსულეებს გავხედე:  
სოფელში აღარაყინ დარჩენილიყო.

ისე მისდევდნენ ურემს, როგორც  
მიცვალეხულის ცხედარს.

მოთელი სოფელი გლოვობდა.

გზაში გვხვდებოდნენ მოხუცებუ-  
ლები, რომელთაც იქ წამოსვლა არ  
შეეძლოთ.

მისი ხორცი არაყის უკამია. მოლია-  
ნად ბანარზე გაყიდეს.

— . —

### დაბრუნება

მოებოდან წამოსული დაღლილი ნია-  
ვი ბაღჩებში ფოთლებს ძლივს აშრი-  
ლებს. ჩამავალი მზის სხივები ობობას  
ქსელივით ტოტებში ირიბად გამოს-  
კვივის და მიწულ ღობეს ზეწარივით  
ეფინება.

სოფელი განაბულია. ყოველი ხმაუ-  
რი მკაფიოდ გაისმის. ისეთი დამამ-  
შვიდებელი სიწყნარეა, ბუნებას რომ  
შეშვენის.

სამუშაოდან დაბრუნებული კოლ-  
მეურნეები ჯერ კიდევ კანტორის წინ  
მასლაათობენ. პაპიროსის ბოლი ზან-  
ტად სივრცეში იშლება. ქალები შინი-  
საკენ ეშურებიან. დაღამების შესახ-  
ვედრად ეშვადებიან; ბუხრებიდან  
ამოსული კვამლი, ზმორებით ყაფარზე  
გაწეება, მერე ზევით აიწეეს და ჰაერ-  
ში გაიფინება.

უცბად ზემოთბნიდან ქალის კივილი  
გააპობს დემილს. მაღლობიდან მო-  
ვარდნილი ძახილი სოფელს მოედება.

— შეილო! შეილო!... — ისმის იქიდან  
და კაცი ვერ ვაარჩევს მწუხარების,  
თუ სიხარულის კივილია.

ფქვილით გაგუნგლული, მკლავებ-  
დაკარწყებული ქალები გარეთ გამო-  
ცივდებიან.

— ქალო, სალომეს ხმა არ არის ესა?

— ჰო! ლექსოს ცოლმარქუნსა!

— ნეტა რა დაემარტმე...  
ბოდნენ ერთმანეთს მეზობლები. თავ-  
შლებს იხურავდნენ. დაკარწყებულ  
მკლავებს ისწორებდნენ და მაღლობი-  
საკენ გარბოდნენ...

კაცები დინჯად იდგნენ. მხოლოდ  
ბოლის კმევა შეაჩერეს. ერთმანეთს  
შეხედეს.

— რა მოხდა! რა დაემართა იმ უბე-  
ღურს! — თავისთვის წარმოსთქვეს.

კივილი მალე შეწყდა. მეზობლები  
მოსვლამ. თითქოს დააწყნარაო...  
კვლავ სიჩუმემ მოიცვა გარემო.

შექმჩული გლეხები, კინზე გამე-  
ლელს შეეკითხებოდნენ, —

— კაცო, ვერ გაოგე, რა შეემთხვა  
ი ლექსოსა?

— აბა, რა ეი! კივილი კი აღარ ის-  
მის და...

— ქალები სულ იქ გაილაღენ.

— ჯერ არაყინ დაბრუნებულა ამ-  
ბაყის მომტანი.

მშვიდად ბაასობდნენ გლეხები.

ცაცხვის ქვეშ მღვარ სუამზე შეე-  
დქი და იქითკენ გავიხედე, საიდანაც  
კივილი შემოისმა. ბაღჩებისა და კა-  
ლის ტოტების ჩრდილში, ძლივს ვარ-  
ჩევდი ლექსოს აივანზე რომ ხალხი  
იკრიბებოდა. კიბეზე რომ აღიოდნენ  
და ერთად ქუჩდებოდნენ.

რაილა სიჩუმე ჩამოვარდა — გზას  
გაუდქი შინისკენ წავედი. და ის  
იყო ორობეში დავუხევე, რომ ზე-  
ვიდან მომავალი სანდალა შევნიშნე.  
მორბოდა. სახეზე ღიმი უკრთოდა. და-  
ხეულ ფარაჯას მოაფრიალებდა. მიე-  
ხედი რომ ცუდი არაფერი მომხდარა.

— რა იყო, სანდალა, რა მოუვი-  
დათ?

— ხი... ხი... ხი... — იცინის და ენა  
ვერ დაუძრავს სალაპარაკოდ.

— სთქვი! რა იყო?



— რა იყო და... ხი... ხი... ხი... —  
კიდევ იცინის. უხარია.

მისი მუდამ მოღუშული სახე წვერებით გაბარდნილი ლოყები და ნიკაპი, უღვაშებით მიჩქმალული ტუჩები და ტუჩებში დამალული კბილები — ახლა სიხარულის სხივებს აფრქვევენ. სიღრმეში წასული თვალები უციმციმებდნენ. უნებლიედა იზიდავდნენ მხედველობას. ემჩნეოდა როგორი კმაყოფილი, როგორი ადამიანური სიყვარულით იყო სახეს მისი გული...

— მაინც რა მოხდა! რა იყო, არ იტყვი?

— რა იყო და... ლექსოს ბიჭი ვიღა დაბრუნდა.

— დაბრუნდა? მართლა?

— მართლა მაქვს იქ არი მთელი სოფელის ასეთი ამბავია იმათ სახლში, რო... ყველა გარს ევლება. ზოგი რას ეკითხება, ზოგი რასა. ჩქმეტავენ, ეაღვრებოან, იცინიან... ხი... ხი... ხი...

— მერე, რა აკივლებდათ?

— რა ვი! სიხარულსაგანა... ისეთია იმისი დედა სალომე — გვივივითა! თმავამილილი და ჯვარლებგამტვრებულნი დარბის, ყვირის, — „ხალხო, ეს რა ამბავია ჩემ თავსა“. — „რა ამბავია და შვილი დაგიბრუნდა, შე საცოდავო!.. ნეტა ყველას ვგრე დაუბრუნდებოდეს!“ — ეუბნებოან ქალები. ალექსი კიდევ, ხან გადაეხვევა შვილსა, ხან შორიდან უცქერის, თითქოს ვერ უცნიაო...

— რას ამბობს, რატომ დამაგვიანდაო?

— რა ვი! იქაო ერთ ქართველ გენერალთან ვიყავიო. ისე შევეჩვიეო, ვეღარ მოვიცილდიო. არც ის მიშვებდაო. ახლა შევებულეა ილო და თავის სამშობლოში წამოვიდაო... მეც თან წამომიყვანაო... — ასე ამბობს...

— მერე, რატომ წერილებს მაინც არ ვიწერებოდიო?..

— აბა, რა ვიცი! ისე გაკეთებულა, გასუქებულა, — გეგონებო, რა... არა, დასაძვენებელ სახლშია, იმდენი მენდლები კი აქვს მკერდზე ჩამოკიდებული, რო... — უცბად, თითქოს რამე მოაგონდაო, წასასვლელად მიტრიალდა.

— სად მიეშურები? — შევეკითხე.

— მართლა! კინალამ დამაიფყდა! თქვენც უნდა მობრძანდეთ! ხალხის დასაპატივებლად გამოგზავნეს! ისეთი ამბავი იქნება ამაღამა, რო... მთელი კოლექტივია მოწყვეტილი, გამოუკლებლივ! მა აბა, რა!.. რა უჭირს ლექსოსა! პური ბევრი აქვს და ლეინო ერთი დეკეულა ჰყავს, ის უნდა დაკლას. თქვენც უნდა მობრძანდეთ უძიქველათა... ქალები კიდევ შეუღუნენ სამზადისსა. ფქვილსა მტკიცავენ, თონეს ახურებენ, ჭურჭელსა და სკამებს ეზიდებიან... ეპ რა ამბავი იქნება? მობრძანდით, შენი კირიმე! უსათუოდ მობრძანდით! ჩვენი თავმჯდომარე ნიკოც იქ იქნება...

მითხრა და წავიდა.

ეუმზერდი სანდალას. მაკვირებდა, — თითქოს გამოიცვალა იგი. ბოლო დროს ცდილობდა ყველასთვის ესაიმოვნებინა. ბაზარში ლეინოს სასმელად ალარ დადიოდა. თუმცა არც შინ ისვენებდა. გარეთ ყოფნას შეჩვეული ახლა, — ხან მესაქონლეს ეხმარებოდა, ხან წისქვილში საფქვავს ეზიდებოდა...

— ყოჩაღ, სანდალა, ყოჩაღ! — ეუბნებოდნენ კოლმეურნეები. — ა, მესმის!..

— სანდალა, თუ ხათრი გაქვს, მოდი ერთი ბაზრიდან ორი ლიტრა ნავთი მომიტანე!..

— სანდალა, თუ ზემოთკენ მილიხარ, პეტრესთან შეიარე — უთხარი ახლავე აქ მოვიდეს!.. — ავალბდნენ კანტორაში.

— სანდალა, ეს გოდორი ბოსელში მიიტანე!

და სანდალა ყველაფერს დაუხარებლად ასრულებდა.

მეზობლები სამაგიეროს უხედიდნენ და დაუსაჩუქრებლად არ ისტუმრებდნენ.

ისიც კარგად გრძნობდა მათ პატივისცემას და როცა მიღებულ გასამრჯელოს შინ მიიტანდა, — სიყვარულით უხედებოდნენ. ეალერსებოდნენ. მისი დაზავებული ცოლი, — ახლა მეზობლებში გულზეიად დაიარებოდა.

— საქმე როგორ მიდის, სანდალა! — შესძახებდნენ მას ქუჩაში.

— კაათა, ძალიან კაათა! ახლა კოლექტივობაა, შეილოსა, მია.. — პასუხობდა გაგონილ სიტყვებს და თავის გზით მიემართებოდა.

— აგაშენა ღმერთმა!.. ეგრე არა სჯობია!.. — ამხნევებდნენ გლეხები.

ახლაც დიდი სიამით მიიზობდა იგი, ხალხის დასაძახებლად და კოლექტივში ბატონის სასყიდლად.

უკვე დაბინდა. ელნათურები აციალდნენ.

ყველაზე ძლიერი შუქი ლექსოს აივნიდან მოდიოდა.

— . —

## ნატო

სოფლის ორღობისკენ მიმავალი ნიკო და ნატო შეენიშნენ. ისინი აქეთ მხარეს გავლილი არ მინახავს. ნატოს თითები წაველო ნიკოს ხალათის კალთისთვის. ლაღი მსვლელობით მიყვებოდა. ნიკოს თავი დაბლა დაეღუნა. ილიმებოდა. იმ წუთში ისე იყო გატაცებული და მოხიბლული მისი ტიქტიკით, რომ გარშემო ვერაფერს ხედავდა. ვერ ამჩნევდა.

უცხად, თითქო ვინმემ ხელი ჰკრაო, რატომღაც ჩემსკენ მობრუნდნენ.. და მინახეს. ნაბიჯი შეაჩერეს. ნიკო გა-

წითლდა. ნატო არ შემეკრთალა. პირიქით, ლაპარაკს უმატა. ეგრევე...

ერთი წუთით ორბჭებამსმარებლად იდგა. მერე უცხად ნიკო მობრუნდა, ჩემსკენ წამოვიდა. ნატოც მას გამოჰყვა.

— საით მივშურებით? — შემეკითხა ნიკო.

— დღეს ზომ პელოს სასამართლოა დანიშნული, იქ მივდივარ!

— უი, მართლა! როგორ დაგვაეიწყა? წავიდეთ!.. — მიმართა ნიკოს ნატომ.

— მე ვერ წამოვალ! — სთქვა მან.

— რატომ? აჯ მეუბნებოდი, — პელოს სასამართლებზე ერთად წავიდეთ!..

— კი, მაგრამ... საქმე მაქვს!

— არაფერი ისეთი საქმე არა მაქვს! იქნებ საქიროც იყოს შენი იქ ყოფნა! წამოდი! — უთხრა ნატომ და თინებით.

— ვერ წამოვალ.

— მაშ, მე წავალ — უცხად უპასუხა ნატომ.

— მერე, ვინ გოშლის! შენი ნება არ არი? — სთქვა ნიკომ. ნატოს შეხედა ნაწყენი, გაჯავრებული თვლებით, — თითქოს უსაყვედურებდა, რატომ ლაპარაკობ ამდენსო...

ნატო შეკრთა, ხან ნიკოს შეხედავდა ხან მე. თითქოს სდომებოდეს თავის სიტყვის უკან დაბრუნება, ხოლო კოჭმანში იყო და არ იცოდა რა გადაეწყვიტა.

— წავიდეთ, — მიემართე ნატოს.

ნიკოს შეხედა. შეტორტმანდა. ჯერ მისკენ გაიწია. უცხად ისევ მოტრიალდა, ჩემსკენ წამოვიდა.

— არ დაგაეიწყადეს, რომ დღეს სიმინდი გვაქვს საარჩევინი! — უთხრა თავმჯდომარემ.

— იმასაც მოვასწრებ! — თვალბეზირით უქუი ჩაუქრა.. ტუნები ატუტრცდა. —



გუშინწინ კი მითხრა, ერთად წავიდეთო!.. — თავისთვის ჩაილაპარაკა.

ერთხანად დუმილით მივდიოდით. ნატო ჩაფიქრებული, თავჩადუნული მომყვებოდა. უცბად მიმავალ თავმჯდომარისკენ გაიხედავდა, ნაბიჯი აერეოდა.

სიჩუმე ისევ მე დავარღვიე.

— უნდა დავეხმაროთ ბელოსი უნდა დავეხმაროთ! მარტოა, მახლობელი არაინა ჰყავს! — ესტკვი.

ნატოს შევხედე. ფიქრებიდან გამოვიდა. მოღუშული წარბები გახსნა.

— ახლა აღარა უჭირს რა!.. ბოსტანი და ვენახიც მიეცემა. ძროხასაც შეიძენს და...

— მარტოობა ძნელია. საჭიროა აღამიანს ვინმე მახლობელი ჰყავდეს.

— მთელი კოლექტივი მისი მახლობელი არ იქნება? — თავმჯდომარე მის ობლებს უყურადღებოდ როგორ დატოვებს!.. ნიკოს რომ აქამდინაც არ მიუღია ზომები, ესეც მიკვირს.

— მაგასი ბრალი უფრო სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს მიუძღვის.

— ის ხომ დაუდევარი!

— კოლექტივის თავმჯდომარე? ნიკო? როგორია? — შევეკითხე.

ჭკვიანური თვალებით შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, — „შენც ხომ კარგად იცი, მე რატომ მეკითხები“... — შეიშმუშნა, ჩაფიქრდა, თითქოს სიტყვებს ეძებდა.

ჩემი შეკითხვის მნიშვნელობას მიმიხედა.

— მგონია, რომ კარგია! თქვენ როგორ ფიქრობთ? — კითხვა მომიბრუნა.

— კარგია... მაგრამ...

— მაგრამ რა? — დამთავრება აღარ დამაცალა. განცვიფრებით შემომხედა.

— უცოლოა...

სულ სხვა რამეს მოელოდა... ამ პასუხით გაოცდა ისევ ცუდლუბტი თვალებით შემომხედა. ტუჩების ერთ ნაპირში ვაღლიმა.

— ვინა ეგ დიდი ნაკლის?

— უსათუოდ! საზოგადოებრივად ცოლი უნდა ჰყავდეს! მარტოობა საჭიროა ვინმე მახლობელი... —

— აკი ჰყავს, მამიდა!

— არა, ცოლი უსათუოდ! ის უნდა იყოს მისი დამხმარე. მისი მესაიდუმლე, მისი მრჩეველი, მისი მეგობარი და მეუღლე... ცოლმა უნდა შეუმსუბუქოს ცხოვრების ტვირთი, მან უნდა შეიცნოს მისი ხასიათი, ხელი შეუწყოს მის განზრახვებს, მის კეთილსურვილებს. მასთან ერთად უნდა იბრძოლოს და იმოღვაწოს იმ მიზნებისათვის, რისთვისაც არის მისი ქმარი მოწოდებული... თქვენ ამაზე რას იტყვიან?

— სწორია! მართალია!

— მერე, რატომ არ ეხმარებით ამის განხორციელებაში?

— ვინა? მე?.. — გაწითლდა, თავი ჩაღუნა.

— ქმარი უნდა გრძნობდეს ცოლის წაქეზებას, მის ხოტბას, მის სიყვარულს. ქმრის ყოველ გამარჯვებას და მის წინსვლას უნდა აღფრთოვანებით ხედებოდეს... მაშინ ის უფრო მეტად გააცხოველებს თავის მუშაობას. შინ დაბრუნება უნდა უხაროდეს. უნდა ელოდეს მეუღრო ოჯახი, ცოლის ალერსი, სითბო... სამაგიეროდ ცოლი პატივს უნდა სცემდეს თავის მეუღლეს. მოწიწებით და ფაქიზად ექცეოდეს...

დაყურსული მისმენდა. ცდილობდა ყოველი სიტყვა დაემახსოვრებინა. თან იმასაც მაგრძნობინებდა — „შეიძლება ეგრეც იყვეს, მაგრამ მე რა შემიხებია“..

სასამართლოს შენობასთან მივედი. ხალხი ბევრი შეკრებილიყო. ჩვენ აივანზე ავიდით. მოსამართლეები ჯერ არ მოსულიყვნენ.

ნატოსთან მუშობელი ამხანაგი მი-

ვარდა, მხიარული სახით ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— მოგილოცო, ნატო?

— რა? რა უნდა მოგილოცო?

— რა ცუდლუტი ხარ! ყველამ იცის, რატომ მალავ?

— ქალო, რა იციან, რა!

— ისა, რომ ვაბედნიერდი!

ნატომ არაფერი უპასუხა. გაწითლდა.

— მართლა? — მივმართე მას. — მე კი არ ვიცოდი! თქვენ უკვე დახმარებინხართ ნიკოს. ძალიან კარგი მოხარული ვარ!.. მოხარული! ქორწილი არ გამომაბართო! — ხელი ჩამოვართვი.

ნატო ერთ ალაგს ტყეპნიდა. დამნაშავესავეთ თავი დაბლა დაეხარა. გაწითლებულ საფეთქელზე, შავი თმა ჩამოცვენოდა.

ჩვენ მალე შევედით სასამართლოს დარბაზში. მოსამართლეებიც გამოვიდნენ.

პელოს საქმე მალე დამთავრდა. სასამართლომ არ მიუსაჯა ის, რასაც ელოდა.

დაღვრემილი პელო რომ გამოვიდა, ყველა მას შემოესია.

— ქალო, რა დაგემართა?.. რომ გეკითხებოდნენ, ვერ უპასუხე, რომ ცალკე ეცხოვრობდი, მაგრამ გაყოფილი არა ვყოფილვართო?..

— რა ვი გენა! სულ დავიბენი!..

— პოდა, ახლა ძეგე ჩვენი თავმჯდომარე თუ ვიშველის!..

— ისეც ის აღღვრძელა ღმერთმა, თორემ!..

სალამოს, მოედანზე რომ გავიარე, კოლმეურნეობიდან გამოსული ნიკო და ნატო შევნიშნე. ნატომ დამინახა თუ არა, გამოიციან; ორივე ჩემსკენ წამოვიდნენ ცუდლუტობითა, ხან ნიკოს ამოუფარებოდა, ხან გვერდით მისდევდა. მხიარულ გუნებაზე იყო.

მომიახლოვდნენ. ხელი ჩამომართვეს.

— მაშ, ასე! მოგილოცეთ! — მივმართე.

ნიკო დაიბნა. ნატომ შეხედა.

— მოხარული ვარ, ძალიან! ძალიან — განვაგრძე.

ორივე სდუმდა. არაფერი არ მიბასუხეს.

ბაასი სხვა კითხვაზე გადავიტანე.

— ჩვენი პელოს საქმე რომ ვერ წავიდა ისე როგორც სასურველი იყო? — ვსთქვი.

— სასამართლოს თავმჯდომარე ძალიან ფრთხილია! მოწმეებმა დაამტკიცეს, რომ ეგენი ცალკე ცხოვრობდნენ, მამასადამე გაყრილები ყოფილანო... ხოლო მე ამას ძეგე არ დავტოვებ. ამის გამოსწორებას შევეუდგები. პელოს რასაც დავპირდი — შევეუსრულებ! — სთქვა ნიკომ.

რამდენიმე დღის შემდეგ ის ნამდვილად წავიდა რაიონში, საიდანაც განარებული დაბრუნდა. ბავშვებისათვის რაღაც ქაღალდები მოამზადა. კოლმეურნეობის სხდომაზე კი დადგენილება გამოიტანა, მისთვის საკარმიდამო ადგილის გამოყოფასა და სახლის აშენებაზე.

კმაყოფილი, მხიარული და გამაჯრეკებული დადიოდა ნიკო. ქორწილისთვის ემზადებოდა. შინ აღარ უდგებოდა გული. მუდამ გარეთ იარებოდა. რაღაც ცვლილება მოხდა მასში. მალი ნაბიჯით რომ მიდიოდა, უცბად შედგებოდა. ერთ წერტილს მიაშტერდებოდა. დიდხანს იღგა ასე. მერე, უცრად გააქნედა, თავის გზას გაუდგებოდა. მოლიმარი და ფიჭუებიდან გათავისუფლებული, ლაღად მიდიოდა.

წყაროსთან რო გავიარე, თავშალმობეული ქალები, კოცებითა და ღოკებით იქვე შეჩერებულიყვნენ. ვაცხარებით ლაპარაკობდნენ...

— მაშა, ქა! ნეტა როდის აპირებენ ქორწილსა?



— რაღა როდისა აგერ შემოდგო-  
მაც მიიღევა და ჯერისწერის დროც  
გაშინ არი!

— ასეთი მოხდენილი ცოლქმარი,  
ჩვენ სოფელში არაეინ მეგულუბა!

— ჩვენი კულრაკა ნატოი? ისიც  
როგორ უცხად გამოიცვალა?

— თითქოს დაქვეიანდაო, ისე კი  
აღარ დარბის უღარდელი, კისკისაი...

— ოჰ! ნეტაი მაგათა...

— მართლა ქაი გაიგეთ, რომა თენ-  
კვი ქალაქში მიდისო?

— მაშა! მაშა! ეგრე ამბობენ!

— ამბობენ კი არა, ნამდვილად ეგ-  
რება!

— იმდენი ეჩხება დედასა, სანამ არ  
დაითანხმა!

— იმ საცოდავმა მერე, როგორ უნ-  
და გაძლოს მართოკა?

— მაგას ეუბნებოდა თურმე დე-  
დაცა!

— ოჰ! დედის გული სულ სხვაა!..

კოცები და დოქები მოიმარჯვეს.  
ბაასით გზას გაუღდნენ.

— პელიო ქაი აბა, იმას მოუვიდა  
კარგი საქმეი! ვოგოები კარგად დაა-  
ბინავე და რა უკირს!... სახლში ერთი  
ბიჭი ეყოლება, იმისთვისაც კარგია!..  
შეშას დაუპობს, წყალს მოუტანს.  
სკოლაშიც ივლის!..

— ა ვოგოები ისეთ კარგ პირო-  
ბებში არიანო, რო... ძალიან, მეტი არ  
შეიძლება!..

— ზომ იცით იმათა სკოლასაც გაა-  
თავებინებენ და კრაყერვასაც შეასწავ-  
ლიან! მაშა! მანამდის კი არ გამოუშ-  
ეებენ!

— მაშა ქა! ზოგი კირი მარგებე-  
ლიაო...

— სახლსაც რომ აუშენებენ? ისე-  
თია სიხარულითა ცას ეწევა!

მიდიოდნენ ქალები და მილაპარა-  
კობდნენ...

უნდლილი და მუდამმოღუშული პე-  
ლო, —ახლა შეებღავსნილი, მხიარუ-

ლი და კმაყოფილი დაიარებაოდ.  
ულოცავდნენ. ყველას გადაეხეოდნენ,  
კოცნიდა.

— გამაძლობ, გენა! გამაძლობ,  
ღმერთმა ინება და ჩემი ობლები და-  
ბინავდნენ, ახლა აღარა მიჭირს რა!..  
გენა!..

— ქალო, ღმერთმა კი არა, კოლექ-  
ტივმა. კოლექტივმა, თორემ ღმერთი  
აქნამდის სად იყო?..

— მართლა, გენა! აქნამდის რა-  
ტომ არ მომხედა? ისევე ჩემ კოლექ-  
ტივს ვენაცვალე, თორე...

— ჰოდა, ეგრე იცოდე!

— ეგრე, გენა, ეგრე! მაშა, ჩვენი  
თავმჯდომარე ნიკო ადღეგარძელა და  
აცოცხლა ღმერთმა!.. იმისი მადლობე-  
ლი უნდა ვიყო. თორემ ვინ იყო ჩემი  
ყურისმგდებელი...

— : —

### შემოდგომა

შშის ცხარე სხივები შენულდნენ.  
სამხრეთისაკენ გადაიხარეს. შიშველი  
ჰინდორი და ველი—გაძარცული და  
მოწყენილია.

კოლმეურნეობის მოედნის მიღმა.  
ჩალის წოწოლა ზეინები, არა სწორ  
ხაზების მიმდევრობით, ყვითელ გორა-  
კებად აზიდულან. მისივე პირად სი-  
მინდის ბელლები ჩამწყრივებულან.  
მცირე ოთხკუთხიან კარებზე კი—კით-  
ხეთი ნიშნის მსგავსად კლიტეები  
მიკრულან.

ვენახებში ვახების ფოთლები შეყ-  
ვითლებულან.

მხოლოდ კოშმის ჯერ კიდევ მწვანე  
ფოთლებში, ყვითელი ბია ნაძვის ხის  
სათამაშოსავით დაკიდებულა.

სოფელი განაბულია. სიჩუმეა.

შემოდგომაა. ნაზი ნიავი ღბილი და  
აღერსიანია. ფოთლები შრიალებენ და  
ართიან...

წისქვილი ისევ აფრქვევს შხეფებს, ხოლო სხვა პანგზე გაისმის მისი უსრიალი. მოწყენილ მიდამოს, ვიოლოს დამაამებელ სიმებით უმღერის..

თბელი, გამპვირვალე ლეჩაქივით ეფინება ბალჩებს მზის სხივები და ტოტებში შემდგარი პაერი.

შემოდგომა... და მე მინდა ეს დღე გაგრძელდეს. არ პქონდეს მას დასასრული.

სიხარულით და აფრთოვანებით საესეა გული...

შემოდგომა... და მე არ მყოფნის დღეები, რომ მოვიკლა სიყვარული ზისი მშვენიერებისა. და მე მინდა ვიცოცხლო საუკუნეები და მაინც არ ვინატრო სხვა კუთხე, სხვა მხარე, გარეშე ჩემი სამშობლოსა...

კოლმეურნეობის მოედანზე მიედღივარ სიამით საესე.

შემხედებიან მეგობრები, ნაცნობები, მეზობლები და მესალმებიან...

— გამარჯობათ! გამარჯობათ!

— გამარჯობათ, გამარჯობათ! — შეეძახებ.

ვაკვირდები მათ და ვამჩნევ, რომ ჩვეულებრივზე მეტად მილიმიან. მოციმციმე თვალებით მიშწერენ. მეუბნებიან,

— გაიგე, დათა! ქორწილია ჩვენ კოლმეურნეობაში...

— როგორ არა! ვიცი! ვიცი!..

— მაშა, მაშა!.. ძაან ვიქვიფებთ, აი!

— აგერ თვით მექორწილეთა!..

კი არ მოდიოდა—მობოდა. თითქოს ნიწას ფეხს არ ადგამსო, მოკლე უღვაშიანი ტუჩი უთრთოდა. თეთრი წვრილი კბილები ელავდენ. ანთებული თვალები უხილავ წერტილზე შეეჩერებინა. გარშემო რა ხდებოდა ვერ ხედავდა.

უცბად გზას გადაუხვია, თვალი მომკრა და ჩემსკენ გამოეშურა.

— ნიკოს გაუმარჯოს.— მივესალმე. ხელი მავრად ჩამოვართვი.

ვლიმები, ვუმწერ და უსიტყვოდ ვამოეხატავ ჩემს კმაყოფილებას...  
გინგლინიმიქან

ისიც დიდხანს არ უშვებს გაწვილი ხელს; მაღლობს ნიშნად ხან შეანძრევს, ხან შეაჩერებს.

— თქვენთან უნდა ჩამოვსულიყავი... ვერ მოვიცალე... ხვალ ჩემი ქორწილია!.. მეწვიეთ!..

— მოხარული ვარ დიდად!.. უსათუოდ მოვალ!..

ჩემი გული საესეა სიხარულით, — რომ ასეთი მშვენიერი შემოდგომის დღეა, რომ ხვალ ქორწილია, რომ ნიკოცა და ნატოც ბედნიერია!.. რომ მათი შეუღლება ყველას უხარია... რომ ხალხის გული კეთილია... რომ ბოროტება დათრგუნვილია და პატიოსანი შრომა, — გამარჯვებულა...

— : —

## ქორწილი

სტუმრები ნელნელა და ხანტად გროვდებოდნენ. ეზოს გამოივლიდნენ კიბეზე ამოვიდოდნენ. ოთახში ნიკოს მამიდას მოძებნიდნენ, — ძმისწულის გაბედნიერებას შეულოცავდნენ.

მეზობლის ქალები აივანზე დარბოდნენ. ფუსფუსებდნენ. მიპქონდათ, თეფშები, მათლაფები, ჭიქები.

დიდ ოთახში გაშლილი. თეთრი საფარით გადაფარებული ერთმანეთზე მილაგებული მაგიდები, სამკუთხად მიყვებოდა ყვითლად შეღებილ კედლებს.

სამხარეულოში ტახტებზე გაწყობილ გობებს ასდიოდა ობშივარი.

განიერსა და ქვარტლიან პირლია ბუხარში გიზგიზა ალი, აყირაყვებულ წითელ გველეზივით შესეოდა ზედაღვარზე შემდგარ ქვაბებს. ღია კარებში შედიოდნენ კაბა აყარწახებულ ქალები. გამოპქონდათ ცხრილებზე დაწყობილი თონეში გამომცხვარი პურები, ლავაშები და ნახუქები.



მაყრები და სიძე გაღმა დედოფლის მოსაყვანად იყვნენ წასული.

სტუმრები გაფანტულიყვნენ ეზოში. ზოგი აივანზე ისხდა.

კაკლის ქვეშ ახალგაზრდები კამათელს აგორებდნენ. გაიძახდნენ „დუშაში, კამათლო, გენაცვა, დუშაში!“ „აჰ!.. იაგნები! რას ჩამაცივდნენ, კაციო.. თქვენი სჯული კი ამოვარდეს!“... ცხარობდა ერთი და გამწვარებით მუზღებზე ირტყამდა ხელებს... ვიდრე კამათლებს გააგორებდნენ, ხელის გულზე ელოლიაევებოდნენ, ემუდარებოდნენ „შენი ჭირივე, დუბეში ერთი და სხვა არაფერი მინდა!“—აჰ! შენო!.. „რა ჯანდაბა უნდათ, რომ არ ვიცო!“ ცხარობდნენ ყვიროდნენ და ისე ჯავრობდნენ თითქო მთელ ჭონებას აგებდნენ...

ისინი ვინც ფეხზე იდგნენ და ნარდის თამაშს უმზერდნენ, მოხრილი წელით სკამების ზურგს დაყრდნობოდნენ და მოთამაშებებზე არა ნაკლებ დელავდნენ.

მოხუცები ფიცრის გრძელ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ. ოჯახურ საქმეებზე საუბრობდნენ ყალიონის პლაკუნით მოლაპარაკეს ყურს უგდებდნენ. მუაიფში ორიოდ სიტყვას ჩაურთავდნენ. მოსავალს ემდუროდნენ.

აივანზე ქალები მიმოდიოდნენ, — სუფრას შლიდნენ, სკამებს აწყობდნენ. სადაც სკამები არ კმაროდა იქ გრძელ ფიცარს ვადებდნენ. სუფრაზე თევშებს, მათლაფებს, პურს, ნახუქს და ჭიქებს ალაგებდნენ...

თითქოს ყველაფერი მზად იყო. ჩქარი სიარული შეწყდა. ნეფე-დედოფალი კი არსად სჩანდა.

— ქალო, რა მოუვიდათ?.. ამდენ ხანს რათ იგვიანებენ?

— მაშა ქა! აქამდის მოსულები უნდა იყვნენ კიდევ!

— ხომ არაფერი შეემთხვათ ნეტაი?

— იქნებ სადედოფლო არ იყოს მათა?

— ქა! რა ჰქონდა მათა? მითივეს ახლა ხომ არ მოიტანენ!

ერთმანეთს წავლაპარაკებოდნენ ქალები. გაშლილ მაგიდაზე პურებს აწყობდნენ სუფრას ასწორებდნენ. ბოთლებსა და ჭიქებს ჩამოარიგებდნენ.

მაყრების მოსვლამ დაიგვიანა. სტუმრები მოწყენილი დაიარებოდნენ. მეზურნეები აივანზე ისხდნენ და სხვებთან ერთად იმ გზისკენ იმზირებოდნენ. საიდანაც მათ მოელოდნენ. ზოგი განზე ვადგებოდა, ხეების ტოტებს ჩამოცილდებოდა და გაიყურებოდა ისინი მაინც არ სჩანდნენ...

ეზოში უცბად ვილაცამ შემოირბინა.

— არიქა!.. მოდიან! მოდიან!—მართო ყვირილი და სირბილი!

ყველა წამოიშალა. იქით მიიხედეს, მაგრამ ჯერ კიდევ არაიენ სჩანდა. განცვიფრებული ერთმანეთს ეითხებოდნენ:

— ქა! რა იქნა ი ბიჭი? ვინ იყო? ხომ არ მოგვატყუა?

მალე კიბეზე ავირდა მახარობელი. ძველი დამბაზა აიენის ჭერში ისროლა და დაიძახა: „მე ვარ მახარობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი!“

მამიღამ ჯამით ღვინო მიაწოდა. მარცხენა მკლავი ხელსახოციტ შეუხვია. ახალგაზრდამ ღვინო დალია. ჯამი შორს ისროლა.

მიმოსვლა და სირბილი ისევ გახშირდა.

დედოფალი და ნეფე კიბეზე ავიდნენ. უკან დედოფლის მეგობარი ქალები და მაყრები მიყვებოდნენ. ხალხი აირია.

ზურნისა და დოლის ბრავუნმა გულები ააძგერა. ქორწილს სადღესასწაულო ელფერი მისცა. ყველა გაამხიარულა.

ნეფედედოფალი მაგიდის შუა ალაგზე დასხდნენ. დედოფლისკენ— ახალ ტანისამოსში გამოწყობილი მისი მეგობარი ქალები, ნეფისკენ შეჯვარე და მაყრები.

შინაურებმა ხალხს დაუწყეს თხოვნა:

— აბა, დაბრძანდით! დაბრძანდით!

— თქვენ აქეთ მობრძანდით!

— პეტრე! თქვენ აქეთ! ზაქრო აქეთ, აქეთ!

— თქვენ იქით!..

სადებოდნენ ჯერ მოხუცნი, მერე ახალგაზრდები, ორდენოსნები და მედალოსნები.

— ქალებო, თქვენ დასხედით! დასხედით!

— ქალო, შენ ხომ შინაური ხარ! ჯერ სტუმრები დასვი!

— აქეთ, აქეთ! მართა, ქეთო, ვარლო, ნუცა!..

მეზურნეები ცალკე პატარა მაგიდაზე დასვეს...

ყველამ თავის ალაგი დაიკავა. სუფრა გაივსო, მაგრამ ფეხზე მდგარი ბევრი დარჩა.

თამადამ პირველი სადღეგრძელო წარმოსთქვა. ნეფედედოფალს დღეგრძელობა უსურვა...

— მოულოცეთ! მოულოცეთ!—ჩახლენილი, დაღლილი ხმით უცბად იყვირა მეჯვარემ.

მეზურნეებმა კვლავ ააჭყიბინეს ზურნა. დგებოდნენ. ნეფედედოფლისკენ ჰიქებეს გასწევდნენ, წაილაპარაკებდნენ, თავს დაუკრავდნენ...

მეჯვარე კი ფეხზე იდგა და გააკიოდა:

— მოულოცეთ! მიულოცეთ!.. მისალოცები მიჰქონდათ. ზოგს დანები, ჩანგლები, ჰიქები, საკაბეები, პირსახოცები, ზეწრები, თავშლები, შარფები და სხე...

მეჯვარე თავშლებს და შარფებს

თავზე იხვევდა, პირსახოცებს მხრებზე იკიდებდა და კვლავ ეჭყრებოდა.

— მოულოცეთ, მოულოცეთ!.. — სმაჰამა თავისით ვრძელდებოდა. სადღეგრძელოები ისმებოდა. ზურნა ზუზუნებდა. ფეხზე მდგარი შინაურები მიმოდიოდნენ. დაბალჭერიან ოთახში პაერი იხუთებოდა.

ბავშვები ფანჯრებში აფიშებივით აეყვრენ და სეირს უმზერდნენ. შიგადაშიგ შინაურები შეუღრეოდნენ. ძინიც ჩამოცვივდებოდნენ, მაგრამ მერე ისევ ნელნელა აფინებოდნენ.

ნეფედედოფალი საერთო მზიარულებაში მონაწილეობას არ იღებდა. ეს ორი ადამიანი საესებით განსაკუთრებულად გრძნოდა თავს. ისინი არც სვამდნენ, არც სჯამდნენ.

დაბნეულები იყვნენ. აქეთიქით იმზირებოდნენ, თავს აქნევდნენ. მისალოცებს ღებულობდნენ.

— მოულოცეთ! მოულოცეთ!.. — გააკიოდა მეჯვარე.

— გენაცვა, ერთი შეხედვ ნატო როგორ დადინჯებულა კიდეცა!

— იმიტომა რომა, ქა! ახლა ისე კი ევლარ იხტუნებს და იყისკისებს როგორც წინათ!..

— სამაგიეროდ როგორ ქმარს იძენს?..

— რა ლამაზია ქა! ერთი შეხედვ! როგორ უხდება სადედოფლო კაბა.

— ფერი კი წასელია!

— იმიტომა, რომა, დაიღალა ქალო!..—ლაპარაკობდნენ ფეხზე მდგარი დედაკაცები.

მრავალგამიერს დაიწყებდა ვინმე პირველი ხმით. მას მოჰყვებოდა ბანი და ოთახს გაჰქონდა ზანზარი...

ამდენ მზიარულ ხალხში—უცხოსავით ვიჯექი. მონაწილეობას მათ დღესასწაულში ვერ ვიღებდი. გაბრუნებული ვიშვირებოდი. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც შორეული. სხვები რომ იცინოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ,





სამდნენ, სადღეგრძელოებს ამბობდნენ და ყანწებს სცილდნენ,—მე ყოველივე ამას მოკლებული ვიყავი. თუმცა, როგორც ნეფის, ისე შინაურების ყურადღება ჩემსკენ იყო განსაკუთრებულად მოქცეული...

მესმოდა მხოლოდ მეგვარის ყვირილი, ზურნის ზუზუნი, არეული სიმღერა. ტაში, ცეკვა... თითქოს სხვა ქვეყანაში მოვხვდი... ჩემი ნაცნობი მეზობლებიც კი მეუცხოებოდნენ—მათთანაც ჯერ ვნახე საერთო. ენა.

იჩეოდა ერთმანეთში სიმღერა და ძახილი, ყვირილი და ზურნა, სადღეგრძელოები და მეგვარის შეძახილი „მოულოცეთ! მოულოცეთ!“

შემოჰქონდათ ახალახალი საქმეები. ავსებდნენ დაცლილ ბუნებებს უმატებდნენ ყანწებისა და ჯამების რიცხვს...

სხეული მოითენთა. ჯდომა მომბეზრდა... ხალხი მაინც ისხდა... დროს ატარებდა...

აცეკვავს დედოფალი. მეზურნეებსაც მოუგროვებს ფული... მაინც არ მიეცა სუფრას დასასრული...

ყვირილში, ღრიანცელში, ცეკვითაშში, სიმღერაში, სმასა და ყვირილში გადიოდა დრო...

ასე გათენდა კიდევცა!..

მთარ ჟღერს

## რუსთავის ბარიერაჟი

პოემა

★

ჭრებალოელი მკედელი  
ამბაკო ბალავარიძე  
ჭრელხურჯინაკიდებული  
სახლში მიაღმა მასპინძელს.  
შინ დახვდა შვილი და სარძლო,  
სამძახლო შაქრო სარიძეც,  
სამივეს კოცნა დაასწრო,  
გადაეხვია სამივეს.  
გიორგი მერცხლად გადიქცა  
რუსთავში მამის ჩამოსვლით,—  
მაინც საჩქაროდ გადიცვა  
საქარხნო ტანისამოსი.  
მამას შესთხოვა ხმადაბლა:  
— თუ სიყვარული გაქვს ჩემი,  
ნუ იწყენ, ცვლაში ამაღამ  
შუალამემდი დავრჩები.  
სიტყვის პატრონი კაცია  
დაემშვიდობა, გასწია.

გადმოვიღის ბადრი მთვარე,  
წინ ქალაქი ხედება ტურფა,  
ქარვისფერ შუქს გადიფარებს  
ბუღე ქართველ მეტალურგთა.  
მთვარე შორი სტუმარივით  
რუსთავს მზერას არ აშორებს,  
ჯარა ხალხი ფუტკარივით  
დასდებია ხარაჩოებს.  
ზოგს შემოაქვს თაფლი სკაში,  
ჩარჩო ჩქარა აივსება,  
დაფუსფუსებს მთვარიანში  
მშენებელთა ღამის წყება.  
შესდგა მთვარე,—სხვა ქალაქში

ჩასტუმრება ავიწყდება.  
ზოგან მილი ამღერდება  
დაქრის კვამლი ცაღამილილი.  
მარტენის წინ დგას ქედებად  
საღუმელე ქვანახშირი.  
მთვარეც, მთვარეც, ჯერ დაიცა,—  
ხედავ?.. ცაში ბოლი აღის!..  
არ შეგშურდეს,—დედამიწას  
ემატება გოლიათი.

თებრონე მაცვალთვალება  
ბერიაცს სუფრას გაუშლის,  
უმასპინძლდება მამამთილს;  
უცებ თეფშების წყარუნში  
კაკბისებრ აკაკანდება  
ზარი მაგიდის საათის.  
— შუალამემდე სად არის?..  
ჰკითხავს მასპინძელს ამბაკო.  
შვილია, ერთი საათე  
მადროვოს სალაბარაკოდ.  
კიბე შეირწა შენობის,  
სამივემ ფეხის ხმა იცნო,  
მომსვლეელი ვასცა ნაბიჯმა,—  
დარბაისლურად და დინჯად  
საცოლის სახლში შემოდის  
მალამალალი სასიძო.  
მისებრ თვალადი-ტანადი  
რუსთავში განა ერთია,  
მხრების სიგანით ხალათი  
ბეჭებზე გადახეთქია.  
შეწყვეტილ სალამს ანახლებს,  
მივა, ხელს მამას გადახვევს,



უნდა ბავშვებით დაკოცნოს:  
 — სარძლო, თუჯანი განახე,  
 მითხარი მოგწონს? არ მოგწონს?  
 რა ააჩქარებს ბერძეცს,  
 სიტყვა ნელნელ დამარცვლა.  
 — სალაპარაკო ბევრი მაქვს,  
 შვილო გიორგი, დამაცა.  
 ადგა რაკველი მკედელი,  
 ხურჯინს გადახსნის, გადაშლის  
 თეთრ ხაჭაბურებს სუფრაზე,  
 ხელს გადაისვამს უღვაშზე.  
 თვალები, სახის ელფერი  
 ერთფერი შეენის მამაშვილს.  
 — შე კაცო, რა დროს ძილია,  
 სუფრას მოეუხსნდეთ. მძახლო,  
 ხვალ კვირა დღეა, გცალია,  
 ზეგამდე არსად წახვალო.  
 დღეს მასპინძელი შენა ხარ,  
 მე მერიქიფე ვიქნები!..  
 ამბაკომ შაქროს შესძახა,  
 თებრომ მოართვა კიქები.  
 შაქრომ წარბები ასწია  
 უღვაში გადაისწორა,  
 ხურჯინში რომ შეამჩნია  
 ჩამრგვალეხული ტიკტორა.  
 ზეზე ადგომამ ინება  
 სათვალე სწრაფად მოიხსნა,  
 ბალღით გაელიმება  
 ტახტიდან წამოდგომისას.  
 ხვანჭკარა შუშუნს დაიწყებს, —  
 მყრის წინწყლებს როგორც მაქარი.  
 ამბაკო კიქებს აწითლებს  
 ალუბლისფერი ხვანჭკარიო.  
 — თებრონე, ხელებს რო შალავ,  
 მაგ ხელებს ყველა ადიდებს,  
 მოდი, ქარვისფერ მაგ თითებს  
 მამურად მოვეფერები,  
 შვილო. შენსავე მომავალს  
 შენვე იშენებ ხელებით.  
 რაქაში ჩემი მარინე  
 რძლის მოლოდინში აღამებს,  
 სოფელში ავალ და, შვილო.  
 შენს კარგ ქალობას ვახარებ.  
 სუფრული ქება არ არი,  
 მომენდე, როგორც მამაშენს,  
 სათქმელი მრჩება მრავალი,

ქორწილში გეტყვი დანარჩენს.  
 ალი შეენთო შავ თვალბეჭერქინულში  
 ეშხიანს გაელიმება, ზიზღიქინე  
 თეთრ შუქში გაიფლვარეს  
 თვალისმომჭერელმა კბილებმა.  
 ახლა გიორგი დალოცავს  
 და მერე მამა შშობელი,  
 გაწითლდა თებრო საოცრად  
 ძლივს-და სიტქვა სამადლობელი.  
 თავი დახარა და მორცხვად  
 ადგა ფოლადის მდნობელი.  
 შაქრომ სასიძო შეაქო,  
 და მადლიანად დალოცა,  
 — სულ ასე შემძლე მენახო —  
 მამაშვილურად დაკოცნა.  
 — მძახლო, სიტყვა ჩემია,  
 ახლავე რო დამაფიციო,  
 საკუთარ თავს მირჩევნია  
 ეს ჩემი ზორბა სასიძო.  
 შვილს გეფიცები, ამბაკო,  
 ტყუილუბრალოდ არ ვამკობ,  
 მთელი რუსთავი ამავობს,  
 ევა გეყავს სალაპარაკოდ.  
 ზეზე ადგომას არ აცლის  
 გიორგის მამა შშობელი,  
 მკერდზე მიიკრა ვაეკაცი,  
 მდნობელი სტახანოველი.  
 ადგა გიორგიც და ყანწით  
 დალია სამადლობელი.  
 სუფრაშთან ასაკ-ტოლადი  
 ერთ მხარეს სხედან შშობლები,  
 მეორე მხარეს ფოლადის  
 კომკავშირელი მდნობლები.  
 ორივე ერთმანეთს შეკფერის  
 ცეცხლი უცინით თვალებში,  
 ერთის მამაა მკედელი —  
 მეორის — მონაგარიშე.  
 — კარგი ქალი გაგიზრდია.  
 შეშურდებათ, შაქროვ, დედებს.  
 კარგი არი და ღირსია,  
 ქმარს რო ტყბილად შეაბერდეს.  
 კრებალოდან რუსთავამდე  
 ფრენიფრენით ჩამოვედი,  
 გული ისე გათამამდა,  
 ქორწილს თვითონ ვუთამადებ,

არ გეკირდება სხვა თამადა.  
 რა მოხდება, შემოდგომავე,  
 ადრე დაღვე, დალოცვილო,  
 ღვინობისთვე რომ შემოვა,—  
 სუფრას გაეშლით საქორწილოს.  
 ნუ ივიწყებთ—მკედელი ვარ,  
 შევჩვევივარ ქურის ნათელს,  
 მკლავი საქმეს შესჩვევია,  
 ველარ იტევს გული სათქმელს.  
 ხვალ ქალაქში გამატარეთ,  
 რო შეგველო თვალი რუსთავს,  
 ახალ კერის ახალ კაერს  
 ბერიკაციც ჩაისუნთქავს.  
 შეჩერებას, შესვენებას  
 ივიწყებდა კაცი ვრდემლთან,  
 მკლავის ერთი შედგრება  
 რკინის შიშით აწითლებდა:  
 გუთნისპირის გაქედვამდის  
 ეხვეოდა თავზე ჰვარტლი,  
 ჰვარტლი ჰქონდა დასეული,  
 როგორც მუხას ტანზე მუმლი.  
 ჩაქურ-გრდემლის საუბარით  
 შეხვდებოდა შებინდებას  
 და ჩრდილები საკუთარი  
 გვერდით ედგნენ შეგირდებად.  
 სამკედლოში, თესვა-მკაში  
 ტრიალსა სთელის ვაეკაცობად,  
 ჩამოსულა დღეს რუსთავში  
 საპატარძლოს გასაცნობად.

მკედელია, მამ გავიცნოთ  
 ბერიკაცი, რომ შერმისმა  
 ჟამთასვლამ ვერ დაგვაიწყოს  
 გმირი ჩემი პოემისა.

თურმე ბიძას გაჰყვა ბავშვი,  
 პეტერბურგი მოიარა,  
 პუტილოვის ქარხანაში  
 გული დაიშლოვია.  
 პირში ძლივსდა ედგათ სული,  
 ორიე ჩონჩხად გადაიქცა  
 მსხვილი ძელები გლენაკურთ  
 ჩრდილოეთში ჩარჩა ბიძას.  
 ჩაჰყვა, როგორც სახსოვარი,  
 ნატურა დღენის გაღებისა,  
 ქარხანაში ნაშოვარი

შინ ჩამოსვლას არ ეღირსა,  
 დაუბრუნდა ბავშვი რაჰქმს,  
 ძლივსდა იცნენს რაჰველებმა,  
 პეტერბურგში დაიტანჯა,—  
 შინაც დახვდა გაჭირვება.  
 დასთოვლია წვერ-ულვაში,  
 ვაეი ჰყავს და მამას მოჰგავს.  
 ჩამოსულა დღეს რუსთავში  
 საპატარძლოს გასაცნობად.

მასპინძელი თავს იწონებს  
 წინ სამძახლო მიუძღვება  
 ბერიკაცი არვის სტოვებს  
 გზად სალამის მიუცემლად.  
 გვერდით მისდევს მამას შეილი.  
 უცებ გზის პირს ჩერდებიან,  
 გზისპირ, სადაც ცადაჭრილი  
 კოშკი აღშენებულიათ  
 და სახანძრო კოშკის თავზე  
 თითქოს ხანძრის ალი აღის,  
 დროშა დელავს და ჩახჩახებს  
 შუქი ქართლის განთიადის.  
 ბერიკაცი კოშკზე აღის,  
 ჩაიხუტებს ცა ქართული  
 და შეაფრქვევს შუქს ბელადი  
 დროშის მკერდზე დახატული.  
 რუსთავ-ქალაქს გადახედავს,  
 ცაში ყოფნა შეენის არწივს,  
 ასჯერ გაზრდა-გაზარებას  
 უთვლის ქალაქს ბერიკაცი.  
 ჩაიკრული საძირკელები,  
 ბოლნისის ქვის შენობები.  
 ქართველია ამის მთელი  
 გამჩენი და შემოქმედი.  
 შემოქმედი და გამჩენი  
 ამ ქალაქის ქართველია,  
 კოშკისთავზე დგას რაჰველი  
 შუბლზე შუქი დაჰფენია.  
 რკინიგზისკენ გაღიხედავს,—  
 თითქოს მტკვარის ტოტებია,  
 იტოტება ჯართის წყება,  
 მოზიდული ფრონტებიდან.  
 თვითმფრინავი გადაჰწვარი  
 გღია ღრუბლის ნაფლეთივით,  
 ქვემეხები გადაჰსკადარი,  
 საზიდრები დახეთქილი.



ამოშანთულ სევსტიკებით  
 ყრიან სახეშეცვლილები,  
 ყრიან ერთ დროს სასტიკები,  
 ერთ დროს სისხლით შესვრილები.  
 შესცქერაინ შიშნაჰამნი  
 გოლიათის დაბადებას,  
 დაღეწილი მტრის ჯავშანიც  
 დიდ რუსთავეში გადადნება.  
 ჩაივლიან ხის ფარდულთან,  
 თათრის ბიჭი ჰყიდის ჭერამს,  
 თეთრ კბილებში ჭერამის კურკა  
 გაუჩრია, იყრიჰება.  
 გზა ფართო და გზა გაშლილი  
 სიარულმა ვერ ვალია.  
 სახლზე ეტყვის მამას შვილი —  
 — თბოელექტროცენტრალია.  
 აი შესდგნენ... მილალ მილის  
 აკვამლებას თუ ელიან.  
 გაახედებს მამას შვილი  
 — ეს მარტენის ღუმელია.  
 ბერიკაცი ვაიხედავს  
 გზის შშენებლებს სალამს აძლევს,  
 თან რატომღაც—ჰაი დედას!  
 მიაძახებს ახალგაზრდებს.  
 ჰხედავს, სამმა ჯირკა ბიჭმა  
 ვერ ასწია მსხვილი სვეტი,  
 ბერიკაცი წინ გაიჭრა  
 — მომიტათო რყინის კეტი!  
 ყმაწვილკაცებს გადაჰყვია,  
 მიაწოდეს კეტი მარდად,  
 ხე ჰაერში თავდაყირა  
 კალმახივით შეტრიალდა.  
 თბილ მიწაში სვეტი ჩასვეს  
 სიღრმე მისცეს ეჭვისი ციდა,  
 და მოხუცმა შვებით სავესემ  
 შუბლზე ოფლი შეიწმინდა.

გზა დილია... კვლავ დაიძრნენ,  
 მიდიან და სულ მიდიან.  
 შვილი უხსნის მამას ისევ:  
 — ხედავ, მარცხნივ ბლუმინგია.  
 შენობები შემართულან  
 შენობები ათასფერი,  
 დიდი სახლი ჭედმაღლურად  
 წერილ შენობებს გადასცქერის.  
 კვირადლითაც მორკინალი

მადნის გადამდღუღებლები,  
 გუგუნებენ შფოთიანი  
 ღამისფერი ღუმელები.  
 საამქროში ორთქლი ადის,  
 საამქროში კვალი დგება,  
 ცეცხლი ფიცხობს, რომ დილამდის  
 ლავა იქცეს ყალიბებად.  
 ჰგავს ჭურბვში ღვინის ჩასხმას,  
 ჭებში ლავა რო გადისხა.  
 დგას და შესცქერს ბერიკაცი  
 ჩამოდნობას ფოლადისას.  
 გადაისევა თვალზე ხელი,  
 თეთრ წვერებზე ცრემლი აწვიმს,  
 დაიღვარა ცხელი ცრემლი,  
 ცრემლი რაჰველ ბერიკაცის.  
 ჭუთუთონი ბერიკაცის  
 დააჩვია აცრემლებას  
 პუტილოვის ბნელი ქარხნის  
 და ბავშვობის გახსენებამ.  
 მკედლის ზვალწინ დადგნენ მაშინ  
 პეტერბურგის მკაცრი წლები,  
 პუტილოვის ქარხანაში  
 დაწყებული გაფიცვები.  
 ცრემლს წუხილი გადაჰყვება,  
 მკედლის გულში ჩაჭრა წყლული,  
 მის წინ სახე ვაკეცური.—  
 კომუნისმს რომ ჭადავებდა,  
 აღიმართა ქანდაკებად.  
 ჩაღებოდა სიტყვა გულში  
 საჩირაღდნოდ ჩაფრენილი,  
 ახსოვს მკედელს, თითქოს გუშინ  
 გასძახოდა ხალხს ღვინი.  
 განა ერთხელ ნახა მაშინ,  
 რაჰველს ვარამს უქარვებდა  
 პუტილოვის ქარხანაში  
 შემოჭრილი უკვდავება.  
 გაიღლევს თვალწინ წლებმა,  
 გაფიცვებმა, ამბოხებმა,  
 წლებმა, რომელთ დავიწყება  
 არ იქნება, არ მოხდება.

ერთხელ ნახვით რა გააცნობს  
 ნაგებობებს უშველბელს.  
 მხარს ვაკეცვი, საპატარძლო  
 და სამძახლო უმშვენებენ.  
 ხან ღუმელებს, ხან სამადნო

დიდრონ გიღლებს უჩვენებენ.  
 კვირადღითაც მორკინალი  
 ღამისფერი ღუმელები,  
 გუგუნებენ შფოთიანი  
 მადნის გადამღვლებლები.  
 ლავას ლურჯი ალი ასდის,  
 ლავა ალში იმალება,  
 ლავას დაკრავს წითელ დაფის  
 წარუშლელი ბრწყინვალება.  
 ცისკენ აჭრილ ცისფერ კედელს  
 დროშისფერი დაფა შვენიის  
 და აოცებს რაჟველ მჭედელს  
 ძალა შვილის მხარმარჯვენის.  
 დაფა შვენიის ცისფერ კედელს,  
 დაფა შვენიის გამარჯვების.  
 ფოლადიც და თვითონ თუჯიც  
 დაპყრობია ხალხის ნებას,  
 ელვას აჩენს თითო მუშის  
 გულუბრყვილო გაღიმებაც.  
 შამა მკლავებს არწივებურს  
 შვილს შემოხევეს მკლავდალოცვილს,  
 ვაჟკაცს თვალუბგაბრწყინებულს  
 დღეს მეორედ გადაპოცნის.  
 კვლავ კითხულობს გვიარებს დიდხანს,  
 ქვეყნის ქებით შემოსილებს,  
 უცებ ფართო სარკმელიდან  
 სავსე მთვარე შემოსიციანებს.

შინ სავახშმოდ ბრუნდებიან,  
 ბერიკაცი აჩქარდება,—  
 რაჭისაკენ უთენია  
 ურჩევნია გამგზავრება.  
 შემოხვდებათ გზაზე მგზავრი  
 და ოთხივეს შეაჩერებს:  
 — ქალაქკომი საით არი  
 ვერ მასწავლით, ვერ მაჩვენებთ?  
 ვიღაც იცნო მგზავრმა თითქოს,  
 თითქოს შუბლზე აწერია,  
 ამბაკოზე რასაც ფიქრობს. —  
 — ვგონებ ესეც რაჟველია.  
 და ახარებს მეტისმეტად,—  
 მეტად რაღამ გაახაროს,—  
 მგზავრი მჭედელს ეკითხება:  
 შენ ამბაკო არა ხარო?..

ბერიკაცი აცქერდება,—  
 გზად შეხვედრა გააოცებს

და ნაცნობმა რაჟველებმა  
 ერთმანეთი გადაკოცნეს. *კარკინეშული*  
 აღარ აცლის ამოსუნთქვამს. *მზიწმინა*  
 ჩამოსული ამბავს ყვება  
 ოჯახობით წამოსულა,  
 სწადს რუსთავში დასახლება.  
 მთვარე აღერის რძიან სხივებს,  
 ძირს ღრუბლების ჩერო დადის,  
 მგზავრი ერთად მიაცილეს  
 ქალაქკომის შენობამდის.

— მე რუსთავში, შენ რაჭაში,  
 ცალცალკე რამ გაგვაჩეროს,  
 მამაჩემო, შენც აქ დარჩი,  
 დარჩი, გირჩევ, მამაჩემო.  
 აქ იქნება კერა ჩვენი,  
 დაჩვეული გამარჯვებას,  
 ჩამოგვივა დედაჩემი,  
 ისიც ჩვენთან აქ დარჩება...  
 შვილს შეხედავს ბერიკაცი.  
 წამით სუნთქვას შეაჩერებს,  
 ჩაფიქრდება, ჩაივარცხნის  
 მსხვილ თითებით სპეტაკ წვერებს.  
 მიაბოჯებს ჩუმად, უხზოდ,  
 ცაციათი წვერის ვარცხნით.  
 მიატოვებს უბასუხოდ  
 შვილის რჩევას ბერიკაცი.  
 ცაზე, როგორც სიყმაწვილე,  
 გაბადრული მთვარე დადის,  
 ერთი ფიქრი მიაცილებს  
 მოხუცს სახლის კარებამდის.

ღამეს გახედავს სარკმლიდან,  
 ითვლის მჭედელი ვარსკვლავებს,  
 ლოგინში წოლა გაჭირდა  
 სწვავს უძილობა წამწამებს.  
 ითვლის ვარსკვლავებს ღამაზეებს,  
 ითვლის ათობით, ასობით.  
 უცებ ლითონის ლავასებრ  
 აენთო ყველა მნათობი.  
 და გაახსენდა იმავე დღის  
 ახალთახალი ნახული:  
 მნათობებივით ინათებს  
 ლავა გიღლებში ჩასხმული.  
 ზეცაში დათრთის ნათელი,  
 ნათელში დადის ღრუბელი  
 თითქოსდა ბოლავს მარტენის

უზარმაზარი ღუმელი.  
 გაბრწყინებულან ვარსკვლავნი  
 სულ ერთმანეთის სწორები,  
 როგორც სართულებმაღალი  
 რუსთავის ხარაიობი.  
 ფიქრობს და ფიქრობს ზეცამდის  
 ფრთების შრიალით მისული.  
 უცებ... ჩაესმის... ეძახის  
 მკედელს სამკედლო ფიცრული,  
 გაურანდავი წალღები  
 ყრია მხურვალე ქურასთან,  
 ხარის და ცხენის ნაღები  
 წინ ეხატება სურათად.  
 ასი ენა ივრიხება  
 წიფლის წითელ ფესვებივით,  
 ცხელი რკინა იზნიჟება,—  
 ცეცხლში ყოფნა დაებედა  
 და ნახშირი საბერველთან  
 ყრია მკედარი მერცხლებივით.

გაღვივდითო, გადასძახებს  
 ღვეღვებს გულქვა საბერველი,  
 გადასძახებს და მაშინვე  
 დევურ ქშენას გაახშირებს.  
 ხან აცოცხლებს, ხან ანაცრებს  
 მერცხლებს ცეცხლი მბრძანებელი.  
 ალისაგან ალაგ ლურჯი  
 ალაგ კიდევ ალისფერი  
 ირკალება. დრკება რვალი,  
 სამკედლოში ქრება კვალი,  
 სწყყდება რკინის და ჩაქუჩის  
 რეკვა მრავალკამიერი.  
 განიდა რვალი მოელვარე,  
 მთვარეს თვალი დარჩებოდა  
 დათარიღდა დაბადება  
 და მკედელი კოლმეურნე  
 იდგა რაჭულ სამკედლოსთან,  
 ვით სიცოცხლის ქანდაკება.

ერთ ოთახში მამამწელი,  
 მეორეში მასპინძლები,  
 წივს მკედელი მკლავგაშლილი, —  
 ფიქრობს ძილს რად ვაფიწყლები.  
 ახსენდება შფოთიანი  
 ლამისფერი ღუმელები.  
 ცვირადლითაც მორკინალი  
 მადნის გადამღულელები.

აწამებდა უძილობა  
 და თვალები მოელანენქარქუნულნი  
 გრძელ ღამობას უჩიოდნენ  
 გაზაფხულის მოკლე ღამეს.  
 წაშწამებზე წამი რბოდა,  
 უფანტავდნენ ძილს ფიქრები,  
 გაახსენდა წაბლის ოდა,  
 წინ წამოხრილ ტირიფებით.  
 მკედლის თვალწინ დადგა რთვლობა  
 მაქრობით და ყრიაშლით.  
 ნალიებში გადაჰქონდათ  
 კოლეგტივის ჰირნახული.  
 საღამო ეამს მეზობლებში  
 სტუმრობა და ფაციფუცი,  
 ნაღვერდლიან ცხელ თონეში  
 კუინტი ტაროს ტყაცატყუცი.  
 არტელი და ძმამსწორები,  
 ეენახი და კარმიდამო.  
 არა, რაქის დატოვება  
 არ მინდაო, არ მინდაო.

უცებ, თითქოს ჩვილი ტირის,  
 თითქოს გაჩნდა წინ აკვანი.  
 ლოყებწითელ შვილიშვილის  
 თვალებს ხედავს წინაპარი.  
 თითქოს მართლა დაიბადა  
 ვისი ხილვაც ენატრება.  
 ყველა ფიქრი გაუფანტა  
 შვილიშვილის შემატებაში.  
 ყველა ფიქრი მწვავლებელი  
 გაიფანტა, გზა გაუხსნა  
 და შვილიშვილს თბილი ხელი  
 თავზე ფრთხილად გადაუსვა.

გაიღვიძებს, წამოდგება  
 და ვაფიშვილს გადახედავს,  
 უნდა მკერდში ჩაკონება,  
 მკერდის მკერდზე დაჯახება.  
 შეურხიხ მძინარს მზარი,  
 კრძალვით, როგორც ახალ ნაცნობს.  
 ჰკითხავს—წელან რაც მითხარი,  
 იქნებ ძილში აღარ გახსოვს?

— მე რუსთავში, შენ რაჭაში  
 ცალცალკე რამ გავგაჩეროს,  
 მამაჩემო, შენც აქ დარჩი,  
 დარჩი, გირჩევ, მამაჩემო.



თვალსუქულა, როგორც ბავშვი,  
იმეორებს კვლავ ქაბუჯი  
და გაისმის დერეფანშიც  
მკედლის გულის ბაგა-ბუჯი.

შუქმა იმატა, ინათა,  
თეთრად აენთო სარკმელი  
და გარიყრაქმა დიადმა  
შემოაბრძანა ნათელი.  
ჩუმად წამოდგა ამბაკო,  
ჩუმად მოძებნა ხურჯინი,  
მძინარ შვილს ულაპარაკოდ  
ემშვიდობებდა მუნჯივით.  
ყურს უგდებს სუნთქვას ვევისას  
ხურჯინს მხრებიდან მოიხსნის,  
ტკბილია გარიყრაქისას  
ძილი ნაჯაფარ ლომისთვის.

ახლოს მივიდა და თრთოლვით  
გადაუღელა საბანი.  
უცებ ვეება საწოლი  
შეირწა, როგორც აყვანი.  
გამოელევიდა ძილფხიზელს,  
წამოდგა ქოჩორაშლილი.  
ხელებგაწვდილი მიიწევეს  
ბერიკაცისკენ ბავშვივით.  
— ნახვამდის, შვილო, ნახვამდის, —  
ხმა ნალელიანი გაისმა.  
— ნახვამდის, შვილო, რაჭვაში  
თქვენც მესტუმრეთო გაისად.  
კარებისაკენ გაიწევეს  
მიდისო ჩვენი სტუმარი —  
გამოელევიათ მასპინძლებს.  
მარტო წავალო რა მიჭირს,  
არც გაცილება ინდომა,  
სარძლოს, სამძახლოს, ვაეიშვილს  
ციბესთან დაემშვიდობა.

მოხუცს მუხლი ეკვეთება  
შუენელებს ნაბიჯს ქარში,  
ჩასახვევნად ეგებება  
რუსთაველი გარიყრაქი.  
არხთან ხშირი ვერხვებია,  
არხის ვერხვებს უხაროდეთ,  
მერქანი რა შეკლებიათ  
რიყრაქისფრად ჯმუხა ტოტებს.

დაიძახებს მილი ქარხნის  
და კვამლისას შეჰყროს  
ვინ გუგუნებს, ვინ იმბობს  
ეკითხება ვერხვი ვერხვებს.  
ვერხვების და ქარხნის ხმაში  
დაგუგუნებს გარიყრაქი.

მწვანე ქისას ამოაძვრენს,  
მწარე წყოს გაახრჩოლებს,  
კედლებიდან ჩამოსახსნელს  
გადაჰხედავს ხარაჩოებს,  
— ამ სახლში რომ ჩამოვსაზლდე  
აქ ცხოვრებას რა აჯობებს?..  
რა აჯობებს აქ ცხოვრებას, —  
ჩემს შვილიშვილს აქ ეცელქოს.  
ნატრობდა და ახრჩოლებდა  
ბერიკაცი მწარე წყოს.  
კვამლს ღონიერად შეუბერა,  
იშლებოდა კვამლი ქარში.  
შავ თვალეში შემყურებდა  
რუსთაველი გარიყრაქი.  
შენობიდან რა ხმა ესმის,  
რა ხმა მოდის შენობიდან,  
გულში თითქოს ხმა ალერისის,  
ხმა ნაცნობი შემოფრინდა.  
აღმართისკენ ისე წავა, —  
რუსთავის ქარს გადაასწრებს,  
ნაცნობივით მიესალმა  
საამქროსთან ახალგაზრდებს.  
ჩამოართმევს ხელს ნაცნობი  
ცხელი ოფლით მკერდსოველი,  
მოხუცს ჰკითხავს:— შე კაცოვო,  
ველარ მიცან მეზობელი?  
კეთილ თვალებს მიაბრწყინებს, —  
ეტყვის, ჩვენთან შემოაბრძანდიო!  
გუშინ თქვენ არ მიმაცილეთ  
ქალაქკომის შენობამდის?..  
ბერიკაცი გაულიმებს, —  
ულიმიან ვაყკაცებიც  
და სურვილი გაუღვივეს  
სამუდამოდ აქ დარჩენის.  
ყბაგანიერ საბერვლების  
ქშენას ყურთასმენა მიაქვს.  
ჩაქურჩები გამგელებით  
ეცემიან წითელ რკინას.  
ურობის დარტყმის ხმაში





და საამქროს ტაშის ხმაში,  
ამ დიდ ხმაში, ხალხის ხმაში  
დაღუფუნებს გარიჟრაჟი.

პრელუდურჯინაკიდებული  
იცილია ფიქრში წასული,  
იცილია გარინდებული  
ხშირწარბებგადარაზული.  
კვილი ჰაერს გააპობს  
და ორთქლი ტატნობს შენისლავს  
ფერი ეცვალა ამბაკოს  
ორთქლმავლის გამოჩენისას.  
შეჰხედავს ცისფერ ვაგონებს  
და მკერდის ფეთქვა ჩერდება,  
მჭედელ ბერიკაცს აღონებს  
დამშვიდობება მჭედლებთან.  
ფიქრებმა გაიელვარეს,  
უცნაურ გავლვარებით;  
ვერ ამჩნევს როგორ ზვერავენ  
ცნობისმოყვარე მგზავრები.  
მატარებელი დაიძრა,  
ჰაერი მილით შეყნოსა,  
ვაგონთა ჩრდილი დაირწა.  
როგორც რიჟრაჟის შემოსვლა.

დავთმო,—არ არის ადვილი  
კუთხე, სადაც ვარ გაზრდილი,  
მაგრამ აქ არის ნამდვილი  
ჩემი სამკვიდრო ადგილი.  
იღვა, ფიქრობდა სადგურთან  
და ბოლოს უკან გაბრუნდა.  
შორიდან უნდა სამძახლოს  
სულმოუთქმელად გასძახოს:  
— ჩემო მძახლო, რაქაში  
აღარ მივდივარ, აქ ვრჩები,  
აქ ვრჩები, რუსთაველაქში,  
აქ შეიყარა გზა ჩვენი.  
განა ქვრივი ვარ შენსავით,  
ცოლი ჩემს ჩასვლას მოელის.  
აღმათ სუყველა მერცხალი  
ჰგონია მახარობელი.  
ჩემს წერბოს დაეკონება  
ჩამოსტორდება კურცხალი.  
— კოლექტივს ჩვენი ქონება  
გადაეც მოძრაე-უძრაე,

ჩამოდი, სულ სხვა ცხოვრების  
გებირდება დიდი რუსთაველ-კონსულნი  
გინგულირთქვა

ყმაწვილკაცივით დახვალა,  
შემოსთვის ჩემი ბებერი,  
თუ გამებუტა, მძახლო,  
შენ იყავ შემრიგებელი.  
თუ მიმატოვა მარინემ,  
საღლა გამოვჩნდე სირცხვილით.  
მარინე, ჩემი მარინე,—  
სთქვა ბერიკაცმა სიცილით,

გადავიწყებს, დრო გავა,  
შემომიბრუნებს გულს ქალი.  
ამერიკაში ხომ არ ვარ  
აგერ არ არის რუსთაველი  
ერთი მჭედელი სოფლელი  
მკვიდრი გაემხდარვარ ქალაქის,  
სადაც შექმნაუქრობელი  
სტალინის დროშა დაგენათის.  
როგორც რუსთაველის ნამღერი,  
მარად მზე, მარად ახალი  
ქალაქად იქცა ნანგრევი.  
ნამუსრი, ნაპარტახალი.  
გვესტუმროს, მიეწერ ბიძაშვილს,  
ღონე რო მოსდევს ლომივით,  
იმ წყეულ ამერიკაში  
ორჯერ ყოფილა მოვლილი.  
ახალი ხალხიც გაჩნდება  
და დიდებული რუსთაველი,  
ფოლადის ძეგლად დარჩება  
რუსთაველივით უკვდავი.

ჰე, რაქველო ბერიკაცო,  
ბევრის ნახვით ბევრი გახსოვს,  
ბევრსაც ნახავ, ჯერ დაიცა,  
ოცნება ფრთებს რო შეისხამს,  
ფერს შეუცვლის დედამიწას  
შუქი ჩვენი დროშებისა.

დაიღვრება გარიჟრაჟი  
ახალ დღეთა დამფურცლავი,  
ათითას ქარხნის ხმაშიც  
ვაირჩევა ხმა რუსთაველი.  
უკაცრიელ კუნძულებზეც

დაირხევა ხმა გუგუნის,  
 ასე დაიგუგუნებენ  
 საყვირები საუკუნის.  
 ჰე, რაქველო ბერიკაცო,  
 ბევრის ნახვით ბევრი გახსოვს,  
 კომუნისმის ჩირაღდნები  
 არ გინახავს, ჯერ დაიცა,  
 ახლებური ბრწყინვალეებით  
 ვაგაოცებს დედამიწა.  
 აგაფრენენ არწივები  
 არწივებურ ფრთებს გადაშლი

და მზესავით გაბრწყინდები  
 რუსთაველის მზე ქალაქში  
 მთავარ პერიოდში

ჰე, მკედელო ბერიკაცო,  
 ბევრის ნახვით ბევრი გახსოვს,  
 სიკვდილამდე ვეხსომება,  
 ლენინი რო ქადაგებდა,  
 ხომ ეღირსა ჩვენს ცხოვრებას  
 უკვდავებად დაბადება.  
 რუსთავს დარჩეს ეს პოემა,  
 როგორც შენი ქანდაკება.

## მხარლამხარ

მოთხრობა<sup>1</sup>

★

19

გაიოზმა თავისი მეგობარი ქმადან-ფიც ტყვეებს გააცნო. ბევრი ლაპარაკისა და გამოკითხვის დრო აღარ იყო. ახლავე უნდა გადაეწყვიტათ, საით წასულეყენენ, რომ ხიფათისაგან თავი დაეღწიათ. ხრამში ჩაიმაღნენ და თათბირი დაიწყეს.

— მე დღეს არ შემიძლია თქვენთან წამოსვლა.—სთქვა ბეჟანმა.

— რატომ?— შეიკვირვა გაიოზმა.

— მართო არა ვარ, სხვაც არის ჩემთან, ის სოფელშია, ვერ დავეტოვებ. როგორც კი მოვახერხებთ, მაშინვე წამოვალთ.

მეგობრებმა დათქვეს, რომ ისინი პეტრო შევჩენკოს რაზმში შეხედებოდნენ ერთმანეთს. მერე მოკლულ გუშაგს იარაღი აჰხადეს, ერთმანეთი გადაჰკოცნეს და თავიანთ გზას გაუდგნენ. გათავისუფლებული ტყვეები მგლური ძუნძულით შევიდნენ ტყეში. ბეჟანმა კი საქონელი სოფლისაკენ მოაბრუნა და ლილინი დაიწყო. დღეს მას ბედნიერი დღე გაუთენდა.

\* \*

ბეჟანი გახარებული დაბრუნდა შინ და ტატიანას უთხრა, ჩემი გაიოზი და მისი მეგობრები უკვე თავისუფლები არიან.

— მამ ჩვენც წავიდეთ, ბეჟან! ხვალ-

ღამ გავიდეთ სოფლიდან. — წამოვარდა ტატიანა.

— შეც ასე ვფიქრობ! დაგვიანება არა ღირს, თორემ შეიძლება გზები ისე შეკრან, რომ სახლიდან თავი ვერ გამოვყოთ...

ცოტახანს მოითათბირეს და სამზადისს შეუდგნენ პარტიზანების ხიფათიან გზაზე გასაყოლად.

შესაღამებულზე მოულოდნელად თოვლი მოვიდა. ისე ბარდნიდა, რომ ორიოდე წუთში გადათეთრდა არემარე. ბეჟანს გაუხარდა, „თოვლიც ხელს გვიწყობსო“ — წასჩურჩულა ტატიანას, რომელიც ჯარასავეთ ტრიალებდა სამზარეულოში და საგზალს ამზადებდა.

\* \*

გერმანელი ჯარისკაცის მოკვლამ და ტყვეების გაქცევამ მაიორი საგონებელში ჩააგდო. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება დამნაშავეთა აღმოსაჩენად, თორემ, ვინ იცის, ხვალ-ზეგ რას მოიმოქმედებდა გათამამებული მტერი.

მაიორი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. ბრაზიანად დაჰკრა ფეხი იატაკს. ხელები მომუშტა და მუნდირის ჯიბეში ჩაიწყო. მამალივით გაიფხორა. „უპირველეს ყოვლისა, ერთი ათიოდე მძევალი უნდა წამოვიყვანო. მერე მთელ სოფელს დაუქაჩებ და თუ კი-

<sup>1</sup> დასასრული. „მნათობი“ № 4.

დევ დამნაშავე დაჰფარეს, მძევლებს მათ თვალწინ ჩამოეხარჩობ! ვნახოთ, ვასტურის თუ არა!“

ამ ფიქრმა ოდნავ დაუმშვიდა აფორიაქებული გული. კარი გამოაღო და უნტერ-ოფიცერს დაუძახა.

კარგა შეღამებული იყო, როდესაც ბეჟანმა და ტატიანამ გამგზავრების თადარიგი მოათავეს. ახლა გუშაგის მოშორება იყო საჭირო. იგი მაიორის ოთახის კარებთან იდგა, საიდანაც მთელი ეზო ხელისგულივით მოსჩანდა.

— როგორმე შინ უნდა შემოვიტყუოთ!

— ეს საქმე მე მომანდეთ!—სთქვა მალაშკამ და თავშალი მოიხურა.

კარის გაღება ვერ მოასწრო, რომ გარედან რაღაც ხმაური მოისმა. ტატიანა ფანჯარას მივიარდა.

— რა ამბავია, ტატიანა? — შეეკითხა ბეჟანი.

— ეზოში ვიღაც შემოვიდა! — ჩურჩულით მიუგო ქალმა.

ბეჟანმა ჩანთები ბოსელში გაიტანა, ჯუბა გაიხადა და ტახტზე წამოწვა.

კარებზე მაგრად დააბრახუნეს.

— ვინ არის? — ჰკითხა მალაშკამ.

— კარები გააღეთ! — ბრძანების კილოთი შემოუტეეს გარედან.

მალაშკამ ბეჟანს გადახედა. ბეჟანმა ანიშნა, გაუღეო. მალაშკამ რაზა გადასწია. ოთახში გერმანელი ენდარმი შემოვიდა, ტახტზე წამოწოლილ ბეჟანს თავზე დაადგა და მკაცრად უთხრა:

— ადექი!

ბეჟანი წამოდგა, ენდარმის ჩაწითლებულ თვალებს მიაშტერდა.

— გარეთ ვადი! სწრაფად!.. — შესძახა ენდარმმა. ბეჟანმა ჯუბა ჩაიკვა, მალაშკას შუბლზე ეამბორა, ტატიანას ხელები დაუკოცნა და აღელვებული ნაბიჯით გარეთ გამოვიდა.

მძველად წაყვანილი პირები მაიორმა ლაიპერმა სოფ. სერგეევკაში — ბოსელში ჩაკეტა. ბოსელს ერთი კარი და ერთი პატარა ფანჯარა ჰქონდა. ფანჯარას

ცერისსიმსხო რკინის მავთულტობის ხაღვ ქონდა გარედან.

პატიმრები კუთხეში მხოლოდ იყვნენ. მოხუცები სიტყვაძვირობდნენ. ახალგაზრდებს კი სალაპარაკოს და საბაასოს რა გამოუღვედა. ბეჟანი ამ უკანასკნელთა ჯგუფს მიჰკედლებოდა.

პირქუში დილა გათენდა. დილა-ბნელზე უცაბედად საზენიტო არტილერიის სროლა მოისმა. საბჭოთა თვითმფრინავს ესროდნენ ეს პირდაპინილი ქოფაკები.

სროლის ხმის გაგონებაზე ბეჟანს გულში სასიამოვნოდ უბიძგა რაღაცა. წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა. მოშაეკუპრებულ ცას შეხედა. ვერაფერი დაინახა.

— უკან! — შემოესმა გუშაგის მრისხანე შეძახილი. ბეჟანი დაემორჩილა ჯარისკაცს. კვლავ ბუჩოზე წამოწვა.

— გზიდან უნდა გამოვიპარო! — სთქვა ერთმა ახალგაზრდამ.

— ესენი მე ბანაკში ვერ მიმიყვანენ! — დაუმატა მეორემ.

— გაიგონე, დილას, რომ თარჯიმანი შემოვიდა და გამოაცხადა „ვის ვინდათ მეჯინიბეობაო. ბანაკს აცდებით, ცხენების მოვლა იქნება მარტო თქვენი საქმეო“! — დამცინავად გაიღიმა მოლაპარაკემ და კვლავ განაგრძო: — მამა უტბონდებათ! გერმანელი ვერ ეღირსება, რომ ჩვენ მას მეჯინიბედ დავეუდგეთ.

— მე რომ წამომიყვანეს, დედაჩემი ძლივს მომგლოჯეს გულიდან, „არაფერზე შეცდე, ნაირახსა და შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი გერჩინოსო, იცოდე“, ასე მომძახოდა ქუჩაში, — სთქვა თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ჯმუხმა ბიჭმა.

ბეჟანი უსმენდა ახალგაზრდების ლაპარაკს და გულში სიხარულსა გრძნობდა. მხნეობა ემატებოდა. „აგერ თითქმის მეორე წელიწადია რაც აქ ეს „რაინდები“ ბატონობენ. მაგრამ ჰხედავ? — ზიზღისა და სიძულვილის მეტა ვერაფერი დაიმსახურეს მათ ჩვენი ხალხის გულში!“

მახლობლად სადღაც ყუმბარა დაცვა. დედამიწამ გულშემაზარავად დაივიწყა და ის ბოსელი, სადაც პატიმრები იყვნენ, მაგრად შეაქანა. ჩალის სახურავი ჩამოინგრა, თითქოს ქორის ბუდე ჩამოშალეს.

კიდევ დაივიწყა დედამიწამ, ალიზით ნაშენი ბოსლის კედელი კუთხეში გაირღვა და გარეთ გადაწვა. პატიმრები წამოიშალნენ, მეორე კუთხეს მიაწყდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი ჩაჩუმდა. ენდარმები სასწრაფოდ გაჩნდნენ ბოსელთან. პატიმრები გამოირეკეს და მახლობელ მეორე ბოსელში შეიყვანეს.

ეს ახალი „ბინა“, ბევრად დიდი იყო პარველთან შედარებით. იგი ბაღის ბოლოში იდგა. ბაღს თითქმის ერთი კილომეტრი სიგრძე ჰქონდა და იმ მდინარის პირამდე ჩადიოდა, რომელიც სოფელ სემონოვკას შუაზე ყოფდა. ბოსელს წყვილი კარი ჰქონდა გზის პირად და წყვილი ფანჯარა ბაღის მხარეს. მხოლოდ ერთი კარი იღებოდა. მეორე კლიტით იყო დაგმანული.

პატიმრებმა აქ ხალვათად იგრძნეს თავი. ჩანთები ზოგმა კედლის ძირზე მიაწყო. ზოგმა კიდევ ბოსლის შუაგულზე გამწკრივებულ საბიჯგ ბოძებზე ჩამოკიდა.

მოხუცებულების დიდი ნაწილი ბუჩოხზე მიწვა. ახალგაზრდებმა კი ისევ ლაპარაკი გააბეს და საბჭოთა იმ მფრინავის მარჯვენა დალოცეს, რომელმაც გერმანელ ენდარმებსა და პოლიციელებს მხდალი ტურებივით გულები გადაუტრიალა.

ბეჯანმა ჩალით გამოტენილ ფანჯარას ნამალევად შეავლო თვალი. ხელითაც მოსინჯა, რკინის ჯოხებზე მოუხვდა თითები. მეორე ფანჯარასთან მივიდა. აქაც ხელი მოაფათურა და ერთბაშად სახე გაუბრწყინდა.

— ნუ-თუ მართლა?! — გაიფიქრა და ხელაბლა შეაძვინა ხელი ჩალაში. სარ-

კმელი ჩალით იყო ამოტენილი. მარცხილდა ამ ადგილს. აზრებში შემჯდმენ: „ეგ არის გზა შენი სიცოცხლის! წინასწარ ეგ საფანჯრე თარო არის შენი ბეჭვის ხიდი!“

ერთხელ კიდევ გაიერდა ბეჯანი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნასთან. ხელახლა მოსინჯა სარკმელი.

ციოდა. თოვლის ყაყვი გადაკროდა დედამიწას. სუსხიანი ნიავი მშრალ ფანტელს ატრიალებდა პაერში. გუშაგი ბოსლის კარებთან ატუზულიყო და გაყინულ დედამიწაზე აბაკუნებდა ფეხებს. თავზე კურდღლის ბეჭვის ყურებიანი ქუდი წამოედო. ხელში მწვანე მაულის ხელთათმანებში ჩაემალა, ცხვირის წვერი წასწითლებოდა.

ჩამოსალამოვდა, ბოსელში სიბნელე ჩამოწვა. გუშაგმა კრაქი მოძებნა, ბენზინის ასანთს ცერი ჩამოკრა. კრაქს მოუკიდა.

ბეჯანმა კრაქი ჩამოიღო და ბოსლის ბოლოში, სწორედ იმ მხარეს გადადგა, სადაც ფანჯარას რკინის ჯოხების ბადე ჰქონდა აკრული.

მერე თოკზე გამობმულივით მეორე ფანჯარასთან იწყო ტრიალი.

გუშაგი ზედ ზღურბლზე იყო გაჩერებული. მარცხენა მხარი სანახევროდ ვარეთ ჰქონდა გაშვერილი და თვალეზით გზისკენ იყურებოდა. უეცრად შეტორტმანდა ის, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და უძრავად გაიკიმა. მის წინ, მაიორი ლაიპერი იდგა.

— ნახევარ საათზე მეტი აღარ დაგავიანდება, წაიყვანენი — გაამხნევა ყინვისაგან შეწუხებული გუშაგი მაიორმა.

ბეჯანმა ვაიგონა ეს სიტყვები და გულმა ძგერა დაუწყო — „აი, უკვე მოახლოვებულია ბნაქისაგან გამგზავრების წუთები!“

— ნახევარი საათის შემდეგ წაგვიყვანენი — წასიურჩულა მან გვერდში მდგომებს.

გუშაგი კედელივით იყო აღმართული კარებში — ენდარმთა უდროსის წინ.

„დროა, შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებო“, მოესმა ბეჯანს შინაგანი ამოძახილი. საფანჯრეში ჩალის გროვას სწვდა და გამოსწია. თვალის დახამხამებაში გადაძვრა, ყირამალა გადავარდა ბოსლის უკან. მას რამდენიმე კაცი კიდეც სხვა გადაძვრა უკან.

ბეჯანი სადღღე ცხენივით გაენთო ბაღში — დაღმა. მირბოდა ის, და მისი ფეხსაცმლის ხის საძირები ისეთ ხმას იძლეოდა, თითქოს ცხენოსანი ჯარი მიდისო. ეს ხმა მას მძიმე ხვედასავით ურტყამდა ყურში. შეჩერდა, დაიხარა, გაიძრო ფეხსაცმელი და წინდებიანი მიჰყვა ვაშლის ნარგავების რიგთა შორისს. ბაღის ბოლოში იყო ვასული, როდესაც თოფის სროლის ხმა შემოესმა. „მდედარი მომდევს ალბათ!“ გაიფიქრა და კიდეც უფრო ძალა დაატანა მუხლებს.

სროლის ხმა მიწყდა.

ბეჯანს გამალებით უცემდა მკერდი. მდინარის პირისაკენ ჩაუხვია, წყლის ჩხრიალი აღარ შემოესმა. დააკვირდა და მდინარის გასარკულ ზედაპირს მოჰკრა თვალი — „გაუყინავსო“. ჩაჰყვა მდინარის პირს. და აგერ, გარკვევით შენიშნა მალაშკას წნორის ხეები.

„მოვსულვარ, ღმერთო ჩემო, უკვე 3 კილომეტრი გზა გამომიარებნია“. სერზე წამოდგმულმა მალაშკას სახლმაც შემოანათა ამ ბნელ ღამეში. გაუხარდა, ასე ეგონა მილიმისო, სიხარულით მეგებებოთ ეს თეთრად შელესილი კედლები.

ბეჯანი გაჩერდა წნორის ხეებთან. სული მოითქვა. მერე დაიხარა, მოზრდილ ქვას დასტაცა ხელი და ღონივრად ისროლა მდინარის მოსარკულ, შუა ზოლისაკენ. ქვა ასხლტა და გაცურდა ყინულის ზედაპირზე.

„ჩემი სიმძიმე არ ჩატეხავსო“. გადაწყვიტა და მყისვე სწრაფი, მაგრამ ფრთხილი ნაბიჯით შედგა ყინულზე.

ბეჯანი როდესაც მეორე ნაპირზე გადავიდა, კედელივით აღმართულ ფლა-

ტეს აუყვა ზემოთ, მალაშკას სახლს მიამატრდა, შესასვლელ კარზე უნდა მიხვებოდა, შესასვლელ კარზე უნდა მიხვებოდა, შესასვლელ კარზე უნდა მიხვებოდა. ტანის ჯარისკაცს მოჰკრწნა უნდა მიხვებოდა უკან დაიწია. ისევ დაბლა ჩამოვიდა. ფლატეს ახედა მალა. აღებლები ხეივანს უსწორა თვალი. ფეხაკრეფით აჰყვა ბილიეს, აკაციის ხეებს მარცხნიდან წამოუარა და ჩალის გულფულური ზეინში შევიდა.

ეს ზეინი მალაშკამ საგანგებოდ მოაწყო გერმანელ ქურდბაცაცებისაგან ძროხის დასამალავად.

ძროხამ შეზმუელა ბეჯანს. თითქოს გაუხარდო მოსიყვარულე პატრონის ნახვა. ბეჯანმა დაუკავია, მუშტის თღენა, ბრიალა თვალზე ხელი გადაუსვა, კისერი მოფხანა, ძროხა კი მაინც ზმუოდა.

მალაშკა ამ დროს გარეთ გამოვიდა, ჩალა უნდოდა შეეტანა ღუმელში შესაყრელად. ზმუილის ხმა რომ მოესმა, არ ესიამოვნა „ხომ არ მპარავენო ძროხას!“ გაუელვა ფიქრმა და გაეშურა ექით, ჯერ ბოსელში შეიხვდა, მერე ჩალის ზეინს მიადგა.

— მალაშკა! — წყნარად დაუძახა ბეჯანმა.

მალაშკა შეკრთა, უკან დაიწია.

— მალაშკა, მე ვარ, ბეჯანი! — კვლავ გაუმეორა მან. მალაშკას ხელში სწვდა, თავისკენ მოაბრუნა.

— ვერ მიცანი, დედი!

— ბეჯან შეილო — ამოიღო ხმა მალაშკამ; — არ მოგელოდი...

— ტატიანა სად არის?

— სერგიევკაში!

— იქ რა უნდა! — გაოცდა ბეჯანი, თუმც გულმა კი უთხრა, სერგიევკაში რატომ წავიდა ტატიანა: — მალე დაბრუნდება?

— ხვალ დილისათვის ველი!

— ხომ კარგად არის?

— კარგად, კარგად, შენ როგორღა გაუძვერი იმ კაცო-ქამიებს?

— გამოვიქვითი მოვახერხე...

— ამაღამ აქ უნდა დარჩე, — შინ ვერ

შემოხვალ! ახლა წავალ, თორემ გუშაგ-  
მა შეიძლება ეპვი აილოს, დამინახა,  
აქეთ რომ წამოვედი.

მალაშკამ ხერელი ჩალის კონებით  
ამოჭოლა და წაყიდა.

დილით ადრე გაიღვია ბეჟანმა. წა-  
მოდგა, ტანისამოსი გაიბერტყა და სამ-  
ზარეულოში შევიდა.

მალაშკას უკვე მზად ჰქონდა ცხელი  
საუზმე.

— პირი დაიბანე, ბეჟან, ვისაუზმობ.  
შეციებული იქნები, გათბები, — მიმარ-  
თა მალაშკამ.

— არა, სიცივე არ მიგრძენია ჩალა-  
ში, მცხელოდა კიდეც. საკმელზე კი  
უარს არ გეტყვი, მშია, — მიუგო ბე-  
ჟანმა.

საუზმის შემდეგ ბეჟანი სამზარეუ-  
ლოში, კედელსა და ღუმელს შორის  
ჩადგმულ ტახტზე წამოწვა.

მალაშკამ თავქვეშ ბალიში დაუდო და  
შინ მოქსოვილი ჯეჯიმი გადახურა ზე-  
მოდან.

— დაიძინე, დაისვენე და შორი გზისა-  
თვის სამგზავროდ ძალღონე მოიკრიბე.

— ჰო, ტატიანას მოსვლამდე ცოტა  
თვალს მოვატყუებ.

მალაშკა სახლის დალაგებას შეუდგა.  
ლოგინი ამოშალა. ბალიშები და საბნე-  
ბი ღუმელზე შეაწყო, ცხრის ტყავის  
ჭურთუკიც ზემოთ შეაგდო, მერე ცოც-  
ხი დაასველა და დაგვა დაიწყო. «თავი  
კუდს ვერ მოიქნევს, აქ შემოგვეყარეს  
და წასვლას აღარ ფიქრობენ, მაგრამ  
დიდი დღე მაინც არ ექნებათ!»

ტატიანა შებინდებისას დაბრუნდა  
სერგიევიციდან. როგორ გაუხარდა ბეჟა-  
ნის დანახვა. თვალზე ცრემლი მოადგა.

«მე კი იქ გეძებდი, და დღესაც არ ვა-  
პირებდი დაბრუნებას, მაგრამ ეანდარ-  
მებმა ისე დამიწყეს თვალღერება, შეე-  
შინდი და გამოვიქციეო». ამბობდა იგი  
და ისე აღტაცებული შეჰყურებდა ბე-  
ჟანს. თითქმის ათი წლის უნახავები  
იყვნენ.

— ნულარ იგვიანებთ! წასასვლელად  
მოემზადეთ! — უთხრა მტრის მხარეში  
ნეთის ნახვით გაბედნიერებულ ახალ-  
გაზრდებს!

— მაიორი შინ არის? — იკითხა ბე-  
ჟანმა.

— მთვრალი მოვიდა. სძინავს!

— გუშაგი?

— ახლავე. — უთხრა მალაშკამ და  
კარი გამოაღო.

კიბესთან აღუზული გუშაგი ფეხებს  
მიწაზე უტყაპუნებდა.

— შემოდი, არაყს დაგალევიანებ! —  
უთხრა მალაშკამ.

— მაიორი გაიგებს! — ყოყმანით მი-  
უგო გუშაგმა.

— მაიორს უკვე სძინავს. მოდი!

გუშაგმა დერეფანში შეაბიჯა. მალაშ-  
კამ არყით საგსე კიჭა გამოუტანა. გუ-  
შაგმა კმაყოფილებით გაიღვია. ტუჩებ-  
თან მიიტანა სასმისი რაღაც ორიოდ  
სიტყვა წაიბურტყუნა და კიჭას ძირი  
აუწია.

კარებს უკან ჩასაფრებულმა ბეჟანმა  
იდროვა და როდესაც გუშაგს მწარე  
არყით ჰქონდა პირი გავსილი, თავში  
რკინის ურდული დასცა და სული გა-  
აფრთხობინა.

მერე გარეთ გავარდა. წნორების  
ქვეშ, მორევეში — ყინული ჩატეხა. გუშა-  
გი გამოიტანა და შიგ ჩააგდო.

— აბა, დედა, შენ იცი! — უთხრა  
ტატიანამ დედას და გადახვია.

ბევრი არ ულაპარაკნიათ. ჩანთები  
მხრებზე მოიგდეს და სიბნელეში შთაინ-  
თქნენ.

## 20

პეტრო შეეჩენკოს პარტიზანული რაზ-  
მის საგმირო საქმეების შესახებ ამ-  
დროს უკვე ლაპარაკობდნენ დნებრის  
მარჯვენა სანაპიროზე. მათ სიმამაცეს  
თვალს ადევნებდა მთელი უკრაინა.

შეეჩენკოს პარტიზანები შინის ზარს  
სცემდნენ გერმანულ ავაზაკებს. ეიტო-

მირისა და კიევის ტყიან ადგილებში მიმავალ გერმანელ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ტანში ჰპურძგლავდათ. ქარის მიერ შერჩეულ ხეზე ხმელი ტოტის ლაწანი — პარტიზანთა ტყვიამფრქვევის „კაჟანად“ ეჩვენებოდათ.

შევეჩენკოს პარტიზანებს დიდი და საპატიო მოვალეობა დაუსახა სარდლობამ: დნებრის მარჯვენა ნაპირის უკრაინის გზატკეცილებსა, რკინიგზებსა და მდინარეებზე გამავალი მტრის მნიშვნელოვანი კომუნიკაციები ნაკარტულად უნდა ეკცივნათ. მოსვენება არ მიეცათ მტრისათვის. გაძლიერებულ დაზვერვა ეწარმოებინათ და საგულისხმო ცნობები დროულად მიეწოდებინათ საბჭოთა ჯარის სარდლობისათვის.

შევეჩენკოს რაზმელები იმ დროისათვის, როცა ბეჟანმა და ტატიანამ სიმონოვკა მიატოვეს, თითქმის ათას კაციასაგან შესდგებოდნენ. მათთან იყვნენ ტატიანას ნაამაგარი ყოფილი ტყვეები აყლაყუდა, ბაჩა ჭორფლიანი და სხვები.

ტატიანას ბაჩა ჭორფლიანის სახლის მისამართი ჰქონდა შემორჩენილი. ბაჩას სოფელი ეიტომირის მახლობლად მდებარეობდა. პარტიზანები ამ დროს ეიტომირის რაიონში მოქმედებდნენ. ტატიანამ გადასწყვიტა ბაჩას ოჯახის საშუალებით მიეგნო პარტიზანებისათვის.

პირველი ღამე ტატიანამ და ბეჟანმა ფეხშეუყენებლად იარეს.

— სიმონოვკას საჰიროა დაჩქარებით გავცდეთ — ამბობდა ტატიანა.

— ვიაროთ, თუ შენ შესძლებ, თუნდაც დღელამე განუწყვეტლად ვიაროთ, — მიუგო ბეჟანმა. მიდიოდნენ და მათ თითქოს რაღაც ძლიერი ძალა ეზიდებოდათ წინ, დალას ვერა გრძნობდნენ. მიდიოდნენ და პარტიზანებთან შეხვედრის გეგმებს აწყობდნენ. მოჭარბებულ სიხარულს განიცდიდნენ.

კარგად ვათენდა. გამოჩნდნენ სახლები. ტატიანამ გაარჩია, რომ ისინი უკვე ნიკოპოლის რაიონში იყვნენ გადასულელები.

— ეს კარგია, რომ ჩვენს რაიონს გამოვცდით. სადგურისაკენ გვსწრაფობენ. ბეჟანმა მაზარა გაისწორა, კუდი უჭრებზე ჩამოიწია. ტატიანას ბეჭებზე ხელი დაჰკრა, მტვერი გაუბერტყა.

— ხმა არავის გასცე. თუ ვინმე რომეს შეგეკითხება, პასუხი მე მადროვე.

სადგურის ბაქანზე მივიდნენ. გაიარგამოიარეს. შემდეგ შიგნით შევიდნენ. კუთხეში მისხდნენ. მდგომარეობა აწონდაწონეს და გადასწყვიტეს, კიროვო-გრადამდე მატარებელს გაჰყოლოდნენ, იქიდან კი ფეხით წასულიყვნენ.

მატარებელი საღამოხანს გავიდა.

ტატიანამ და ბეჟანმა ვაგონის კუთხეში დაიჭირეს ადგილი. ბეჟანმა თავი მოიქმინარა. იფიქრა, „არავინ არაფერს შემეკითხოსო“.

შუალამე გადასული იყო, როდესაც მატარებელი გაჩერდა და ფეხი აღარ მოიცვალა ადგილიდან. ტატიანამ გარეთ გაიხედა. უკუნეთი სიბნელე იყო. ფანრიანი გამყოლი დაინახა.

— მალე წავალთ?

— არა, ბატონო, ოპოსტოლოვოში უნდა შევსულიყავით, მაგრამ ხაზი დაზიანებულია, ლიანდაგი აუყრიათ!

მთელი ღამე იქ გაატარეს. მეორე დღეს მატარებლიდან სისხამ დილით ჩამოვიდნენ და ფეხით გაუდგნენ გზას. ოპოსტოლოვოში საბარგო მატარებელზე დასხდნენ და ზნამენკამდე გაჰყვნენ. აქ ხელახლად მოუხდათ მათ მოლოდინი — მატარებლისათვის.

მხოლოდ მერვე დღეს ჩავიდნენ ისინი ბაჩა ჭორფლიანის სოფელში.

ტატიანამ ვერმანული მაზარა გაიხედა ტყავის ქურთუკი ჩაიცვა და ისე გასწია ბაჩას სახლისაკენ. ბეჟანმა სოფლის განაპირას მოუცადა.

ბაჩას მეუღლემ ეჭვის თვალით შეხედა ტატიანას. „ვინ იცის, ვინ არისო“, გაიფიქრა და ტატიანას კითხვებზე პირდაპირ პასუხს არ აძლევდა!

— კარგია, რომ ასე ფრთხილად იქცე-



ვი, მაგრამ მე მტერი არა ვარ! აბა, ყური დამივდე!

ტატიანამ ჯერ ბაჩა ჭორფლიანის გარეგნობა აღწერა, მერე მისი ჭრილობის შესახებ მოუყვა, შემდეგ დნებროპეტროვსკის საადამიფოდოს შესახებ და ბოლოს თავის ვინაობა გააცნო დაწვრილებით.

— თქვენ ექიმი ტატიანა ბრძანდებით? — უცბად იფეთქა ბაჩას მუღლემ. — ბოდიში, დამინებულები ვართ, ახლა ისეთი დროა, რომ ნღობა ძნელია. ნუ დამძრახავთ.

— არა, ვინ გძრახავთ! მოხარული ვარ, რომ ისეთ კაცს დავხმარებივარ, რომელსაც მუღლემ ღირსეული ჰყოლია.

— მოითმინეთ, ახლავ საქმელს გავამზადებ.

— არა, არა გვცალია, გვეჩქარება!

— მოითმინეთ, მოასწრებთ. შორს არ არიან, ხელ საღამოს იქ იქნებით.

— გმადლობთ, ძალიან გმადლობთ! ნუ შეწუხდებით.

ბაჩას მუღლემ ასწავლა მათ გზა იმ მიწურებისაკენ, სადაც ამ ერთი კვირის წინათ პარტიზანები ცხოვრობდნენ.

## 21

ბეჟანი და ტატიანა ხევში ბილიკზე მიდიოდნენ. არემარე ახლადმოსული თოვლით იყო დაფარული. ხევის მარჯვენა მხარეს უზარმაზარი ფიჭვისა და ნაძვის ხეების წყება გასდევდა.

შელმართზე მიმავალმა ბილიკმა ისინი დაბურული ტყით დაფარულ ვაკეზე აიყვანა.

ფაქიზი თოვლის სითეთრე სცემდათ თვალეებში ტატიანას და ბეჟანს. ყურებში რაღაც საამური ხმა უტრიალებდათ. ხარბათ სუნთქავდნენ გამსკვირვალე, უზადო ჰაერს. ტატიანას ლოყებზე თურამაულის ელვარება უკრთოდა და თვალეებში გაზაფხულის დილის ღიმილი.

ბილიკი ტყის სიღრმეში შევიდა. ბეჟანმა თვალი მიმოატარა ერთგულე-სევეგონა, უნაპიროაო ეს ტყე — მარჯვლად იყო ნიქიტა პავლოვიჩი, აი თურმე სადა ყოფილა ტყეები! — მან თავი უკვე სათავისიანოში ჩათვალა და კუნთებში ძალღონის მომატება იგრძნო.

მიდიოდნენ ისინი ბილიკზე და ლურჯფიწვებიანი შეთოვლილი ნაძვის ხეები ისე აცილებდნენ მათ, როგორც საიმედო გუშაგები. მიდიოდნენ და გრძნობდნენ, რომ ეს, საბჭოთა ხეებიც ისევე, როგორც ამ ტყეში შეხიზნულნი შურისგების ცეცხლით იყვნენ ავსილნი, რაზელები, და თითქოს ნაძვებისა და ფიჭვების ნატყვიარი დამუნჯებული „ბაგები“ იმასვე უყვებოდნენ მათ, რასაც შეეჩნეო მოუყვებოდა რამდენიმე წუთის შემდეგ, მიდიოდნენ და გული სიხარულით ევსებოდათ.

ნიავმა გაისისინა და ხეებს სავარცხელი გადაჰკრა, ქოჩორი გადაუვარცხნა. თოვლის ფანტელი ბზრიალ-ტრიალით წამოვიდა დაბლა, ბეჟანსა და ტატიანას მხრებზე გადაეყარა, ბეჟანმა მალა აიხედა.

— საჩვენოში ვართ, ტატიანა! რა მსუბუქად ვგრძნობ თავს, თავისუფლად...

ბეჟანს უქანასკნელი სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ შემოესმა.

— შესდექით!

ტატიანა და ბეჟანი უმაღლე შესდგნენ.

— თავისიანები ვართ! — შეეხმინა ბეჟანი.

— ხელები მალა! — იყო ბრძანება. მგზავრებმა ხელები მალა ასწიეს.

გუშაგმა დაუსტვინა. ორი კაცი მყისვე იქ გაჩნდა. ჰიტლერელთა ფარაჯებში გამოწყობილ ბეჟანსა და ტატიანას გარშემოერტყნენ, ჯიბეები გაუჩხრიკეს. რეკოლვერები აღმოაჩნდათ. ჩამოართვეს; და წაიყვანეს მიწურისაკენ. მიწურის ჩასასვლელთან ახმაზი, მხარზე

აეტომატწამოკიდებული პარტიზანი ფეხით თოვლს სტკეპნიდა.

ტატიანას თვალი მოსტაცა ამ კაცის სიმაღლემ, დააქცერდა და აყლაყულა შეიცნო.

— გამარჯობა, ვაჟკაცი, ველარ მიცანი! — მიმართა ტატიანამ გუშავს.

რაზმელი შეიჩხა. ნაცნობი ხმა ციცილივით შემოენთო გულზე. ჩააშტერდა. ტატიანამ ამ დროს ქუდი მოიხადა.

— ექიმი, ჩვენი ექიმი! — იყვირა მან.

— აბა, რა გეგონა, უქეიმოდ დაგტოვებდით აქ?!

— ექიმი, ჩვენი მხსნელი, ჩვენი ექიმი! — გაიძახოდა გაზარებული აყლაყულა.

— ამასაც ხომ იცნობ? — ტატიანამ ბეჯანზე მიუთითა.

— ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ.

ტატიანამ ნაჩქარევად კიდევ რაღაც გამოაკითხა.

— ყველანი აქა ვართ, ექიმი, ყველანი! ხომ გეუბნებოდი, თქვენი ღვაწლი უკეალოდ არ დაიკარგება-მეთქი.

— მოხარული ვარ... და აი, ხომ ხედავ, ჩვენც თქვენს რიგებში მოვედით. შეეჩვენო აქ არის?

— არა. მოსკოვშია, მალე ჩამოვა. წამოდი, კომისარი გაიცანით!

რამდენიმე წუთის შემდეგ ტატიანა და ბეჯანი პარტიზანთა შენაერთის კომისარის წინ იდგნენ და კითხვებზე გულდამშვიდებულად პასუხს აძლეოდნენ.

— მოხარული ვართ, რომ თქვენ ესოდენი გულადობა გამოგიჩინათ.

— ჩვენ მხოლოდ ჩვენი ვალი მოვიხადეთ! — მიუგო ტატიანამ.

— თქვენი ბუდიდან გამოფრენილი არწივები მტერს უკვე ლახვარს სცემენ, სიცოცხლეს არ ზოგავენ. მაინც ეს ბაჩა და აყლაყულა სულ სხვა ბიჭები არიან.

— გამოცვლილა, მოკეთებულა აყლაყულა. შე თვალებითა და სიმაღლით-

ლა ვიცანი მხოლოდ — მიუგო ტატიანამ.

ბევრი ილაპარაკეს მტერებზე. მრავალი ახალი რამ უთხრეს. ბოლოს, ტატიანამ უბიდან კონვერტი და ბეჭედი ამოიღო, რომლებიც მათორის ოთახიდან მალაშკამ მოიპარა.

— ამერიიდან თქვენს ხელში უნდა იყოს ესენი.

კომისარმა კონვერტი გახსნა. გერმანული ასოებით ნაბეჭდ ფურცლებს დააქცერდა. მერე მორიგეს მიუბრუნდა:

— სტეპანიდას დამიძახე!

— არის, სტეპანიდას დაეუძახო — გაიმეორა ბრძანება მორიგემ და გარეთ გავიდა.

— გერმანული ენის მცოდნე გეყავს, ერთი წაგვიკითხოს, რასა სწერენ მტრის ბუნავიდან.

— ტატიანამ კარგად იცის გერმანული ენა, — სიტყვა ჩაურთო ბეჯანმა.

— კიდევ უკეთესი! მაშ წაგვიკითხე! ტატიანამ წაუკითხა და ყოველი წინადადება ცალცალკე გადაუთარგმნა. ბეჯანი თვალყურს ადევნებდა კომისარს. იგი გულდასმით უსმენდა და ტატიანას ყოველ სიტყვაზე აღტაცებაში მოდიოდა.

— ხვალ თვითმფრინავი იქნება, ეს, — კომისარმა კონვერტი გამოართვა ტატიანას, — უნდა გაიგზავნოს. — მიმართა მან მიწურის კუთხეში მჯდარ ახალგაზრდა პარტიზანს.

— არის, გაიგზავნოს — გაიმეორა მან.

— ესეც საჭიროა ჩვენთვის — სთქვა კომისარმა და ბეჭედს წაავლო ხელი.

— დიან! ჩვენც გამოგვადგა გზაში, — მიუგო ტატიანამ და თავისი ხელით გერმანულ ენაზე ნაწერი მივლინების ფურცელი აჩვენა.

დაათვალიერეს, ბევრი იცინეს. მზიარულებამ შეიპყრო ყველა მათგანი.

— კარგია, თქვენმა მზემ, მივლინებაში ჩვენთან გამოუგზავნიხართ! — გულიანად გადაიხარხარა კომისარმა.

ქარგია, ჩვენ კი ვეცდებით მათი ბეჭედ-  
დასმული ქაღალდები „მივლინებებად“  
მივცეთ ჩვენს ბიჭებს გერმანულ შტა-  
ბებში, საწყობებში და რკინიგზის სად-  
გურებში!

— მამ თქვენ ქართველი ბრძანდ-  
ებით? — მიმართა კომისარმა ბეჯანს.

— დიახ, ქართველი ვახლავართ.

— ქართველები ქარგი ბიჭები არიან.

— არის ვინმე თქვენთან ქართვე-  
ლი? — შეეკითხა ბეჯანი.

— როგორ არა, ამ დღეებშიაც მო-  
ვიდნენ ბანაკიდან გამოქცეული ქარ-  
თველი ტყვეები.

— მართლა? — აღელვებით შესძა-  
ხა ბეჯანი.

— გუშინდამ მათ უკვე პარტიზანუ-  
ლი პირველი საბრძოლო ნათლობაც მი-  
იღეს. კიევ-კოროსტენის რკინიგზა გა-  
მოიყვანეს მწყობრიდან, ხიდი ააფეთ-  
ქეს.

ბეჯანი მოუსვენრობამ შეიბჰრო.

— სად არიან ახლა ისინი?

— დილით აქ იქნებიან! ყველა ნა-  
ხათ! — მიუგო კომისარმა.



— აი, ეს არის გაიოზი, ეს არის ჩე-  
მი მძიმე წუთების თანამოზიარე, ჩემი  
მეგობარი, — ასე გააცნო მეორე დღეს  
ბეჯანმა ტატიანას გაიოზი.

— მოხარული ვარ, ამიერიდან ჩემი  
მეგობარიც იქნება. — მიუგო ტატი-  
ანამ და გაიოზს ხელი გაუწოდა.

ბეჯანი ბედნიერი იყო. იგი ხან ტა-  
ტიანას შეჰყურებდა სიყვარულით, ხან  
კიდევ გაიოზს უღიმოდა აღფრთოვანე-  
ბული, გულთბილი, გრძნობებმოჭარ-  
ბებული ღიმილით.

— ბეჯანი თქვენზე ბევრსა ფიქრობ-  
და... — უთხრა ტატიანამ.

— ვენაცვალე ბეჯანს! მეცა და ჩემს  
ამხანაგებს ბეჯანის მარჯვენამ გაგვი-  
ხსნა გზა თავისუფლებისაკენ, — შეს-  
ძახა გაიოზმა.

პარტიზანები მოსვენებას არ აძლევ-  
დნენ შტერს. ყოველ გზაჯვარედინზე,  
ყოველ ბილიკზე რისხვად ატყდებო-  
დნენ თავზე. ფრონტისაკენ გადასრო-  
ლილ გერმანულ ნაწილებსა და საჭურ-  
ველს ცეცხლის ლუკმად ხდიდნენ და  
წყალში ყრიდნენ.

როგორც დამწეული ვეფხვი ცხელ  
ტყეას არ შეუშინდება, და საკბილოს  
ერთი ტორის დაკვრით მიწაზე დას-  
ცემს, ისე ტრაილებდნენ ცეცხლის აღ-  
ში ბეჯანი და გაიოზი ყველაზე სამიმ  
და საპასუხისმგებლო ადგილებზე.

შეწყობილად მიიწევდნენ წინ მხარ-  
დამხარ პარტიზანები. და უკან ტოვებ-  
დნენ გათავისუფლებულ სოფლებსა და  
ქალაქებს — ტყეებსა და ტრამალებს,  
საყვარელ მიწა-წყალს — საყვარელი  
აღამიანებით... და აი, როდესაც თელ-  
უწვდენი ველები და უღრანი წიწვნა-  
რები უკან დარჩნენ, როდესაც მდინა-  
რე დნესტრი უკან დასტოვეს, კარპა-  
ტის მთებს მიადგნენ, ბეჯანსა და გაი-  
ოზს გული გახაფხულის პირველი მერ-  
ცხლის ჰიკჩიკით აფესოთ. კარპატის  
მთებიდან საცალფეხო ბილიკებმა და  
ვიწრო შუკებმა შუქი შემოაფრქვეეს,  
თავისაკენ სტუმრად გაიპატიეს მთის  
შვილები.

— ქართველებო, მთიანი კუთხის  
შვილებო! ეგებ თქვენ უკეთ გაეგნოთ  
ამ კორწოზებსა და ცხვირწამოწვდილ  
ქედებში, — მიმართა რაზმის უფროსმა  
ქართველ პარტიზანებს.

— ვეცდებით, ამხანაგო მეთაურო, —  
მიუგო ბეჯანმა.

— შეხედეთ იმ მთას, — მეთაურმა  
ხელი გაიშვირა ღრუბლებში აღმარ-  
თულ მთისაკენ. — ის ღროგობიჩის ნავ-  
თის სარეწაოებია! უნდა ავაფეთქოთ!

იმავე საღამოს მოიერიშე ასეულები  
შეადგინეს.

დროგობიჩისაკენ მიმავალ პარტიზანებს შორის წყალი უნდა გადაეღობათ. მდინარის მარჯვენა ნაპირზე ვერმანელების დიდი შენაერთები იყო თავმოყრილი. მტერი გრძნობდა, რომ პარტიზანები ნათის სარეწაოებისაკენ აიღებდნენ გეზს. ბერლინის ბრძანებით აქ გადმოისროლეს საგანგებოდ გაწვრთნილი სამთა მსროლელი დივიზიები — დავალებით: „მდინარე ლომნიცას მარჯვენა ნაპირზე არცერთი რუსი არ უნდა იყოს!“

გერმანელი მფრინავები ფერად-ფერად ფურცლებს აყრიდნენ თავზე რაზმელებს: „რკალში ხართ, ვერსად წახვალთ“.

— ხედავ რასა სწერენ, გაიოზ? — მიმართა ბეჟანმა გაიოზს და მწვანე ქილაღებზე დაბეჭდილი „მოწოდება“ აჩვენა.

— მამა უცხოდათ! — დამკინავათ ჩილაპარაკა გაიოზმა და ფურცელი ნაკაწრ-ნაკაწრად აქცია.

— ქარს გაატანე, უკანვე წაუღოს!.. „რკალში ხართ“ — გულიანად გაიცივნა ბეჟანმა.

შუალამისას მოიერიშე ასეულები მდინარეს მიაღწენენ, ჯვარედინი ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს და აქაფებული, წყალმრავალი მდინარე ფლანგებზე გადალახეს. ჯერ ისევ მუხლამდე სცემდათ მათ შეუპოვარი მდინარე, რომ გამდნარი ლითონი გადაადვარეს გერმანელებს თავზე. ჰიტლერელებმა ექვსლულიანი ნაღმსატყორცნებით იწყეს სროლა, უნდოდათ პარტიზანები წყალში ჩაეხრჩოთ. ლითონი ლითონს ასკდებოდა ჰაერში. უკუნეთ ღამეში ფერადი ტყვიები დაწიოდნენ მდინარის ზედაპირზე, თუჯისა და ფოლადის ნაბნელები შადრევნებს ისროდნენ მაღლა.

ბეჟანი მდინარის სანაპირო-ბეჭობს ამოსჯდომოდა და ტყვიამტრქვევს ესროდა მტრის საცეცხლე წერტილებს.

ბეჟანს ვაზნები უთავებოდა.

— ჩემს მოსვლამდე აქ იყავი! — ხიქარევად უთხრა მან გაიოზს და მდინარეში გადაეშვა. ბეჟანმა მდინარეში მარცხენა ნაპირს მიადგა. ასეულის უფროსი მოქებნა, რაღაც ეთათბირა და ვაზნებით დატვირთული ჩანთით უკანვე გამობრუნდა. მდინარის შუაგულში იყო, როდესაც მტრის ტყვია მარცხენა მხარში მოხვდა. „დამკრეს, ძვალი თუ გამიტყდა, მაშინ ყველაფერი გათავებულია ჩემთვის“. ხელი მაღლა ასწია, თავისუფლად აჰყვა მკლავი. გულზე შეება იგრძნო. შემოხეთქებულ ტალღებს შეებრძოლა და გზა განაგრძო.

გაიოზის ტყვიამტრქვევი უკანასკნელ ვაზნებს ისროდა, როდესაც ბეჟანმა ბეჭობს მიადგა.

— დაისვენე, გეყოფა! — უთხრა მან მეგობარს და თავათ მიუჯდა ტყვიამტრქვევს.

ამ დროს გადმიდან პარტიზანებმა ყვირთელი მამხალა აუშვეს ცაში. პარტიზანებმა სროლა თანდათან შესწყვიტეს, თითქოს ვაზნები გამოლოფოდეთ.

ამ გარემოებამ გერმანელთა ნაღმსატყორცნებს სითამამე მოუშატა. ცეცხლი გააძლიერეს. პარტიზანების მხრიდან საპასუხოდ ჩქამიც აღარ ისმოდა. ჰიტლერელებმა ცეცხლი თანდათან პარტიზანთა ზურგში გადაიტანეს. „გაიქცნენო ალბათ“, იფიქრეს მათმა ოფიცერებმა და სანგრებში მიმალული ჯარი წამოშალეს, მდინარის ნაპირებს მოაწყდნენ.

ბეჭობის ძირში სულგანაბელი ისხდნენ პარტიზანები და ყურთასმენით ზომავდნენ მტრის ყოველ ნაბიჯს.

ბეჟანი და გაიოზი სიბნელეში ვერაფერს არჩევდნენ.

— ჩვენი საცეცხლე წერტილები ჩვენს ნიშანს ელოდებიან, ასე გვაქვს დათქმული. მხნელ იყავ გაიოზ, დრაგობიჩისაკენ გზა სწორედ აქედან მიდისო, ასე მითხრა მეთაურმა, — ყრუდ, მაგრამ მტიკედ უთხრა ბეჟანმა ძმადნაფიცს და ახლო მოსული გერმანელები ტყვიამტრქვევით მოთიბა. წყალგალმაც

ახშიანდნენ პარტიზანების ზარბაზნები. ტურვებმა ჰაერი შრიალით გადმოკვეთეს და მდინარის მარჯვენა ნაპირზე დაასდნენ მიწას. დედამიწიდან ამოხეთქილმა რისხვამ კვლავ გამაყრუებელი ხმაურით აავსო ჰაერი.

მტერმა უკან დაიხია.

მოძალადეების დიდ ნაწილს გაეთხარა სამარე მდინარე ლომნიცას ნაპირზე. ნაწილმა კი გაქცევით თავს უშველა.

პარტიზანებმა ვზა გაიკვლიეს ნავდომას გაუვალი ტყეებისაკენ, სული მოითქვეს, ერთი დღე დაისვენეს, დალაგდნენ და ნავთის სარეწაობებისაკენ ქნეს პირი.

კუპრისფერი ღამე იყო. წმინდა წვიმა სერიდა, ძვალრბილში ატანდა სისველე. პარტიზანები შეუდრეკლად მიიწვედნენ წინ, ისე მიდიოდნენ, თითქოს აქ ყოფილიყვნენ დაბადებულნი და გაზრდილნი.

ბეჟანის ოცეული პირველი მიდიოდა. ვიწრო გზებზე და შუკებზე ფლოქვებზე ნაბლამოკრული ცხენებივით უხმაუროდ მიბიჯებდნენ ისინი. მყუდროება იყო, თითქოს სიბნელეს წყებრჩო მთის კალთების ნიავის სისინი კი. ბეჟანს მხარი სწყმეტავდა. ტატიანამ მართალია სისხლის დენა შეუჩერა, მაგრამ ტყვილი მიანიც ეურჩებოდა. „კოტაცა და ტყვილსაც მეღარ ვიგარძნობ“, ფიქრობდა ის.

აგრ ნავთის კოშკურებიც გამოჩნდნენ.

სიჩუმე იყო. საკუთარი სუნთქვა ესმოდა ყოველ მათგანს.

ფეხი შეაყენეს. უკანმოშავალი ნაწილები წამოეწინენ.

მზად იყო ამფეთქებელთა გგუფი — გაიოზის მეთაურობით. მზად იყო დამცველ რაზმთან შემტაცებელი ასეული. მზად იყო სათადარიგო ნაწილი.

პირველი ტყეა ბეჟანის ოცეულს უნდა გაესროლა — შესასვლელ კარებთან გუშაგი უნდა „მოეხსნა“.

ღამის ნიაგმა პარტიზანებს გინერებულ შუბლზე სიგრილე შემოჰკრა. ნიაგს ყრუ ხმაური მოჰსდებოდა. გუშაგის ფეხის ხმა იყო ეს. ბეჟანმა უკანმდგომს ხელის მოკერით ანიშნა, მოკვევითო. დაიძრნენ. მთის მიწა თითქოს ქაითბად გაიშალა ქვეშ, ჩქამს არ იღებდა. საყარაულოზე გუშაგის ფეხის ბაკუნი ახლა უფრო გარკვევით ისმოდა. ციციანთელასავით გაიკიაფა სინათლის წერტილმა. ფარაჯის კალთის ქვეშ გაანათა ელექტროფარანი გუშაგმა და მჯაზე დაიხედა. ბეჟანმა ისარგებლა ამით და ავტომატის სანიშნეს გააყოლა თვალი. სროლის ხმამ მყუდროება გაკენწლა, საგუშაგოდან გაუგებარი ამოძახილის ხმა მოისმა. საბასუხო ტყვიამაც გაიწვია ჰაერში და ელვის ხაზებზე შეამჩნია ბეჟანმა, რომ საგუშაგოსთან კაცი ფართხალეზდა.

შესასვლელ კარებს ეტაცნენ რაზმელები.

სროლის ხმაზე პიტლერელები გამოიშალნენ. სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა, სადივერსიო ოცეულმა ამ დროს კოშკურები ააფეთქა, ცეცხლი მოედო ნავთის სარეწაოს. ღამის სიბნელეს რიდე ჩამოახია, ხანძრის სინათლემ გაანათა კარპატის მთები. ამ ბრძოლაში მოკვლეს გაიოზი და ორი ამფეთქებელი.

მთელი კვირის განმავლობაში იწოდნენ ნავთის კოშკურები და ნავთსახლევი ქარხნები.

გარიერთაყი იყო. მოშავო სილურჯეს ჯერ არ აეკრიფნა თავისი კალთები დედამიწიდან. კარპატის მთების დაბურულ ტყეს შეაფარეს თავი პარტიზანებმა. უკვე სამშვიდობოს იყვნენ ისინი.

— ამხანაგებო — მიმართა კომისარმა პარტიზანებს: — ბრძოლაში დაღუპულ ჩვენი ძმების სახელის უკვდავსაყოფად კიდევ უფრო შევაძლიეროთ ჩვენი რიგები. ბრძოლაში ისევე უშიშარნი ვიყოთ, როგორც ისინი იყვნენ! პარტიზანები შეირხნენ, მრისხანების

კომები გამოენასკვით შეუბლზე. ბეჯათი ცრემლიანი თვალით მიმტერებოდა ცარიელ სივრცეს, თითქოს იქ გაუჩინარებული იგვობრის სახეს დაეძებდა.

— შენ, ამხანაგო ბეჯას, — განაგრძო კომისარმა — გაიოზის მაგიერობა უნდა იკისრო. უნდა უმეთაურო ამფეთქებელთა ჯგუფს, ჯგუფს, რომელმაც წუხელ რისხვა დაატეხა მტერს თავზე. აგერ, იქ! — მან ხელი იქით გაიშვირა, სადაც ცაში აწვდილი ხანძრის ენები ღრუბლებს ეკიდებოდა.

## 23

1944 წლის დეკემბერი იყო. გამიშვლებულ ხეებში დაძვრებოდა აღმოსავლეთის ცივი ქარი. გაყინულ მიწას ზედაპირს აფხვნიდა და ჰაერში ატრიალებდა.

დასავლეთ ბუგის ველ-მინდვრებიდან გაკრეფილიყვნენ ფრინველები. გარიდებოდნენ საყვარელ ადგილებს. გარეული ნადირებიც სადაც გადახვეწილიყვნენ.

მინდვრები მომცდარი იყო. შრომელი ადამიანის მარჯვენას მიეტოვებინა ოდითგანვე საყვარელი ადგილები და ბარაქიანი ხოდაბუნები.

პიტლერელთა ზურგში ამოხეთქილი პარტიზანული „გვიზერები“ რისხვას ატეხდნენ მტერს თავზე.

თავგზაბნეულ, უკანდახეულ მტრისათვის ზურგში გზის გადაჭრა საბჭოთა მეომრებს მოქმედებას უადვილებდა.

— რკინიგზის ლიანდაგები უნდა დავაზიანოთ, მტერი ჩიხში უნდა მოვაქციოთ! — ამ სიტყვებით მიმართა პარტიზანებს კომისარმა. ჰალარა შეპარებულ გრძელ უღვაშებზე ხელი გადისვა და გამოცდილი თვალი შეავლო მის წინ ჩარიგებულ ჩასპანდ ბიჭებს. შემდეგ განაგრძო: — საბჭოთა არმია ძღვეამოსილ შეტევას ანვითარებს. პიტლერელები თავიანთ ბუნავისაკენ გარბიან. და აი, სწორედ ჩვენი წმინდა მოვალე-

ობაა უუქანდასახევი გზები დატენგროით მათ!... — მის ხმას უკრეფდნენ ციციხლი ემატებოდა და სხვებზეც მტყუყურებდა სახელოვან პარტიზანებს, რომელთაც რამდენიმე ათასი კილომეტრი მანძილი გაველოთ გერმანელთა ზურგში! — ასეთია ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება, დიდი სტალინის ბრძანება! — დაამთავრა სიტყვა უფროსმა.

პარტიზანებმა კარბატის ნთებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაუხვიეს. სწორედ იქ გაჩნდნენ, სადაც მათ გერმანელები არ ელოდნენ.

ისინი კოველიდან გამომდინარე სარკინიგზო ქსელის რაიონებში დათარეშობდნენ, აფეთქებდნენ რკინიგზის ლიანდაგებსა და ხიდებს. ცეცხლს უჩენდნენ პიტლერელთა საწყობებს ეშელონებს. ლითონის ნაშხგრევეებს აყრიდნენ თავზე და სიცოცხლეს უსაობდნენ პიტლერელ „რაინდებს“.

კოველსა და სოკალს შორის რკინიგზის ხაზი აფეთქა ბეჯანის ოცეულმა მდინარე დასავლეთ ბუგის ნაპირებზე.

იმავე დღეს ბეჯანის ოცეული სოკალის მახლობელ სოფელში გაჩნდა. სწორედ იქ, სადაც დაბანაკებული იყო ესესელთა დიდი შენაერთი. მათი შტაბი სოფლის ერთ მოზრდილ სახლში იყო მოთავსებული.

25 დეკემბერი გათენდა. თოვლი ბარდნიდა. სახლის სახურავები, ეზოები და სოფლის ქუჩაბანდები მიტკლის ფერად იყო გადაათურებული. ესესელები ზეიმობდნენ შობის დღესასწაულს. ზეიმს დილიდანვე შეუდგნენ ისინი. ზარბაღ სწოვდნენ სისხლს გლეხობას, უკანასკნელ სარჩოს სტაბებდნენ მათ.

გათენება მოახლოებული იყო. როდესაც ქეიფი დამთავრდა და ძილად მიეშენნ ყველანი. ბეჯანის ოცეულს დავალებოლი ჰქონდა ზელში ჩაეგლო შტაბის შენობა. პარტიზანები გათენებისას საბჭოთა ნაწილებს ელოდებოდნენ ამ სოფელში. ბეჯანმა დავალება

პირნათლად შეასრულა. ამ ბრძოლაში იგი კვლავ დაიჭრა.

ტატიანამ კრილობა გაუსუფთავა და შეუხვია.

მტრის ტყვიას მისთვის მარჯვენა მკერდის ძვალი დაეზიანებინა.

ტატიანა უსიამო განწყობილებამ მოიცვა, გული გაეზარა და იმედიანი სიტყვის მოძებნა გაუჭირდა. დაკუწრებდა ბეჯანის დაჭრილ ხელს და ძალდატანებით იღიმებოდა.

შესალამოვებული იყო, აეროდრომზე თვითმფრინავი დაეშვა. კიევიდან მოფრინდა. პარტიზანებს საკუთრეული და მელიკამენტები მოუტანა, იმავე საღამოს დაბრუნდა უკან, თან წაიყვანა ბეჯანი და სხვა დაჭრილი პარტიზანები.

## 24

ომის დამთავრებამ ბეჯანს კიევიში, ჰოსპიტალში მოუსწრო.

მაისის მზიანი დღია იყო. ოქროსფერი სხივები შეჭრილიყვანენ ჰოსპიტლის ღია ფანჯრებში. ეზოში გაზაფხულის მყარული გაემართათ ჩიტებს და საამური სტეენა-გალობით აეცსოთ არემარე.

ბეჯანი ფანჯრის პირას იწეა. თვალი მილულული კქონდა, გაღეღილი მკერდი მიეშვირა დილის ნიავისათვის. მარჯვენა მკლავი ფანჯრის რაფაზე შეედო. მზის სხივები სწკმეტავდნენ ნაჭრილობებზე. ცალი ნესტო ბალიშზე მიეყულოტა და ცალითღა სუნთქავდა ხარბად. „ომი დამთავრდა“ დაიძახა ამ დროს ვიდაცამ ეზოდან. ამ ორმა სიტყვამ, როგორც ქარიშხალმა, ისე წამოშალა მთელი ჰოსპიტალი.

— ომი დამთავრდა, ფაშიზმი დამარცხდა! — პალატიდან პალატაში, სართულიდან სართულში გაისმოდა მხიარული ყიყინა.

ბეჯანმა ეზოში, მზის სხივების პირისპირ გაიხედა და სიხარულის ცრემლები მოადგა თვალებზე.

— ომი დამთავრდა, ბეჯან, ომი! — ნაცნობი ხმა გაიგონა ბეჯანის მკერდ-ვოლა, თავი შემოაბრუნა.

— ტატიანა..

ტატიანა დაიხარა და შუბლზე ეამბოვრა ბეჯანს.

— არ მელოდი! — ნაზად მიუღერსა ტატიანამ.

— ტატიანა! შენ ისეე ჩემთანა ხარ, არ დამივიწყე? — ბავშვით ატიკტიკდა ბეჯანი.

— აბა, შემომხედე ბეჯანი სულ არ გამოცვლილხარ, ისეე ის ბეჯანი ხარ. — სიყვარულით დახედა ტატიანამ ბეჯანს და სახეზე ოფლი შეუშვარა.

— ტატიანა, სად მომაგენი აქ, როგორ მიპოვნე? — გულში მშვიდობა ჩაყენებული კაცის კილოთი მიმართა ბეჯანმა.

— არ იყავი ძნელი საპოვნელი.

ბეჯანი უცხად დადუმდა, გულზე ღარდი შემოაწეა. „ტატიანამ აღბათ არ იცის, რომ მე მარჯვენა ხელის მტეჯანი აღარა მაქვს! თორემ რისთვის-ღა შეიწუხებდა თავს და ძებნას დამიწყებდა ჰოსპიტლიდან ჰოსპიტალში?“

ტატიანა მიუხედა ბეჯანს მწუხარების მიზეზს.

— მე ყველაფერი ვიცი, ბეჯანი! მე ეს მაშინაც ვიცოდი, როცა პირველად კრილობა შეგიხვით! — ალერსიანად უთხრა მან.

— მარჯვენა ხელი მაინც არ იყოს! ვისთვის ვარ საჭირო ასეთი საპყარი?

ტატიანამ მისი დასახიჩრებელი ხელი სათუთად გულში ჩაიკრა და შემდეგ საბანში ჩაუშალა.

— მეორედ აღარ გამაგონო ასეთი სიტყვები. რა ვუყოთ! აი მარჯვენა! — მარცხენა ხელის მუჭვაში ბეჯანს თავისი მარჯვენა ჩაუდო: — ამიერიდან ეს ხელი შუა გაიბობა და ერთი ნახევარი შენს წილად იქცევა, მეორე კი ჩემად.

ტატიანას ნათქვამზე ბეჯანს ბავშვური სიხარულით აეცსო სახე. წამოიკრდა და ტატიანას თვალებში შეხედა.

ტატიანამ თავი მალა ასწია, სადავე უკრა გულზე შემოკიდებულ გრძნობას და ომის დამთავრების ამბავი მოუყვა.

— ომი დამთავრდა ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებით! გერმანელების უსიტყვო კაპიტულაციით! დიდმა სტალინმა დღეს საბჭოთა ხალხს გამარჯვება მოულოცა.

— ბედნიერი ხართ, ბედნიერი, ვინც ბოლომდე შერჩით მებრძოლთა რიგებს! — მიუგო ბეჯანმა.

## 25

1946 წლის შემოდგომის მზიანი დღე იყო. საჩხერისაკენ მატარებელი თითქოს ჩვეულებრივზე უფრო მეტი სისწრაფით მიჰქროდა. ქვინაედა, კვამლს უშვებდა, ხშირად ხმამალა გაჰქოდა.

პირველი სამგზავრო ვაგონის ვიწრო ფანჯარაში თავი გააოცეო ერთ ახალგაზრდა კაცს. გრილი ნიავი თმებს უჩიჩიკავდა და სახეს უკოცნიდა, უბეში უძერბოდა და ალერსით ეფოფინებოდა. სახეზე ნათელი შუქი გადაჰფენოდა და მომცინარი თვალებით შეჰყურებდა ყველაფერს. ყოველი ბალის, ვენახისა თუ გორაკებიდან გადმოშქეფარე ნაკადულის გამოჩენა სიხარულის დიმილსა ჰგვრიდა ისე შეჰყურებდა ქოჩორა გორაკებს, როგორც დიდი ხნის უნახავი შვილი საკუთარ მშობელს. მის გვერდით ყმაწვილი ქალი იდგა, რომელსაც თოთო ბავშვი ეჭირა ხელში. ის თვალს ადევნებდა რკინიგზის ხაზის გასწვრივ გაწოლილ კვალუც სერებს. ქალი ხარბი თვალებით დასცქეროდა ბუნების ლამაზ ქარგას.

— ახლა ახლოსა ვართ.— სთქვა კაცმა.

— მაშ, დღესვე შეგიძლია ბაბუა კომოთე ვინახულოთ, არა?

— რათქმა უნდა, დღესვე!

ეს მგზავრები ტატიანა და ბეჯანი გახლდით, თოთო ბავშვი კი მათი პირში, სამი თვის ბიჭუნა იყო.

ბეჯანის გულში სიხარული გიზგიზებდა. ასე ეგონა, მისთვის უფრო მეტი ეს ცა, ეს მიწა მასავე უფრო მეტად უბელი. ასე ეგონა, ყოველი ქვა, ბუჩქი თუ გორაკი სალამს უძღვნიდა და საალერსოთ იწვევდა თავისკენ.

მატარებელი მიჰქროდა ქშენითა და ხმაურით. ორთქლმავალს თითქოს მახარობლობა ეკისრა, ისე ხმამალა გაჰქოდა.

ბრუნდებოდა ომგადახდილი ვაჟკაცი მეუღლით, შვილითა და თან მოქონდა გამარჯვების სიხარული. მას სწამდა, ამ სიხარულს ყველა გრძნობდა, ყველას გულში ბეჯანის გული ჩამჯდარიყო, და ეს ურიცხვი თანამემამულენი ერთ არსებად შეკრულიყვნენ საბედნიეროთა და სასიხარულოდ.

ბიჭუნას გამოეღვიძა, შეიშმუშნა და უმანჯო თვალებით შესცინა თავის მამას.

— შეხედე, გიცინის! — უთხრა ტატიანამ ბეჯანს.

ბეჯანმა ნიკაპზე თითი დაადო.

— ალუ, ალუ, ბაბუა!

ბავშვმა კიდევ უფრო მეტად გააღო პირი და წითელი ღრძილები გამოაჩინა.

— ბაბუა კომოთე იქნება შენი ნათლია, დედიკო, სახელს ის ამოგიჩვენებს— მოესიყვარულა ტატიანა და კისერზე აკოცა.

— მოხუცმა აღბათ წუხელ სიზმარში გვნახა. მიგველის და მოუსვენრად დაფუფუნებს ეზოში! — სთქვა ბეჯანმა.

მატარებელი უკვე სადგურში შევიდა.

ბეჯანს მთელ ტანზე ყინულის ეკლეები გამოესხა, თითქოს აბურძგლა, როგორც დიდი სიხარულისა და ღრმა გულის ტკივილის ერთად შემოკიდების დროს ემართება ხოლმე ადამიანს.

ვაგონიდან ჩამოვიდნენ. ბეჯანს ფეხქვეშ მოხვდა ის მიწა, რომელსაც მისი ხეული ეზიდნა ორნახევარი ათეული წლის მანძილზე. სიბოძო და მომჯა-



დღებელი სურნელი ეცა ცხვირში, ხარბად შეისუნთქა მთის ჰერი.

გაიარეს ვიწრო ქუჩა. მარცხნივ გაუხვიეს, მწვანედ შეღებულ მესერის ღობეს მიაღწენ.

— აი, ეს არის!

ღობის შიგნით ფიცრული ოდა იყო წამოჭიმული. წინ მოზრდილი ეზო კქონდა სახლს. მწვანე მოლი ხალიჩასავით იყო გადაშლილი. გზის პირად ორი მოზრდილი ცაცხვის ხე იდგა, მათ შორის კი გრძელი სკამი იყო მოთავსებული. სკამზე 30—32 წლის ძაძებში გახვეული ქალი იჯდა. მის გვერდით კი—9—10 წლის ბიჭუნა.

ტატიანამ გაცეცხით შეხედა ბავშვს.

— გაიოზის გამოცხადება ნამდვილად შეხედე მის თვალებს, შუბლს, ნიკაბს, როგორა ჰგავს!

— ჰო, ის ბაადური, გაიოზის შვილი უნდა იყოს!—ყრუდ მიუგო ბეჟანმა.

ქიშკარი დაეკტილი დაუხვდა, დააკაკუნა. ბიჭუნა სწრაფად წამოხტა, გამოექანა და კარები გაუღო. ბავშვმა ეწრ იცნო სტუმრები. ბეჟანმა ბავშვი გულში ჩაიკრა, ტატიანამაც შუბლი დაუჯოცნა პატარას.

ბაადურის დედა გაკვირვებული შეკუყრებდა სტუმრებს.

— ნონა!—შესძახა ბეჟანმა.

ბეჟანის შეძახილმა გზა გაიკვლია ქალის გულში. შეირბა გაიოზის მეუღლე და გულის გამგვირავად დაიყვირა.

— ბეჟანი..

მეტი ველარაფერი უთხრა, მკერდზე მიეყრდნო ვაჟკაცს, აქეთიინდა. ბეჟანსაც ცრემლი ჩაუდგა თვალბში. ტატიანამაც თავი ვერ შეიკავა და ცხარე ცრემლები გადმოაფრქვია.

— ბეჟანი! გაიოზი სად არის, სად?

ბეჟანმა სიტყვის თქმა ვერ მოახერხა.

— სად არის გაიოზი, რატომ შენთან ერთად არ მოიყვანე? — ვულის-მომწყვლეულად ვაჟკაცი და ნონა.

მერე თანდათან დამშვიდდა.

— წამობრძანდით, სახლში შევიდეთ, სტუმარს ცრემლითა და ცხვირით ზოკით არ უნდა ხედებოდეს შასპინაქელი!

უჭირდა ნონას დამშვიდებული ლაპარაკი, მაგრამ საეაგლახო გულის წადილს აჯობა და დაბეჯითებით მოსთხოვა ბეჟანსა და ტატიანას:

— წამობრძანდით, გაიოზის ბინა ნახეთ. წამობრძანდით!

ბეჟანი და ტატიანა დაჰყვნენ ნონას სურვილს, შევიდნენ სახლში.

ოთახი სუფთად იყო დალაგებული. შუაში მაგიდა იდგა, ზედ მწვანე ხავერდის ყდაში ჩასმული ალბომი იდო. ალბომში სურათები და გაიოზის წერილები ელაგა. აქ იყო ის წერილიც, რომელიც მას ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ პირველად მოეწერა. კედელზე გაიოზის დიდი სურათი იყო ჩამოკიდებული.

ოთახში შესვლისთანავე ბეჟანს თითქოს გაიოზის სურათმა შემოაჩხედა თვალბში. გული აუჩუყდა. ცრემლი ძლივს შეიკავა.

ბეჟანს მღელვარება ნონას შეუქმნეველი არ დარჩა.

— დაბრძანდით. რა ეშველებათ.. ჩემში ბაადური ყველაფერს შემამალებინებს!

ბეჟანმა თავი დახარა და მის წინ მღგომ ბაადურს ქოჩორზე ხელის შევლებით მოუაღერსა.

— ბაადური კარგი ბიჭი იქნება! — სთქვა ტატიანამ.

ერთხანს ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— გაიოზი სიტყვაძვირი კაცი არ იყო. ასე ჩუმად ნუ იქნებით მის ოჯახში!

ბეჟანი მიხვდა, რომ ეს სიჩუმე უფრო აწუხებდა ნონას. ამიტომ დაჯდა და დედა-შვილს გაიოზის თავგადასავალი უამბო.

მზე საშუადღეოდან გადაიხარა და კონის ფერდობები ოქროს მოლივლივ სტივებში გააჩვია, როცა ბეჟანი და ტატიანა ნონას გამოეთხოვნენ და გზას გაუღვნენ.

ბაბუა კი მოთემ გულსავეთ გაატარა ზამთარი. პატარა ბიჭუნასთან ათენებდა და აღამებდა — შეჭაროდა რძალსა და შვილიშვილს. ბედნიერი იყო მოხუცი, ცხოვრების ხალისს კაბუცივით გრძნობდა.

გულს მხოლოდ ერთი დარდი უკაწრავდა — აქამდე ვერ გაეგო, თუ რისთვის ჰქონდა ბეჯანს მარჯვენა ხელზე შავი ხელთათმანი. ამის შესახებ მან ხან შვილიშვილსა ჰკითხა, ხან ტატიანას, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო. უყვარდა მოხუცს პატარა ბიჭუნას საწოლთან ჯდომა და ღიღინი. გაიარა ზამთარმა. დადგა კვლავი გაზაფხული.

მზე თავისი სხივებით უხვად ეფრქვეოდა ველ-მინდორსა და ბაღებს. ზამთრის ძილისათვის თავი წაერთმია ბუნებას — მწვანედ ხასხასებდა. ეზო-ყურეს ლურჯი ქათიბი გადაჰკროდა.

აყვავებული ხეები თაბუღებულად „დაბნეოდა“ მკერდზე მისი მკერდის. პაერი საამო სურნელემით იყო გაქლენთილი. ფრინველთა უვიღ-ხივილსა და ყვირილს ზაფთიან ხმაურს აეცსო გარემო.

საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში ხალისიანი ყიჟინა ისმოდა. ქალი და კაცი, დიდი და პატარა ჩაბმულიყო ომის კრილობებისათვის მოსამუშებელ თავდაუზოგავ შრომაში.

მდინარე ყვირილის შენაკად — „ღვარეს“ ხეობაში დიდი ფუსფუსი იყო. საკოლმეურნეო ელექტროსადგურს აშენებდა სოფელი ბეჯანის ხელმძღვანელობით.

ტატიანა საავადმყოფოს მოწყობაზე მუშაობდა. საუკუნის მიჯნაზე მიმდგარი ბაბუა კი მოთე კი უსაქმოდ ვერ ისვენებდა და ბაღში ვაშლების სამყრობად გამოსულყო.

პ. ს. ავალიანი

## ღ უ ბ რ ო ვ ს ს კ ი

★

ბოში პირველი

თავი პირველი

რამდენიმე წლის წინათ თავის ერთერთ მამულში ცხოვრობდა ძველებური რუსი ბატონი კირილე პეტრეს-ძე ტროეკუროვი. სიმდიდრე, წარჩინებული გვარი, და გავლენიანობა მას დიდ წონას აძლევდა იმ გუბერნიებში, სადაც მისი მამული იყო. მეზობლები მოხარული იყვნენ ყოველი მისი უმნიშვნელო ახირება დაეკმაყოფილებინათ. გუბერნიის მოხელენი თრთოდნენ მისი სახელის გაგონებაზე; კირილე პეტრეს-ძე მის მიმართ გამოჩენილ პირფერობას მართებულ ხარკად სთვლიდა; ტროეკუროვის სახლი ყოველთვის სავეს იყო სტუმრებით, რომლებიც მზად იყვნენ გაერთოთ იგი დიდაცურ უსაქმურობაში, მონაწილეობა მიეღოთ მის ხმაურთან, ზოგჯერ შმაგ გართობებშიც. ვერავინ ბედავდა მის მიბატიეებაზე უარი ეთქვა, ან დანიშნულ დღეებში სათანადო მოწიწებით სოფელ პოკროვსკოეში არ გამოცხადებულყო. შინაურ ცხოვრებაში კირილე პეტრეს-ძე იჩენდა გაუნათლებელი ადამიანის ყველა მანკს. გარშემო მყოფთა მიერ განებივრებულმა თავშეკავება არ იცოდა, ყველაფერი უნდა შეესრულებინა, რასაც კი მისი ფიცხი ხასიათი აიბირებდა და საკმაოდ შეზღუდული გონება განიზრახავდა. თუმცა არაჩვეულებრივად ჯანმრთელი ადამიანი იყო, კვირაში ერთ-ორჯერ მაინც თავისი ღორმუცლობით ავად ხდებოდა. ყოველ საღამოს შეზარხოშებული იყო. მისი სახლის ერთ ფლიგელში თექვსმეტი მოახლე ქალი ცხოვრობდა და მათი სქესის შესაფერ ხელსაქმეს აკეთებდა. ფლიგელის ფანჯრებს ხის გისოსი ჰქონდა; კარები იკეტებოდა კლიტეებით, რომელთა გასაღებები კირილე პეტრეს-ძესთან ინახებოდა. ეს ახალგაზრდა განდევნილი ქალები დანიშნულ დროს ბაღში ჩადიოდნენ და ორი დღეაბრის მეთვალყურეობის ქვეშ სეირნობდნენ. დროგამოშვებით კირილე პეტრეს-ძე ზოგერთ მათგანს ათხოვებდა და გათხოვილთა ადგილს ახლები იკავებდნენ. გლეხებსა და შინაყმებს მკაცრად და ახირებულად ეპყრობოდა; მაგრამ ისინი ბატონის სიმდიდრითა და სახელით შედიდურობდნენ და თავის მხრივ მისი ძლიერი მფარველობის იმედით მეზობლების მიმართ თავგასულობას იჩენდნენ.

ტროეკუროვის ყოველდღიური საქმიანობა იყო მისი ვრცელი სამფლობელოების შემოვლა, ხანგრძლივი ღზინები, ახალ-ახალი ოინების მოწყობა, რის მსხვერპლიც ჩვეულებრივად რომელიმე ახალი ნაცნობი ხდებოდა, თუმცა ამ ოინებს მისი ძველი მეგობრებიც ვერ აღწევდნენ თავს, გამონაკლისი იყო

მხოლოდ ანდრია გაბრიელის-ძე დუბროვსკი. დუბროვსკი, სამსახურიდან გადამდგარი გვარდიის პორუჩიკი, ტროეკუროვის უახლოესი მეზობელია. მას სამოცდაათი ყმა ჰყავდა. სხვებთან ურთიერთობის დროს მან მთლიანად მჩენი ტროეკუროვი, დუბროვსკის პატივს სცემდა, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელს მცირე ქონება გააჩნდა. ოდესღაც ისინი ერთად მსახურობდნენ და ტროეკუროვმა გამოცდილებით იცოდა, რა ფიცხი და მტკიცე ხასიათისა იყო დუბროვსკი. (სახელოვანმა 1762 წელმა ისინი ერთმანეთს დიდი ხნით დააშორა. კენინა დაშკოვის ნათესავი ტროეკუროვი, დაწინაურდა). დუბროვსკი, რომელსაც ქონების საქმე აწეწილი ჰქონდა, იძულებული გახდა სამსახური მიეტოვებინა და თავის სოფელში დასახლებულიყო. კირილე პეტრეს-ძემ ეს რომ გაიგო, თავისი მფარველობა შესთავაზა, მაგრამ დუბროვსკიმ მადლობა გადაუხადა და ღარიბი და დამოუკიდებელი დარჩა. რამდენიმე წლის შემდეგ ტროეკუროვი, სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-ანშეფის წოდებით თავის მამულში ჩამოვიდა; ერთმანეთი ინახულეს, რაც გაუხარდათ. ამიერიდან ყოველდღე ერთად იყვნენ, და კირილე პეტრეს-ძე, რომელსაც არასოდეს არავინ თავისი სტუმრობის ღირსი არ გაუხდია, ძველი ამხანაგის პატარა სახლში უბრალოდ შეივლიდა ხოლმე. ისინი—ტოლნი, ერთი წოდების შვილნი და ერთნაირად აღზრდილნი—ხასიათით და მიღრგეილებებით ერთმანეთს ჰგავდნენ. ზოგ რამეში ბედიც ერთნაირი ჰქონდათ: ცოლი ორივემ სიყვარულით შეირთო. ორივე მალე დაქვრივდა, ორივეს თითო ბავშვი დარჩა. დუბროვსკის ვაჟი პეტერბურგში იზრდებოდა, კირილე პეტრეს-ძის ქალიშვილი კი — მშობლის ოჯახში; და ტროეკუროვი ხშირად ეუბნებოდა დუბროვსკის: „გამიგონე, ძმაო, ანდრია გაბრიელის-ძევე; თუ შენი ვალოდკა კაცი დადგა, მაშას მიფაიხოვებ, თუმცა სულს იქით არაფერი აბადია“. ანდრია გაბრიელის-ძე თავს გააქნევდა და ჩვეულებრივად უპასუხებდა: „არა, კირილე პეტრეს-ძევე; ჩემი ვალოდკა მარიამ კირილეს ასულს საქმროდ ვერ გამოადგება. ღარიბმა აზნაურმა, როგორც იგია, უკეთესია ღარიბი აზნაურის ქალიშვილი შეირთოს და შინ უფროსი იყოს, ვიდრე განებივრებული ქალის მოურავი გახდეს“.

ყველას შურდა თანხმობა, რომელიც ზვიად ტროეკუროვსა და მის ღარიბ მეზობელს შორის სუფევდა, და უკვირდათ დუბროვსკის გამბედაობა, როცა იგი კირილე პეტრეს-ძესთან სუფრაზე პირდაპირ გამოსთქვამდა თავის აზრს, თავს არ იტკივებდა იმით, იზიარებდა თუ არა ამ აზრს მასპინძელი. სხვებმაც სცადეს მისთვის მიებაძნათ და სათანადო მორჩილების საზღვრებს გადასულიყვნენ, მაგრამ კირილე პეტრეს-ძემ ისე დააფრთხო ისინი, რომ სამუდამოდ დაუქარგა ხალისი ასეთი შებეღვისათვის, და საერთო კანონის გარეშე მხოლოდ დუბროვსკი დარჩა. უეცარმა შემთხვევამ ყველაფერი არია და შესცვალა.

ერთხელ, შემოდგომის პირას, კირილე პეტრეს-ძე ეწერ ადგილებში აძირებდა გამგზავრებას ძალებით სანადიროდ. წინაღლით მეძაღლეებსა და ჯილაგდარებს ბრძანება მისცეს დილის ხუთი საათისათვის მზად ყოფილიყვნენ. კარავი და სამზარეულო წინასწარ გაიგზავნა იმ ადგილას, სადაც კირილე პეტრეს-ძეს უნდა ესადილნა. მასპინძელი და სტუმრები საძაღლეში წავიდნენ, სადაც ხუთასზე მეტი მეძებარი და მწვეარი მძღორად და თბილად ცხოვრობდა: ძაღლები თავის ძაღლურ ენაზე კირილე პეტრეს-ძეს გულუხვობას აქებ-ადიდებდნენ. აქვე იყო ლაზარეთი ავადმყოფი ძაღლებისათვის პოლკის მკურნალ ტიმოშკას მეთვალყურეობით და განყოფილება. სადაც კეთილშობილი ძუკნები ლეკვებს ჰყრიდნენ და მათ ძუძუს აწოვებდნენ. კირილე პეტრეს-ძეს ამ შვე-

ნიერი დაწესებულებით თავი მოსწონდა და არასოდეს არ გაუშვებდა შემსრუტავს, რომ სტუმრებთან იმით არ დაეკეხნა, თუმცა თითოეულ მათგანს რაღაც მინც ჰქონდა ნახული საძალღე. სტუმრებშემოხვეული ტროეკურნი მთავარი მეძალღეებისა და ტიმოშკას თანხლებით, საძალღეში დადიოდა; ზოგიერთი ძაღლის ხუხულასთან ჩერდებოდა, ხან ავადმყოფი ძაღლების ჯანმრთელობას ჰკითხულობდა და, ხან მეტად თუ ნაკლებად, მკაცრსა და სამართლიან შენიშვნებს იძლეოდა, ხან ნაცნობ ძაღლებს მოუხმობდა და ალერსიანად ესაუბრებოდა. სტუმრები თავს ვალდებულად სთვლიდნენ კირილე პეტრეს-ძის საძალღეთი აღფრთოვანებულიყვნენ, ხოლო ღუმბროვსკი სდუმდა და იღუშებოდა. იგი ვატაცებული მონადირე იყო. შეძლება მას ნებას აძლევდა მხოლოდ ორი-ოდე მეძებარი და მწვეარი ჰყოლოდა. მას არ შეეძლო ერთგვარი შური არ აღძვროდა ამ დიდებული დაწესებულების ნახვისას.

— მშაო, რას იღუშები, — ჰკითხა კირილე პეტრეს-ძემ, — ჩემი საძალღე არ მოგწონს?

— არა, — უპასუხა მან პირქუშად, — საძალღე საუცხოოა, არა მგონია, რომ თქვენ შინაყმებს ისეთივე ცხოვრება ჰქონდეთ, როგორც თქვენს ძაღლებსა აქვთ.

ერთერთ მეძალღეს ეს ეწყინა.

— ჩვენს ცხოვრებას, — სთქვა მან, — ღვთისა და ბატონის წყალობით, არ ვემღურიოთ; რაც მართალია, მართალია, ზოგიერთ აზნაურს არაფერი დაუშავდებოდა, რომ თავისი კარმიდამო რომელიმე აჭაურ ძაღლის ხუხულაზე გაეცევა. იგი უფო მაძირად და თბილად იქნებოდა.

კირილე პეტრეს-ძემ ხამაძლა გაიცინა თავისი ყურმოჭრილი ყმის თავხედ შენიშვნაზე, სტუმრებმაც გაიცინეს, თუმცა გრძნობდნენ, რომ მეძალღის ზუმრობა შეიძლება მათაც შეხებოდა. ღუმბროვსკი გაფითრდა და კრინტი არ დაუძრავს.

ამ დროს კირილე პეტრეს-ძეს მიუყვანეს ახლდაყრილი ლეკვები, რომლებსაც თვალეირება დაუწყო, ორი ამოირჩია. დანარჩენების წყალში გადაყრა ბრძანა. ამასობაში ანდრია გაბრიელის-ძე მიიშალა, და ეს არაფის შეუნიშნავს.

კირილე პეტრეს-ძე სტუმრებთან ერთად საძალღედან რომ დაბრუნდა და ეახშმად დაჯდა, მხოლოდ მაშინ იკითხა ღუმბროვსკი, რომელიც თვალში დააყლდა.

შინაყმებმა უპასუხეს, ანდრია გაბრიელის-ძე შინ გამგზავრაო. ტროეკუროვ-შა ბრძანა — ახლავე დასწოვდნენ მას და აუცილებლად დაებრუნებინათ. ტროეკუროვი მის დღეში არ გამგზავრებულა სანადიროდ, თუ თან არ ახლდა ღუმბროვსკი, გამოცდილი და იშვიათი დამფასებელი ძაღლთა ღირსებებისა და მონადირეთა ყოველგვარი დავის შეუცდომლად გადამწყვეტი. ჯერ კიდევ სუფრას უსხდნენ, რომ მსახური, რომელიც ცხენით დაედევნა ღუმბროვსკის, დაბრუნდა და ბატონს მოახსენა, ანდრია გაბრიელის-ძემ დაბრუნება არ ისურვაო. კირილე პეტრეს-ძე, ჩვეულებისამებრ ნაყენით შეხურებული, გაჯავრდა და იგივე მსახური კვლავ დაადევნა ანდრია გაბრიელის-ძეს და დააბარა, თუ ახლავე არ დაბრუნდები პოკროვსკოვში ღამის გასათევად, სამუდამოდ დაგმდურებო. მსახური ისევ გაეშურა ცხენის ჰენებით. კირილე პეტრეს-ძე სუფრიდან ადგა, სტუმრები გაუშვა და დასაძინებლად წავიდა.

მეორე დღეს მისი პირველი კითხვა იყო: ანდრია გაბრიელის-ძე აქ არისო? პასუხის მაგივრად მას მიართევს სამკუთხედად დაკეცილი წერილი. კირილე

პეტრეს-ძემ უბრძანა თავის მწერაეს ხმამალა წაეეთხა წერილი და მისი მინა შემდეგი:

ეროვნულნი  
ნიგლნიქნიქნი

„ჩემო ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევე,  
მე არა მაქვს პოკროვსკოეში ჩამოსვლის სურვილი მანამდე, სანამ არ გამოიგზავნით მეძალე პარამოშკას დანაშაულის აღიარებისათვის; ჩემი ნება იქნება, დავსჯი თუ შევიწყნარებ მას. თქვენი ყურმოპრილი ყმებისაგან ხუმრობის ატანის სურვილი მე არა მაქვს, ამას არც თქვენ მშგითმენთ—იმიტომ რომ მე მასხარა კი არა ვარ, არამედ ძველი აზნაური. ამით დავშთები თქვენი მონა-მორჩილი ანდრია ღებროვსკი“.

ეტიკეტისადმი ახლანდელი წარმოდგენის მიხედვით ეს წერილი მეტად უბრძელი იქნებოდა, მაგრამ მან კირილე პეტრეს-ძე გააგულისა არა უცნაური სტილით და განწყობილებით, არამედ მხოლოდ თავისი შინაარსით.

— როგორ, — დაიღრიალა ტროეკუროვმა და ლოგინიდან ფეხშიშველი წამოხტა, — გაუგზავნო მას შინაყმები დანაშაულის აღიარებისათვის, და მისი ნება იყო მათი შეწყნარება, დასჯა! — მართლაც, ეს რა განუზრახავს; იცის თუ არა, ვისთან აქვს საქმე, მე მას... სატირლად გაუხდი საქმეს, გაიგებს, რას ნიშნავს ტროეკუროვის წინააღმდეგ ამხედრება!

კირილე პეტრეს-ძემ ტანთ ჩაიყვა და თავისი ჩვეულებრივი მდიდრულობით სანადიროდ გაემგზავრა. მაგრამ ნადირობა ჩაეფუშა. მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი კურდღელი დაინახეს და ისიც გაექცათ. მინდორში კარვის ქვეშ სადილობაც არ გამოუვიდათ, ეს კირილე პეტრეს-ძეს არ მოეწონა. მზარეული გალახა, სტუმრები დალანძლა და შინ დაბრუნებისას მთელი მონადირეთა ჯგუფით განზრახ ღებროვსკის მინდერებზე გადაიარა.

რამდენიმე დღე გავიდა, და მტრობა ამ ორ მეზობელ შორის არ ცხრებოდა. ანდრია გაბრთელის-ძე პოკროვსკოეში არ ბრუნდებოდა, — კირილე პეტრეს-ძე უმისოდ მოწყენილი იყო, და მისი წყენა ხმამალა იღვრებოდა უღარესად შეურაცხყოფელ გამოთქმებში, რაც იქაური აზნაურების გულმოდგინეობის წყალობით შესწორებული და შეესებოდა ღებროვსკამდე აღწევდა. ახალმა გარემოებამ შერიგების უკანასკნელი იმედიც გააქარწყლა.

ერთხელ ღებროვსკი თავის პატარა სამფლობელოს ათვალეირებდა; არცია-ნის დალას რომ მიუახლოვდა, გაიგონა ნაჯახის კაკუნი და წუთის შემდეგ ხის დაცემა. ჭალისაკენ გაეშურა და მიუსწრო პოკროვსკოელ გლეხებს, რომლებიც მშვიდად იპარადნენ მის ტყეს. ღებროვსკის დანახავზე, გაქცევა დააპირეს. მან თავისი მეეტლის დახმარებით ორი მათგანი დაიჭირა და გაააწრულნი თავის ეზოში მიიყვანა. გამარჯვებულს დარჩა აქვე დავლად მტრის სამი ცხენი. ღებროვსკი ძალიან გულმოსული იყო, აქამდე ტროეკუროვის შინაყმები, ცნობილი ყაჩაღები, მისი ადგილმამულის ფარგლებში ცელქობას ვერ ბედავდნენ, იცოდნენ ღებროვსკის მეგობრული განწყობილება ტროეკუროვთან. ანდრია გაბრთელის-ძე ხედავდა, რომ ახლა ისინი სარგებლობდნენ მოშხდარი განხეთქილებით, და გადასწყვიტა, ომის უფლებავზე ყოველგვარი წარმოდგენის წინააღმდეგ, ჰკუა ესწავლებინა თავისი ტყვეებისათვის წაებლებით, რომლებიც მათ მისსავე ჭალაში მოიშადეს, ცხენები კი სამუშაოდ გაეგზავნა და თავისი საქონლისათვის მიეწერა.

ეს ამბავი იმ დღესვე მიუტანეს კირილე პეტრეს-ძეს. იგი ძლიერ გაცეცხლდა და განრისხების პირველ წუთებში მზად იყო შინაყმებით დასცემოდა კისტუნეკას (ეს სახელი ერქვა ღებროვსკის სოფელს), დაერბია იქაურობა, თვი-



თონ მემამულესათვის კი ალყა შემოერთყა და მისსავე მამულში ჩაეჩუშებინა. ასეთი გმირობა ტროეკუროვისაგან გასაკვირი არ იყო. მაგრამ მისი მამულში მალე სხვა მიმართულება მიიღეს.

დარბაზში მძიმე ნაბიჯებით ბოლთას რომ სცემდა, უეტრად ფანჯარაში გაიხედა და დაინახა ალყაფის კარებთან გაჩერებული სამცხენა; პატარა კაცი ჩიხაქუდითა და ფრინის მაზარით ფორანიდან გადმოვიდა და ფლიგელში შევიდა მოურავთან; ტროეკუროვმა იცნო თანამსაჯული შაბაშკინი და ბრძანა მასთან მიეყვანათ. ერთ წუთში შაბაშკინი უკვე კირილე პეტრეს-ძის წინაშე იდგა, ზედზედ თავს უკრავდა და მოწინებებით მის ბრძანებას უცდიდა.

— გამარჯობა, რა გქვია შენ, — უთხრა მას ტროეკუროვმა, — რისთვის მობრძანებულხარ?

— მე ქალაქს მივემგზავრებოდი, თქვენო აღმატებულება, — უპასუხა შაბაშკინმა, — და ივანე დემიანოვთან შემოვიარე იმის გასაგებად, რაიმე ბრძანება ხომ არ იქნებოდა თქვენი აღმატებულებისაგან.

— მარჯვე დროს მოხვედი, რა გქვია შენ; მკირღები, არაყი გადაკარი და მომისმინე.

ასეთმა აღერსიანმა მიღებამ თანამსაჯული სასიამოვნოდ გააკვირვა. არყის დაღვეაზე უარი სთქვა და კირილე პეტრეს-ძეს მთელი არსებით უსმენდა.

— მე მყავს მეზობელი, — სთქვა ტროეკუროვმა, — წვრილმამულიანი, უზრდელი კაცი. მინდა მამული ჩამოვართვა, — რას ფიქრობ ამის შესახებ?

— თქვენო აღმატებულება, თუ არის რაიმე საბუთი, ან...

— სტყუი, ძმაო, რის საბუთები გკირღება. ამისთვის არის ბრძანებები. ძალა სწორედ იმაშია, რომ ყოველგვარი უფლების გარეშე მამული წაართვა. მაგრამ დაცა. ოდესღაც ეს მამული ჩვენ გვეკუთვნოდა, ვილაც სპიციინისაგან ვიყიდეთ და მერე მივეყიდეთ დუბროვსკის მამას. ხომ არ შეიძლება, ამაზე შარი მოვღოთ?

— ძნელია, თქვენო აღმატებულება; ეს გაყიდვა, ალბათ, კანონიერი წესით მოხდა.

— დაფიქრდი, ძმაო, რამე გაახერხებ.

— მაგალითად, თქვენო აღმატებულება, რომ შეგძლებოდათ როგორმე თქვენი მეზობლისაგან გეშოვნათ სიგელი, რის ძალითაც იგი თავის ქონებას ჰფლობს, მაშინ, რასაკვირველია...

— მესმის, უბედურებაც ეს არის — მას ხანძრის დროს ყველა საბუთი დაეწვა.

— როგორ, თქვენო აღმატებულება, საბუთები დაეწვა? ამაზე უკეთესი რა იქნება — ამ შემთხვევაში ინებთ მოქმედება კანონების შესაბამისად და უეჭველად მიიღებთ თქვენს სრულ დაკმაყოფილებას.

— შენ ასე ფიქრობ? აბა, გაფრთხილებ. შენი ერთგულების იმედი მაქვს. ჩემგან კი, დარწმუნებული იყავი, მაღლობა არ მოგაკლდება.

შაბაშკინმა თითქმის მიწამდე თავი დაუტრა და გავიდა; იმავე დღიდან დაიწყო ზრუნვა განზრახული საქმის გამო და თავისი სიმარჯვის წყალობით სწორედ ორი კვირის შემდეგ დუბროვსკიმ მიიღო მიწვევა ქალაქიდან, დაუყოვნებლივ წარედგინა სათანადო ახსნა-განმარტება, რის საფუძველზე ჰფლობდა იგი სოფელ კისტენევკას.

მოულოდნელი შეკითხვით გაოცებულმა ანდრია გაბრიელის-ძემ იმავე დღეს გაგზავნა საკმაოდ უხეში პასუხი, რომელშიც აცხადებდა: სოფელურ კონსტრუქციულ-დამარჩა განსვენებული მამის სიკვდილის შემდეგ და მას პედაგოგიკურ-მეცნიერების უფლებებით, ტროეკუროვს ჩემს მიმართ არაფერი საქმე არა აქვს და სხვა ვინმეს მიერ უფლების განცხადება ჩემ საკუთრებაზე არის შარი და თაღლითობაო.

ამ წერილმა თანამსაჯულს შაბაშკინზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. მან დაინახა, ჯერ ერთი, რომ ღუბროვსკი საქმეებში ვერ ერკვეოდა, მეორეც, ასე ფიცები და წინდაუხედავი ადამიანის უღარესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება ძნელი არ იქნებოდა.

ანდრია გაბრიელის-ძემ მშვიდად რომ გაარჩია თანამსაჯულის შეკითხვები, საჭიროდ დაინახა უფრო საფუძვლიანად ეპასუხა. მან დასწერა საკმაოდ საქმიანი ქაღალდი, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, არასაკმარისი აღმოჩნდა.

საქმე გაგრძელდა. თავის სიმართლეში დარწმუნებული ანდრია გაბრიელის-ძე ამისთვის თავს დიდად არ იწუხებდა. არც ხალისი, არც შესაძლებლობა ჰქონდა იმისა, რომ თავის გარშემო ფული ეფანტა, თუმცა ხშირად დასცილნოდა ხოლმე მელნის მოდგმის სინდისის გამყიდველობას, მაგრამ არასდროს ფიქრად არ მოსვლია, რომ ცილისწამების მსხვერპლი თვითონ გახდებოდა. თავის მხრივ, ტროეკუროვიც ასევე ნაკლებად ზრუნავდა თავის მიერ წამოწყებული საქმის მოგებისათვის—მის მაგიერ შაბაშკინი ირჯებოდა, მისი სახელით მოქმედებდა, მოსამართლეებს აშინებდა და ქრთამავდა, ყოველგვარ ბრძანებულებას წაღმა-ტყელმა განმარტავდა. ასე იყო თუ ისე, 18.. წლის 9 თებერვალს ღუბროვსკიმ ქალაქის პოლიციის უწყება მიიღო გამოცხადებულიყო\*\* მაზრის მოსამართლესთან გადაწყვეტილების მოსასმენად პორუჩიკი ღუბროვსკისა და გენერალ—ანშეფის ტროეკუროვის საქმეზე სადაო მამულის შესახებ და ხელი მოეწერა, ეთანხმებოდა თუ არა ამ გადაწყვეტილებას. იმავე დღეს ღუბროვსკი ქალაქს გაემგზავრა; გზაში მას ტროეკუროვმა გაუსწრო, ამაყად გადახედეს ერთმანეთს, და ღუბროვსკიმ თავისი მოწინააღმდეგის სახეზე ღვარძლიანი ღიმილი შენიშნა.

## თავი მეორე

ანდრია გაბრიელის-ძე ქალაქში რომ ჩავიდა, ნაცნობ ვაჭართან დაბინავდა. ღამე მასთან გაათია და მეორე დღეს მაზრის სასამართლოში გამოცხადდა. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მას კვალდაკვალ მიჰყვა კირილე პეტრეს-ძე, მწერალები წამოდგნენ და კალმები უურსუკან გაიჩარეს, წვერები შეხედნენ მას დიდი პირმოთნეობის გამოხატვით. სავარძელი მიუწიეს მისი წოდების, ხნოვანებისა და წარმოსადგობისადმი პატივისცემის ნიშნად; იგი ღია კარებში დაჯდა, ანდრია გაბრიელის-ძე ფეხზე დამდგარი კედელს მიეყრდნო—ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა და მდივანმა ქლეროვანი ხმით დაიწყო სასამართლოს დადგენილების კითხვა.

მას მთლიანად ვათავსებთ, მგონია ყოველ ადამიანს სასიამოვნოდ დარჩება გაეცნოს ერთერთ საშუალებას, რითაც რუსეთში შეგვიძლია დაგვარგოთ მამული, რომლის მფლობელობაზე უდავო უფლება გვაქვს.





„18.. წლის თებერვლის .. დღესა .. მაზრის სასამართლომ განიხილვ საქმე  
 იმის შესახებ, რომ გვარდიის პორუჩიკი ანდრია გაბრიელის-მჭედმჭედისკი  
 არაკანონიერად ჰფლობდა მამულს, რომელიც ვეუთენის გენერალ-ანშეფის  
 კირილე პეტრეს-მე ტროეკუროვს, რომელიც მდებარეობს .. გუბერნიის სო-  
 ფელ კისტენევეკაში და შესდგება მამრობითი სქესის .. სულისაგან, .. დესეტი-  
 ნა მიწისაგან მდებარეობით და ადგილმამულებით. ამ საქმიდან ჩანს: ხსენებულ-  
 მა გენერალ-ანშეფმა ტროეკუროვმა გასული 18.. წლის .. 9 დღესა შემოიტა-  
 ნა თხოვნა ამა სასამართლოში შესახებ იმისა, რომ 17 .. წლის აგვისტოს 14  
 დღესა განსვენებულმა მამამისმა, კოლეგიის ასესორმა და კავალერმა, პეტრე  
 ექვთიმეს-მე ტროეკუროვმა, რომელიც იმ დროს საგუბერნიო სამმართველოში  
 მსახურობდა პროვინციის მდივნად, შეიძინა 2.500 მანეთად აზნაურთაგან კან-  
 ცელარისტ ფადეი ვგორის-მე სპიციინისაგან მამული, მდებარე .. მაზრის ხსე-  
 ნებულ სოფელ კისტენევეკაში, რომელი სოფელიც მამინ აღწერის მიხედვით  
 იწოდებოდა კისტენევეკის ახალშენებად, სადაც ირიცხებოდა მეოთხე აღწერით  
 მამრობითი სქესის .. სული, გლეხთა მთელი ჭონებით, კარმიდამოთი, უხნავ-  
 ნანხავი მიწებით, ტყეებით, სათიბით, სათევზაო ადგილებით კისტენევეკად  
 წოდებულ პატარა მდინარეზე და ამა მამულის ყველა კუთვნილი ადგილმამუ-  
 ლით და ბატონის ხის სახლით, ერთი სიტყვით, ყველაფერი უკლებლივ, რაც  
 მას მამამისისაგან აზნაურთაგან ათისთავ ვგორ ტერენტის-მე სპიციინისაგან  
 მემკვიდრეობით დარჩა და მის მფლობელობაში იყო, არ დაუტოვებია რა ში-  
 ნაუმებისაგან არც ერთი სული და მიწის არც ერთი ნაკვეთი, რაზედაც იმავე  
 დღეს .. სასამართლოსა და განჩინების პალატაში შედგენილი იქნა ნასყიდობის  
 სიგელი და მამამისი მაშინვე აგვისტოს 26 დღესა .. მაზრის სასამართლოს მიერ  
 შეყვანილი იქნა მფლობელობაში და მამული ჩაბარდა მას. ბოლოს 17.. წლის  
 სექტემბრის 6 დღესა მამამისი ღვთის ნებით მიიცვალა, ამასობაში მოხონელი  
 გენერალ-ანშეფი ტროეკუროვი 17.. წლიდან თითქმის ბავშვობიდანვე სამ-  
 ხედრო სამსახურში იმყოფებოდა და მეტწილად იყო ლაშქრობაში საზღვარ-  
 გარეთ, რის გამოც მას არ შეეძლო ჰქონოდა ცნობები, როგორც თავისი მამის  
 სიკვდილისა, აგრეთვე მისი გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ჭონების შე-  
 სახებ. ამჟამად კი ამა სამსახურიდან გადადგომისა და თავისი მამის მამულებ-  
 ში დაბრუნების შემდეგ, რომელი მამულებიც მდებარეობენ .. და .. გუბერნიებ-  
 ში კ .. -სა, პ...-სა და რ...-სა მაზრებში, სხვადასხვა სოფლებში, სულ სამი ათასი  
 სული, გენერალ ანშეფი ტროეკუროვი აღმოაჩენს, რომ ასეთ მამულთა რიცხ-  
 ვიდან ზემოთაღწერილ სულებს (რომლებიც ახლანდელი .. აღწერის მიხედვით  
 ირიცხება იმა სოფელში სულ .. სული) მიწითა და ყველა ადგილმამულით  
 ჰფლობს ყოველგვარი დამტკიცების გარეშე ზემოდასახელებული გვარდიის  
 პორუჩიკი ანდრია დუბროვსკი, ამიტომ არღვეს რა ამა თხოვნისთან ნამდვილ  
 ნასყიდობის სიგელს, რომელიც მამამისს მისცა გამყიდველმა სპიციინმა, ითხოვს  
 ხსენებული მამული ჩამოერთვას დუბროვსკის არაკანონიერი მფლობელობი-  
 დან და გადაეცეს კუთვნილებისამებრ მას—ტროეკუროვს, სრულ განკარგულე-  
 ბაში. ამა არაკანონიერი მისაკუთრების გამო, რითაც იგი სარგებლობდა ყოველ-  
 წლიური შემოსავლით, ამის შესახებ სათანადო მოკვლევის შედეგად დაედოს  
 მას, დუბროვსკის, კანონებით დაწესებული გადასახდელი და ამით დაკმაყო-  
 ვილებულ იქნას იგი, ტროეკუროვი.

.. მაზრის სასამართლოს მიერ ამა თხოვნის გამო ჩატარებული კვლევა-ძიების  
 შედეგად დადგენილი იქნა: რომ სადაო მამულის ხსენებულმა ახლანდელმა

მფლობელმა გვარდიის პორუჩიკმა დუბროვსკიმ მისცა აზნაურთა წარმომადგენელს ადგილობრივ ახსნა-განმარტება, რომ ამჟამად მის მფლობელს აქვს მხოლოდ ერთი მამული, მდებარე აღნიშნულ სოფელ კისტენევეკაში, .. სული მიწითა და ადგილმამულებით, დარჩა მას შემკვიდრებით თავისი მამის, არტილერიის პოდპორუჩიკის გაბრიელ ევგრაფის-ძე დუბროვსკის სიკვდილის შემდეგ, განსვენებულმა კი ეს მამული შეიძინა ამა მთხოვნელის მამისაგან, ტროეკუროვისაგან, რომელიც ჯერ იყო პროვინციის მდივანი, მერე კი კოლეგიის ასესორი, 17.. წლის აგვისტოს 30 დღესა მეცხრე კლასის მოხელე გრიგოლ ვასილის-ძე სობევევისთვის მიცემული .. მაზრის სასამართლოში შემოწმებული მინდობილობით, რომლითაც მისგან უნდა ჰქონდეს მამამისს ამ ქონებაზე ნასყიდობის სიგელი, იმიტომ რომ ამა მინდობილობაში ნათქვამია, რომ მან, ტროეკუროვმა, კანცელარისტ სპიცინისაგან ნასყიდობის სიგელით მიღებული მთელი ქონება, .. სული მიწით, მიჰყიდა მამამისს, დუბროვსკის, და ხელშეკრულებით ხვედრი ფული, 3.200 მანეთი მთლიანად მიიღო მამამისისაგან დაუბრუნებლად და სთხოვა ამა რწმუნებულს სობოლევს მიეცა მამამისისთვის კანონიერი ნასყიდობის სიგელი. ამასთან ამავე მინდობილობით მთელი თანხის გადახდის შემთხვევაში მამამისს უფლება ენიჭებოდა დაუფლებოდა ამ მისგან ნაყიდ მამულს და ესარგებლა მით ამ ნასყიდობის სიგელის შედგენამდე, როგორც ნამდვილ მფლობელს, იგი კი, ვამყიდველი ტროეკუროვი, არც სხვა ვინმე ამიერიდან ამ მამულს არ დაპატრონებოდა.

მაგრამ სახელდობრ როდის და რომელ სახელმწიფო დაწესებულებაში ასეთი ნასყიდობის სიგელი რწმუნებულმა სობოლევმა მისცა მამამისს, მან, ანდრია დუბროვსკიმ, არ იცის, ვინაიდან მაშინ საეხებით მცირეწლოვანი იყო და მამის სიკვდილის შემდეგ ასეთი ნასყიდობის სიგელის პოვნა ვერ შესძლო; ანდრია დუბროვსკი ფიქრობს, იქნებ ეს სიგელი სხვა საბუთებთან და ქონებასთან ერთად დაიწვაო 17.. წელს მათს სახლში გაჩენილი ხანძრის დროს, რის შესახებაც იცოდნენ ამა სოფლის მცხოვრებლებმაც. და რომ იმ დღიდან, რაც ეს მამული ტროეკუროვმა გაჰყიდა ან სობოლევს მინდობილობა მისცა, ე. ი. 17.. წლიდან, მამამისის სიკვდილის შემდეგ კი 17.. წლიდან და დღემდე, ამ მამულს ისინი, დუბროვსკები უდავოდ ჰფლობდნენ, ამას ამოწმებენ მეზობლები, რომლებმაც სულ 52 კაცმა, ფიციქვეშ დაკითხვის დროს ჩვენება მოგვცეს, რომ ნამდვილად, როგორც მათ ახსოვთ, დუბროვსკები აღნიშნული სადაო მამულის მფლობელობას შეუდგნენ სამოცდაათი წლის წინათ ვინმეს მხრივ ყოველგვარი დავის გარეშე, მაგრამ სახელდობრ რა აქტითა და ნასყიდობის სიგელით, ეს მათ არ იციან. ამ საქმის გამო დასახელებული ამ მამულის წინანდელი მყიდველი, პროვინციის ყოფილი მდივანი პეტრე ტროეკუროვი, ჰფლობდა თუ არა ამ მამულს, მათ არ ახსოვთ. ბ. ბ. დუბროვსკების სახლი ოცდაათი წლის წინათ მათ მამულში დამით გაჩენილი ხანძრისაგან დაიწვა, ამანთან გარეშე პირებმა დაამტკიცეს, რომ აღნიშნულ სადავო მამულს შეუძლია მოგვცეს შემოსავალი, იმ დროიდან საერთოდ თუ ვიანგარიშებთ, ყოველწლიურად არახაკლებ 2.000 მანეთისა.

ამის საწინააღმდეგოდ გენერალ-ანშედმა კირილე პეტრეს-ძე ტროეკუროვმა ამა წლის 3 იანვარს შემოიტანა ამა სასამართლოში თხოვნა: თუმცა დასახელებულმა გვარდიის პორუჩიკმა ანდრია დუბროვსკიმ წარმოადგინა ამ საქმის გამო გამოძიების წარმოების დროს განსვენებული მამამისის გაბრიელ დუბროვსკის მიერ მეცხრე კლასის მოხელისათვის მიცემული მინდობილობა მისთვის



მიყიდულ ქონებაზე, მაგრამ ამა მინდობილობით არა თუ ნამდვილი ნასყიდობის სიგელი, არამედ ნასყიდობის სიგელის ოდესმე შედგენაზე არაა საბუთი არ წარმოდგენია გენერალური რეგლამენტის 19 წლის ნოემბრის 29 დღის ბრძანებულების საფუძველზე. მაშასადამე, თვით მინდობილობა ამჟამად მისი მიმცემის, მამამისის, სიკვდილის გამო 1818 წლის მამისის .. დღის ბრძანებულების თანახმად სრულიად ბათილდება— ამას გარდა—ნაბრძანებია სადაო მამულები გადაეცეს მფლობელობაში—ნასყიდობისიგელიანი ნასყიდობის სიგელის მიხედვით, არანასყიდობისიგელიანი მოკვლევის მიხედვით. ამ მამულზე, რომელიც მამამისს ეკუთვნოდა, წარმოდგენილია უკვე მისგან საბუთად ნასყიდობის სიგელი, რომლის მიხედვით, აღნიშნული კანონთა საფუძველზე, ხსენებულ დუბროვსკის უკანონო მფლობელობიდან უნდა ჩამოერთვას მამული და მეკვდილდროების უფლებით გადაეცეს იგი ტროეკუროვს. ვინაიდან აღნიშნული შემამულებები, ჰფლობდნენ რა მათ არაკუთვნილ მამულს ყოველგვარი ნასყიდობის გარეშე, სარგებლობდნენ უკანონოდ მათი არაკუთვნილი შემოსავლით გაანგარიშების შემდეგ, რამდენიც ვალად დაედება შემამულე დუბროვსკის .. ამით დაკმაყოფილდეს იგი, ტროეკუროვი. ამ საქმის განხილვისა და ამა საქმიდან და კანონებიდან ამონაწერების გაკეთების შემდეგ .. მაზრის სასამართლოში განჩინებულია:

როგორც ამ საქმიდან ჩანს სრულმა გენერალ-ანშეფმა კირილე პეტრეს-ძე ტროეკუროვმა ამ აღნიშნულ სადაო მამულზე, რომელიც ამჟამად გვარდიის პორუჩიკის ანდრია გაბრიელის-ძე დუბროვსკის მფლობელობაშია და მდებარეობს სოფელ კისტენეკაში, ახლანდელი .. აღწერით სულ მამრობითი სქესის .. სული, მიწითა და ადგილმამულებით, წარმოადგინა ნამდვილი ნასყიდობის სიგელი, რომ განსვენებულმა მამამისმა, პროვინციის მდივანმა, რომელიც შემდეგ კოლეგიის ასესორი იყო, 17.. წელს ეს მამული იყიდა აზნაურთაგან კანცელარისტ ფადეი სპიცინისაგან; და რომ ამას გარდა ეს მყიდველი, როგორც ჩანს იმ ნასყიდობის სიგელზე გაკეთებულ წარწერიდან, იმავე წელს .. მაზრის სასამართლოს მიერ შეყვანილია მფლობელობაში და მამული მას ჩაბარებული აქვს. და თუმცა ამის საწინააღმდეგოდ გვარდიის პორუჩიკის ანდრია დუბროვსკის მიერ წარმოდგენილი იქნა მინდობილობა იმ გარდაცვლილი მყიდველის, ტროეკუროვის მიერ მეცხრე კლასის მოხელე სობოლევსისთვის მიცემული ნასყიდობის სიგელის შესადგენად მამამისის, დუბროვსკის სახელზე; მაგრამ ასეთი გარიგებით აკრძალულია არა თუ ნასყიდობისიგელიანი უძრავ ქონებათა დამტკიცება, არამედ დროებითი მფლობელობაც... განკარგულებით, ამასთანავე თვით მინდობილობა ამა მინდობილობის მიმცემის სიკვდილით სრულიად ბათილდება.—მაგრამ დუბროვსკის მხრივ დღიდან ამ საქმის წარმოებისა, ე. ი. 18.. წლიდან დღემდე წარმოდგენილი არაა არავითარი აშკარა საბუთი იმის შესახებ, რომ ამ მინდობილობით აღნიშნულ სადაო მამულზე ნამდვილად ყოფილიყოს შედგენილი ნასყიდობის სიგელი სადმე და ოდესმე. ამიტომ ამა სასამართლოს მიანჩნია: აღნიშნული მამული, .. სული, მიწითა და ადგილმამულებით, როგორ მდგომარეობაშიც იგი მამული აღმოჩნდება, დაუშტკიცდეს მასზე წარმოდგენილი ნასყიდობის სიგელის მიხედვით გენერალ-ანშეფს ტროეკუროვს; მიეწეროს ბრძანება .. მაზრის სასამართლოს ამ მამულზე განკარგულების უფლება ჩამოართვას გვარდიის პორუჩიკ დუბროვსკის და მის მავიერ მფლობელობაში სათანადოდ შეყვანილი იქნას ბ. ტროეკურო-



ვი და მას ჩაბარდეს მიმული, რომელიც შემკვიდრებობით დარჩა. თუმცა ამას გარდა გენერალ-ანშეფი ტროეკუროვი ითხოვს თავისი სამემკვიდრეო მემკვიდრისა და მისი შემოსავლის უკანონო სარგებლობის გამო აღდგენილ მემკვიდრეს პორუჩიკს დუბროვსკის, მაგრამ ვინაიდან ეს მიმული, ძველ მცხოვრებთან ჩვენებით, იყო რამდენიმე წლის განმავლობაში ბ. ბ. დუბროვსკების უდავო მფლობელობაში და ამა საქმიდან არა ჩანს, რომ ბ. ტროეკუროვის მხრივ დღემდე ყოფილიყო რაიმე თხოვნა დუბროვსკების მიერ ამ მიმულის ასეთი უკანონო მფლობელობის შესახებ; ამასთანავე დებულებით ნაბრძანებია, თუ ვინმე მიწას დასთესავს ან კარმიდამოს შემოლობავს და ამაზე არაკანონიერი მითვისების გამო აღძრავენ საჩივარს და ეს გამოძიებით დამტკიცდება, მაშინ მართალს მიეცეს იგი მიწა დათესილი პური, მოლობილობითა და ნაგებობით, ამიტომ გენერალ-ანშეფ ტროეკუროვს გვარდიის პორუჩიკის მიმართ აღძრულ საჩივლზე უარი ეთქვას, ვინაიდან მისი კუთვნილი მიმული მას უბრუნდება მფლობელობაში უკლებლივ. თუ მფლობელობაში მისი შეყვანის დროს ყველაფერი უკლებლივ აღმოჩნდება, მიუხედავად ამისა გენერალ-ანშეფ ტროეკუროვს უფლება ეძლევა, თუ ეჭნება ამ თავისი პრეტენზიისათვის რაიმე ამკარა და კანონიერი საბუთი, ითხოვოს ამის შესახებ ცალკე სადაც ჯერ არს. დადგენილება წინასწარ გამოცხადოს როგორც მოსარჩელეს, აგრეთვე მოპასუხეს, კანონიერ საფუძველზე სააპელაციო წესით; ისინი გამოძახებული იქნან პოლიციის საშუალებით ამ სასამართლოში ამა დადგენილების მოსასმენად და ხელმოსაწერად, კმაყოფილი არიან თუ არა ამ დადგენილებით.

ამ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა სასამართლოს ყველა დამსწრემ.

მდივანი დადუნდა, თანამსაჯული ადგა და დაბალი ხალამით მიმართა ტროეკუროვს, მიიწვია მოეწერა მიწოდებულ ქაღალდზე, და გამარჯვებულმა ტროეკუროვმა გამოართვა მას კალამი და ხელი მოაწერა სასამართლოს დადგენილებას, რომ მით სავსებით კმაყოფილი იყო.

ახლა დუბროვსკის ჯერი იყო. მდივანმა ქაღალდი მიუტანა, მაგრამ დუბროვსკი უძრავად იდგა თავდახრილი.

მდივანმა განმეორებით სთხოვა ხელი მოეწერა დადგენილებაზე, მით კმაყოფილი იყო თუ არა იგი, თუ მოლოდინის წინააღმდეგ გრძნობს სინდისის ქვეშ, რომ ამ საქმეში მართალია და განზრახული აქვს კანონით დაწესებულ ვადაში ითხოვოს აპელაცია სადაც ჯერ არს.

დუბროვსკი სდუმდა... უეცრად თავი ასწია, თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა. ფეხები დააბაკუნა, მდივანს ისეთი ძალით ჰკრა ხელი, რომ ძირს დასცა, სამელნეს ხელი სტაცა და თანამსაჯულს ესროლა. ყველა საშინელებამ შეიპყრო. „როგორ! პატივი არ სცე საყდარს უფლისას! დაიკარგე, უზრდელთა მოდგმა!“—მერე მიუბრუნდა კირილე პეტრეს-ძეს: „გაგონილა, თქვენო აღმატებულებავ,—განავრძობდა იგი,—მეძალეებს ძაღლები უფლის საყდარში შეჰყავთ! ძაღლები საყდარში დარბიან! მაცალეთ, მე თქვენ ჰკუთას გასწავლით“... ხმაურობაზე დარაჯებმა მოიბრინეს და დუბროვსკი ძლივს დაიმორჩილეს, გამოიყვანეს და მარხილში ჩასვეს. მალე ტროეკუროვი წავიდა მთელი სასამართლოს თანხლებით. დუბროვსკის უეცარმა გაგვიებამ ტროეკუროვზე ძლიერ იმოქმედა და ზეიმი ჩაუშხამა. მოსამართლენი, რომელნიც მისგან მადლობას მოელოდნენ, ერთი გულთბილი სიტყვის ღირსნიც კი არ გახადა. იგი იმავე დღეს პოკროვსკოეს გაემგზავრა. ამ დროს დუბროვსკი ლოგინში იწვა. მაზრის მკურ-



ნალმა, საბედნიეროდ არა საესებით უვიცმა, მოასწრო მისთვის სისხლი გამოეშვა, წურბლები და ცოფის ბუზები დაესვა; ავადმყოფი კაპიტანი კი გახდა, გონს მოვიდა. მეორე დღეს წაიყვანეს კისტენეკაში, ზოგჯერ მას თითქმის აღარ ეკუთვნოდა.

### თავი მესამე

რამდენიმე ხანი გავიდა, საწყალი დუბროვსკი ჯერ კიდევ ვერ გამოკეთდა. მართალია, სიგიჟე უკვე აღარ უვლიდა, მაგრამ ძალღონე შესამჩნევად აკლდებოდა. თავისი წინანდელი საქმიანობა ავიწყლებოდა, ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა და მთელი დღე და ღამე ფიქრებს ეძლეოდა. ეგოროვნა, კეთილი მოხუცი ქალი, რომელიც ოდესღაც მის შვილს უვლიდა, ახლა მისი გადიაც გახდა. ეგოროვნა უვლიდა როგორც ბავშვს, მოაგონებდა ჭამასა და ძილს, აკმევდა და დასაძინებლად აწვენდა. ანდრია გაბრიელის-ძე გადიას მშვიდად ემორჩილებოდა, მის გარდა არავის იკარებდა. დუბროვსკის აღარ შეეძლო თავის საქმეებზე, სამეურნეო განკარგულებებზე ეფიქრა, და ეგოროვნამ საჯიროდ დაინახა ყველაფერი ახალგაზრდა დუბროვსკისათვის ეცნობებინა. იგი მსახურობდა გვარდიის ერთერთ ქვეით პოლკში, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იდგა. ეგოროვნამ ამოხია ფურცელი გასაელის დავთრიდან და კისტენეკის ერთადერთ ანაბანას მცოდნეს მზარეულ ხარიტონს უკანახა წერილი, რომელიც იმავე დღეს ქალაქის ფოსტაში გაგზავნა.

მაგრამ დროა ჩვენი მოთბრობის ნამდვილი გმირი გავაცნოთ მკითხველს. ვლადიმერ დუბროვსკი იზრდებოდა კადეტთა კორპუსში და გამოუმეხული იქნა კორნეტად გვარდიის; მამა არაფერს არ იშურავდა, რათა შვილი კარგად შეენახა, და ახალგაზრდა კაცი სახლიდან იღებდა იმაზე მეტს, ვიდრე მოელოდა. იგი მფლანგველი და პატივმოყვარე იყო, თავისი ქინის დასაკმაყოფილებლად ხარჯს არ ერიდებოდა; ბანქოს თამაშობდა და ეალში ვარდებოდა; მომავლისთვის არა ზრუნავდა იმის იმედით, რომ, აღრე თუ გვიან, მდიდარ ცოლს შეირთავდა, ასეთია ოცნება ღარიბი ახალგაზრდობისა.

ერთხელ საღამოს მასთან რამდენიმე ოფიცერი იყო, ისინი დივანებზე წამოწოლილნი ქარგიან ჩიბუხებით თამბაქოს ამოლებდნენ. ამ დროს დუბროვსკის მისმა კამერდინერმა გრიშამ მიართვა წერილი, რომლის წარწერამ და ბეჭედმა ახალგაზრდა კაცი გააოცა. მან სასწრაფოდ გახსნა წერილი და შემდეგი წაიკითხა:

„ჩვენო ხელმწიფე, ვლადიმერ ანდრიას-ძე, — მე, შენმა მოხუცმა გადიამ, გავბეღე მოგახსენო მამის ჯანმრთელობის შესახებ. იგი ძალიან ცუდად არის, ზოგჯერ თავისთვის ლაბარაკობს და მთელი დღე სულელი ბავშვივით ზის — სიკვდილ-სიცოცხლე უფლის ნებაა. ჩამოდი ჩვენთან, ჩემო საყვარელო, ჩვენ ცხენებსაც გამოგიგზავნით პესოჩნოესთან — ხმები დადის მაზრის სასამართლო ჩამოღის ჩვენთან, კირილე პეტრეს-ძის ხელში რომ გადაგეცეს — იმიტომ რომ თქვენ იმის ხართ, ჩვენ კი უხსოვარი დროიდან თქვენი ვართ, — და ეს ჩვენ დღეში არ გამოვივნი. — შენ შეგეძლო, პეტერბურგში ცხოვრობ, ამის შესახებ მეფე-ბატონისათვის მოგეხსენებინა, იგი ჩვენს თავს არ დააჩაგრივინებდა. დაეშთები შენი ერთგული მონა-მორჩილი გადია არინა ეგორის ასული ბუზირევა.



ჩვენსკენ უკვე მეორე კვირაა წვიმს, და მწყემსი მოკვდა ნიკოლოზობის დღეებში. ვუგზავნი გრიშას ჩემ დედობრივ ლოცვა-კურთხევას ჩემს მწყემსს და გემახურება?"

არაჩვეულებრივად აღელვებულმა ვლადიმერ დუბროვსკიმ ეს საქმოდ უახრო სტრეიკონები რამდენჯერმე ზედიზედ წაიკითხა. მცირეწლოვანმა დაპყარგა დედა და მამას თითქმის არც კი იცნობდა, მერვე წელში იყო გადამღვარი, იგინ რომ პეტერბურგში ჩაიყვანეს; ყოველივე ამასთან ვლადიმერი რომანტიკულად იყო დაკავშირებული მამასთან და იმდენად უფრო უყვარდა ოჯახური ცხოვრება, რამდენადაც ნაკლებად მოასწრო მისი წყნარი სიხარულით დატყობა.

ფიქრი—დაპყარგოს მამა, გულს მწარედ უღრღნიდა. გადიას წერილით მიხვდა, როგორ მდგომარეობაში იყო საწყალი ავადმყოფი, და ეს შინის ხარის სცემდა. წარმოდგინა მამა, ყრუ სოფელში მიტოვებული, სულელი დედაბრისა და შინაყმების ხელში, მას რაღაც უბედურება მოელოდა, სულიერ და ხორციელ ტანჯვაში დაუხმარებლად ჰქრებოდა. ვლადიმერი თავს დამანაშავედ გრძნობდა, რომ მამას ყურადღებას ვერ აქცევდა. დიდი ხანია მამისაგან არავითარ ცნობას არ იღებდა და არ უფიქრია მისი ამბავი გაეგო. ფიქრობდა, აქეთ-იქით მგზავრობს, ან გართულია სამეურნეო საქმეებში.

ვლადიმერმა გადასწყვიტა კისტენეცკაში გამგზავრებულყოფი და სამსახურისთვისაც დაენებებინა თავი, თუ მამის ავადმყოფობა მასთან ყოფნას მოითხოვდა. დუბროვსკის მოუსვენრობა რომ შენიშნეს, ამხანაგები წავიდნენ. ვლადიმერი მართო რომ დარჩა, დასწერა თხოვნა შვებულების შესახებ, ჩიბუხი გააბოლა და ღრმა ფიქრებს მიეცა.

იმავე დღეს დაიწყო ზრუნვა შვებულებისათვის და ორი დღის შემდეგ თავის ერთგულ გრიშასთან ერთად ფოსტის ცხენებით გაემგზავრა.

ვლადიმერ ანდრიას-ძე უახლოვდებოდა იმ სადგურს, საიდანაც კისტენეცკასკენ უნდა გადაეხვია. მისი გული სამწუხარო წინაგრძობებს შეეპყრო, ეშინოდა, ვაი თუ მამას უკვე ცოცხალს ვეღარ მივუწყო. ფიქრობდა მოსაწყენ ცხოვრებაზე, რომელიც მას სოფელში მოელოდა: მიყრუებული ადგილი, უკაცურობა, სიღარიბე და ზრუნვა საქმეებისათვის, რამიც მას არაფერი გაეგებოდა. სადგურზე რომ მივიდა, ზედამხედველთან შევიდა და ცხენები სთხოვა. ზედამხედველმა ჰკითხა, სად მიემგზავრებიო, და განუცხადა, რომ კისტენეცკიდან გამოგზავნილი ცხენები მეოთხე დღეა გელოდებიანო. მალე ვლადიმერ ანდრიას-ძესთან გამოცხადდა ძველი მეეტლე ანტონი, რომელსაც ოდესღაც იგი საჯინბოში დაჰყავდა და მის პატარა ცხენს უფლიდა. ვლადიმერის დანახვაზე ანტონს თვალზე ცრემლები მოადგა, მიწამდე თავი დაუყრა და უთხრა, მოხუცი ბატონი ჯერ კიდევ ცოცხალიაო. მერე ცხენების გასაბმელად გაიქცა. ვლადიმერ ანდრიას-ძემ უარი სთქვა მიწოდებულ საუზმეზე, გამგზავრებას ჩქარობდა. ანტონმა იგი სასოფლო გზებით წაიყვანა და მათ შორის საუბარი გაიმართა.

— მითხარი, გეთაყვა, ანტონ, რა საქმე აქვს მამაჩემს ტროეკუროვთან?

— ღმერთმა უწყის, ბატონო ვლადიმერ ანდრიას-ძე... როგორც ამბობენ, ვერ შეეწყო კირილე პეტრეს-ძეს, მან კი სასამართლოში უჩივლა—თუმცა ხშირად თვით არის მსაჯული. რა ყმების საქმეა ბატონების ნება-სურვილის რკვევა, მაგრამ, ღმერთმანი, თქვენი მამილო ამოდ გადაეკიდა კირილე პეტრეს-ძეს, კამჩის მარქნალ ხარის რქები არ შერჩებოა.



— ჩანს, ეს კირილე პეტრეს-ძე აქ, თქვენთან, ყველაფერს აკეობს, რაც კი მოესურვება.

— მართალია, ბატონო, — თანამსაჯულს, როგორც ამბობენ გრძელფეხიანებს, მასწავლის პოლიციის უფროსი მცველად ჰყავს, ბატონები მასთან მლიქვნელური ერთგულების გამოსახატავად ჩამოდიან; როგორც იტყვიან, თავლი იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებო.

— მართალია, რომ ჩვენ მამულს გვართმევს?

— ეჰ, ბატონო, ასე გავიგონეთ ჩვენც — ამ დღეებში პოკროვსკოვლში მნათემ ნათლობაზე ჩვენ მამასახლისთან სთქვა: გეყოფათ სეირნობა; აი, კირილე პეტრეს-ძე, დაიცადეთ, თქვენ ხელში ჩაგიგდებთო. მკვდელმა მიკიტამ კი უთხრა მას: გეყოფა, სველიჩი, ნუ აღონებ ნათლიმამას, სტუმრებს ნუ აშფოთებ. კირილე პეტრეს-ძე თავისთვის არის, ანდრია გაბრიელის-ძე კი თავისთვის — ჩვენ კი ყველანი ღვთისა და ხელმწიფისა ვართ. სხვას პირზე ბოქლომს ხომ ვერ დაადებ.

— მაშ, თქვენ არ გინდათ ტროეკუროვის მფლობელობაში გადახვიდეთ?

— კირილე პეტრეს-ძეს მფლობელობაში. უფალმა გვიხსნას, დაგვიფაროს — იქ, მასთან, მისიანებსაც შავი დღე ადგიათ, უცხოები თუ ხელში ჩაუვარდა, მარტო ტყავს კი არ გააძრობს, ხორცსაც გააყოლებს. — არა, ანდრია გაბრიელის-ძე ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, და თუ ღმერთი მას წაიყვანს, მაშინ ჩვენ, შენს გარდა, არავინ გვინდა, ჩვენო მარჩენალო. მას ნუ მიგეცემ, შენთვის კი თავს არ დავზოგავთ.

ამ სიტყვებზე ანტონმა მათრახი მოიქნია, სადავე დაარხნია, და მისი ცხენები ჩორთით წავიდნენ.

შოხუცი მეეტლის ერთგულებით გულაჩვილებული დუბროვსკი დადუმდა და ფიქრებს მიეცა. საათზე მეტი დრო გავიდა — უეცრად გრიშამ გამოარკვია იგი წამოძახილით: „აი, პოკროვსკოე!“ დუბროვსკიმ თავი ასწია, იგი ფართო ტბის ნაპირს მიჰყვებოდა, ტბიდან პატარა მდინარე გამოდიოდა და შორს გორაკებს შუა მიიკლანებოდა; ერთ გორაკზე ქალის მუქ სიმწვანეში მოსჩანდა უზარმაზარი ქვის სახლის მწვანე სასურავი და ბელვედერი; მეორე გორაკზე — ხუთგუმბათიანი საყდარი და ძველი სამრეკლო; მახლობლად მიმოფანტული იყო სოფლის ქოხები ქვებითა და ბოსტნეებით. დუბროვსკიმ იცნო ეს ადგილები, მოიგონა, რომ სწორედ ამ გორაკზე თამაშობდა იგი პატარა მამა ტროეკუროვთან ერთად. მამა ორი წლით მასზე უმცროსი იყო და უკვე მამის ეტყობოდა, ღამაში ქალი დადგებოდა. დუბროვსკის უნდოდა მის შესახებ ანტონისათვის ეკითხნა, მაგრამ რაღაც მორცხვობამ თავი შეაკავებინა.

ბატონის სახლს რომ მიუახლოვდა, დაინახა თეთრი ტანისამოსი, რომელიც ბალის ხეებს შორის გამოკრთოდა. ამ დროს ანტონმა ცხენებს მათრახი გადაუქორა, შეპყრობილმა პატივმოყვარეობით, რომელსაც სოფლისა და ქალაქის მეეტლეები თანაბრად მორჩილებენ, და ხიდზე და სოფელში ქვებით ჩაქროლა. სოფელს რომ გასცდნენ, გორაკზე ავიდნენ და ვლადიმერმა დაინახა არყიანის ქალა, მარცხნივ კი გაშლილ ადგილას რუხი სახლი წითელი სასურავით; გული აუტყვევდა. თვალწინ კისტენეკასა და თავისი მამის ღარიბ სახლს ხედავდა.

ათი წუთის შემდეგ ბატონის ეზოში შევიდა. აუწერელი მღვდვარებით მიმოიხედა გარშემო. თორმეტი წელია, რაც თავისი სამშობლო არ უნახავს. პატარა არყის ხეები, რომლებიც ღობესთან მხოლოდ მის დროს დარჩეს, გაზრ-

დილა და ახლა მაღალტოტებიან ხეებად ქცეულა. ეზო ოდესღაც შემგობილი იყო სამი სწორი საყვავილეთი, მათ შორის მიდიოდა ფართო გზა, რომელიც საგულდაგულოდ იგვებოდა; ახლა ეს ეზო გეხნადათ მოუთიბებდა და ცხელი დაბორკილი ცხენი სძოვდა. ძაღლებმა ის-ის იყო დაიყუფეს, მაგრამ, ანტონი რომ იცნეს, დადუმდნენ და ბანჯგვლიანი კულების ქნევა დაიწყეს. შინაყმები გამოცვივდნენ ქოხებიდან, ახალგაზრდა ბატონს შემოეხვივნენ, სიხარულს ხმაურობით გამოხატავდნენ. ძლივს დააღწია თავი ერთგულ ბრბოს და დაქველებულ პარმალზე აირბინა. წინკარში ეგოროვნა შემოეგება და თავისი ვაზრდილი ტირილით გულში ჩაიკრა.

— გამარჯობა, გამარჯობა, ვაღია, — იმეორებდა ღუბროვსკი და კეთილ მოხუცს გულში იხუტებდა. — მამა როგორ არის, სად არის? თავს როგორ გრძნობს?

ამ დროს დარბაზში შემოვიდა მაღალი ტანის მოხუცი, ფერკრთალი და გამხდარი, ფეხებს ძლივს მოათრევდა, ხალათი ეცევა და თავზე ჩაჩი ეხურა.

— გამარჯობა, ვალოდჯა! — უთხრა მან სუსტი ხმით, ვლადიმერი მამას მაგრად ჩაეკონა.

სიხარულისაგან ავადმყოფი ძლიერ აღელდა დასუსტდა, ფეხები მოეკვეთა. დაეცემოდა, შვილი რომ არ მიშველებოდა.

— რატომ აბრძანდით ლოგინიდან, — უთხრა ავადმყოფს ეგოროვნამ, — ფეხზე დგომა არ შეუძლია, იქითკენ კი მიიწევს, სადაც ხალხია.

მოხუცი საწოლ ოთახში შეიყვანეს, იგი თავს ძალას ატანდა, შვილს რომ დალაპარაკებოდა, მაგრამ აზრები თავში ერეოდა და სიტყვებს ერთმანეთს ვერ უკავშირებდა. მოხუცი დადუმდა, ჩასთვლიმა. ვლადიმერს მამის მღვთმარებობამ თავზარი დასცა. იგი მამის საწოლ ოთახში მოეწყო და ითხოვა მამასთან მარტო დაეტოვებინათ. შინაყმები დაემორჩილენ. მამის ყველამ გრიშას მიხედა და წაიყვანეს საჯალაბო ოთახში, სადაც მას გაუმასპინძლდნენ სოფლურად, გულთბილობა არ დაუკლიათ, გააწამეს კითხვებითა და მისალმებებით.

## თავი მეოთხე

იქ სადაც სუფრა იყო გაშლილი ახლა კუბო დგას

რამდენიმე დღე გავიდა ღუბროვსკის ჩამოსვლის შემდეგ, მას საქმისთვის ხელი უნდა მოეკიდა, მაგრამ მამას არ შეეძლო მისთვის საჭირო ახსნა-განმარტება მიეტა — ანდრია გაბრიელის-ძეს რწმუნებული არ ყავდა. მამის ქალაღდეები რომ გაარჩია, მან იბოვა მხოლოდ თანამსაჯულის პირველი წერილი და მასზე გაცემული პასუხი, შავად ნაწერი, რომლიდანაც დავაზე ვერ მიიღო ნათელი წარმოდგენა, და გადასწყვიტა დაეცადა შედეგებისათვის, იმის იმედი ჰქონდა, რომ ამ საქმეში მართალი იყვნენ.

ამასობაში ანდრია გაბრიელის-ძის ჯანმრთელობა ყოველ საათში უარესდებოდა. ვლადიმერი წინასწარ ხედავდა ახლო დასასრულს და ბავშვადქცეულ მოხუცს არ სცილდებოდა.

ამასობაში დაწესებული ვადა გავიდა, და აპელაცია არ იქნა შეტანილი. კისტენეკვა ტროეკუროვს ეკუთვნოდა. შაბაშკინი ეახლა მას თავყვანისცემით და მილოცვებით, სთხოვა დაენიშნა დრო, როდის ინებებდა მისი აღმატებულება ახალშენაძენი მამულის მფლობელობაში შესვლას, — თვითონ გაირჯებოდა. თუ



ისურვებდა ამაზე მინდობილობა სხვისთვის მიეცა. კირილე პეტრეს-ძე შემფოთდა, ბუნებით იგი არ იყო ანგარებისმოყვარე, „შურისძიებამ ძაღვს მისი შეატოპინა, სინდისი ჰქეჯინდა. მან იცოდა, თუ რა მდგომარეობაში იქნებოდა მოწინააღმდეგე, ახალგაზრდობის ძველი ამხანაგი და გამარჯვება მის გულს არ ახარებდა. მრისხანედ შეხედა შაბაშკინს, შარის მოსადებს ეძებდა, რომ გამოეღანდინა, მაგრამ ამისთვის საკმაო საბაზი ვერ იპოვა და გულმოსულად უთხრა:

— დაიკარგე აქედან, შენთვის არა მცალია.

შაბაშკინმა შეატყო, რომ ტროეკუროვი გუნებაზე არ იყო, თავი დაუკრა და საჩქაროდ გაეცალა. კირილე პეტრეს-ძე მართო რომ დარჩა, ბოლოს ცემა დაიწყო, თან „გამარჯვების გრგვინვა გაისმას“ უსტვენდა, რაც ყოველთვის იმის მომასწავებელი იყო, რომ ფიქრებს არაჩვეულებრივი მღელვარებით მოეცვა იგი.

ბოლოს მან ბრძანა მსუბუქი ეტლი მოემზადებინათ, თბილად ჩაიცვა (უკვე სექტემბრის მიწურული იყო); ეზოდან გავიდა, ცხენი თვითონ მიჰყავდა.

შალე დაინახა ანდრია გაბრიელის-ძის პატარა სახლი და საწინააღმდეგო გრძნობებშია შეიბურეს მისი არსება. დაკმაყოფილებულმა შურისძიებამ და ბატონობისმოყვარულობამ კინალამ დაუხშვეს უფრო კეთილშობილი გრძნობები, მაგრამ ბოლოს მაინც კეთილშობილმა გრძნობებმა გაიმარჯვა. მან გადასწყვიტა თავის ძველმეზობელს შერიგებოდა, სამდურავის კვალიც კი მოესპო და მისთვის ქონება დაებრუნებინა. ამ კეთილი განზრახვით გულშემსუბუქებულმა კირილე პეტრეს-ძემ ჩორთით გასწია თავისი მეზობლის კარმიდამოსაკენ და ეტლით შევიდა ეზოში.

ამ დროს ავადმყოფი იჯდა საწოლ ოთახში ფანჯარასთან. კირილე პეტრეს-ძე იცნო და საშინელი ძრწოლა აღებუქდა სახეზე—ჩვეულებრივი ფერმკრთალობა ქარხლისფერად შეეცვალა, თვალები აუელვარდა, გაუგებრად ლულულეზდა. მისმა შვილმა, რომელიც იქვე სამეურნეო დავთრებს ათვლიერებდა, თავი ასწია და მამის მდგომარეობამ თავზარი დასცა. ავადმყოფი ეზოსკენ თითის იშვეერდა, საშინელებასა და მრისხანებას გამოხატავდა. იგი აჩქარებულად ხალათის კალთებს იწვევდა, სავარძლიდან აღგომას ცდილობდა. ადგა... და უეცრად დაეცა. შვილი მამასთან მიიჭრა, მოხუცი იწვა უგრძობლად, აღარ სუნთქავდა—დამბლა დაეცა.

— ჩქარა, ჩქარა, გასწით ქალაქში მკურნალისათვის!—ყვიროდა ვლადიმერი.

— კირილე პეტრეს-ძეს თქვენი ნახვა უნდა,—სთქვა შემოსულმა მსახურმა. ვლადიმერმა მას საშინელი თვალებით შეხედა.

— უთხარით კირილე პეტრეს-ძეს, რომ სასწრაფოდ გავვეცალოს აქედან. სანამ არ მიბრძანებია მისი გაგდება ეზოდან — გასწი.

მსახური მზიარულად გაიქცა თავისი ბატონის ბრძანების შესასრულებლად—ეგოროვნამ ტაში შემოჰკრა.

— შენ, ჩვენო ბატონო,—სთქვა მან წრიბინა ხმით,—თავს დაილუპავ! კირილე პეტრეს-ძე შეგვჭამს.

— გაიჟმდი, ვადია,—უთხრა გულმოსულმა ვლადიმერმა,—ახლავე გაგზავნე ანტონი ქალაქში მკურნალის მოსაყვანად.

ეგოროვნა გავიდა. წინკარში არავინ იყო. ყველა შინაყმას კირილე პეტრეს-ძის საცქერად ეზოში ჩაერბინა. ეგოროვნა პარმაღზე გავიდა და გაიგონა მსახურის მიერ ახალგაზრდა ბატონის სახელით გადაცემული პასუხი. ეტლში



მჯდომეა კირილე პეტრეს-მემ მოისმინა იგი. სახე ღამეზე უფრო ჩამოღბნელდა, ზიზღით გაიღიმა, შინაყმებს მრისხანედ გადახედა და ეზრუნა მისი გავმგზავრა. შეიხედა ფანჯარაში, სადაც წუთის წინ ანდრია გავროვილის-მე იჯდა, მაგრამ იგი უკვე იქ აღარ იყო. გაღია პარმალზე იდგა, ბატონის ბრძანების შესრულება დაევიწყდა. ამ შემთხვევის გამო შინაყმები ხმამაღლა მსჯელობდნენ. მოულოდნელად ვლადიმერი გამოჩნდა შინაყმებს შორის და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სთქვა:

— მკურნალი საჭირო არ არის. მამა გარდაიცვალა.

ჩოჩქოლი შეიქნა. შინაყმებმა მოხუცი ბატონის ოთახს მიაშურეს. იგი იწვა სავარძელში, რომელზედაც ვლადიმერმა გადაასვენა. მარჯვენა ხელი იატაკზე ჩამოვარდნოდა, თავი მკერდზე დაშვებოდა—ჯერ კიდევ თბილ სხეულში სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი აღარ იყო. ეგოროვნამ დაიღრიალა. მსახურნი შემოეხეივნენ ცხედარს, რომელიც მათ მოსავლელად დაუტოვეს,—განძანეს იგი, ჩააცვეს მუნღირი, ჯერ კიდევ 1797 წელს შეკერილი და დაასვენეს სწორედ იმ მაგიდაზე, სადაც ამდენი ხნის განმავლობაში თავის ბატონს ემსახურებოდნენ.

## თავი მეხუთე

დუბროვსკი მესამე დღეს დაკრძალეს. საწყალი მოხუცის ცხედარი, სუღარა-გადაფარებული და სანთლებით გარშემორტყმული, მაგიდაზე ესვენა. სასადილო ოთახი შინაყმებით გაივსო. გამოსასვენებლად ემზადებოდნენ. ვლადიმერმა და სამმა მსახურმა კუბო ასწიეს. მღვდელი წინ წავიდა, თან ახლდა დიაკონი, რომელიც სამგლოვიარო ლოცვებს გალობდა. კისტენევიკის პატრონმა უკანასკნელად გადაიარა თავისი სახლის ზღურბლი. კუბო გაატარეს ქალაზე, რომლის უკანაც საყდარი მდებარეობდა. ნათელი და ცივი დღე იყო. შემოდგომის ფოთლები ხეებიდან ცვივოდა.

ჭალიდან რომ გავიდნენ, კისტენევიკის საყდარი და ძველი ცაცხვებით დაჩრდილული სასაფლაო დაინახეს. იქ განისვენებდა ვლადიმერის დედის ცხედარი, იქ, მისი სამარის გვერდით, წინაღობით ამოთხარეს ახალი საფლავი. საყდარი კისტენევიკელი გლეხებით იყო სავსე. ისინი მოსულიყვნენ, რათა ბატონისთვის უკანასკნელად ეცათ თავყვანი. ახალგაზრდა დუბროვსკი კლიროსსთან იდგა; არც ტიროდა, არც ლოცულობდა—მაგრამ საშინელი სახე ჰქონდა. წესის აგება დასრულდა. ვლადიმერი პირველი მივიდა მამასთან გამოსათხოვრად—მის შემდეგ ყველა შინაყმა; ხუფი მოიტანეს და კუბო დაქედეს. დედაცაცები ხმამაღლა ღრიალებდნენ; გლეხები ზნორად ცრემლებს მუშტით იშპენდნენ. ვლადიმერმა და იმავე სამმა მსახურმა ცხედარი სასაფლაოზე წაასვენეს მთელი სოფელის თანხლებით. კუბო სამარეში ჩაუშვეს—ყველა დამსწრემ საფლავში ბეწვი მიწა ჩაჰყარა—საფლავი ამოავსეს, მის წინ თავი დახარეს და წავიდნენ. ვლადიმერი სასწრაფოდ მოშორდა იქაურობას, ყველას წინ გაუსწრო და კისტენევიკს ქალაში მიიმალა.

მისი სახელით ეგოროვნამ ქელებზე მიიბატივა მღვდელი და ეკლესიის მთელი კრებული. გამოუცხადა მათ, ახალგაზრდა ბატონს ქელებზე დასწრება არა სურსო; და, ამრიგად, მამა ანტონი, ხუცის ცოლი ფედოტოვნა და დიაკონი ფეხით წავიდნენ ბატონის ეზოსაკენ, მსჯელობდნენ ეგოროვნასთან განსვენე-



ბულის სათნოებაზე და იმაზე, რაც მოელოდა მის შემკვიდრეს (ტროეკუროვის მისვლა დუბროვსკისთან და ის, თუ როგორ შეხედნენ მას უბანმა იცოდა და იქაური პოლიტიკოსები ამის გამო მნიშვნელოვნად შეუცვლეს წინასწარმეტყველებდნენ).

— რაც მოხდება, მოხდება,—სთქვა ხუცის ცოლმა,—საწყენია, რომ ვლადიმერ ანდრიას-ძე არ იქნება ჩვენი ბატონი. კარგი ვაჟაკია, თქმა არ უნდა.

— ის თუ არა, აბა, ვინ უნდა იყოს ჩვენი ბატონი,—შეაწყვეტინა ეგოროვნამ.—კირილე პეტრეს-ძე ამაოდ ცდილობს,—მხდალს არ გადააყრია—ჩემი საყვარელი ვლადიმერი ფავის თავს დაიცავს, ღმერთიც მოგვხედავს, მწყალობელი მას არ დასტოვებს, ძალიან ყოყლოჩინაა კირილე პეტრეს-ძე! ხომ ამოიტუა კუდი, როცა ჩემმა გრიშამ მას დაუყვირა; დაიკარგე, ბებერო ძაღლო! — ეზოდან გაგვეცალგო.

— ეჰ, ეგოროვნა,—უთხრა დიაკონმა,—თითონ გრიგოლს ენა როგორ მოუბრუნდა, მე უფრო დაეთანხმდები უფალს შეეუყეფო, ვიდრე კირილე პეტრეს-ძეს აღმაცერად შეხედო. როგორც კი მას დაინახავ, შიში და თრთოლვა პირვევ გხრის, წელში თავისით იკაკვები.

— ამოება ამოებათა,—სთქვა მღვდელმა,—კირილე პეტრეს-ძესაც უმღერებენ სულთათნას, როგორც ახლა ანდრია გაბრიელის-ძეს. შეიძლება დაკრძალვა უფრო მდიდრული იქნას და უფრო მეტი სტუმრები მოიწვიონ,—ეს განაღვთისათვის სულერთი არ არის!

— ეჰ, მამაო! ჩვენც გვინდოდა მთელი უბანი მოგვეწვია, მაგრამ ვლადიმერ ანდრიას-ძემ არ ისურვა. ნუ გეშინია, ყველაფერი საკმაოდ გვაქვს,— გვაქვს რით გავეუმასპინძლდეთ, მაგრამ რას იზამ. თუ სხვები არ არის, თქვენ შიშით გაგვიმასპინძლდებით, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო.

ამ აღურსიანმა დაპირებამ და იმედმა, რომ გემრიელი ღვეზელი დახვდებოდათ, მოსაუბრეებს ფეხი ააჩქარებინა და მიალწიეს ბატონის სახლამდე, სადაც სუფრა უკვე გამლბილი იყო და არაყი დადგმული.

ამასობაში ვლადიმერი უღრან ტყეში ღრმად შედიოდა, მოძრაობით და თავის დაღლით ცდილობდა სულიერი ტანჯვა ჩაეხშო. უგზოუკვლოდ მიდიოდა; ტოტები წამდაუწუმ ეღებოდა და ჰკაწრავდა; ფეხები წარამარა ჰაობში ეფლებოდა — ვერაფერს ვერ გრძნობდა. ბოლოს მიალწია ყოველი მხრიდან ტყითშემოფარგულულ პატარა ხევს.

შემოდგომის მიერ ნახევრად გატიტვლებული ხეების მახლობლად ნაკადული ჩუმად მიიკლანებოდა. ვლადიმერი შეჩერდა, ცივ ბელტზე ჩამოჯდა. ერთი მეორეზე უფრო შევზნელი ფიქრები ირეოდნენ მის გონებაში. მარტობას ძლიერ განიცდიდა. მომავალი მას მრისხანე ღრუბლებით დაფარულად ესახებოდა. ტროეკუროვთან მტრობა ახალ უბედურებას უქადდა. მისი ღარიბი ქონება შეიძლებოდა სხვის ხელში გადასულიყო—ამ შემთხვევაში მას სიღატაკე მოელოდა. დიდხანს იჯდა უძრავად იმავე ადგილას და დასტკეროდა ნაკადულის წყნარ მდინარებას, მას დამკვნარი რამდენიმე ფოთოლი მიჰქონდა. და ეს ვლადიმერს ცოცხლად წარმოუდგა ცხოვრების ნამდვილ მსგავსებად—ასეთ ჩვეულებრივ მსგავსებად. ბოლოს შენიშნა, რომ ღამდებოდა: ადგა და სახლისაკენ მიმავალი გზის ძებნა დაიწყო, მაგრამ კიდევ დიდხანს დაეხეტებოდა უცნობ ტყეში, სანამ არ წააწყდა იმ ბილიკს, რომელმაც პირდაპირ მისი სახლის ალაყაფის კარამდე მიიყვანა.

დუბროვსკის გზაზე შემოეყარა მღვდელი ეკლესიის მთელი კრებულით. თავში აზრმა გაუელვა ცუდი ნიშანის შესახებ, უნებურად გვერდნივს და ხეს მოეფარა. ახლოს ჩაუარეს, მაგრამ მათ დუბროვსკი დააჩქარა და ცხარე ლაპარაკში იყვნენ გაართულნი.

— ბოროტს განერიდე და კეთილი საქმე ჰქმენ.— ეუბნებოდა ხუცესი თავის ცოლს,— აქ დარჩენა აღარ გეპირდება, შენ არ გეხება, აქ საქმე რითაც არ უნდა გათავდეს.

ხუცის ცოლმა რაღაც უპასუხა, მაგრამ ვლადიმერმა ველარ გაიგონა.

ბატონის სახლს რომ უახლოვდებოდა, ეზოში უამრავი ხალხი დაინახა— გლეხები და შინაყმები ეზოში ირეოდნენ, შორიდან გაიგონა არაჩვეულებრივი ხმაურობა და ლაპარაკი. ფარდულთან ორი სამცხენა იდგა. პარმალზე რამდენიმე უცნობი ადამიანი იყო ფორმის სეროტუგებში, ეტყობოდა, რაღაცაზე მსჯელობდნენ.

— ეს რას ნიშნავს?— ჰკითხა მან გულმოსულად ანტონს, რომელიც მის შესახებ დრად მორბოდა.— ესენი ვინ არიან, რა უნდათ?

— ოჰ, ბატონო ვლადიმერ ანდრეას-ძევე,— უპასუხა მოხუცმა ქლოშინით.— სასამართლო ჩამოვიდა, ტროეკუროვს უნდა გადაგვეცენ. შენს წყალობას გავშორებენ!

ვლადიმერმა თავი ჩალუნა, შინაყმები თავიანთ უბედურ ბატონს შემოეხევივნენ.

— ჩვენი ბატონო,— ყვიროდნენ ისინი და ხელებს უკოცნიდნენ.— შენს გარდა სხვა ბატონი არ გვინდა, გვიბრძანე, ბატონო, სასამართლოს ჩვენ გავუსწორდებით, მოვეკედებით და არ დაგთმობთ...

ვლადიმერი მათ უტკეროდა და უცნაური გრძნობები აღელვებდა.

— მშვიდად იყავით,— ეთხრა მათ,— მე კი მოხელეებს მოველაპარაკები.

— მოელაპარაკე, ბატონო!— დაიყვირეს ხალხიდან.— სინდისში ჩააგდე წყეულები.

ვლადიმერი მოხელეებთან მივიდა, შაბაშკინი, ჩიხაქუდით, დონჯ შემოყრილი, იდგა და გარშემო ამყად იყურებოდა.

მაზრის პოლიციის უფროსმა, მაღალმა და მსხვილმა კაცმა, ულვაშებიანმა და წითელსახიანმა, დაახლოებით ორმოცდაათი წლისამ, რომ დაინახა დუბროვსკი უახლოვდებოდა, ხმა ჩაიწმინდა და ხრინწიანი ხმით წარმოსთქვა:

— ასე, მე თქვენ ვიმეორებთ იმას, რაც უკვე გითხარით: მაზრის სასამართლოს გადაწყვეტილებით ამიერიდან თქვენ ვეუთვნით კირილე პეტრეს-ძე ტროეკუროვს, რომლის წარმომადგენელი აქ ბატონი შაბაშკინია. ყველაფერი შეუსრულებით. რასაც ვიბრძანებთ, თქვენ კი, დედაკაცებო, გიყვარდეთ და პატივი ეცით მას, იგი კი თქვენი დიდი მოყვარულია.

ამ მახვილ ხუმრობაზე მაზრის პოლიციის უფროსმა გადაიხარხარა, შაბაშკინი და სხვა წევრებიც აყვნენ მას. ვლადიმერს ბრაზისაგან გულზე ციცხლი ედებოდა.

— ვთხოვთ გამაგებინოთ, ეს რას ნიშნავს?— ჰკითხა მან მაზრის პოლიციის მხიარულ უფროსს მოჩვენებითი სიმშვიდით.

— ეს იმას ნიშნავს,— უპასუხა მახვილგონიერმა მოხელემ,— რომ ჩვენ ჩამოვედით იმისათვის, რათა ამ მამულის მფლობელობაში შევიყვანოთ კირილე პეტრეს-ძე ტროეკუროვი, სხვებს კი ვთხოვოთ აქედან გაგვეცალოს.



— მაგრამ თქვენ შეგეძლოთ, მგონი, ჯერ ჩემთვის მოგემართათ და არა ჩემი გულხეებისათვის, ჯერ მემამულესათვის უნდა გამოგეცხადებინათ, *და არა ჩემი ჩამორთმევა.*

— შენ ვინა ხარ?—სთქვა შაბაშკინმა და თავხედურად დააცქერდა.—ყოფილი მემამულე ანდრია გაბრიელის-ძე დუბროვსკი ღვთის ნებით გარდაიცვალა, თქვენ კი არ გიცნობთ, არც ვვინდა თქვენი ცნობა.

— ვლადიმერ ანდრიას-ძე ჩვენი ახალგაზრდა ბატონია,—გაისმა ხმა ხალხიდან.

— ვინ გახდა მანდ პირის გაღება?—სთქვა პრისხანელ მაზრის პოლიციის უფროსმა,—რის ბატონი? ვინ ვლადიმერ ანდრიას-ძე? თქვენი ბატონია კიოლუ პეტრეს-ძე ტროეკუროვი. გესმის, ჩერჩეტებო?

— ვერ მოგართვით,—სთქვა იმავე ხმამ.

— ეს აჯანყებაა!—დაიყვირა მაზრის პოლიციის უფროსმა,—ეი, მამასახლისო, აქ მოდი!

მამასახლისი წინ წამოდგა.

— ახლავე მომიძებნე ის, ვინც ჩემთან შელაპარაკება გახდა, მე მას!

მამასახლისმა ბრბოს მიმართა, ჰკითხა ვინ დაილაპარაკაო, მაგრამ ყველა სდუმდა. მალე უკანა რიგებში დრტვინვა დაიწყო, თანდათან გაძლიერდა და ერთ წუთში საშინელ გოდებად გადაიქცა. მაზრის პოლიციის უფროსმა ხმას დაუწია და დააპირა მათი დაშოშმინება.

— მაგას რას ვუყურებთ,—დაიყვირეს შინაყმებმა,—ბიჭებო, ძირს ისინი!—ბრბო დაძრა.

შაბაშკინი და სხვა წევრები სწრაფად შეიჭრნენ წინაყარში—და კარი ჩაიკეტეს.

— ბიჭებო, წინ!—დაიძახა იმავე ხმამ, და ბრბო წინ წავიდა.

— შესდევით,—დაიძახა დუბროვსკიმ,—სულელებო! რას შერებით, მეც მღუპავთ და თავსაც იღუპავთ. ქოხებში წადით და ნუ მაწუხებთ. ნუ გეშინიათ, მეფე მოწყალეა, მე მას ვთხოვ—იგი ჩვენ არ დაგვჩაგრაეს—ჩვენ ყველა მისი შვილები ვართ, და იგი როგორ არ გამოგესარჩლებათ, თუ თქვენ აჯანყებასა და ყაჩაღობას დაიწყებთ.

ახალგაზრდა დუბროვსკის სიტყვამ, მისმა ელტროვანმა ხმამ და წარმოსადგმა გარეგნობამ სასურველი ზეგავლენა მოახდინა. ხალხი დაწყნარდა, დაიშალა—უზო დაცარიელდა, წევრები სახლში ისხდნენ. ბოლოს შაბაშკინმა კარი წყნარად გააღო, პარმალზე გამოვიდა და დამამცირებელი თავდახრით დუბროვსკის მადლობას უხდოდა მოწყალე მფარველობისათვის.

ვლადიმერი ზიზღით უსმენდა და არაფერს უპასუხებდა.

— ჩვენ გადავწყვიტეთ,—განაგრძობდა თანამსაჯული,—თქვენი ნებართვით აქ დავრჩეთ, თორემ უკვე ბნელა და თქვენი გულხეები შეიძლება თავს დაგვესხნენ. მოიღეთ მოწყალება, უბრძანეთ სასტუმრო ოთახში თივა მაინც დავგიფინონ; როგორც ინათებს, შინ გავსწევთ.

— გააკეთეთ, რაც გინდათ,—უპასუხა მათ ცივად დუბროვსკიმ,—მე აქ უკვე ბატონი აღარა ვარ.

ესა სთქვა და თავის მამის ოთახში შევიდა და კარები ჩაიკეტა.



## თავი მხმცხსე

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

„ამრიგად, ყველაფერი გათავდა,—სთქვა თავისთვის,—გუშინ დილით გჯერ კიდევ მქონდა კუთხე და ლუკმა ბური. ხვალ უნდა დაეუტოვო სახლი, სადაც დავიბადე და სადაც მამაჩემი გარდაიცვალა, იმ კაცს, ვისაც ბრალი უდევს მამაჩემის სიკვდილსა და ჩემს გაღატაკებაში,—და თვალი მიამყრო უძრავად დედის სურათს. მხატვარს დეხატა იგი თმაში ვარდით, მოაჯირზე იდაყვ-დაყრდნობილი, დილის თეთრ კაბაში. „ეს სურათიც ჩემი ოჯახის მტერს დარჩება,—გაიფიქრა ვლადიმერმა,—შიავდებენ საეუქნაოში გატეხილ სკამებთან ერთად. ან ჩამოაკიდებენ წინკარში და იგი მისი შეძალეების დაცინვისა და შენიშვნების საგანი გახდება; დედის საწოლ ოთახში, სადაც მამა გარდაიცვალა, ტროეკუროვის მოურავი დაბინავდება, ან იგი თავის პარამხანას მოათავსებს. არა, არა! დაე, არ დარჩეს მას მწუხარების სახლი, საიდანაც მე მაგდებს“. ვლადიმერმა კბილი კბილს დააქირა.—თავში საშინელი აზრები უტრიალებდა. მოხელეთა ხმები მოესმა; ისინი პარპაშებდნენ, ხან რას, ხან რას მოითხოვდნენ, და ეს მწარე ფიქრებით შებყრობილ ღებროვსკისათვის არასასიამოვნო გაბრუნება იყო. ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა.

ვლადიმერმა გააღო კომოდები და ყუთები, განსვენებულის ქალაღების გარჩევას შეუდგა. აქ იყო უმთავრესად სამეურნეო ანგარიშები და მიმოწერა სხვადასხვა საქმის გამო. ვლადიმერმა ეს ქალაღები წაუკითხავად დახია. მათ შორის ერთი პაკეტი მოხვდა ხელში: ჩ ე მ ი ც ო ლ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი. გატაცებით დაიწყო მათი კითხვა: ეს წერილები კისტენევიციდან არმიაში იყო გაგზავნილი თურქეთზე ლაშქრობის დროს. დედა სწერდა ქმარს თავის უშინაარსო ცხოვრებაზე, სამეურნეო საქმეებზე, ალერსით უჩივოდა დაშორების გამო და შინ მოუხმობდა კეთილი მეუღლის გულში ჩასაკონებლად. ერთ წერილში გამოთქვამდა თავის შემფოთებას პატარა ვლადიმერის ჯანმრთელობის გამო; მეორეში—უხაროდა ბავშვის უნართა ნადრევად გამოძვლავნება და წინასწარ ხედავდა მის ბედნიერსა და ბრწყინვალე მომავალს. ვლადიმერმა კითხვამ ისე გაიტაცა, რომ ყველაფერი დაავიწყდა. მთელი არსებით ჩაეფლო ოჯახური ბედნიერების სამყაროში და ვერ შენიშნა, დრო როგორ გავიდა; კედლის საათმა თერთმეტჯერ დარეკა. ვლადიმერმა წერილები ჯიბეში ჩაიღო, სანთელი აიღო და კაბინეტიდან გავიდა. დარბაზში მოხელეებს იატაკზე ეძინათ. მაგიდაზე მათ მიერ დაცლილი ჭიქები იდგა და მთელი ოთახი რომის ძლიერი სუნით იყო გაქვნილი. ვლადიმერმა ზიზღით ჩაუარა მათ და წინკარში გავიდა. კარები დაკეტილი დახვდა. გასაღები ვერ ნახა და დარბაზში შებრუნდა. გასაღები მაგიდაზე იღო. ვლადიმერმა კარი გააღო და კუთხეში მიმალულ კაცს შეეჩეხა. ხელში ნაჯახი უპრიალებდა. ვლადიმერმა სანთელი შიანათა და იცნო არქიპო-მკედელი.

— აქ რა გინდა?—კითხა მან.

— აჰ, ვლადიმერ ანდრიას-ძვე, ეს თქვენა ხართ?—უბასუხა არქიპომ ჩურჩულთ. — ღმერთო მისხენ და დამიფარე! კარგია, რომ თქვენ სანთლით გამოხვედით!—ვლადიმერი გაკვირვებით უცქეროდა.

— აქ რას მიმალულხარ?—კითხა მან მკედელს.

— მინდოდა... ის-ის იყო მოვედი... გასაგებად, თუ ყველა შინ არის მეთქი,—ჩუმაღ უბასუხა არქიპომ ენის ბორძიკით.



— ნაჯახი რატომ გაქვს?

— ნაჯახი რატომ გაქვს? და, როგორ შეიძლება ახლა უნაჯახოდ კარგად გეს მოხელეები რაღაცას მოგვიწყობენ. მათგან ყველაფერს უნდა გავაძლიეროთ.

— შენ მთვრალი ხარ, ნაჯახი დააგდე, წადი, გამოიძინე.

— მე მთვრალი ვარ? ბატონო ვლადიმერ ანდრეას-ძეე, ღმერთია მოწმე, ერთი წვეთი პირში არ ჩამსვლია. ღვინო ვის მოაგონდება, გაგონილა, მოხელეები აგდებენ ბატონებს საბატონო ეზოდან, აი, ისინი როგორ ხვრინავენ, წყეულნი—ერთი დაკვრა და კვლიც აღარ დარჩება.

დუბროვსკიმ სახე შეიშუმუნა.

— გამოიგონე, არქიპო,—სთქვა მან მცირე დუმილის შემდეგ.—ეს საქმე არ ეარგა. მოხელეები კი არ არიან დამნაშავენი. ერთი, ფარანი გამინათე, გამოწყევი.

არქიპომ ბატონს ხელიდან სანთელი გამოართვა, დუბროვსკის უკან ფარანი მონახა, ანთო იგი, და ორივე წყნარად ჩვიდა პარმალიდან. ეზოში გაიარეს. დარაჯმა თუჯის დაფა დარეკა, ძაღლებმა დაიყეფეს.

— ეინ დარაჯობს?—იკითხა დუბროვსკიმ.

— ჩვენ, ბატონო,—უპასუხა წერილმა ხმამ.—ვასილისა და ლუკერია.

— თავ-თავის ქოხებში წადით,—უთხრა მათ დუბროვსკიმ. — საქირო არა ხართ.

— შაბაში!—ჩაილაპარაკა არქიპომ.

— გმადლობთ, ჩვენო მარჩენალო,—უპასუხა დედაკაცებმა და მაშინვე შინ წავიდნენ.

დუბროვსკიმ გზა განაგრძო. ორი კაცი მიუახლოვდა; შეუძახეს; დუბროვსკიმ ანტონის და გრიშას ხმა იცნო.

— რატომ არა გძინავთ?—კითხა მათ.

— რა დროს ძილია?—უპასუხა. ანტონმა.—რას მოვესწართ, ვინ იფიქრებდა...

— ჩემად!—შეაწყვეტინა დუბროვსკიმ.—ეგოროვნა სად არის?

— ბატონის სახლშია, თავის ოთახში,—უპასუხა გრიშამ.

— წადი, აქ მოიყვანე, სახლიდან ყველა შინაყმა გამოიყვანე, ერთი სულიც კი იქ არ დარჩეს—გარდა მოხელეებისა—შენ კი, ანტონ, ფორანში ცხენები გაუბი.

გრიშა წავიდა და ერთ წუთში დაბრუნდა თავის დედასთან ერთად. დედაბერს ამ ღამეს ტანთ არ გაუხდია. მოხელეების გარდა სახლში თვალი არავის მოუხუტავს.

— ყველა აქ არის?—იკითხა დუბროვსკიმ,—სახლში ხომ არავინ დარჩენილა?

— არავინ, მოხელეების გარდა,—უპასუხა გრიშამ.

— მომიტანეთ თივა ან ჩალა,—სთქვა დუბროვსკიმ.

შინაყმები საჯინიბოში გაიქცნენ და დაბრუნდნენ, თან ილიაში ამოდებულნი თივა მოიტანეს.

— დასდეთ პარმალის ქვეშ.—აი, ასე. აბა, ბიჭებო, ცეცხლი.

არქიპომ ფარანი გახსნა—დუბროვსკიმ მკვარს ცეცხლი მოუკიდა.

— დაიცა,—უთხრა მან არქიპოს. მგონია სიჩქარით მე წინეარში კარი დაეკეტე, წადი ჩქარა, გააღე.

არქიპო წინეარში გაიქცა—კარები ღია იყო. არქიპომ გასაღებით დაჰკეტა,

თან ჩუმად ჩაილაპარაკა: როგორ არა, გააღე და ღებროვესთან დაბრუნდა.

ღებროვესიმ მკვარი თივასთან მიიტანა; თივა აინთო, ალი აეზრდა და მისი მკვარე ეზო გაანათა.

— ვაიმე, — საცოდავად დაიყვირა ეგოროვნამ, — ვლადიმერ ანდრიას ძეგ, რას შერები?

— დაჩუმდი, — სთქვა ღებროვესიმ. — აბა, შეიღებო, მშვიდობით, მივდივარ, საითაც ღმერთი გზას მიჩვენებს; იყავით ბედნიერი თქვენს ახალ ბატონთან.

— ჩვენი მამავ, მარჩენალო, — უბასუხებდნენ შინაყმები, — მოვკვდებით და შენ არ მიგატოვებთ, შენთან ერთად მოვდივართ.

ცხენები მოიყვანეს. ღებროვესი გრიშასთან ერთად ფორანში ჩაჯდა და შესახვედრად ადგილად კისტენევეის ქალა დანიშნა. ანტონმა ცხენებს მათრახი გადაუჭირა და ისინი ეზოდან გაემგზავრნენ.

ქარი ამოვარდა. ერთ წუთში ალი მთელ სახლს მოედო. წითელი კვამლი სახურავზე ტრიალებდა. მინები ტაკუნებდნენ, ცვივოდნენ, მოგზიგზე მორებმა ჩამოვარდნა იწყეს, გაისმა შესაბრალისი გოდება და ყვირილი: «ვიწეით! გვიშველეთ! გვიშველეთ!».

— ვერ მოგართვეს, — სთქვა არქიზომ, რომელიც ხანძარს ბოროტი ღმირით უმზერდა.

— არზიუშკა, — უთხრა მას ეგოროვნამ, — გადაარჩინე წყულები ღმერთი დაგაჯილდოებს.

— როგორ არა, — უბასუხა მკედელმა.

იმევე წუთში მოხელეები გამოჩნდნენ ფანჯარაში და ლამობდნენ ორმაგი ჩარჩოები გამოემტკრიათ, მაგრამ ამ დროს სახურავი გრილით ჩამოინგრა და გოდება მიწყნარდა.

მაღე ყველა შინაყმა ეზოში გამოცვივდა. დედაკაცები ყვიროდნენ, ეშურებოდნენ თავიანთი ხარახურა გადაერჩინათ, ბიჭები ბტოდნენ, ხანძრის ცქერით სტებებოდნენ. ნაბერწყლებმა ცეცხლის ქარბუქად გაინავარდეს, ქოხებს ცეცხლი მოედო.

— ახლა ყველაფერი რიგზეა, — სთქვა არქიზომ, — კარგად იწვის, — ალბათ, პოკროვესკოდან დიდებული საყურებელია.

იმ წუთში ახალმა მოვლენამ მიიპყრო მისი ყურადღება; ცეცხლმოდებულ სახურავზე კატა დარბოდა. ვერ ერკვეოდა, საით გადამტარიყო — ყოველი მხრიდან ალი შემორტყმოდა. საწყალი ცხოველი შესაბრალისი კნავილით შევლას ითხოვდა, ბიჭუნები სიცილით იხოცებოდნენ. მის განწირულებას რომ ხედავდნენ.

— რა გაცინებთ. ქინკებო? — უთხრა მათ მკედელმა გულმოსულად, — ღეთისა არ გეშინიათ? ღეთის ქმნილება იღუპება, თქვენ კი სისულელით გიხარიათ. — და კიბე მიადგა ცეცხლმოკიდებულ სახურავს, ავიდა კატის ჩამოსაყვანად. კატა განზრახვას მიუხედა და ნაჩქარევი მადლობის გამოხატვით მის სახელოს ჩაებლაუქა. გარუჯული მკედელი თავისი ნადავლით ძირს ჩამოვიდა.

— აბა, ბიჭებო, მშვიდობით, — უთხრა მან შემრწუნებულ შინაყმებს, მე აქ აღარაფერი საქმე არ მაქვს. ბედნიერად იყავით, ავად ნუ მომიფიქნებთ.

მკედელი წავიდა. ხანძარი ერთ ხანს კიდევ მძვინვარებდა, ბოლოს დაცხრა, და ნახშირის გროვა-გროვად ღამის სიბნელეში კამკაშით იწყოდა; მათ მახლობლად კისტენევეის სახლკარგადამწვარი მცხოვრებლები დებეტებოდნენ.



თავი მეხუთე



მეორე დღეს ხანძრის ამბავი მთელ უბანს მოედო. ამის შესახებ სხვადასხვა-ნაირი აზრი ტრიალებდა, რას არ ვარაუდობდნენ, რას არ ლაპარაკობდნენ. ერთი ირწმუნებოდნენ, ქელუხში დამთვრალმა ღებროვსკის შინაყმებმა გაუფრთხილებლობით სახლს ცეცხლი გაუჩინესო; მეორენი ბრალს სდებდნენ ახალმოსახლეობის დროს შექვიფებულ მოხელეებს. მრავალნი ირწმუნებოდნენ, რომ მაზრის სასამართლოსთან და ყველა შინაყმასთან ერთად ღებროვსკიც დაიწვაო. ზოგიერთნი ზედებოდნენ ქეშმარიტებას, ამტკიცებდნენ, რომ ამ საშინელი უბედურების მიზეზი იყო თვით ღებროვსკი, რომელსაც ეს ბრალმა და სასოწარკვეთილებამ ჩადენინაო. მეორე დღეს ტროეკუროვი ჩამოვიდა ხანძრის ადგილას და გამოძიება თითონ მოახდინა. გამოიჩინა, რომ მაზრის პოლიციის უფროსი, მაზრის სასამართლოს ფანამსაჯული, ვეჭილი და მწერავე, ისევე როგორც ვლადიმერ ღებროვსკი, გადია ევგროვნა, შინაყმა გრიგოლი, მეეტლე ანტონი და მკედელი არქიპო უკვალოდ დაიკარგნენ. ყველა შინაყმამ ჩვენება მისცა, რომ მოხელეები დაიწვენენ შაშინ, როცა სახლრავი ჩამოინგრა; მათი შემომწვარი ძელები გამოთხარეს. დედაკაცებმა ვასილისამ და ლუკერამ სთქვეს, რომ რამდენიმე წუთით ადრე ხანძრის გაჩენამდე ღებროვსკი და არქიპო—მკედელი უნახავთ. მკედელი არქიპო, ყველას ჩვენებით ცოცხალი იყო და, ალბათ, ხანძრის გაჩენის უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი მიზეზი იგი იყო. ღებროვსკიც ძლიერ ეკვებს იწვევდა. კარილუ პეტრესძემ ამ შემთხვევის დაწვრილებითი აღწერა გუბერნატორს ვალუგზავნა, და ახალი საქმე შეიქმნა.

მაღე სხვა ამბებმა მისცეს სხვა საკვები ცნობისმოყვარეობას და მიიქმამოთქმას. .. — ში ყაჩაღები გაჩნდნენ და შიშის ზარს სცემდნენ მის მიდამოებს. მათ წინააღმდეგ მთავრობის მიერ მიღებული ზომები არასაკმარისი გამოდგა. ერთი მეორეზე შესანიშნავი ძარცვა ძარცვას მოსდევდა. გზებზე, სოფლებში საშინი მღვამარეობა შეიქმნა. ყაჩაღებით დატვირთულნი რამდენიმე სამცხენა დღისით აქეთ-იქით დაჰქროდა მთელ გუბერნიასში, მგზავრებს და ფოსტას აჩერებდნენ, სოფლებში შედიოდნენ, მემამულეთა სახლებს სძარცვავდნენ და ცეცხლს უქიდედნენ. გუნდის უფროსი სახელგანთქმული იყო ჭკუით, გაბედულობით და რადიკალირი დიდსულენობით. მასზე სასწაულებს ჰყვებოდნენ; ღებროვსკის სახელი ყველას პირზე ეყრა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ რგი და არა სხვა ვინმე წინამძღოლობდა ამ გაბედულ ბოროტმოქმედებს. მხოლოდ ერთი რამ უკვირდათ—ტროეკუროვის მამულები დაინდეს; ყაჩაღებმა მას ერთი ფარდულიც კი არ გაუძარცვეს, ერთი ურემიც არ გაუჩერეს. თავისი ჩვეულებრივი ქედმაღლობით ტროეკუროვი ამ გამოწაცლისს მიაწერდა იმ შიშს, რომელსაც იგი მთელ გუბერნიას ჰგვრიდა, აგრეთვე მის მიერ თავის სოფლებში მეტად კარგად მოწყობილ პოლიციას. მეზობლები პირველად ერთმანეთ შორის დასცინოდნენ ტროეკუროვის ამპარტავნობას და ყოველდღე მოელოდნენ, რომ დაუბატიებელი სტუმრები პოკროვსკოვსაც ეწვეოდნენ, სადაც ხელის მოსათბობს იპოვინდნენ; მაგრამ ბოლოს იძულებული გახდნენ ტროეკუროვის აზრი გაეზიარებინათ და ელიარებინათ, რომ მის მიმართ ყაჩაღები გაუგებარ პატივისცემას იჩენდნენ... ტროეკუროვი ზეიმობდა და ყოველი ამბის ვაგებზე, ღებროვსკიმ ვინმე გაძარცვაო. დაუზოგველად დასცინოდა გუბერნატორს,



მაზრის პოლიციის უფროსებს და ასეულთა მეთაურებს, რომლებსაც დღემდე სკი ყოველთვის უწინებლად უხსლტებოდა ხელიდან.

ამასობაში პირველი ოქტომბერი მოვიდა—ხატობის დღე ტროცკის ფელში... მაგრამ, სანამ ამ დღესასწაულსა და შემდეგ მომხდარ ამბების მოყოლას შევეუდგებოდეთ, ჩვენს მითხველს უნდა ვაეცნოთ ის პირები, მისთვის ახალნი, ან რომლებიც ჩვენ მხოლოდ ოდნავ მოვიხსენიეთ ჩვენი მითხრობის დასაწყისში.

## თავი მერამე

მითხველი, ალბათ, მიხედვრილია, რომ კირილე პეტრეს-ძის ასული, რომლის შესახებ ჯერ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვთქვით, ჩვენი მოთხრობის გმირია. იმ დროს, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, იგი 17 წლისა იყო და სილამაზით ყვარდა. მამას გაგვიყვებოდა უყვარდა, მაგრამ ეპყრობოდა თავისებური აზრებით; ხან უსრულებდა ყოველ უმნიშვნელო სურვილს რაც მოეპრინებოდა; ხან მკაცრი, ზოგჯერ კი სასტიკი მოპყრობით შიშსა ჰგვრიდა. მამა დარწმუნებული იყო, რომ თავის ქალიშვილს უყვარდა, მაგრამ ვერ შესძლო მისი ნდობა დაემსახურებინა. მამა დაეჩვივა მამისთვის დაემალნა თავისი გრძნობები და ფიქრები, რადგან არ შეეძლო ნამდვილად სცოდნოდა მის განცდებს მამა როგორ შეხედებოდა. მამას მეგობარი ქალები არა ჰყავდა, მარტობაში გაიზარდა. მეზობლების ცოლები და ქალიშვილები სტუმრად იშვიათად დადიოდნენ კირილე პეტრეს-ძესთან, რომლის ჩვეულებრივი ლაპარაკი და გაართობანი მამაკაცთა წრეს მოითხოვდა და არა მანდილოსანთა საზოგადოებას. ჩვენი მზეთუნახავი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა კირილე პეტრეს-ძესთან მოქვიფე სტუმრებს შორის, მის განკარგულებაში იყო უზარმაზარი ბიბლიოთეკა, სადაც უმთავრესად მე-18 საუკუნის ფრანგი მწერლების ნაწარმოებები იყო. მამას, რომელიც არაფერს არ კითხულობდა, ვარდა სრულყოფილი მზარეული ქალისა, არ შეეძლო მისთვის წიგნების შერჩევაში ხელმძღვანელობა გაეწია და მამა ბუნებრივად ყოველგვარ თხზულებათა გადახედვის შემდეგ რომანებზე შეჩერდა. ამრიგად, დაასრულა მან თავისი აღზრდა, რომელიც ოდესღაც მამაზედ მიმის ხელმძღვანელობით დაიწყო. კირილე პეტრეს-ძე მამულ მამის მიმართ დიდ ნდობასა და მიდრეკილებას იჩენდა, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა იგი ჩუმად სხვა მამულში გაეპარებინა, როცა ამ მეგობრობის შედეგები მეტად აშკარა გახდა. მამულ მამამ თავის შესახებ საკმაოდ სასიამოვნო მოგონება დასტოვა. იგი კეთილი ქალი იყო და არასოდეს ბოროტად არ იყენებდა გავლენას, რომელიც, ეტყობოდა კირილე პეტრეს-ძეზე ჰქონდა—ამით განსხვავდებოდა სხვა ხასებისაგან, რომლებსაც ტროცკე-როვი წარამარა იცვლიდა. თვითონ კირილე პეტრეს-ძეს, ჩანდა, მამულ მიმი სხვებზე უფრო უყვარდა; და შეთვალა ცელქი ბიჭუნა დაახლოებით ცხრა წლისა, რომელსაც m—lle მიმის სამხრეთული იერი გამოჰყვა, ტროცკე-როვთან იზრდებოდა და მის შვილად იყო აღიარებული, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფეხშიშველა ბიჭები, რომლებიც წყალის ორი წვეთივით კირილე პეტრეს-ძეს ჰგავდნენ, მისი ფანჯრის წინ დარბოდნენ და შინაყვებად ითვლებოდნენ. თავისი პატარა სამსახურის კირილე პეტრეს-ძემ მოსკოვიდან მოიწვია ფრანგი მასწავლებელი, რომელიც პოკროვსკოეში ჩავიდა იმ ამბების დროს, რომლებსაც ახლა მოგიხსრობთ.



ეს მასწავლებელი კირილე პეტრეს-ძეს მოეწონა მისი სასიამოვნო გაქვეყნებით და უბრალო თავისდაჭერით. მან კირილე პეტრეს-ძეს წაუფიქრებელი ატესტატები და წერილი ტროეკუროვის ერთ-ერთი ნათესავისაგან, რომელთანაც ოთხ წელიწადს გუვერნიორად მსახურობდა. კირილე პეტრეს-ძემ ყველაფერი ეს გასინჯა და უკმაყოფილო დარჩა მხოლოდ თავისი ფრანგის ახალგაზრდობით, არა იმიტომ რომ იგი ფიქრობდა, ეს საამო ნაკლოვანება შეუთავსებელი იყო მოთმინებასა და გამოცდილებასთან, რაც ასე უკირდება მასწავლებლის უბედურ წოდებას, მაგრამ ტროეკუროვს ჰქონდა თავისი ეჭვები, რის ახსნაც მასწავლებლისათვის მან მაშინვე გადასწყვიტა. ამიტომ ბრძანა მასა მოეყვანათ (კირილე პეტრეს-ძემ ფრანგული არ იცოდა და თარჯიმანად მამას იყენებდა).

— მოდი ჩემთან, მამა, უთხარი ამ მუსიეს, კარგი—მივიღებ; მხოლოდ იმ პირობით, რომ მან აქ ჩემ მოახლე ქალებს ღვენა არ დაუწყოს, თორემ შავას, მამაძალს... ვადაუთარგმნე, მამა.

მამა გაწითლდა, მასწავლებელს მიუბრუნდა და ფრანგულად უთხრა, მამა თქვენგან თავმდაბლობასა და წესიერ ყოფაქცევას მოვლისო.

ფრანგმა თავი დაუკრა და უპასუხა, რომ მას იმედი აქვს პატივისცემა დაიმსახუროს იმ შემთხვევაში, თუ წყალობას არ მოაკლებენ.

მამამ სიტყვა-სიტყვით გადათარგმნა მისი პასუხი.

— კარგი, კარგი,—სთქვა კირილე პეტრეს-ძემ,—მას არ სჭირდება არც წყალობა, არც პატივისცემა. მისი საქმეა საშას მოუაროს და გრამატიკა და გეოგრაფია ასწავლოს. ვადაუთარგმნე ეს.

მარიამ კირილეს ასულმა თავის თარგმანში შეარბილა მამის უხეში გამოთქმები, და კირილე პეტრეს-ძემ ფრანგი გაგზავნა ფლიგელში, სადაც ოთახი მიუჩინეს.

არისტოკრატიულ ციურწმენაზე აღზრდილ მამას ახალგაზრდა ფრანგისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია; მასწავლებელი მისთვის ერთდაგვარი მსახური ან ხელოსანი იყო; მსახური ან ხელოსანი კი მას მამაკაცად არ მიაჩნდა. მამამ ვერ შენიშნა, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მან m-r დე ფორზეზე, როგორ შეერთა იგი, ათრთოლდა და ხმა შეეცვალა. მერე რამდენიმე დღის განმავლობაში, მამა ზედიზედ ხედებოდა ფრანგს, მაგრამ მეტი ყურადღების ღირსი იგი არ გაუხდია. მოულოდნელად მასზე სრულიად ახალი წარმოდგენა შეექმნა.

კირილე პეტრეს-ძის ეზოში ჩვეულებრივად რამდენიმე დათვის ბელი იზრდებოდა. ისინი პოკროვსკოეს მემამულის ერთერთ მთავარ გართობას წარმოადგენდნენ. დათვის ბელები, სულ პატარები რომ იყვნენ, ყოველდღე სასტუმრო ოთახში მოჰყავდათ, სადაც კირილე პეტრეს-ძე მთელი საათობით მათთან ჯახირობდა, კატებსა და ლეკვებს მიუტყვდა. როცა დათვის ბელები წამოიზრდებოდნენ, მათ ჯაქვით აბამდნენ, ნამდვილი შიტეების მოლოდინში. ხანდახან ისინი გამოჰყავდათ ბატონის სახლის ფანჯრის წინ და ლურსმნებდასობილ ცარიელ ნაღვინებ კასრს მიუგორებდნენ; დათვი დაჰყნოსავდა მას, მერე ნელა მიეკარებოდა, თათებს დაიჩხვლევდა, გაბრაზებული უფრო ძლიერად

დაეტაკებოდა და უფრო მწვავე ტკივილს გრძნობდა. დათვი ცუდიდებოდა, ღრიალით კასრს ეძგერებოდა, სანამ საწყალ მხეცს არ წაართმევდნენ. ამოი გამამაგების საგანს. ხან ფორანში ორ დათვის შეუბამდნენ, ნებსით თუ უნებლიედ შიგ სტუმრებს ჩასვამდნენ და ღვთის ანაბარა სარბენად გაუშვებდნენ. მაგრამ საუკეთესო ოინად კირილე პეტრეს-ძესთან შემდეგი რამ ითვლებოდა.

დამშეულ დათვის ჩაჰკეტავდნენ ხოლმე ცარიელ ოთახში და თოკით კედელზე ჩახრახნილ რგოლზე მიიბამდნენ. თოკის სიგრძე თითქმის მთელ ოთახს სწვდებოდა ისე, რომ შეიძლებოდა მხოლოდ მოპირდაპირე კუთხე ყოფილიყო უსაფრთხო საშინელი მხეცის თავდასხმისაგან. ჩვეულებრივად, ახალბედას მიიყვანდნენ ამ ოთახის კარებთან. მოულოდნელად დათვთან შეგადებდნენ, კარებს ჩაუკეტავდნენ და უბედურ მსხვერპლს დასტოვებდნენ მარტოა ბანჯგვლიან განდევნილთან. საწყალი სტუმარი, კალთაჩამოხეული, დაკაწერისაგან დასისხლიანებული მალე უსაშიშრო კუთხეს მიივებდა, მაგრამ ზოგჯერ იძულებული იყო მთელი სამი საათი ფეხზე მდგარიყო, კედელზე მიკრულს ემზირნა, მხეცი როგორ ღრიალებდა, ხტოდა, ყალყზე დგებოდა, მისკენ იწევედა, ლამობდა მისწვდომოდა. ასეთი იყო რუსი ბატონის კეთილშობილი გართობანი!

მასწავლებლის ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ტროეკუროვს მოაგონდა იგი და განიზრახა დათვის ოთახში გამასპინძლებოდა. ამისათვის ერთხელ დილით დაუძახა, ბნელი დერეფნით წაიყვანა; უეცრად გვერდის კარი გაიღო—ორმა მსახურმა ფრანგი შიგ შეაგდო და კარი გასაღებით ჩაუკეტა. გონსმოსულმა მასწავლებელმა მიბმული დათვი დაინახა. მხეცმა ბღღეინვა დაიწყო, შორიდან თავის სტუმარს ჰყნოსავდა, და უცბად უკანა ფეხებზე ადგარი მისკენ წამოვიდა. ფრანგი არ შემერთალა, არც გაქცეულა და თავდასხმას უცდიდა. დათვი მიუახლოვდა, დეფორემა ჯიბიდან პატარა დამბაჩა ამოიღო, მშიერ მხეცს ყურში ჩაუღო და გაისროლა. დათვი წაიქცა, ყველამ მოირბინა—კარები გაიღო, კირილე პეტრეს-ძე შევიდა თავისი ოინის დასასრულით განცვიფრებული.

კირილე პეტრეს-ძეს აუცილებლად სურდა მთელ საქმეში გარკვეულიყო — წინასწარ ვინ გააფრთხილა დეფორეკი ამ მისთვის მოწყობილი ოინის შესახებ. ან რატომ აქვს ჯიბეში გატენილი დამბაჩა. მაშას გამოუძახა. ქალიშვილმა მოირბინა და ფრანგს მამის სიტყვები ვალაუთარგმნა.

— დათვზე არაფერი გამიგონია, — უპასუხა დეფორემა, — მაგრამ მე ყოველთვის თანა მაქვს დამბაჩა, იმიტომ რომ არ ვაპირებ ავითანო შეურაცხყოფა, რისთვისაც ჩემი წოდების გამო, არ შემიძლია დაკმაყოფილება მოვითხოვო.

მაშა ფრანგს ვაოცებით უცქეროდა და მისი სიტყვები კირილე პეტრეს-ძეს ვალაუთარგმნა. კირილე პეტრეს-ძემ არაფერი უპასუხა, ბრძანა დათვი გამოეთრიათ და გაეტყავებინათ; მერე თავის შინაყმებს მიუბრუნდა და უთხრა: „რა ყოჩაღია! არ შეშინდა, ღმერთმანი, არ შეშინდა“. იმ წუთიდან დეფორეკი შეუყვარდა და უკვე აღარ ცდილობდა მის შემოწმებას.

მაგრამ ამ შემთხვევამ კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მარიაზე კირილეს ასულზე მოახდინა, იგი განცვიფრდა. ხელაუდა მკვდარ დათვისა და დეფორეს,

რომელიც ლეშს თავს დასდგომოდა; ფრანგი კი მაშას ამ დროს მშვენიერად  
 უბრებოდა. მარიამ კირილეს ასულმა დაინახა, რომ გულადობა და ამაყი თავ-  
 მოყვარეობა მარტო ერთი წოდების კუთვნილება არ ყოფილაო—და ამის შემ-  
 დეგ ახალგაზრდა მასწავლებლის მიმართ პატივისცემას გამოხატავდა, უფრო  
 და უფრო ყურადღებიანი ხდებოდა. მათ შორის ერთგვარი დამოკიდებულება  
 დამყარდა. მაშას მშვენიერი ხმა და დიდი მუსიკალური ნიჭი ჰქონდა, დე-  
 ფორტემა გაკვეთილების მიცემა ითავა. ამის შემდეგ მკითხველისათვის ძნელი  
 მისახვედრი არაა, რომ მაშას ფრანგი შეუყვარდა, თუმცა ამაში თავისთავსაც  
 არ უტყდებოდა.

თარგმანი იკრდინონ ჰავეარაჰინა.

(დახასრული იქნება)



უაგნო ჩხიძე

## ქოგე მარჯანიშვილი—ჩეჩისორი და ხელმძღვანელი\*



მე არ ვისახავ მიზნად ამომწურავი ან შეცნიერული გაშუქება მიეცე მარჯანიშვილის შემოქმედებითს მუშაობას, მე მხოლოდ მსურს აღვნიშნო მისი რეჟისორული მუშაობის ზოგიერთი მხარე.

ეს საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ქართული თეატრალური კულტურისათვის.

ეს საინტერესოა იმ ახალგაზრდობისათვის, ვინც მის შემდეგ მოვიდა თეატრში და მტკიცე მხატვრულ დასაყრდენს შეუქმნის იმათ, ვინც მუშაობს მარჯანიშვილის მხატვრული გზის შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ მხოლოდ განვითარებისათვის და არა განშორებისათვის, რადგან შეუძლებელია ნიჭიერი შემოქმედის განმეორება

რუსეთის საუკეთესო თეატრალურ ტრადიციებზე და კულტურაზე აღზრდილმა მარჯანიშვილმა შექმნა თავისი საკუთარი მხატვრული გზა, განსხვავებული როგორც ნიჭის თავისებურებით, ისე ნაციონალური თვისებებით. საქართველოში დაბრუნებისას მან ქართულ თეატრში მოიტანა თავისი ორიგინალური და დამოუკიდებელი მხატვრული სახე.

მარჯანიშვილი არის ახალი საბჭოთა ქართული თეატრის ფუძემდებელი. ისინი, ვინც დღეს თვალსაჩინო და წამყვანი ძალებია ქართულ თეატრში,

ყველანი მარჯანიშვილთან არიან გაზრდილნი და მათი პირდაპირი მოვალეობაა მიუღდგომლად გააშუქონ მისი მოღვაწეობა, რომელსაც ესოდენ დიდი ადვილი მიეკუთვნება ქართული თეატრის განვითარების ისტორიაში.

### I

ერთის შეხედვით, მარჯანიშვილი შეიძლება უსისტემო რეჟისორად მოჩვენებოდა აღამიანს, მაგრამ იმის თქმა, რომ მას არ გააჩნდა ერთი გარკვეული სისტემა და გარკვეული სცენიური მეთოდი, რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი და სამართლიანი. რომ გადაეხედოთ ერთმანეთზე ქრონოლოგიურად საკმაოდ დაშორებულ მის დადგმებს, ენახავთ, რომ ისინი ერთნაირ მხატვრულ პრინციპებზე არიან აგებული და რეჟისორული ხერხებიც ძირითადად ერთიდაიგივე არის. მაგალითად, მის შიერ დადგმულ კლასიკოსებში („ცხვრის წყარო“, „ჰამლეტი“, „ურბელი“, „ოტელო“, „მეატრიჩე“) ძალიან მკაფიოდ მოჩანს ერთი გარკვეული მეთოდი, როგორც სცენიური მასალის გახსნის, ისე მისი განსახიერებისა.

მაგრამ შეუძლებელია მოვთხოვოთ მარჯანიშვილს, რომ მას ერთნაირი მადგომა ჰქონოდა „ინტერესთა თამაშის“ და „ჰამლეტისადმი“. „ჰოპლა ჩვენ ევოცხლობთ“ და „მზის დაბნე-

\* იხეივება შემოკლებით.

ლებსადმი“, როგორც ტექსტის გახსნასა და წაკითხვაში, ისე მათი სცენიური ფორმების გამოძებნაში. მარჯანიშვილი ამა თუ იმ ნაწარმოების ქანრის მიხედვით ნახულობდა შესაფერ თრინალურ სცენიურ ფორმებსა და არა ერთ რომელიმე მზა ფორმას აძლევდა ყველა ქანრის ნაწარმოებს. ზოგიერთების თვალში სწორედ ის ჰქმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს მას გარკვეული მხატვრული პრინციპები არ გააჩნდა, მაშინ, როდესაც ეს შეადგენდა მისი რეჟისორული ნიჟის სიმდიდრესა და მრავალფეროვანებას.

რა ედო საფუძვლად მარჯანიშვილის დადგმებს? ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, სინთეტიკური თეატრის ძირითადი პრინციპები: ხელოვნების ყველა დარგის გამოყენება სპექტაკლში (სიტყვა, მოძრაობა, მუსიკა, მხატვრობა), მათი პარამონიული შედუღება და, რაც მთავარია, ყოველმხრივ გაწრთვნილი აქტიორი, რომელიც თანაბარი სიძლიერით ფლობს სიტყვასა და ექსტს, მოძრაობასა და მუსიკას, თანაბარი სიძლიერით თამაშობს ტრაგედიასა და კომედიას, პანტომიმას და დრამას.

რა შეადგენდა ყველა მისი დადგმის დამახასიათებელ თვისებებს?

უპირველეს ყოვლისა, არაჩვეულებრივი შინაგანი რიტმის გრძობა, მგზნებარე ტემპერამენტი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ემოციური სისავე, დღესასწაულებრივი ხასიათი, ფერადოვნება, თეატრალური ოპტიმიზმი, მიზანსცენების დახვეწილობა; ზშირად სკულპტურული ხასიათის გვერდები, სიტყვის, ექსტის და მოძრაობის უკიდურესი თანხმობა. ექსტის სიფართოვე, ნათელ-ჩრდილების შენაცვლება. მხატვრობის, მუსიკისა და განათების, როგორც სპექტაკლში ორგანიულად შემავალი ელემენტების, გამოყენება. ტრადიციულ კომიკური ხან გროტესკული

ელემენტების შეტანა. კომედიას სრულსებუქე, სიმარტივე, სცენისკოპიური განტვირთვა და მუსიკის მკაცრად რაველ. ნაწარმოების სქელი ფერადებით, რამდენიმე მოსმით მოცემა და არა დეტალური წვრილმანებით გაშუქება.

მის საუკეთესო სპექტაკლებში ბევრი იყო რაღაც პოეტური, რომანტიკული, ყოველთვის იგრძნობოდა ძლიერი სწრაფვა გმირული თეატრისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგჯერ სცილდებოდა რეალიზმის ფარგლებს. მისი მუშაობის დასაყრდენს მაინც რეალისტური თეატრის საფუძვლები შეადგენდა. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში.

დაიწყოთ ტექსტიდან, თუ როგორ იყენებდა თითონ დრამატულ ნაწარმოებს. ის, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა დრამატული ნაწარმოებიდან შეექმნა სცენიური ნაწარმოები.

როდესაც მარჯანიშვილს პიესა მოჰქონდა წასაკითხავად, მას უკვე გაკეთებული ჰქონდა პიესის მონტაჟი, დადგმის გეგმაც და ცალკე ხასიათებიც ზოგადად მაინც მოფიქრებული და გამორკვეული, დასახული ჰქონდა აგრეთვე მუსიკისა და დეკორატიული გაფორმების საერთო ხასიათიც.

რადგან პიესის წაკითხვას დიდ მნიშვნელობას აძლევდა, ცდილობდა დასს მოწონებოდა და ნაწარმოებალში ნდობა და ინტერესი გაღვივებოდა. წაკითხვის დროს თუ დაუქვირდებოდი, უკვე შეამჩნევდი ინტონაციაში მოქმედი პირების ხასიათს, — როლის ნაწილობრივ გაგებას. კითხვის შემდეგ ის გადადიოდა მთლიანად ნაწარმოების და შემდეგ ცალკე მოქმედი პირების და ხასიათებაზე. ლაპარაკობდა როლის, როგორც შინაგან, ისე გარეგნულ თვისებებზე და განმარტების დროსაც ზშირად თამაშობდა დასახულ სახეს, მისი რომელიმე მეტად დამახასიათებელი

თვისებების ხაზგასმით და გამოჩენით. ამას სწადიოდა უმეტეს შემთხვევაში, თუ ყოველთვის არა. იქვე არჩეულა და იშველებლა მაკეტსა და ტიპების ესკიზებს, თუ ასეთები უკვე მზად იყო. შემდეგ ხდებოდა ტექსტის გასინჯვა, უბრალო წაკითხვით შედარება და გასწორება. როდესაც ტექსტი გასწორებული და საბოლოოდ დადგენილი იყო, იბარებდა იმ მსახიობებს, რომლებიც პირველ აქტში ან დასაწყისში სპორდობოდა პიესის გარკვეული ნაკვეთისათვის და ისევ დაუბრუნდებოდა მათი როლების დახასიათებას. შემდგომ აქტიორს ჰკითხავდა, როგორ ესმის მას თავისი როლი, როგორი სახე მოიფიქრა, შეეკამათებოდა ან მოიწონებდა აქტიორის მიერ არჩეულ სახეს, თუ ეს, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგებოდა მისი დადგმის საერთო გეგმას. როდესაც როლის გაგება სიტყვიერად უკვე გარკვეული იყო, ტექსტი გასწორებული და გახსნილი, იწყებდა ტონის ძებნას და ამასთან ერთად, უმეტეს შემთხვევაში, გრძნობასაც იმ თავითვე ითხოვდა.

აგილოთ, მაგალითად, „ჰამლეტის“ დასაწყისი. ყველა მონაწილენი თავმოყრილია სარეპეტიციო დარბაზში. მაგიდას უსხედან მარჯანიშვილი და პირველი სურათისათვის საჭირო აქტიორები. მარჯანიშვილი აძლევს მუსიკის დაწყების ნიშანს. გაისმის „ჰამლეტზე“ დაწერილი ჩაიკოვსკის მუსიკა, მუსიკა წინ უძღვის პიესის დასაწყისს. მის ჰანგებში ისმის დახშული, იღუმალი მღელვარება. მარჯანიშვილი უკვე ფეხზე დგას. თავისთვის დუღუნებს, მიჰყვება მუსიკას, თავის, ხან ხელის მოძრაობით აღნიშნავს მის რიტმს ან ტემპს. თანდათან იფლენთება მისი განწყობილებით. მთელი მისი არსება თითქოს დაძაბულია. დასის ყურადღება მიჯაჭვულია მასზე. ფრანცისკოსა და ბერნარდოს, რომლებიც იწყებენ პიესას, ის განუმარტავს: ეტყვიან, რომ მოხდა უცნაური შემთხვევა. მგეფს, როდესაც საათმა დაჰკრა თორმეტი, საგუშავოზე მდგომთ გამოცხადათ გარდაცვლილ მეფის აჩრდილი. აი ახლაც დრო უახლოვდება ნაშუალაშვეს და ეს ქრუანტელსა და შინაგან თრთოლვას ჰკერის, როგორც გუშავად მდგომ ფრანცისკოს, აგრეთვე მის შემცვლელად მომავალ ბერნარდოს. შეიძლება ისინი კარგად ვერ ერკვევიან სახელმწიფოში შექმნილ ვითარებაში, მაგრამ გრძნობენ, რომ დანიაში ხდება რაღაც უჩვეულო ამბები. მეფის უცნაური სიკვდილი, მისი ძმის კლავდიუსის აჩქარებული დაქორწინება დედოფალთან და მზადება ტახტზე ასასვლელად, სასწრაფო მზადება ომისათვის, ყოველივე ეს ჰქმნის რაღაც მოუსვენარ, საგანგაშო მდგომარეობას (სიტყვები, რასაკვირველია, სტენოგრაფიული ჩანაწერი არ არის, მე მხოლოდ დაახლოებით ვიძლევი მარჯანიშვილის განმარტებას). ამ განმარტების დროს თქვენ ხედავთ, როგორ თანდათან იცვლება მარჯანიშვილის მოძრაობა, მისი ექსტი, ლაპარაკის ტონი. მთელი მისი მოქმედების რიტმი; იღებს ის პაპირისს, უყიდებს ასანთს, სვამს წყალს, ისწორებს თმებს, თუ აკეთებს სხვა რამეს, ყოველივე უკვე გაფლენილია იმ განწყობილებით, რომელიც შეჰქმნა მისმა წარმოდგენამ სცენაზე არსებული ვითარებისა და გარემოცვის წარმოსახვით. მისი ცოცხალი თვლების ანთებული მზერა ხშირად გადაიბრუნს მონაწილეთა სახეებზე, თითქოს სინჯავს თავის სიტყვების ზეგავლენას. ის ლაპარაკობს შთაგონებით, გრძნობით:—აი ახლაც, როდესაც ჩვენ ვხედავთ მოვარის შუქით განათებულ, საღარაჯოზე მყოფ ფრანცისკოს, ჩვენ ვამჩნევთ, როგორ დაძაბულია მისი მზერა, როდესაც იგი ათვალეირებს სიბნელით მოცულ გარემოს. სიფრთ-

სას, ის განუმარტავს: ეტყვიან, რომ მოხდა უცნაური შემთხვევა. მგეფს, როდესაც საათმა დაჰკრა თორმეტი, საგუშავოზე მდგომთ გამოცხადათ გარდაცვლილ მეფის აჩრდილი. აი ახლაც დრო უახლოვდება ნაშუალაშვეს და ეს ქრუანტელსა და შინაგან თრთოლვას ჰკერის, როგორც გუშავად მდგომ ფრანცისკოს, აგრეთვე მის შემცვლელად მომავალ ბერნარდოს. შეიძლება ისინი კარგად ვერ ერკვევიან სახელმწიფოში შექმნილ ვითარებაში, მაგრამ გრძნობენ, რომ დანიაში ხდება რაღაც უჩვეულო ამბები. მეფის უცნაური სიკვდილი, მისი ძმის კლავდიუსის აჩქარებული დაქორწინება დედოფალთან და მზადება ტახტზე ასასვლელად, სასწრაფო მზადება ომისათვის, ყოველივე ეს ჰქმნის რაღაც მოუსვენარ, საგანგაშო მდგომარეობას (სიტყვები, რასაკვირველია, სტენოგრაფიული ჩანაწერი არ არის, მე მხოლოდ დაახლოებით ვიძლევი მარჯანიშვილის განმარტებას). ამ განმარტების დროს თქვენ ხედავთ, როგორ თანდათან იცვლება მარჯანიშვილის მოძრაობა, მისი ექსტი, ლაპარაკის ტონი. მთელი მისი მოქმედების რიტმი; იღებს ის პაპირისს, უყიდებს ასანთს, სვამს წყალს, ისწორებს თმებს, თუ აკეთებს სხვა რამეს, ყოველივე უკვე გაფლენილია იმ განწყობილებით, რომელიც შეჰქმნა მისმა წარმოდგენამ სცენაზე არსებული ვითარებისა და გარემოცვის წარმოსახვით. მისი ცოცხალი თვლების ანთებული მზერა ხშირად გადაიბრუნს მონაწილეთა სახეებზე, თითქოს სინჯავს თავის სიტყვების ზეგავლენას. ის ლაპარაკობს შთაგონებით, გრძნობით:—აი ახლაც, როდესაც ჩვენ ვხედავთ მოვარის შუქით განათებულ, საღარაჯოზე მყოფ ფრანცისკოს, ჩვენ ვამჩნევთ, როგორ დაძაბულია მისი მზერა, როდესაც იგი ათვალეირებს სიბნელით მოცულ გარემოს. სიფრთ-



ხილითა და შინაგანი თრთოლვით უახლოვდება საგულშაფოს ბერნარდო. ბუფიანი ქურჭები მოსავს გოლიათური მოყვანილობის მეომრებს. ხელთ უპყრიათ შუბები და უზარმაზარი ფარები, რომლებიც საჭიროების დროს ფარავენ ადამიანის მთელ ტანს. მაგრამ ომებში გამოწრთობილ ამ გოლიათებს, რომლებიც ბრძოლის ველზე შეიძლება სიკვდილს უშიშრად შეხვდებიან, შიმსა და ჭრუანტელს გერის მაინც აჩრდილის გამოჩენის ამბავი. ეს ის დროა, როდესაც ადამიანის გონებას სჯერა ყოველივე ზებუნებრივი, როდესაც მისი გონება მოცულია კიდევ ცრუმორწმუნეობით და სიბნელით. აი მომავალმა ბერნარდომ შეამჩნია ადამიანის ლანდი, იგი შესდგა — „მარჯანიშვილის მხერა ახლა მხოლოდ ბერნარდოზე არის შეჩერებული. მისი თვლები თითქოს იხედებიან მის სულსა და გულში და როგორც პროექტორის სხივები, ეძებენ საჭირო სიმებს, რათა მათი შეხებით აქტიორმა გამოსცეს საჭირო ხმა“.

„აი, მან შესძახა!“ ამ დროს მარჯანიშვილს შეეკუმშული მუშტი მაგრად მოხვდება მაგიდას, რაც დაწყების ნიშანს აძლევს აქტიორს. როდესაც ბერნარდო წარმოსთქვამს: „მანდ ვინა დვახარ?“ მარჯანიშვილი მასთან ერთად, საჭირო ტონითა და განცდით იმეორებს იმავე სიტყვებს, თან განაგრძობს: „მისი შეძახილი უნდა ისმოდეს დახშულად, როგორც ძლიერი ჩურჩული“. ასევე იმეორებს ფრანცისკოსთან ერთად მის სიტყვებს: „თითონ ვინა ხარ, მოთხარ ნიშანი?“ აქტიორთან ერთად იმეორებს, რადგან აქტიორის ტონი ჯერ კიდევ გაუბედავია, აქტიორი არ არის დარწმუნებული თავის ტონის და განწყობილების სიმართლეში და მარჯანიშვილი ეხმარება მას, თითქოს ცდილობს მტკიცედ დააყენოს ფეხზე. მარჯანიშვილი ყოველთვის არ უკარ-

ნახებდა აქტიორს საჭირო ტონითა და გრძნობას; ეს დამოკიდებული იყო პიესაზე და მის დამწყებ მომენტზე. მაგრამ აქ, დასაწყისს, ჯერ ერთი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მეორეც, მარჯანიშვილი ცდილობდა არა მარტო ბერნარდოს და ფრანცისკოს ეგრძნოთ და გადადებოდათ შინაგანი მღელვარება და საგანგაშო მდგომარეობა, არამედ სწეხსაც, მომდევნო სცენების მონაწილეთაც: ჰორაციოსა, მარტელუსს, პამლეტსა და ყველა მოქმედ პირებს. როდესაც ის გვიხატავდა შექმნილ მდგომარეობას, ის ცდილობდა სიტყვიერი ახსნით აემოქმედებინა აქტიორის ფანტაზია. ვიდრე აქტიორი ხმას ამოიღებდა ის ცდილობდა გამოეწვია აქტიორის შინაგანი ბუნების აქტივობა, აზრის მოქმედება — და ისიც მთელის თავის არსებით და მოქმედებით უკარნახებდა მას საჭირო განწყობილებას.

მე ისეთი შემთხვევა ავიღე („პამლეტის“), როდესაც დიდი და პასუხსაგები პიესა იყო სათამაშო და მარჯანიშვილიც მუშაობას განსაკუთრებული სიფრთხილით უდგებოდა, ცდილობდა გაერკვია და გაეშუქებინა ყოველივე წეროლმანი. ვარდა ამისა აქტიორები ნაწარმოებს კარგად იცნობდნენ და რეპეტიციებამდე დროც საკმარისი ჰქონდათ ფიქრისათვის. მაგრამ ზოგჯერ იყო ხოლმე ისეთი შემთხვევა, როდესაც პიესის მზადებას ისეთის ტემპით შეუდგებოდა წაიკითხვისთანავე, რომ აქტიორი ვერ ასწრებდა როლის გარკვეული სახის მოფიქრებას და მას უკვე თამაში უხდებოდა.

ცხადია, ასეთ შემთხვევაში თუ აქტიორი განსაკუთრებული ნიჭის პატრონი არ იყო, ის ვერ ახერხებდა ტონთან ერთად საჭირო გრძნობის მოცემას. ხოლო როდესაც თავზე ვადგია მოთხოვნილებით ისეთი რეჟისორი, როგორიც იყო მარჯანიშვილი და შე-

მოგყურებენ აქტიორები, მაშინ შენი აქტიორული თავმოყვარეობა გაიძულე, თუ არა ხარ მზად სათანადო გრძნობებისათვის, ნაძალადევად გამოსწურო იგი შენგან. მაგრამ მარჯანიშვილს ვერ მოატყუებდა აქტიორი ასეთი „ქუნთების ტემპერამენტიო“ ასეთ შემთხვევაში, ესე-იგი, როდესაც აქტიორი ვერ ახერხებდა როლის გარკვეული სახის მოფიქრებას, ან როდესაც აქტიორს არ გააჩნდა შემოქმედებითი ინიციატივა, პასიური იყო და ელოდა რეჟისორის დახმარებას, ან როდესაც აქტიორი ახალგაზრდა და გამოუცდილი იყო, ან აქტიორს რაღაც უშლიდა ხელს და მოქმედებაში ვერ ახერხებდა საჭირო გრძნობის მკაფიოდ გამოვლინებას, რომელიმე სცენის გაკეთებას, და მისთვის ერთგვარი მიშველება, ბიძგი იყო საჭირო, — მარჯანიშვილი პირდაპირ ჩვენებას მიმართავდა. ამ ჩვენებას სხვადასხვაგვარად იყენებდნენ აქტიორები. ზოგისათვის ეს მხოლოდ იმპულსი იყო და ხელს უწყობდა მისი საკუთარი შემოქმედებითი პროცესის აქტივობას, ზოგისათვის გზისა და საშუალებების მაჩვენებელი იყო მასში ჩასახული ემოციების მოქმედებაში გამოსამკლავებლად, ზოგისათვის კი უბრალო მისაბამი მაგალითი. აქტიორის შემოქმედებითი ფანტაზია, თავისებურად გარდატეხდა მარჯანიშვილის ნაჩვენებს, ამლიდრებდა მას თავისი ინდივიდუალური თვისებებისა და მიხედვით და ისე იმეორებდა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ თუ აქტიორი მუშაობის დასაწყისში საჭირო გრძნობის თუ გინდ მცირე ჩანახაზს მისცემდა, ის მაშინვე ჩასკიდებდა მას ხელს და ამით კმაყოფილდებოდა. ეს თქვენი გრძნობა, უპირველეს ყოვლისა, მას თითონ სჭირდებოდა, როგორც ერთგვარი კამერტონი, თავიდანვე სწორი ტონის ასაღებად და საერთო განწყობილების შესაქმნელად, რად-

გან დასაწყისში მისი მუშაობისათვის ეს თქვენი გრძნობის ჩანახაზი უწყვეტად იყო. მისი მთავარი მუშაობის მიზანმიმართული იყებოდა და მან იცოდა, რომ აქტიორის ამ ნაპერწყლიდან ხანძარი გაიზრდებოდა. ვინც მაგიდასთან მუშაობის დროს თავიდანვე გამოამქლავებდა მთელ თავის გრძნობებს, ის მუშაობის შემდეგ პროცესში ან სრულიად აღარ იზრდებოდა, ანდა ძალიან უმნიშვნელოდ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგაც. თუ რეჟისორი შეხედავდა აქტიორს, რომ ის გარკვეულ გზას დაადგა და როლის საინტერესო სახეს იძლევა, თუ გინდ სხვასაც, ვიდრე მას თითონ ჰქონდა მოფიქრებული, მაშინ ხელს არ შეუშლიდა, პირიქით, მას გაყვებოდა და შეუმჩნეველად დახმარებას გაუწევდა, თუ, რასაკვირველია, აქტიორის მიერ არჩეული როლის გაგება არ ეწინააღმდეგებოდა მისი დადგმის საერთო მხატვრულ ხაზს.

შეუმჩნეველი დახმარება კი ისეთი იცოდა მარჯანიშვილმა, რომ მომუშავეს რჩებოდა სრული შთაბეჭდილება. თითქოს როლი მან სრულიად დამოუკიდებლად შექმნა. ხშირად განცვიფრებაში მოვსულვარ, როდესაც აქტიორს უთქვამს ჩემთვის რომელიმე როლის შესახებ, ეს მე დამოუკიდებლად შეექმნით. სინამდვილეში როლი მარჯანიშვილის დახმარებით იყო გაკეთებული. დახმარებას უწყევდა არა მარტო აქტიორს, არამედ დრამატურგსაც, მხატვარსაც, კომპოზიტორსაც. მე ვეცდები ჩემი მუშაობიდან მოვიყვანო მაგალითები.

მარჯანიშვილმა მე პირადად ყველაზე მეტი დახმარება ჰამლეტზე მუშაობის დროს გამიწია, მაგრამ სურვილის წინააღმდეგ, ნაძალადევად. მე მგონია, თავზე არაფერი მოუხვევია. შეიძლება ვეცდებოდე, მაგრამ ეფიქრობ, რომ შეუძლებელია მარჯანიშვილის ჰამლეტის

იმის მსგავსი სახე ჰქონოდა წინასწარ მოფიქრებული, როგორც მე ვითამაშე. რომ ვთქვა, თითქოს მე მქონდა ასეთი სახის შექმნა უკვე აღარ განზრახული, რასაკვირველია, არც ეს იქნება მართალი. იმ ჰამლეტის სახემ, რომელიც მე თავიდან მეხატებოდა ჩემს გონებაში, ძალიან დიდი ცვლილება განიცადა. მე მგონია, ასე დაემართა ნაწილობრივ მაინც მარჯანიშვილსაც, რადგან მზადების პროცესში, ჩემში, ზოგიერთი ისეთი თვისებები გამოჰყვანებოდა, რაც სრულიად მოულოდნელი იყო მისთვის. მაგრამ მარჯანიშვილის ერთი შესანიშნავი თვისება, როგორც რეჟისორის, კიდევ იმაში გამოიხატებოდა, რომ მას მუშაობის პროცესში შეეძლო შეეცვალა როლის დასახული სახე, შეფარდებით აქტიორში გამოჰყვანებულ ინდივიდუალურ თვისებებთან. ამ შემთხვევაში იგი ისეთ სარდალს მოგვაგონებდა, რომელიც ბრძოლის პროცესში მოულოდნელად შექმნილ მდგომარეობიდან მიხედვით, სცელის დარტყმის გეზს და მიმართულებას და არ მიჰყვება ბრძოლ წინასწარ შემუშავებულ ბრძოლის გეგმას. არიან როლები, რომელნიც პირველი გაცნობიდანვე ნათელია თქვენთვის და შეგიძლიათ თითქმის უცვლელად ითამაშოთ, ისე როგორც თავიდან წარმოიდგინეთ, მაგრამ შექსპირი სხვაა და, მით უმეტეს, „ჰამლეტი“, სადაც ყოველი სიტყვა, როდესაც მას უკვე ხელს შეახებ, მრავალნაირად ამტყველდება.

როდესაც მუშაობის პროცესში დაწყებისთანავე შეხედა, რომ მე რაღაც გარკვეულ გზას დავადექი, როდესაც დაინახა ჰამლეტის სრულიად ორიგინალური სახე, წინააღმდეგობა კი არ ვამიწია, პირიქით, გაეხარდა და მახსოვს, მან ნებაც კი არ მისცა რეჟისორს რაღაც შენიშვნა მოეცა ჩემთვის, და სიტყვებით: „დააცადე, დააცადე,

თითონ გააკეთოს,“—გააჩნრა იგი. ეს მოხდა პიესის დასაწყისში, კმის შექმნა დეგ გვერდში ამომიღდა, და მისი მუშაობა, მიჩვენებდა კიდევაც ზოგიერთ ადგილებს, და ასე მეხმარებოდა ჩანასახის დამუშავებასა და გაღრმავებაში. მაქვსებდა, მამხნელებდა და როდესაც კარგს რამეს დაინახავდა ჩემს თამაშში, სახე გაუბრწყინდებოდა, თვალები აენთებოდა და დაიწყებდა გაზეიადებულ ქებას. ასე გრძელდებოდა მთელი მუშაობის მანძილზე. ამ ხერხით მარჯანიშვილმა ჩემში აღძრა დიდი ძიებისა და შრომის სურვილი, შემმატა გამბედაობა და განამტკიცა ჩემში რწმენა საკუთარი ძალისადმი.

როდესაც პიესის ტექსტი გასწორებული, გახსნილი და გარკვეული იყო, ტონი და საჭირო გრძნობა მომებნილი და დამაგრებული, ის მაგიდასთან მუშაობას დასრულებულად თვლიდა. რაც უფრო დრო გადიოდა, იმდენად უფრო ნაკლებ ჩერდებოდა მაგიდასთან მარჯანიშვილი. თუ თავისი მუშაობის პირველ პერიოდში რუსთაველის თეატრში ის მეტ დროს ანდომებდა მაგიდასთან მუშაობას და შედარებით დეტალურად არჩევდა ყველაფერს, მისი სახელობის თეატრის დაარსების შემდეგ ის დიდხანს აღარ ჩერდებოდა ცალკე სახეების გახსნასა და დამუშავებაზე და უფრო ჩქარი ტემპით ხდებოდა მიზანსცენებზე გადასვლა. თავიდან მე ვფიქრობდი, ამის მიზეზი დროის უქონლობა იყო. მარჯანიშვილმა პირველ სეზონში რვა დადგმა მისცა და საღ ჰქონდა მას საშუალება თვეობით მუდარაყო მაგიდასთან. მაგრამ მთავარი მიზეზი, როდესაც შემდეგში ვაკვირდებოდი მთელი მისი მუშაობის პროცესს, იმაში მდგომარეობდა, რომ ის შეგნებულად აღარ თვლიდა საჭიროდ მაგიდასთან ტექსტის დეტალური გარჩევით გადაეტვირთა აქტიორის გონება და მოედუნებინა მისი შემოქმე-

დებითი ნებისყოფა მან იცოდა, რომ აქტიორის შემოქმედებაში მთავარი, — მოქმედება არის, რომლის დროსაც ზღბა მხატვრული სახის უფრო სრულყოფილი გახსნა. ზოგიერთ შემთხვევაში მარჯანიშვილი სრულიად გვერდს უვლიდა მაგიდასთან მუშაობას და პირდაპირ მიზანსცენებიდან იწყებდა ცალკე სცენების კეთებას.

როდესაც აქტიორს, მაგიდასთან მუშაობის დროს, მიგნებული ჰქონდა უკვე მართალი გრძნობის ჩანასახი, მარჯანიშვილი შესაფერისი მიზანსცენების საშუალებით ლოგიკურ და თანმიმდევრულ მოქმედებაში, ამ გრძნობას კიდევ უფრო გააღრმავებდა, გაშლიდა და განავითარებდა, უფრო გულწრფელს გახდიდა. რამდენადაც უფრო იზრდება და მართალი ზღბა გრძნობა, იმდენად უფრო ბუნებრივი, მეტყველი და სრულყოფილი ზღბა მოქმედებაც. გრძნობა და ფიზიკური მოქმედება ყოველთვის ურთიერთ ზეგავლენაში იმყოფებიან. ამიტომ ჩქარობდა მარჯანიშვილი მიზანსცენებზე გადასვლას. სწორედ მიზანსცენების კეთების დროს იშლებოდა მთელის მრავალფეროვანებით მარჯანიშვილის რეჟისორული ნიჭის სიძლიერე. აქ მუდამ ვერადით ედგა ის აქტიორს, ან როგორც მეთვალყურე, ან როგორც მასწავლებელი და წინამძღოლი. დღითიდღე, ერთი ეპიზოდისგან მეორემდე, მხატვრული სახის ნაკეთიდან ნაკეთამდე გაივლიდა აქტიორთან ერთად როლის დამუშავების მთელ შემოქმედებით პროცესს, ეიღრე არ გამოძერწავდა სასურველ სცენიურ სახეს. არიან რეჟისორები, რომლებიც იშვიათად კარგად ვახსნიან როგორც პიესას, ისე ცალკე მოქმედი პირების სახეებს მაგიდასთან მუშაობის დროს, მაგრამ მოსცილდებიან თუ არა მაგიდას, უმწეო აღმოჩნდებიან უკვე შემდგომი მუშაობისათვის. მარჯანიშვილის მთავარი

მუშაობა კი შემდეგ იწყებოდა. მარჯანიშვილი რომ მარჯანიშვილი ამას მშვენიერად ასაბუთებდა, სცენის უდიდესი ხელოვანის სტანისლავსკის სიტყვები: „პიესის ყველაზე უკეთესი ანალიზი არის მოქმედება მოცემულ ვითარებაში“ და ის შეხედულებანი, რომელსაც სტანისლავსკი გამოსთქვამდა თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. ამ შეხედულებებიდან ჩვენ ვგებულობთ თუ რა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა იგი აქტიორის შემოქმედებაში — მოქმედებას. ამ დროს მარჯანიშვილი უკვე აღარ იყო ცოცხალი, თორემ იგი დიდ სიხარულს იგრძნობდა, როგორც ხელოვანი, რადგან მეთოდი, რომელსაც ის მიმართავდა და იყენებდა აქტიორთან მუშაობის დროს, გამართლებული აღმოჩნდა სტანისლავსკის დასკვნებით. სტანისლავსკის დასკვნები კი მიღებული იყო იმ დიდი შემოქმედებითი და ექსპერიმენტური მუშაობის შედეგად, რომელიც მან ჩაატარა თავისი დიდი და ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე.

## II

მარჯანიშვილს არასოდეს არ მოჰქონდა სახლიდან წინასწარ დახაზული მიზანსცენები, რომელსაც რეჟისორები შემდეგ ხელოვნურად ახვევენ თავზე აქტიორებს. მისი მიზანსცენები უშუალოდ მუშაობის პროცესში იყო შექმნილი, ამიტომ ისინი ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავის ბუნებრივობით და ხელს უწყობდნენ აქტიორს მხატვრული სახის და მისი ხასიათის სწორად გახსნაში. მაგალითად „მეფე ლირზე“ მუშაობის დროს, ბუნებრივი გარემოცვა და მდგომარეობა რომ შეექმნა აქტიორის მოქმედებისათვის და ამით გამოეწვია მის თამაშში გულწრფელობა და სიმართლე მახსოვს, დაახლოებით

როგორც მიზანსაცნა გაუკეთა და როგორ მიმართა მარჯანიშვილმა ა. ხორავას, ლირის მოთამაშეს: წარმოიდგინე, რომ ლირი არაჩვეულებრივ, აწეულ განწყობილებასშია, რადგან მან უხდა გადადგას მისთვის სრულიად ახალი, უჩვეულო ნაბიჯი. მან მთელი თავისი სამეფო უნდა დაჰყოს სამ ნაწილად და გადასცეს თავის ქალიშვილებს. თითონ სამეფოს აბსოლუტურმა მფლობელმა, რომლის ნება და სურვილი კანონი იყო აქამდე ყველასათვის, სრულიად უარი უნდა განაცხადოს ყოველგვარ საკუთრებაზე. შეგნება, ასეთი დიდბუნებოვანი და კეთილშობილი ნაბიჯის გადადგმისა, ჰქმნის მის საზეიმო განწყობას. ასეთი მზენ და საზეიმო განწყობილებით გამოდის იგი სცენაზე, სადაც თავმოყრილია ყველა ისინი, ვის მიმართაც ის ასეთ ქველმოქმედებას და გულუხვობას იჩენს. აი ის მოთავსდა სავარძელში, მის წინ ვალეივებული ბუხარია, რომლის წინაც შეიძლება დიდი ინვლისური დოგი იწვეს. ის გარშემორტყმულია თავისი ქალიშვილებით და სასიძობით. მის ფეხით მოთავსებულია მისი უსაყვარლესი ქალიშვილი კორდელია. როგორც გარემოცვა, ისე ადამიანები, რომლებიც სახეში შეჰყურებენ ლირს და ცდილობენ მისი გულის საამებლად, ყოველი მისი სურვილის წინასწარ ასრულებას, ხელს უწყობენ მისი დიდბუნებოვანი ხასიათის კეთილად განწყობას. აი ასეთი განწყობილებით გარემოცვაში იწვებს ლირი თავის მონოლოგს. მარჯანიშვილმა, როგორც ვხედავთ, ტახტზე კი არ დასვა ლირი და არ შემოსა იგი სამეფო რეგალიებით: გვირგვინით, მანტიითა და კვერთხით, რაც ყოველთვის ბიძგს აძლევს აქტიორს საზეიმო, პათეტიური ტონისაკენ, არამედ სავარძელში მოათავსა და თავიდანვე ფსიქოლოგიურად სრულიად ბუნებრივ და ადამიანურ მდგომარეობაში ჩააყენა. ეს დასაწყისი

საწინდარი იყო იმისა, რომ როლის გაშუქება მეტად თავისებური და ფრთხილ-ნალური იქნებოდა, რეჟისორის უჩვეულო აქცენტი გადაჰქონდა როლის შინაგან ბუნების გახსნაზე.

„მეფე ლირში“, რასაკვირველია, იყო ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოდ გაკეთებული ადგილები, ვიდრე ზემოთ დასახელებული, მაგრამ დასაწყისი გავიხსენე, რადგან თავიდან აღებული სწორი ტონი და განწყობილება, პირველ მიზანსაცნასთან ერთად ხშირად ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს როლის მხატვრული სახის გახსნის დროს.

მიზანსცენების ისეთი ოსტატი, როგორც მარჯანიშვილი იყო, მე. მგონია, ძალიან იშვიათია. ძნელად ნახავდით რომელიმე თეატრის სპექტაკლებში მარჯანიშვილისებურ მიზანსცენებს. საიდან იგონებდა მარჯანიშვილი ამ მიზანსცენებს, სახეების ამ დაუსრულებელ მდგომარეობებს, ისიც ისე უცხად, თითქოს მოუფიქრებლად? ალბათ, მდიდარი ფანტაზიიდან, რომელიც იმისათვის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა. არასოდეს ეს მიზანსცენები არ იყო ტრაფარეტული, უშინაარსო, ნაძალადევი, მდგომარეობის შეუფერებელი და დადგმისათვის საჭირო სტილს მოკლებული. მეტად დამახასიათებელი იყო ერთი თვისება მარჯანიშვილის, როგორც ხელოვანისა. ხშირად ამ მიზანსცენებისათვის ისე, როგორც, საერთოდ, მისი მუშაობისათვის, საკმარისი იყო რაიმე მიზეზი, რომელიც იწვევდა მასში შემოქმედებითი აგზნებას. სულ ერთი იყო რა, ან ვინ, აქნებოდა ეს მიზეზი: კომპოზიტორი, მხატვარი, ავტორი თუ აქტიორი, მაგრამ ყველაზე ძლიერი ამათში აქტიორი იყო. აქტიორს შეეძლო მიეცა მარჯანიშვილისათვის უდიდესი შემოქმედებითი იმპულსი. აქტიორს შეეძლო ისეთ აგზნებაში მოეყვანა მარჯანიშვი-

ლი, რომლის დროსაც ის გენიალურ შტრიხებს ნახულობდა როგორც პეისისათვის, ისე ცალკე სახეებისათვის.

ერთხელ ვადიდობთ „ურეელის“ მესამე აქტის პირველ სურათს. ეს აქტი ბოლომდის არ იყო გაკეთებული. მოქმედება კარგად დაიწყო, დიდის განწყობილებით მიდიოდა დედისა (ელ. დონაური) და ურეელის (უ. ჩხეიძე) შეხვედრის სცენა. და, აი ბრმა დედა, ძმები (ს. ზაქარიაძე, ს. ჭელიძე) და ივლითი (ვ. ანჯაფარიძე) ხელეზგაწვდილი ემუდარებიან ურეელს უარყოფის თავის მოძღვრება. იწყება სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილი ურეელის მონოლოგი... მონოლოგს აძლიერებს მუსიკა. ურეელში დროებით მარცხდება მეტროპოლი მოაზროვნე, მას სძლევეს ადამიანური სისუსტე, ის გარბის სინაგოგაში უარსაყოფად, მას თან მისდევს ძმების თანხლებით ბრმა დედა. დაძაბულობამ მიაღწია უმაღლეს წერტილს, მარჯანიშვილი უკვე შეიპყრო სცენამ, მას გადაედო აქტიორების თამაში, ის ანთებული თვალებით მიჩერებია მათ. თმებაშლილი, მთელის გონებით, გრძნობით, ტანით, ხელებით მათკენ მიმართული და, აი, დარჩა სცენაზე ივლითი. აქტიორი ჩეზდება, სურათის ბოლო არ არის მზად. ის დარწმუნებულია, რომ მარჯანიშვილი შეაჩერებს რეპეტიციას და დაწყნარებით გააკეთებს სურათის დასასრულს, მაგრამ ის მიეგარდება ივლითს, სუფლიორს უყვირის მიაწოდოს სიტყვები, დამკვრელს—განაგრძოს მუსიკა. ივლითი მიჰყავს სკამთან, უჩვენებს მას მიაჩერდეს წარმოდგენილ სარკმელიდან ქუჩაში მიმავალ ურეელს. მარჯანიშვილი უკვე თითონაც თამაშობს ივლითთან ერთად. აი, მან ასწია ხელი და გაიშვირა სარკმლისკენ.—ურეელისკენ. მარჯანიშვილის შემდეგი მოძრაობა და ივლითის ტანიც მის ხელშეუხებლად მთელი სიძლიერით მიმართულია ური-

ელისკენ. შემდეგ ივლითს სიტყვები: „აი, ის შესდგა. იგი ყოყმანურად შეიქცენა წაე“, — ამას ლაპარაკობს ურეელის თი და მარჯანიშვილმა მისი ტანი უკვე გადმოზნიქა უკან, ხელი მოლუნა ნახევრად, ასწია ზევით, ივლითის მთელი სახე და სხეული გამოხატავს უდიდეს სულიერ მღელვარებას, მოლოდინს. აი, შეპყვლა ივლითმა უკანასკნელი სიტყვები: „იგი შევიდა სინაგოგაში“ და ივლითის ტანიც მოშვებული, განადგურებული დაემხო, გადაეკიდა სკამის ხარისხზე.

აქ ძნელი გასარკვევი იყო: მარჯანიშვილი რას უჩვენებდა ან როგორ ეხმარებოდა ვერიკო ანჯაფარიძეს, რადგან ორივე თამაშობდნენ ერთად — პარალელურად. ყოველივე ამას მარჯანიშვილი ჩაღიოდა უდიდესი სისწრაფით, ის იღვა როგორც მოქანდაკე, თითქოს უჭირა ხელში მასალა — ივლითი — და გატაცებით ძერწავდა მისი ტანიდან საჭირო მდგომარეობებს.

მოფიქრების დრო არამც თუ აქტიორს, მარჯანიშვილსაც არ ჰქონდა. სამართლიანობა მოითხოვდა რეჟისორს დამშვიდებით გაერკვია და შეეთანხმებინა აქტიორთან ტექსტი და მასთან დაკავშირებით გაეკეთებინა მიზანსცენა, მაგრამ, იმ დროს რომ მარჯანიშვილი გაჩერებულიყო და ახსნა-განმარტება დაეწყო, გაერკვია ყველაფერი დამშვიდებით და წყნარად, ის შეიძლება დაჰკარგავდა მაშინ იმ გრძნობებს, იმ ცეცხლს, რომელიც აღძრა მასში წინა სცენამ, რაც მთავარია ამ სურათში.

თუ ასეთ ადგილას ის შეანელებდა პეისის მსკლელობის ტემპს, მოქმედება დაჰკარგავდა სწორად მიგნებულ ტრაგიკულ პათოსს და ისიც ალბათ ასეთი შთაგონებით ვეღარ იმუშავებდა და მისი ნამუშევარიც სულ სხვანაირი ხასიათის იქნებოდა. აქ ერთი საინტერესო მოვლენა არის აღსანიშნავი:



თითქოს მარჯანიშვილი უკეთებდა აქტიორს მოძრაობებს, მაგრამ დააკვირდით ივდითს ამ სცენაში: ეს ხომ ვერცა ანჯაფარიძის მოძრაობაა, ვერცა ანჯაფარიძის ფესტია, რა იქნა რეჟისორი? ასეთ დროს მარჯანიშვილი თითქოს ითქვიფებოდა აქტიორში, აქ რეჟისორიც და აქტიორიც ორივე უაღრესად გრძნობდნენ ერთმანეთს და ერთი-მეორეს აესებდნენ. რეჟისორმა თითქოს ოდნავი ბიჭვი მისცა აქტიორს, მოძრაობის მხოლოდ ხასიათის გამომჟღავნებაში. მარჯანიშვილმა იცოდა, რასაკვირველია, დინჯი და წყნარი მუშაობაც, მაგალითად, „ურიელში“ შესანიშნავად გაკეთებული წყველის სცენა რამდენჯერმე გადააკეთა, მაგრამ მიზანსცენების კეთების დროს მისთვის უფრო დამახასიათებელი ზემოთნახსენები თვისება იყო.

იმავე „ურიელის“ შესაბამე აქტში, ვიდრე ბენ-აიბა (ალ. ჟორჯოლიანი) გამოვიდოდეს ურიელას დასაკითხავად (ეს სცენა სინაგოგის წინ მიდიოდა), ერთმანეთს ხედებოდნენ / დე-სილვა (მ. ლამბაშიძე) და დე-სანტოსი (ალ. იმედაშვილი). დე-სილვა გამოსთქვამს შიშს ურიელის დაკითხვის გამო, და სურვილს, რომ დაკითხვა ბედნიერად დასრულდეს. ამის შემდეგ გამოდიოდნენ ბენ-აიბა.

მარჯანიშვილმა სინაგოგის წინ ებრაელების ორი ჯგუფი მოათავსა, თითო 4-5 კაცისგან შემდგარი. ორივე ჯგუფი იწყებდა თანდათანობით ლაპარაკს და მოძრაობას. ლაპარაკს კამათის ხასიათი ჰქონდა. აშკარა იყო, ებრაელები დაეობდნენ ურიელის გარშემო. მალე კამათი ღებულობდა გატზარებულ ხასიათს. მოძრაობა ხდებოდა უფრო ჩქარი და მკვეთრი, კამათი გადავიდა გამშულ ყაყაში, მოძრაობას ემატებოდა ნერვიულობა, იზრდებოდა ჩხუბი, ხშირად

ისმოდა უკვე წამოყვირილი. მალე რელიგიური ფანატიზმით შექმნილი კალარა სახეები მაშინვე მოძრაობდნენ. წამოვარდებოდა ფეხზე ხან ერთი, ხან მეორე მოკამათე, ასავესებდა ხელებს, ცდილობდა ყველას გადაყვირებას. — ეს იყო ერთი აზრით დაბრმავებული ბრბო, ბრბო, რომლის გახელებაშიც უკვე უკიდურესობას მიაღწია და სახლვარზე დგას, რომ დაპყროვის ყოველგვარი ზომიერება, ყოველგვარი ადამიანური სახე, მაგრამ ზომიერება არასოდეს არ ღალატობდა მარჯანიშვილს, რეჟისორის ხელი დროზე გამოაჩენს დე-სანტოსს, რომელიც მოუწოდებს ყველას წესრიგისაკენ, რადგან მოზრძანდება ბრძენი-ბენ-აიბა. ასეთი პრელიუდია ჰქონდა წამძღვარებული რელიგიურ ფანატიზმის, რელიგიურ კონსერვატიზმის წარმომადგენლის ბენ-აიბას გამოსვლას. მასში მონაწილეობდა, დაახლოებით, 8 ხან 10 კაცი, მაგრამ ამ ათი კაცით ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა მარჯანიშვილი, რომ გეგონებოდათ თქვენს წინ მოქმედება ფანატიკოს ებრაელთა ბრბო. ყოველ მონაწილეს ჰქონდა მიცემული მარჯანიშვილისაგან გარკვეული ამოცანა, გარკვეული მოძრაობა ხელის, სახის, მთელი ტანის და, მართლაც, მასის ყოველი მონაწილე, იძლეოდა დასრულებულ სახეებს, რომლებიც მნახველის მუხსიერებაში წარუშლელ კვალს სტოვებდნენ. როდესაც ამ ჯგუფს მივჩერებოდი, მე მეგონა რომ ეს იყო დიდი მოქანდაკის მიერ გამოკვეთილი, დასრულებული სახეები. ჩემს თვალწინ ცოცხლდებოდნენ საუკუნოებოთ დაშორებული ისრაელთა ბიბლიური სურათები. ამ სახეებში ავტორი და შემქმნელი იყო მარჯანიშვილი. ასე არარაობიდან ჰქმნიდა მარჯანიშვილი ხშირად პიესის გენიალურ ნატეხებს.

მარჯანიშვილის მიზანსცენების კომპოზიცია გვიტაცებდა და გვიხილავდა არა მარტო კლასიკოსებში; ის ისეთივე ძლიერი იყო თანამედროვე პიესებშიაც. აი, თუნდაც ერთი სცენა ტოლერის პიესიდან „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“. სცენა წარმოადგენს საპყრობილეს. ათი დღეა ადამიანები ელოდებიან სიკვდილის განაჩენს. ისინი უკვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნერვების ნაფლეთებს წარმოადგენენ. ყოველი მოძრაობა კარებს იქით, ნაბიჯის შორეული ხმაც, მათში იწვევს უდიდეს დაძაბულობას. ერთი ტუსაღთაგანი ნატრულობს თამბაქოს. მეორეს აღმოაჩნდება, შემთხვევით, ერთი პაპიროსი. ეს უკვე საკმარისი მასალაა მარჯანიშვილისათვის. ის სიკვდილის მოლოდინიდან უეცრად გამოთიშავს ყველას ყურადღებას და გადააქვს პაპიროსის გარშემო. ყველა მოქმედ პირს შეიპყრობს მწვევე სურვილი ერთხელ მაინც მოსწიოს პაპიროსი. თამბაქოს მოწვევის სურვილმა შთანთქა ყველაფერი. აი, ჩამოჯდა ფრაუ მელერი (ე. დონაური) გრძელ სკამზე. მის პირდაპირ სკამზე გადამჯდარი მოთავსდა კარლ ტომასი (უ. ჩხეიძე); კარლ ტომასის მარჯვნივ, ხალხისაყენ, ცალ მუხლზე დაჩოქილი და პაპიროსისაყენ ხელებგაწედილი მოუთმენლად შეპყურებს ფრაუ მელერს კალმანი (შ. გომელაური); ფრაუ მელერის მარჯვნივ მოთავსებულია მომლიმარი სახით თავის რიგის მოთმინებით მომლოდინე ალბერტ კროლი (შ. ლამბაშიძე); ამ უკანასკნელისა და კარლ ტომასის შუა, მათ მხრებზე ხელებით დაყრდნობილი დგას ყველაზე ახალგაზრდა ევა ბერგი. იგი აგზნებული თვალებით მისჩერებია და ელოდება პაპიროსს. ყველას დაეიწყა სიკვდილი. ყველა მოწვევის მოლოდინშია და მოელის პაპიროსს, როგორც ერთგვარ შევბას, ნეტარებას. ათი

დღის განმავლობაში მოლოდინი, დატანჯულ სახეებს პირველად გადაურბენს ღიმილი, ღიმილი დასრულებულია, გადადის ნაწვევტ სიცილში და, აი, ანთო უკანასკნელი ღერი ასანთით ერთადერთი პაპიროსი. მოსწია ფრაუ მელერმა და თითქოს ყველას სუნთქვა შეეკრა მოლოდინის მწვევე შეგრძნებით, ყველა გაქვავდა. მათი გონება დაიპყრო მხოლოდ ერთმა სურვილმა და ერთის წუთით სასიკვდილოდ განწირული ადამიანები გახდნენ ბედნიერნი. ეს იყო დიდი მოქანდაკის ხელით გამოძრწილი ადამიანების სახეები. სხვა რეჟისორის ხელში შეიძლება ამ სცენას სრულიად უმნიშვნელოდ ჩაეგლო, რადგან აეტორი აქ თითქმის არაფერაა მასალას არ იძლევა, მას გაეკრით აქვს ნათქვამი პაპიროსზე ორიოდ სიტყვა.

ამ ადგილით მაყურებელიც დაასვენა მარჯანიშვილმა დაძაბულო მდგომარეობიდან, მთელ მოქმედებაში შეიტანა შუქი, ნათელი სხივი, და ამავე დროს განწირულ ადამიანების ხანმოკლე ბედნიერების ჩვენებით უფრო მწვეველ გეგარძნობინა მათი ტრაგედია. მისი მიზანსცენები ძალიან ხშირად ატარებდნენ სტელბტურულ ხასიათს და, მართლაც, ის იყო ადამიანის ცოცხალი სახეების დიდი მოქანდაკე. განა არ მოგაგონებდათ დიდი მოქანდაკის ნამუშევარს „ურჩელ აკოსტაში“ შემოთნახსენები — ურჩელისა და დედის — შეგვედრის სცენა? ერთი მხრივ, ბრმა დედა — მის ორივე მხარეს დგანან უმცროსი ვაჟები, ურჩელის ძმები; დედის ფეხთან ჩამჯდარი ივითი. ყველა ესენი ურჩელისაყენ ხელებგაწედილნი მუდარებით შესთხოვენ მას. მეორე მხარეს ჩვენ ვხედავთ ნათელი და მალალი გონების მატარებელი ადამიანის ტრაგედიას. ჩვენ ვხედავთ, თუ დროებით მასში როგორ მარცხდება მებრძოლი მოაზროვნე. მან





ვედარ გაუძლო, ვედარ აიტანა სატრფოს ვედრება, მის გამო დევნილი ძმების ჩივილი, ბრმა დედის მუდარა და, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, სიტყვებით: „ჩემო ბრმა დედაე, ეგ უსინათლო თვალნი დახუჭე, მივდივარ, მივაღ“, — გარბის სცენიდან, რათა შესწიროს თავისი რწმენა გრძნობას, სიყვარულს.

მარჯანიშვილი არ იყო ისეთი რეჟისორი, რომ მიზანსცენების კეთების დროს დაკმაყოფილებულიყო მარტო მოხდენილი განლაგებით, ან განლაგების შედეგით მიღებული ლამაზი ხაზების ორიგინალობით და საერთოდ ფორმალისტური მიდწევებით. ისინი უშუალოდ მუშაობის პროცესში კეთდებოდნენ, არა მარტო როლის მოთხოვნილებასთან შეფარდებით, არამედ აქტიორის ინდივიდუალურ თვისებებთანაც, რითაც უქმნიდნენ აქტიორს ბუნებრივ ხელსაყრელ მდგომარეობას მოქმედებისათვის.

ბუნებრივ გარემოცვის და მდგომარეობის შექმნა იყო იმ მოვლენის ერთერთი მთავარი მიზეზი, რომ მარჯანიშვილის სპექტაკლებში იშვიათად ნაშადრთ ტრაფარეტულ და სქემატურ მოქმედ პირებსა და დაშტამპულ, მოსიარულე მანეკენებს. მისი სპექტაკლების გმირები ყოველთვის ხორცშესხმული ადამიანები იყვნენ, ცოცხალი გრძნობებითა და ფერადებით მდიდარნი. ამასთან დაკავშირებით მე მინდა გავიხსენო ერთი სცენა ოტელოდან. „ოტელო“ მე მგონია ყველაზე სცენიურია შექსპირის ტრაგედიაში, ამის გამო მას უფრო ხშირად თამაშობდნენ და თამაშობდნენ არამც თუ გამოჩენილი, არამედ ბევრი საშუალო აქტიორებიც. დიდებს იზიდავდათ მავრის კეთილშობილი და მგზნებარე ბუნება, სხვებს იზიდავდა როლის უფრო ეგზოტიკური მხარე და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ოტელოს როლი,

მართალია, ძნელი სათამაშოა, როგორც საერთოდ შექსპირი. მაგრამ უწყვეტ დროს იგი ყველაზე მსგებნისსი შექსპირის ტრაგედიაში. დიდმა აქტიორებმა შექქმნეს ოტელოს გარკვეული სცენიური სახე და შემდეგ ათეული წლების მანძილზე ამ გამზადებულ სახეს იმეორებდნენ სხვები მექანიკურად. ამან შექქმნა ოტელოს ისეთი ერთმანეთს მსგავსი და სტანდარტული სახე, თითქოს სადმე არსებობდა როლის გამზადებული კლიშე, საიდანაც დაუსრულებლად იბეჭდებოდა ეს სახეები.

„ოტელოზე“ მუშაობის დროს მარჯანიშვილი ცდილობდა გაემდიდრებინა ოტელოს როლი ცოცხალი ფერადებით, რათა იგი ხორცშესხმულ და ცოცხალ ადამიანად ექცია. მაგალითისათვის მე შევეხები მხოლოდ „ოტელოს“ ერთ სცენას. სენატში გამოჩენისთანავე მარჯანიშვილი ხშირად ეძახოდა შალვა ლამბაშიძეს — ოტელოს მოთამაშეს, „კბილები დამანახე, კბილები დამანახე“, ესე-იგი მომღიშარი სახე მიჩვენო. რატომ მიმართავდა ასეთი მოთხოვნილებით, რა განწყობილებას ითხოვდა იგი შ. ლამბაშიძისაგან? მან იცოდა, რომ ოტელოს ცხოვრებაში მოხდა უჩვეულო, მისთვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი. ეს მარტოხელა ადამიანი, ცნობილი მეომარი, მაგრამ ვენეციისათვის მაინც უცხო ტომისა და ისიც მავრი (მხოლოდ არა შავკანიანი, როგორც ბევრი შეცდომით თამაშობს, მავრები არ არიან შავკანიანები), ბედნიერი გახდა ვენეციის ერთ-ერთი უმშენიერესი ასულის დეზდემონას უანგარო სიყვარულით. დეზდემონა სილამაზის გარდა იყო სრულიად ახალგაზრდა, მაშინ როდესაც ოტელო უკვე როგორც თვითონ ამბობს „წელთ დაღმართს დაეშვა“. დეზდემონა სულ სხვა წრისა და მდგომარეობის ადამიანი (იგი ეკუთვნოდა ვენეციის წარჩინებულ

არისტოკრატიულ ოჯახს), არ მოერიდა არავითარ დაბრკოლებას, თითონ გაიქცა თავის სახლიდან და გაჰყვა ცოლად ოტელოს (ეს ამტიციებს დეზდემონას ხასიათის სიმტიციეს და დამოუკიდებლობას). ყოველივე ამის შემდეგ, როგორ შეიძლება, რომ ოტელო, რაც არ უნდა თავშეკავებული ადამიანი იყოს ის, არ იყოს რამდენიმედ მაინც ატაცებული იმ უსახღვრო ბედნიერებით, რაც მის ცხოვრებაში მოხდა სულ რამდენიმე საათის წინათ. მას იქნებ სურს კიდევაც დაჰფაროს ეს პირადი, ინტიმური ბედნიერება, მაგრამ იგი მაინც გამოსკვივის მისდა უნებლიედ მის მოძრაობაში, მის ქვესტში, მის გამოხედვაში, ყოველ მის სიტყვაში. მისმა ცხოვრებამ სულ სხვა ელფერი და მნიშვნელობა მიიღო, იგი ხელახლად გაკბამუნდა და ხელახლად დაიწყო მისი ცხოვრების ნამდვილი და ჯერ არგანცდილი გახატული. მისი დეზდემონასადმი სიყვარული გაცილებით უფრო მაღალი და იდეალურია, ვიდრე ჩვეულებრივი სიყვარული. ეს ის სიყვარულია, რომელიც მან მიიღო მთელი პისი ცხოვრების ჯილდოდ („ჩემგან გამოვიღე კირთათვის მან მე შემიყვარა, მე შევიყვარე ჩემთა კირთა თანაგრძნობისთვის“) და რომლის დაკარგვაც მას მიიყვანს საშინელ ბოროტებამდე. ეს დიდი გრძნობა უდევს სარჩულად მთელ მის მოქმედებას სენატში და ამ დიდი გრძნობით არის გამოთბარი მისი ცნობილი მონოლოგის ყოველი სიტყვა. მართალია, ოტელო სჭირდება სენატს, მაგრამ ბრძანაციოს გავლენაც ხომ დიდია? თავის მჭერმეტყველობით ვერ გააკვირვებდა ოტელო პაექრობაში დაბერებულ სენატორებს. გრძნობამ მისცა დამაჯერებლობა და სითბო მის სიტყვებს და აამეტყველა იგი არაჩვეულებრივი გულწრფელობით, რითაც მოხიბლა მან სენატორები. რამდენადაც უფრო დიდია და იდეალიზირებული თავიდან ოტელოს სიყვარული დეზდე-

მონასადმი, იმდენად უფრო გააძვირებულია შემდეგში ოტელოს სენატორთა. ამიტომ თხოვდა გრძნობის ბაშიძეს მარჯანიშვილი და როდესაც შ. ლამბაშიძე შემოდიოდა სენატში, მიუხედავად იმისა, რომ მას თან მოჰყვება გაბოროტებული ბრძანაციო, რომელიც დატუსალებით ემუქრება და ოტელომ იცის, რომ არც ისე ადვილია ისეთ გავლენიან ადამიანთან ბრძოლა, როგორც არის ბრძანაციო, იგი მოდიოდა მხნედ, მომღიმარი სახით. იგი უდანაშაულოდ გრძნობს თავს, მას იმედი აქვს აგრეთვე თავის დამსახურებისა ვენეციის წინაშე, და ბოლოს ოტელო ხომ რაინდია, იგი იბრძოლებს მოპოვებულ ბედნიერების დასაცავად.

თუ იგი გრძნობს მაინც მდგომარეობის სერიოზულობას და თავის მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას, ეს მხოლოდ ამაღლებს, სწევს კიდევ მის განწყობილებას და აძლიერებს მის მხნეობასა და საბრძოლო უნარიანობას. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო ოტელოს მომღიმარი სახე და ის მხნე, ოპტიმისტური განწყობილება, რომელიც შემოჰქონდა მას სენატში შემოსვლისთანავე... ასეთმა გაგებამ შესძინა ცოცხალი ფერადები შ. ლამბაშიძეს და მისი ოტელო სენატში გადაიქცა ცოცხალ ადამიანად.

### III

მარჯანიშვილი მე, იშვიათად მახსოვს რეპეტიციებზე მოსვენებულ. როდესაც ის წყნარად იჯდა, ეს იმის ნიშანი იყო — რეპეტიცია ცუდად მიმობდნენ და მარჯანიშვილიც გულგრილად უცქერდა მათ თამაშს. მაგრამ, როდესაც რეპეტიცია განწყობილებით მიდიოდა და მსახიობებიც გრძნობით თამაშობდნენ, მაშინ მარჯანიშვილი სულ სხვა იყო. ეს ერთი კაცი თითქოს რამდენიმე ადამიანად



იქცეოდა. როგორც ამში შესული სარდალი, ის ყველგან ასწრებდა და მყისვე მის გვერდით გაჩნდებოდა, ვისაც უპირდა. ყოველთვის მოუსვენარი, მაძიებელი, ის მუდამ იწოდა მსახიობთან ერთად. ყოველი მისი რეპეტიცია იყო გამოგონებით მდიდარი, მოულოდნელობით აღსავსე. როდესაც მუშაობის დროს დაუკვირდებოდა, მას თითქოს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, თითქოს ჩქარობდა მალე დაესრულებინა პიესის გარკვეული ნაკვეთი, რადგან შემდეგი სცენები უკვე ეხატებოდა თვალწინ მის გონებას. მისი მდიდარი ფანტაზია უსწრებდა მის მუშაობას და შეუჩერებლად მიიქანებდა წინ.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვახსენე, არაფერი ისე არ იტაცებდა მას რეპეტიციის დროს, როგორც აქტიორის თამაში. აქტიორის კარგი თამაშით ის თითონაც აენთებოდა, გამოცოცხლებოდა, სახე გაუნათლებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, მთლად ერთიანად გააბალგაზრდადებოდა და გარდაიქმნებოდა. ხშირად ასეთ დროს მთელი სარეპეტიციო დარბაზი სუნთქვაშეგუბებული, უდიდესი დაძაბულობით აღევნებდა თვალყურს შემოქმედების ცეცხლით ავსებულ ადამიანს, რომელიც საოცარი ჯადოქრობით ქარავნად უშვებდნენ მისი მხარისკენ და აქანდაკებდა სახეებს. და ეს, — თითქმის პატარა ტანის ადამიანი, — ვეფხვივით ტრიალებდა, ხელდებოდა, იშლებოდა მისი უწყსრივოდ დაყრილი შევარცხლილი თმები, მისი თვალები ელავდნენ, ნაპერწკლებს ისროდნენ და როგორც თოფის წამალს, ისე აფეთქებდნენ მსახიობის გრძნობებს. ან იდგა მავიდასთან სახელოებგადაყვილი, მოზიდული შეილდით, მთელი ტანით, წინ, აქტიორებისაკენ მიმართული, შევშვშვლ მარჯვენა ხელით, რომელიც მოძრაობისა და მეტყველების რიტმს უჩვენებდა მსახიობს ან კიდევ დამკვირვებს. რამდენიმე წუთის

შემდეგ შეხედავდით და თუ კმაყოფილი იყო რეპეტიციით, მაშინ მისი თვალები არაჩვეულებრივად მუშავდა და სიამაყით მიხერებოდნენ აქტიორს.

თუ რეპეტიცია დუნედ მიდიოდა, განგებაც იცოდა გაჯავრება. ასეთ შემხვევაში, ასე ვთქვათ, გაითამაშებდა გულისმოსვლას და მოდუნებულ რეპეტიციას გამოაცოცხლებდა და ხშირად სასურველ განწყობილებასაც აღწევდა; თუ აქტიორი ზედმეტად დაძაბული იყო და ეს ხელს უშლიდა აქტიორის უშუალო და ბუნებრივ თამაშს, ასეთ შემთხვევაში ხშირად შესწყვეტდა რეპეტიციას, ოხუნჯობას და იწყებდა, ან რაიმე გასართობ მუსიკას დააკერევენებდა, საუბარს სხვა რამეზე გადაიტანდა და აქტიორის ყურადღებას შეუშინებლად გამოითიშავდა და გაათავისუფლებდა დაძაბულობიდან და შემდეგ ისევ განაგრძობდა რეპეტიციას.

ხშირად თითონაც ისე იტაცებდა აქტიორის თამაში, რომ მასთან ერთად განიცდიდა: ვერცო ანჯაფარიძემ გაიხსენა: „ერთხელ, როდესაც ჰკითხულობდი ჰამლეტიდან „ყოფნა არ ყოფნას“, კოტემ ხელი მოჰკიდა და მითხრა: მოდი აქ, დადექ ჩემთან და უყურე. მას მთელი მონოლოგის განმავლობაში ეკავა ჩემი ხელი და მე არასოდეს არ დამავიწყდება მისი მღელვარებისაგან გაციებული ხელები“. ასე იწოდა და განიცდიდა ხშირად აქტიორთან ერთად ეს იშვიათი ხელოვანი. ეს ფაქტი ზედმეტი მაჩვენებელია, რომ ის იყო განსაკუთრებული განცდის უნარით დაჯილდოებული რეჟისორი.

როგორც ზემოთ მოვიხსენიე, მე პირადად ყველაზე მეტი დახმარება ჰამლეტზე მუშაობის დროს გამიწია. შემდეგ, რაც დრო გადიოდა, მეტ თავისუფლებას მაძლევდა. იყო ისეთი როლები, სადაც თითქმის ჩემს ნებაზე ვიყავი მიშვებული. მაგალითად,

ყვარყვარე, ჩენჩი, და, ნაწილობრივ, რაგოც.

ზემოხსენებულ პიესებში ბევრ მიზანსცენებსაც კი ჩემით ვაკეთებდი (ყიყო მარჯანიშვილთან, თორემ ამ ფაქტს არ მოვიხსენებდი). შემდეგ რომ დამცლოდა მასთან მუშაობა, ალბათ, კიდევ მეტ თავისუფლებას მივიღებდი. ეს ხდებოდა, რადგანაც მე იმდენად შეუზარდველ მის მუშაობას, რომ ბევრ რამეს წინასწარ ვგრძნობდი, რისი გაკეთებაც სურდა, მეორეც — მეტი გამოცდილება მქონდა უკვე როგორც მსახიობს, და რაც დრო გადიოდა, ჩემი მასთან მუშაობა უფრო ნაყოფიერი ხდებოდა, რადგან ეს იყო უკვე შეგნებულა, შეთანხმებითი თანამშრომლობა.

მარჯანიშვილი, როდესაც რეპეტიციებზე მიზანსცენების დალაგების შემდეგ შეაჩინებდა, რომ პიესა საკმაოდ მომზადებულია, ის თითქოს ერიდებოდა გადაქარბებულად ზედმეტ რეპეტიციებს, ერიდებოდა, რომ მსახიობებს არ მობეზრებოდათ პიესა და ცარიელი სიტყვების განმეორება არ დაეწყათ.

ინიშნებოდა გენერალური რეპეტიციები. რამდენადაც უფრო მძიმე და პასუხსაგები იყო სპექტაკლი, იმდენად უფრო ყოველმხრივი შემოწმება ხდებოდა ყოველივე წვრილმანის.

რომ ავიღოთ მაგალითისათვის ისეთი დიდი სპექტაკლი, როგორც იყო „ჰამლეტი“, მარჯანიშვილმა რამდენიმე საღამო მოანდომა ჩაცმულობისა და გრიმის დათვალიერებას და სინათლის დაყენებას. მაშინ, როდესაც დეკორაციები უკვე დადგმული და ადრე გასინჯული ჰქონდა.

მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო გენერალური რეპეტიციები. თითო აქტს ცალკე საღამო დაეთმო. ოთხი დღე დასჭირდა მთელი პიესის გავლას, ვიდრე დაინიშნებოდა მთლიანი გენერალური რეპეტიცია, რომელზედაც კი

დღე შექმნდა შესწორებები. მხოლოდ მეორე გენერალური რეპეტიცია მიდიოდა უკვე სუფთად, მარჯანიშვილი როგორც სპექტაკლი, ამასვე სტუდიებიც იყენენ მოწვეული. გენერალურ რეპეტიციებზე მარჯანიშვილი კიდევ უფრო მოუსვენარი და ნერვიული იყო, ვიდრე ჩვეულებრივ რეპეტიციებზე. ხშირად ამოიჭრებოდა პარტეტიდან სცენაზე, ხან აქტიორს გაუსწორებდა მიზანსცენას, ან რაიმე ტექნიკურ დაბრკოლებას მოაწესრიგებდა, ან კიდევ მორთულობის და დეკორაციის რომელიმე ნაწილს ჰყრიდა სცენიდან, რომ სცენა მაქსიმალურად განეტვირთა. ყვიროდა, ზარს ურახუნებდა მაგიდაზე და ყოველ შეძახილზე ან ცეცხლს უკიდებდა ან ამტყვრედა და სრესდა ნახევრად დამწვარ პაპიროსს, თითქოს პაპიროსზე იყრიდა გულის ჯავრს. იმას, ვინც არ იცნობდა მარჯანიშვილის მუშაობას, პიესა სრულიად მოუშვადებელი და შეუქარავი ეგონებოდა, მაგრამ ხშირად ასეთი ჩხუბითა და ყვირით წასული გენერალური რეპეტიციების შემდეგ პრივილეგია მწყობრად და სუფთად მიდიოდა. საერთოდ რეპეტიციებზე, მით უმეტეს გენერალურ რეპეტიციებზე, მარჯანიშვილს იშვიათი წესრიგი ჰქონდა. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, როდესაც ის თავს აღარ გრძნობდა ისე ჯანსაღად, როგორც პირველ წლებში, დისციპლინაც შედარებით შესუსტდა. ბოლო წლებამდე კი რეპეტიციებზე მხოლოდ მისი ნება და სურვილი იყო გაბატონებული და ყოველი მონაწილისაგან მოითხოვდა აბსოლუტურ მორჩილებას. რეპეტიციაზე დაგვიანებულ აქტიორს ერჩია საათობით დალოდებოდა მუშაობის გათავებას, ვიდრე სარეპეტიციო დარბაზის კარები შეეღო და დანახებოდა მარჯანიშვილს. არამც თუ დაგვიანებით შესვლა, არამედ თვით დარბაზში რეპეტიციის დაწყების შემდეგ შეუძლებელი იყო

ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, მით უმეტეს, საუბარი ან ხმაური, — ყოველივე, რაც კი ხელს შეუშლიდა აქტიორის ყურადღებით მუშაობას.

თუ როგორი მორიდება ჰქონდათ მარჯანიშვილისა, საინტერესოა გავიხსენოთ ერთი შემთხვევა. „ჰამლეტის“ მეორე აქტის დაწყებისას, ყოველგვარი მოძრაობა კულისებში აკრძალული იყო, ვისაც საღ მოასწრებდა გონგი, იქვე რჩებოდა, რადგან მეორე მოქმედების დასაწყისში მიდიოდა „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგი. ამ დროს ტექნიკური რეჟისორის და, მგონი, ორი მუშის გარდა, არც არავინ მოსჩანდა კულისებში. ერთ გენერალურ რეპეტიციასზე პიესის თანადამდგმელ რეჟისორს, რომელიც სცენაზე იყო და მორთულობას ასწორებდა, დაწყების გონგმა სცენაზე მოასწრო. მან მიაშურა სცენიდან პარტერში გადასასვლელად, მაგრამ დაიწყო მუსიკა და მასთან ფარდაც გაიხსნა. რომ არ დაერღვია თავის მოძრაობით სიჩუმე და ხელი არ შეეშალა პიესის მსვლელობისათვის, რეჟისორმა მთელი სურათი გაატარა სცენასა და პარტერს შუა გადებულ ფიცრებზე, ქვემო ლოქის მოაჯირზე მიკრულმა, სადაც ის ლოკებიდან წამოსულ ჩრდილში თითქოს გაუჩინარდა. მაგრამ ყველაზე მეტი უსიამოვნება გენერალურ რეპეტიციებზე მარჯანიშვილისაგან ხვდებოდა პიესის წამყვან ტექნიკურ რეჟისორს ან თანამეშვეს. ყოველი დაბრკოლებისთანავე, მარჯანიშვილი ეძახდა თანამეშვეს და ამ უკანასკნელსაც, როგორც სამსჯავროს წინაშე წამდგარს ბრალდებულს, უნდა გაეცა პასუხი ყველაფერზე. მარჯანიშვილთან თანამეშველ მუშაობა გენერალურ რეპეტიციებზე განსაკუთრებით მძიმე იყო. გენერალური რეპეტიციის შემდეგ, როგორც ეს საერთოდ ხდება, მარჯანიშვილი ნიშნავდა კორექტურულ რეპეტიციას, რომლის დროსაც, უმეტეს შემთხვევაში,

მეორე შესწორებები შეჰქონდა. აგრეთვე იშვიათად მოხსნიდა დაკარგებულ როლიდან რომელიმე მსახიობს, რადგან მას სასურველ სცენიურ სახეს დაახლოებით მაინც გააკეთებინებდა.

მთელი ათი წლის მანძილზე მე არ მახსოვს, ორიოდ შემთხვევის გარდა, მსახიობი მოეხსნას როლიდან. პრემიერაზე მარჯანიშვილი სულ სხვა ადამიანი იყო. გენერალურ რეპეტიციასზე თუ მოუსვენარი, მყვირალა, მოძრაი და ნერვიული იყო, პრემიერაზე გარეგნულად სრულიად დამშვიდებულად ეჭირა თავი. როდესაც მსახიობს შეხედავდა, რომ ნერვიულობდა, ყოველთვის ცდილობდა დაემშვიდებინა იგი. წარმოდგენის დროს თუ სუსტი იყო აქტიორი, არამც თუ უსაყვედურებდა, არც შეამჩნევინებდა თავის უკმაყოფილებას. მაგრამ ანგარიშს შემდეგ მოსთხოვდა, მეორე-მესამე დღეს, როდესაც დასის წინ სპექტაკლს გაარჩევდა და მის აეკარგინაობაზე ილაპარაკებდა. ანგარიშის მოთხოვნა იცოდა მკაცრად და რამდენადაც უფრო თავზედი იყო აქტიორი, იმდენად დაუზოგველი იყო მის მიმართ. მაგრამ, თუ ვინმე კარგად თამაშობდა სპექტაკლში, შექებაც გულუხვი იცოდა. მარჯანიშვილს ჰქონდა, რასაკვირველია, სუსტი სპექტაკლებიც, მაგრამ ტრაფარეტული—იშვიათად. რაც უნდა ცუდი სპექტაკლი ყოფილიყო, ერთი ადგილი მაინც იქნებოდა ისეთი, სადაც აივლებოდა მისი ბრწყინვალე ნიჭი, მისი მდიდარი ფანტაზია. და თქვენ იგრძნობდით მღელვარებასა და სიხარულს. რომელსაც გვანიჭებს ყოველთვის ქეშმარიტი ხელოვნება.

#### IV

როდესაც მარჯანიშვილის სპექტაკლებს შეეხებოდა, უპირველეს ყოვლინა, აღსანიშნავია მისი ერთი დიდი დღეებითი თვისება, თვისება, რომელიც

მხოლოდ გამოჩენილ რეჟისორების სპექტაკლებში იგრძნობა ასე მკაფიოდ და სიძლიერით. ეს იყო სპექტაკლის შინაგანი რიტმი, რა უწყობდა ხელს ამ შინაგანი რიტმის გარკვევას და მონახვას? უპირველეს ყოვლისა—პიესის მეტად თავისებური მონტაჟი: ცალკე სცენების განლაგება, მათი ცვალებადობისა და მოქმედების განვითარების ხასიათი. ამისდა მიხედვით ყალიბდებოდა უკვე აქტიორის გრძნობა, სიტყვა, მოძრაობა, ექსტი, და იქმნებოდა მუსიკალური და მხატვრული გაფორმება. მაგრამ ყოველივე ეს რომ შედუღებულიყო სპექტაკლის ერთ, მთლიან, ცოცხალ ორგანიზმად, თავისი მკაფიო, გარკვეული მაჯისცემით— რიტმით, საჭირო იყო კიდევ მარჯანიშვილის ინდივიდუალური არტისტიკული თვისებები, მისი ემოციონალურად მდიდარი ბუნება, რიტმის შესანიშნავი გრძნობა და უაღრესი მუსიკალობა, რომელთა შემწეობით ის ჩაწვდებოდა ნაწარმოების შინაგან დინებას, შინაგან დინამიკას. სპექტაკლის ყოველი ცალკე კომპონენტი შეიძლება ყოფილიყო აკრეთვე პირველი ბიძგის მომცემი სპექტაკლის რიტმის გარკვევაში. მის სპექტაკლებში რიტმი ხშირად უფრო მკაფიოდ და ძლიერად იგრძნობოდა, ვიდრე თვით დრამატულ ნაწარმოებში. თუ მარჯანიშვილის ზოგიერთი სპექტაკლი დღეს უკვე დაშლილი და დარღვეული გვეჩვენება, მე მგონია, ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მათ თავისი შინაგანი რიტმი დაჰკარგეს. მათში ბევრი ახალი მონაწილე შევიდა, დაწყებული რეჟისორებიდან. (რომლებიც მათ ანახლებდნენ) და ცალკე მოქმედი პირებიდან, გათავებული მასიურ სცენებში მონაწილე აქტიორებით. უმეტესი მათგანი, დამოუკიდებელივ მათი ნიჭისა, სხვაგვარად გრძნობდა იმ შინაგან რიტმს, რომლითაც მარჯანიშვილმა თავიდან შეჰკრა

ეს სპექტაკლები და რბილად მშვენივრად გრძნობდნენ მჭიდროებული მონაწილენი, ვინაიდან მარჯანიშვილის სახეები, წარმოიშენენ და ყალიბდებოდნენ სპექტაკლთან ერთად მისი შექმნის პროცესში. ბევრმა ახალმა მონაწილემ არ იცოდა კარგად რომელიმე მიზანსცენის წარმოშობის მიზეზი და მისი ხასიათი. აქედან მოქმედება და ზოგჯერ მთელი სცენაც ხშირად ფსიქოლოგიურად გაუმართლებელი იყო, შექანიკურად ათვისებული. ზოგიერთმა მონაწილემ, მაშასადამე, აითვისა მხოლოდ მოქმედების გარეგნული სახე, ფორმა. მათი აღმგერელი და წარმომშობი შინაგანი მიზეზები მათთვის გაუგებარი დარჩა. ამან დაარღვია სპექტაკლების მთლიანობა, რასაც ზოგიერთი ნიჭიერი აქტიორის მონაწილეობა ვერ აღადგენდა. მისი საუკეთესო სპექტაკლები ისე იყო შეკრული შინაგანი რიტმით, როგორც რკინის არტახებით. შინაგანი რიტმი, როგორც დულაბი, ისე აკავშირებდა მისი სპექტაკლის ცალკე ნაწევებს და ანსამბლის მთლიანობას და მასში ისე იგრძნობოდა რეჟისორი, როგორც დირიჟორი, რომლის რკინის ხელსაც მიჰყავს და ემორჩილება მთელი ორკესტრი. ამ შინაგან რიტმს მუდამ გრძნობდნენ მისი სპექტაკლების მონაწილე აქტიორები და მათი მოძრაობა და სიტყვა, როგორც მოვიხსენე, ყოველთვის შეთანხმებული იყო სპექტაკლის რიტმთან. საერთოდ, ის ვერ იტანდა, როდესაც აქტიორის სიტყვა, ექსტი და მოძრაობა სრულ თანხმობაში არ იყოფებოდა. ეს გასაკვირიც არ არის. მარჯანიშვილი ადამიანის სხეულის პლასტიურობას გრძნობდა, როგორც მოქანდაკე და ამიტომაც ძერწებდა აქტიორებიდან მრავალმეტყველ და მშვენიერ სახეებს და ჯგუფებს. მეორეს მხრივ ასევე კარგად გრძნობდა სიტყვასაც, მის მუსიკალობას და ტექსტის რიტმს. როდესაც მარჯანიშვილი



პირველად დაუბრუნდა ქართულ სცენას, ქართული თეატრის დაიწყებული კონცეფცია, მაგრამ მალე რაღაც შინაგანი ალღოთი, ის უკვე მახვილს უსწორებდა ისეთ აქტიორებსაც, რომელნიც დაბერდნენ ქართულ სცენაზე. საერთოდ კი ჩვენი სცენა, სამწუხაროდ, ვერ დაიკვირებინდა ქართული სიტყვის დიდი სიმწინდით და კულტურით. იყვნენ და არიან ისეთი აქტიორები, განსაკუთრებით ქალები, რომელნიც მხოლოდ აცენაზე ლაპარაკობდნენ ქართულად.

ეს აქტიორები ისეთ სიტყვებს გამოჰყოფდნენ წინადადებებში და ისეთ მახვილებს აკეთებდნენ, რაც უფრო რუსულ მეტყველებას შეეფერებოდა და ახასიათებდა. ეს, რასაკვირველია, მყურებელსაც უძნელებს აზრის ათვისებას და ვაგებას. ასეთი მოვლენა მხოლოდ დამახინჯებული აღზრდის ბრალია.

ბრალი მიუძღოდათ რეჟისორებსაც, რადგან ვერ ადევნებდნენ თვალყურს სწორ მეტყველებას და ამის გამო აღრეული იყო ჩვენს სცენაზე ყოველი კუთხის კილოკავი. ჩემის აზრით, აქტიორი უნდა მეტყველებდეს წმინდა ლიტერატურული ქართულით. (თუ, რასაკვირველია, როლის სპეციფიკობა არ მოითხოვს რაიმე კუთხურ კილოკავს). ჩვენი რეჟისორების უმრავლესობა რეპეტიციებზე რუსულად ლაპარაკობდა და რა კონტროლი უნდა ვაეწიათ მათ აქტიორების გამოთქმისათვის,

უნდა აღინიშნოს, რომ ახლა უკეთესი მეტყველება ისმის სცენიდან, ვიდრე დაახლოებით ამ 28 წლის წინათ, როდესაც მე პირველად მივედი საბუშაოდ რუსთაველის თეატრში. ნინო ჩხეიძის, ც. ამირაჯიბის, ნინო დავითაშვილის, ალ. იმედაშვილის და სხვ. მშვენიერი ქართულის გვერდით ზშირად ისმოდა დამახინჯებული სიტყვები და წინადადებები, არასწორად და-

მული მახვილების გამკრ. ჩვენი წინათობის აქტიორებიდან, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებას სწორ მეტყველებას, აღსანიშნავი იყო ალ. იმედაშვილი. მას თვალსაჩინოდ ამსახურებდა მიუძღვის ამ საქმეში და მან უსათუოდ დადებითი გავლენა მოახდინა მთელ რიგ აქტიორებზე და კერძოდ ჩვენს თაობაზედაც. მისი მეტყველებების ნაკლად შეიძლება ჩათვალოს ეგერეთოდებული ქალაქური იერი, რომელიც ემჩნეოდა ზოგჯერ სცენაზე ლაპარაკის დროს და გადამეტებული ყურადღება სწორი კითხვისადმი, რაც თვითმიზნად ხდიდა ზოგჯერ ამ უკანასკნელს. მიუხედავად ამ ნაკლისა, იმედაშვილმა, აქტიორის შემოქმედების ამ მეტად მნიშვნელოვან მხარეს პირველმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და თავის პირადი მგაღალით სასარგებლო საქმე გააკეთა. მე მგონია, რომ ბიძგი ამ საქმეში მას უსათუოდ მაჩაბლის განუმეორებელმა ქართულმა მისცა. ქართველ აქტიორებში ალ. იმედაშვილმა ყველაზე მეტი იმუშავა შექსპირის ტრაგედიებზე. მან ითამაშა ოტელო, ჰამლეტი, მაკბეტი და ლირი. შეიძლება ყველა როლები მაღალი და თანაბარი მხატვრული ღირებულებით არ იყვნენ შესრულებულნი, მაგრამ შრომა მან დიდი გასწია მათ მოსამზადებლად. სწორედ ტრაგედიებზე მუშაობის დროს იგრძნო მან ი. მაჩაბლის ქართული ენის იშვიათი სცენიური ღირებულება: მისი მუსიკალობა, მოქნილობა, ზმოვანება, სიძლიერე და მასთან ერთად სიმსუბუქე. მაჩაბელმა ისეთი ძვირფასი განძი დაუტოვა კერძოდ ქართულ თეატრს, რომლის დაფასებაც შეუძლებელია და რომელიც ასწავლიდა ქართველ აქტიორს სწორედ ქართულ ლაპარაკს და უნერგავდა ქართული ენისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. შეუძლებელია მაჩაბლის ენის საფუძვლიანად შესწავლას, ისეთ მშრომელ და

დაკვირვებულ აქტიორზე, როგორც იყო ა. იმედაშვილი, არ მოეხდინა ის დიდი გავლენა, რომლის შედეგად იყო იმედაშვილის სიყვარული და ყურადღება ქართული სიტყვისადმი და აქედან ქართული მეტყველებისადმი საერთოდ.

კ. მარჯანიშვილი, რომელმაც 25 წელი იმუშავა რუსულ სცენაზე, ბევრად უკედ გრძობდა ქართული ენის ბუნებასა და მის ხასიათს, ვიდრე ბევრი მათგანი, ვინც მთელი სიცოცხლე და მოღვაწეობა საქართველოში გაატარეს და ქართული ენა მანც ვერ შეისწავლეს. მაგრამ მარჯანიშვილიც რასაკვირველია, არ ჩაითვლებოდა ქართული ენის მკოდნედ და ვერ გამოადგებოდა ენის სიწმინდის დამცველად და ვერც კუთხურ კილოყავებს აღკვეთდა ქართულ სცენაზე.

## V

მარჯანიშვილის სპექტაკლების ერთი განმასხვავებელი თვისება იყო აგრეთვე სპექტაკლის ტონი. მარჯანიშვილი, საერთოდ, ისეთ ხელოვანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელნიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, რამდენიმე ტონით ჩვეულებრივზე მაღლა მღერიან.

აქ უნებლიედ მაგონდება როდენის შესანიშნავი სიტყვები, რომელნიც იაკობ ნიკოლაძეს მოჰყავს თავის წიგნში „წელიწადი როდენთან“ — „ისე ვააკეთე, როგორც არის. მხოლოდ უფრო ხმამაღლა იმღერე, ბუნება მღერის, იგივე იმღერე, მაგრამ უფრო ხმამაღლა!“ — მე მგონია, ამ სიტყვებში ხელოვნების მთელი არსია მოცემული. სცენას, ისე როგორც ხელოვნებას, საერთოდ, მარჯანიშვილი უყურებდა არა როგორც სინამდვილის უცვლელ, ფოტოგრაფიულ ასახვას, არამედ როგორც მის მხატვრულ თავისებურ ანარქულს, გამდიდრებულს ხელოვანის

შემოქმედებითი ფანტაზიით. მისი სცენური სიმართლე იყო ბევრად უფრო მახვილი, ხაზგასმული და სუბტილური ვიდრე ფოტოგრაფია. მას ჰქონდა თავის თვალთახედვა, რაც, მისი აზრით, იყო მთავარი, არსებითი — იმას გინევენებადთ ხაზგასმით, პირველი პლანით. ამიტომ მის მიერ ასახული როგორც სინამდვილე, ისე ცალკე მხატვრული სახეები, ყოველთვის იყო მოცემული სკელი ფერადებით, რამდენიმე მოსმით და არა მათი ფსიქოლოგიური წერილმანების გაშუქებით, ამასთან შეფარდებით ტონიც მის სპექტაკლებში აწეული იყო, საზეიმო. საერთოდ, მთელ სპექტაკლს უყურებდა ის როგორც ზეიმს, დღესასწაულებრივ მოვლენას. ამიტომ იყო მისი სპექტაკლები მდიდარი ფერადოვნებით და თეატრალიზებით, ამ უკანასკნელის კარგი მნიშვნელობით. მარჯანიშვილის სპექტაკლებზე თქვენ ყოველთვის გრძობდით, რომ თეატრში ხართ და ამის დაფარვას ის არც ცდილობდა. იმას არ უყვარდა უბრალო წერილმანებში ჩხრეკა და მათი გამოშვებობა. ეს თეატრალიზება, ეს ფერადოვნება თქვენ ვიტაცებდით, სიხარულს განიჭებდით და სრულიად არ გრძობდით რაიმე პირობითობას, რადგან ყოველივე ეს სცენური იყო, და ისევე გულწრფელად გალღვებდათ მისი სპექტაკლების სცენური სიმართლე, როგორც სინამდვილე. მარჯანიშვილს მშვენივრად ესმოდა ხელოვნების ის საიდუმლოება, რომ მაყურებელმა ძალიან კარგად იცის სასცენო ხელოვნების პირობითობა, მაგრამ ამავე დროს თუ ყოველი მოქმედება სცენაზე ფსიქოლოგიურად გამართლებული და ლოგიკურია, გულწრფელი, მაყურებელს ისევე იტაცებს და აღელვებს იგი, როგორც სინამდვილე. მასთან ერთად მის სპექტაკლებში მაყურებელი გრძობდა მეტ საზეიმო განწყობილებას, რაც სათანადო გავლენას ახდენდა მაყურებელზე.





ენ არ დამტკბარა „ცხერის წყაროს“ თეატრალით, მისი ფერადოვნებით, ჯანსაღი სიციცხლე და სიხალისე სჩქედდა მთელი სპექტაკლის მანძილზე, — იყო ეს საქორწილო სულა, კომანდორთან მოსული გულუბრყვილო მცხოვრებნი თავის უხვი და მრავალფეროვანი საჩუქრებით, ცალკე ცაქვები თუ აჯანყების ცეცხლით აგზნებული სცენები. მხოლოდ ხანდახან მოიღუშებოდა სცენა და ჩრდილი დაფარავდა მას, ისე, როგორც მზიან დღეში ცაზე გადავლილი ღრუბელით ჩრდილი ეცემა დედამიწას. ეს იყო კომანდორის სცენები, ეს იყო სცენები, როდესაც სურდათ ჩაეხშოთ მშვიდობიანი მიწის მუშა-გლეხების სიციცხლე, ჯანსაღი ხალისი; მაგრამ გაივლიდა ღრუბელი, სცენა ისევ მზის ნათელ სხივებში გაეხვეოდა და ისევ გაისმოდა ხალისიანი სიცილი. ეს თანამიმდევრული ნათელჩრდილების შენაცვლება სპექტაკლში, ერთ-ერთი შესანიშნავი მეთოდი იყო მარჯანიშვილის მუშაობისა, რომელიც ძალიან მკაფიოდ მოსჩანდა „ცხერის წყაროში“. ამ მხარეს ისეთი დიდი ადგილი ჰქონდა მის მუშაობაში დაიშობილი, ისე გარკვევით მოსჩანდა იგი მის სპექტაკლებში, როგორც მოსჩანან რემბრანდტის საუცხოო სურათებზე. ეს „ნათელჩრდილები“ მას სილამაზისათვის კი არ ჰქონდა სპექტაკლებში შეტანილი, არამედ ისინი ყოველთვის გამართლებული იყვნენ იდეურად, ამა თუ იმ სცენის შინაგანი არსით. აი, პიესის დასაწყისში დგას თქვენს წინაშე მრისხანე კომანდორი (დ. ჩხეიძე) და ყველაფერი მუქ ფერებში, მოღუშული მოსჩანს, მაგრამ საქმარისია სცენაზე გამოჩნდნენ ახალგაზრდები: ლაურენსია (თ. ქაქავაძე), მენგო (ა. ვასაძე), ფრონდოზო (გ. დავითაშვილი), პასკვალა (ტ. აბაშიძე), ბარილო (ნ. გვარამია) და მოედანი სულ სხვაფერად გამოიყურება. მზე უხვად ანათებს, წინა სცენაში მუქად

გამუქებული კედლები ყვირილს და ცისფერ ფერებზედ მოსჩანს მსახივრებში არიან გახვეულნი მსახივრები, რომელთა ცელქობა და ხალისიანი სიცილი აყრუებს მთელ სცენას. უფრო შერბილებულ ფერებშია ლაურენსიას და ფრონდოზოს სიყვარულის მომდევნო ლირიკული სცენა, მაგრამ გამოჩნდება კომანდორი და თითქოს ისევ ჩრდილი ეცემა სცენას, ისევ მუქდება ყოველივე. ან ლაურენსიას და ფრონდოზოს საქორწინო მაყრიონი. დარბაისელნი მოხუცნი, მომიღმარი სახით მოუძღვებიან პროცესიას, მზიარული ახალგაზრდობა მღერის, უკრავს, ოხუნჯობს და ცეკვავს. იწყება ლაურენსიას მგზნებაზე ცეკვა. ხალხი მთელის გრძნობით, უბრალო ადამიანების უშუალოდ ეძლევა მზიარულებას. სცენა უხვად არის ვანათებული, მაგრამ გამოჩნდება ისევ კომანდორი თავის მსლებლებით, რათა ჩაახშოს ხალხის მზიარულება. კვლავ იღუშება სახეები და სადღაც შუა ადგილას სწყდება ხალისიანი სიცილი და ცეკვა. ასე მთელი პიესის მანძილზე ჯანსაღი სიციციცხლო ძალები ებრძვიან უსამართლობას და ტირანიას. სინათლე ებრძვის სიბნელეს, მზიარულება — მწუხარებას, რათა გამარჯვება დარჩეს სიციცხლეს და სიცილმა ამოაშროს ცრემლები. და, როდესაც უკანასკნელ აქტში, კომანდორის სიკვდილის შემდეგ ხალხი მოიშორებს მჩაგვრელებს და კვლავ დამყარდება სიმშვიდე და ბედნიერება, თავისუფალ ცხერის წყაროს მოქალაქეთა შორის ისევ გაისმის მენგოს ოხუნჯობა და ხალხის ხალისიანი სიცილი. ყველას სახეზე ერთის სიხარული და კმაყოფილება, და თუ რამდენიმე წუთის წინ აჯანყების დამწყობისას, სცენა თითქმის ჩამობნელებული იყო, ახლა კვლავ უხვად იღვრება მზის მცხუნვარე სხივები. ეს „ნათელჩრდილები“ ყველაგან ენაცვლებიან ერთმანეთს მის მიერ დადგმულ პიე-

სებში, ხოლო „ცხერის წყაროში“ ეს ყველაზე ძაფიოდ მოსჩანდა. როდესაც „ცხერის წყაროზე“ ვლაპარაკობ, მე მხედველობაში მაქვს ის სპექტაკლი, რომელიც მიდიოდა მისი დადგმის პირველ წლებში, რუსთაველის თეატრში. თავის პირვანდელი სახით ის არასოდეს აღარ განახლებულა. თვით მარჯანიშვილის სიცოცხლეშიაც აღდგენილი, ის მხოლოდ ამრდილი იყო იმ საუცხოო სპექტაკლისა, რომელიც ერთ დროს ისე გვაღელვებდა და რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული თეატრის ცხოვრებაში.

თუმცა ეს ჩემი ნარკვევის საგანს არ შეადგენს, მაგრამ „ცხერის წყაროსთან“ დაკავშირებით შეუძლებელია გავკრიტიკოთ მანც არ მოვისხენით მისი ორი მონაწილე, რომელთაც სპექტაკლის გამარჯვებაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს. ესენი იყვნენ ლაურენსია — თ. ჭავჭავაძე და მენგო — ა. ვასაძე. თ. ჭავჭავაძეს, მაშინ კიდევ სრულებით ახალგაზრდა მსახიობს, იშვიათი მონაცემები აღმოაჩნდა ლაურენსიას მეტად რთული და მრავალფეროვანი როლისათვის. ახალგაზრდა, მდიდარი ტემპერამენტით, ძლიერი, მოჭინილი ელასტიური ტანით, რიტმის შესანიშნავი გრძნობით, მას თანაბრად ეხერხებოდა როგორც მძაფრი დრამატიული, აგრეთვე ლირიკული სცენები. სიცოცხლით საესე მხიარული ადგილების შესრულება.

მენგოს როლი არანაკლებ მრავალფეროვანია, ვიდრე ლაურენსიასი. ა. ვასაძესაც იშვიათად შესაფერისი მონაცემები ჰქონდა მენგოსათვის. იგი დაჯილდოებული იყო კარგი სასიმღერო ხმით, მუსიკალობით, რიტმიულობით. მისი მენგო მღეროდა, ცეკვავდა, ოხუნჯობდა, იბრძოდა. მას იშვიათი ოსტატობით ჰქონდა გაკეთებული როლის როგორც დრამატიული, აგრეთვე კომიკური ადგილები. მისი მენგო მდიდარი იყო ფერადებით ისე, როგორც

მთელი სპექტაკლი. მენგოსა და ლაურენსიაშიაც ისე ენაცვლებოდა მხარე-მანეთს ნათელზრდილ მსახიობთა მთელ სპექტაკლში. ვასაძე იყო ის აქტიორი, რომელიც მაშინ ყველაზე მეტად შეეფერებოდა მარჯანიშვილის სინთეტიკურ თეატრს. ამიტომ თამაშობდა იგი მარჯანიშვილთან ყველაფერს, დაწყებული ტრაგედიიდან გათავებული ოპერეტით. როგორც თ. ჭავჭავაძესათვის, ისე ა. ვასაძესათვის „ცხერის წყაროს“ ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, რადგან ლაურენსიას და მენგოს როლებში დაისახა მათი აქტიორული შემოქმედებითი ვზა. მარჯანიშვილმა თუ ნახა თ. ჭავჭავაძესა და ა. ვასაძეში ლაურენსიას და მენგოს მშვენიერი შემსრულებელნი, მათ ამ როლებში მონახეს თავისთავი, როგორც აქტიორებმა.

## VI

ნათელზრდილების შენაცვლებას მარჯანიშვილი ახერხებდა პიესის შესაფერისი მონატებით, მისი ცალკე ნაკვეთების სათანადო განლაგებით, მუსიკის დახმარებით და როგორც ზემოთ მოვიხსენიე, მოხერხებული განათებით. მარჯანიშვილი განათების შესანიშნავი ოსტატი იყო. მაგრამ სინათლე მის დადგმებში არასოდეს არ გამხდარა თვითმიზნად და არასოდეს არ ყოფილა მხოლოდ სილამაზისათვის გამოყენებული, როგორც ამას ბევრი რეჟისორი სჩადიოდა. სინათლე ყოველთვის შესაფერისად გამართლებული იყო გარკვეული ნაკვეთის შინაგანი განწყობილებით. სინათლეს მარჯანიშვილი ბევრ შემთხვევაში იყენებდა მოხერხებულად, მაგრამ არასდეს ისე ნაყოფიერად არ მოუხმარია, როგორც „პოპლაში“. აქ მარჯანიშვილმა ისე გამოიყენა დავით კაკაბაძის კონსტრუქცია, რომ სინათლე სრულიად სცვლიდა ერთფეროვან დეკორაციებს სხვადასხვა სცე-



ნების დროს, — და სულ სხვანაირად გამოიყურებოდნენ ავეჯი და მავიდის პურტელი. სინათლე საშუალებას აძლევდა ეჩვენებინა პირველი და საერთო პლანის კადრები პიესის გარკვეულ ნაკვეთებში და, რაც მთავარია, განათება არ არღვევდა კონსტრუქციის სტილს, ხასიათს, მესამე აქტში რუხი და უბრალო დეკორაციების მოედნებზე მარჯანიშვილი სინათლის საშუალებით ჰქმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს თქვენ პირველხარისხოვან რესტორანში იმყოფებოდით, სადაც თქვენს თვალწინ ელვისებური სისწრაფით სცვლიდნენ ერთმანეთს: კაბინეტები, რადისტისა და მეტრ-დოტელის ოთახები, ეკრანი (კინომოქმედება) და ისევ კაბინეტები. მე მინახავს ეკრანი, ჩართული პიესის მოქმედებაში, მაგრამ მათი მოქმედების ტემპი, სრულიად განსხვავებული ყოფილა და ორგანიზულად დაუკავშირებელი ერთმანეთთან. მარჯანიშვილმა კი შესძლო მათი შეთანხმება, ვინაიდან პიესა იყო დაყოფილი ცალკე კადრებად და მისი მსვლელობის ტემპი შეგუებული იყო კინოსთან, ისე სცვლიდნენ ერთმანეთს ეკრანი და სცენის მოქმედება, რომ თქვენ არ გრძნობდით არავითარ გარღვევას მათ შორის.

შესანიშნავად იყო სინათლე გამოყენებული „ჰოპლას“ პირველ მოქმედებაშიც. მზის წერილი, ტუხილი სხივები თითქოს გაკირვებით შემოპარულან საკანის პატარა, რკინებიან ფანჯარაში, ყვითელ ზოლებად გაკერიან კედლებს და მკრთალად ამუქებენ ტუსადთა სახეებს. კინოს შემდეგ, რითაც იწყებოდა პიესა, თქვენ წინაშე თანდათან გამოჩნდებოდა, თითქოს სიბნელიდან იბადებოდა ეს ცივი, ოდნავ განათებული ჯურღმული, ტუსადების გაქვავებული სახეებით, სადაც მზის მკრთალი სხივები ანარეკლი იყო მხოლოდ ნამდვილი მზის, ნამდვილი ცხოვრების, რომელიც ამ კედლების გარეთ მიდიო-

და. ეს შესანიშნავად ჰქონდა გაკეთებული მარჯანიშვილს. „სარკინის ქაბლაში“ გამოგონებულ „განათებას“ შექმლება „შექწერა“ ვუწოდოთ. ეს არ იყო უბრალო, ჩვეულებრივი განათება, რადგან, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, მარჯანიშვილმა განათებაში შესძლო მთელი დადგმის ხასიათი, დადგმის სტილი დაეცვა. სინათლე ისევე მეტყველი იყო „ჰოპლაში“, როგორც შეიძლება მეტყველი იყოს სპექტაკლში სიტყვა. მარჯანიშვილი სინათლეს გრძნობდა ისე, როგორც ფერწერის დიდი ოსტატი.

სხვაგვარად იყო გამოყენებული კინო კარლო კალაძის „როგორში“. ეს სპექტაკლი ძალიან ორიგინალურად გააფორმეს მარჯანიშვილმა და მხატვარმა ელენე ახვლედიანმა. ის ჩასმული იყო, ისე როგორც სურათი, წერილხის ჩარჩოებში და თუმცა კადრების სისტემით არ იყო დაყოფილი პიესა, მაგრამ კინო კედელ უფრო მტიციედ და მოხერხებულად იყო შესული სპექტაკლში. ამას განსაკუთრებით უწყობდა ზუსტად გადიდებული ეკრანი, სადაც აქტიორები თითქმის ისეთივე ზომის მოსჩანდნენ, როგორც სცენაზე, რაც შემოწმნეველს ხდიდა სცენასა და ეკრანს შორის მოქმედების გადანაცვლებას. ეკრანი გამოყენებული იყო აგრეთვე ჩრდილებისათვის. თავის დროზე ეს სპექტაკლი ძალიან ორიგინალური და სასიამოვნო საყურებელი იყო თავისი მიმზიდველი რევოლუციური რომანტიკით.

მარჯანიშვილი სინათლეს ზშირად იყენებდა, როგორც ერთერთ დამხმარე ელემენტს იმ სცენებში, სადაც საჭირო იყო განწყობილების აწევა. ამის მრავალი მაგალითებია მის დადგმებში. აი, თუ გნებავთ, „ურთიელიდან“ მეორე აქტის დასასრული. თქვენს თვალწინ ეს არის ქუხილივით გადაიარა წყევლის სცენამ. ყველა მიატოვებს ურთიელს, მხოლოდ ივლითი რჩება სცენაზე და,





არსებობენ კეთილშობილი სულითა და მაღალი გონებით შექმული ისეთი ადამიანები, როგორც იყვნენ ურიელი და ივდიოი, მთელის არსებით თანაუგრძნობთ მათ და გაღვლებთ მათი ბედი.

იგივე ხერხი ჰქონდა გამოყენებული მარჯანიშვილს „ჰამლეტის“ დასასრულში. აქ თითქოს ხელნასაჭიდი არაფერი აქვს რეჟისორს. ტრაგედიის უკანასკნელ აქტში ყველა მითაყარი მოქმედი პირები იღუპებიან. სცენაზე სიკვდილი ბატონობს მხოლოდ, მაგრამ რეჟისორისათვის საკმარისია ფორტინებრასის (მ. ლორთქიფანიძე) სიტყვები: „უბრძანეთ ოთხმა ასისტანტმა ჰამლეტის გეგმაში მაღლა საკაცეს ასავენოს, როგორც სარდალი“. მისივე გაისმოდა საყვარების გამამხნევებელი ხმები და ჰამლეტის გეგმა, ოთხი ჯარისკაცი ასწევდა მაღლა. ოთხ ვაკეცს მიჰქონდა არა მხრებზე, არამედ გამართულ მკლავებზე, დასვენებული ჰამლეტი. დროშის თავები იხრებოდნენ ძირს, ჰამლეტს, მის ხსოვნას მიაგებდნენ ღირსეულ პატივს. სხვები რამდენიმე წუთის წინათ დახოცილნი თქვენს თვალწინ ეძლეოდნენ უკვე დაიწყებას. მთელ სცენას ავსებდა სინათლის ნიაღვარი. ყველაფერი ღებულობდა დღესასწაულებრივ ელფერს. იწყებოდა ახალი ცხოვრება. ჰამლეტი გამოდიოდა როგორც ზეარაკი, შეწირული ცხოვრების გარდასაქმნელად და გასაჯანსაღებლად. ჰამლეტი სიკვდილით კიდევ უფრო მაღლდებოდა და ამის გამო მიაყურებელიც მიდიოდა არა დამძიმებული და შავი ფიჭრებით შეპყრობილი. არამედ თითონაც განწმენდილი, ამაღლებული და გამხნევებული. მძიმე ფიჭრებით შეპყრობილს და მოდუნებულს არასოდეს არ გაუშვებდა მარჯანიშვილი მიაყურებელს თეატრიდან. ის ფიჭრობდა, რომ თეატრი, პირიქით, სიმხნევეს უნდა მატებდეს ადამიანს, უნდა

ამაღლებდეს მის სასიცოცხლო ტონუსს, რათა განახლებული გუნდით უბრუნდებოდეს თავის კოლექტიურ ცხოვრებას.

მას უხვად შეჰქონდა ოპტიმიზმი თავის დადგმებში, როდესაც კი ამის საშუალებას იძლეოდა პიესის მასალა. მარჯანიშვილს უყვარდა ნათელი ფერები, სინათლე, სიცოცხლე თავის მრავალფეროვნებით.

VII

სინათლეს, მუსიკას და საერთოდ სპექტაკლის ყველა კომპონენტს,—განსაკუთრებული სიძლიერით იყენებდა ყოველთვის პიესის საკვანძო და კულმინაციურ ადგილებში, სპექტაკლის უღელტეხილებზე, როდესაც მიესის განვითარებაში ხდება მნიშვნელოვანი გარდატეხა.

საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი მისი დადგმებიდან. ავიღოთ თუნდაც „ცხვრის წყაროს“ მესამე მოქმედების აჯანყების სცენა. ჩამობნელებულ სცენაზე, სადაც სილუეტებივით მოსჩანდნენ მწუხარებისაგან გაქცევილებული გლეხები, იწყებოდა გლეხებისადმი მიმართული ლაურენსიას ცნობილი მონოლოგი. მისი მამხილებელი, გამომწვევი და შეურაცხყოფელი სიტყვები სახეში გარტყმულ სილასავით ხვდება ყოველ მათგანს და მტკივნეულად მოქმედებს მათ თავმოყვარეობაზე. ჯერ კიდევ თავდახრილი და მოღუშულნი დგანან გაუბედაობით შებოქილი გლეხები. მაგრამ ძლიერდება და იზღვება თანდათან ლაურენსიას მონოლოგი, ძლიერდება მისი მწარე სიტყვების ზეგავლენა. წელში გაიმართებიან თანდათან გლეხები, უკვე მოსჩანს გაბოროტებული სახეები, ანთებული თვალებით. გაისმის მოხუცი ესტეფანის (ალ. იმედაშვილი) მუქარა და მოწოდება. მენგოს ცეცხლოვანი სიტყვები, გლეხების შეძახილები. გაისმის მუსიკის ჯერ ყრუ და დახშული ხმები, რომე-



ლიც თანდათან ძლიერდება მოახლოებული შორეულ გრვეინვასავეთ. პაერში აღიშართებიან უკვე ჯოხები, სამუშაო იარაღები, ვისაც რა მოხედება ხელში. დაგროვლი ბოღმა, როგორც აზვირთებული მდინარე ისე გადალახავს მოთმინების ჯგებრს და აჯანყების ცეცხლით აგზნებული და შურისძიებით წაქეზებული გლეხობა ვარბის კომანდორის სასახლისაკენ. ამის შემდეგ ლაურენსიას დამახილზე სცენაზე გაჩნდებიან ქალები და ისინიც ლაურენსიას წინამძღოლობით ვარბიან თანამომქეთა დასახმარებლად. ამ დროს ნუსიკა უკვე ძლიერად ქუხს, მომატებულ სინათლეს სჭარბობს წითელი ფერი. მთელი ეს აჯანყებული ბრბო მიადგება კომანდორის სასახლეს, ბრძოლით შეანგრევენ მის კარებს და შეიპყრობენ კომანდორსა და მის მხლებლებს. აქ შესიკა სწყდება, გაბოროტებული ხალხი სათითაოდ გამოათრევს მათ, ყველა მიიწევს შურისსაძიებლად და შესაფერისად უსწორდება თავიანთ მჩაგრელებს. როდესაც მთავარ დამნაშავეს, კომანდორს, გამოიყვანენ, ლაურენსია პირველი მოსწედება მას. ერთ ხელს გულის პირზე ჩასკიდებდა და მეორე ხელით — გულში ჩასცემს მახვილს. ხალხს ოხერა აღმოხდებოდა, თითქოს მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლდნენ და აღტაცებით შესცქეროდნენ ლაურენსიას.

გულგანგმირული კომანდორი მკვდარი დაეცემა ძირს. ლაურენსია იმავე მახვილს სიტყვებით: „მტარვალნი უკვე აღარ არიან“ მუხლზე გადაიმტვრედა და შორს გასტყორცნიდა.

ისევ გაისმოდა მუსიკის ხმები და ლაურენსია და მასთან მთელი ხალხიც გამარჯვების ექსტაზით დამთვრალნი იწყებდნენ თავბრუდამხვევ ცეკვას. მთელი ამ სცენის თანდათან გამლავანებითარებაში მოსჩანდა ვარდა დიდი ტემპერამენტისა მარჯანიშვილის დიდი ისტატობაც. ყრუ და დაბნული ტო-

ნიდან და გაქევეებული სახეიდან, სცენა, იშვიათი აღმავლნი ტემპერამენტით, შინაგანი სიმტკიცით, წიგნად უქიდურეს სიმძაფრემდე. მარჯანიშვილის დიდი ტემპერამენტის მაინებელი იყო აგრეთვე „ჰამლეტის“ მესამე მოქმედებაში სცენა-სცენაზე (სათაგველა), რომელიც მას დიდი ექსპრესიით და ემოციონალური სისავსით ჰქონდა გაკეთებული. მოქმედების დასაწყისიდანვე იგარბობოდა უკვე ნერვიული და დამაბული მღგომარეობა, რასაც შემდეგ კიდევ უფრო ამახვილებდა ჰამლეტის ორაზროვანი და ტყვიასავით მკვეთრი სიტყვები. როდესაც სცენაზე მკვლელობის გათამაშების დროს შემოთებული მეფე (აქ ვასაძე) ფეხზე წამოვარდება, სასახლეში საშინელი მღვლეარება ატყულებოდა: ხმები „სინათლე, შესწყურეთ წარმოდგენა“, და როგორც ჰარიშხალივით ავარდნილი კორიანტელი, ისე აიშლებოდა ყველაფერი. ამოძრავდებოდნენ ჩირაღდნები, შეშინებული ქალები ერთმანეთს ეკვროდნენ, შეიარაღებული ამაღა ვარს შემოერთემოდა მეფეს. დამტრთხალი აქტიორები სცენიდან გარბოდნენ, ორკესტრის მღვლეარე ხმები აღიერებდა საერთო განგამს. მეფე და დედოფალი (ე. დონაფრი) მთელის ამალის თანხლებით სასწრაფოდ კარებისაკენ გაეშურება, მაგრამ მათ წინ გადაუღობება ჰამლეტისი გამოაშქვევი და მამხილებელი სახე აიძულეებს მეფეს უკან გაბრუნდეს. ესაა მეფისა და ჰამლეტის პირველი აშკარა შეტაკება. მეფე იბრუნებს პირს, გაივლის რამდენიმე მანძილს და პატარა სცენის (სცენა-სცენაზე) გადაჭრით ლამობს ისევ გაქევეას. მაგრამ ისევ ჰამლეტი ვაჩნდება მის წინ და უფრო მეტის გააფთრებით აქაც გადაუღობა გზას. უკვე მიმხედარი მეფის გაქევეის მიზნეს, იწყებს მოურიდებელ სარკასტულ ხარხარს. სიცილი თანდათან თავშეუყავებული ხდება, ნერვიული, აგზ-



ნებული და დიდხანს გრძელდება. ამ სიცილის დროს მეფე-დედოფალი თავის ამალით სცენიდან გარბიან. ჰამლეტი ჯერ მეფის ტახტთან მიიჭრება, იქიდან გასქერის გაქცეულ მეფე-დედოფალს, შემდეგ პატარა სცენის ამალივთ ადგილზე ავარდება და მთელი ამ სცენის მანძილზე განაგრძობს თავშეუკავებელ ხარხარს, ხარხარს, რომელიც დიდხანს გრძელდება, ძლიერდება და მუსიკასთან ერთად აღწევს კულმინაციურ წერტილს. ამ უცბად მოსწყდება მუსიკაც, სიცილიც, რომლის შემდეგ თითქოს დაგროვილი ზოღმა, გულისტკივილი და სიმწარე ერთად გადმოინთხივდა მთელის სიძლიერით — წარმოთქმულ სიტყვებში: „დაკრილ ირემს ცრემლები სდის, ნუკრი ცქრიალებს, რა ვუყოთ, რომ ეს ქვეყანა ასე ტრიალებს“. ამის შემდეგ მიდიოდა პატარა დიალოგი პორაციოსთან (დ. ჩხეიძე), რომლის წასვლისთანავე ჰამლეტი მოჭანცული დაეშვებოდა იქვე პატარა სცენაზე. მაგრამ ეს იყო ერთი წუთი, ერთი ამოსუნთქვა, ჰამლეტის მოქმედებაში მოღუწებას უკვე აღარ ჰქონდა ადგილი. ამ ჰამლეტში ხდებოდა გარდატეხა და აქედან დაწყებული ჰამლეტი შეუჩერებლად მიჰქანებოდა წინ თავის მიზნისაკენ. შემდეგ შუქი ჭრებოდა ერთის წუთით და როდესაც სცენა განათდებოდა, გამოინდებოდა ხმლებამოწყდელი ამალით გარშემორტყმული, სავარძელში ჩამჯდარი მეფე კლავდიუსი. მისი შემერთალი სახე ისე იყო მოჭანცული, თითქოს მან გამოირბინა სასაზღის დაუსრულებელი დარბაზები: აქაც, სპექტაკლის ამ მნიშვნელოვანი საკვანძო ადგილის ჩვენების დროს, ყველაფერში მოსჩანდა მარჯანიშვილის დიდი რეჟისორული ტემპერამენტი და შესანიშნავი ოსტატობა.

საერთოდ „ჰამლეტი“, მე მგონია, ღირსშესანიშნავი ნამუშევარი იყო მარჯანიშვილის სპექტაკლებს შორის.

შეიძლება გარეგნულად იგი იქნებოდა დასრულებული იყო, ვიდრე ჩვენს შემთხვევაში. მისი საუკეთესო სპექტაკლის მხარე მთლიანად, როგორც თვით ტრაგედია ისე ცალკე სახეები მეტად ორიგინალურად იყო გახსნილი და გაგებელი. შეიძლება მე არ მინახავს დიდი გამოჩენილი მსახიობები ჰამლეტში, მაგრამ ისინი, ვინც მინახავს როგორც ქართულ, ისე სხვა სცენაზე, უმეტესად როლის გაგებით თითქმის ყველა ერთ სახეს თამაშობდა. მარჯანიშვილმა დაარღვია ეს დიდხანს წინათ შექმნილი დაკანონებული ტრადიციები, მან ჩამოიყვანა ჰამლეტი და ყველა მოქმედი პირები იმ „ოჩაფეხებიდან“, რომელზედაც შემდგომი ისინი რამდენიმე ათეული წლების მანძილზე დააბოჯებდნენ თითქმის ყველა ხალხის სცენაზე. ამის გამო ყველა სახე უფრო ვადაამიანდა და თავის სისადავით დაუახლოვდა თანამედროვე მაყურებელს.

VIII

მარჯანიშვილის მოსვლამდე მუსიკა შემთხვევით თუ იქნებოდა გამოყენებული ჩვენს სცენაზე, ისიც ძალიან მცირე რაოდენობით და სულ სხვა სახით. მუსიკის ხმარება სისტემატურად მან შემოიღო პირველად ქართულ თეატრში, როგორც სპექტაკლის აუცილებელი და დამხმარე ნაწილი. მუსიკა მას, საერთოდ, ძალიან უყვარდა, იცოდა კარგად, გრძნობდა, მშვენივრად იყენებდა კიდევაც მოხერხებულად. მისი აზრით მუსიკა მძლავრი, დამხმარე იარაღი თანამედროვე დრამაში მაყურებელამდე ნაწარვეის მსატანად. ამის გამო ჰარბად შეჰქონდა იგი თავის დადგმებში. ქართულ თეატრს მან დაუახლოვა მთელი რიგი ნიჭიერი კომპოზიტორები: თ. ვახვახიშვილი, ი. ტუსკია, კ. მეღვინეთ-უხუცესი, ანდრია ბა-

ლანჩივამ და სხე.—ზოგი მათგანი ნამდვილ თეატრალურ კომპოზიტორებად გახდნენ და განუყრელად ემსახურებიან თეატრს. ეველაზე ადრე და ხანგრძლივად მარჯანიშვილთან მუშაობდა თ. ვახვახიშვილი, რომელიც მონაწილე იყო ბევრი მისი სახელმწიფოეკილი დაღმგმებისა („ცხვრის წყარო“, „ურთილი“, „ბეტრიჩე“, „კაკალ გულში“, „როგორ“ და ავტორი პანტომიმა „მზეთა-შე“, და „ხანძარისა“). მარჯანიშვილთან დაიწყო მუშაობა რუსთაველის თეატრში იონა ტუსკიამაც 1925 წელს, რის შემდეგაც მას აღარ უღალატნია ამ თეატრისათვის, რომლის წინაშე მას დიდი დამსახურება მიუძღვის და არა ერთი ნიჭიერად და საინტერესოდ დაწერილი მუსიკალური გაფორმებით გაუმდიდრებია მისი სპექტაკლები. მარჯანიშვილთან იმუშავა აგრეთვე კ. მელენიეთ-უხუცესმა და ისიც განუყრელი თანამოღვაწე გახდა ქართული თეატრისა. უნდა აღინიშნოს, რომ მარჯანიშვილი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდა თეატრში მომუშავე კომპოზიტორს და მას უფრო ანდობდა სპექტაკლის გაკეთებას, ვიდრე რომელიმე ცნობილ, მაგრამ არათეატრალურ კომპოზიტორს, რადგან პირველ მათგანს ესმოდა თეატრის სპეციფიკა. მუსიკას ის მრავალნაირ დანიშნულებას აკარებდა სპექტაკლის დასაწყისიდან მის დასრულებამდე. მის დაღმგმებს უმეტეს შემთხვევაში წამმღვარებული ჰქონდა მუსიკალური შესავალი, რათა თავიდანვე შეექმნა სათანადო განწყობა. ამ შესავალში ხშირად ისმოდა ნაწარმოების ლეიტმოტივი და მაყურებელი ფარდის აწვევისას ერთგვარად შემზადებული, განწყობილი იყო უკვე სპექტაკლის მოსასმენად. მუსიკას იყენებდა აგრეთვე ცალკე სურათებისა და მოქმედებათა დასაკავშირებლად. მუსიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და ხშირად ბიძგის მიმცემიც იყო სპექტაკლის რიტმის გარკვევა-

ში. მუსიკას იყენებდა აგრეთვე რომელიმე სცენის უფრო ღრმად გამოსაქვლენად, ანდა მთავარი გმერთა-მდგომარეობის გამოსახატავად პიესის გარკვეულ ნაკვეთში. ვიდრე ჰამლეტი თავის პირველ მონოლოგს წარმოსთქვამდა — „რად არ მეშლება ეს სხეული ესრედ მაგარი“, ის გამოჩნდებოდა მკერდგადაღებული, უძილო, არეული სახით: მოათრევდა წამოსასხამს და ნელა ეშვებოდა ელსინორის სასახლის დაუსრულებელ კიბის საფეხურებზე. მისი ნაბიჯები ყრულ გაისმოდა ღამის სიჩუმეში. კიბიდან დაშვების შემდეგ ის გაივლიდა მცირე მანძილს და სულიერად და ფიზიკურად დაქანცული იქვე მიეყრდნობოდა კედელს. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა მონოლოგის კითხვას.

მთელი ეს სცენა მიდიოდა მუსიკით, რომელიც გაღმგვეცემდა ჰამლეტის აშლილ სულიერ მდგომარეობას და მაყურებელი ისევე დამბული ყურადღებით აღევნებდა თვალყურს ამ სცენას, როგორც ჰამლეტის რომელიმე ცნობილ მონოლოგს და, ვიდრე აქტიორი ხმას ამოიღებდა, მაყურებელი სათანადოდ განწყობილი აღმოჩნდებოდა მის მოსამენად. უმეტეს შემთხვევაში მუსიკას იყენებდა აქტიორის დასახმარებლად, რომელიმე ადგილის ემოციური ზეგავლენის გასაძლიერებლად.

გუცოვის ბრწყინვალედ აქვს დაწერილი წყევლის სცენა „ურთილში“, მაგრამ მოისმინეთ იგი უმუსიკოდ და შემდეგ მოისმინეთ როგორც მარჯანიშვილს აქვს თავის დაღმგმში გაკეთებული და თქვენ იგარძნობთ მუსიკის უდიდეს მნიშვნელობას, — თუ როგორ აძლიერებს იგი წყევლის სცენას და რადენად ეხმარება იგი სანტოსის მოთამაშეს. სანტოსის პირველ შემსრულებელს—ა. იმედაშვილს — თავიდან ძალიან უხერხულად ეჩვენებოდა მუსიკაზე წყევლის წარმოთქმა, მაგრამ შემდეგ თანდათან შეეჩვია და კიდევაც მოსწონდა. წყევლის სცენას ა. იმედა-



შვილი ძალიან ძლიერად ატარებდა და ამ სიძლიერეში თავის წვლილი მუსიკასაც ეკუთვნოდა. ასეთივე მნიშვნელობით ჰქონდა დართული მუსიკა ურიელის მონოლოგს მესამე აქტში: „სულ ამყო, რად დგხარ ყალზე“... სულ სხვაგვარად იყენებდა მარჯანიშვილი მუსიკას იმავე „ურიელის“ უკანასკნელ აქტში, ივლითის და ბენ-იოხანს კორწილის საღამოს. ახალგაზრდა წყვილები ცეკვით გამოდიან მანასეს ბაღში. უწინარი სევედიანი საცეკვაო ჰანგი, მოცეკვავეთა ოდნავ სტილიზებული მოძრაობანი და მათ შორის ივლითის და ტანჯული, გაფითრებული სახე. ცეკვა და მუსიკაც, მათი ოდნავ ებრაული ელფერი, დიდის გემოვნებით და ზომიერებით არის გაცეთებული, სულ მცირე გადაპარბება და მთელ სცენას სულ სხვა ხასიათი მიეცემა და შედეგიც სხვა იქნება. ეს ნაძალადევი, უხალისო, მზიარულობა, დროგამოშვებით სახლიდან მომავალი შეძახილები და ქრიაშურის ხმები, მუსიკა, ცეკვაც, — მთელი ეს სცენა რეჟისორმა შესანიშნავად გამოიყენა როგორც ფონი, რათა უფრო მძლავრად და მკაფიოდ ეჩვენებინა ურიელის და ივლითის ტრაგედია.

ისეთ საზარელ დასასრულში, როგორც აქვს შელის ტრაგედიას „ბეატრიჩეს“ (ფრანჩესკო ზენჩი), რაც სრულიად უდანაშაულო ოჯახის დასჯით თავდება, აქაც კი შესძლო მარჯანიშვილმა ამ ბნელით მოცულ ტრაგედიასში, რალაც ნათელი სხივი შეეტანა.

ბეატრიჩეს უკანასკნელი მონოლოგი მიდიოდა მუსიკით. ისეთ ლირიკულ ტონებში ეღერდა მუსიკა და ისე წარმოსთქვამდა თამარ ჭავჭავაძე თავის უკანასკნელ სიტყვებს, ისეთი სუფთა და სპეტაკი მოსჩანდა ეს უბედური ქალიშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, რომ მთელი მისი არსება თითქოს გამჟღავნებულად ხდებოდა. თქვენ რწმუნდებოდით, რომ მომავალი სას-

ჯელი მისთვის არა წამება, არამედ შეება და დასვენება იქნება! დაწინააღმდეგობა, დაშვებულობა, დაშვებულობა მის მისაღებად, მიდიოდა შეუბღალავი ქალწულებრივი სიწმინდით.

მუსიკა ხშირად ბიძგისმიმცემიც იყო მარჯანიშვილისათვის. რასაკვირველია, ის დადგმის მთავარ იდეას არ შესწირავდა კომპოზიტორს, მაგრამ მუსიკის საშუალებით მისი მდიდარი ფანტაზია ნაწარმოების ბევრ საინტერესო მხარეს გამოაქვნიდა კიდევ უფრო ღრმად და სრულყოფილად. მარჯანიშვილს კიდევ მეტი რაოდენობით შექმონდა მუსიკა კომედიებში, ვიდრე დრამაში. მთელ რიგ დადგმებში: ხასინტა ბენავენტეს „ინტერესთა თამაშში“ აქტიორთა მოძრაობები და მთელი სცენებიც მუსიკაზე იყო გაცეთებული. მისი მსუბუქი მუსიკა ძალიან შესაფერისი იყო პიესის ტიქინათა-კომედიური სტილისათვის. ასევე ჰარბად იყო მუსიკა მოლიერის „გააზნაურებულ მდაბიოში“, შექსპირის „ვინაშორის ცელქებში“, შოუს „წმინდა ქალწულში“, შალვა დადიანის „კაკალ გულში“ და გ. ბუხნიკაშვილის „კი მაგრამ“-ში. მაგალითად, „კაკალ გულში“ მუსიკის მოხერხებულად გამოყენებამ დიდად შეუწყო ბელი ამ კომედიის წარმატებას, ყოველთვის განსაკუთრებულ ელერადობას და სიცოცხლეს მატებდა მოქმედებას და აძლიერებდა მის ზეგავლენას. „კაკალ გულში“-ს მუსიკა სპეციალურად არ დაწერილა. ერთ დღეს დაგვიძახა მარჯანიშვილმა კომპოზიტორ თ. ვახვახიშვილს, ღირიფორს ალ. გველესიანს და მე. ჯერ ვითხოვლობდით ტექსტს, შემდეგ აღებული ნაკვეთისათვის ვასახლებდით შესაფერ ხალხურ სიმღერას. მე მიზნდებოდა ხშირად რომელიმე მათგანის მოტივის დამღერება. რათა თ. ვახვახიშვილს ჩაეწერა. ასე გავაკეთეთ იმ დღეს თითქმის მთელი პირველი მოქმედება. დანარჩენ მოქმედებებში მუსიკაც და სიმღერებიც უმეტესად რე-



ბეტიციებზე კეთდებოდა. სიმღერები შესანიშნავად გამოიყენა მარჯანიშვილმა. სიმღერებზე ან და მათგანვე გადაღებულ მუსიკაზე ვითარდებოდა მთელი სცენები, იცვლებოდა სცენის მორთულობა, ნიუთების ადგილიდან გადახაცვლებით. მაგალითად, პიესის მეორე მოქმედება ხდებოდა ოთხ სხვადასხვა კაბინეტში, — განყოფილებების უფროსებთან და კანცელარიაში. აქ რომ დეკორაციები რამდენჯერმე შეცვლილიყო, როგორც ამას პიესის ტექსტი მოითხოვდა, ჯერ ერთი, — ეს მეტდროს საჭიროებდა და, რაც მთავარია, შეანელებდა კომედიის მსვლელობის ტემპს, მოქმედებას დააქუცმაცებდა ცალკე სურათებად და შთაბეჭდილებასაც შესუსტებდა. მარჯანიშვილმა მოქმედების მუდმივ ადგილად კანცელარია აიღო, მაგრამ, როდესაც საჭირო იყო კაბინეტში მოქმედების გადატანა, მაშინ მბეჭდავი ქალები და დანარჩენი მოსამსახურენი, რომელნიც კანცელარიაში იყვნენ მოთავსებული, წამოიშლებოდნენ თავიანთი მაგიდებით და ფოქსტროტის ცეკვით და სიმღერებით (იმ ხანებში ფოქსტროტი დიდ „ძალაში“ იყო საერთოდ), ორ წყებად ჩამწყრივდებოდნენ სცენის წინა პლანზე. ისინი დაფარავდნენ მთელ აფანსცენას და მაყურებელსაც მთელი ყურადღება მათზე გადაჰქონდა. ამ დროს სცენის უკანა პლანიდან წინ წამოაგორებდნენ პატარა მოედნიან სიბრტყეზე მდგარ საწერ მაგიდას, თავის სკამით და გვერდზე ჩამოკიდებული ქალაღის აბრათი, იმ გამგის გვართი, ვისი სცენაც მიდიოდა და — კაბინეტი უკვე მზად იყო. მაგიდას გვერდით მოჰყვებოდა დარაჯი, რომელიც მაშინვე ჩაებმებოდა მოქმედებაში. მბეჭდავი ქალების სიმღერა, — ეს იყო საბეჭდი მანქანების მუშაობის თავისებური რიტმიული ილუსტრაცია (ამ სიმღერითვე იწყებოდა თავიდან მეორე მოქმედება), რომელიც თავდებოდა სიმღერით „სიმონია გოცაძეთი“.

იგი სავსებით შეგუებული იყო კოქსტროტის რიტმთან და ტემპორუზნულასაც სცენა მხოლოდ კანცელარიაში მზადდებდა, მაშინ მბეჭდავი ქალები და დაწესებულების სხვა მოხელენიც განლაგდებოდნენ წინ, პირველ პლანზე. მხოლოდ თუ ცენტრალურ სცენას კაბინეტი წარმოადგენდა, მაშინ მოსამსახურენი სცენის ორივე მხარეს იყვნენ მოთავსებული. ამ შემთხვევაში სცენაზე იყო კაბინეტიც და კანცელარიაც. ამ უკანასკნელზე გავლით მთხოვნელი, თუ თანამშრომელი მოხვდებოდა კაბინეტში, რაც სრულიად ბუნებრივად გამოიყურებოდა.

მოსამსახურეთა ხშირი წამოდგომა მაგიდების გადატან-გადმოტანით, თუ სხვა ავეჯის გადანაცვლებით, მშვენიერად გამოხატავდა დაულაგებელ და მუდამ რეორგანიზაციის პროცესში მყოფ დაწესებულების მდგომარეობას.

დაწესებულების უწყსრივობაში მოსჩანდა რევისორის იშვიათი წესრიგი. სცენა იყო მაქსიმალურად განტვირთული. უკანა ფარდის გარდა, სცენაზე ეკილა შუქფარი, იღვა ერთი დივანი, დაკეცილი შირმა და მოსამსახურეთა რამდენიმე მაგიდა. არავითარი დეკორაცია. ეს მაშინ, როდესაც ბევრ თეატრში კიდევ ისეთი დეკორაციები იდგმებოდა, რომელნიც მთელ მშენებლობას საჭიროებდნენ და მხატვრების თითქმის გამოყენები ეწყობოდა, — იმდენად იყვნენ გაბატონებულნი ეს უკანასკნელნი თეატრებში.

მდიდარ და მონუმენტურ დეკორაციებს მაყურებელი ხშირად კარგ დადგმად ღებულობდა მაშინაც კი, როდესაც ისინი ზელისშემშლელი და შეუფერებელი იყვნენ პიესისათვის. სპექტაკლში იყო ბევრი შესანიშნავად გაკეთებული სახეები ც. წუწუნავასი, ნ. მაჭავარიანის, შ. ღამბაშიძის, ს. ჟორჯოლიანის, შ. გომელაურის, შ. ზონელის, პ. კიქინაძისა და სხვ. და პიესის მსვლელობაში იგრძნობოდა არაჩვეუ-



ლებრივი სიმსუბუქე. სიცოცხლე და ხალხისი ჭარბად სჩქედდა სპექტაკლის ყოველ ნაკეთში.

IX

მარჯანიშვილის მიერ დადგმული კომედიები საერთოდ ყველა განსაკუთრებული სიმსუბუქით; მუსიკალობით და ელვადობით გამოირჩეოდნენ, მახვილი მხატვრული სახეებით და, როგორც მოვიხსენიე, სცენის მოედნის განტვირთვითა და მუსიკის სიმრავლით. ის იყო კომედიისა და აგრეთვე კომიკური ოპერისა და ოპერეტის შესანიშნავი ოსტატი. ჩვენში, ოპერის თეატრში მან განაზოციელა კომიკური ოპერების „შშენიერი ელენე“, „ზოკაჩიო“ „საიდუმლო ქორწინება“ და არაყიშვილის „სიცოცხლე სიხარულია“-ს დადგმები.

რუსთაველის თეატრში დადგა ოდრანის ოპერეტა „მასკოტი“, მხოლოდ გ. ბუხნიკაშვილის კომედია „კი მაგრამ“ რომელიც ქუთაისში დაიდგა, მუსიკალურ კომედიათ აქცია. (ამ კომედიაში არაჩვეულებრივი მახვილი ირონიით იყო გაკეთებული ბევრი სცენა, განსაკუთრებით ფოქსტროტი). შესანიშნავად იყო დადგმული თავის დროზე აგრეთვე „მზის დაბნელება“, რომელშიაც მარჯანიშვილმა მისთვის ჩვეულ ეფრადოვნებით გააცოცხლა გასული საუკუნის თბილისი და რომელშიაც ზოგიერთმა აქტიორებმა (ე. ჩერკეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ნ. გოცირიძე, ა. ვასაძე) პირდაპირ კლასიკური სახეები შექმნეს. მხოლოდ მარჯანიშვალს შეეძლო ანტონოვის ეს თითქმის მოსაწყენი და მივიწყებული ვოდვეილი იპედენად საინტერესოდ აემეტყველებანა, რომ იგი დღემდე შერჩენოდა თეატრის რეპერტუარს.

შეტად ორიგინალურად და საინტერესოდ დაწერილი კომედია პ. კაკაბიძისა

„ყვარყვარე თუთაბერი“ დაიდგა სკოლის მიწურულში და მარჯანიშვილის განკარგულებაში, თუ არა ეცდები, მხოლოდ მ დღე იყო. პიესის მზადება დაიწყო ქუთაისში და პირველად იგი წარმოდგენილი იყო ბათუმში, მასთან ამ მცირე დროის მანძილზე შეიცვალა მთავარი მოქმედი პირი, ვინაიდან ქორეთლიანის ავადმყოფობის გამო ყვარყვარეს თამაში მე მომიხდა, ისე მცირე დრო იყო დარჩენილი როლის მოსამზადებლად, რომ მარჯანიშვილმა პირველად მხოლოდ როლის წაკითხვა მოხევა და არა თამაში. რასაკვირველია, ასეთ პდგომარეობაში მან სათანადო ყურადღება ვეღარ მიაქცია პიესის შესაფერისად დადგმას. მიუხედავად ამისა, პიესა მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

მარჯანიშვილს რომ საკმაო დრო და პირობები ჰქონოდა, პიესას უსათოდ მოუნახავდა უფრო შესაფერ სახეს, თავის შესაფერ სტილს, მით უმეტეს, რომ იგი ამისათვის მდიდარ მასალას იძლეოდა.

„ყვარყვარე თუთაბერმა“ აღუძრა მარჯანიშვილს დიდი სურვილი დაეღა ჩვენ სცენაზე „ღონ-კიხოტი“, რაც, სამწუხაროდ, შესაფერისი პიესის უქონლობის გამო ვერ განზოციელდა.

როდესაც მარჯანიშვილი კომედიებზე მუშაობდა, ასე გეგონებოდათ თითონ განიცდიდა დიდ სიამოვნებას და ისეთი ხალისით და სისწრაფით აკეთებდა ყოველივეს, ისე იოლად და მსუბუქად, რომ ვერც კი იფიქრებდით, თუ ამ დროს მისი მახვილი გონება და ფანტაზია რაიმე შემოქმედებითი დაძაბულობას განიცდიდნენ, ისე ელვისებური სისწრაფით მოქმედებდნენ. საერთოდ, როდესაც მარჯანიშვილის მუშაობას უყურებდით, ყოველთვის სიხარულს განიცდიდით, ისე მოხდენილად და ადვილად მუშაობდა.

## X

მე ადრეც მოვიხსენიე, რომ მარჯანიშვილს ტრაგედიაში და დრამაშიაც შექმონდა კომიკური ელემენტი. მას უყვარდა ცვალებადობა როგორც ფერების და განწყობილებების, აგრეთვე მდგომარეობებისაც; ერთფეროვნებას ვერ იტანდა. თუ პიესა იძლეოდა ამისათვის მასალას, მაშინ ის ცდილობდა მონტაჟის საშუალებით ისე განლაგებულიყო სცენები, სადაც დრამატიულ ადგილებს ენაცვლებოდნენ კომიკური. ასეთი იყო „ცხვრის წყარო“.

მაგრამ იყო ისეთი პიესები, სადაც კომიკური ელემენტი სრულიად არ იყო ავტორის მიერ მოცემული, მაგალითად, შელის „ბეატრიჩეში“. ასეთ შემთხვევაში ის სხვა ხერხს მიმართავდა: „ბეატრიჩეს“ შესაძენ მოქმედებაში შემოდიოდნენ მკვლევლები ფრანჩესკო ჩენჩის მოსაკვლავად. ისინი შემოდოდნენ შუალამისას. გაისმოდა მუსიკის მღვღვარე, იღუმალი ხმები და ამ დროს გამოჩნდებოდა ორი შემკრთალი, შემოხეული და შიშით აცახცახებული მკვლელები (ე. კვანტალიანი და შ. ხონელი), რომელნიც გაუბედავად ადგამდნენ ყოველ ნაბიჯს და თანაც შესახედავად იყვნენ ისეთი უზადრუქნი და საცოდავები, რომ მაყურებელი ხარზარებდა. ეს დაჭირავებული მკვლევლები სხვა რეჟისორის ხელში, ალბათ, ჩვეულებრივი ავაზაკები იქნებოდნენ, შესახედავად საზარელნი, შიშისმომგვრელი, ერთის სიტყვით, როგორც არიან საერთოდ სცენაზე ასეთი მკვლევლები. მარჯანიშვილმა კი ისინი თითქმის გროტესკულ სახეებად აქცია. ტექსტი, რასაკვირველია, უცვლელი დარჩა, მხოლოდ სახეების თავისებურმა გაგებამ შექმნა მათი გაზვიადებული კომიკური მდგომარეობა. ამ მძიმე და ბნელით მოცულ ტრაგედიაში რაღაც ცვალებადობა შეიტანა

მარჯანიშვილმა, პატარა ხალხით, თითქოს დაასვენა მაყურებელს ფეხებზე-ლობიდან. გარდა ამისა მარჯანიშვილმა ვიფიქროთ ისიც, რომ მარჯანიშვილს უნდოდა მათი სახით ეჩვენებინა აგრეთვე მაშინდელი ცხოვრების უთანაბრობით დამახინჯებული სადამიანები, ცხოვრებისა, სადაც ფრანჩესკო ჩენჩის გვერდით, რომელიც უმდიდრეს მამულსა და სახლებს ფლობდა, იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ლუქმა-პურისათვის მკვლევლობის ჩადენისაც კისრულობდნენ, თუმცა ბუნებით შეიძლება სრულიად არ იყვნენ ამისათვის გაჩენილი. სახეები უფრო თვალსაჩინო გახდნენ და მოქმედებამაც, მე მგონია, უფრო მოიგო. ხშირად სრულიად უმნიშვნელო კომიკურ როლსაც გამოაჩენდა, დასამახსოვრებელ სახედ აქცევდა, მაგალითად, „მამლეტის“ უმეტეს დადგმებში, ოსრიეს ხშირად ვერც შეამჩნევდით. მარჯანიშვილის სპექტაკლში (ოსრიე — ფორჯოლიანი) იგი თვალსაჩინო კომიკური სახე იყო და მშვენიერი წარმომადგენელი კარისკაცთა იმ გაზარდნილ საზოგადოებისა, რომლითაც მამლეტი იყო გარემოცული. ასეთ ფონზე კიდევ უფრო ნათელი მოსჩანდა მამლეტის კეთილშობილი ბუნება, ხდებოდა მისი განწყობა იმ საზოგადოების წინააღმდეგ, რომელნიც ოსრიეს მსგავსი წევრებისაგან შესდგებოდა. თვალსაჩინოდ იყო გაკეთებული სცენა სასაფლაოზე. მესაფლავეთა (შ. ლამბაშიძე — ვ. გომიანიშვილი) სახეების გაკება, მათი ჯანსაღი დამოკიდებულება სიკვდილსა-ცოცხლის საკითხისადმი, უდარდელი მზიარული ტონი იწყევდა მაყურებლის მზიარულ განწყობას, სიცილს, რითაც მარჯანიშვილს სურდა შეენელებინა მამლეტის მონოლოგების და ოფელიას დასაფლავეების მძიმე შთაბეჭდილება. მაგრამ დღესაც გაუგებარია ჩემთვის მესაფლავეთა გაქართველების საჭიროება დასაბუთდეს მარჯანი-



შვილის იმ მოსაზრებით, რომ ეს სცენა არის იმდროინდელი ყოფითი ხასიათის სცენა პიესაში და რომ იგი უფრო ახლობელი გაეხადა თანამედროვე ქართველი მაყურებლისათვის. ანდა იმ მოსაზრებით, რომ „მესაფლავეთა ფილოსოფია მსოფლიოში ერთია“. ჩემთვის, კომეორებ, დღესაც ვაუგებარია იგი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარჯანიშვილს არ ჰქონდა თავისი გარკვეული მოსაზრება და მიზანი და, როგორც ზოგიერთებს ეგონათ, ეს მან რაღაც სენსაციისათვის გააკეთა. მარჯანიშვილის „ჰამლეტი“ ისეთი დიდი და სერიოზული ნამუშევარი იყო, რომ მას არ ჰქონდებოდა ასეთი იაფფასიანი სენსაციით შეექმნა რაიმე ზმპური დადგმის გარშემო: ზოგიერთ შემთხვევაში კომიკური ელემენტი მას შეჰქონდა არა მარტო მრავალფეროვნებისა და ცვალებადობისათვის, ანდა მხნეობის შესამატებლად. მაგალითად, მან საესეებით შესცვალა ბენ-აკიბას სახე — გუცოვის „ურთელ აკოსტაში“.

ბენ-აკიბას ზშირად ანზორციელებდნენ ცხოვრების დიდი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებულ ბრძენ ადამიანად. მარჯანიშვილის დადგმაში ბენ-აკიბა დახვეწილი, გაყინული გონების მქონე დოგმატიკოსია და ისეთი კონსერვატორი, რომელიც მხოლოდ წარსულში იხედება და ყოველ ახალ ცოცხალ მოვლენას უყურებს, როგორც წარსულის განმეორებას, რომელიც „ბევრჯერ ყოფილა“. ერთხელვე დადგენილი თვალსაზრისი წარსულისადმი მისთვის უცვლელი კანონია. ბრძენის ნაცვლად მარჯანიშვილის დადგმაში ის გამოჩნდა უძლურ, დაჩივებულ და უცნაურ ხასიათის მოხუცად. თავისი ერთხელვე აჩემებელი აზრებით ურთელისადმი დამოკიდებულებაში ის უფრო სასაცილო იყო, ვიდრე ბრძენი. მარჯანიშვილმა იგი კომიკურ სახედ აქცია და სწორედ ამის გამო დააკისრა მისი ასრულება

ა. კორკოლიანს. ბენ-აკიბას სახის ასეთი გაგება გამართლებულია მხოლოდ კომიკური თვალსაზრისით, ეს კი უკონსახის თანამედროვე ახალი გაგება.

საერთოდ, მარჯანიშვილის მიერ დადგმულ კლასიკოსების გაგებაში ახალი, თანადროული თვალსაზრისით მიღგომა მოსჩანდა ყველგან, ამის მშვენიერი მაგალითებია: „ცხვრის წყარო“ და „ურთელ აკოსტა“. პირველი მათგანი თითქმის მონარქისტული პიესაა და მეორე — იმდენად მოძველებული, ნახევრად ტრაგედია, ნახევრად მელოდრამა, რომ მისი დადგმის საჭიროება ბევრს საექვოდ მიაჩნდა. პიესების მოხერხებული მონტაჟისა და მათი გაგების შედეგად ორივე ოქცა ჩვენს დროსთან თანხმოვან პიესებად. პირველი რევოლუციურ სპექტაკლად ამტკყველდა, ხოლო „ურთელი“, ამასთან ერთად, ამოდლდა ნამდვილ ტრაგიკულ პათოსამდე. მარჯანიშვილი ყოველთვის ებოქასთან ერთად მიაბიჯებდა და ამის გამო მის დადგმულ კლასიკურ პიესებში ყველგან იყო ანარქული თანადროულობისა. მას არ შეეძლო ყოფილიყო მასიური რესტავრატორი ან ამსახველი კლასიკოსისა და მისი ებოქის. მას ყოველთვის ახსიათებდა აქტიური დამოკიდებულება, როგორც თანამედროვე, ისე წარსულ ცხოვრებისადმი.

XI

შეიძლება ითქვას, რომ მარჯანიშვილის მოსელამდე მუდმივი მხატვრები ქართულ თეატრს არა ჰყოლია. 1920 წელს, როდესაც რუსთაველის თეატრი დაარსდა, მხატვრად მოწვეული იყო ვ. სიდიამონ-ერისთავი, რომელმაც რამდენიმე პიესა გააკეთა. თუმცა ყველა პიესისათვის არ მზადდებოდა ახალი დეკორაციები და არ იკერებოდა ტანსაცმელი, მაგრამ ეს მაინც ნაბიჯი იყო წინ, რადგან ძვილ

თეატრში, ჩვეულებრივ რეჟისორების მოთხოვნის მიხედვით, უბრალო დეკორატორებს უხდებოდათ შესაფერისი დეკორაციებისა და სცენის მორთულობის შერჩევა, ხოლო საპიროტანსაცმელით სარგებლობდნენ თეატრის გარდერობიდან. თუ თანამედროვე ტანსაცმელი იყო საპირო, წამყვანი აქტიორები ვალდებული იყვნენ ასეთები თითონ პქონოდათ. ძველად ქართულ თეატრს არ გააჩნდა მატერიალური საშუალებანი ყოველი ახალი დადგმისათვის დაემზადებინათ დეკორაციები და სცენის მორთულობა. თეატრები იწვევდნენ დროგამოშვებით რომელიმე მხატვარს. ზოგიერთ თეატრს შეიძლება ერთხელ ღირსებოდა ასეთი ბედნიერება მთელი მისი არსებობის მანძილზე და ეს მხატვრებიც ერთბაშად დაამზადებდნენ მრავალნიღბი დეკორაციებს, რომელსაც შემდეგ იყენებდა თეატრი საპიროებისამებრ. მარჯანიშვილის მოსვლის შემდეგ თანდათან ჩნდებიან ჩვენს სცენაზე მუდმივად მომუშავე თეატრალური მხატვრები. ზოგიერთებმა მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყეს მუშაობა და შემდეგში ჩვენი სცენის გამოჩენილი მხატვრები შეიქნენ. პირველი მათ შორის იყო ირ. გამრეკელი. მარჯანიშვილმა დაუახლოვა ქართულ თეატრს და ჩააბა მუშაობაში ისეთი ცნობილი მხატვრები, როგორც არიან: ელ. ახვლედიანი, თ. აბაკელია, ვ. სიღამონ-ერისთავი, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ლანსერე, შარლემანი და სხვ.—ამთში ელ. ახვლედიანი დღიდან თეატრის დაარსებისა მარჯანიშვილის საკვიდლომდე მუშაობდა მისი სახელობის თეატრის ერთერთ მუდმივ მხატვრად. მარჯანიშვილის მოსვლის შემდეგ მხატვარი გახდა აუცილებელი და თვალსაჩინო მომუშავე ქართულ თეატრში. ბევრმა ღირსშესანიშნავი ნიჭიერი ნამუშევარით გაამდიდრა

ქართული თეატრის დადგმები. მხატვრის მუშაობას თეატრის მხატვრული განსაკუთრებული უნარდღებში ექცეოდა და ნაწარმოების მთავარი იდეის გახსნაში და გადაცემაში მხატვარი მის სპექტაკლებში ყოველთვის მნიშვნელოვან და თვალსაჩინო როლს ასრულებდა.

მარჯანიშვილის სპექტაკლებს შორის, რომლებიც გააფორმეს ქართველმა მხატვრებმა, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ვ. სიღამონ-ერისთავის „მზის დაბნელება“, დ. კაკაბაძის „ჰომალა ჩვენ ვცოცხლობთ“, ელ. ახვლედიანის „როგორ“, ლ. გუდიაშვილის „არსენა“. საინტერესოდ იყო გაკეთებული „ურელი“ და „კაკალ გულში“. განსაკუთრებით „ურელის“ კოსტუმები, სადაც სწორ ხაზებად დაყოფილ ნაკვეთებში მშვენივრად იყო შეხამებული შავი და თეთრი ფერები. მაგრამ მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ტრაგედიაში ვერცერთმა მხატვარმა ვერ შესძლო ამდღებულის დადგმულ რეჟისორამდე და მათი ნაზრები გადმოეცათ თავიანთ ნამუშევარში. ასე იყო „ჰამლეტში“, „ბეტრიჩეში“ და „ოტელოს“ ორივე გაფორმებაში. „ჰამლეტმა“, შე მგონია, ბევრი დაპყარვა შედარებით სუსტა გაფორმებით. მიუხედავად მარჯანიშვილის დიდი ცდისა და ირაკლი გამრეკელის ნიჭისა, მან ვერ შესძლო გადმოეცა რეჟისორის მეტად საინტერესო შთანაფიქრი და, როგორც კონსტრუქცია, ისე კოსტუმები, ვერ იდგნენ სპექტაკლის შესაფერ სიმალღეზე. ერთი რამ შეიძლება დადებითად ჩაითვალოს „ჰამლეტის“ გაფორმებაში: გაფორმების სიმარტივე და სცენის მოედნის საგრძნობი განტვირთვა, რაც დიდ თავისუფლებას აძლევდა რეჟისორს და აქტიორებს. კონსტრუქცია და კოსტუმები იყო სტილიზებული და ისინი სიუჟეტით არ ასახავდნენ ეპოქას, არამედ ძლღოდნენ მასზე საერ-



თა წარმოდგენას. კონსტრუქცია სპექტაკლში რჩებოდა ერთი და იგივე. სცენაზე იცვლებოდა მხოლოდ მორთულობა და სცენის შემობრუნების საშუალებით სურათები მისდევდნენ ერთი-მორჩეს უანტრაქტოდ, რაც მეტ დინამიურობას მატებდა სპექტაკლს. ირ. გამრეკელის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ერთი მისი მეტად მნიშვნელოვანი თვისება: ირ. გამრეკელის კოსტუმები არ ზღუდავდნენ და არ უშლიდნენ ხელს აქტიორის თამაშს, პირიქით, ყოველთვის მსუბუქი და ადვილად მოსახმარი იყვნენ. ამ მხრივ ის ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევდა აქტიორს. თუ კოსტუმში უხერხული და ცუდი მოსახმარია აქტიორისათვის, იგი უვარგისია თუგინდ ფერებისა და ხაზების მხრივ კარგად იყოს შესრულებული. შემდეგში ი. გამრეკელმა იშვიათი ნიჭი გამოიჩინა ზოგიერთი თანამედროვე პიესების გაფორმებაში: „რღვევა“, „ანზოა“. და არა მარტო თანამედროვე პიესები. არამედ მან საინტერესოდ გააკეთა შეილერის „ინტიმანოს“. საშუქხაროდ, შე არ მინახავს მისი „ოტელო“, მაგრამ მისი „ჰამლეტი“ შედარებით სუსტი ნამუშევარი იყო. მასში არ მოსჩანდა სიღრმე ასეთი ნაწარმოებისათვის ის ჯერ კიდევ მოუშუადებელი და ახალგაზრდა აღმოჩნდა. სუსტი ნამუშევარი იყო მარჯანიშვილის თეატრში დადგმული შეილერის „ბეატრიჩეს“ როგორც დეკორაციები, ისე კოსტუმები. რაც შეეხება მარჯანიშვილის მიერ დადგმულ „ოტელოს“, ელ. ახვლედიანის მიერ გაფორმებულს, ეს იყო რეალისტურად გაკეთებული. სადა, უპრეტენზიო სპექტაკლი.

ბევრი მხატვარი იყენებდა ბოროტად თავის უფლებებს თეატრში. ზოგი უმიზნო ესთეტიზმით იყო გატაცებული, ზოგი განყენებული სტილიზაციით, ზოგი კონსტრუქციული მონუმენტალიზმით, ზოგი დაუსრულებელ

კიბეებს აშენებდა, ზოგი უცნაური ფერებით აპრელებდა მთელს სცენას და მრავალ სხვა გამოკონტრუქციულ ნაკლებად ეხმარებოდა და უღებოდა. რითი იყო კარგი, მაგალითად, დ. კაკაბაძის კონსტრუქცია „ჰომლაში“? ის თავის სწორკუთხოვანი მოედნებით, მკაცრი რუხი ფერით, სცენის მოედნის გამოყენებაში დაცული დიდის ეკონომიით, თავის სისადავით, ზედმიწევნით შეეფერებოდა ტოლერის ექსპრესიონისტულ პიესის ხასიათის და საშუალებას აძლევდა რეჟისორს მიეტანა მათურებლამდე პიესის მთავარი იდეა. კადრებად დაყოფილ პიესაში, კონსტრუქციის პატარა მოედნებმა დიდი დახმარება გაუწიეს რეჟისორს, რადგან მოქმედება ელვისებური სისწრაფით გადადიოდა ერთი მოედნიდან მეორეზე. ეს ჰქმნიდა მოქმედების დინამიკას და იძლეოდა აგრეთვე დროს ეკონომიას, რადგან პიესის ცალკე მოქმედებებში და სურათებში არ იყო დეკორაციის შეცვლის საჭიროება. ერთი და იგივე მოედანი მორთულობისა და განათების საშუალებით სხვადასხვა დანიშნულებას ემსახურებოდა. სპექტაკლის შემდეგ არავინ არ ლაპარაკობდა დ. კაკაბაძის კონსტრუქციაზე განსაკუთრებით, არამედ ლაპარაკობდნენ, საერთოდ, სპექტაკლზე და მის განსახიერებაზე. ასე უნდა ხდებოდეს ყოველთვის, როდესაც დეკორაციები თავის დანიშნულებას ემსახურება. თუ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მათურებელი გამოდის დრამატული თეატრიდან ალტაცებული დეკორაციებით, მუსიკით, ცეკვებით ან განათებით, — ეს არ უნდა უხაროდეს არც ამ ალტაცების გამოშვებს და, მით უმეტეს, პიესის დამდგმელ რეჟისორს, რადგან, ჩემის აზრით, ეს პირდაპირი მაჩვენებელია თეატრის მარცხისა. ეს იმას ჰგავს, რომ აღამიანთან გაცნობის შემდეგ ალტაცებული ვიყვეთ მხოლოდ მისი თიხებით, ან კარგად დათოვებული

შარვალით, და ყელსახვევით და მხედველობიდან გამოგვრჩეს თითონ ადამიანის გონებრივი და სულიერი სიმდიდრე და ხასიათი. სცენაზე, გარდა აქტიორისა, არაფერი არ უნდა იპყრობდეს მაყურებლის ყურადღებას. შეიშის თქმა კი არ მსურს, რომ მხატვარი იყოს პასიური ამსრულებელი დამდგმელი რეჟისორის მითითებისა და მას არ გააჩნდეს თავისი შეხედულება ან აქტიური დამოკიდებულება ნაწარმოებისადმი, მაგრამ მხატვარი არ უნდა მოსჩანდეს სპექტაკლში როგორც დამოუკიდებელი ინტერპრეტატორი პიესისა. მხატვარმა უნდა შეუფარდოს თავისი დეკორაციები აქტიორების მოქმედებას, რისთვისაც საჭიროა იყოს პიესის მომზადების უშუალო მოწამე და მონაწილე. მას უნდა ახსოვდეს, რომ ისიც, ისე როგორც სპექტაკლის სხვა მონაწილენი, ემსახურებიან სპექტაკლის მიზანდასახულებას. მას უნდა ახსოვდეს, რომ სპექტაკლის ყველა კომპონენტი, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს, რათა უფრო სრულყოფილად ვაიშალოს და გამოჩნდეს აქტიორის შემოქმედება, რომელიც არის როგორც ნაწარმოების, ისე სპექტაკლის იდეის და მიზანდასახულების მიმტანი და გადამცემი მაყურებლისადმი. მხატვარი, როდესაც შემოთმყვანილ ელემენტარულ ქეშმარიტებას ღებულობს მხედველობაში, მას ყოველთვის შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს თეატრს.

## XII

დასასრულს, მინდა აღვნიშნო სპექტაკლის კიდევ ერთი მონაწილე, რომელიც შესძინა მარჯანიშვილმა ქართულ თეატრს. ეს არის ქორეოგრაფი.

მარჯანიშვილის პირველი სპექტაკლის „ცხვრის წყაროს“ დადგმიდან დაწყებული, ქორეოგრაფს ყოველთვის იწვევდნენ საკიროების დროს ცალკე ცეკვების გასაკეთებლად. ასე გრძელ-

დებოდა მარჯანიშვილის რუსთაველის თეატრში მუშაობის მთელი მანძილზე. მისი სახელობის თეატრის მხატვრულიდან ქორეოგრაფი უკვე თეატრის მუდმივ მოპოვებელ ხდება. ქორეოგრაფის მონაწილეობამ თეატრის მუშაობაში დადებითი გავლენა მოახდინა. საერთოდ აქტიორის სხეულის პლასტიკის კულტურაზე, კერძოდ, აქტიორის მოძრაობაზე, ექსტზე და რიტმიულობის განვითარებაზე. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ მთელ რიგ სპექტაკლებში — „ცხვრის წყარო“, „ინტერესთა თამაში“, „გაზნაურებული მღაბილი“, „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“, „კაკლ გულში“, „უჩიელი“ და სხვ. როგორც ცეკვებს, ისე რიტმიულ მოძრაობებს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ზოგიერთ მთვანში ცეკვები ისე ორგანულად იყვნენ ჩაქსოვილი პიესის სუყეტსა და განვითარებასთან, რომ მის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდნენ და თავისი მხატვრული ღირსებით ამაღლებდნენ სპექტაკლის საერთო მხატვრულ დონეს. ქორეოგრაფმა საგრძნობი დახმარება გაუწია მარჯანიშვილის აგრეთვე თ. ვახვაჩიშვილის პანტომიმმა „ხანძარზე“ მუშაობის დროს, მისი სახელობის თეატრში 1929-30 წ. სეზონში.

პირველი პანტომიმმა, რომელიც დადგა ქართულ სცენაზე მარჯანიშვილმა. ეს იყო თ. ვახვაჩიშვილის „მზეთა-მზე“ რუსთაველის თეატრში. მას ბოლომდე შერჩა მისწრაფება ერთ და იმავე თეატრში, სასცენო ხელოვნების სხვადასხვა ეანრების განხორციელებისადმი. დღეს ქორეოგრაფი უკვე აუცილებელი მონაწილე გახდა არამც თუ წამყვან, არამედ პროვინციის ყველა თეატრშიც.

## XIII

ქართულ სცენაზე არ დარჩენილი თითქმის არც ერთი თვალსაჩინო აქ-





ტიორი, რომ ცოტა ხანს მანც არ ემუშაოს მარჯანიშვილთან. ძველი თაობის აქტიორებიდან ყველაზე ხანგრძლივად მასთან იმუშავა ნ. ვოცარიძემ, რომელმაც თავის შემოქმედებითს ზენიტს მიაღწია მარჯანიშვილთან. მისი რუსთაველის თეატრში მუშაობა ქართულ სცენაზე მიმდინარეობდა უმთავრესად ჩვენი თაობის აქტიორებთან და მის მომდევნო ახალგაზრდობასთან. ჩვენი თაობის მთავარ პირებს, ვისთანაც მარჯანიშვილი დაკავშირებული იყო, თითქმის მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე თეატრში შეადგენდნენ: ვ. ანჯაფარიძე, დ. ანთაძე, ბ. გამრეკელი, ა. გველესიანი, გ. დავითაშვილი, ე. დონაური, ა. ვასაძე, მ. ლორთქიფანიძე, დ. მგავია, ა. ყორყოლიანი, გ. სარჩიელიძე, შ. ლამბაშიძე, დ. ჩხეიძე, უ. ჩხეიძე, ა. ხორავა, თ. ჭავჭავაძე, ც. წულუწინავა და ვ. ჯიქია, მხატვარი ირ. გამრეკელი და კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი. რუსთაველის თეატრში მარჯანიშვილის ყოფნის დროს, ზემოთდასახელებული პირები შეადგენდნენ ახალგაზრდობის იმ ჯგუფს, რომელსაც იგი ეყრდნობოდა უმთავრესად თავის მუშაობაში.

შემდეგში ამ ჯგუფიდან თვალსაჩინო და დიდი აქტიორები გაიზარდნენ, რომელთა სახელებით დღეს ამჟამებს ქართული საბჭოთა თეატრი.

მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გადადგა პირველი ნაბიჯები სარეჟისორო მუშაობაში: დ. ანთაძემ, უფრო გვიან მისი სახელობის თეატრში — გ. სულიაშვილმა. უკანასკნელ წელიწადს იმუშავა მასთან აგრეთვე რეჟისორმა ნ. ვოძიაშვილმა. მასთან დაიწყო პირველად დირიჟორობა ალ. გველესიანმა, რომელიც თავიდან ტექნიკურ რეჟისორად მუშაობდა.

ჩვენს თაობას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ემანუელ აფხაიძე, რომელსაც აქტიორად არ უმუშავებია მარჯანიშვილთან, მაგრამ მოწამე იყო მისი

მუშაობისა და განუკრელი წევრი ჩვენი ჯგუფისა. ჩვენ ვიყავით მუშაობის მსმენელები მისა იუმორისტულ-სატრაგედულ და პაროდების, ვიდრე ისინი საყოველთაოდ ცნობილი გახდებოდნენ. ჩვენი თაობის მომდევნო ახალგაზრდობიდან განსაკუთრებით დაწინაურდნენ მარჯანიშვილთან მუშაობის შემდეგ მისივე სახელობის თეატრში: ს. თაყაიშვილი, ვ. ვოძიაშვილი, ს. ხაქარიაძე, პ. კობახიძე, კ. კვანტალიანი, გ. შავგულიძე; ახალგაზრდა რეჟისორები ა. ჩხარტიშვილი, ს. კელიძე და ვ. ტაბლიაშვილი. ვინაიდან ჩვენს თაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მარჯანიშვილის მოღვაწეობაში, მე ნებას მივცემ ჩემს თავს ცოტა შევჩერდე ამ თაობაზე, საერთოდ.

ჩვენი თაობა, როდესაც თეატრში მოვიდა, ჩემის აზრით, უფრო განათლებული იყო, ვიდრე წინა თაობა იმავე ასაკში. ამ შემთხვევაში მხედველობაში მყავს მთელი თაობები და არა ერთეულები. უმრავლესობა უმაღლესი სასწავლებლებიდან იყო გამოსული, ხოლო გიმნაზიის კურსი რომ არ ჰქონდა დამთავრებული, ასეთი ჩვენს შორის იშვიათი იყო. ბევრი ჩვენგანი იყო აგრეთვე სტუდენტში ნამყოფი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი თაობა ამთავრებდა სასწავლებლებს რევოლუციის პირველ ან მის წინა წლებში, როდესაც საზოგადოებრივ აზროვნებას განსაკუთრებით გამოცოცხლება დაეტყო. მოსწავლეებში არსებობდა მრავალნაირი ლიტერატურული, დრამატული და პოლიტიკური წრეები. იმ ხანებში ყალიბდებოდნენ ჩვენში სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებანი. მსოფლიო ომი, რევოლუციის წლები, ქუჩის ყოველ კუთხეში დისპუტები, ასეთ წლებში ყალიბდებოდა ჩვენი თაობა და, როდესაც იგი გამოვიდა სამუშაო ასპარეზზე, ძველი სამყარო უკვე ინგრეოდა და ახალი ისახებოდა. ხდებოდა ყოველივეს გადაფასება. ამიტომ ჩვენ

თაობას თან შემოჰყვა თეატრში მღელვარე წლების ამბოხი და მოუსვენრობა.

მე მგონია, არცერთი ახალგაზრდა თაობა არ ყოფილა ქართულ თეატრში ისე აქტიური და შედარებით თავის წლებთან, საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ კუნძულში ჩახედული, როგორც ჩვენი. ჩვენს თაობას ახასიათებდა აგრეთვე დიდი სურვილი და სწრაფვა გაერთიანებისაკენ, ქართული თეატრის ახალი, ეროვნული გზების ძიებისაკენ. ცდებიც კი იყო ცალკე სპექტაკლების გამართვისა, საკუთარი ძალებით, თეატრიდან დამოუკიდებლად. ერთი ასეთი სპექტაკლი იყო, მაგალითად „ყაჩაღების“ დადგმა ავლაბრის თეატრში. მაგრამ მიუხედავად შემოხსენებული ზოგიერთი დედებითი მხარეებისა, ჩვენს თაობას მაინც არ გააჩნდა საკმაო თეატრალური კულტურა და ამიტომ მარჯანიშვილის მოსვლას ქართულ თეატრში დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის. ჩვენს თაობაში მან ნახა მშვენიერი მასალა; ნახა ახალგაზრდობა კეთილშობილი იდეებით და მუშაობის დიდი სურვილით გატაცებული. ჩვენ ვნახეთ მასში წინამძღოლი, დიდი გაქანების ხელოვანი, შეიარაღებული დიდი თეატრალური ცოდნითა და გამოცდილებით. პირველ ხანებში შეიძლება ჩვენ ბევრ რამეში ისე მივყევბოდით მას, რომ ყოველივე არ გვესმოდა, რასაც მარჯანიშვილი აკეთებდა. ეს გასაგებიც არის, რადგან დიდი განსხვავება იყო ჩვენს შორის, როგორც კულტურის მხრივ, ისე წლებითაც. ის დასრულებული ხელოვანი იყო, ბევრ დიდ თეატრში ნამუშევარი, ჩვენ კი ახლად ფხვადგმულნი სცენაზე. თუმც სხვაობა ჩვენს შორის დიდი იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში იგი მცირდებოდა, რადგან ჩვენ მოზარდი თაობა ვიყავით და შედარებით ჩქარა ვიძენდით თეატრალურ კულტურას.

დრო და მუშაობა ისეთი იყო, რომ დაყოვნება არ შეიძლებოდა. მაგრამ ჩვენ მაინც კარგი მამბელები ვიყავით. მოგვიხდა იმისათვის, რომ მივსულიყავით ძველი თეატრის მდგომარეობიდან იმ თეატრის შეგნებამდე, რომელსაც მარჯანიშვილი ჰქმნიდა. ეს ადვილი საქმე არ იყო. საჭირო იყო ყველა იმ თეატრალურ მიმართულებაში გარკვევა, შესწავლა იმ გზებისა, რომელიც განვლო საერთოდ, ყოფითი თეატრმა სინთეზიკურ თეატრამდე. ეს, რასაკვირველია, ერთი დაკვირვით არ მომხდარა. ამას დრო მოუწინა.

მართალია, ჩვენი თაობის აქტიობაში, ვინც შემდეგში თვალსაჩინო ძალებად გაიზარდნენ, მარჯანიშვილის მოსვლამდე ითვლებოდნენ უძვე ნიჭიერ ახალგაზრდებად, მაგრამ გაიზარდნენ მისი ხელმძღვანელობით. მარჯანიშვილი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება, ბევრი ჩემი ამხანაგი დაკარგავდა ძვირფას წლებს. ვიდრე სცენაზე თავის ნამდვილ გზას მონახავდა, რასაც აქტიორისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მარჯანიშვილი, რასაკვირველია, წყალს ღვინოდ ვერ გადააქცევდა და ვერც არაბაობიდან შეჰქმნიდა რამეს, თუნდაც ასჯერ დიდი რეჟისორი ყოფილიყო. მაგრამ მისი უტყუარი ალლო ყოველთვის შეამჩნევდა ნიჭიერ ახალგაზრდას, გამოავლენდა მის შესაძლებლობას და ფართო გზას უხსნიდა მუშაობისათვის. ამიტომ დაწინაურდნენ მის დროს ბევრი ახალი ძალები და უნდა ვალიაოთ, რომ ეს იყო უხვი წლები ქართული თეატრისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამ მშვენიერი თვისებებისა, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ზოგი აქტიორი ძალიან მალე იზრდებოდა, ის მაინც არ იყო პედაგოგი-რეჟისორი. ის იყო წმინდა პროფესიული რეჟისორი, ამასთან დატვირთული თეატრის ხელმძღვანელობით. იგი თვალყურს ადევნებდა აქტიორის იმდენად, რამდენადაც უხდებოდა მასთან



ურთიერთობა მუშაობის პროცესში, და, რასაკვირველია, დინტერესებული იყო მის ვაზრდაში.

ხშირად ხდებოდა ისიც, რომ აქტიორი იქცეოდა მისთვის შემოქმედებითი შთაგონების მიზეზი, ბიძგის მიმცემი ბოძაველ მუშაობაში, ასეთ შემთხვევაში ის გამომდინარეობდა ასეთი აქტიორების ხასიათიდან, შესაძლებლობიდან და ამისდამიხედვით აშენებდა თეატრის რეპერტუარს და წარმართავდა თეატრის მუშაობას. ბევრი მისი შესანიშნავი დაღვმა შთაგონებული იყო სწორედ დასში მყოფი რომელიმე ნიჭიერი აქტიორის ინდივიდუალური არტისტული თვისებებით. რა თქმა უნდა, ის დიდ სიხარულს განიცდიდა როდესაც მის თვალწინ იზრდებოდა ახალგაზრდა აქტიორი და დიდი სიყვარულითაც ეპყრობოდა მას, მაგრამ აქტიორი მასთან იზრდებოდა უშთაფრესად იმის გამო, რომ ის ყოველდღიურად ხედავდა ისეთი დიდი ხელოვანის მუშაობას, როგორც მარჯანიშვილი იყო, განიცდიდა მის ნაყოფიერ ზეგავლენას. მარჯანიშვილი მუშაობის დროს ხშირად ისეთ რამეს გააკეთებდა, რასაც ბევრი ნიჭიერი რეჟისორი მრავალი წლის დამაბული მუშაობითაც ძლივს აღწევს და რასაც შეეძლო უდიდესი შემოქმედებითი იმპულსი მიეცა მსახიობისათვის. მარჯანიშვილთან მუშაობა ანვითარებდა მსახიობის გემოვნებას, მის შემოქმედებით ფანტაზიას, ის ეჩვეოდა მარჯანიშვილისებურად ტექსტის დაუფლებას, მუსიკის და მხატვრობის გამოყენებას და, საერთოდ, ითვისებდა ბევრ მის დაღვებით თვისებებს. მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ ამას ყოველივეს მარჯანიშვილი კი არავის ასწავლიდა განსაკუთრებით, თუ როგორი გზით აღწევდა ამა თუ იმ თავის დაღვბობის სცენიურ ზეგავლენას, ვიმეორებ, არც ეცალა ამისათვის. ის აკეთებდა მხოლოდ, და კეთების დროს, რასაკვირველია, საინტერესო მოსაზრებასაც და

შეხედულებასაც ხშირად გამოსთქვამდა. ვისაც ჰქონდა ნიჭი და ნიჭიერი კვლეულიყო მის ნამუშევრებს, მარჯანიშვილი იქიდან რაც იყო საჭირო და ძვირფასი სცენისათვის, ასეთისათვის მარჯანიშვილთან მუშაობა ყოველთვის დაუფასებელი იყო. მარჯანიშვილს იშვიათი ალლო ჰქონდა ნიჭიერი ახალგაზრდობის აღმოჩენასა და შერჩევაში. არ ყოფილა შემთხვევა მისი პროგნოზი რომელიმე ახალგაზრდაზე არ გამართლებულიყოს. მე აქ აღარ შევხვები უკვე ყველასათვის ცნობილ ჩემი ამხანაგების გამოჩენას ან დაწინაურებას. მე მინდა რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებმაც ჩემს თვალწინ აიღვეს ფეხი სცენაზე. მაგალითად, ვ. გომიაშვილის პირველ ნახვისთანავე, მან აღნიშნა, რომ ის ნიჭიერი აქტიორი იქნებოდა და ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა. ეს იყო გამოცდაზე, როდესაც ვ. გომიაშვილი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, უფრო მოწაფეს ჰკავდა, ვიდრე აქტიორს, მაგრამ მარჯანიშვილის გამოცდილმა თვალმა უკვე მაშინ დაინახა ის გომიაშვილი, რომელსაც დღეს ხედავს ყველა ჩვენგანი. ასეთივე აზრი გამოსთქვა ს. ზაქარიაძეზე, როდესაც ის ნახა „პოპლაში“, სადაც ზაქარიაძეს სულ ერთი წინადადება ჰქონდა სათქმელი. მაგრამ ესც საკმარისი იყო მარჯანიშვილისათვის, რომ ზაქარიაძის მდიდარი შესაძლებლობანი შეემჩნია. ეს მისი პირველი შთაბეჭდილება ს. ზაქარიაძეზე მან დაადასტურა ორი წლის შემდეგ, კარლ შოპრის როლის მიცემით შილერის „ყაჩაღებში“.

კვანტალიანმა პირველ ნახვიდანვე მიიპყრო მარჯანიშვილის ყურადღება და პირველივე სეზონის დასაწყისში დააკისრა ისეთი დიდი და პასუხსაგები როლი, როგორიცაა დოფინი კარლოს VII. შოუს „წმინდა ქალწულში“. როდესაც თეატრში ახლადმოსულ ვ. შავ-

გულიძეზე მან სთქვა, რომ ის ნიჭიერი ახალგაზრდაა, ბევრი ორაზროვნად იღობებოდა, რადგან ეს მოსაზრება მის უცნაურობას მიაწერეს. მაგრამ, როგორც შემდეგში დავინახეთ, მისი მოსაზრება ბრწყინვალედ გამართლდა. ასეთივე შეხედულების იყო ის თავიდანვე ს. თაყაიშვილზე.

3. კობახიძე მხოლოდ მარჯანიშვილთან მუშაობის შემდეგ იწყებს სწრაფად წინსვლას და ერთერთი თვალსაჩინო აქტიორი ხდება ჩვენს სცენაზე. თუ მარჯანიშვილის მუშაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი თაობისათვის, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენ თაობასაც მარჯანიშვილისათვის, რომ არ ყოფილიყო ჩვენი თაობა, მარჯანიშვილი შეიძლება ვერ ჩაუყრიდა მტკიცე საფუძველს რუსთაველის თეატრს და ვერ დააარსებდა მისი სახელობის თეატრსაც. გარკვეული პერიოდის მანძილზე, ჩვენი თაობა არა მარტო მხატვრული ძალა იყო, გამტარებელი მარჯანიშვილის მხატვრული იდეების, არამედ ეს იყო მორგანიზებელი ძალაც, როგორც რუსთაველის, ისე მისი სახელობის თეატრში. ეს იყო ძალა, რომელიც ამტკიცებდა და აკავშირებდა თეატრის კოლექტივს და უქმნიდა ხელსაყრელ პირობებს მუშაობისათვის.

\*  
\* \*

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები თბილისში დღესასწაული იყო.

ყოველი სპექტაკლის დასასრული გადადიოდა ზემოში და დაუსრულებელი გამოძახილების შემდეგ მარჯანიშვილი და მისი თეატრის აქტიორები ხელში აყვანილი გამოჰყავდა ხალხს თეატრიდან. 1929 წლის გასტროლების დასასრულს, როდესაც უკანასკნელად დაიხურა ფარდა, მაყურებლით გაჰყვდილ საოპერო თეატრში 35 წუთი იდგა

ხალხი ფეხზე და გამონათხოვარი ოვაციებს უძარბოდა მარჯანიშვილსა და აქტიორებს. ეს ოვაციები მარჯანიშვილსა და მის თეატრსაც უბოდა ქუჩაშიც, საოპერო თეატრის წინ, მაგრამ, მიუხედავად თეატრის დიდი წარმატებისა, გავიდა კიდევ წელიწადნახევარი ამის შემდეგ, ვიდრე მარჯანიშვილი ეღირსებოდა თავის თეატრისათვის შენობის მიღებას. მარჯანიშვილმა თავის მუშაობის ამ პერიოდში ბევრი შეურაცხყოფა აიტანა და მან გამოიჩინა ხასიათის დიდი სიმტკიცე, რომ არ მიატოვა ქართული სცენა და არ გადავიდა სამუშაოდ რუსულ თეატრში. მას არაერთი წინადადება და მიწვევა მიუღია მოსკოვის თეატრებიდან, მე თითონ ვიყავი ერთხელ უშუალო მოწამე, როდესაც მცირე თეატრის წარმომადგენლები გამოჩენილი აქტიორები ს. კუზნეცოვი, მ. კლიმოვი და ს. გოლოვინი პირდებოდნენ მას ყოველგვარ პირობებს, თუ მარჯანიშვილი იმუშავებდა თეატრის მთავარ რეჟისორად. მაგრამ მარჯანიშვილმა მთელი საუბარი ხუმრობაში გადაიტანა და საბოლოოდ უარი განუცხადა მუდმივ მუშაობაზე და დაპირდა მხოლოდ ცალკე დადგმებს. მარჯანიშვილმა არ უღალატა 1922 წლის 25 ნოემბერს ნათქვამ თავის სიტყვას და სიკვდილამდე დარჩა ქართული თეატრის ერთგული.

მარჯანიშვილის თეატრს არ ჰქონდა ნორმალური პირობები მუშაობისათვის დღიდან მისი დაარსებისა, ვიდრე საქართველოს კომუნისტურ პარტიას სათავეში არ ჩაუდგა ამხანაგი ლავრენტი ბერია, რომელმაც მოსკო არაჯანსალი შეეხიბრება და დამოკიდებულება რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს შორის და ზოგიერთი პასუხისმგებელი პირების მიერ ერთი რომელიმე თეატრის მიმართ განსაკუთრებული მფარველობა. ამის შემდეგ ორივე თეატრები ჩაყენებული იქნა თანასწორ მდგომარეობაში და მათი ნა-

ყოფიერი მუშაობისათვის (შექმნილი იყო მანამდე არსებული პირობები.

XIV

საქართველოში, 10 წლის მანძილზე, მარჯანიშვილი იყო ნამდვილი ხელმძღვანელი და ტონისმიმცემი თეატრალური ხელოვნებისა. ადამიანი, იგი იყო დაჯილდოვებული შესანიშნავი ნიჭით, დიდი ვაჟანებით და მხატვრული აზროვნებით, მუდამ ახალის მაძიებელი, ახალი ნათელი ცხოვრების დამკვიდრებისათვის მეზობლი. მას ჰქონდა ბევრი კარგი თვისებები ნამდვილი და დიდი თეატრალური მოღვაწისა. იგი იყო უანგარო ადამიანი, მართალი გულის პატრონი და ჭეშმარიტი არტისტიული ბუნებით დაჯილდოვებული ხელოვანი. ადამიანი ფიცი და თავმოყვარე, მაგრამ მხატვრული შეფასების დროს სამართლიანი და არა მიეკრძაობით მოქმედი. ერთი სურვილი ამოძრავებდა მას: თეატრის უანგარო სიყვარული. ეს სიყვარული ფლობდა მის გონებასა და გრძნობას, წარმართავდა მის ცხოვრებას, განსაზღვრავდა მის მიზანდასახულობასა და მისწრაფებას. მას გააჩნდა უნარი თეატრისადმი ეს დიდი სიყვარული შთაენერგა სხვენის გულშიაც. შემოქმედებითი ცეცხლით აენთო. თავისი თანამოაზრენი, გაემსჯვალა ისინი საერთო აზრითა და გრძნობით და შეეკრა ერთის ნებით გაერთიანებულ კოლექტივად. მას უყვარდა არა მარტო ქართული თეატრი, არამედ, საერთოდ, თეატრი და თავის მუშაობას არასოდეს არ საზღვრავდა მარტო ქართული თეატრის ფარგლებით.

მიუხედავად იმისა, რომ ის დიდხანს იყო მოშორებული საქართველოს, ის ჩვენში ჰქმნიდა თეატრს თავისი ეროვნული ტემპერამენტით, თავისი ეროვნული რიტმით, ეროვნული ეესტით და ექსპრესიით. მის მიერ შექ-

მნილი თეატრი არ შეიძლება დაწარითული არ ყოფილიყო, რადგან მასში, როგორც ხელოვნებაშიც, იყო ქართველი ადამიანის თვისებები და მისი შემოქმედებაც ამის მშვენიერი ანარეკლი იყო. ის შესანიშნავად გრძნობდა ყოველივე ქართულს, გრძნობდა, მაგრამ ცოდნა ჩვენი ქვეყნის სინამდვილის მას მაინც აკლდა; ამ ნაკლს რამდენიმედ ავსებდა მისი მდიდარი ინტუიცია, მისი ალღო, რომლის შემწეობითაც ის ხშირად გასაოცარის სიმართლით გამოავლენდაროშვლინვე ქართული ნაწარმოების და მისი მოქმედი პირების შინაგან ბუნებას და ხასიათებს. მაგრამ მისი უმთავრესი და დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან მოიტანა ჩვენს სცენაზე მოწინავე თეატრალური კულტურა და ტექნიკა, რაც განსაკუთრებით ესაკიროვებოდა ჩვენს თეატრს. მან საცხები გადაახალისა და გარდაქმნა ჩვენი თეატრის მუშაობა, აამალა მისი მნიშვნელობა და ხედვითი წონა და დააყენა თანამედროვე მოწინავე თეატრის რიგებში. აღმოფხვრა ქართულ თეატრში შემორჩენილი სცენისმოყვარული ჩვევები, შეკრა მტკიცე ორგანიზაციულ ერთეულად და განამტკიცა მასში წმინდა პროფესიული თეატრის მუშაობის სისტემა. რასაკვირველია, მარჯანიშვილს არააზობიდან არ დაუწყია ჩვენში თეატრის შექმნა. მამინდელ რუსთაველის თეატრში თავმოყრილი იყო როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ყველა სასიცოცხლო ძალა. მუშაობდნენ ქართული სცენის საუკეთესო რეჟისორები: კ. ანდრონიკაშვილი, ა. ფაღავა, მ. ქორელი, ალ. წულუნაძე. მაგრამ, მიუხედავად მათ მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი მუშაობისა, მარჯანიშვილის მოსვლის წინ რუსთაველის თეატრი მაინც გამოუვალ ჩიხში იყო მომწყვდეული. ამის უმთავრესი მიზეზები, მე მგონია, მისი რეპერტუარი და მოქმედებული თეატრალური

ფორმები იყო. მარჯანიშვილის პირველივე სპექტაკლის შემდეგ თეატრმა საესკებით იცვალა ფერი. იგი ძველ თანამედროვე მოწინავე თეატრად და მარჯანიშვილის მოღვაწეობის უდიდესი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, როგორც ზემოთ მოვიხსენაე, რომ მას მთელი ათი წლის მანძილზე ჩვენი თეატრი მიჰყავდა თანამედროვე მოწინავე თეატრალური კულტურის განვითარების გზით. როდესაც მისი ხელმძღვანელობით ქართული თეატრი, მთელი მისი არსებობის ისტორიაში, პირველად გასცდა საქართველოს საზღვრებს და საგასტროლოდ ეწვია რუსეთსა და უკრაინას, ქართულმა თეატრმა გააკვირვა, მოსკოვისა და ხარკოვის მაყურებელი, როგორც თავისი ეროვნული თავისებურებით, აგრეთვე თანამედროვე, თეატრალური კულტურითა და ტექნიკით და არა კაცია-სიური ევზოტიკით, რასაც მარჯანიშვილი ყოველთვის ღვენიდა ქართულ თეატრიდან. არ დაწვრილა არცერთი რეცენზია თუ წერილი, რომ თეატრის ეს მხარე არ აღენიშნათ.

მარჯანიშვილმა ისეთი საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ქართულ თეატრს, რომ იგი გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ და ჩადგა საბჭოთა მოწინავე თეატრების პირველ რიგებში.

ერთი გარემოება უშლიდა ხელს მარჯანიშვილს, რომ მის მიერ შექმნილი ქართული თეატრი ყოფილიყო უფრო სრულყოფილი, — ქართული დრამატურგიის სისუსტე. ქართულმა საბჭოთა თეატრმა თავის შესაძლებლობით ბევრად გაუსწრო ქართულ დრამატურგიას. მართებული კი არის, რომ დრამატურგია იყვეს უფრო მოწინავე და ბიძგისმიმცემი თეატრისათვის. ხშირად ხდება ურთიერთ ზეგავლენაც, მაგრამ, როდესაც დრამატურგია საერთოობლად ჩამორჩება თეატრს, ეს უკვე აფერხებს თეატრალური ხელოვნების განვითარებას. რამდენიმე მნიშვნე-

ნელოვანი ნაწარმოები, რომელთა დაწერა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ან საერთაშორისო დრამატურგიის დრამატურგიის, ან იყო საკმარისი მასალა, რათა საბჭოთა ქართულ თეატრს მათი საშუალებით გაეშალა თავისი გავრდილი და მდიდარი შესაძლებლობანი. ამიტომ მარჯანიშვილი ხშირად იძულებული იყო მიემართა მსოფლიო დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებისათვის. ეს საჭირო იყო როგორც თეატრის, აგრეთვე აქტიორთა მოზარდი თაობის წინსვლისა და განვითარებისათვის. ამ შემთხვევაშიც მარჯანიშვილმა, შეიძლება, ნახტომი გააკეთა, რადგან თეატრი უნდა გაიზარდოს, უპირველეს ყოვლისა, თავის ეროვნულ დრამატურგიაზე, სადაც თეატრს შეუძლია უფრო ფართოდ და ღრმად გამოავლინოს თავისი საუკეთესო თვისებები და ფორმისა და შინაარსის ბუნებრივი და პარამოიული სინთეზის ნიადაგზე მიიღოს სრულიად ორიგინალური და დამოუკიდებელი სახე. არც მარჯანიშვილს და არც თეატრს არ შეეძლო დალოდებოდა, როდის გამოჩნდებოდა ქართულ დრამატურგიაში მნიშვნელოვანი და დიდი თანამედროვე ნაწარმოები. მხოლოდ იმას, რაც იწერებოდა, მარჯანიშვილი ყოველთვის ფართოდ უღებდა თეატრის კარებს და ცდილობდა ყოველნაირად, რითაც კი შეეძლო, დახმარებოდა ჩვენს ახალგაზრდა დრამატურგებს და ამით ხელი შეეწყო ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებისათვის. დამახასიათებელია ამის მაგალითისათვის ერთი პატარა ეპიზოდის გახსენება: 1925 წელს, როდესაც რუსთაველის თეატრში პ. კაკაბაძემ, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა დრამატურგმა, გააცნო მარჯანიშვილს თავის პიესის „ლისა-ბონის ტუსაღების“ ერთი თუ ორი მოქმედება, მარჯანიშვილი არა მარტო რჩევა-დარიგებით დაეხმარა მას, არამედ თავის კაბინეტში დაუთმო მულ-

მივ სამუშაოდ და განკარგულება ვას-  
ცა ყოველგვარი შემწეობა აღ-  
მოვიჩინათ მისთვის. ეს ერთეული  
შემთხვევა როდი ყოფილა მარჯა-  
ნიშვილის მოღვაწეობაში. მარჯანი-  
შვილი მტკიცედ იდგა ყოველთვის იმ  
მოსაზრებაზე, რომ თეატრს უშუალო  
და ახლო კავშირი უნდა ჰქონდეს დრამატურგებთან და მათგან უნდა იკ-  
რებდეს თავის ვარშემო მხატვრულად  
ახლომდგომსა და შესაფერის მწერ-  
ლებს. მარჯანიშვილის მოღვაწეობა  
მრავალფეროვანი იყო. არ დარჩენილა  
ჩვენში ხელოვნების არცერთი დარგი,  
რომ მარჯანიშვილს მის მუშაობაში  
წონაწილეობა არ მიეღოს. მან მნიშვნე-  
ლოვანი წვლილი შეიტანა საოპერო  
ხელოვნების განვითარებაში. ორი წე-  
ლიწადი მოახმარა საქართველოს კინო-  
მატოგრაფიას და თუ კინო-ხელოვნებას  
დღეი კვალი ვერ დააჩნია, სა-  
მაგიეროდ, კინოში ჩატარებული მუ-  
შაობა ბევრ რამეში გამოიყენა თეატრ-  
ში. ხელოვნების დარგებს შორის თე-  
ატრი ყველაზე ძლიერია თავის ზეგავ-  
ლენით, ვინაიდან შემოქმედებისა და  
მისი შემოქმედების პროცესი ერთ-  
დროულად ხდება. აქტიორი აღძრავს  
თუ არა მაყურებელში სათანადო ემო-  
ციებს, მყისვეღებულბს მაყურებლის  
საპასუხო გრძნობათა ტალღას. მისი  
შემოქმედების ეს უკუქცეული გამო-  
ძახილი უკვე თითონ მასზე, აქტიორ-  
ზედაც, გავლენას ახდენს. ასე არიან  
შემოქმედი და მაყურებელი უშუალოდ  
დაკავშირებული. მათ შორის უხილავი  
ძაფებია გაბმული, რომელთა საშუა-  
ლებით გრძნობათა უწყვეტი ნაკადი  
მოედინება ორივე მხრით. ეს უპირა-  
ტესობა ხელოვნების დარგებს შორის  
მხოლოდ თეატრს გააჩნია, რაც მას უკ-  
ვდავად ხდის. მაგრამ, სამაგიეროდ,  
სასცენო შემოქმედება ხანმოკლეა. ხე-  
ლოვნების ყველა დარგს, გარდა თეატ-

რისა, რჩება შემოქმედების არასახელი  
დოკუმენტი. თეატრში კარგად მომუშაო-  
ხურვასთან ერთად თქვენს შემოქმედ-  
რის თუ აქტიორის შემოქმედებაც.  
ვერც ეკრანი და ვერც მაგნიტოფონი  
ვერ აღბეჭდავს და ვერ გვაგრძნობი-  
ნებს სავსებით იმას, რასაც შემოქმე-  
დების უშუალო მოწამე განიცდის.  
ამის გამო ძნელია სიტყვით გადმოცე-  
მა იმ შთაბეჭდილებებისა, რომელსაც თა-  
ვის დროზე ახდენდნენ მარჯანიშვი-  
ლის საუკეთესო სპექტაკლები, ან იმ  
გრძნობებისა, რასაც განვიცდიდით  
მისი მუშაობის უშუალო მოწმენი. ის  
რამდენიმე სპექტაკლი, რომელიც  
დღემდე შემორჩენილია მისი სახელო-  
ბის თეატრის რეპერტუარში, რასაც  
ვირეულია, ვერ მოგვცემს სრულ წარ-  
მოდგენას მის მდიდარ რეჟისორულ  
ნიჭზე. ეს სპექტაკლები დღეს მხოლოდ  
ძველ ციხე-კოშკებს მოგვაგონებენ,  
რომელთაც დროთა ვითარების გამო  
ზოგს ხავსი მოჰკიდებია, ზოგის მშვე-  
ნიერი ჩუქურთმა ჩამოშლილა და კე-  
დელზე დარჩენილი ფრესკაც რომე-  
ლ მე „კეთილისმსურველს“ ხელახლა  
შეუღვსია ან შეუთეთრებია და მეო-  
მარნიც უკვე ბევრნი ისინი აღარ არიან,  
რომელნიც ოდესღაც იცავდნენ მათ  
ღირსებას. მაგრამ მათი ნანგრევების  
სიდიადე დღესაც კი გვიტაცებს და  
ამელავნებს მნიშვნელობის დიდ ოსტა-  
ტობას და მდიდარ შემოქმედებით ფან-  
ტაზიას.

მარჯანიშვილმა მდიდარი შემკვიდ-  
რეობა დაუტოვა ქართულ საბჭოთა  
თეატრს, კერძოდ, ჩვენს თაობას და  
ყველა იმათ, ვინც მასთან მუშაობდნენ.  
თუ როგორ გამოვიყენეთ ეს შემკვიდ-  
რეობა, რა მიუღმატეთ მას და როგორ  
წავმართეთ ქართული თეატრის ბედი  
მის შემდეგ, ამას განსჯის მომავალი  
თაობა, რომელიც ჩვენს შემდეგ მოვი-  
თეატრში.



## ლიგარაგურის ისტორიის გაყალბებისა და ანტი- პაგრიოგიზმის წინააღმდეგ

★

ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უფართოესი ასპარეზი გაუხსნა საბჭოთა კავშირის ხალხთა შემოქმედებითს ძალებს. დიდი ოქტომბრის შემდეგ ფეხზე წამომდგარმა, წელში გამართულმა საბჭოთა ხალხებმა შექმნეს ახალი, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, რომელიც განუზომლად მაღლა დგას გახრწნილ ბურჟუაზიულ კულტურაზე.

ჩვენი კულტურის ამ უპირატესობას ნათლად ხედავს მთელი მოწინავე კაცობრიობა, რომელიც სოციალიზმის ქვეყანას შესცქერის, როგორც კაცობრიობის მომავლის განსაზღვრებას.

და არა მარტო კულტურის სფეროში გამომედიანდა საბჭოთა ქვეყნის პრიორიტეტი ბურჟუაზიული სამყაროს წინაშე. განელილმა წლებმა ნათლად დამტკიცეს, რომ საბჭოთა სახელმწიფომ, საბჭოთა ხალხმა ფასდაუღებელი ამაგი დასდეს მთელ მსოფლიოს. საბჭოთა ხალხმა იხსნა მთელი კაცობრიობა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საშინელი უღლისაგან. ფეხქვეშ გათელვისა და განადგურებისაგან. მეორე მსოფლიო ომში, რომელიც საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით დამთავრდა, გამომედიანდა ჩვენი სამშობლოს ყოველმხრივი უპირატესობა, აშკარა გახდა საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების, საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების, საბჭოთა ეკონომიკის, საბჭოთა მეცნიერების, საბჭოთა ტექნიკის, საბჭოთა არმიის, საბჭოთა სტალინური სტრატეგიისა და ტაქტიკის, მთელი საბჭოთა კულტურის, მთელი საბჭოთა იდეოლოგიისა და მორალის ყოველმხრივი უპირატესობა კაპიტალისტური ევროპისა და ამერიკის წინაშე.

აი ეს არის საბჭოთა მოქალაქის ნაციონალური სიამაყის საფუძველი. საბჭოთა მოქალაქე ამყოფს თავისი ქვეყნის დიადი აწმყოთი, ამყოფს იპით, რომ გუთუნის იმ ხალხს, რომელმაც ისტორიაში პირველად ააშენა სოციალისტური საზოგადოება. საბჭოთა მოქალაქის პატრიოტიზმი წმინდა და უმწიკვლოა; მას უყვარს თავისი დიდებული ქვეყნის აწმყო და წარსული. უყვარს ყველაფერი, რაც ხალხის უძლეველ ხელსა და ნათელ გონებას შეუქმნია.

სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ „პრავდისა“ და „კულტურა ი ეიზნის“ სარედაქციო სტატიებს, როცა მათ თავიანთ ფურცლებზე ნიღაბი ჩამოგლიჯეს უგვარტომო ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტებს, საბჭოთა კულტურის შენიღბულ მტრებს, რომლებიც წლების განმავლობაში წამლავდნენ ატმოსფეროს.

შეურიგებელი ბოლშევიკური პირდაპირობით უნდა ვამხილოთ ისინი, ვინც უპატივევმლოდ ეპყრობა ჩვენი ხალხის წარსულს, აყალბებს ჩვენი ლიტერატუ-



რის ისტორიას. ასეთი მაგალითები კი ქართული ლიტერატურის, ისტორიის, მეცნიერებისა და სალიტერატურო კრიტიკის დარგში არც მსგავსებულს გვხვდება. ამ მანერ ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ უმეტესწილად გაზეთი „პრავედა“, როცა თავის მოწინავე წერილში 1948 წლის 28 დეკემბერს აღნიშნავდა:

„ბურჟუაზიული მეცნიერება, რომელიც შეურაცხყოფდა და ახშობდა შუა აზრისა და კავკასიის ხალხთა ეროვნულ ღირსებას, უარყოფდა, რომ ამ ხალხებს შეიძლება ჰქონდეთ თავისთავადი კულტურა და ლიტერატურა, თვლიდა მათ „არასრულფასოვან“ ხალხებად, რომლებსაც „არ შესწევთ უნარი“ დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედებისა. ამ ხალხების ლიტერატურულ სიმდიდრეს ბურჟუაზიული მეცნიერები უცხოელი იმპერიალისტების საამებლად მოტყუებით ასაღებდნენ უცხოურ—არაბულ, სპარსულ, თურქულ (ოსმალურ) ლიტერატურათა დანამატად“.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქართველი მკვლევარისა და ისტორიკოსის ნაშრომი წყალს უშვებს სწორედ ამ ბურჟუაზიული მეცნიერების წისქვილს, როცა კავკასიის ხალხთა, კერძოდ ქართულ ლიტერატურას არაბულ, სპარსულ და თურქულ ლიტერატურათა უბრალო დანამატად აცხადებს. ეს ყალბი, მანერ ბურჟუაზიული თეორია, რომელიც შეურაცხყოფს საბჭოთა პატრიოტის წმინდათა წმინდა გრძნობას, ბოლომდე უნდა გავანადგუროთ. გაზეთ „პრავედისა“ და „კულტურა ი ჟიზნის“ სარედაქციო წერილებთან დაკავშირებით საქართველოში მოწვეულ მთელ რიგ კრებებზე, თათბირებზე, მწერალთა კავშირის გამგეობის ბლენუმზე, პრესაში გამოქვეყნებულ და გავრცელებულ ექნა ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარის შეცდომები და ყალბი შეხედულებანი. ზოგმა აღიარა ეს შეცდომები და შეუდგა მათ გამოსწორებას, მაგრამ ზოგი კვლავ განაგრძობს დღემის, და, მამასადამე, როგორც ჩანს, ძველ პოზიციებზე რჩება. ამიტომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა მზის სინათლეზე გამოვიტანოთ ცალკეულ მკვლევართა ეს შეცდომები და დამახინჯებანი, დავემოთ ისინი და ამით თავიდან ავიცილოთ ის მანერ გავლენა, რასაც ამ მკვლევართა ნაშრომები ახდენენ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდაზე.

მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი ქართული კულტურისადმი უპატივეცემლო დამოკიდებულებას თავისი ისტორია აქვს. დაწყებული ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში გვხვდება ყალბი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული შეხედულებანი, რომლებიც ქართული კულტურის განმსაზღვრელად ხან ფეოდალურ აღმოსავლეთს, ხან ბურჟუაზიულ დასავლეთს აცხადებენ. ამ მანერ შეხედულებებს დღემდე აქვს გასავალი მკვლევართა ერთ ნაწილში.

აღმამოთებელია, რომ ცალკეული მკვლევარები თავგამოდებით ეძებენ საბაბს როგორმე დაამტკიცონ, რომ ქართველი ერის სიამაყე—უცვლადი „ვეფხისტყაოსანი“ თითქოს არ იყოს ორიგინალური ნაწარმოები. ქვეყანაზე არ მოიპოვება ხალხი, რომელიც ბრეტენზიას აცხადებდეს ამ უკვდავ ნაწარმოებზე. თვით ირანელებისთვისაც ნათელია ამ მსოფლიო შედეგის ქართულობა. მაგრამ ჩვენში მოიპოვებიან ერთეული განსწავლულები, რომლებსაც თავი მოაქვთ ეროვნული სიამაყით აღსავსე ადამიანებად და ამავე დროს წელზე შეხსიდგამენ. რათა „დაამტკიცონ“ „ვეფხისტყაოსნის“ არაქართული წარმოშობა. ამით, ცხადია, ისინი ამტკიცებენ არა რუსთაველის გენიალური პოემის არაქართულ წარმოშობას, არამედ საკუთარ სიბეცესა და სიბრმავეს.

ქართული კულტურის და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ დამამკიცრებელმა შეხედულებებმა მეტად მახინჯი სახე მიიღო პროფესორ იუსტინე აბულაძის შრომებში. „ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემის წინასიტყვაობაში აბულაძე წერდა:

„ჩვენი ერი თავისი ისტორიის დასაბამითვე ცნობილია როგორც სხვების ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფი ეროვნება, რომელიც მთელს თავის ისტორიულ მსვლელობაში ძლიერ ცოტა დამოუკიდებლობას იჩენს, მეტადრე თუ გავეთვალისწინებთ მის გონებრივ მოღვაწეობას. ეს თვისება ნამდვილად უბედურება როდია. მსოფლიო კანონია, რომ ერთი ეროვნება მეორის გავლენის ქვეშ იმყოფება, ურთიერთის შეხეტქების და დამოზილების საშუალებით იცვლის იდეებსაც და კულტურულ ტრადიციებსაც... ქართველმა ერმა შეიტკბო და შეიყვინა სპარსთა სამიჯნურო და საღვევმირო ამბები“ (იხ. გვ. XXV—XXVI).

ეს არის საზიზღარი ცილისწამება ქართველ ხალხზე, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და კულტურაზე. მოყვანილი ციტატი მარტო მკვლევარის ანტიკატრიოტიკაში როდი ამღვანებს, არამედ მის სიბედვესაც ადასტურებს. პროფესორი ი. აბულაძე ვერ ხედავს შესანიშნავ ქართულ ნაციონალურ კულტურას, რომელიც შექმნა ქართველმა ხალხმა და მრავალი საუკუნის ქარცეცხლსა და აოხრებას გადაარჩინა.

პროფესორი ი. აბულაძე ათეული წლების მანძილზე თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ორიგინალური ქართული ქმნილება. ის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წერს: „თავიდან ბოლომდე წმინდა მაჰმადიანური მოძღვრების სულით და აზროვნებით არის გამსჭვალული“. 1935 წელს იგი ამბობდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია „წმინდა არაბულ-მუსულმანური სამყარო თავისი კულტით, ზნე-ჩვეულებით“, რომ მთავარი გმირი—„ყურანის აღმსარებელია“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების მესამე ტომში ი. აბულაძემ მოათავსა წერილი, რომელშიც აცხადებს, რომ ტარიელი და ავთანდილი სპარსული სახელებია. მაგრამ დაბეთ მის უბედურებას—ეს სახელები სპარსულში არ გვხვდება. მაშინ მკვლევარი იღებს სხვადასხვა სპარსულ სიტყვებს „ხაფთანს“ და „დილს“ და ამბობს—რუსთაველმა ეს ორი სიტყვა შეაერთა და ავთანდილი ასე მიიღო. მთელი ეს ეტიმოლოგიურ-ფილოლოგიური ჩხრკედლეობა იმდენად უსუსურია, რომ იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მკვლევარის აზრით, ასევე ირანული სახელი ყოფილა ტარიელიც, თუმცა არც ტარიელი ჰქვია ვისმეს ირანში. ასე ნაძალადევად და ხელოვნურად ახვევს თავს „ვეფხისტყაოსანს“ ი. აბულაძე სპარსული კულტურის გავლენას.

პროფესორ შ. ნუცუბიძის ვრცელი ნაშრომი „რუსთაველი და ქართული რენესანსი“ (რუსულ ენაზე), რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა, მიზნად ისახავს დაამტკიცოს, თითქმის ქართული კულტურა და კერძოდ „ვეფხისტყაოსანი“ იყო პროდუქტი აღმოსავლეთ ქვეყნებში ოდესღაც არსებული მისტიკურ-ერეტკული მოძღვრებებისა. ის წერს: „ქართული რენესანსი, როგორც აღმოსავლური რენესანსის ორგანული ნაწილი, უწინარეს ყოვლისა დაკავშირებული იყო აღმოსავლეთის ლიტერატურასთან“ (იხ. დასახელებული შრომა, გვ. 253). ეს თეორია საესებით ანტიმეცნიერულია. ქართული კულტურის აღორძინების, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ სათავეები უნდა ვეძებოთ არა აზიის უძველეს მისტიკურ რეაქციულ მოძღვრებებში, არამედ თვით ქართველი ხალხის წიაღში. პროფესორი ნუცუბიძე ეყრდნობა მოძღვრებას კულტურის არა ორგანულ წარმოშობაზე, არამედ მის გადაარგვაზე. ამ მხრივ იგი საესებით

იზიარებს ა. ვესელოვსკის ანტიმარქსისტულ მოძღვრებას. ამას ნუცუბიძე არც ფარავს. თავის წიგნში იგი ლაპარაკობს რენესანსის გადანერგვაზე *ეროვნულად იტალიაში* და წერს: „ეს პროცესი, რომელიც შეიძლება საესებით *ეროვნულად* ჩავთვალოთ გამოჩენილი ლიტერატურათმცოდნის ა. ვესელოვსკის შრომების შემდეგ, მიდიოდა სწორედ იმ გზით, რა გზითაც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შეჭრილი ერესი“ (იხ. დასახელებული შრომა, გვ. 48).

პროფესორი ნუცუბიძე არსებითად იზიარებს ვესელოვსკის ბურჟუაზიულ თეორიას, რომელიც საესებით ყალბ ახსნას აძლევს ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პროცესს.

ველურ თურქეთის იმპერიას, ბნელეთის ფანატიკურ მოციქულს არავითარი საკეთილო გავლენა ქართული კულტურის აღორძინებაზე არ მოუხდენია და ვერც მოახდენდა. მაგრამ ასე როდი ფიქრობს საქართველოს სსრ მეცნერებთან აკადემიის ნამდვილი წევრი კორნელი კეკელიძე. იგი წერს:

„...XVI საუკუნის დამდეგიდან საქართველო, ყოველ შემთხვევაში მისი დასავლეთი ნაწილი, ექცევა ოსმალეთის გავლენის უშუალო ზონაში; ამას კი დიდი მნიშვნელობა აქონდა ქართული ლიტერატურის აღორძინებისათვის... XVI საუკუნიდან ოსმალური ლიტერატურა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართული მწერლობის აღორძინებისა“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941, ტ. II, გვ. 24).

სინამდვილეში „ოსმალეთის გავლენის უშუალო ზონაში მოქცევა“ აღორძინებას კი არ მოასწავებდა, არამედ აობრებდასა და გაპარტახებდას. არა მარტო საქართველოს, არამედ ბიზანტიის, სომხეთის, ბულგარეთის დ სხვა ქვეყნების ისტორია გვიჩვენებს, რომ, სადაც კი თურქეთს თავისი მსახერგელი ხელი მიუწვდებოდა, სადაც მისი გავლენის უშუალო ზონა მყარდებოდა, იქ ისობოდა არა მარტო კულტურა, ხანძარში იფერფლებოდა ტაძრები და ხელნაწერები, არამედ ხალხიც გადაგვარებისა და ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დგებოდა. და თუ საქართველო გადაურჩა ამ განადგურებას, ეს იმის მეოხებით მოხდა, რომ იგი არ დაემორჩილა ამ ველურ ურდოებს, არ მისცა მათ შესაძლებლობა დამკვიდრებულიყვნენ ჩვენს მიწა-წყალზე და განუხრელად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის. განა შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ ლაპარაკი თურქეთის კულტურულ მისიაზე, თურქულ ლიტერატურაზე, როგორც ქართული მწერლობის ამაღორძინებელ ფაქტორზე? რატომ არ ასახელებს კ. კეკელიძე, სახელდობრ რომელმა თურქულმა ლიტერატურულმა ნაწარმოებმა მოახდინა რაიმე გავლენა რომელიმე ქართულ ლიტერატურულ ძეგლზე? ცხადია, ის ამას ვერ დაასახელებს, რადგან ასეთი რამ სინამდვილეში არ არსებობს.

კ. კეკელიძე ამტკიცებს, რომ „დასავლური ბიზანტიზმი და მაჰმადიანური ორიენტალიზმი წარმოადგენდნენ კლასიკური პერიოდის თავისებური ქართული კულტურის ორ მაგისტრალს, რომელთაც განსაზღვრეს ხასიათი ამ კულტურისა და კერძოდ ლიტერატურისა“ (იქვე, გვ. 13).

ნუთუ ქართული კულტურის მაგისტრალური გზები მართლა ასკეტური ბიზანტიზმი და ბნელი ფანატიკური ისლამი იყო? მაშ რატომღა ეწოდება მას ქართული კულტურა?

კ. კეკელიძე არასწორად განმარტავს ქართული საერო ლიტერატურის წარმოშობის საკითხს; მისი აზრით, ქართული საერო ლიტერატურის მარცვალი რომ გაღივებულყო. „საქირო იყო კიდევ სიბოო ცხოველყოფელი მზის შექისა. ასეთ შექად უნდა მიჩნეულ იქნას, ამ შემთხვევაში, ახალი სპარსული ლი-

ტერატურის გავლენა. ამ გავლენის გარეშე ჩვენში ვერ შეიქმნებოდა ის „სერო მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ისტორიულად ვიცით“ (იქვე, გვ. 177). რატომ უნდა მივიჩნიოთ ირანის კულტურა მზედ, იმ ბრწყინვალე მხატვრულ რომლის სხივებმა ქართული კულტურა აღმოაცენეს, რაში გვეპირდება ეს მონური ქედის მოხრა, ეს თავის დამცირება ჩვენ, შვილებს იმ ხალხისას, რომელმაც წარმოშვა შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ზოგიერთი ჩვენი მეცნიერის უბედურება ის არის, რომ ისინი გართული არიან ტექსტების ფილოლოგიური ანალიზით, ჩაპკირიტებენ ცალკეულ სიტყვებს, სახელებს, ასოებს და კარგავენ უნარს დაინახონ მთავარი, ძირითადი, განმსაზღვრელი — ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენია. ისინი ვერ ამჩნევენ რაოდენ ძლიერი, რაოდენ ნათელია ქართველი ხალხის გონება და შემოქმედებითი უნარი, რაოდენ მტკიცეა მისი ნებისყოფა, მისი პატრიოტიზმი. რუსთაველის იუბილეს დღეებში გაზეთი „პრავდა“ აღნიშნავდა, რომ „ნესტან დარეჯანი ძლიერი და თავისუფალი ქალია... რომელსაც ტოლი არა ჰყავს თავის თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში. ასეთი სახე შეიძლება აღმოცენებულიყო მხოლოდ იმ ხალხში, რომელმაც იცის თავისუფლების ფასი, რომელმაც წარმოშვა ძლიერი და გაზედული, მამაკაცთან თანასწორუფლებიანი ქალები“. აი სად უნდა ვეძებოთ რუსთაველის ორიგინალობა, მისი გენიალობის საიდუმლოება.

მართლაც, განა შეიძლება ნესტან დარეჯანის სახე შექმნილიყო ირანში ან ოფრქეთში, სადაც ქალი ყველაზე მეტად დამონებულია, სადაც იგი მხოლოდ სათამაშო ნივთი და პარამხანების სამკაულია? პარამხანების გამხრწნელი და მოშხამული ატმოსფერო ყველა შესაძლებლობას სობდა მუსულმანურ ქვეყნებში წარმოშობილიყო ისეთი მაღალი შეგნების, სულიერი სიძლიერისა და სისპეტაკის ქალები, როგორც არიან ნესტან დარეჯანი, თინათინი, ასმათი. იმ დროის სპარსულ ლიტერატურას არც მოუცია „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალების რაიმე მსგავსი სახე. სპარსულმა მოშაქრულმა სატრფიალო ლირიკამ თავის იდეალად აქცია უნებისყოფო, თავისა აღამიანური ღირსებებისა და უფლებებისათვის ბრძოლის უნარს მოკლებული, მამაკაცის ყურმოჭრილი მონა-ქალები. მაშ როგორ შეიძლება ასეთი ლიტერატურა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ აღმოცენების წყარო?

აი რატომ არის შემცდარი კეკელიძის ზოგიერთი ლიტერატურული კვლევა, როცა ის რუსთაველს ხან ნიზამის, ხან ფირდოუსის, ხან ინსორის, ხან ფაზლუდინ გურგანის და ხან კიდევ ვინ იცის ვის მიმბაძველად აცხადებს.

აი კეკელიძის დასკვნა „ვეფხისტყაოსანზე“: „...თუ მას შეგვიძლია სპარსული ეტწოდოთ, იმდენად, რამდენადაც ზოგიერთი აგური მისი მხატვრული კვლევებისა დამზადებულია სპარსული თიხისაგან, რამდენადაც ის დაწერილია სპარსული სამიჯნურო-სატრფიალო რომანის ყაიდაზე და რამდენადაც ის მატარებელია სპარსული ლიტერატურული ტრადიციებისა“ (იქვე, გვ. 178).

განა შეიძლება ჩვენი ხალხის სიამაყე, ქართული კულტურის უძვირფასესი განძი, — „ვეფხისტყაოსანი“ ასე ერთ კალმის მოსმით, უსაბუთოდ გადაეულოცოთ უცხო ხალხს? ქართული გენიის ამ დიდ ქმნილებას, ამ უკვდავ პოემას რატომ უნდა დაეწამოთ ცილი, თითქოს ის „მატარებელია სპარსული ლიტერატურული ტრადიციებისა“ და „დაწერილია სპარსული სამიჯნურო რომანების ყაიდაზე“? ასეთ ნაციონალურ ნიბილიზმს ებრძოდა აგრ კიდევ ილია ჭავჭავაძე, როცა თავის წერილების სერიაში „აი ისტორია“ წერდა:

„გაკვირებულმა ნარ-დონმა განა მარტო ისა თქვა რუსთაველზე, რომ ჩვენი პოემის ამბავი მოჰპარა სპარსელებსა, ან იმათგან გადმოიღო, და აღიქვა, თქვა განა რითიმე დასაბუთა, განა რაიმე ხელთ მოგვეცა ამისათვის, რომ ვთქვათ რომ სპარსელების ამბებსაც საგნად სიყვარული აქვთ და ვეფხისტყაოსანსაცათ. ეგ ხომ იმასა ჰგავს კაცმა თქვას, ივანე პეტრესა ჰგავს მარტო იმიტომ, რომ ერთსაც ცხვირი აქვს და მეორესაცათ“ (იხ. ი. ჰავეჩავაძე—ნაწერების სრული კრებული, ტ. V, 1927 წ. გვ. 195).

ილიას ეს ბრძნული სიტყვები ნათელს ხდის კ. ქაველიძის, ი. აბულაძის, შ. ნუცუბიძის და ყველა იმ მკვლევართა საქმიანობის უნაყოფობასა და მცდარობას, რომლებიც პარალელების და გავლენების ძიებით არიან გართული. ასეთ მკვლევართა რიცხვს ეკუთვნის დ. კობიძეც. თავის შრომაში „სპარსული ლიტერატურა“, ლაპარაკობს რა მე-15 და მე-16 საუკუნეების შესახებ, ის წერს:

„ბუნებრივია, რომ ამ დროს ქართველობა, რომელიც შემოსეული მტრებს (ერთის მხრივ ირანელებისა და მეორეს მხრივ თურქების) წინააღმდეგ ბრძოლაში ხშირად სასწაულებს ახდენდა, სულიერ საზრდოს საგმირო ნაწარმოებებში მოთხოვნილ ამბებში ხედავდა, ამბებში, რომლებიც თავის მხრივ გმირობისათვის — სამშობლოს დასაცავად ეძებდა ქართველ მამულიშვილებს. ამ გარემოებას არ შეეძლო ერთგვარი ბიძგი არ მიეცა ჩვენი წინაპრებისათვის, არ აღძრა მათი ინტერესი საგმირო თხზულებებისადმი და მათ შორის შეფეთა წიგნისადმი... ქართველი ხალხის დიდ ბუნებას, მის კეთილშობილ გრძნობებსა და საკაცობრიო კულტურის ღრმა სიყვარულს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მას მუდამ ჰქონდა პატივისცემა და სიყვარული ხშირად მისი ამოხრებლების—ირანელების დიდი პოეზიისადმი“.

განა ეს წარყვნა და წაბილწვა არ არის ჩვენი წინაპრების ხსოვნისა, რომლებიც სამეცდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდნენ ირანელი და ყველა სხვა სახის დამპყრობთა და ამოხრებელთა წინააღმდეგ? რა საფუძველი აქვს კობიძეს ამტკიცოს, რომ ქართველებს ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ალაფროვანებდა ირანული კულტურა და არა ქართული კულტურა? განა სწორედ ქართული კულტურა და მისი დაცვის ინტერესები ნამდვილად არ შთააგონებდა ქართველ ხალხს მტრის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას?

ჩვენი ნაციონალური კულტურის დამცირებისა და ქართველი ხალხის გაბიაბრუების მეტად აღმამოთებელ მაგალითებს ვხვდებით ს. დანელიას წიგნში „ეაფა-ფშაველა და ქართველი ერი“. ამ წიგნში დანელია ცინიკურად წერს:

„სინდისი ბერძნული სიტყვაა, ქართველებს იგი სხვებისაგან გვისესხებია. ნასესხები სინდისით კი ისტორია არ შეიქმნება, ისტორიულ ერს ის საკუთარი უნდა ჰქონდეს, ვინაიდან სინდისი არის ის დედაბი, ურომლისოდაც ისტორიის კოში არ შენდება“ (იხ. დასახ. შრომა, გვ. 85).

ეს ხომ მართლაც ქართველ ხალხზე უსინდისო ცილისწამების ნიმუშია.

მთელ რაც თავის წიგნებში, რაც სპეციალური გარჩევის ღირსია, კ. კაპანელი ხელაღებით ლაჩნდავს და ავინებს ქართველ ხალხს. ეს უზნეო და სინდისგარეცხილი „მეცნიერი“ წერს ქართველებზე: „ჩვენს სულში არის მრუში და რისკიბული ლირწებრივობის სურვილი: ჩვენი ისტორიული აფექციონალი, ჩვენი რყევადი წარსული, შელესილი ჩვენს სისხლში, ალაყაყებს ჩვენს ნებისყოფას და ჩვენი ფიზიოლოგიური ბუნების ხეულებში დაძრწის ავადმყოფური, სადისტური წაღილი ვიყოთ ვინმეს მიერ ძალდატანებული, გაკყლეტილი“...



ეს არის აშკარა ბოდეა, ყოველად საზიზღარი ცილისწამება ქართველ ხალხზე. ასეთი რამ ქართველი ხალხისათვის მის მტრებსაც კი არ უკადრებთეფოქუნუსაჲ წიგნში „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“ კ. კეკელიძის წიგნში „მთელი ესთეტიკური არქიტექტონიკა „ვეფხისტყაოსნისა“ დაწყებული გმირთა სახელებიდან დამთავრებული რელიგიურ-ფილოსოფიური იდეებით და შემოკმედებითი ექსტაზით, შეიცავს არაბეთის იდეოლოგიურ ტრადიციას, ელიზნიზმის ალექსანდრიულ ფორმაში გაჩეულს“.

შემდეგ ავტორი წერს: „რუსთაველი ევროპელ ფილოსოფიურ სისტემებზე უფრო შოპენჰაუერის შეხედულებას მიიღებდა, ვიდრე ლეიბნიცისა“.

კაპანელს, რომელიც მონურად იბრის ქედს ბურჟუაზიული კულტურის წინაშე, აუცილებლად მიაჩნია ამა თუ იმ ქართველ მწერალს ორეული მოუნახოს რომელიმე სხვა ქვეყნის მწერლობაში და ამ მიზნით აბსურდულ პარალელებსაც არ ერიდება. როგორ შეიძლება XII საუკუნის გენიალური მწერლის რუსთაველის და XIX საუკუნის იდეალისტი რეაქციონერი ფილოსოფოსის შოპენჰაუერის შედარება? სად რუსთაველი და სად შოპენჰაუერი? ქართველი პოეტი მზიური ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, პატრიოტიზმის დიდი მქადაგებელი იყო, ხოლო გერმანელი ფილოსოფოსი იყო გააფთრებული პროპაგანდისტი კაცთმოძულეობისა, რეაქციული სიბნელისა, მხეცური ინდივიდუალიზმისა.

ასე გადააქციეს რაღაც საჯიჯგნად ქართველი ხალხისათვის წმინდათა წმინდა სახელი—რუსთაველის სახელი.

როგორც დაინახეთ, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში არა ერთ დამახინჯებასა და უმართებულო მოსაზრებას ვხვდებით. ამ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩვენმა სამეცნიერო დაწესებულებებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ. ეს ითქმის პირველ რიგში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის შესახებ. აქ საქმე ყოველთვის რიგზე როდია. საბჭოთა პრესის ორგანოებს არაერთხელ გაუკრიტიკებიათ რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ბეჭდვითი ორგანო „ლიტერატურული ძიებანი“, მაგრამ შემოხსენებული ინსტიტუტი ამ კრიტიკას არ იღებს და ძველებურად განაგრძობს მუშაობას.

ჩვენი ბოლშევიკური პრესის სიგნალებს მეტი ყურადღებით უნდა მოეციდონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ერთი ფაქტი. პრესის ფურცლებზე გაკრიტიკებული იყო „მეცნიერ მუშაის“ გ. კეკელიძის სალოქტორო „ნაშრომი“. ეს „ნაშრომი“ წარმოადგენდა უმეტრებისა და ცრუმეცნიერული კვლევა-ძიების ნიმუშს. ამ „ნაშრომის“ „დაცვა“ მაინც შედგა და ოფიციალურმა ოპონენტებმა ის კიდევ შეაქეს, ხოლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ შესაძლებლად ცნო მიენიჭებინა გ. კეკელიძისათვის დოქტორის ხარისხი, თუმცა შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიამ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ეს გადაწყვეტილება არ დაამტკიცა. სამეცნიერო საბჭომ ამ ფაქტიდან სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანოს.

ქართველ მეცნიერთა წინაშე უადრესად პასუხსაგები ამოცანები დგას. მათ მთელი მგზნებარებით უნდა გამოუცხადონ ბრძოლა როგორც ბურჟუაზიული დასავლეთის, ისე ფეოდალური აღმოსავლეთის წინაშე ქედის მოხრის მავნე ტენდენციას.

ქართველი ხალხი თავისი ისტორიის მთელ მანძილზე მხარს უსწორებდა მოწინავე ქვეყნების კულტურას. ქართული კულტურა აღმოცენებულა ქართული ხალხის წიაღში, ასახავს მის ცხოვრებაში მომხდარ პროცესებს, გამოხატავს ხალხის გულისთვის და მისწრაფებებს, ამიტომაც იგი ქართული. მას ქმნიდა და ქმნის ქართველი ხალხი, და ყოველგვარი ლაპარაკი სესხებაზე, გადმოდებაზე, გადმორგებაზე არა მარტო უმეცრებაა, სიბეცეა. არამედ ანტიპატრიოტული საქმეც არის.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ბოლომდე უნდა აღმოიფხვრას ის მანერე შეხედულებანი, რომელნიც ბურჟუაზიულ-კოსმოპოლიტური თეორიების ნაშთებისა და ნამსხვრევების სახით გვევლინებიან. ლიტერატურის ისტორიის მკვლევარები ვალდებული არიან გადასინჯონ თავიანთი ნაშრომები, დაგმონ მათში დაშვებული შეცდომები და საქმით გამოასწორონ ისინი. ხოლო ის მეცნიერი მუშაკები, რომლებიც მომავალშიც შეეცდებიან განაგრძონ ქართული კულტურის ისტორიის გაყალბება, ქართველი ერის დამცირება, — თავის თავს დააყენებენ საბჭოთა მეცნიერების გარეშე.

დიდი ინტერესით, ყურადღებით სწავლობს საბჭოთა მკითხველი თავისი ქვეყნის ისტორიასა და ლიტერატურას. მით უფრო ვალდებული ვართ დროულად აღმოვფხვრათ დაშვებული შეცდომები და დამახინჯებანი, მივცეთ საბჭოთა მკითხველს ნათელი, სწორი წარმოდგენა ქართველი ხალხის დიდ კულტურულ წარსულზე.

ი. შიხსხულავა

## ი. ბ. სვალინის კლასიკური ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“

(გამოქვეყნებულია 25 წლისთავში)



ი. ბ. სვალინის კლასიკური ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, წარმოადგენს სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებს 1924 წლის აპრილში და მიეძღვნა ლენინურ გაწვევას პარტიაში.

ამ შრომაში ამხანაგმა სვალინმა ჩვენი პარტიის ისტორიაში პირველმა მოგვცა მეცნიერული ჩამოყალიბება ლენინიზმის საფუძვლებისა, ყველა იმ ახალისა და განსაკუთრებულისა, რაც ლენინმა შეიტანა მარქსისტული თეორიის განვითარების საქმეში. ამასთან ერთად მოგვცა ბრწყინვალე ნიმუში მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი დამუშავებისა და განვითარებისა სოციალისტური საზოგადოების ძლევაში მშენებლობის ახალ ვითარებასთან შეფარდებით.

ი. ბ. სვალინის შრომამ „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ უდიდესი როლი ითამაშა ლენინიზმის დაცვისა და დანახუთების საქმეში. ჩვენს ქვეყანაში ლენინის იდეების გამარჯვების, ჩვენი პარტიის რიგების განმტკიცებისა და ლენინიზმის მტრების—ტროცისტების, ბუხარინელებისა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტების განადგურების საქმეში.

იმ პერიოდში, როცა გამოვიდა ნაშრომი „ლენინიზმის საფუძვლების შე-

სახებ“ ამხანაგ სვალინის ხელმძღვანელობით, ბოლშევიკური პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგებით, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცების გზას ადგა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების ცდებმა, იზოლიაცია ეყოთ ჩვენი ქვეყნისათვის, დამარცხება განიცადა და ისინი იძულებული შეიქმნენ ეცნოთ საბჭოთა ქვეყანა.

ჩვენმა ხალხმა მშვიდობიანობა სამეურნეო მშენებლობისათვის გამოიყენა; სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლის პირველმა წლებმა მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცეს. იზრდებოდა და ვითარდებოდა სოციალისტური მრეწველობა, წილში სწორდებოდა გლეხური მეურნეობა. მაგრამ ნგრევის შედეგები ჯერ კიდევ არ იყო სავსებით ლიკვიდირებული. სამეურნეო სიძნელეები მწვავედებოდა იმის გამოც, რომ სამრეწველო და სავაჭრო ორგანოები, სადაც ისხდნენ ტროცისტები, ამბინჯებდნენ ფასების პოლიტიკას. შეიქმნა შეუფარდებლობა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ფასებს შორის; შეიქმნა თავისებური კრიზისი ვასალებისა, რაც მოასწავებდა ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთობის გამწვავებას, პრო-





ლექტორიატსა და გლეხობას შორის კავშირის შესუსტებას.

ამას აგრეთვე ემატებოდა ისიც, რომ სოციალიზმის მტრები — ტროცისტები და სხვა ანტილენინური დაჯგუფებანი, სულ უფრო და უფრო ეწეოდნენ დამარღვეველ მუშაობას, ცდილობდნენ პარტიაში შეეტანათ გახრწიანი, გადაეყვანათ იგი ლენინური გზიდან და ამით მოემზადებინათ პირობები ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის.

ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო გათავებდნენ ტროცისტები. ისინი ცდილობდნენ ესარგებლნათ ლენინის სიკვდილით. თავს დაესხნენ პარტიას, მის ლენინურ ცენტალურ კომიტეტს და შეეცადნენ შეერყიათ ჩვენი პარტიის ერთიანობა. კიდევ მეტი იღუდა ტროცკომ დაბეჭდა სტატია „ოქტომბრის გაყვებილები“, რომელიც წარმოადგენდა თავიდანბოლომდე ცილისწამებას ჩვენი პარტიისადმი და ცდას ლენინიზმს შეეცვლინა ტროცკიზმით.

ჩვენი პარტიის წინაშე დადგა გადაუდებელი ამოცანა — გაენადგურებინა ტროცკიზმი, დაესამარებინა იგი, როგორც იდეური მიმდინარეობა, დაეცვა და დაესაბუთებინა ლენინური მოძღვრება. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ი. ბ. სტალინის შრომამ „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“. ტროცკიზმის იდეური განადგურებისა და ლენინიზმის დაცვის საქმეში სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის თეორიულ შრომას „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, რომელიც 1924 წელს გამოვიდა. ეს პროშურა წარმოადგენს ლენინიზმის ოსტატურად გადმოცემას და სერიოზულ თეორიულ დასაბუთებას. მან შეაიარაღა მამინ და აიარაღებს ახლა ბოლშევიკებს მთელს მსოფლიოში მარქსისტულ-ლენინური თეორიის ბასრი იარაღით“. („საქ. კომუნისტური პარტიის

(ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე კურსი. გვ. 347).

ლენინიზმის მტრებდნენ ტროცისტები, ზინოვიელები, ბუხარინელები, აწარმოებდნენ რა ბრძოლას ლენინიზმის წინააღმდეგ, ყოველმხრივ ცდილობდნენ დაეპირისპირებინათ ლენინიზმი მარქსიზმისათვის. ამ მიზნით ისინი ამახინჯებდნენ მარქსიზმს, უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც მთავარს მარქსიზმში, უარყოფდნენ ლენინიზმის საერთაშორისო მნიშვნელობას, უარყოფდნენ იმას, რომ ლენინიზმი მარქსიზმის უმაღლესი საფეხურია და ცდილობდნენ დაემახინჯებინათ ყველანაირად. რითაც ლენინიზმმა გაამდიდრა მარქსიზმი.

ამხანაგმა სტალინმა შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ლენინიზმის ყველა მტრებს, გვიჩვენათუ როგორ განავითარა შემდგომ ლენინმა მარქსიზმი მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლის ახალ ვითარებაში. გენიალურად ჩამოაყალიბა ყველა ძირითადი საკითხი ლენინის მოძღვრებისა და გაამდიდრა იგი ახალი დასკვნებითა და დებულებებით.

თავის შრომის შესავალ ნაწილში ამხანაგი სტალინი იძლევა ლენინიზმის კლასიკურ განსაზღვრას „ლენინიზმი არის, — სწერს ამხანაგი სტალინი, — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით“ (სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 2, 11 ქართ. გამოცემა).

ეს განსაზღვრა მიუთითებს, უპირველესად ყოველსა. ლენინიზმის ისტორიულ ფესვებზე, ახასიათებს მას, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის

მარქსიზმს, ამხელს ტროცკისტულ ცილისწამებას, თითქოს ლენინიზმი წარმოშობილიყოს მხოლოდ პირველი ძსოფლიო იმის შემდეგ.

ლენინიზმის ეს სტალინური განსაზღვრა აღნიშნავს ორგანიულ კავშირს ლენინიზმისა მარქსიზმის მოძღვრებასთან, ხაზს უსვამს მარქსიზმ-ლენინიზმის განუყოფელ ერთიანობას და ამხელს ტროცკიზმს, რომელიც ცდილობდა დაეპირისპირებინა ლენინიზმი მარქსიზმისათვის.

წინააღმდეგ ლენინიზმის ტროცკისტულ-ზინოვიევიური და სხვათა განსაზღვრისა, თითქოს „ლენინიზმი არის მარქსიზმის გამოყენება რუსეთის ვითარების თავისებური პირობების მიმართ“, რომ თითქოს „ლენინიზმი არის XIX საუკუნის 40-იანი წლების მარქსიზმის რევოლუციურ ელემენტთა აღორძინება“, ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ „ლენინიზმი მარქსიზმის შემდგომ განვითარებას“ წარმოადგენს, რომ ლენინიზმი არ არის „წმინდა ნაციონალური და მხოლოდ ნაციონალური, წმინდა რუსული და მხოლოდ რუსული მოვლენა“, არამედ „ლენინიზმი არის ინტერნაციონალური მოვლენა, რომელსაც ფესვები აქვს მთელს საერთაშორისო განვითარებაში“ (გვ. 2). ლენინიზმი არის ყველა ქვეყნის რევოლუციურ მოძრაობათა გამოცდილების განზოგადოება და ამიტომ ლენინიზმის თეორიის და ტაქტიკის საფუძვლები სავალდებულოა ყველა ქვეყნის პროლეტარული პარტიებისათვის.

შრომის პირველ თავში „ლენინიზმის ისტორიული ფესვები“, ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს განსხვავებას ეპოქებისა, რომელშიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ერთის მხრივ—მარქსი და ენგელსი და მეორეს მხრივ—ლენინი, და ღრმა მარქსისტული ანალიზის საფუძველზე ახასიათებს იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელმაც წარმოშვა ლენინიზმი. „ლენინიზმი გა-

იზარდა და ჩამოყალიბდა, — სწერს ამხანაგი სტალინი, — იმპერიალიზმის პირობებში, როდესაც პრეკაპეტკის წინააღმდეგობებმა უკიდურეს წერტილს მიაღწიეს, როდესაც პროლეტარული რევოლუცია უშუალო პრაქტიკის საკითხად გადაიქცა, როდესაც რევოლუციისათვის მუშათა კლასის მზადების ძველი პერიოდი მიაღწა კაპიტალიზმზე პირდაპირი იერიშის ახალ პერიოდს და გადაიზარდა მასში“ (გვ. 3).

ახასიათებს რა „მომაკვდავი კაპიტალიზმის“ — იმპერიალიზმის მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს, ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს თუ რატომ გახდა რუსეთი ლენინიზმის სამშობლოდ. რუსეთი იყო, მიუთითებს ამხანაგი სტალინი, იმპერიალიზმის ყველა ამ წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი, სადაც ცარიზმისა და დასავლეთის იმპერიალისტების ინტერესები გადახლართული იყო ერთმანეთში. მაგრამ რუსეთი უნდა გამხდარიყო იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტად, არა მარტო იმიტომ, რომ ეს წინააღმდეგობანი ყველაზე მეფიოდ მუღავნდებოდნენ რუსეთში, „არამედ იმიტომაც, რომ მხოლოდ რუსეთში არსებობდა რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო რევოლუციური გზით გადაეჭრა იმპერიალიზმის წინააღმდეგობანი“ (გვ. 7).

რუსეთში იწყებდა აზვირთებას უდიდესი სახალხო რევოლუცია, პროლეტარიატის ჰეგემონიით, რუსეთის რევოლუციურ გლეხობასთან კავშირში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ასეთი რევოლუცია, — მიუთითებს ამხანაგი სტალინი, „შუა-გზაზე ვერ შეჩერდებოდა“, „რომ რევოლუცია რუსეთში არ შეიძლებოდა არ გამხდარიყო პროლეტარული, — რომ მას არ შეეძლო თავისი განვითარების პირველ დღეებშივე არ მიეღო საერთაშორისო ხასიათი, რომ მას, ამგვარად, არ შეეძ-

ლო არ შეერყია მსოფლიო იმპერიალიზმის თვით საფუძვლები“ (გვ. 7). ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ რევოლუციის მსვლელობამ გაამართლა ლენინის წინასწარმეტყველება, იმის შესახებ, რომ ცარიზმის დამხობა „რუსეთის პროლეტარიატს გახდიდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად“. რუსეთი გახდა ლენინიზმის სამშობლოდ.

შრომის მეორე თავში „მეთოდი“, ამხანაგმა სტალინმა აჩვენა II ინტერნაციონალის ფიზიონომია, მისი მეთოდი, განსაზღვრა ის პირობები, რომელშიაც გამოიქვედა ლენინიზმის მეთოდი და გენიალურად ჩამოაყალიბა ლენინიზმის მეთოდის ძირითადი მოთხოვნები.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ მარქს-ენგელსისა და ლენინის მოღვაწეობას შორის ძვეს II ინტერნაციონალის ბატონობის პერიოდი. ეს პერიოდი ხასიათდებოდა კაპიტალიზმის მშვიდობიანი განვითარებით, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოაშკარავებული იმპერიალიზმის კატასტროფიული წინააღმდეგობანი. მაშინ ბრძოლის ლეგალური ფორმები (საარჩევნო ბრძოლა და საპარლამენტო ფრაქციები) ცამდე აყავდათ და ლეგალობით ცდილობდნენ კაპიტალიზმის მოსპობას. „მოლიანი რევოლუციური თეორიის ნაცვლად — წინააღმდეგობრივი თეორიული დებულებები და თეორიის ნაფლეთები, მოწყვეტილი მასების ცოცხალ რევოლუციურ ბრძოლას და გადაქცეული დახვესებულ დოგმებად...“

რევოლუციური პოლიტიკის ნაცვლად — უილაჯო ფილისტერობა და ფრთხილი პოლიტიკანობა, საპარლამენტო დიპლომატია და საპარლამენტო კომპინაციები“ (გვ. 10—11) ასეთი იყო II ინტერნაციონალის ფიზიონომია, მისი მეთოდი.

ახალი ვითარების დადგომისას — იმპერიალისტური ომებისა და პროლეტა-

რული რევოლუციის ეპოქაში, ბრძოლის ეს ძველი მეთოდები უფეროა აღმოჩნდა, საჭირო გახდა რევოლუციონალის ამ დაქანებული მეთოდის უკუგდება და ახალი ვითარების შესაბამისი ახალი სახის მეთოდის გამოკვლევა. ამ საპატიო ამოცანის შესრულება წილად ხედა ლენინს, იგი გახდა ლენინიზმის მეთოდის შემოქმედი.

ამხანაგი სტალინი მიუთითებს, რომ ლენინიზმის მეთოდი წარმოადგენს მარქსის მეთოდის — მისი მატერიალისტური დიალექტიკის შემდგომ განვითარებას. „ის, რაც მოცემულია ლენინის მეთოდში, — სწერს ამხანაგი სტალინი, — ძირითადად უკვე იყო მარქსის მოძღვრებაში, რომელიც, მარქსის სიტყვებით, რომ ვთქვათ „თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციურია“. ლენინის მეთოდი თავიდან ბოლომდე გამჭვალულია სწორედ ამ კრიტიკული და რევოლუციური სულით. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლენინის მეთოდი უბრალო აღდგენა იყოს იმისა, რაც მარქსმა მოგვცა. ნამდვილად ლენინის მეთოდი წარმოადგენს მარქსის კრიტიკული და რევოლუციური მეთოდის, მისი მატერიალისტური დიალექტიკის არა მარტო აღდგენას, არამედ აგრეთვე მის კონკრეტუზაციას და შემდგომ განვითარებას“ (გვ. 16—17). ლენინიზმის მეთოდის ძირითადი მოთხოვნები ამხანაგმა სტალინმა ჩამოაყალიბა ოთხ ძირითად პუნქტში:

1) „II ინტერნაციონალის თეორიული დოგმათა შეშინებისა და მასების რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში, ცოცხალი პრაქტიკის ცეცხლში, ე. ი. თეორიასა და პრაქტიკას შორის დარღვეული ერთიანობის აღდგენა“.

2) „II ინტერნაციონალის პარტიათა პოლიტიკის შეშინებისა არა მათი ლოზუნგებისა და რეზოლუციების მიხედვით... არამედ მათი საქმის, მათი მოქმედების მიხედვით“.

3) „პარტიული მუშაობის გარდაქმნა ახალ რევოლუციურ ყაიდაზე რევოლუციური ბრძოლისათვის მასების აღზრდისა და მომზადების თვალსაზრისით“. და

4) „პროლეტარიატის პარტიების თვითკრიტიკა, მათი მომზადება და აღზრდა საკუთარ შეცდომებზე“. (იხ. გვ. 11—12).

ასეთია ლენინიზმის მეთოდის დედა-არსი, რომელიც ცხოვრებაში იქნა გამოყენებული ბოლშევიკების მიერ ლენინისა და სტალინის მეთაურობით.

განსაკუთრებული სიძლიერით ხსნის ამხანაგი სტალინი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებით ხასიათს. ეყრდნობა რა ლენინის ცნობილ დებულებას, რომ „რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც“, ამხანაგი სტალინი ხაზს უსვამს რევოლუციური თეორიის როლსა, და მნიშვნელობას მუშათა კლასის ბრძოლისათვის. „თეორია არის, — სწერს ამხანაგი სტალინი, — ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გამოცილილება, აღებული მისი ზოგადი სახით. რა თქმა უნდა, თეორია ხდება უსაგნო, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, სწორედ ისევე, როგორც პრაქტიკაც ხდება ბრმა, თუ იგი არ იმუქებს გზას რევოლუციური თეორიით. მაგრამ თეორია შეიძლება გადაიქცეს მუშათა მოძრაობის უდიდეს ძალად, თუ იგი იქნება რევოლუციურ პრაქტიკასთან განუყრელ კავშირში. ვინაიდან მას, და მხოლოდ მას შეუძლია მისცეს მოძრაობას რწმენა, ორიენტირების ძალა და გარემო მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგება, ვინაიდან მას, და მხოლოდ მას, შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას გაიგოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით მიემართებიან კლასები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა წამართონ ისინი უახლოეს მომავალში“ (გვ. 17—18).

ამხანაგი სტალინი უარყოფს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს კერძო-თითქოს „ლენინიზმი იყო სტალინიზმი“ პრიმატი თეორიის წინაშე, რომ თითქოს „ლენინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თეორიას“ და აღნიშნავს, რომ ლენინს ყველა სხვაზე უფრო ესმოდა თეორიის მნიშვნელობა მუშათა მოძრაობისათვის, პარტიისათვის, ლენინი იყო, რომელიც სწერდა ჯერ კიდევ 1902 წელს, რომ „მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამხანაგი სტალინი სტიქიურობის „თეორიის“. როგორც ოპორტუნიზმის თეორიის კრიტიკას. ამხელს კავშირს „ეკონომისტებსა“ — მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრელთა და II ინტერნაციონალის ლიდერებს შორის კავშირის მეთაურობით. რომლებიც გამოდიან მარქსიზმის ფალსიფიკატორებად. ქადაგებენ თვითღიწების თეორიას, მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელი როლის უარყოფის თეორიას, რომელსაც მიყავს მუშათა კლასი კაპიტალის მუდმივ მონობისაკენ. „სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია. — სწერს ამხანაგი სტალინი, — გადაკრით ეწინააღმდეგება იმას, რომ სტიქიურ მოძრაობას მიეცეს შეგნებული, გეგმაშეწონილი ხასიათი. ის წინააღმდეგია იმის, რომ პარტია წინ მიუძღოდეს მუშათა კლასს, რომ პარტიამ მასები აამაღლოს შეგნებულობის დონემდე... სტიქიურობის თეორია არის მოძრაობაში შეგნებული ელემენტის როლის შემცირების თეორია, „მაჩინალობის“ იდეოლოგია, ყოველგვარი ოპორტუნიზმის ლოგიკური საფუძველი“ (გვ. 19).

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგი სტალინის მიერ სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის დასაბუთებას და შემდგომ განვითარებას.



ლენინური თეორია სოციალისტური რევოლუციის შესახებ გამოძინარეობს იმპერიალიზმის შესახებ ლენინის მოძღვრებიდან. ამხანაგი სტალინი აყალიბებს იმპერიალიზმის შესახებ ლენინის მოძღვრების არსს, აღნიშნავს, რომ სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია გამოძინარეობს შემდეგი საბიძირითადი დებულებიდან:

1) „რევოლუციური კრიზისის გამწვავება კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, აფეთქების ელემენტების ზრდა საშინაო პროლეტარულ ფრონტზე „მეტროპოლიებში“. (გვ. 21).

2) „რევოლუციური კრიზისის გამწვავება კოლონიურ ქვეყნებში, აღმფრთხილების ელემენტების ზრდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ საგარეო კოლონიურ ფრონტზე“ (გვ. 22).

3) „ომების გარდუვალობა იმპერიალიზმის დროს და აუცილებლობა ევროპის პროლეტარული რევოლუციის კოალიციისა აღმოსავლეთის კოლონიურ რევოლუციასთან რევოლუციის ერთიანი მსოფლიო ფრონტის სახით. იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტის წინააღმდეგ.

ყველა ამ დასკვნას ლენინი აერთიანებს ერთს საერთო დასკვნაში, რომ **„ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს წ ი ნ ა დ დ ე ა“** (გვ. 22—23), რომ იმპერიალისტური სისტემა მთლიანად უკვე მომწიფდა რევოლუციისათვის, რომ რევოლუცია დაიწყება აუცილებლად არა იქ, სადაც მრეწველობა უფრო განვითარებულია, არამედ იმპერიალიზმის ჯაჭვი გაწყდება იქ, სადაც ყველაზე უფრო სუსტია მისი რგოლი.

ამხანაგი სტალინი ამხელს II ინტერნაციონალის „გმირების“ კონტრრევოლუციურ ლაებობას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციებს შორის „ჩინური კედლის“ არსებობის შესახებ, და გვიჩვენებს, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რე-

ვოლუცია, ცოტად თუ ბევრად გაჩვითარებულ ქვეყანაში უნდა იწყებოდეს პროლეტარულ რევოლუციასთან პირველი გადაიზარდოს მეორეში. ასეთ თვალსაზრისზე იდგა ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს და მის შემდეგაც. ამასთან დაკავშირებით ამხანაგი სტალინი ამხელს კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ „თეორიას პერმანენტული რევოლუციისა“, რომელიც უარყოფდა გლეხობის როლს რევოლუციაში, პროლეტარიატის პეგემონიას რევოლუციაში, ამახინჯებდა მარქსის იდეას „განუწყვეტელი რევოლუციის“ შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ ლენინმა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონის აღმოჩენის საფუძველზე დაასაბუთა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შეუძლებლობა ერთსა და იმავე დროს ყველა ქვეყნებში და სრული შესაძლებლობა სოციალიზმის გამარჯვებისა თავდაპირველად ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. „ახლა უნდა გამოვდიოდეთ. — სწერს ამხანაგი სტალინი — ასეთი გამარჯვების შესაძლებლობიდან, ვინაიდან იმპერიალიზმის ვითარებაში სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნის განვითარების არათანაბარი და ნახტომისებური ხასიათი, იმპერიალიზმის შიგნით კატასტროფიულ წინააღმდეგობათა განვითარება, რომლებიც იწვევენ გარდუვალ ომებს, რევოლუციური მოძრაობის ზრდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, — ყოველივე ეს იწვევს ცალკე ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების არა მარტო შესაძლებლობას, არამედ აუცილებლობასაც“ (გვ. 32).

ტროცკისტებისა და ზინოვიეველების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც უარყოფდნენ სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში, ამხანაგმა სტალინმა დაიცვა

ლენინური მოძღვრება სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ ჩვენს ქვეყანაში და შემდგომ განავითარა იგი. შრომებში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“, „ლენინიზმის საკითხებისათვის“ და სხვ. ამხანაგმა **სტალინმა ამომწურავად გააშუქა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ორი მხარე — შინაგანი და საერთაშორისო.** შრომაში „ლენინიზმის საკითხებისათვის“, ამხანაგი სტალინი წერდა: „ჩვენ შეგვიძლია და უნდა ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება, ვინაიდან ჩვენს განკარგულებაშია ყველაფერი აუცილებელი და საკმარისი ამ აშენებისათვის“. (გვ. 180). ეს იყო სოციალიზმის გამარჯვების საკითხის შინაგანი მხარე, სოციალიზმის გამარჯვების პრობლემის ნაწილი ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ არის კიდევ მეორე მხარე პრობლემისა, — საერთაშორისო მხარე, მიუთითებდა ამხანაგი სტალინი. „შეუძლია თუ არა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას ჩასთვალოს თავისთავი ს ა ე ს ე ბ ი თ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ა დ ინტერვენციისაგან, და მამასადავამ, ძველი წესების რესტავრაციისაგან, მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ძლევაშისილი რევოლუციის გარეშე, რაზედაც უარყოფითი პასუხი უნდა იქნეს გაცემული“ (გვ. 174). ამდენად საბჭოთა კავშირში სოციალიზმის სრული გამარჯვება „რომელიც გამოიხატება მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციასა და მეურნეობის სოციალისტური სისტემის აშენებაში, მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ს ა ბ ო ლ ო ო გამარჯვებად, რამდენადაც უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის ცდების საფრთხე აღმოუფხვრელი რჩება, რამდენა-

დაც სოციალიზმის ქვეყანა ჩვერ კიდევ გარანტირებული ფრ. მრეხუ. მტითი საფრთხისაგან“ (საქ. კ. მს. 43) მსტატია. მოკლე კურსი. გვ. 356).

ეს ფორმულირება ამხანაგ სტალინისა დაედა საფუძვლად XIV მარტონ-ფერენციის ისტორიულ დადგენილებას 1925 წელს, რომელმაც შესაძლებლად სცნო სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ქვეყნის საყოთარი ძალებით და რომელიც კანონი გახდა პარტიის ყველა წევრისათვის.

ლენინ-სტალინის მოძღვრება ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ, ასულდგმულებდა პარტიას და მუშათა კლასს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში და აძლევდა მათ პერსპექტივას და რწმენას ამ გამარჯვებაში. ჩვენმა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელა ლენინ-სტალინის ეს მოძღვრება, მიადწია სოციალიზმის გამარჯვებას საბჭოთა კავშირში და მიდის წინ კომუნისმისაკენ.

შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ ამხანაგმა სტალინმა მოგვცა პარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი და მთავარი საკითხის — პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის ყოველმხრივი გაშუქება და შემდგომი განვითარება. „პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, — წერს ამხანაგი სტალინი, — უწინარეს ყოვლისა, პროლეტარული რევოლუციის ძირითადი შინაარსის საკითხია“ (გვ. 33), იმითომ, რომ პროლეტარულ რევოლუციას შეუძლია სისხლი და ზორცი შეისხას მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, პროლეტარული რევოლუციის იარაღია. რევოლუციას შეუძლია, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, ბურჟუაზიის დამხობა პროლეტარიატის დიქტატურის გარეშეც, „მაგრამ ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვა,



გამარჯვების შენარჩუნება და შემდგომში წინსვლა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ, რევოლუციას უკვე აღარ შეუძლია, თუ იგი თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე არ შექმნის სპეციალურ ორგანოს პროლეტარიატის დიქტატურის სახით, როგორც თავის ძირითად დასაყრდენს“ (გვ. 34).

პროლეტარიატის დიქტატურას ამხანაგი სტალინი განიხილავს არა როგორც წუთიერ პერიოდს, „უღარესად რევოლუციურა“ აქტებისა და დეკრეტების სახით“, არამედ, როგორც მთელ ისტორიულ ეპოქას, რომელიც აღსავსეა სამოქალაქო ომებით და საგარეო შეტაკებებით, შეუპოვარი ორგანიზაციული მუშაობით და სამეურნეო მშენებლობით. ეს ისტორიული ეპოქა საჭიროა არა მარტო სოციალიზმის გამარჯვებისათვის სამეურნეო და კულტურული წინამძღვრების შესაქმნელად, „არამედ იმისათვისაც, რომ პროლეტარიატს შესაძლებლობა მიეცეს, ჯერ — ერთი — აღიზარდოს და გამოიბრძმდოს თვითონ, როგორც ძალა, რომელიც შესძლებს ქვეყნის მართვა-გამგეობას, მეორე — ხელახლა აღიზარდოს და გარდაქმნას წვრილბურჟუაზიული ფენები ისეთი მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური წარმოების ორგანიზაციას“ (გვ. 36). პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანაა დათრგუნოს დამხობილი კლასების წინააღმდეგობა, განამტკიცოს საბჭოთა ხელისუფლება, მოაწყოს რევოლუციის არშია გარეშე მტერთან საბრძოლველად, ააშენოს სოციალისტური საზოგადოება. ამხანაგმა სტალინმა განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი შემდგომ, შეიმუშავა მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის სამი მხარის შესახებ, მათი ერთიანობისა და ურთიერთკავშირის შესახებ. შრომაში „ლენინიზმის საკითხისა“

თვის“ ამხანაგი სტალინი სწერს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ექვსეულში ძირითადი მხარე: *პროლეტარიატის ხელისუფლების გამოყენება ექსპლოატორული კლასების დათრგუნვისათვის, ქვეყნის თავდაცვისათვის, სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან კავშირის განმტკიცებისათვის და ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვებისათვის. მეორე — პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება ბურჟუაზიისაგან მშრომელი მასების ჩამოშორებისათვის, ამ მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის, სოციალისტურ მშენებლობაში მათი ჩაბმისათვის და ამ მასებისადმი პროლეტარიატის მხრივ სახელმწიფოებრივი ხელშეწყობისათვის. მესამე — ძალაუფლების გამოყენება პროლეტარიატის მიერ სოციალიზმის ორგანიზაციისათვის, კლასების მოსპობისათვის, უკლასო საზოგადოებაში გადასვლისათვის. „პროლეტარიატის დიქტატურა, სწერს ამხანაგი სტალინი, — არის სამივე ამ მხარის შეერთება... მხოლოდ სამივე ეს მხარე, ერთად აღებული, გვაძლევს პროლეტარიატის დიქტატურის სრულ და დამთავრებულ ცნებას“ (გვ. 149).*

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში XVIII პარტიკონგრესში კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოგვცა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების შემდეგი განვითარება სახელმწიფოს შესახებ. მოგვცა გამოვლილი ანალიზი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ეტაპებისა, მისი ფუნქციების ცვლილებებისა, განაზოგადა მთელი გამოცდილება საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და ახლებურად დააყენა საკითხი სახელმწიფოს შესახებ კომუნისმის დროს კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში;

რომ სახელმწიფო არ კვდება — დარჩება კომუნისმის დროს, თუ არ მოისპო კაპიტალისტური გარემოცვა, არ დარჩება და მოკვდება თუ კაპიტალისტური გარემოცვა შეიცვლება სოციალისტური გარემოცვით.

ლენინმა და სტალინმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს, როგორც რუსულ ისე საერთაშორისო ოპორტუნისმს, რომელიც ცდილობდა ამოეცალა მარქსიზმისათვის მისი რევოლუციური სული. ლენინმა და სტალინმა ახალ ისტორიულ ვითარებაში — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ვითარებაში, დაიციეს და განავითარეს მარქსიზმის მოძღვრება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის, ისე ყველა სხვა საკითხში.

ანზოვადობდა რა ყოველივე იმას, რაც შეიტანა ახალი ლენინმა მარქსის მოძღვრების განვითარების საქმეში, ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის შესახებ „ლენინმა ახალი მოგვცა ის, რომ: ა) მან აღმოაჩინა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, რისთვისაც გამოიყენა პარტიის კომუნის და რუსეთის რევოლუციის გამოცდილება; ბ) მან გახსნა ფრჩხილები პროლეტარიატის დიქტატურის ფორმულაში პროლეტარიატის მოკავშირეების პრობლემის თვალსაზრისით, განსაზღვრა რა პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც განსაკუთრებული ფორმის კლასობრივი კავშირი პროლეტარიატის, რომელიც ხელმძღვანელს წარმოადგენს, არაპროლეტარული კლასების (გლეხობა და სხვ.) ექსპლოატირებულ მასებთან, რომელთაც ხელმძღვანელობა ეწევს; გ) მან განსაკუთრებული სიძლიერით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ კლასობრივი საზოგადოების პირობებში პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს დემოკრატიის უმაღლეს ტიპს. პროლეტარულ დემოკრატიის ფორმას, რომელიც გამოხატავს

უმრავლესობის (ექსპლოატირებულთა) ინტერესებს, — წინააღმდეგ კაპიტალისტური პროლეტარიატისა, რომელიც გამოხატავს უმცირესობის (ექსპლოატატორთა) ინტერესებს“ (ე. მარქსი, რჩ. ნაწ. ტ. I, გვ. 63—64, ქართ. გამოცემა).

1917 წლის რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე, ყველა ქვეყნის მარქსისტები, და მათ შორის ლენინიც, პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკურ ფორმად აღიარებდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკას. მაგრამ რუსეთის ორი რევოლუციის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ლენინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკურ ფორმას წარმოადგენს არა პარლამენტარული დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ საბჭოების რესპუბლიკა. საბჭოთა ხელისუფლება არის, ძველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პარლამენტარული ფორმისაგან პრინციპიალურად განსხვავებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ახალი ფორმა.

ამხანაგი სტალინი შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ იძლევა საბჭოების შესახებ ლენინის მოძღვრების შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებული სიძლიერით გვიჩვენებს, საბჭოების, როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ახალი ფორმის ძალას და მნიშვნელობას. „საბჭოები, — სწერს ამხანაგი სტალინი, — წარმოადგენენ თვით მასების უ უ უ ა ლ ო ო რგანიზაციებს, ესე—იგი მასების ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ და, მაშასადამე, ყველაზე უფრო ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, რომელნიც მაქსიმალურად უადვილებენ მათ მონაწილეობის მიღებას ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში, მისი მართვა-გამგეობაში და მაქსიმალურად ანვითარებენ მასების რევოლუციურ ენერჯიას, ინიციატივას და შემოქმედებათს ნიჭს



ძველი წყობის დანგრევისათვის ბრძოლაში, ახალი, პროლეტარული წყობისათვის ბრძოლაში“ (გვ. 42).

ახასიათებს საბჭოთა ხელისუფლების დამახასიათებელ თვისებებს, როგორც ყველაზე დემოკრატიულს, ყველაზე უკეთეს პოლიტიკურ ფორმას პროლეტარიატის დიქტატურისა. ამხანაგი სტალინი ასკვნის: „საბჭოების რესპუბლიკა არის ის საბრძოლველი და, ბოლოს, ნაპოვნი პოლიტიკური ფორმა, რომლის ჩარჩოებში უნდა მოხდეს პროლეტარიატის ეკონომიური განათვისუფლება, სოციალიზმის სრული გამარჯვება“ (გვ. 45). ცხოვრებამ საცესებით დაადასტურა ამხანაგი სტალინის გენიალური აზრები, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მიერ ნაპოვნი პოლიტიკური ფორმის — საბჭოების ჩარჩოებში მოხდა პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის ეკონომიური განათვისუფლება, სოციალიზმის სრული გამარჯვება საბჭოთა კავშირში.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში, ფაშისტური გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის განადგურებაში საბჭოთა კავშირის გადამწყვეტმა როლმა მკვეთრად შესცვალა კლასობრივ ძალთა თანაშეფარდება პროგრესიულ რევოლუციურ ძალთა სასარგებლოდ მთელ რიგ ქვეყნებში და შეასუსტა კაპიტალისტური სისტემა საერთოდ.

ჯერ კიდევ 1917 წელს „სახელმწიფო და რევოლუციაში“ ლენინი სწერდა: „კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გადასვლას, რასაკვირველია, არ შეუძლია არ წარმოშვას უამრავი და სხვადასხვაგვარი პოლიტიკური ფორმა, მაგრამ ამასთანავე მათი არსი აუცილებლად მხოლოდ ერთი იქნება: პროლეტარიატის დიქტატურა“ („სახელმწიფო და რევოლუცია“, გვ. 44).

როგორც ამხანაგი დიმიტროვი აღნიშნავდა, საბჭოთა ხელისუფლება და

სახალხო დემოკრატია წარმოადგენს ორ ფორმას ერთი და იგივე ქაღალდის ფურცლისა — მუშათა კლასის მკვეთრად გამარჯვების და სოფლის მშრომელებთან, ორივე ეს, ორი ფორმაა პროლეტარიატის დიქტატურისა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ეს თავისებური ფორმა არ სცელის ძირითად კანონზომიერებას კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლისა, რომელიც წარმოადგენს საერთოს ყველა ქვეყნისათვის და რომელზედაც ლენინი მიუთითებდა. სახალხო დემოკრატია ასრულებს პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციას მშრომელთა დიდი უმრავლესობის ინტერესებისათვის. მსგავსება სახალხო დემოკრატიასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის იმაშია, რომ ორივე წარმოადგენენ ხელისუფლებას მუშათა კლასისა მშრომელებთან კავშირში, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ ამხანაგმა სტალინმა დაიკვა და განავითარა ლენინის მოძღვრება გლეხთა საკითხის შესახებ. ამხილა ზინოვიევისებური ფალსიფიკატორები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მთავარს და ძირითადს ლენინიზმში წარმოადგენს გლეხობის საკითხი. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ ლენინიზმში ძირითად საკითხს წარმოადგენს არა გლეხობის საკითხი, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, ხოლო „გლეხობის საკითხი, როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი, წარმოადგენს ნაწარმოებ საკითხს“ (გვ. 45), მაგრამ ეს სრულებით არ ამცირებხ გლეხობის საკითხის ცხოველყოფელ მნიშვნელობას პროლეტარული რევოლუციისათვის. გლეხობის, როგორც პროლეტარიატის მოკავშირის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუ-

ციისათვის ბრძოლაში, ხოლო მას უფრო აქტიური მნიშვნელობა მიეცა პროლეტარული რევოლუციის დროს. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ ის, ვინც ცდილობს ძალაუფლების დაპყრობას, არ შეიძლება არ აინტერესებდეს ამ ძალაუფლების დაპყრობაში თავისი მოკავშირის საკითხი, ამნაირად „გლეხობის საკითხი, — სწერს ამხანაგი სტალინი, — წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის საერთო საკითხის ნაწილს და, როგორც ასეთი, იგი ლენინიზმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცხოველმყოფელი საკითხია“ (გვ. 46).

ამხანაგი სტალინი აკრიტიკებს II ინტერნაციონალის პარტიების, მენშევიკების, ტროცისტების უარყოფით და მოკიდებულებას გლეხთა საკითხისადმი, რომელთაც არა სწამდათ, პროლეტარიატის დიქტატურა და არ აინტერესებდათ პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი რევოლუციაში. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ ლენინიზმის თვალსაზრისით პროლეტარიატი მზარს უკერძო არა ყოველგვარ გლეხურ მოძრაობას, არამედ გლეხობის ისეთ მოძრაობას „რომელიც პირდაპირ თუ არა პირდაპირ აადვილებს პროლეტარიატის განმანათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ასე თუ ისე უშვებს წყალს პროლეტარული რევოლუციის წისქვილზე, რომელიც ხელს უწყობს გლეხობის გადაქცევას მუშათა კლასის რეზერვად და მოკავშირედ“. (გვ. 47). შემდეგ ამხანაგი სტალინი იხილავს გლეხობის საკითხს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის დროს, პროლეტარული რევოლუციის დროს და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, აღნიშნავს, რომ რუსეთის „სამხედრო ფეოდალურმა იმპერიალიზმმა“, რომელიც ახშობდა ყოველივე ცოცხალს და აძლიერებდა ჩაგვრას კაპიტალისტებისა და მემამულეების მხრივ, რუსეთის მუშათა კლასისა და

გლეხობის ბრძოლა გააერთიანა ერთ რევოლუციურ ნიაღვრად, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის პერიოდში რუსეთში (1905—1917 წლის თებერვალი), პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი იყო გლეხობის მიმართ—მთელ გლეხობასთან ერთად ბრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციისათვის.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მეფისა და მემამულეთა ძალაუფლების დამხობის შემდეგ, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, „რევოლუციის ძირითად საკითხად იქცა ომის ლიკვიდაციის საკითხი“. ომის ლიკვიდაცია ეს შესაძლებელი იყო ბურჟუაზიის ძალაუფლების, ესერების და მენშევიკების ძალაუფლების დამხობით, რაც შეიძლებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდით. „გლეხობის უმარავლესობამ მზარი დაუჭირა მუშების ბრძოლას ზაესათვის, საბჭოების ხელისუფლებისათვის“ (გვ. 52). ამიტომ პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი იყო გლეხობის მიმართ — უღარიბეს გლეხობასთან ერთად, საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაცია, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა, სამოქალაქო ომის ლიკვიდაციისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, როგორც ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, „პირველ რიგში წამოიჭრა სამეურნეო მშენებლობის საკითხები“, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების საკითხები. ამ საძირკვლის აგებაში უდიდესი როლი ენიჭებოდა გლეხობას. „ხელისუფლების სათავეში მყოფ პროლეტარიატს, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — შეუძლია გამოიყენოს და მან უნდა გამოიყენოს კიდევ ეს რეზერვი (გლეხობა, ი. შ.) იმისათვის, რომ დაუკავშიროს

ერთი მეორეს ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა, ასწიოს მაღლა სოციალისტური მშენებლობა და ააშენოს პროლეტარიატის დიქტატურის ის აუცილებელი საძირკველი, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალისტურ ეკონომიკაზე გადასვლა“ (გვ. 57). პარტიის VIII ყრილობამ 1919 წელს მიიღო მესამე სტრატეგიული ლოზუნგი გლეხობის მიმართ — დაყრდნობა ღარიბ გლეხობაზე, მტკიცე კავშირი საშუალოსთან და ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ. საშუალო გლეხობის მიმართ აღებულია ამ ხაზმა გადაწყვეტი რომელითააა სამოქალაქო ომის წარმატებით დამთავრებაში და სოციალისტური ეკონომიკის აგებაში გლეხობის ჩაბმის საქმეში.

ამხანაგმა სტალინმა ლენინის მითითებაზე დაყრდნობით დაამუშავა კონკრეტული გზები სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანისა და პრაქტიკულად განახორციელა ცხოვრებაში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია.

ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ამხანაგმა სტალინმა ლენინთან ერთად თეორიულად დაამუშავა ნაციონალურ საკითხში მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპული საფუძვლები. თავის შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, 1913 წელს ამხანაგმა სტალინმა მოგვცა გენიალური გეგმა რუსეთში ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისა. ჩამოაყალიბა მარქსისტულ-ლენინური მწყობრი მოძღვრება ერის შესახებ, ბრწყინვალედ დაასაბუთა ბოლშევიზმის ძირითადი ლოზუნგი—ერთა თვითგამორკვევისა თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე.

თავის შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ ამხანაგმა სტალინმა მოგვცა შემდგომი განვითარება ნაციონალურ საკითხში ლენინური მოძღვრებისა. გაამდიდრა იგი ახალი დებულებით

კლასობრივი ბრძოლის ახალ ენობრივად შეფარდებით.

ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს პრინციპულ განსხვავებას ნაციონალური საკითხის დაყენებისა ლენინიზმის მიერ და II ინტერნაციონალის ლიდერების მიერ, რომლებიც ნაციონალურ საკითხს იხილავდნენ ხელისუფლების საერთო საკითხის, პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხთან კავშირის გარეშე. ლენინიზმმა დაამტკიცა, რომ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის საშუალებით, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება შესაძლებელია კოლონიების გამათავისუფლებელ მოძრაობასთან რევოლუციური კავშირის საშუალებით. ამიტომ „ნაციონალური საკითხი, — სწერს ამხანაგი სტალინი,—არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის ნაწილი“ (გვ. 60).

ამხანაგი სტალინი იძლევა გენიალურ დახასიათებას კაპიტალიზმის დროს ორი ტენდენციისა ნაციონალურ საკითხში. პირველი ტენდენცია ეს არის — იმპერიალიზმის მონობისაგან. პოლიტიკური განთავისუფლების და დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნისა და მეორე — ერების სამეურნეო დაახლოების ტენდენცია. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ ორივე ეს ტენდენცია იმპერიალიზმისათვის შეურიგებელ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ვინაიდან იმპერიალიზმს არ შეუძლია ექსპლოატაციის გარეშე არსებობა და „ერთიანი მოელის“ ფარგლებში კოლონიების ძალდატანებითი შენარჩუნების გარეშე არსებობა. „კომუნიზმისათვის, — სწერს ამხანაგი სტალინი, — პირიქით, ეს ტენდენციები მხოლოდ ორი მხარეა ერთი და იმავე საქმისა, იმპერიალიზმის უღლისაგან ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების

საქმისა“ (გვ. 65). ეს იმიტომ, რომ ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ხალხთა გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთობისა და ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება გულისხმობს „ერთიანი“ იმპერიალისტური „მთელისაგან“ კოლონიების ჩამოცილებას, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მათ გადაქცევას.

აქედან გამომდინარე ამხანაგი სტალინი აყენებს ამოცანას ბრძოლის აუცილებლობის შესახებ ჩაგრული ქვეყნების იმ სოციალისტების ნაციონალური კარჩაკეტილობის, შეზღუდულობის და განკერძოების წინააღმდეგ, რომლებთაც არ სურთ თავიანთი ქვეყნების გამათავისუფლებელ მოძრაობას კავშირი ჰქონდეს გაბატონებული ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობასთან. ამის გარეშე კი შეუძლებელია გაბატონებულ და ჩაგრულ ერთა შრომელი მასების ინტერნაციონალური სულსკვეთებით აღზრდა.

ჩვენი ხალხმა დიდი სტალინის მეთაურობით, ხელმძღვანელობდა რა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკით, აამენა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, სადაც სოციალისტური წყობილების საფუძველზე გაიფურჩქნა და განმტკიცდა ხალხთა მეგობრობა საბჭოთა კავშირში, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ერთერთ ძლიერების წყაროს.

ამხანაგ სტალინის შრომები ნაციონალური საკითხის შესახებ, წარმოადგენს მასრ იარაღს ნაციონალიზმისა და რასიზმის რეაქციური თეორიების წინააღმდეგ ბრძოლაში, იგი ფასდაუღებელ სამსახურს უწევს კოლონიური ქვეყნების შრომელ მასებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ ამხანაგი სტალინი იძლევა ლენინური მოძღვრების ჩამოყალიბებას და განვითარებას სტრატეგიისა და

ტაქტიკის შესახებ, როგორც მეცნიერებისა პროლეტარიატის ხელმძღვანელობის შესახებ. მასში თეორიულად განზოგადებულია პროლეტარიატისა და მისი პარტიის ბრძოლების მდიდარი გამოცდილება. „სტრატეგიას, — სწერს ამხანაგი სტალინი, — საქმე აქვს რევოლუციის ძირითად ძალებთან და მათ რეზერვებთან. ის იცვლება რევოლუციის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლასთან დაკავშირებით და ძირითადად უცვლელი რჩება ერთი ეტაპის მთელ პერიოდში“ (გვ. 70), ხოლო ტაქტიკა, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, არის სტრატეგიის ნაწილი და ექვემდებარება მას. „ტაქტიკას საქმე აქვს პროლეტარიატის ბრძოლის ფორმებთან და ორგანიზაციის ფორმებთან, მათ შეცვლასთან. მათ შეხამებასთან. რევოლუციის მოცემული ეტაპის საფუძველზე ტაქტიკა შეიძლება შეიცვალოს რამდენჯერმე, რევოლუციის მოზღვაებისა თუ წაზღვაების, რევოლუციის აღმავლობისა თუ დაცემის მიხედვით“ (გვ. 71).

პროლეტარიატის ბრძოლის მთლიანი სტრატეგია და დამუშავებული ტაქტიკა, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, შესაძლებელი გახდა გამოუმუშავებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, როცა ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარული რევოლუციის საკითხი პირდაპირი პრაქტიკის საკითხად გადაიქცა. და სწორედ ამ პერიოდში ლენინმა აღადგინა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების მიერ დასამარებული მარქსისა და ენგელსის აზრები სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ „შემდგომ განავითარა და შეავსო ახალი აზრებით და დებულებებით და გაერთიანა ყოველივე ეს წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების სისტემად. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის“ (გვ. 68). შემდეგ ამხანაგი სტალინი იძლევა ჩვენი რევოლუციის ეტაპების მიხედვით სტრატეგიული და

ტაქტიკური ხელმძღვანელობის საკითხების გენიალურ განსაზღვრას, აშუქებს რევოლუციის ეტაპებს და სტრატეგიას, მოძრაობის მოზღვავენას და წაზღვავენას და მასთან შესაბამისად ტაქტიკის ცვლილებებს, რევოლუციური ტაქტიკის განსხვავებას რეფორმისტული ტაქტიკისაგან.

ამრიგად ამხანაგი სტალინის მიერ შემუშავებული დებულებები სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ აიარაღებდა ჩვენს ხალხს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, დიდ სამამულო ომში ფაშისტ აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში და აიარაღებს ამჟამად ყველა ქვეყნის კომუნისტებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშრომელთა გასათავისუფლებლად.

შრომში „ლენინიზმის საფუძვლები შესახებ“ გაშუქებულ საკითხთა შორის დიდი ადგილი უკავია პარტიის საკითხს. ამხანაგი სტალინი აქ აყალიბებს ლენინურ მოძღვრებას პარტიის შესახებ და ანეითარებს მას სოციალისტური მშენებლობის ვითარებაში. როგორც ცნობილია, მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს ძირითადი მონახაზები პროლეტარიატის პარტიის შესახებ. ხოლო ლენინმა განავითარა მარქსიზმი შემდგომ; „მარქსიზმის ისტორიაში პირველმა შეიმუშავა მოძღვრება პარტიაზე, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელ ორგანიზაციაზე, როგორც პროლეტარიატის ხელში ძირითად ორგანოზე“ (საქ. კ. ბ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 67).

ამხანაგი სტალინი პრინციპულად ანსხვავებს ძველი, II ინტერნაციონალის პარტიებისაგან, ახალი ტიპის მარქსისტულ-ლენინურ პარტიას, არკვევს ახალი ტიპის პარტიის — ლენინიზმის პარტიის წარმოშობის პირობებს და გენიალურად აყალიბებს ახალი ტიპის

პარტიის — ლენინიზმის პარტიის თავისებურებებს.

ბოლშევიკური პარტიმანქნაწარმოებულ ლეველობა იმაშია, რომ იგი არის მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, მისი ორგანიზებული რაზმი, მისი პოლიტიკური ბელადი და საბრძოლო შტაბი, რომ იგი განუყოფლად დაკავშირებული ხალხის ფართო მასებთან, რომლებიც ჩვენს პარტიას სთვლიან თავიანთ პარტიად, ახლოზე და მშობელი ოფრ პარტიად, რომლის გაფართოებასა და განმტკიცებაში ისინი უადრესად არიან დაინტერესებულნი და რომლის ხელმძღვანელობასაც ისინი ნებაყოფლობით ანდობენ თავიანთ ბედს“ (გვ. 68). ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ ჩვენი პარტია არის მუშათა კლასის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, პროლეტარიატის დიქტატურის იარაღი, ბოლშევიკური პარტიის ძალა მისი ნებისყოფის ერთიანობაშია, რაც შეუთავსებელია ფრაქციების არსებობასთან, იგი მტკიცდება იმით, რომ სწმენდს თავის რიგებს ოპორტუნისტული ელემენტებისაგან.

ამხანაგმა სტალინმა სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკაში ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობის ღრმად განზოგადოების საფუძველზე ახალ მაღალ სიმაღლეზე აიყვანა პარტიის როლი და მნიშვნელობა, როგორც ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალისა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში. ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები — მოძღვრება პარტიის პოლიტიკურ ხაზსა და ორგანიზაციულ მუშაობის ურთიერთობის, კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და განაწილების მეცნიერული ორგანიზაციის. შესრულების შემოწმების ბოლშევიკური ორგანიზაციის. ბოლშევიკური სიფ-

ზიზლის, ბოლშევიზმის დაუფლების და სხვ. საკითხებში.

საბჭოთა ხალხმა მიანდო თავისი ბედი ბოლშევიკურ პარტიას, რომელმაც გამოატარა ჩვენი ხალხი სამი რევოლუციის ქარცეცხლში, დაამხო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა, შექმნა ახალი სოციალისტური სახელმწიფო, უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში და გაბედულად მიიყვანა ჩვენი ქვეყანა სოციალიზმიდან კომუნიზმში.

25 წელი შესრულდა ჩვენს ხალხს, რაც დაიწერა გენიალური ნაშრომში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“. იგი ვახდა ჩვენი კადრების იდეური გამოწრთობის უმძლავრესი იარაღი, იგი შეიცავს ფასდაუდებელ იდეურ სიმდიდრეს, რომელიც აიარაღებდა და აიარაღებს ჩვენს პარტიას და საბჭოთა ხალხს ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვების საქმისათვის ბრძოლაში.

ლ. გოგილაძე

## მარქსიზმის თეორიის რევიზიის ცდების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში

(1906—1907 წლებში)

★

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, საზოგადოებრივი და პოლიტიკური რეაქციის წლებში, ფილოსოფიური საკითხები ერთერთ პირველ ადგილს იკავებენ.

მარქსიზმის ფილოსოფიურ მხარისადმი ინტერესის გაძლიერება, როგორც ლენინი მიუთითებდა, გაპრობებული იყო, როგორც ჩვენში შექმნილი ისტორიული პირობებით. ისე საერთაშორისო ვითარებით.

ერთის მხრე, — რუსეთის პროლეტარიატა რევოლუციის წლებში საცხებით მომწიფდა, როგორც რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი, ამიტომ სრულიად ვასაგებია, რომ იგი რევოლუციის წაზღვევების პირობებში, იძულებითი მყუდროების დროს, ფილოსოფიურ საკითხისადმი დიდ ინტერესს იჩენს.

აქ განსაკუთრებით ისიც არის აღსანიშნავი, რომ შეცნეირებამ, უწინარეს ყოვლისა ბუნებისმეტყველებამ, წამოაყენა მრავალი ახალი, მნიშვნელოვანი და არსებითი საკითხი, რომელიც მატერიალისტურ განზოგადობას მოითხოვდა.

მეორეს მხრე, რეაქცია ხარბად დაეწაფა რელიგიასა და წერილმან უხამს იდეალიზმს, როგორც სულიერ იარაღს

რევოლუციის წინააღმდეგ. აგენარიუსი და მახი და მათი რუსი ფილოსოფიური მოწაფეები — ბოგდანოვი, იუშევეჩი, ბაზაროვი, ვალენტინოვი ცდილობდნენ მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის დასაპირისპირებლად მოეცათ დახვეწილი და შელამაზებული იდეალიზმი.

მოდური მწერლების მთელი ზრავა მადლობას უცხადებს ცარიზმს რევოლუციის დათრგუნვისათვის. მლიქვნელობს და მონურად ქედს იხრის მის წინაშე, ზოტბას ასხამს გამცემლობას და სქესობრივ ვარყენილებას, ქადაგებს ახალი რელიგიის შექმნის საჭიროებას, გააფთრებით იბრძვის მარქსიზმისა და რევოლუციის წინააღმდეგ. მათი მიზანი საერთო იყო: ჩამოეშორებიათ მასები რევოლუციისაგან და ლახვარი ჩაცათ რევოლუციისათვის.

იდეოლოგიურ ფრონტზე კონტრ-რევოლუციის შეტევაში, მარქსიზმის თეორიული საფუძვლების წინააღმდეგ ლაშქრობაში ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესაც ჩაება. იგი დაუკავშირდა რეაქციის საერთო ლაშქრობას რევოლუციის წინააღმდეგ-ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ფედერალისტები, ანარქისტები, ლიკვიდატორები და ყველა და ყოველ-

გვარი ნაციონალისტები, რევოლუციის ამკარა მტრების ბანაკში გადაბარგდნენ. ისინი ცდილობდნენ შეგუებოდნენ სტოლინის რეაქციას, შეთვისებოდნენ მეფის თვითმპყრობელობას. მათი სურვილი იყო საქართველოს შრომელი მასები გადაეცინათ რევოლუციური გზიდან, ჩამოეშორებიათ რევოლუციისაგან და სახელი გაეტეხათ პროლეტარიატის რევოლუციური პარტიისათვის.

რევოლუციური აღმავლობის დროს ბურჟუაზიისა და წერილბურჟუაზიის წრიდან რევოლუციის რიგებში მოსული რევოლუციის თანამგზავრები როცა ცარიზმი რევოლუციის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა, რევოლუციის ამკარა მტრების ბანაკში გადაბარგდნენ. მათ დრო იხელთეს და დაწყებული რეაქციით გულგამაგრებულნი გაპყვიროდნენ: დადგა დრო მარქსისტული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლისათ.

მათ შესახებ, „კულქიციან ბურჟუაზიის“ ამ „პოლიტიკურ ქაშელეონების“ შესახებ ამხანაგი სტალინი წერდა: „დრო იყო, როცა პროლეტარიატის პარტია ქუხდა და ქვეყანას არყევდა. როგორ იქცეოდნენ მაშინ ეს ანარქისტ-ფედერალისტ-არაფრისტები? ისინი შურით უყურებდნენ ამ პარტიას, ნატრობდნენ მის ბედს და კუთხებში მიმალულნი, ჩუმად ტაშს უკრავდნენ. რატომ იქცეოდნენ ასე? იმიტომ, რომ მაშინ ასე უჯობდათ, მოგხსენებთ, გამარჯვებულის გალანძღვა არც ისე ადვილი ვასაბედია. დღეს კი, როცა რეაქციის ქარმა დაპებრა და ჩარხი უკულმა აატრიალა, — ამ ვეპაპონებს ფერი უცვლიათ და თავდავიწყებით ლანძღავენ იმავე პროლეტარიატის პარტიას. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ დღეს ასე უჯობთ — რციან, რომ „შერჩებათ“ ეს ბინძური დემაგოგია და მამ რა ქნან, თუ არ იყიდონ“ (იხ. ლ. ბერიძე. „ამიერკავ-

კასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“). ქართული ბურჟუაზიული-ნაციონალისტური პრესა იდეალისა და მიზნის დავიწყებისკენ მოუწოდებს და „პატარა საქმეთა ფილოსოფიას“ ქადაგებს, სიკვდილის აპოლიგეტიკით გამოდის და „უმაღლეს, უზუნაეს ძალეებისადმი“ რწმენის აუცილებლობაზე მიუთითებს, ამტკიცებს ქართული საზოგადოებრივი აზრი მატერიალისტურმა თვალთახედვამ სწორ გზას აადინაო და „მატერიალიზმის წინააღმდეგ იდეალისტური აზროვნების წამოყენებას“ მოითხოვს.

ქართველი ბურჟუაზიული ნაციონალისტების იდეური ბელადი არჩ. ჯორჯაძეც ამ წლებში დაცემულობამ. რწმენის უქონლობამ, და პესიმიზმამ მოიცვა. იგი იშველიებს ინდოეთის მისტიკურ ფილოსოფიას და ადამიანის სიცოცხლის ტრაგიზმს იმაში ხედავს. რომ „სიკვდილი გაუგებარი მოვლენაა“ და რომ „სიცოცხლეს ფასი და აზრი არა ჰქონია“.

სოციალ-ფედერალისტები და ქართველი ანარქისტები მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს უბირისპირებენ მოღერი ფილოსოფიური სისტემების გლეპტიურ ნარევს. მათ ნაწიერებში ყველაფერია: ოსტვალდის ენერგეტიკა, ემპირიოკრიტიციზმი, ემპირიომონიზმი, ნეოკანტიანიზმი, ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმი, ძალმომკრობის თეორია, სპენსერის ორგანიული თეორია და სხვა ძველი და ახალი „თეორიები“. ყველა ისინი მოღერი ფილოსოფიური სისტემების მექანიკურ გაერთიანებას ცდილობენ და შეურთებულ შინაგან წინააღმდეგობაში ვარდებიან. ყველა მათთვის დამახასიათებელია: უარყოფა მატერიალიზმისა და დიალექტიკისა და რეაქციურ მეტაფიზიკურ, სუბიექტური-იდეალისტურ შეხედულებათა თავგამოდებული დაცვა.

ფედერალისტების პუბლიცისტი გაზ.





„ისარში“ იმოწმებს კორნელიუსის ფილოსოფიის შესავალს“ და ამტკიცებს, რომ „ჩვენი წარმოდგენანი სუბიექტური ხასიათისაა“ და რომ „ჩვენ არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ის, რაც ამ წარმოდგენათა გარეშე სდგას“.

„ამირანის“ პუბლიცისტმა სინამდვილე აღამიანის სუბიექტურ წარმოდგენად გამოაცხადა: „ქვეყანა არსებობს სუბიექტური შუქით განათებული და იმის სინათლეზე გარდაქმნილი და შემუშავებული“.

„სრომის“ პუბლიცისტი იმოწმებს ბოგდანოვის „საზოგადოების ფსიხოლოგიიდან“ და იმას ამტკიცებს, რომ ყოფიერებასა და ცნობიერების დაბირისპირება შეუძლებელია, „რადგან თვით საზოგადოებრივი ყოფა წარმოდგენელია გარეშე სოციალური ცნობიერებისაო“.

1906—1907 წლებში ფედერალისტთა რიგებში პარტიის პროგრამის გამოუმუშავებასთან დაკავშირებით დიდ შეხლაშემოხლას ჰქონდა ადგილი. კამათი ფილოსოფიურ საკითხებსაც შეეხო.

ერთნი ფსიქოფიზიკურ პარალელიზმს იცადენენ, მეორენი ნეოკანტიანურ შეხედულებებს აყენებდნენ, სხვები კიდევ პარტიის პროგრამის ფილოსოფიურ საფუძვლად ოსტვალდის ენერგეტიკას აცხადებდნენ.

სოციალ-ფედერალისტების მსგავსად ქართველი ანარქისტებიც ეკლექტიკურ, იდეალისტურ შეხედულებებს ქადაგებდნენ. Baton-ი ამტკიცებდა, რომ აღამიანის ცნობიერება წინ უძღოდა საწარმოო ძალთა განვითარებას. მიზეზია მისი და არა შედეგი. იგივე ავტორი სხვა ადგილას, წერდა, რომ მსოფლიოს, საზოგადოების, აღამიანის სიცოცხლის და ცხოვრების პროცესები „მხოლოდ ენერჯის პროცესებია, — როგორც ამბობს ოსტვალდი“. იქვე, იგი იმოწმებს მახს და ამტკიცებს — მეცნიერება მიზეზობრიობაში არა ახსნას, არამედ უბრალო აღწერას ხედავსო.

ასეთია სოციალ-ფედერალისტებისა და ქართველი ანარქისტების რეალ-ფილოსოფიური მარქსისტული რეაქციული ფილოსოფია ის იარაღი იყო, რომლითაც აღპურვილი ეს ვაებატონები მარქსიზმისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

საქართველოში მარქსიზმისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ განსაკუთრებით გააფრთხილეს ანარქისტები იბრძოდნენ. ისინი დიდად გააქტიურდნენ 1906 — 1907 წლებში, როცა რევოლუციის აღმავლობა, რევოლუციის დაღმავლობამ შესცვალა.

საქართველოს მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული შემადგენლობა ერთგვარ სოციალურ ბაზას უქმნიდა, არა მარტო აშკარა ოპორტუნიზმს, არამედ ამავე დროს „შემარცხენე“ ფრაზის, წვრილბურჟუაზიულ რევოლუციურობას, რომელმაც თავისი გამოხატულება ანარქიზმში ნახა.

წვრილი მესაკუთრე — სოციალურ ტიპი, რომელიც საქართველოში რევოლუციამდე ასე ფართოდ და მასობრივად იყო წარმოდგენილი კაპიტალის ყოვლისშემძლეობის, ცარიზმის დესპოტიზმის და რუსული ნაციონალიზმის აგრესიულობის პირობებში, განიცდიდა რა უაღრესად მწვავე ჩავვრას, ადვილად გადადიოდა უკიდურეს რევოლუციურობაზე, მაგრამ გაურბოდა მტკიცე პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლის მოთხოვნებს. ასეთ „რევოლუციურობას“ ახასიათებს: „მერყეობა და უნაყოფობა, თვისება მორჩილებაში, აპათიასა და ფანტასტიკაში უცხად გადასვლისა, „ცოფმორეული“ გაიტაცებაჲ კი ამათუიმ ბურჟუაზიული „მოღური“ მიმდინარეობით“ (ლენინი).

საქართველოს ისტორიული ვითარების სხვაობამ ერთგვარი თავისებურება შექმნა: ჩვენში თითქმის სრულიად არავითარი გაუღენა არ ჰქონიათ არც ესე-

რებს, და სხვათაშორის, არც კადეტებს, მაშინ, როდესაც ანარქისტებმა ერთგვარ წარმატებას მიიღწიეს დეკლასირებულ და წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს შორის, ხოლო სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელ ნაციონალისტურ, ბურჟუაზიულ და თავადაზნაურულ ინტელიგენციაში ნახეს თავიანთი დასაყრდენი.

ანარქიზმი წარმოადგენდა მუშათა კლასის რიგებში მოქმედ წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობას, რომელიც უარყოფდა პროლეტარიატის დიქტატურას, დამოუკიდებელ მუშათა პარტიას და მუშათა კლასის მონაწილეობას პოლიტიკურ ბრძოლაში. ქართველი ანარქისტები ამავე დროს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პოზიციებზე იდგნენ. ანარქიზმი ოპორტუნისმის სახესხვაობაა, რომელიც მიუხედავად „რევოლუციური“ და „სოციალისტური“ ფრაზეოლოგიისა, თავდაპირველად მომხრე იყო კაპიტალიზმის შენარჩუნებისა, ხოლო მერე, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ—კაპიტალიზმის აღდგენისა.

ქართველი ანარქისტების თეორიული ვარჯიშობანი დამახასიათებელია იმდროინდელი სულიერი რეაქციისათვის საქართველოში. მათ მაგალითზე უკეთ შეიძლება ვიმსჯელოთ ჩვენში მარქსიზმის თეორიის რევიზიის უილაჯო ცდებისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, უშედეგო, დონკიხოტურ ლაშქრობათა შესახებ.

ქართველი მარქსისტების წინაშე იდგა ამოცანა, ანალოგიური იმ ამოცანისა, რომელიც ამ დროს რუსეთში დადგა—მარქსიზმის მტრების გამოძლევა, მათი იდეური განადგურება და ამასთან ერთად მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვა.

ცნობილია, რომ ამ უაღრესად სერიოზული ისტორიული ამოცანის შეს-

რულება ვერ შესძლო მარქსიზმის ცნობილმა თეორეტიკოსმა ვლადიმერ ილიჩმა გ. პლენარულმა კონგრესმა (იგი დაწყდა იანვარში 1903 წელს) და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მარქსისტული პარტია დაიშალა რამდენიმე ფელეტონური ხასიათის წერილის გამოქვეყნებით. ამავე დროს მან თვით დაუშვა მთელი რიგი პრინციპული ხასიათის შეცდომები (იეროვლიფების თეორიის წამოყენება, ცდის იდეალისტური გაგება, მახიზმისა და თანამედროვე იდეალისტურ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შორის კავშირის არსებობის უგულველყოფა და სხვ) და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია: პლენარული მახიზმის უარყოფას იმდენად არ ცდილობდა, რამდენადაც თეორიული უთანხმოების წერილმანად და უბადრუკად გამოყენებას, იმისათვის, რომ ფრაქციული ზიანი მიეყენებია ბოლშევიკებისათვის.

ხედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ ამოცანის შესრულებას, რასაც პლენარულმა კონგრესმა ვერ გაბედა სერიოზულად შესვლოვანად, მით უმეტეს ხელს ვერ მოჰქიდა მარქსისტული პარტიის მენშევიკები, რომლებიც არსებითად თვით არ იდგნენ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებზე.

ქართველი მენშევიკები სიტყვიერად აღიარებდნენ მარქსისტულ ფილოსოფიას, სინამდვილეში კი დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს ამახინჯებდნენ და აველგარებდნენ. ქართველი მენშევიკების მიერ მარქსისტული ფილოსოფიის სიტყვიერი აღიარება ფაქტიურად შენიღბვის ხასიათს ატარებს.

იმ დროს ფილოსოფიურ-თეორიული პრობლემების გარშემო გამართულ ცხარე ბრძოლაში, თუმცა ქართველმა მენშევიკებმა სცადეს მონაწილეობის მიღება, მაგრამ მათ თეორიის საკითხებში სრული უმწეობა გამოაშკარავეს. ქართულ მენშევიკურ პრესაში გამოქვეყნებული ფილოსოფიური ხასიათის წერილები უბრალო, სრულიად უმნიშვნელო ფელეტონური ხასიათის



ეკლექტიკური, უბეში შეცდომებით სახეს სტატიები იყო, რომელთაც არ შეიძლებოდა რაიმე სერიოზული მნიშვნელობა ჰქონოდათ.

ერთნი, მდგარნი ვულგარულ მატერიალიზმის პოზიციებზე სრულიად იფიჭებენ სულიერი მხარის მნიშვნელობას და საზოგადოებრივ ცხოვრების მრავალფეროვან სინამდვილეს მხოლოდ მატერიალურ პირობებით ხსნიან, მეორენი პირიქით, ისტორიული იდეალიზმის პოზიციებზე დგანან და სთვლიან, რომ „ფსიქოლოგიური ცვლილება წინ უსწრებს და წინამორბედობს ცხოვრების ცვლილებას“, სხვები კიდევ მარქსიზმს განიხილავენ, როგორც „ემპირიულ“ მეცნიერებას, რომელიც „არ კამათობს ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე“ და მხოლოდ „სოციალურ მოვლენათა ურთიერთობას იკვლევს“.

ქართული მეწვეიეების იდეურმა მეთაურმა ნ. ჟორდანიამ კი, რომელიც თავისთავს „მარქსიზმის ცნობილ თეორეტიკოსად“ სთვლიდა, ფედერალისტებთან კამათში, უარყო საზოგადოებრივი მოვლენების ბუნებისმეტყველურ-მეცნიერული სიზუსტით გარკვევის შესაძლებლობა, მომავლის მეცნიერული განკერტის შესაძლებლობა და არსებითად გაიზიარა ფედერალისტების მიერ მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რევიზიონიზმის არსენალიდან მოტანილი, ძველი, რევოლუციური მარქსისტების მიერ საკმაოდ დიდი ხნის წინათ მხილებული და დაგმობილი დებულება იმის შესახებ, რომ სოციალიზმი ეთიკური იდეალია და არა მეცნიერება.

ფედერალისტების პუბლიცისტი, რომელთანაც იგი კამათობდა, კმაყოფილებით აღნიშნავდა: ჟორდანიას „ჩვენ თანამოაზრე ყოფილა“.

ყოველივე ამის შემდეგ სრულიად გასაგებია, თუ რა პრინციპული ბრძოლა უნდა გაემართათ ქართველ მეწვეიე-

ებს მარქსისტული ფილოსოფიის დასაცავად.

1907 წელს კავკასიელ მეწვეიეებმა შეშების ერთმა ჯგუფმა წერილით მიმართეს ა. ბოგდანოვს; თქვენ პლენარული მარქსიზმის მტრობას გაბრალებთ და რატომ პასუხს არ აძლევთ. ბოგდანოვი თავის პასუხში მათ თხოვდა: აიძულეთ პლენაროვი, იდეალიზმში რომ მდებებს ბრალს, საბუთები წარმოადგინოს.

ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ კავკასიაში ზოგიერთი რიგითი სოციალდემოკრატი არასაკმაოდ იყო გარკვეული იდეოლოგიურ ფრონტზე გამართულ ბრძოლაში. მით უფრო საშიში იყო ქართველი მეწვეიეების პოზიცია ბრძოლაში. მათი ორგულური მოქმედება შენიღბულად მარქსიზმის თეორიის წინააღმდეგ ლაშქრობაში ჩაბმას ნიშნავდა.

ქართულ მეწვეიეურ პრესაში სრულიად თავისუფლად იბეჭდებოდა მახისტური ხასიათის წერილები. ქართული მეწვეიეების გარკვეული ნაწილი ზოგნი ამკარად, ზოგნი კი ფარულად მახიზმის დამცველებად გამოდიან.

ერთნი მახიზმის ამკარა დამცველები, ქართველ მეწვეიეკთა ბანაკიდან, ცდილობდნენ მარქსიზმში ახალ სიტყვად გაესაღებინათ ემპირიოკრიტიციზმი და ემპირიოზონიზმი. მეორენი კი, რომლებიც ორგულურად თავისთავს მარქსისტებად სთვლიდნენ, თვალთმაქცურად აცხადებდნენ: „ჩვენ ჯერ არ ვიცით ცალ-ცალკე არსებობენ მატერია და ენერგია, თუ ერთი-მეორესაგან გამომდინარეობენ. ერთი არსება თუ ორი... მონიზმი თუ დუალიზმი... მატერიალიზმი თუ იდეალიზმი?“ თურმე ნუ იტყვით, ამ დროს ჯერ კიდევ გაურკვეველი ყოფილა ბუნებისმეტყველებაში ახალ აღმოჩენათა საფუძველზე, რომელ მიმდინარეობას ეცლება საფუძველი და რომელი საბუთდება.

ქართველი მეწვეიეებისათვის მიუ-

წვდომელი დარჩა მახისტების წინააღმდეგ ლენინის გამოსვლის ისტორიული მნიშვნელობა. ისინი ფრაქციული ბრძოლით გაბორცებულნი, ყოველნაირად ცდილობდნენ დაემციერებიათ ლენინის შესანიშნავი წიგნის: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ მნიშვნელობა.

ასე „იციადნენ“ ქართველი მენშევიკები მახისტების თავდასხმისაგან მარქსის ფილოსოფიურ მატერიალიზმს. ასეთი „დაცვა“ ბევრად უფრო საშიში იყო, ვიდრე მისდამი ამკარა მტრობა.

ასეთივე ორგულური და თვალთმაქცური, უილაჯო და უბადრუკი იყო მენშევიკების გამოსვლა ქართველი ანარქისტების წინააღმდეგაც. მენშევიკები დაკმაყოფილდნენ საერთოდ ანარქიზმის ზერეღე, აბსტრაქტული კრიტიკით.

ანარქიზმის თანმიმდევრული მარქსისტული განხილვა ვერც პლეხანოვმა შესძლო. მან, ჯერ კიდევ 1894 წელს ანარქიზმის კრიტიკას უძღვნა ბროშურა „ანარქიზმი და სოციალიზმი“. პლეხანოვის შრომა შეიცავს საინტერესო მასალას ანარქიზმის ისტორიიდან. მაგრამ, როგორც ლენინი აღნიშნავდა, გარდა იმისა, რომ პლეხანოვის შრომა ანარქისტების შესახებ არ არის ფილისტერულ აზრებისაგან თავისუფალი, მასში დავიწყებულია ყველაზე უფრო არსებითი საკითხი — საკითხი სახელმწიფოს შესახებ. პლეხანოვმა ვერ შენიშნა, რომ სოციალისტებსა და ანარქისტებს შორის მთავარი განმასხვავებელი არის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების საკითხი.

რაც შეეხება ანარქისტების წინააღმდეგ 1906 წელს კაუცკის გამოსვლას, იგი იმდენად ბუნდოვანი და საეჭვო იყო, რომ ერთგვარი საბაზიკო მისცა ე. ჩერქეზიშვილს მარქსიზმის წინააღმდეგ გამოსულიყო ახალი ცილისწამებლური მყვირალა სათაურის მქონე სტა-

ტიით: „ბოლოს მაინც გამოტყდნენ (პასუხად კაუცკის)“.

ახალი ისტორიული მკვლევარებმა კარნახებ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგინდა ანტიმარქსისტული მიმდინარეობის ყოველმხრივი კრიტიკა და მარქსიზმის ისეთი თანმიმდევრული გადმოცემა, როგორც ეს მოცემული იყო ენგელსის „ანტი-დუერინგში“ და როგორც ეს შემდეგ ლენინმა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმში“ მოგვცა. ქართველი ანარქისტების კრიტიკა არსებითად მხოლოდ საბაზი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში მოეცათ ახალი ისტორიული ვითარების განზოგადოების საფუძველზე ახალი დებულებებით და დასკვნებით გამდიდრებული მარქსიზმის მთლიანი, პოზიტიური დახასიათება.

ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა ი. სტალინის განთქმულმა შრომამ „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, რომელიც 1906—1907 წლებში სტატიების სახით ქართულ ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში გამოქვეყნდა.

ამ სტატიებში ამხანაგის სტალინი ავითარებს მარქსისტულ მოძღვრებას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველის შესახებ. იგი უდიდესი სიღრმით ამუშავებს სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობისა და გარდუვალობის საკითხს, მებრძოლი პროლეტარული პარტიის აუცილებლობის საკითხს, აგრეთვე მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოცანებს. ეს ნაშრომები წარმოადგენენ პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრი-



ვი ბ რ ძ ო ლ ი ს ს ა ა რ ს ე ბ ო  
 ა მ ო ც ა ნ ე ბ თ ა ნ მ ა რ ქ ს ი ზ მ -  
 ლ ე ნ ი ნ ი ზ მ ი ს თ ე ო რ ი ი ს  
 ღ რ მ ა ს ა ე ი თ ხ ე ბ ი ს დ ა კ ა ვ -  
 შ ი რ ე ბ ი ს ნ ი მ ე უ შ ს“ (ლ. ბერიძე.  
 „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანი-  
 ზაციების ისტორიის საკითხისათვის“).

ამხანაგ სტალინის შრომაში მხილ-  
 ბული და იდეურად განადგურებულია  
 ქართული ანარქისტები და მათ მაგა-  
 ლითზე საერთაშორისო ანარქიზმი. „ან-  
 არქიზმი თუ სოციალიზმი“ გამოაშკა-  
 რეებულია მეტაფიზიკურობა და სუ-  
 ბიექტივიზმი ანარქიზმისა, რომელმაც  
 სოციალისტური საზოგადოების საფუ-  
 ძვლად ერთხელ და სამუდამოდ განსაზ-  
 ღვრული, უცვლელი სამართლიანობა  
 გამოაცხადა და პიროვნების თავისუფ-  
 ლება მასის განთავისუფლების აუცი-  
 ლებელ წინაპირობად აღიარა. შრომა-  
 ში ნაჩვენებია, რომ ანარქისტები არ  
 არიან არც ნამდვილი სოციალისტები  
 და არც ნამდვილი რევოლუციონერები,  
 ენიდან ისინი თემებად დაქუცმაცე-  
 ბულ სოციალიზმს ქადაგებენ და პრო-  
 ლეტარიატის დიქტატურას უარყოფენ.

ი. სტალინის „ანარქიზმი თუ სოცი-  
 ალიზმი?“ ლენინის „მატერიალიზმი და  
 ეპიკრიტიკიტიკიზმთან“ ერთად, ამჟე-  
 ღროს გამანადგურებელი პასუხია ყვე-  
 ლა იმათ მიმართ, რომლებიც ორგულუ-  
 რად და თვალთმაქცურად თავის-თავს  
 მარქსისტებად სთვლიდნენ და შენიღ-  
 ბულად მარქსიზმის დაცვისა და „გა-  
 უმჯობესების“ დროშით მარქსიზმის  
 წინააღმდეგ იბრძოდნენ.

მაგრამ ამხანაგ სტალინის „ანარ-  
 ქიზმი თუ სოციალიზმი?“ წარმოადგენს  
 არა მარტო იმათ კრიტიკას, რომლებიც  
 მარქსიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ,  
 არამედ ამასთან ერთად მარქსიზმის,  
 როგორც თეორიულ-ფილოსოფიურ ისე  
 სოციალ-პოლიტიკურ და ტაქტიკურ-  
 ორგანიზაციულ საკითხების დაცვასა  
 და განვითარებას.

შრომაში „ანარქიზმი თუ სოცია-  
 ლიზმი?“ მოცემულია რეკონსტრუქცია  
 მარქსიზმის პრინციპებზე და მისი  
 ბით, სრულიად ახალი, ორიგინალური  
 გაშუქება მთელი რიგი ფილოსოფიურ-  
 თეორიული და შეცნეურულ-ისტორი-  
 ული საკითხებისა (ახლის უძლეველო-  
 ბის, მატერიალურისა და იდეალურის,  
 ფორმისა და შინაარსის, მოწინავე  
 იდეების როლისა და სხვ.).

ამასთან დაკავშირებით აი რამდენ-  
 ნიმე ამონაწერი ამხანაგ სტალინის  
 ნაშრომიდან.

ახლის უძლეველობის შესახებ:

„ის, რაც ცხოვრებაში იბადება და  
 დღით-დღე იზრდება, — უძლეველია,  
 მისი წინმსვლელობის შეჩერება შე-  
 უძლებელია. ესე იგი, თუ, მაგალითად,  
 პროლეტარიატი იბადება როგორც კლასი  
 და დღით-დღე იზრდება, რაც უნდა  
 სუსტი და მცირერიცხოვანი იყოს ის  
 დღეს, ბოლოს მაინც გაიმარჯვებს.  
 რატომ? იმიტომ, რომ ის იზრდება, მა-  
 ტულობს და წინ მიდის. პირიქით, ის,  
 რაც ცხოვრებაში ბერდება და სამარის-  
 კენ მიეკანება, — აუცილებლად უნდა  
 დამარცხდეს, თუნდაც რომ ის დღეს  
 ბუმბერაზ ძალას წარმოადგენდეს. ესე  
 იგი, თუ, მაგალითად, ბურჟუაზია თან-  
 დათან ნიადაგს კარგავს და ყოველდღი-  
 ურად უკან მიდის, რაც უნდა ძლიერი  
 და მრავალრიცხოვანი იყოს ის დღეს,  
 ბოლოს მაინც დამარცხდება. რატომ?  
 იმიტომ, რომ ის იშლება როგორც კლასი,  
 ის სუსტდება, ბერდება და მეტო-  
 ბარგი ხდება ცხოვრებაში.“

აქედან წარმოსდგა ცნობილი დია-  
 ლექტიკური დებულება: ყოველივე ის,  
 რაც ნამდვილად არსებობს, ე. ი. ყო-  
 ველივე ის, რაც დღით-დღე იზრდე-  
 ბა, — გონიერია, ხოლო ყოველივე ის,  
 რაც დღით-დღე იშლება, — უგონოა  
 და, მასთანამე, დამარცხებას ვერ ასც-  
 დება“ (ი. სტალინი. თხზ. ტ. 1,  
 გვ. 280—281).

მატერიალურისა და იდეალურის,

როგორც ერთიანი, განუყოფელი მატერიალური სამყაროს ორი სხვადასხვანაირი ფორმის შესახებ:

„მარქსის მატერიალიზმის თანახმად, შეგნება და მდგომარეობა, იდეა და მატერია — ეს ორი სხვადასხვანაირი ფორმაა ერთი და იმავე მოვლენისა, რომელსაც, საერთოდ, რომ ვთქვათ, ბუნება ან საზოგადოება უწოდება. მაშასადამე, ისინი არც უარყოფენ ერთმანეთს და ამასთანავე არც ერთსა და იმავე მოვლენას წარმოადგენენ“ (იქვე, გვ. 298).

ფორმასა და შინაარსს შორის არსებულ წინააღმდეგობის შესახებ:

„საქმე იმაშია, რომ კონფლიქტი შინაარსსა და ფორმას შორის კი არ არსებობს საერთოდ, არამედ ძველ ფორმასა და ახალ შინაარსს შორის, რომელიც ახალ ფორმას ეძებს და მისკენ მიისწრაფის“ (იქვე, გვ. 298).

ყოფიერების პირველადობის და მისი შეცნობადობის შესახებ:

„რაც შეეხება იმას, თუ როგორ იბადება დღეს ჩვენს თავში სხვადასხვა წარმოდგენები და იდეები, უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მოკლედ იგივე მეორდება, რაც ბუნებისა და საზოგადოების ისტორიაში ხდება. აქაც ჩვენს გარეშე მყოფი საგანი წინ უსწრებს ჩვენს წარმოდგენას ამ საგანზე, აქაც ჩვენი წარმოდგენა, ფორმა, უკან რჩება საგანს, როგორც თავის შინაარსს“ (იქვე, გვ. 299).

როგორც ცნობილია მარქსი და ენგელსი მთავარ ყურადღებას, როგორც ეს თვით ენგელსმა აღნიშნა, მატერიალიზმის სახურავამდე დაშენების საკითხს აქცევდნენ. ეს იმიტომ, რომ მარქსამდელ სოციალოგიასა და ისტორიოგრაფიაში იდეალიზმი განუყოფლად ბატონობდა. მარქსმა უარყოფილად ბატონობდა. მარქსმა უარყოფილად ბატონობდა. მარქსმა უარყოფილად ბატონობდა. მარქსმა უარყოფილად ბატონობდა.

შეიცვალა ისტორიული ვითარება.

ახალ პირობებში უმთავრესად კაცობის იწვევდა არა ცნობიერების, არამედ ცნობიერების საკითხი, არამედ ცნობიერების საკითხი, არამედ ცნობიერების საკითხი. ეკონომისტებსა და მენშევიკებს, როგორც ვულგარულ მატერიალისტებს არ ესმოდათ იდეების მნიშვნელობა ისტორიაში.

მათთვის მიუწევდომელი დარჩა ახალი პირობებით ნაკარნახევი ამოცანები.

ცხადია, რომ მაშინ, როცა კაბიტალიზმის შედარებით მშვიდობიანი განვითარების პერიოდი, მუშათა მოძრაობის ობიექტური, სტიქიური მხარის მომწიფებისა და პროლეტარიატის მზადების ძველი პერიოდი, როცა რევოლუცია ჯერ კიდევ უშუალო პრაქტიკულ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, შეიცვალა ამკარა რევოლუციური შეტაკებების, პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლების პერიოდით, როცა რევოლუცია პრაქტიკულ აუცილებლად იქცა, მუშათა მოძრაობის სუბიექტურ მხარეს, პროლეტარიატის შეგნებულობას განსაკუთრებული როლი მიენიჭა. მუშათა კლასის შეგნებულობის მნიშვნელობა მით უფრო გაიზარდა დაწყებულ სახალხო რევოლუციის პერიოდში.

ამიტომ იყო, რომ ამხანაგი სტალინი ლენინის „რა ვაკეთოთ?“ გამოსვლის შემდეგ, ისევ დაუბრუნდა იდეოლოგიურ საკითხებს და მოგვცა მუშათა მოძრაობაში შეგნებულობისა და სტიქიურობის პრობლემის ყოველმხრივი განხილვა და დეტალური დამუშავება. ვის შეუძლია გამოიმუშავოს და ვინ გამოიმუშავებს სოციალისტურ ცნობიერებას — მეცნიერულ სოციალიზმს? რა როლი აქვს მის შემუშავებაში ერთი მხრივ მუშათა მოძრაობისა და მეორე მხრივ მეცნიერებას, როგორია მეცნიერული სოციალიზმის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ისტორია, როგორ შეიქრება მეცნიერული სოციალიზმი მუშათა კლასში? რას ხედება სოციალ-დემოკრატია თვით

პროლეტარიატში, როდესაც მასთან სოციალიზმის ქადაგებით მიდის? — აი რა საკითხების განხილვაზე ამხვეილებს ყურადღებას ამხანაგი სტალინი.

მარქსი წერდა, რომ კაცობრიობა ყოველთვის მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაჭრაც მას შეუძლია, რადგან თვით ამოცანა, მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მატერიალური პირობები მის გადაჭრისათვის უკვე არსებობენ. მას შემდეგ, რაც რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურმა პირობებმა საზოგადოებას ახალი ამოცანები დაუსახა, წარმოიშვებიან ახალი იდეები და შეხედულებები, რომლებიც ადვილდებიან დასახულ ამოცანის გადაჭრას. მათ გარეშე შეუძლებელია საზოგადოების წინსვლა, განვითარება. „ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები სწორედ იმიტომ წარმოიშვებიან, რომ ისინი აუცილებლად საჭირონი არიან საზოგადოებისათვის, რომ მათი მორგანიზებული, დამრჩაზმავი და გარდამქმნელი მეშაობის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებელი ამოცანების გადაჭრა“ (სტალინი).

შრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ მთავარ ადგილი დათმობილი აქვს საზოგადოებისა და მისი ისტორიის მარქსისტულ ახსნას. საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს მარქსისტული მსოფლმხედველობა და როგორ უნდა იქნას იგი გამოყენებული საზოგადოების ასახსნილად და პარტიის პრაქტიკულ მრღვაწიობაში, წარმოადგენს იმ ძირითად საკითხს, რომლისადმიც მიძღვნილია „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“

მაგრამ ავტორი არ იფიქრებს ბუნებისმეტყველების საკითხებს და შრომაში გვაძლევს ბუნების მეცნიერების მთელ რიგ არსებით პრობლემების მატერიალისტურ განზოგადოებას (სი-  
12. „მათი“ № 5.

ცოცხლის წარმოშობა, ცნობიერების განვითარება, მარქსიზმის ცნობიერების ბულება კიუვიესა და ჯიბრისის ცნობიერებასთან და სხვ.). შრომაში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ბუნების განვითარების ისტორია ძირითად არღვევს მეტაფიზიკასა და იდეალიზმს და ასახულებს დიალექტიკურ მატერიალიზმს.

ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ როცა „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ დაიწერა და გამოქვეყნდა, ჯერ კიდევ უცნობი იყო ენგელსის „ბუნების დიალექტიკა“ და გამოქვეყნებული არ იყო ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა მარქსიზმის კლასიკური განმარტება და არაჩვეულებრივი სიღრმითა და სიცხადით გვიჩვენა დიალექტიკურ მატერიალიზმსა და მეცნიერულ სოციალიზმს შორის არსებული განუყოფელი შინაგანი კავშირი.

„მარქსიზმი, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — არ არის მარტო სოციალიზმის თეორია, — ის მთელი მსოფლმხედველობაა, ფილოსოფიური სისტემაა, საიდანაც თავისთავად გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი. ამ ფილოსოფიურ სისტემას დიალექტიკური მატერიალიზმი ეწოდება“ (იქვე, გვ. 279).

ავტორი უპირისპირებს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს, ნათლზყოფს თუ რა ნიადაგზეა აშენებული დღევანდელი კაპიტალისტური საზოგადოება, რა ნიადაგზე იქნება აშენებული მომავალი კომუნისტური საზოგადოება და ასახულებს მარქსის პროლეტარული სოციალიზმის გარღვრვალობას. იქვეა ნაჩვენები ის გზა, რომელსაც უნდა დაადგეს პროლეტარიატი, რომ შეგნებულად განახორციელოს თავისი მიზანი: დაამზოს კაპიტალიზმი და ააშენოს სოციალიზმი.

ფედერალისტებმა გაილაშქრეს მარქსის მეცნიერული სოციალიზმის

წინააღმდეგ. მათ უარყვეს საზოგადოების კანონების შემეცნების შესაძლებლობა და სოციალიზმი გამოაცხადეს არსებითად მიუწვდომელ და განუხორციელებელ იდეალად.

ამხანაგი სტალინი მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მიუხედავად მთელი თავისი სირთულისა, შეცნობადია. საზოგადოებრივი მეცნიერების მონაცემები საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, ისეთივე ზუსტია, როგორც ბუნებისმეტყველების მონაცემები ბუნების განვითარების კანონების შესახებ. მეცნიერება საზოგადოების ისტორიის შესახებ გვაძლევს სარწმუნო მონაცემებს, რომლებითაც შეუძლიათ ისარგებლონ ადამიანებმა თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

მარქსი აღნიშნავდა, რომ ძველი წარმოდებითი ურთიერთობიდან ახალზე გადასვლის „გარკვევა ბუნებისმეტყველებრი-მეცნიერული სიზუსტით არის შესაძლებელი“. მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონები და მეცნიერულად დაამტკიცეს. კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის გარღვევალობა. საზოგადოებრივი განვითარების კანონების შეცნობის საფუძველზე მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი ოცნებიდან კაცობრიობის უკეთეს მომავალზე აქცეეს მეცნიერებად.

ამხანაგ სტალინის შრომაში ნაჭყენებია, რომ გულჩვილობაზე ან განყენებულ „სამართლიანობაზე“ ან კიდევ პროლეტარიატისადმი სიყვარულზე კი არა, არამედ შემდეგ მეცნიერულ საბოთრო აღმყარებულ მარქსის პროლეტარული სოციალიზმის გარდუვალობა: „რადგანაც წარმოების საზოგადო ხასიათს არ შეეფერება მითვისების კერძო ხასიათი, რადგანაც დღევანდელ კოლექტივისტურ შრომას აუცილებლად უნდა მოჰყვეს კოლექტიური საჭურვა, ამიტომ თავისთავად ცხადია,

რომ სოციალისტური წყობილება ისევე აუცილებლად მოჰყვება კარგად მოწყობილი როგორც დამეს დღე“ (იქვე, გვ. 309) ან ცნობილია, რომ ანარქისტები დაქუცმაცებულ ფართო სამრეწველო ბაზისის მოკლებულ თემურ „სოციალიზმს“ ქადაგებდნენ, მაშინ როდესაც სოციალიზმი თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ფართო ბაზისის ემყარება. კომუნისმის ეკონომიური საფუძველი არის მეურნეობის უფელაზე მოწინავე ფორმა: ცენტრალიზებული, მსხვილი საზოგადოებრივი წარმოება. სოციალისტური საზოგადოების ეკონომიურ საფუძველად დეცენტრალიზებული, ანარქიული წარმოების აღიარება ნიშნავს ნაბიჯის უკან გადადგმას, ნიშნავს ძველ, დაქუცმაცებულ, ჩამორჩენილ წარმოების ფორმასთან უკან დაბრუნებას.

ი. სტალინი წერდა: „კომპოტინის მოძღვრება, რომელიც ცალკე ქალაქებსა და თემებში ამწყველეს მომავალ სოციალიზმს. ეწინააღმდეგება წარმოების მძლავრ გაფართოებას,—ის ენებას მოუტანს პროლეტარიატს“ (იქვე, გვ. 310).

თეღერალისტები გაიძახოდნენ. მარქსიზმი იმით, რომ ისტორიულ აუცილებლობას აღიარებს „ან პესიმოზში ავღებს ადამიანს. ან კიდევ უმოქმედო ოპტიმიზში“ ცნობილი ძველი ცილისწამების განმეორება. მათზე ბევრად უფრო ადრე შტამლერი შენიშნავდა, რომ თუ სოციალიზმის დამყარება არის ისტორიული აუცილებლობა, მაშინ სრულიად ზედმეტია რევოლუციონერთა პრაქტიკული მოქმედება. რა საჭიროა ბრძოლა იმისთვის. რაც ისედაც აუცილებლად განხორციელდება.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისტორიული აუცილებლობა კი არ გამოირიცხავს, არამედ როგორც სწორად აღნიშნავს პლენანოვი, გულისხმობს ადამიანთა მოქმედებას. რევოლუციურია მოქმედება არის აუცილებელი რგოლი იმ აუცილებელ პირობათა ჯაჭვში, რომ-



მელთა მთლიანობაც აუცილებელს ხდის სოციალიზმის გამარჯვებას.

ისტორიული აუცილებლობა ადამიანთა მოქმედებაში იხატება და მით ზორციელდება. კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის ისტორიულ გარდუვალობის აუცილებელ პირობას პროლეტარიატის შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა წარმოადგენს. „პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა — ეს ის იარაღია, რომლის შემწეობითაც ის დაიპყრობს პოლიტიკურ ძალაუფლებას და შემდეგ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას მოახდენს სოციალიზმის დასამყარებლად“ (სტალინი).

ი. სტალინმა მარქსისა და ენგელსის შეხედულებები სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარული დიქტატურის, პროლეტარიატის პარტიის შესახებ, რომლებიც II ინტერნაციონალის თეორეტიკოსების მიერ დამაზინჯებელი და დავიწყებული იყო, მთლიანად აღადგინა და სინათლეზე გამოიტანა, ამავე დროს ამხანაგმა სტალინმა ახლეთარებაში, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი გამოცდილების, მასში განსაკუთრებით 1905 წ. რევოლუციის გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე მარქსის პროლეტარული სოციალიზმის განვითარება მოაწვია.

ანარქისტები ცილისწამებას მიმართავენ და ამტკიცებდნენ: მარქსიზმი უარყოფს ძალდატანებით რევოლუციას და აღიარებს მხოლოდ პარლამენტარიზმსა და ბრძოლის სხვა მშვიდობიან საშუალებებს.

ამხანაგი სტალინი მიუთითებს მარქსისა და ენგელსის შრომებზე („კომუნისტური მანიფესტი“, „ველნის პროცესი“, „რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში“, „წერილები ჟუგელმანიასადმი და სხვ.) და ნათლად გვიჩვენებს, რომ სწორედ მარქსმა და ენგელსმა პირველებმა წამოაყენეს და დაასაბუთეს პროლეტარული რევოლუ-

ციის გარდუვალობა. და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა.

„სოციალიზმის განსაზღვრელებლად, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — საქირთა სოციალისტური რევოლუცია, სოციალისტური რევოლუცია კი პროლეტარიატის დიქტატურით უნდა დაიყოს, ე. ი. პროლეტარიატმა უნდა ჩაიგდოს ხელში პოლიტიკური ძალაუფლება, რომ მისი შემწეობით ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია მოახდინოს“ (იქვე, გვ. 325).

ი. სტალინი იცავს და ასაბუთებს ბურჟუაზიული სახელმწიფოს დამსხვრევისა და მისი პროლეტარიატის დიქტატურით, პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფო შეცვლის აუცილებლობას. პროლეტარიატმა უნდა დაასხვრიოს ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა და დასხვრეული სახელმწიფო აპარატი შესცვალოს ახალი, პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფო მანქანით. ამხანაგი სტალინი დაწერილებით განიხილავს პარიზის კომუნის საქმიანობას და მიუთითებს, რომ „ვისაც უნდა გაიგოს, თუ რა არის პროლეტარიატის დიქტატურა მარქსისტების წარმოდგენით, ის უნდა გაეცნოს პარიზის კომუნას“ (იქვე, გვ. 345).

მოძღვრება პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურაზე მარქსიზმის იმ საერთო პრინციპს წარმოადგენს, რომლიდანაც „გამომდინარეობს სხვა დანარჩენი ტაქტიკური შეხედულებანი. გაფიცვებს, ბოიკოტს, დემონსტრაციებს, პარლამენტარიზმს, მხოლოდ იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ პროლეტარიატის დარაზმვას, მისი ორგანიზაციების განმტკიცება-გაფართოებას სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად“ (იქვე, გვ. 325).

მარქსისა და ენგელსის პროლეტარული სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშნების განიხილისას, ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით ჩერდება

პროლეტარული პარტიის ავცილებლობაზე და მიუთითებს, რომ ახალი ტიპის პარტია უნდა იყოს პროლეტარიატის კლასობრივი, რევოლუციური, ინტერნაციონალური ორგანიზაცია, რომელიც „შეგნებულ კლასად გადააქცევს პროლეტარიატს და უმთავრეს მიზნად დაისახავს კაპიტალისტური წესების განადგურებას, სოციალისტური რევოლუციის მომზადებას“ (იქვე, გვ. 326).

ამხანაგი სტალინი არაჩვეულებრივი ოსტატობით უკავშირებს მარქსიზმის თეორიას პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის საარსებო ამოცანებს. მაგალითისათვის შეიძლება აგვენიშნა 1905 წელს, რევოლუციური აღშავლობის შედეგად წამოპრილ ტაქტიკურ ამოცანების, აგრეთვე ნაციონალური საკითხის სწორი შემოქმედებითი მარქსისტული გადაწყვეტა, რაც მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის შემწეობით გახდა შესაძლებელი.

ეს მაგალითები ცხადყოფენ არა მარტო იმას, თუ დიალექტიკური მატერიალიზმს, როგორ უნდა უკავშირდებოდეს ამხანაგი სტალინი კლასობრივი ბრძოლის ურთულეს პრობლემების გადაწყვეტისას, არამედ აგრეთვე იმასაც, ამ გამოყენების პროცესში ახალი ისტორიული გამოცდილების განზოგადოების საფუძველზე, როგორ აწვითარებს და წინ სწევს მარქსიზმის თეორიას.

ამხანაგმა სტალინმა ყველა და ყოველგვარ ანტიმარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიცვა და განავითარა მარქსიზმის თეორიული საფუძველები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.

ი. სტალინის გენიალური ნაშრომი „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ლენინის უკედავ „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმთან“ ერთად წარმოადგენს ლენინ-სტალინის პარტიის თეორიულ მომზადებას.

მ. შანსაძე

## ერთი უსაუბრო პასუხის გამო

★

გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ მოთავსებულია წერილი, რომელიც ეხება ჟურნალ „მნათობის“ 1-ლ ნომერში დაბეჭდილ ჩემს რეცენზიას ვლ. ტატიშვილის წიგნზე „ქართველები მოსკოვში“. აღნიშნული წერილი ეკუთვნის ტატიშვილის წიგნის მთარგმნელს ივ. წულუკიძეს.

ამ წერილში უსაფუძვლოდ არის მიჩნეული ჩვენი შენიშვნები „ისტორიული ნარკვევის“ გამო, ამავე დროს ეჭვი არის შეტანილი იმ დასაყრდენი ღებულების „მეცნიერულობაში და პოლიტიკურ მიზანშეწონილობაში“, რომლის პოზიციებიდანაც შევადგათ ეს „ისტორიული ნარკვევი“.

ჩვენი რეცენზიის პასუხს ავტორი ინიტ იწყებს, რომ მე-16 საუკუნის ერთი ძეგლიდან იოანე მრისხანეს დროის საგარეო საქმეთა საგანგოს ინსტრუქციის ერთერთი ადგილი მოვიტანე, რომელიც რეცენზირებულ წიგნს არ ეხება და, რაც მთავარია, ამ ციტატის საფუძველზე მე თითქოს ყალბად ვაცხადებდე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის იმ მასალებს, რომელიც გამოყენებული აქვს ტატიშვილს თავის „ისტორიულ ნარკვევში“. ამ რუსული ციტატის გამო გაზეთის თითქმის მთელ სვეტზეა გამართული მსჯელობა და აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ამ ციტატის მოტანა საჭირო არ იყო, თითქოს იგი საკითხს ჩრდილს აყენებს.

ჩვენი რეცენზიის საბასუხო წერილმა კიდევ უფრო მეტად დაგვირწმუნა იმაში, რომ იქ, სადაც ვ. ტატიშვილის ნაშრომზე იქნება ლაპარაკი, იმ რუსული ციტატის მოტანა აუცილებელია. ასეთ საჭიროებას ამტკიცებს ის არსებითი ხასიათის შეცდომები და საქართველოს წარსულის აბუჩად იგდების ცდა, რომელიც ასე დამახასიათებელია ჩვენი რეცენზიის საბასუხო წერილისათვის.

რეცენზიის დასაწყისში იოანე IV დროის ძეგლიდან მართლაც მოვიტანეთ ერთი ადგილი: „Два года учинилась весть государю нашему, что Иверскую землю Кизылбаш воевал, и государь наш вельми о том скорбел до слез“. ეს სიტყვები უნდა განეხილავინა ინსტრუქციის მიხედვით იოანე მრისხანის ელჩებს პოლონეთის სამეფო კარზე სხვა დავალებასთან დაკავშირებით. ტატიშვილის წიგნში იოანე IV ხანაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ არის და მის წიგნს არ მივაწერთ იოანეს ცრემლების ღვრას. ამ ციტატის შემდეგ დავასკვნადით, რომ ისტორიკოსი ოფიციალური ხასიათის მიმოწერას არ უნდა დაენდოს, ოფიციალური მიმოწერა კრიტიკულად უნდა იქნეს შესწავლილი და განხილული, თორემ „მაშინ იოანე IV (მრისხანედ წოდებული) ყველაზე გულჩილადამიანიდ უნდა წარმოვიდგინოთ, რომელსაც საქართველოს უბედურებით თვალზე ცრემლი არ შემოივია“. ამ მა-



გალითი ემსჯელობდით და ახლაც ამას ვიმეორებთ, რომ ისტორიულ ნარკვევში არ შეიძლება არც ერთი ძეგლის კრიტიკული ანალიზის გარეშე გამოყენება, რა საკითხიც არ უნდა იჩინოდეს. არ შეიძლება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დოკუმენტების უკრიტიკოდ გამოყენება და მისი მხატვრული თხრობით „ისტორიული ნარკვევის“ წერა.

ისტორიკოსისათვის სავალდებულო ეს ელემენტარული დებულება იმას კი არ ამტკიცებს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ დოკუმენტალური თუ ნარატიული ხასიათის ძეგლები ყალბად არის გამოცხადებული. იოანე IV დროის ძეგლიდან რომ მაგალითი მოგვაქვს, ძეგლის კრიტიკულ ანალიზის აუცილებლობაზე ვლაპარაკობთ. თუ ამას არ გავაყვებთ და ძეგლს დავუჯერებთ, ყალბი სურათი წარმოგვიდგება. რატომ დაგვირდა ამხ. ტატიშვილის წიგნის განხილვის დროს იოანე IV მაგალითის მოტანა?

იმიტომ, რომ მიმოწერა საქართველოს მეფეებსა და რუსეთის მეფეებს შორის დიპლომატიური ხასიათისაა. ცნობილია, რომ ანტაგონისტურ კლასობრივი საზოგადოების სახელმწიფოები დიპლომატიურ ურთიერთობის დროს გარეგნული თავაზიანობის მქონე წერილებით ერთმანეთს ნამდვილზრახვებს უმალავენ — მეგობრობას და სიყვარულს ეფიციებიან და ერთიმეორეს ზაფანგს უგებენ. ეს იმაზე კი არ არის დამოკიდებული, პატიოსანი კაცი უდგას სახელმწიფოს სათავეში თუ ფლიდი. ეს დამოკიდებულია თვით ამ სახელმწიფოს სოციალური და პოლიტიკური წყობის ბუნებით. ასეთი არის ვერძო საკუთრების პრინციპებზე აგებულ მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური ეპოქების სახელმწიფოების ბუნება.

ცხადია, ამ ბუნების მქონე სახელმწიფოებად უნდა მივიჩნიოთ რუსეთი-

სა და საქართველოს სახელმწიფოები. როდესაც ორი ასეთი სახელმწიფოებრივ ტერესები რომელიმე წინააღმდეგობაში შემორჩეს დუახლოვდება, მათი დიპლომატიური დამეგობრება იწყება, გამოიძებნება მოდუსი, რაც ვითომ ამ მეგობრობას იმ თავ-თვე ჰგულისხმობს. თვითმპყრობელურ რუსეთისა და საქართველოს მეფეებმა და მათმა მრჩეველებმა დიპლომატიურ მიმოწერის ასეთ საფუძვლად ქრისტიანობა და ამ ქვეყნების მართლმადიდებლობა გამოიჩინეს. ისტორიკოსი ვალდებული არის იქვის თვალთ მოეკიდოს იმ ტყბილ სიტყვებს და ოფიციალური ხასიათის მოტივებს, რომლითაც ასე უხვად არის შემკული იმ დროის ქართველი და რუსი პოლიტიკოსების დიპლომატიური ხასიათის მიმოწერა.

კი მაგრამ, ალბათ, გვეტყვიან: რა საკითხი არის ამაზე ლაპარაკი, ტატიშვილის „ისტორიულ ნარკვევში“ ზომ არ აქვს ადგილი დიპლომატიური ხასიათის დოკუმენტების კრიტიკული ანალიზის გარეშე გამოყენებასო? დიხ. ასეთი ფაქტი არა ერთი არის ამ „ნარკვევში“ და იმიტომ რეცენზიაში ყურადღება გავამახვილეთ ამ საკითხისადმი საამისო მაგალითი იქნება საკითხი. ტატიშვილი თავისი „ნარკვევის“ მე-11 გვერდზე წერს: „პირველი ორი სტუმრობა მოსკოველი ელჩებისა საქართველოში — მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მეფე მიხეილ თედორეს-მე ცოცხალი იყო. ელჩების არც პირველი და არც მეორე სტუმრობით თეიმურაზი გამოყოფილი არ დარჩა. ვერც თავადმა ვოლკონსკიმ, რომელიც სასულიერო პირთა დიდი ამალით კახეთს ჩავიდა, ვერც თავადმა მიშეცკიმ, რომელიც თეიმურაზს ხელმწიფისაგან ნაბ-ძებნი სიგელი, ოცო ათასი ეფიმა და ორმოცდაექვსი სიასამური მიართვა, ვერ გააკეთა ის. რაც მთავარი იყო: მათ ვერ უამბებს ხელმწიფეს და ვერ დაარწმუნეს იგი, თუ რა დიდად მოიგებდა მოს-

კოვი და მთელი საქრისტიანო, თუ საქართველო, ქვეყანა, სადაც ინახებოდა კვართი უფლისა და სადაც მართლმადიდებელთა უამრავი ტაძარი იყო, უსჯულოთა შემოსევებისაგან დაცული იქნებოდა. რა არ გარდახდენია თავს საქართველოს და მ.ს ცალკეულ სამეფოებს?"<sup>1</sup> რა დასკვნა გამოვიტანეთ ჩვენს რეცენზიაში ამ ამონაწერიდან? ეს ტატიშვილისეულ მსჯელობად ჩავთვალეთ. ეს ტატიშვილისეული გაგებაა ამ დიპლომატიური მიმოწერისა, რომლის ტექსტები საქმაო რაოდენობით დაცულია რუსულ არქივებში და ამჟამად უმეტესი მათგანი გამოცემულია.

ჩვენს რეცენზიის საპასუხო წერილში ამის შესახებ აღნიშნულია: „ნუთუ ი. ცინცაძე ვერ ხვდება, რომ წიგნში ეკლესიებზე და უფლის კვართზე ლაპარაკობს ავტორი არა საყოთარბი, არამედ თეიმურაზის სიტყვებით... ცინცაძის შიერ მოყვანილი ციტატი ეს ავტორის სიტყვები კი არ არის, არამედ ეს არის თეიმურაზის ფიქრების გამოშხატველი, მისი შინაგანი მონოლოგის გამოშხატველი სიტყვები, რომელნიც ჩვენს დროში გულუბრყვილოდ და მიამიტურად გვეჩვენება, მაგრამ, რომლებიც საესებით ბუნებრივია იმ დროინდელი პოლიტიკური მოღვაწისათვის“.

მსჯელობდა თუ არა თეიმურაზი ასე, არის თუ არა ყოველივე ეს „თეიმურაზის შინაგანი მონოლოგის გამოშხატველი სიტყვები“. ამის დასაბუთებაზე თავს არც წიგნის ავტორი იწუხებს „ისტორიულ ნარკვევში“ და არც ამ „ნარ-

კვეით“ აღტაცებული მთარგმნელი ვ. წულუკიძე. სად სწერთა რედაქციის-ტორის ძეგლში ნახავთ *„Историческое“* ელოში ან რუსეთში ასეთი „მიამიტი“ აოლიტიკოსები წყვეტდნენ საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

თეიმურაზი განა ასეთი უშეცარი დიპლომატი და პოლიტიკოსი იყო, რომ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, რომელიც მამინ ყოფნა-არყოფნის საკითხთან იყო დაკავშირებული, იმაზე დაფუძნებინა, რომ „მოსკოვი დიდად მოიგებდა თუ საქართველო, ქვეყანა სადაც ინახებოდა კვართი უფლისა და სადაც მართლმადიდებელთა უამრავი ტაძარი იყო, უსჯულოთა შემოსევებისაგან დაცული იქნებოდა?“ ასეთი გულუბრყვილო არც მოსკოვის პოლიტიკოსები იყვნენ და არც საქართველოსი. არავის არ აქვს საფუძველი თეიმურაზს ასეთი მრდილი მიაყენოს, თეიმურაზის რუსული ორიენტაცია ასეთი მიამიტობით ვადაწყვეტილი საქმე როდია. რუსული ორიენტაცია კახელ პოლიტიკოსებში თეიმურაზით არ დაწყებულა და არც თეიმურაზით დასრულებულა. ეს საქმაოდ კარგად გამიზნული საქმე გახლავთ მიამიტობაზე კი არა, არამედ წმინდა რეალურ ამბების გათვალისწინებაზე აღმოცენებული. თეიმურაზისწინა კახელი პოლიტიკოსების ამ საკითხის გარშემო საქმიანობა აკად. ნ. ბერძენიშვილმა გამოიკვლია და ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცა, რომ კახეთში კარგად გაიგეს, რა მიზნები ამოძრავებდა რუსეთის მე-16 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის პოლიტიკოსებს — რუსეთი მოკავშირეს ეძებდა საშამხლოს წინააღმდეგ ამიერკავკასიაში. კახეთი თავის მხრივ დალესტანის ებრძოდა და ამ ნიადაგზე რუსეთსა და კახეთს შორის გარკვეული ურთიერთობა წარმოიშვა.

როგორ წავიდა საქმე თეიმურაზის დროს? თეიმურაზის დროს, რუსეთის შინათამაშლილობამ და ირანის გაძლიე-

<sup>1</sup> ეს ადგილი ტატიშვილის „ნარკვევიდან“ ჩვენს რეცენზიაში მოცემული ვკონდა, მაგრამ იქ არ იყო მოტანილი წინადადება: „ელჩების არც პირველი და არც მეორე სტუმრობით თეიმურაზი კმაყოფილი არ დაჩაა“. ამას რეცენზიის საპასუხო წერილში იუვად მივანიწვევ და ამა ეს წინადადებაც, იგი არადრის არ შეცვლის ჩვენ შიერ წამოყენებულ დებულებაზე.

რებამ ერთხანს კახეთისა და მოსკოვის ურთიერთობა შეწყვიტა, მაგრამ შემდეგ ეს საქმე განახლდა.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ მე-16 — 17 საუკუნეთა მეფის რუსეთი რომელიმე პოლიტიკურ ერთეულზე თავის მფარველობას ორი იურიდიული აქტით აფორმებდა „ფიცის წიგნით“ და „წყალობის სიგელით“ ანუ მფარველობითი სიგელით. პროცედურა კი ასეთი იყო, სანამ მფარველობითი წყალობის სიგელი მიეცემოდა „მფარველობის მოსურნე პოლიტიკურ ერთეულს“, სავალდებულო იყო წინასწარ რუსეთში გამზადებულ ერთგულების ფიცის წიგნზე ხელის მოწერა და სათანადო ფიცის რიტუალის შესრულება იმ სარწმუნოების მიხედვით, რომელსაც აღიარებდა ფიცის წიგნზე ხელისმოსაწერად ნაგარავუდები ხელისუფალი. ქრისტიანე ხელისუფალისათვის განკუთვნილ ფიცის წიგნს რუსები კрестоцеловальная запись-ს უწოდებდნენ. მაჰმადიან ხელისუფალისათვის გათვალისწინებულს „шертная грамота“ ეწოდებოდა. ოვით ხელისმოსაწერას და დაფიცების აქტს იმ დროს რუსები ასე გამოთქვამდნენ „правду дал, крест целовал“. როდესაც ასეთ ფიცის წიგნს ხელთ იგდებდა მეფის რუსეთის დიპლომატი და თავის მეფეს ჩააბარებდა, ამის შემდეგ რუსეთის მეფე გამოგზავნიდა ფიცისმიმღებ ხელისუფალის სახელზე წყალობისა და მფარველობის სიგელს.

ქართველ მეფეთა მიერ ხელმოწერილი რუსული ფიცის წიგნები და რუსულ წყალობის სიგელები რომ გასწავლოს ადამიანმა, პირველ რიგში თვალში ის მოხვდება, თითქოს ამ საბუთების გაფორმება ძალიან მარტივად მოხდა. ფიცის წიგნიდან და საბასუხო წყალობის სიგელიდან ისე გამოდის, რომ ამ საბუთების გაფორმებისას ქართველი მეფეები სიხარულით და დაუფიქრებლად აწერენ ხელს ფი-

ცის წიგნს. ხოლო თუ საქმეს რაიმე გვიანუბრება შეემთხვევოდეს, მხოლოდ თვითმპყრობელ რუსეთში უნდა იქნას დიპლომატიის მხრივ, თორემ ქართველი ფეოდალების და მათი მეფის მხრივ ყველაფერში 100% თანხმობა წინასწარ არსებობდა. ეს ერთი შეხედვით მხოლოდ. სამწუხაროდ ჩვენ სამუალებზე არ გვაქვს ასეთ წერილში ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებლად განვიხილოთ ქართული დიპლომატიის ისტორიის ეს საინტერესო საკითხი და შემოვიდარგლებით მხოლოდ თეიმურაზის ამ მხრივ მოღვაწეობის ერთი მხარის დახასიათებით.

თეიმურაზ პირველმა მე-17 საუკუნის პირველ მესამედში არა ერთხელ მიმართა რუსეთის მეფეს მიხეილ რომანოვს და მფარველობას თხოვდა. თეიმურაზის მდგომარეობა უდავოდ მძიმე იყო. 1638 წელს მოსკოვიდან მოვიდნენ კახეთში ელჩები თედორე ვოლკონსკი და არტემ ხვატოვი, სათანადო ინსტრუქციით აღჭურვილნი. იმავე წლის 19 სექტემბერს დიპლომატიური მოლაპარაკებების სხდომები დაიწყო. ვოლკონსკიმ თეიმურაზ I მოახსენა, რომ თუ თეიმურაზს მართლა სურს რუსთა მეფისაგან მფარველობა მიიღოს და თანახმა არის რუსეთის მეფის ხელქვეით იქნეს, როგორც ამის შესახებ თეიმურაზი წერილით და თავისი ელჩის პირით თხოვდა მოსკოველ მეფეს, საჭირო იქნება ფიცის წიგნზე ხელისმოსაწერა, როგორც თვით თეიმურაზის მხრივ. ისე ტახტისმემკვიდრისა და კარისკაცების მხრითაც. საყოყმანო და საკამათო თეიმურაზს თითქოს რაღა უნდა ჰქონოდა. თეიმურაზს უბასუხნია, რომ თვითონ და მისი შვილი და მთელი მისი სამფლობელო მუდამ მორჩილი იქნება, მაგრამ რაც შეეხება დაფიცებას და საბუთზე ხელისმოსაწერას, ნება მომეცით მოვიფიქროთ. რუსეთის ელჩს ვოლკონსკის ეს მომენტი ასე აქვს ჩაწერილი თავის „მუხლობრივ აღწერი-

ლობაში": „И царь Теймураз гово-  
рил... О крестном целованье ему  
Теймуразу царю дати подумать“<sup>1</sup>.  
რამდენიმე დღის შემდეგ თეიმურაზს  
რუსეთის ელჩებთან მოსალაპარაკებლად  
ნიკიფორე მიტროპოლიტი გაუგზავნია.  
ამ მეორე სხდომაზე ნიკიფორეს განუ-  
ცხადებია, რომ თეიმურაზი თანახმა  
არის ფიცის წიგნზე ხელი მოაწეროს,  
მაგრამ თეიმურაზს სურს იცოდეს, რა-  
ში უნდა გამოიხატოს რუსეთის მეფის  
მფარველობა, როგორ დაიცავს თეიმუ-  
რაზს და კონკრეტულად რას გააკეთებს  
მის დასაცავად<sup>2</sup>. კახელი დიპლომატე-  
ბი მოითხოვენ კონკრეტულ ვალდე-  
ბულებათა განსაზღვრას რუსეთის მე-  
ფისაგან. ვოლკონსკი და ხვატოვი კონ-  
კრეტულ პასუხს არ იძლევიან. ისინი  
აცხადებენ, რომ ჯერ თეიმურაზმა უნ-  
და დაიფიცოს და ფიცის წიგნზე ხელი  
მოაწეროს. ეს საქმის დასაწყისი იქნე-  
ბა, ხოლო შემდეგ რუსეთის მეფე  
მფარველობას და დახმარებას, რო-  
გორც მოახერხებს და შესაძლებლობა  
ექნება, იმისდაგეგარად გიწყალობებსო.  
კახელ დიპლომატს ნიკიფორეს იმავე  
სხდომაზე თვით წაუყენებია კონკრე-  
ტული პირობა: თეიმურაზის სამფლო-  
ბელის მახლობლად რუსეთის მეფემ  
უნდა ააგოს ციხე, შიგ თავისი ორიათა-  
სი მეომრისაგან შემდგარი კორპუსი  
ჩააყენოს, იშუამდგომლოს რუსთა მე-  
ფემ ირანის შაჰის წინაშე, რათა ამ უკა-  
ნასკენლმა ქართლი თეიმურაზს და-  
უბრუნოსო. ელჩები ისევ ზოგადად აღ-  
ნიშნავენ, მოსკოვის მეფე ირანის შაჰს  
თხოვს თეიმურაზის სამფლობელო არ  
დაარბიოს. რაც შეეხება ციხის აგებას,  
თუ საჭიროდ მიიჩნევა, ააგებს, ეს მის  
სურვილზე იქნება დამოკიდებულიო.  
ქართლის დაბრუნების შესახებ ხმა არ  
ამოუღიათ. ამ დღეს მოლაპარაკება

ამაზე დასრულებულა. ნიკიფორე მიტ-  
როპოლიტს განუცხადებია, რომ წი-  
ნადადებებს მეფეს მტკიცედ უნდა  
შემდეგ თეიმურაზს მოლაპარაკება შე-  
უწყებდეს სექტემბრის უკანასკნელი  
რიცხვიდან მოკიდებული მეორე წლის  
16 აპრილამდე. ელჩები ამ ხნის განმავ-  
ლობაში კახეთში იყვნენ. სულ ერთია,  
მოსკოვში ვერ წავიდოდნენ დახმარე-  
ბის გამო. საინტერესოა, რომ თეიმუ-  
რაზი განზრახ არ იქარის მოლაპარა-  
კების განახლებას. 16 აპრილს მოლაპარა-  
კება დაიწყო ისევ, ახლა უკვე თეი-  
მურაზი აწარმოებს პირადად მოლაპარა-  
კებას. იგი ელჩებს მოაგონებს, რომ  
ფიცი რუსეთის მეფის ერთგულებაზე,  
მისმა პაპამ კახთა მეფე ალექსანდრემ და  
შვილმა მისმა დავით ალექსანდრესძემ  
(თვით თეიმურაზის მამამ) მიიღეს ბო-  
რის გოდუნოვის მოღვაწეობის დროს,  
მაგრამ დახმარება და დაცვა რუსეთი-  
დან არ უნახავთ, მიუხედავად იმისა,  
რომ თეიმურაზის წინაშე ფიცი არ  
გატეხიათ. ახლა თეიმურაზი მისი წი-  
ნაპრების მიერ მიცემულ პირობას რუ-  
სეთის ერთგულებაზე შეასრულებს და  
რალა საჭირო იქნება ახალი ფიცი და  
ახალ ფიცის წიგნზე ხელსმოწერაო.  
თეიმურაზი უარს აცხადებს ფიცის წიგ-  
ნის გაფორმებაზე.

ელჩები განუმარტავენ თეიმურაზს,  
რომ ვინც წინათ დაიფიცა ან ვისაც  
შეჰფიცეს, ახლა ცოცხლები აღარ  
არიან და საჭირო იქნება ამ საქმის გა-  
ნახლებაო.

თეიმურაზს მაშინვე საუბარი გადა-  
აქვს კონკრეტულ პირობებზე. მას გა-  
ნუცხადებია, რომ რუსეთის მფარვე-  
ლობის ქვეშ ყოფნა მას სურს, ამაზე  
დაიფიცებს, მაგრამ როგორ დაიცავს  
რუსეთი და შეიძლება თუ არა ამ მფარ-  
ველობის იმედი იქონიოს. რუსეთის  
ელჩი თეიმურაზის სიტყვებს ასე გად-  
მოგვიცემს: «И Теймураз царь гово-  
рил... что он под царского величе-  
ства... рукою в холопстве быти го-

<sup>1</sup> Подиивкт. в. Материалы по исто-  
рии грузино-русских взаимоотношений 1615—  
1640. გვ. 277.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 279.

тов.. (ხო) царское величество (მიხეილ რომანოვზეა ლაპარაკი) за него Теймураза учнет ли стоять и от тех недругов его оберегать, и в том надеется ли мочно ль?»<sup>1</sup>

ელჩები არწმუნებენ თეიმურაზს, რომ ყოველივე ამის დასაზუსტებლად წინასწარ მიიწვი ფიცის წიგნზე ხელისმომწერა არის საჭირო, და რაკი ამ აქტით რუსეთის მეფე დარწმუნდება თეიმურაზის ერთგულებაში, ყოველ შესაძლებლობას იხმარს მოეშველოს მას როგორც ირანის შაჰთან შეამდგომლობით, ისე ლეკების წინააღმდეგ ჯარის მოშველებით. თეიმურაზს ფიცის წიგნზე ხელისმომწერის თანხმობა განუცხადებია. ელჩებმა წინასწარ მოსკოვში გამზადებული ფიცის წიგნის რუსული ტექსტი გადასცეს თეიმურაზს. 18 აპრილს თეიმურაზს რუსეთის ელჩებთან ნიკიფორე შიტროპოლიტი გაუგზავნია. ელჩები მოელოდნენ დღის დანიშვნას, როდის მოაწერდა ხელს თეიმურაზი ფიცის წიგნს. ამის მაგივრად რას ხედავენ? თეიმურაზს რუსული ფიცის წიგნის ტექსტი გადაუცეთებია, მთელი რიგი ახალი მუხლები ჩაუმატებია და ამ სახით შედგენილი ახალი ფიცის წიგნი გამოუგზავნია ელჩებისათვის — აი ასეთ პირობებზე მოვიწერთ ხელს და მისი შესრულების პირობას ფიცით დაგიმტკიცებთო. გულშემოყრელი ელჩები ამ ამბავს თავიანთ საანგარიშო მოხსენებაში ასე გადმოგაცემენ: «И апреля в 18... приехал к послану митрополит Никифор и говорил, что государь мой Теймураз прислал к вам царского величества послану со мною запись целовальную, по которой ему крест целовать. И вы-де царского величества послану тое запись вычтите. И послану тое запись чли, и в той за-

писи перед образцовою прибавочных многие статьи. И в тех прибавочных статьях государь мой писал, что такая запись нам не-падобна... нам такие записи не имывать. А чтоб Теймураз царь велел написать запись с той записи, какова к нему от нас послана слово в слову.»<sup>1</sup>

საკმაო ჭირვეულობის შემდეგ თეიმურაზს ხელი მოუწერია ფიცის წიგნზე, დაიფიცა კიდევ, მაგრამ ტახტისმემკვიდრეს დაეით ბატონიშვილს ფიცი არ მიაღებინა რუსეთის ერთგულებაზე. ელჩებმა გაფორმებული ფიცის წიგნი თეიმურაზისაგან არ მიიღეს — რაკომ დაეით ბატონიშვილმა არ დაიფიცაო, თეიმურაზს ამ წინადადებაზე მოსაფიქრებლად დრო დაუნიშნავს და სხდომა შეწყვეტილა. 25 აპრილს სხდომა განახლებულა. თეიმურაზი პირადად აწარმოებს მოლაპარაკებას. ელჩებისათვის განუცხადებია — ფიცის წიგნზე ხელი მოვაწერე, ფიცის რიტუალიც შევასრულე. მაგრამ ფიცის წიგნს არ ღებულობთ და ამით შეურაცხყავითო. მოუესმინოთ ელჩებს: „И Теймураз царь говорил... вы царского величества послану записи... не взяли неведомо зачем, и тем меня Теймураза царя обезчестили“<sup>2</sup>. ნუ თუ ამას ფიქრობდა თეიმურაზი დღეების განმავლობაში? ვანა მან არ იცოდა, რას მოითხოვდნენ ელჩები? ცოდა, მაგრამ მეორე საქმისათვის ამზადებდა ნიადავს. როცა ელჩები შეუდგნენ ჩვეულ ახსნა-განმარტებას, რომ ტახტისმემკვიდრეშემაც აუცილებლად უნდა მიიღოს ფიცი, თეიმურაზს განუცხადებია: დაეით ბატონიშვილმა თუ გინდათ ხელი მოაწეროს, მაშინ ჯერ თქვენ მომიწერეთ ხელი ფიცის წიგნზე, რომ თქვენი მეფე ნამდვილად ასე მომხმარებდა.

<sup>1</sup> Поляневков. Материалы... 33  
311.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 315.





როგორც მე თქვენ საპასუხო სიტყვაში თავის დროზე მოგთხოვეთ<sup>1</sup>.

მაგრამ თვითმპყრობელობის მტაცებლური დიპლომატიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ფეოდალების და მათი მეფის დიპლომატიური უნარის სურათი რომ მკრთალად მაინც გამოჩნდეს, მოტანილი ფაქტიური მასალა საკმარისი არ არის. მოვიტანოთ კიდევ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

ჩვენს რეცენზიაში აღნიშნული იყო, რომ — როცა თეიმურაზ მეფემ ერეკლე ბატონიშვილი რუსეთში გაისტუმრა, ალექსი რომანოვს საგანგებოდ წერილი გაუგზავნა. აქ სხვათა შორის თხოვდა, რომ ერეკლე ბატონიშვილისათვის ნება დაერთოთ მოსკოვში სამეფო კარზე ქართულ ტანთსაცმელში გამოწყობილი ყოფილიყო, იმიტომ, რომ მრავალ უცხო ქვეყნის ელჩი მოდის თქვენს სახელმწიფოში, დაინახოს ყველამ, რომ ამ ჩვენი ქვეყნიდან ერთადერთი უფლისწული გყავთ, დეე, შემურდეს თქვენი მეფობის მტრებს: „А одежду бы носил издешные страны, потому что многие послы приходят от иных государств к великому вашему царствию и будут его зрети, что имеешь от сих наших стран единого царевича, да позавидуют недруги великого вашего царствия.“<sup>2</sup>

ამ თხოვნას თუ განვიხილავთ, თეიმურაზის ფრთხილ და ოსტატურ დიპლომატიურ სვლას დავინახავთ. იგი ოსტატურად იცავს მისი სამეფოს რუსეთის თვითმპყრობელობისაგან დამოუკიდებლად არსებობის ფაქტს. რას ნიშნავდა მაშინ ტანთსაცმელი? როცა ქართველი უფლისწული სპარსეთში ან ოსმალეთში მიჰყავდათ სამეფო კარზე

მძევლად. მას პირველ რიგში სურველობის შეცვლას და ქართველთა საცმელის გახდას მოთხოვნები წინააღმდეგობის დაძლევის შემთხვევაში ადგილობრივს სპარსულ ან ოსმალურს ჩააცმევდნენ. ეს უკვე იმის ნიშანი იყო, რომ უფლისწული და ქვეყანაც, საიდანაც ბატონიშვილი მოვიდა, სპარსეთის ყმად აღარებდნენ თავს. ჩვენ ხშირად გვხვდება ქართველ ისტორიკოსების თხზულებებში (მე-17—18 საუკ.) ამა და ამ შაჰმა ქართველ ხელისუფალს საჩუქრები და ძვირფასი ზალათი გამოუგზავნაო. ამ საჩუქრების მომტანი სპარსელი ელჩი დანიშნულებისამებრ რომ ნიეთებს ჩააბარებდა, უცქეროდა, გამოგზავნილი ზალათი ქართველმა მეფემ იქვე მის თვალწინ ჩაიცვა თუ არა. თუ ჩაიცვა, დიპლომატიურ ენაზე ეს ფაქტი ამ ხალათის გამოგზავნისათვის მორჩილების, ხელქვეითობის და ეასალობის დამადასტურებელი აქტია.

როგორ ექცევა თეიმურაზი? ერეკლე ბატონიშვილი ქართულ ტანთსაცმელში უნდა დარჩეს რუსეთშიო. რატომ? იმიტომ, რომ არ უნდა დადასტურდეს, რომ იგი რუსეთის ყმადნად იცა და ამის ნიშნად რუსეთში მძევალი არის გაგზავნილი. საიდან ვასკვნით ჩვენ ამას? კახეთში თეიმურაზთან გამოგზავნილი ელჩები ეოლკონსკი და ზეატოვი გვაუწყებენ, რომ ერთ დღეს, როცა ფიცის წიგნზე ხელისმოწერის შესახებ მოლაპარაკება გვექონდაო, ნიკიფორე მიტროპოლიტმა თეიმურაზის პირობა ასე გაგვაცნოო, რომ ფიცის წიგნზე რომ ხელს მოვაწერ, ეს საქმე და ფიცის წიგნი საიდუმლოდ უნდა იქნეს დაცული, ისე რომ ელჩების გარდა არავინ არ უნდა ცოტეს ამის შესახებ რაიმეო. უმჯობესია მოვუსმინოთ ელჩებს: „И митрополит Микифор говорил... Теймураз царь учинит все по тому ж. как вам говорил в ответе. И по запись пришлет и царскому величеству крест поцелует.

<sup>1</sup> დსახ. ნაშრ. გვ. 324.

<sup>2</sup> ЦГ. ДД. Дела Грузинск. 1652 — 1654 ст. 2 სპ. 4 გვ. 66.

Только б запись была тайна, нихто б ее не ведал опричь вас... послон." ელჩები გაკვირვებულან. პირიქით, თუ ყმობაზე თანახმა არის, ამ საბუთით უნდა იამაყოს კიდევო და ეკითხებიან თეიმურაზის რწმუნებულს „И той записи для чего тайно быть?“ ნიკიტორეს უპასუხნია „Теймураз царь приказывал... про записи говорить, чтоб была тайна для того, что многие ему недруги, а все бусурманские земли: бонтия от них всякого дурна“.<sup>1</sup>

ფეოდალურ ეპოქაში, როცა ყმადნა-ფიცო მფარველს ირჩევდა და ყმობას გააფორმებდა, ამ აქტს მაშინვე მეზობლებს აგებინებდა რომ ამით თავდასხმის ხალისი დაკარგოდა მათ. როგორი ფრთხილი და გამობრძმედილი პოლიტიკოსი და დიპლომატი მოჩანს თეიმურაზი მოტანილ მასალებიდან, ეს პირუთენელმა ქართველმა მკითხველმა განსაკუთრებით სხვა რაგად შეეძლო თეიმურაზს მოაყრობოდა თვითმპყრობელობის დიპლომატიის ზოგად შეპირებებს? რატომ უნდა არა და ამიტომაც არის ახლა, ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვში გაგზავნის არსებითი მიზნის დაფარვა რომ სურს ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის თანმიმდევრულ პოლიტიკას იტარებს ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ეს შესაძლებელია. თეიმურაზს არც რუსეთის მორჩილება არ უნდა, მას თვითმპყრობელურ რუსეთის ძალის გამოყენება უნდა მოახერხოს, რუსეთ-ირანის ომს უნდა თავი მოაბას და თავისი ქვეყნის საქმე გამოაბრუნოს.

რუსეთის დიპლომატიამ თეიმურაზის თხოვნა დააკმაყოფილა, ერეკლე ბატონიშვილი ქართულ ტანთსაცმელში დარჩა, მაგრამ საკუთარი სახელი შეუტყუა-

ლა. ჩვენს რეცენზიაში ამ სახელის გამოცვლას შემთხვევით ვი ვარაუდობდევნეთ. ტატიშვილის წინააღმდეგ ბულ წულუკიძეს არ აინტერესებს რაშია აქ საქმე. მე ამიტომ წერილში შეცდომებზე მონადირედ ვარ დასახული ჩემი რეცენზიის საბასუხო წერილში.

როდესაც ქართველ უფლისწულს სპარსეთში წაიყვანდნენ და მის წინააღმდეგობას მოსტებდნენ, მას იქ სახელს უცვლიდნენ, მისი გადანათვლა ხდებოდა. რისთვის? იმისათვის, რომ ამაში ისევ ქართველი ზელისუფალის მორჩილება და სრული ირანული ორიენტაცია გაფორმებულიყო. ასე იქცეოდა თვითმპყრობელური რუსული დიპლომატიაც ყველა იმათ მიმართ, ვინც მისი მორჩილი და სამეფო კარის მძევალი შეიქნა. მოვიგონოთ ყირიმელი, ყაზანელი, ციმბირელი და სხვა უფლისწულები.

ერეკლე ბატონიშვილს რუსეთში დიდულ თავყვანისავემ წმინდანის, ნიკოლოზის, სახელი მისცეს. რატომ? განა ერეკლე ცუდი სახელი იყო? ან ერეკლე მართლმადიდებლურ ქრისტიანული წესით მონათლული არ იყო? იყო, მაგრამ რუსული საგარეო პოლიტიკის დიპლომატიური სელა არის აქ ჩამალული.

როგორ მოექცა ამ ფაქტს ტატიშვილი? განმარტა სადმე ეს ფაქტი? არა. ჩვენ რეცენზიაში აღვნიშნეთ, რომ ტატიშვილი რუსული წყაროების ტყვეობაშია და ერეკლე ბატონიშვილის საკუთარი სახელიც უგულვებელყოფილად დავსახეთ ნაწირობაში, იქვე კი მივუთითეთ საგანგებოდ გვერდი (6).. რატომ დავასახელეთ მეექვსე გვერდი? იმიტომ, რომ წიგნი ორი ძირითადი დასათარებელი ნაწილისაგან შედგება. ერთი ეხება ერეკლე ბატონიშვილს, მეორე არჩილს. თითოეულ ამ ნაწილს წინ საგანგებოდ სამკაულებით მორთული სათარის გვერდი მიუძღვის. რა აწერია ერეკლესათვის განკუთვნილ ნაწილის სათარის გვერდს — „ნიკოლოზ ბა-

<sup>1</sup> იხ. პოლიეტიკის დასახ. გამოც. გვ. 280—281.



ტონიშვილი“ თეთრი ასოებით წითელ ფონზე. ტატიშვილი და წულუკიძე ხომ არ იზიარებენ მე-17 საუკუნის თვითმპყრობელობის დიპლომატთა პრეტენზიებს კახეთზე? ჩემი რეცენზიის საპასუხო წერილში კი მიმითითებენ, ამა და ამ გვერდზე განმარტებულია, ნიკოლოზს ერეკლე ერქვაო, ვითომ ამას მე ვერ წაეციოთხავდი წიგნში. პირიქით უნდა ყოფილიყო ეს ფაქტი მოცემული წიგნში. ამას ფაქტის პოლიტიკურად გაგების მნიშვნელობა აქვს და არა ბრძანდ წყაროების ამოჩხრეკაზე ვლადპარაკობთ.

ასეთი ფაქტიური მდგომარეობის შემდეგ წულუკიძე გვაუწყებს, რომ ტატიშვილმა თავის წიგნში ქართველი ბატონიშვილის ის სახელი აიღო, რომელიც წყაროში არის მოხსენებული. როგორ? ერეკლე წყაროში მოხსენებული არ არის? რატომ რუსული თვალსაზრისით მოხსენებული ნიკოლოზი ამჯობინა ქართულ ერეკლეს? უბრინციპო ობიექტივიზმი. რომელიც დაასამარა მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ, წითელი ზოლივით მოსჩანს ამ, ერთის შეხედვით, პატარა ფაქტში და თავს კი ისე გვაჩვენებს, ვითომც მართლაც იცოდეს წყაროს გამოყენების წესი. რა მოუვიდა ერეკლე ბატონიშვილს, როცა რუსეთიდან გამოიწვიეს? იგი იძულებული ხდება ირანის კარს ეახლოს. შერჩა მას სახელწოდება ერეკლე ან ნიკოლოზი? იგი ხომ ნაზარალიხანა არის შემდეგ? აბა ჩახედეთ სტალინის პრემიით დაჯილდოებულ საქართველოს ისტორიკოს სახელმძღვანელოში, როგორ არის მოხსენებული იგი? მას ერეკლე I ეწოდება. რატომ? ვანა წყაროში იგი ნაზარალიხანად არ არის მოხსენებული? რას ფიქრობდნენ ამ წიგნის ავტორები? იქნებ წულუკიძის რეცეპტით არის საჭირო სახელმძღვანელოს შესწორებაც?

დაუებრუნდეთ საკითხს. როგორ წაიყვანა თეიმურაზმა თვითმპყრობელობის

სამეფო კარზე აღებულ დიპლომატიური სტლის გეზი? უდნარც მანამდე გაატარა იგი. ამიტომ წიგნში მე-17 საუკუნის თვითმპყრობელობის საგარეო საქმეთა უწყების ცნობილი თანამშრომელი კოტომიხინი ქართული სახელმწიფოების, უმთავრესად კახეთის, შესახებ წერს: „не тех государств обычай писатися к царю (იგულისხმება მოსკოვის შვეფელეკსი მიხეილის-მე) себя низити, а его высити, и называтися холопами его, яко и выных государствах обычай писати господину к господину, отдаючи себя слугою повольным, и они по тем их униженным письмам разумеют, будто и правда тому есть, что они вечные подданные; а то не есть правда.“<sup>1</sup> ...

ღიახი თეიმურაზი თავისი ქვეყნის არსებობისათვის იბრძოდა და ილუზიებით არ ხელმძღვანელობდა. ახსნა თუ არა ტატიშვილმა, რატომ არის, რომ ერეკლე ბატონიშვილი ათეული წლების განმავლობაში რუსეთში იყო, რუსული იცოდა და რუსეთის მეფეს წერილს ქართულად ან ბერძნულად წერდა? არა. რა უნდა გაიგოს მკითხველმა, როდესაც თეთი „ისტორიულ ნაკვეთის“ ავტორს ჩანს არ ესმის, თუ რაშია საქმე. ერეკლე ბატონიშვილი კახეთის სამეფოს ოფიციალური წარმომადგენელია, დარბეულია თუ დაღუბნილი ეს სამეფო, იგი მაინც პოლიტიკური ერთეულია და დიპლომატიის არენაზე თავისი სახით გამოდის. ეს ვახლავთ ბრძოლა თვითმყოფლობისათვის. ეს თეიმურაზის პოლიტიკის განუყრელი ნაწილია. ქართულმა დიპლომატიამ თავისი ქვეყნის სუვერენობის დაცვის წესები კარგად იცოდა. ეს საქმე ჩვენში ისეთივე მაღალი განვითარების საფეხურზე ჰქონდათ დამუშავებული, როგორც

<sup>1</sup> О России в царствование Алексея Михайловича. Сочинение Григория Котшихина. 1906 г. стр. 39.

სამხედრო საქმე, პოეზია, ხელოვნება და სხვა კულტურული მიღწევები. ასეთი ისტორიული უტყუარი ფაქტების არსებობის შემდეგ უაღრესად ავტორიტეტული გაზეთის ფურცლებზე გამოდის კაცი და თეიმურაზს მიაძიებს უწოდებს, ხოლო „ისტორიული ნარკვევის“ მართლაც მიაძიტი ავტორი ტატიშვილი ბრძანად უნდა წარმოგვიდგინოს. საიდან აიღო ტატიშვილმა პოლიტიკის საფუძვლად ხატები და ეკლესიები? ოფიციალურ დიპლომატიურ მიმოწერაში მართლაც არის ხატებზე, წმინდა ნაწილებზე, კვართსა და ეკლესიებზე ლაპარაკი. განა ეს გვაძლევს უფლებას ტატიშვილისებური ანალიზი აკეთოს „ისტორიულ ნარკვევში“?

თვითმპყრობელური რუსეთის დიპლომატია, რომ ქრისტიანულ რელიქვიების საქართველოდან რუსეთში გატანაზე ზრუნავს, არ იცით განა, რომ ამაშიც იმ ქვეყნების დაპყრობის თანმიმდევრული მიზანდასახულებაა მოცემული, საიდანაც ეს რელიქვიები უნდა გაიტანონ? ქართული ძველ ქრისტიანული რელიქვიების თვითმპყრობელური რუსეთში გატანა მორწმუნე ქართულ მოსახლეობას უშუალოდ ამ რუსეთისაკენ გააშვებინებდა ხელს.

ტატიშვილის მიერ დასახული მათხოვარი თეიმურაზის სურათი ყალბია, მას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. ხაქმეს არ შეეღის „ნარკვევში“ მოცემული ცნობა იმის შესახებ, რომ თეიმურაზი მტერს ებრძოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და სპარსეთის წინაშე ქედს არ იხრიალა. გაბედავდა და არ დასწერდა ამასაც ტატიშვილი! წიგნი პირველი გვერდიდანვე ხეწნა-მუდარის სურათის აღწერით იწყება. თვითმპყრობელური რუსეთი მოწყალედ არის დასახული. რა კქნას რუსეთის მეფემ, გაჰირვებაში მყოფ თეიმურაზს უგზავნის ფულს. სიასაჟრის ბეწვს, ბერებს, მღვდლებს, ეკლესიების აღსადგენად და მოსახატავად მხატვრებს. დოკუმენტება ვნებავთ? ინებეთ,

მაშინვე მითითებულია სხვადასხვა გამოცემები. ჯარი? ჯარსეფრანკოზების, აუარებელი დაბჭობების წინამებრუსთა მეფეს, თორემ ქრისტიანულ კაცთმოყვარეობის პრინციპებით მოქმედი რუსეთის ფეოდალები და მათი თვითმპყრობელი მეფე საშუალებას როგორ დაზოგავენ? აბა შეხედეთ როგორი პატივი უნდა მიანიჭოს ალექსი რომანოვმა თეიმურაზ პირველს: „ხელისუფლების სათავეში იღვა იმერეთის მეფე ალექსანდრე, ძალაუფლება ხელთ ეპყრა ლევან დადიანს, ქართლში შეფობდა როსტომი, მაგრამ ივერთა ქვეყნის მეფედ მოსკოვში სთვლიდნენ არა იმათ. არამედ თეიმურაზს“, (გვ. 46). ჩვენს რეცენზიაში აღვნიშნეთ ამ ყალბი დებულებას წარმოშობის ერთი მიზეზი (ტატიშვილმა არ იცის, რომ რუსულ ძეგლებში ივერთა კახეთს ეწოდება), ახლა უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ ტატიშვილს არ შეეძლო რუსულ ტერმინოლოგიას ჩაჰკვირებოდა, რადგანაც თვითმპყრობელური რუსეთის საქართველოს მიმართ მოწყალეობაში და სიყვარულში მას ეჭვი არ შეაქვს. უბრალებსია ტატიშვილის წიგნი ვალაპარაკით: „დაკრძალვას ასეთი ხასიათი და მნიშვნელობა ვერ მიეცემოდა (ლაპარაკია არჩილ მეფის მეუღლის დასაფლავებაზე მოსკოვში), რომ არ ყოფილყო პირადი ბრძანება ხელმწიფისა, პეტრე დიდისა, რომელიც ამ აქტით ერთხელ კიდევ ამჟღავნებდა თავის ღრმა სიყვარულს საქართველოსადმი“ (გვ. 143).

ალექსი რომანოვის სიყვარული საქართველოსა და მისი წარმომადგენლებისადმი „ისტორიულ, ნარკვევში“ ხომ ყოველი გვერდის სამკაულია.

საქართველოსადმი ეს თვითმპყრობელი მეფეების არარსებული სიყვარული ჰგონია „ნარკვევების“ ავტორის ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის ისტორიული საფუძვლები. არ შეიძლება დღევანდელი ჩვენი სოციალისტური ხანის სახელმწიფოში არ-



სებული ხალხთა მეგობრობის პრინციპები გადავიტანოთ მე-17—18—19 საუკუნეებში და საქმე ისე წარმოვიდგინოთ, რომ ქართველი და რუსი მეფეები ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპების საფუძველზე ერთმეორის სიყვარულის აღში იყვნენ ვახვეულნი. ხალხთა უანგარო სიყვარული, უანგარო ურთიერთდახმარება მხოლოდამხოლოდ ოქტომბრის მონაპოვარია და ამ იღვის გადატანა ფეოდალურ ეპოქაში ისტორიის გაყალბებაა.

ამა ვნახოთ და ჩავეჯერდეთ თეიმურაზისათვის განკუთვნილ ფიცის წიგნის პირველ სტრიქონებს. როგორ აღვგენს „საქართველოს სიყვარულით დამწვარი“ მიხეილ რომანოვი და მისი დიპლომატია: „Целую сей святой животворящий крест господен великому государю царю и великому князю... Я Теймураз царь начальник иверской земли“ ანდა ლევან დადიანისათვის განკუთვნილ წიგნში: Дидианские земли начальнику Левонтию царю милостивое наше царское слово“. ყურადღება მივაქციოთ ამ იურიდიულ ხასიათის დოკუმენტში ტერმინებს „царь“ და „начальник“-ს. თუ მეფე არის კაცი და მას „царь“-ს უწოდებთ, მაშინ რა საჭიროა „начальник“-ის მიწერა?

რუსულში „царь“ და „начальник“ ერთი მეორეს საწინააღმდეგო შინაარსის მქონე ტერმინებია. „царь“ პოლიტიკური ხელისუფალის საშინაო და საგარეო დამოუკიდებლობის აღმნიშვნელია. „начальник“ არის სხვის მიერ დაყენებული, სხვის მიერ დანიშნული ხელისუფალი, რომელსაც ქვეშევრდომიც სხვისი განკარგულებით ემორჩილება. თვითმპყრობელობის დიპლომატიამ ფიცის წიგნში თვალისასახვევად დატოვა „царь“ და იგი იქვე ვააბათილა ტერმინ „начальник“-ით. შეუძლებელია ამ წერილში ყველაფერი დაიწე-

როს ამ საკითხის შესახებ.

ვის მოუვა აზრად დღემდე წყნება, რომ პეტრე I საქართველში წაქეზებული სიყვარულით ხელმძღვანელობდა როდისმე. რა საჭიროა ისტორიის გაყალბება, ნუ თუ ქართველი ხალხისა და რუსი ხალხის მეგობრობის ისტორიული საფუძვლებისათვის ასეთი სიყალბის მტკიცებაა საჭირო?

წერილის ავტორი ტატიშვილის „ისტორიულ ნარკვევის“ ორ ადგილზე მიგვითითებს, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთს აღმოსავლეთისაკენ გზების სასწავლებლად სჭირდებოდა ქართველი უფლისწული და მეფე — იქეთ დაპყრობითი მიზნები ჰქონდაო. რა ფასი აქვს ამ ჰაერში გამოკრძეულ განცხადებას? ასეთი ერთმეორის საწინააღმდეგო დებულებათა ერთ წიგნში მოცემა დასაშვებია? მერე სწორი არის ის, რომ აღმოსავლეთის გზების სასწავლებლად სჭირდებოდა თვითმპყრობელობას ქართული სამეფო მე-17 საუკუნეში?

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სამასი წლის მანძილზე ვანა ერთი და იგივე კონკრეტული მიზნები ჰქონდა რუსეთის თვითმპყრობელობას სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით? მე-16 საუკუნეში ერთი კონკრეტული მოელნა აინტერესებდა თვითმპყრობელობას, მე-17 საუკუნეში სხვა და მე-18 საუკუნეში წარსულ საუკუნეებიდან განსხვავებული მიზნები ჰქონდა დასახული. მე-17 საუკუნის მიზნებზე ჩვენ რეელიზაში გარკვევით ვილაპარაკეთ. ნუ ჰგონია ტატიშვილს, რომ მე-17 საუკუნის რუსეთისათვის სპარსეთი, თურქეთი და სხვა აღმოსავლეთი ქვეყნები უცნობი სამყარო იყო. მოსკოვის სამთავრო მე-15 საუკუნიდან ჰკრებდა აღმოსავლეთის შესახებ ცნობებს. საემარისია ადამიანმა მოიგონოს ათანასე ნიკიტინის მოგზაურობა 1466—72 წლებში სპარსეთით ინდოეთში და ამ მოგზაურობის მისი შესანიშნავი

აღწერილობა: „Хождение за три моря“, რომ ამაში სავსებით დარწმუნდეს. განიხილეთ მე-16 საუკუნის „книга большого чертежа“, ნახეთ რუსეთის ელჩების მუხლობრივი აღწერილობანი აღმოსავლეთის ქვეყნების დიპლომატურ დავალებათა („Дела Персидские“, „Дела Турецкие“) და დარწმუნდებით, რომ გზებს აღმოსავლეთისაკენ აქეთ გასწავლიდნენ მე-17 საუკუნის რუსეთში. ტატიშვილის „ისტორიულ ნარკვევში“ არ არის ახსნილი ეს საკითხები, წინ წამოწეულია არარსებული სიყვარული. ამაზე მიუუთითებდით ჩვენს რეცენზიაში, რაკი საკითხს შეეჩხეთ, სწორად მოხაზეთ და ისე გადაიღოთ წიგნის ცენტრალურ საკითხზე.

ჩვენ აღვნიშნავდით, რომ „ნარკვევში“ არ არის ახსნილი, თუ რა მოსაზრებებით იქნა წაყვანილი ერეკლე ბატონიშვილი რუსეთში. წულუკიძე მოგვითხრობს, რომ „ნარკვევში“ ყოველივე ეს ახსნილია. ერეკლე ბატონიშვილი ამანათად წაიყვანა მოსკოველმა მეფემო. და თუ ერეკლე ბატონიშვილი ამანათი იყო, რად გაუშვეს მოსკოვიდან ირანის ქარზე ამანათი? თეიმურაზი თუ შეველად გზავნიდა ერეკლე ბატონიშვილს, როგორღა ბედავდა რუსეთის ელჩების წინაშე საკითხის დაყენებას: „только я пошла к царскому величеству внука своего, даст ли государь, за него сестру свою?“. (იხ. ტოლოჩ. და იველივის ელჩობა, გვ. 40).

ამანათს მტრის ქვეყნიდან ძალით წაიყვანებენ — თვითმპყრობელობას ძალით არ შეეძლო საქართველოდან რაიმეს წაღება მაშინ. ჩვენს რეცენზიაში საგანგებოდ გაეარკვიეთ ერეკლე ბატონიშვილის უფლებები, აღექსი რომანოვის სამეფო კარზე, რას ემყარებოდა, რატომ ჰქონდა მას უპირატესობა სხვა ქვეყნის უფლისწულებთან შედარებით. კოტოშვიტინი წერს: „А как

грузинский царевич с матерью своею был на Москве предвзвездь будет, и ему чествуется, что природному сыну царском... и за него может быть что царь выдаст доч или сестру свою царевну, понеже он не плененный есть..., а землю его царь (იველისხმება რუსეთის მეფე) не владеет, только по его послушеству Грузинским пишется в титуле“. ეს უფლებები ამანათს ვინ მისცა? ტატიშვილის „ნარკვევს“ რომ დავუჯეროთ, ერეკლე ბატონიშვილმა ერთი მილოცვის სიტყვა უთხრა ალექსი რომანოვს, როცა პეტრე I შეეძინა მას და ამ სიტყვის ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ყველაზე დიდი უფლებები მოუპოვებია ერეკლეს სასახლეში ამის შემდეგ. უმჯობესი იქნება თვით „ნარკვევს“ მოვესმინოთ: „ქართველმა უფლისწულმა ნიკოლოზ დავითის-ძემ, მილოცვის ნაცვლად მთელი სიტყვა წარმოსთქვა. დოკუმენტებმა არ შემოგვინახეს ზეიმზე წარმოთქმული ამ ერთადერთი სიტყვის შინაარსი... ქართველი უფლისწულის სიტყვან ბელმწიფეზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ამას მოწმობს ის, რომ შემდგომ ზეიმებში უფლსწულს ნიკოლოზს და დედამის ელენეს მიუჩენდნენ ზოლმე მეფის შემდეგ — ყველაზე საპატიო ადგილს“. (გვ. 67). ასეთია „ნარკვევის“ არგუმენტაცია დასმული საკითხის ნათელ საყოფად.

თუ ეხებით საკითხს, სწორად უნდა ახსნათ, თუ არა და თავი უნდა გაანებოთ „ისტორიულ ნარკვევში“.

მეტის-მეტად საინტერესოა ტატიშვილის „ისტორიული ნარკვევის“ დასახასიათებლად—თუ რაში და სად ბედავს მისი ავტორი ქართველი და რუსი ძალხვნი მეგობრობის საწინდარს და ამის დამამტკიცებელ „ისტორიულ დოკუმენტს“.

წულუკიძის წერილში ვკითხულობთ:

„ვლ. ტატიშვილის ნარკვევის თემაც და მიზანიც ის იყო, რომ მოეძებნა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიული ფესვები. სად უნდა ეძებნა ეს, თუ არა იმ დროინდელ ისტორიულ დოკუმენტებში?“<sup>1</sup> ვლ. ტატიშვილი, განაგრძობს ავტორი „თავის წიგნში ევრდნობა ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც იოანე მეოთხის ცრემლებს კი არ ეხებოდა... და არც მომდევნო მეფეების გულჩვილობას ამტკიცებენ, არამედ საშუალებას იძლევიან დავასკვნათ, რომ იმდროინდელი უბრალო რუსი ადამიანები, თვით მდამითა წრიდან გამოსული ადამიანები თანაურგანობდნენ ირანისა და თურქეთის მიერ დაჩაგრულ საქართველოს, ისინი მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი ხალხის მეომრულ სიძველეს და სიმაჟაცეს და სურვილს გამოსთქვამდნენ მოსკოვის მეფეებს დახმარება გაეწიათ აზიელ ბარბაროსებთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ქართველებისათვის. ვთქვათ, მართლაც არ არის ნდობის ღირსი ბელოკუროვის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი — განა ეს უფლებას აძლევს ცინცაქეს ამტკიცოს, რომ ყალბია და ნდობის ღირსი არ არის ის დოკუმენტიც, რომელიც გვაუწყებს, რომ ერთერთი თერგელი მოსახარი (რომელიც საქართველოში ყოფნისას ზღვებია მოსკოვის ელჩს მიშეცკის) უდიდესი თანაგრძნობით ეპყრობოდა ქართველებს და თეიმურაზის მოსკოვში ჩასვლის დროს მოსკოვის მდამიო ხალხს უამბობდა ქართველთა მხნეობაზე, მაჰაცობაზე და აღვივებდა მათში ღრმა თანაგრძნობას ქართველებისადმი“.

ეს ვრცელი ამონაწერი გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებიდან“ იმისათვის მოვიტანეთ აქ, რომ ტატიშვილის წიგნის ძირითადი მიზნის შინაარსი გა-

ვიგოთ და ამავე დროს ამის დამამტკიცებელი საბუთები გაცნობიერებინათ.

ტატიშვილს თავისი ნაშრომის შესახებ მე-40 — 41 — 42 გვერდებზე მართლაც აქვს აღწერილი ასეთი სურათი, რომ თეიმურაზ I 1658 წელს მოსკოვში ჩასვლის დღეს, თვალის სანახაოდ შეგროვილ ხალხში ვითომ დგას თერგელი მოსახარი ვასკა ყასუმოვი და უხსნის, თუ ვინ არიან თეიმურაზ მეფე და ქართველები, როგორ ებრძვიან სპარსელებს და სხვ. როგორც ვნახეთ, ეს ტატიშვილის „ნარკვევის“ საუკეთესო ადგილია წერილის ავტორის აზრით ეს იშვიათი „საბუთებზე დაყრდნობილი ცნობა“ ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის საუკეთესო საბუთი არისო.

ვნახოთ ახლა ვინ არის სინამდვილეში ეს ვასკა ყასიმოვი. 1640 — 1643 წლებში მისიელ რომანოვმა თეიმურაზ პირველთან ელჩები გამოგზავნა მიშეცკისა და კლიუჩაროვის შემადგენლობით. ამ ელჩობის შემადგენლობას სხვათა შორის მართლაც ახლავს „терской стрелец огрыжан Васька Касимов“-ი<sup>2</sup>. რას აკეთებს ეს ვასკა ელჩებთან? მას ზოგჯერ შეიკრიყად გზავნიან, მაგრამ უფრო „საპატიო“ თანადებობაც ჰქონია.

თეიმურაზ მეფე მართალია რუსეთის მეფესთან დიპლომატიურ მიმოწერას აწარმოებდა, მაგრამ დროებით ირანის და თურქეთის მფლობელებთან ეძებდა საერთო ენის გამონახვას, სანამ მეფის რუსეთი თავის შეპირების თანახმად რეალურ დახმარებას გამოგზავნიდა. თეიმურაზი რომ ბრმა და გულუბრყვილო პოლიტიკოსი არ იყო, ეს რუსეთის დიპლომატიამ კარგად იცოდა და ტატიშვილისებურად თეიმურაზის ნაწერს არ ენდობოდა და საიდუმლოდ ზვერავედა და ამოწმებდა ყოველგვარ ცნობას. სწორედ იმ წელს, როცა მიშეცკი ა-

<sup>1</sup> ვითომ ჩვენს რეცენზიაში მივუთითეთ, არ მოძებნეთ ისტორიულ ძეგლებში მისალი?

13. „მნათობი“, № 5.

<sup>2</sup> მ. პოლიევქტოვი. მიშეცკისა და დიპლომატიის ელჩობა კახეთში. გვ. 78, 146.

ხეთში იმყოფებოდა, თეიმურაზს ირანიდან შაჰის ელჩები ეწვივნენ და საგანგებო მოლაპარაკება ჰქონდათ მასთან. მიშეცის აგენტების ქსელი უკვე მოწყობილი ჰქონდა კახეთში და როგორც კი სპარსეთის ელჩები მოვიდნენ, მაშინვე გაიგო. მაგრამ ახლა საქირო არის იმის გაგება, თუ რაზე აქვთ მოლაპარაკება. ამ მიზნით თეიმურაზობელობის ელჩს ექვთიმე მიშეცეს ჯაშუში მოუჩენია თეიმურაზისათვის. მოვესმინათ თვით ელჩის წერილობითს მოხსენებებით ანგარიშს: „И посол князь Ефим за Теймуразом царем послал тайно для проводывания терского стрельца огрыжана Васку Касимова, с чем к Теймуразу царю от шаха посол приехали для каких дел“<sup>1</sup>. ვინ არის ვასკა კასიმოვი წარმოშობით? იგი თათარია, მან აღმოსავლური ენები იცის, ჯამაგირისათვის რუსულ სამსახურში არის შესული. ეს ჯაშუში თათარი საქართველოსა და რუსეთის ხალხთა მეგობრობის პროპაგანდისტად ჰყავს გამოყვანილი ტატიშვილს თავის „ნარკვევში“. მაგრამ არსებობს თუ არა სადმე ქვეყანაზე იმის „საბუთი“, რომ ეს თათარი, მონღოლთა მოდგმის რენეგატი, ქართველებისა და რუსების დაუძინებელი მტერი 1658 წელს თეიმურაზის მოსკოვში ჩასვლის დღეს მოსკოვის ქუჩებზე იდგა და შეკრებულ მოსკოველებს კახეთის მეფისა და მისი ხალხის გმირობის ამბავს უყვებოდა? რომელ დოკუმენტში წერია ამ თათრის თანაგრძნობა საქართველოსადმი?

რატომ არ დაუკვირდება „ნარკვევით“ აღტაცებული წულუკიძე, რომ ასეთი დოკუმენტი არ შეიძლებოდა არსებულებოდა და რომ ეს მთლიანად ტატიშვილის საეჭვო ფანტაზიის ნაყოფია. კასიმოვის ხსენება ასეთ საპატიო საქმეში არამც თუ „ისტორიულ ნარკვევ-

ში“, რომანშიაც კი საკითხი გამტარება და აბუჩად აღდებეჭყრფეჭეჭლო ასეთი „საბუთიანობა“ უცხოელების მეცნიერების სრული დაცემა და დეკვითებაა.

მაგრამ კითხვა იბადება, აქვს თუ არა მე-17—18 ს. ს. რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას მნიშვნელობა ამ ორი ხალხის მეგობრობის ისტორიულ საწყისებისათვის? რა თქმა უნდა, აქვს და მართალია ტატიშვილი, როცა დიპლომატიურ ურთიერთობის საკითხებს ეხება. (მეორე საკითხია როგორ არკვევს ამ საკითხებს). ისტორიულმა პირობებმა თეიმურაზობელური რუსეთისა და ქართული სამეფოების მისწრაფებანი მე-16—17, 18 საუკუნეებში ისეთ წარტილებში შეხვედრა. ზოგჯერ, რომ ამ ქვეყნების გაცხოველებული დიპლომატიური ურთიერთობის ძაფის გაბმა გამოიწვიეს. ქართველი და რუსი მეფეების ურთიერთობის უკან რუსეთისა და საქართველოს ხალხების კულტურული ფენების დაახლოება და დამეგობრება მოხდა. მოსკოვის სახელმწიფოს მოწინავე წრეებმა საქართველო იციან. 1607 წელს შუისკის დროის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელობა საქართველოს ისტორიას იცნობს, მათ მშვენიერად იციან, რომ ერთ დროს საქართველო დამოუკიდებელი დიდი ძლიერი ქვეყანა არის „а были на грузинской земле цари самовластны и никем необладаемы“. საყურადღებოა, რომ საქართველოს დაცემას თურქეთის გაძლიერებას და მათ მიერ კონსტანტინეპოლის აღებას უკავშირებენ. მე-16 საუკუნეში, ცნობილი რუსული თქმულება დამუშავდა თამარ მეფის დროის საქართველოს ცხოვრების ეპიზოდებიდან (თქმულება ქართველი დედოფლის დინარას შესახებ).

ეს თქმულება მეტის-მეტად გავრცელებული თქმულებაა XVI—XVII საუკუნეების რუსეთში. რუსმა მემოტიანემ ეს თხზულება შემოკლებული

<sup>1</sup> მ. პოლივეტოვი. დასახ. ნაშრ. გვ. 146.



რედაქციით მატჩანეში შეიტანა და, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, მატჩანეში იონანე IV უყვება ამ თქმულებას ბოიარებს და მათ რაზმებს ყაზანის სახანოზე გალაშქრების წინ. საქართველოს გმირული ამბების მაგალითებით, იონანეს უნდა გაეჩუტებული ბოიარები ყაზანზე სალაშქროდ დაიყოლიოს, 1552 წელს. ამ თქმულების ზელთნაწერების შოგფერთი ვარიანტები დასურათებულია. (საინტერესოა ამ მხატვრობის გარკვეული თვალსაზრისით შესწავლა).

საქართველოში მოვლენილი რუსეთის ელჩები არაერთხელ ადგილობრივ სწავლობენ და ამოწმებენ თამარის ისტორიის ძირითად ამბებს. საქართველოში მე-16 საუკუნეში იციან, რომ თამარ მეფის შესახებ საგანგებო თქმულება არის რუსეთში. როდესაც თეიმურაზი თავის სამფლობელოდან გაიღვენა და იმერეთს აფარებდა თავს, რუსეთის მეფეს, პირველ რომანოვს, ასე უხსნიდა თავის სამყოფ ადგილს «и пошел я из своей земли прочь в башачицкую землю (ბაშაჩუცების სახელმწიფო ვ. ი. იმერეთი). А та земля православная ж крестьянская, а по грузински имя той земли Имерель, а тут лежит Динара царица».

რუსული მხატვრობა განსაკუთრებით დიდი პატივით სარგებლობდა მე-16 და მე-17 საუკუნის საქართველოში. რა თქმა უნდა, რუსეთის თვითმპყრობელობას მე-16 — 17 საუკუნეებში თავისი წმინდა პოლიტიკური გეგმები ჰქონდა, როცა მოსკოველ მხატვრებს გზავნიდა კახეთის მეფეების განკარგულებაში. საესებით სწორია განსვ. მ. პოლიევქტოვის აზრი ამ საკითხის შესახებ: «посылки в Грузию мастеров церковного дела входили в общую программу внедрения в этой стране московского влияния»<sup>1</sup>. მაგრამ ამ

მიზანდასახულებს უკან საქართველოში წინავე წრეები რუსულ ეკლესიებში ნობოდნენ ამ ხაზით, უფრო რუსულმატეართა შემოქმედების კვალი დღეს არა ერთია დაცული კახეთის და ქართლის ძველ ძეგლებში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საქართველოში ჩამოსული რუსი სპეციალისტები მე-16 — 17 საუკუნეებში ქართული კულტურის ძეგლების აღწერას ისე ვერ ახერხებენ, რომ სიტყვა «чудна» და «пречудна» თან არ დააყოლონ. ნიკორწმინდის შესახებ სწერენ: «А ...церковь каменная, большая, делом пречудна, во имя Николы Чудотворца». ანდა ქუთაისის ბაგრატის ტაძრის შესახებ: «Да в том же большом городе в Кутаисе соборная церковь, каменная... сооружена причудным образом»<sup>1</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რუსეთიდან მოვლენილი მხატვრები ქართულ ეკლესიებში ქართულ დაკვეთებს ასრულებდნენ. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეკლესიაში მოცემული მხატვრობა ძველი და ახალი აღთქმის ამბებიდან გარკვეულ თემას შეიცავენ, სურათების (ხატებით) განლაგებით გარკვეული თემის აზრია გატარებული, ისე როგორც თხზულება დაუწერია ადამიანს. ქართულ ეკლესიაში ერთი თემაა, ბერძნულში მეორე, რუსულში მესამე, იმის მიხედვით, თუ ვინ არის შემკვეთი და რა ნიქის და განათლებას პატრონია.

ჩვენ თუ დავაკვირდებით საქართველოში გამოგზავნილ რუსი ელჩების ქართული ეკლესიების მხატვრობის აღწერილობებს, დავინახავთ, როგორ დეტალურად აღწერენ—ეკლესიის რომელ მხარეს ვისი ხატია, როგორ არის გამოსახული. აქ ორ მომენტს ექცევა ყურადღება: ერთი: რა თემა არის მთლიან-

<sup>1</sup> М. Полиевктон. Новые данные о Московских художниках в Грузии. 1941 г. 83. 7.

<sup>1</sup> მ. პოლიევქტოვი, ტოლიჩინოვისა და იევლევის ელჩობა იმერეთში გვ. 124, 152.

ნად ეკლესიაშია და მეორე: როგორ გადაწყვიტა თითოეულ შემთხვევაში მხატვარმა მთლიანი თემის ცალკეული დეტალი. და აი ასეთ ვითარებაში მე-17 საუკუნეში წამოჩქებულ საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა ეუბნებოდა თუ არა რაიმეს რუსეთიდან მოვლენილი მხატვრებს და ეკლესიის სხვა მოღვაწეებს? და როცა ისინი სამშობლოში ბრუნდებოდნენ, შეჰქონდათ თუ არა რაიმე ცვლილებები რუსულ კულტურის ამ დარგში?

მთხედვად საკმაო დიდი ტერიტორიალური მანძილისა, რუსეთისა და საქართველოს შორის, ეს ქვეყნები მე-17 საუკუნისათვის ერთმანეთს ეცნობიან და უახლოვდებიან ეკონომიურად. საქართველოში ნამყოფი თევდორე ტობოლინი მოსკოვის საგარეო საქმეების ხელმძღვანელობას ცნობას ასწვლის:

„А товары-де в грузинской земле те, что и в Кызылбашех (სპარსეთში): шолк и бархаты и камки золотные и цветные шолоковые и дороги и киндяки и зельдени. Да бобров-де и выдер много, а в дело у них бобры и выдры не ходят все продают в иные земли“ ეს საქონელი მოსკოვში მიმავალ ქართველ ელჩებთან ერთად ქართველ ვაჭრებს გაუტანიათ მოსკოვში მე-17 საუკუნეში გასასყიდად. იგივე ტობოლინი განაგრძობს: «А московского-де государства товары в грузинской земле пригожались (გამოდგა-ყარგად იყიდებოდა): сукна, настрафили и аглинские да соболи средние ж ценою, медь зеленая, олово сухое, рыбей зур“...<sup>1</sup>

რუსეთში გადასახლებული ქართველობა — მისი მოწინავე წრე განაგრძობდა ქართული კულტურის განვითარებას საქმეს. რუსულიდან ითარგმნებოდა სამეცნიერო წიგნები, გამართულ

იქნა ქართული სტამბა, გრძელდება ლიტერატურული მოღვაწეობა ქართული ემიგრაციის მოწინავე წარმომადგენელი ზოგიერთი პირი იმ დროის რუსეთის სახელმწიფოს ცნობილი მოღვაწეები არიან და ისინი დღეს მოწინავე რუსი ადამიანების პანთეონში განისვენებენ.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე ეს ხდება ფეოდალურ ეპოქაში, ამ ხანის იდეალიზაცია ჩვენ არაფერს მოგვცემს, იგი მხოლოდ არსებულ მოვლენის ისტორიულ განვითარების ეტაპების გასათვალისწინებლად არის ჩვენთვის საჭირო. რუსული თვითმპყრობელობა და მისი მისწრაფებანი უნდა მხილებულ იქნეს. რუსეთი ერთი არ არის, რუსეთი ორია. ლენინი წერდა: «Есть две нации в каждой современной нации скажем мы всея национал-социалам. Есть две национальные культуры в каждой национальной культуре. Есть великорусская культура Пуришкевичей, Гучковых и Струве, — но есть также великорусская культура, характеризующаяся именами Чернышевского и Плеханова“.<sup>2</sup> დაბ! ორ რუსეთს შეხვდა საქართველო მე-19 საუკუნეში — ერთი ალექსანდრე პირველის და არაქჩევეის, — მეორე რადიშჩევისა და დეკაბრისტებისა. ეს უკანასკნელი პირველს ებრძოდა, ჩვენ ამ მეორე რუსეთს ვთვლით მეგობრად. ასეთ რუსეთთან დაახლოვებას და მეგობრობაზე ვამყარებთ ქართველი ხალხისა და დიდი რუსი ხალხის მეგობრობის ისტორიულ საფუძვლებს და ამაში ვხედავთ პროგრესიულობას. და ნურავინ საწყენად ნუ დარჩება, თუ თვითმპყრო-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია. აკად. ივ. ჯავახიშვილის, სვ. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.

<sup>2</sup> В. И. Ленин. соч., том II. გამოც. მე-3. 1937 წ. გვ. 143.

<sup>1</sup> М. Полиевктов. Материалы по истории грузинско-русских взаимоотношений гл. 161.



ბელ რომანოვების „საქართველოს სოციალისტური რევოლუციის“ არ დაეცემა.

დასასრულს ორიოდ სიტყვა „ისტორიული ნარკვევის“ ლექსიკონის შეცდომებზე. ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ტატიშვილის წიგნს ქართველი ახალგაზრდობა აიღებს ხელში და წაიკითხავს. წიგნში დამკვიდრებული შეცდომები ამ ახალგაზრდობას დააბნევენ — გაურკვეველობას შეუქმნის. ამიტომ ყველაზე უფრო უხეში შეცდომები საგანგებოდ გამოვიტანეთ რეცენზიაში. ვ. წულუკიძე ამ შეცდომებს არაფრად მიიჩნევს, სტამბას სდებს ბრალს. ვის მიუძღვის დანაშაული, ეს ჩემი საქმე არ არის და ამის გარკვევა არც ისე ადვილი საქმეა. მაგალითად, 31-ე გვერდზე სწერია: „...მისში ბატონიშვილი (ერეკლე) დაესწრო უცხოელი სტუმრების მიღებას; მოწვეულ იქნა სადილზე, რომელიც გაიმართა რომელიღაც ელჩების — ანგარეტ დე ალვარესის და იოჰან დისტრახის ვანტენარხის პატივსაცემად“. წიგნის ავტორი არის დამნაშავე თუ მთარგმნელი წულუკიძე იმაში, რომ მე-17 საუკუნეში რომის სახელმწიფო გააჩინა ვეროპალი, ვერ გამოარკვევს მარტივად კაცი, ტატიშვილმა არ იცის თუ წულუკიძემ, რომ მე-17 საუკუნეში რუსეთში „римский цесарь“ ეწოდებოდა ავსტრიის იმპერატორს და ქართულად „რომაელი“ კი არ იქნებოდა, არამედ ავსტრიელი ელჩები. ასეთი სარტყორდო უფიცობის ნიმუშები არა ერთი მოვიხსენიე რეცენზიაში. მაგრამ არც ერთი მათგანი სტამბის თანამშრომელთა ბრალი არ არის, სტამბა არ არის ვალდებული ავტორის და მთარგმნელის შეცდომა, ასწოროს.

ახლა გვედავებინა იმას, რომ „СОРОК“ — ორმოცი არ იყო. ჩახედეთ მ. პოლივექტოვის გამოცემაში და ნახეთ, რასაც ნიშნავს მე-17 საუკუნეში

ეს სიტყვა. თვით რუსულ ენაშიც ციფრით არის აღნიშნული „сорок“ — 40. „Сорок человек по 25 рублей сорок“<sup>1</sup>, და თვით პროფესორს როგორ აქვს თარგმნილი თავის გამოცემებში „сорок“ — ორმოციეული, მან ხომ ქართული ენაც იცოდა და ძველი რუსულიც! მაგრამ ამაში არ არის საქმე „ნარკვევის“ მთარგმნელმა წულუკიძემ ვერ გავიგო, რატომ მიეუთითებთ არსებითად წიგნის ამ შეცდომაზე. თვით წიგნში აღნიშნულია, რომ თეიმურაზს 46 სიასამური გამოუგზავნესო. თეიმურაზს 46 სიასამური გამოუგზავნეს? ორმოცდა ექვსი კი არა — ორმოცდაექვსი ორმოციეული. რეცენზიაში მისი ღირებულებაც გავარკვიეთ და ამით ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ რუსეთი ამ ხარჯებს რომ ეწეოდა, დიდი დაინტერესება ჰქონდა ამ ქვეყანაში, ისტორიისათვის ეს საჭირო არის ამ თვალსაზრისით. წულუკიძე აღნიშნავს რომ 37-ც იყო „сорок“-შიო“ წინასაუკუნეებში ნაკლებიც იყო უფრო. თუ ეს იცოდით, დაგეწერათ 37, ან ორმოცდაექვსი დასტა სიასამური, და სამ სიასამურზე ეპრობას აღარ დაგიწყებდით — თეიმურაზს ბევრი აღარ დააკლდებოდა.

და ბოლოს რა უფლებების და საბუთების ძალით აცხადებს ვინმე „მეცნიერულად და პოლიტიკურად მიზანშეუწონლად და საეჭვოდ“ იმ დასაყრდენ დებულებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში, რომლის პოზიციებიდან ჩვენ შევადგასეთ ამხ. ტატიშვილის „ნარკვევა“. ნუთუ არ იცით, რომ ეს დასაყრდენი დებულება და თვალსაზრისი საქართველოს ისტორიის სახელოვან სახელმძღვანელოს ეკუთვნის?

<sup>1</sup> Подневктон. Посольство К. Мишецко-го. გვ. 56.

## ბიბლიოგრაფია



„უილიამ შექსპირის პიესების ტატოული კრებული“.

საქართველოში მიახლოსებულ შესანიშნავ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ბევრი თარგმანი შეემატა, მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შექსპირის პიესების ახალ კრებულს, რომელიც გამოსცა სახელგანთქა 1948 წელს.

კრებული შესდგება ოთხი ნაწარმოებისაგან: „ქარიშხალი“ — თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა, „ქირვეულის მორჯულება“ და „მეთორმეტე ღამე“ — თარგმანი სიკო ფაშალიშვილისა და „აქრზაური არაფრის გამო“ — თარგმანი გივი ვაჭერიაშვილისა.

ამ ნაწარმოებებიდან შექსპირის შემოქმედების ყველაზე უფრო აღრინდელ პერიოდს, სახელდობრ 1594 წელს, გუთვნის „ქირვეულის მორჯულება“. ამ კომედიაში ოსტატურად შედგენილ სტუქტის ფონზე ხსენება მთავარ მოქმედ პირთა კონტრასტული სახეები: ჭირვეული, მაგრამ ჭკვიანი კატარინა, ფრისიველი ბიანკა, ძლიერ ვნებათა ღელვის მოყვარულ, გონებაშავი პეტრუჩიოსი, უზერხემლო პორტუნოსი და სხვ.

„მეთორმეტე ღამე“, რომელიც უფრო გვიანდელ პერიოდს გუთვნის, შესრულების მანერით განსხვავდება პირველი კომედიისაგან: კომედიაში აქტორი დასციონის აღმამისის გულუხილობასა და თითქმისაზობას, მაგრამ ამ დაცინვაში უდარდელ სიცილს უკვე სევდიანი პანგვიცი ერევა. სევდიანი პანგვი უფრო ძლიერდება შემდეგ კომედიაში, რომელიც შექსპირმა ამავე დროს, ან ცოტა მოგვიანებით დაწერა. ეს ვახტანგ „აქრზაური არაფრის გამო“. პიესაში ეშმაკურად მოწყობილ ინტრიგას კინაღამ არ შეეწირა გულმართილი პერო. ამ კომედიაში მოცემული ტრაგიკული კვანძის კულმინაცია არის „ოტელი“, რომელშიც უდანაშაულო დედემონა პორტი იავოს მსაჯვრობის მსხვერპლი ხდება.

„ქარიშხალი“, რომელიც შექსპირის შემოქმედების უკანასკნელ სიტუაციას წარმოადგენს, აქტორი უკვე თავს ვეღარ აღწევს ეპოქის მიერ შექმნილ ტრაგიკულ წინაღმდეგობათა დაბნულ წრეს. პროსპეროს სახით იგი იმედს გა-

მოსთქვამს, რომ იქნებ მეცნიერებამ მომავალში შესძლოს ამ წინააღმდეგობათა დაძლევა.

მთარგმნელებს შექსპირის ამ ნაწარმოების ქართულად ასამეტრეველებლად შემდეგი სიმბოლოების გადაღება მოუხდათ:

1. შექსპირისეული ლექსიკის დიდი ნაწილი ან ზმარებიდან გამოვიდა, ანდა შინაარსით შეიცვალა. მთარგმნელმა მით უფრო უნდა გაუწიოს ამ გარემოების ანგარიში, რომ ხანდახან ახალი სიტყვა ძველის ანონიმს წარმოადგენს.

2. 16—17 საუკ. სინტაქსი მისწინელოვნად განსხვავდება თანამედროვე ინგლისურისაგან: იმ დროის ენას არ ახასიათებს წინადადების წვერთა ზუსტი ფიქსაცია, რის გამოც ზმირად გვხვდება ინერსიული გამოთქმები, განსაზღვრების გათიშვა მსაზღვრელისაგან, ელიფსური ფორმები.

3. რადგან შექსპირის ენა, უპირველეს ყოვლისა, სისაუბრო, ე. წ. „იმპულსური“ მეტყველების ენაა, მის ახასიათებს შრავლისმეტყველი პეუნება, მოულოდნელი შემაბილები: ურთიშო დაბოლოება აზრთა დინების არ აჩერებს, პირიქით, სტრუქტურებს ერთმანეთში აერთებს და მოლიან ერთეულად ჰქრავს. ამიტომ ფრანკის ინტონაცია მეტად ცვალებადია.

4. შექსპირი ამა თუ იმ მხატვრული საბის გადმოსაცემად ფართოდ იყენებს მისდროინდელ გამოთქმებს, ჩვეულებებს, ცალკულ ტერმინებს, ჩვეულებები, მისაღმების ფორმები, ტანსაცმლის თავისებურებანი, სპორტი, აეა თა. მამობანი, მუსიკა და სხვა ხელოვნება, აეაგის სახელწოდება, სამხედრო საქურველი, კანონები, სკოლის ტორება, თავისებური წარმოდგენები ბუნების შესახებ, ასტროლოგია, ხალხის რწმენა გადოქრების არსებობაზე — ეს ყოველივე აარეკლა შექსპირის ენაში, — წერს შექსპირის ერთერთი მკვლევარი ედუარდ დიუნენი.

ამიტომ მთარგმნელმა შექსპირის დედანზე მუშაობის პროცესში, ენგელის შემდეგი სიტუაციები უნდა გაითვალისწინოს: „ასეთი წიგნის სათარგმნელად (ლაპარაკია მარქსის „კაპიტალიზმ“, — მ. ა.) საკმარისი არ არის გერმანული



ლიტერატურული ენის კარგად ცოდნა; —საკვირობა, მართლაც, სრულყოფილად იყოფე გერმანული ენა, სალაპარაკო და ლიტერატურული. და, გარდა ამისა, საკვირობა ზოგი რამ გერმანულია ცხოვრებიდანაც იყოფა”<sup>1</sup>.

საბუთა შთარგმნელების სკოლა ენგელსის ამ სიტყვებს მეთოდურ სახელმძღვანელოდ იყენებს. ისინი თვალისწინებენ თარგმნითი ტექნიკის უყანასკნელ მიღწევებს, საფუძვლიანად სწავლობენ ავტორს, მის ეპოქას, ეუფლებიან წყურბლის ენას და სტილს. მათ მოგვცეს მალაღ მსატრეული ღირსების თარგმანი, რომელიც ჩვენს მკითხველს გაღაუშლის შექსპირის ნაწერებს.

შექსპირის ქართული კრებული ჩვენი თარგმნითი ლიტერატურის მნიშვნელოვან შენამენს წარმოადგენს. იგი შესაღება ისეთი პიესებისაგან, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ქართულად, და, რაც მთავარია, ქართული მკითხველი ამ წიგნში პირველად ეცნობა შექსპირის როგორც კომედიოგრაფს (შექსპირის კომედიების აქამდე არსებული თარგმანები ვადმოღებულა არა თრიგინალიდან და მსატრეულად რაღაღ სესტია).

„ქარიშხლის“ თარგმანი, რომელიც შესრულებულია ვ. ჰელიძის მიერ, ტექსტობრივად აბოლა დედანთან. შთარგმნელი ქართულსა და ინგლისურ ენების საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებს: უმეტეს ნაწილად სწორად ვადმოსცემს უცხო ენის იდიომატურ გამოთქმებს შესატყვისი ქართული ადეკვატებით, და მსატრეულ სახეებს უნარჩუნებს შესაფერ სტილისტურ ელფერს. მაგალითად:

ფერდინანდის შესახებ, რომელიც ახვართებულ ოკეანეში ნაბირისაკენ მისცურავს, ნათქვამია:

„აბობოქრებულ ტალღებზედა  
ამხდარებული,  
ეთო შთარღვევდა ის მტრადქცეულ  
წყლისა ხიუხებს“...

„მტრადქცეული წყლისა სიუხვე“ საუცხოოდ ვადმოსცემს აბობოქრებულ, უნარმაზარ წყლის სივრცეს, რომელსაც სამკედრო-სასიოცობლოდ შესქიღებდა უძლეური ადამიანი. შესღვე გკითხვლობთ:

„და თვით ნაბირიც, ვალეული  
სვირათთა ცემისგან  
თითქოს თავს ხრიდა მის საშველად...“

<sup>1</sup> ფ. რ. ენგელსი, წყრილი — „როგორ უნდა თარგმნოს მარქსი“.

ე. ბ. თვით ტალღებით მარგამობრეცილობა ნაპირი, რომელიც წყალზე ვადრეკნის... მისთვის საშველად ხელს უწყობს... ფერდინანდს.

მზღებლები ცდილობენ დაამშვიდონ მეფე აღწერა, რომ იქნებ მისი შვილი ფერდინანდი ცოცხალი ვადარჩა ვემის დღეულის შემდეგ. მაგრამ მეფეს ცრუ იმედი ვულს არ უამებს, იგი აწვებებს ულაპარკ ცივ ფაფასათო. „ფაფასათო შეცუებული ნუგეში“ — ტიპიური შექსპირული სახეა.

მაგრამ აღსანიშნავია ნაცვალსახელების სიკარბე ქართულ ტექსტში. როგორც ცნობილია ინგლისურში ზმნის პირიანობა ვამოიხატება ნაცვალსახელების საშუალებით. იმიტომ მათო სიუხვეზე იქ სრულიად ბუნებრივია. მაგრამ ქართულში, სადაც პირიანობა ფლექსიების საშუალებით ვამოიხატება, სრულიად ზედმეტია. მთარგმნელი, უდავოდ, მათ ზმარობს ან ინგლისურის ვადღენით და ან რიტმის შესახებ ვადგალითად.

„დავესცივან შენ აღქაჯები,  
„შენ წისკვილის ქვის სისწრაფითა  
კენესდი, ბლაღი  
„ისე წამერთვა მე ძალღონე“.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე რიტმის შექსების მიზნით შემართებული ხმოვანებით ტექსტის ვადატეორთვა. მაგალითად:

„არა, ძვირფასო ქმნილებო!“  
„ისეთი ხალხი ცხოვრობს მეოქი  
იმა კუნძულზე“.  
„მამინ პერცოფი მილანისა  
თავისი ქალით,  
უფროვე მეტად მშვენიერით,  
გეტყოდა მართალს“.

უყანასკნელ წინადადებაში „უფროვე“, რომელიც „უფროს“ ნაცვლადაა ნაზმარი, მხოლოდ რიტმისათვისაა ჩამატებული. ამის ვამო ფრანზა მშიმე და ზელოფერი ზღება.

პოეზიაში, რა თქმა უნდა, დასაშვევია წინადადების წყურების ვადანა, მაგრამ სილაბურ ლექსში მანდ ლოგიკური მახვილით ვამოყოული სიტყვები რიტმული მახვილის მატარებელიც უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ბუნებრივი სასაუბრო კილო და თვით ლექსიც რიტმულად ვატყდება. აღნიშნულ თარგმანში ზმირად წინადადების აზრი მთავრდება, მაგრამ ვინაღდან ამ ლოგიკურ დამთავრებას რიტმული ვადანსი არ მოსდევს. მკითხველზე ფრანზა დაუსრულებულ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგალითად:



„შე მათ ვხსნი ჯადოს, დაეუბრუნებ  
გონიერებას  
და ძველებურად იქნებიან“.  
„თვითონ ზედავ, არა გაქვს ძალა  
ზვალი ბავშვით მოგიდუნდა კუნთები“.

ქართული ზენებრივი სინტაქსური წყობის  
დარღვევად მივაჩნია წინადადების წევრების  
შემდგენიანი განლაგება:  
ანტონიო!

„შენ თვით შემთხვევა გიყარნახებს,  
შე კი ძლიერია  
წარმოსახვით გვერეტ შენ თავზედა  
დაშვებულ გვირგვინს“.

აქ ზედსართავი სახელი გამოყოფილია არსე-  
ბითი საბულისაგან, რომელსაც იგი განსაზღვ-  
რავს: სიტყვა „ძლიერია“ მოთავსებულია სტრი-  
ქონის ბოლოს, ხოლო „წარმოსახვით“ მეორე  
სტრიქონის დასაწყისში. ამიტომ ინტონაციური  
კლმინაცია ხედება მხოლოდ განსზღვრებას  
და არა თვით მსაზღვრებს.

ზენებრივი სინტაქსური წყობის დარღვევის  
შედეგად აზრი დამახინჯებულია შემდეგ ადგი-  
ლას:

პატრიმოყვარე ანტონიომ უკანონოდ მიითფი-  
სა მილანის ტაბტი. იგი ამბობს:

„გზა მილანისკენ

გადამილობს თუნდაც ოცმა  
სინდისმა ერთად,  
უწინ დადნება შაქარივით,  
შე კი ვერ მომდრეკს“.

თარგმანის მიხედვით გამოდის, რომ შაქარი-  
ვით დადნება გზა მილანისკენ, რაც სიმართ-  
ლეს არ შეეფერება. დედანში შემდეგი აზრია  
გამოთქმული: „ოცი სინდისი, რომელიც ჩემსა  
და მილანს შორის დადგება, უწინ დადნება,  
ვიდრე შე მომდრეკს“. დადნება „სინდისი“ და  
არა „გზა“.

სიკო ფშალიშვილის მიერ თარგმნილია „მე-  
თორშეტე ღამე“ და „პირვეულის მორატულუ-  
ბა“. მისი ქართულია ენა ძარღვიანი და საზო-  
ვანია.

მთარგმნელი კარგად ერკვევა თითოეული  
ხასიათის თავისებურებაში და ყოველ მათგანს  
სათანადო სახეს ურჩევს ქართულად. მაგალი-  
თად, სერ ტომასი, ეს შეთორშეტე ღამის“ ფალს-  
ტაფი, ქვეყანას არა გონებით, არამედ ყნოს-  
ვით ზღიქვამს. იგი ამბობს: „შე ყნოსვითა  
ვგრძნობ ხუმრობის ძალას“ (ფშალიშვილის  
თარგმანი).

თარგმანში კარგადაა შესრულებული კატრი-  
ნასა და პეტრუჩიოს მახვილგონიერე შედეგება,  
სერ ტომასი და მარიას მუსიკალური სიტყვა-  
პასუხი, და სხვ.

ერთი რამ უნდა ვესაუბეროდოთ მთარგმ-  
ნელს: ეს ვაზლავთ ზოგიერთ ადგილას ეპიტე-  
ტების გადჭირებული ხმარება. იქ, სადაც დე-  
დანში ერთი განსაზღვრებაა მოცემული, ხში-  
რად თარგმანში ორია. ეს არასასურველად  
ზრდის ქართული ტექსტის მოცულობას.

კომედია „აურზაური არაფრის გამო“ს თარგ-  
მანი შესრულებულია გივი გაჩეჩილაძის მიერ.  
იგი მოწმობს, რომ მთარგმნელი კარგად ერკ-  
ვევა ინგლისურ ტექსტში და რომ მხატვრული  
სახეების შერჩევას მის პოეტური აზლი  
გააჩნია. მაგ., შეუვარებელი კვლავდოსათვის  
„ღრა ყავარჯენით მიბობლავს, ვიდრე სიყვა-  
რული ყველა წესს შეასრულებდეს“.

როდესაც შეუვარებელი პეეტრიჩე თვით  
გაება სიყვარულის მხეში, გახარებულმა ზე-  
ნელიტემ წამოიძახა:

„Sits the wind in that corner?“

ეს იდიომა მთარგმნელს გადმოაქვს არა  
სიტყვასიტყვით, არამედ შესატყვისი ქართული  
გამოთქმით: „მიეპარეთ, მიეპარეთ, ფრინველი“  
უკვე ზის“.

მაგრამ თარგმანში ზოგიერთ გვეხდება ქარ-  
თელისათვის უცხო კონსტრუქციები და ცალ-  
კუთხეული გამოთქმები. მაგ., „არის თუ არა ჩვენი  
კრება დაშლილი?“ „სად ირიათ, რომელთაც  
უნდა დაეკითხოთ მის სიტყვებზე დაყრდნო-  
ბით?“, „მშვენიერად ვიცრავ“. „ზევანი თავის  
გონებისაგან ვანზე გამდვარა“, „ნუთუ არ მო-  
გუბოვებათ დავალება“ და სხვა. თვით სათაუ-  
რიც სიტყვა-სიტყვით გადმოთქმულია ინგლი-  
სურიდან: „აურზაური არაფრის გამო“ („Much  
ado about nothing“).

ოთხივე თარგმანი შესრულებულია თოთხ-  
მეტმარცვლოვანი ლექსით, რომელიც პირვე-  
ლად იგი მხაბულმა გამოთქმის შექსპირის პე-  
სების თარგმანში. ლექსის ეს ზომა თავისებუ-  
ლად იტევს შინაარსით მდიდარ, ფორმით ლა-  
კონიურსა და ემოციონალურად დატვირთულ  
შექსპირისეულ სტრიქონს.

ქართული თარგმანები არ არის დაზღვეული  
აზრობრივი შეცდომებისაგან, ვინაიდან მთარგ-  
მნელები ზოგიერთ ვერ ახერხებენ დედანში მო-  
ცემული გამოთქმების სწორად ამოსხმას. მაგ.,

სტეპანოს უნდა კალიბანი, როგორც უცხოუ-  
რი საკვირველება, ნეაპოლს წაიყვანოს, რად-  
გან „he is a present to an emperor that  
ever trod on neat's leather“ („ქარიშხალი“).

ქართულ თარგმანში ეკითხულობთ: „მშვენიერი სახელები იქნება ყოველი იმპერატორისათვის, როგორ ქაშახსაც უნდა ატარებდეს იგი“.

მეათხველი სრულიად სამართლიანად ეკითხულობს: „რა შეაჩი ქაშახი?“. ეს კი მოხდა იმიტომ, რომ მთარგმნელს არა პირდაპირი, არამედ გადატანილი მნიშვნელობით უნდა გაეგო გამოთქმა „that ever trod on neat's leather“ რაც ნიშნავს: „(იმპერატორი), რომელსაც ოდესმე უვლია დედაძინის ზურგზე“.

ბუნდღებზე და ზეატრინე ხშირად ეკვიბრებიან გონება-მზვილობაში ერთმანეთს. ერთ-ერთი ამგვარი პაექრობის ბოლოს, ზეატრინე ეუბნება ბუნდღებებს: „You always end with a jade's trick“.

ეს ფრაზა მთარგმნელს ქართულად სიტყვა-სიტყვით გადმოუცდა: „თქვენ მუდამ ჯაგლაგი ცხენის ზემოთით ამთაგრებთ ხოლმე ლაპარას“ („აურზაური არაფრის გამო“).

ქართულად გაუგებარია გამოთქმა „ჯაგლაგი ცხენის ზემოთ“, რომელიც გადატანილი მნიშვნელობით ნიშნავს „გაცვეთილ ზემოთას“. თუ ამ სიტყვებს ჩავსვამთ კონტექსტში, აზრი სრულიად ნათელი გახდება: „თქვენ საუბარს მუდამ გაცვეთილი ზემოთით ამთაგრებთ ხოლმე“.

ზეატრინე ნიშნობასა და ქორწინებას აღარებს სხვადასხვა ტემპის ცეკვას. ამიტომ იგი ეუბნება პეროს: „თუ (მრინემა) არ დავნიშნა შესაფერი ტემპით (ე. ი. შესაფერი ტემპის ცეკვით), პანგი იქნება დამნაშავე“.

თარგმანში საწინააღმდეგო აზრია გატარებული: „მესიკა იქნება დამნაშავე, ბიძაშვილო, თუ დროზე ვაიძველავნა ტრეობა“ („აურზაური არაფრის გამო“).

მარია ეუბნება სერ ენდრიუსს: „Pray you. Bring your hand to the buttery — bar and let it drink“. ქართ. თარგმ: „გაბოვოთ ეგ ხელი სარდაფში ზაიტანოთ და ცხიმის გობში დაასველოთ“ („მეთორბეტე ლაშე“).

თარგმანში აზრი დამახინჯებულია. სიტყვა buttery-bar-ს ცხიმოვან არაფერი საერთო არა აქვს. იგი ნიშნავს სარდაფის თაროს, რომელზედაც ჩამომწკრივებული იყო სხვადასხვა სასმისები. შექსპირის ნაწარმოებთა სრულ კრე-

ზულში, რომელიც დაიბეჭდა 1937 წ. მარსკოეში ინგლისურ ენაზე, მოცემულია შემდეგი გამოთქმა: „ამ გამოთქმას წინადადება იწოდებოდა მსახური—ქალები. იგი გადატანილი მნიშვნელობით გულისხმობს პაროფენებს, რომელსაც ხელი ხელის ველი აქვს, რაც იმ დროს ტემპერამენტის უქონლობის ნიშნად ითვლებოდა“. მარია დანციანის სერ ენდრიუსს, რომ მას ტემპერამენტი არ გააჩნია.

გიოლას სერს მსახურად დაუდგეს პერციოვს. რომელიც მას გაგიყვით უყვარს. გემის კაპიტანი, მისი შეგობარი, ურჩევს მას: „Be you his eunuch“.

ქართ. თარგმანი: „თქვენ გახდებით მის საკურსად“.

თარგმანში სიტყვა „eunuch“ სწორად არ არის გაგებული, რის გამოც აზრი დამახინჯებულია. „Eunuch“ ნიშნავს არა მარტო საკურსის, არამედ ერთგულ აღამიანსაც. კაპიტანი გიოლას ეუბნება: „გახდი პერციოვის ერთგული აღამიანი“.

კვლავილი ზემოთ: „Many have been beside their wit“ („აურზაური არაფრის გამო“).

ილიოში beside one's wit ნიშნავს გაგიყვებას. მთარგმნელს ეს გამოთქმა გადმოაქვს სიტყვა-სიტყვით: „მეფერი ვინმე თავის გონებისაგან განზე გამდგარი“.

გონება-მზვილი მარგარეტა ეუბნება ზეატრინეს: „an you be not turn Turk, there's no more sailing by star“ („აურზაური არაფრის გამო“).

ქართულად ეს წინადადება არამც თუ ვრამბრტყულად გაუმართავია, არამედ აზრობრივად გაუგებარია:

„ღმერთმანი ვერც თურქობას არ მიმართეთ ვარსკვლავებით გზას ვეღარაინ გაივინებს“.

მთარგმნელი ვალდებულია ამგვარი ადგილი სწორად განვიფროს. ილიოში to turn Turk ნიშნავს შეცვლას, გარდაქმნას.

ჩვენს მიერ მოყვანილ მავალითში დედნის მიხედვით შეშდვი აზრია გატარებული: „თუ ზეატრინე არ შეიცვლება (ე. ი. არ მოინდომებს გათხოვებას), მაშინ ნურც მისწრაფის, ვარსკვლავებისაყენ (ე. ი. ნურც დასწყდება ველი, რომ მისთვის სიყვარულის სიტკბო უცხობა“.

ხანდახან ცალკეულ სიტყვასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს მოქმედ პირთა ხასიათის სწორი გახსენისათვის. მაგ., პროსპერო ფერდინანდის შესახებ ამბობს:

„რომ დრო იყოს ახლა ამისი,  
მაშინ პერციოგი მილანისა,  
თავისი ქალით,  
უფროვე მეტად მშვენიერით,  
გეტყუდა მართალს“

(„ქარიშხალი“)

ქართულ წინადადებაში აზრი დამახინჯებულია. დედანში შემდეგნაირად:

„მაშინ პერციოგი მილანისა და მისი მეტად მამაკე ქალი დაგიმორჩილებდნენ“.

როგორც დედნიდან ვხედავთ, პროსპერო თავის ქალს უწოდებს მამაკეს (brave). ამ გზიტეტს შირანდას სახის გახსენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: — უდაბურ კუნძულზე აღზრდილი ქალი, თუმცა გარეგნულად ნაზია, მაგრამ გულში მხნე და მამაკეა. იგი არა ჰგავს არისტოკრატიული სალონის მანჯია ასულებს. თარგმანში ეს დეტალი არ ჩანს, ვინაიდან გამოტოვებულია გზიტეტი „მამაკე“; მის ნაცვლად კი ჩამატებულია ბედოვნური ფრაზა „უფრო მეტად მშვენიერით“.

ტევიანი, თამაში ბეატრიჩე დასციინის მორჩილ უნებნისყოფო პერის: „ეს ჩემი შიმაშვილის მოვალეობა ვახლავთ რვეერანსებებს გაცეთება და თქმა: „მამა, როგორც გუნებოთ“. და it please you). იგი ურჩევს პეროს ერთგულ მონღ თამამად განუცხადოს მშობელს: „მამა, როგორც გუნებოს“. თარგმანში ეს დეტალი არ ჩანს, ვინაიდან მთარგმნელი ორჯერვე იმყოფება: „როგორც გუნებოს, მამაშემო“.

სამივე მთარგმნელი, უმეტეს ნაწილად, არ გადმოიტყუებენ კალამბურებს (ქართულად: მითოდენ უხვადაა გაბნეული შემქმნელი მხეცხე). განსაკუთრებით კომედიებში. მათი დაცვა თარგმანში კი სასურველია, რადგან ისინი გადმოსცემენ გმირის ამა თუ იმ ჩვევას, მის განწყობილებას. მთარგმნელი უნდა შეეცადოს კალამბურს არ დაუკარავს ლაღი ჰუმორი და არ დაამძიმოს იგი. ჩვენი აზრით თუ მთარგმნელებმა ვერ შესძლეს სიტყვათა თამაშის გადმოცემა ქართულად, სქოლიოში მიიწე უნდა განეპარტათ მათი რაობა, ვინაიდან ქართულ ტექსტში გვხვდება ბუნდოვანი იდეცილები, რომელთა აზრი ნათელი გახდება მხოლოდ კალამბურის განმარტების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ კრებულს არა აქვს დართული კომენტარები, რის გამოც ზოგიერთი ადგილები თარგმანისაიდან მკითხველისათვის ბუნდოვანია.

კომენტარები ესაჭიროება აგრეთვე კალამბურებს, რომელთაც ესოდენ ხშირად ხმარობს შექსპირი. სამწუხაროდ, ჩვენი მთარგმნელები არსად იძლევიან განმარტებას, თუ რას გულისხმობს ავტორი ამა თუ იმ სიტყვათა თამაშის გადმოცემისას. ამ განმარტების გარეშე კი მრავალი წინადადება თარგმანში გაუპართლებული რჩება.

იმედი გვაქვს, რომ შექსპირის პიესების შემდეგ გამოცემებს აუცილებლად დართული იქნება სათანადო განმარტებითი ხასიათის შენიშვნები.

მერი იანმოშვილი.



ალექსო შინგელია — „ანბანთი სიმღერა“  
საბლიტბამი, 1948 წ.

საბლიტბამმა გამოსცა ა. შინგელის საბავშვო ლექსების წიგნი. წიგნში მოთავსებული ლექსები უფლებას გვაძლევენ ვთქვათ, რომ ავტორი კარგად იცნობს ბავშვთა შინაგან სამყაროს, ფსიქოლოგიას და ხასიათს.

ამ ლექსებში საბჭოთა ქვეყნის აბაღაზრდობის არსებითი თვისებები გამოთქმულია პატრიოტიზმი, დიდი თვლადისადმი ერთგულება და სიყვარული, სიძულელი ჩვენი მტრების მიმართ. ლექსებში, — „სახეიზოდ თქული“,

„სტალინს რომ ვაგხარდება“, „სიმღერა ბერიანზე“, „საბჭოთა არმიელი“, „სიმღერა დიად ზეთულღზე“, „წერილი მამას“ და სხვა, გამოშვლანებულია საბჭოთა აბაღაზრდობის ეს ძირითადი თვისებები. ამ ლექსებიდან მელდენდება ისიც, რომ პოეტს საკმაო მხატვრული აღლო გაანია იმისათვის, რომ მან ჩვენი აბაღაზრდობის მაღალი შეგნება, განცდება და გრძნობები განახოგადოვოს. პოეტმა ლექსში, — „სახეიზოდ თქული“, სადა და მარ-





ტივი სიტყვებით ნათლად გამოხატა მტკიცე ხასიათის, შეუდრეველი სიმტკიცის მქონე საბჭოთა ხალხის გულმობრვალე და ურყევი სიყვარული სტალინისადმი.

„ყველაზე ტკბილს, ყველაზე კარგს, რასაც ქვეყნად არაა სჯობს, გრცელს, მშვენიერს და უძლეველს, ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს, ჩვენს დიდ ხალხს გაუმარჯოს!.. იმას, რომლის სიყვარულში გული ჩვენი დაღლას არ გრძნობს, ჩვენს იმედს და სიამაყეს, — ჩვენს დიდ სტალინს გაუმარჯოს, მის სიციხელეს გაუმარჯოს!“

ლექსში — „სტალინს რომ გავხარლებ“, პოეტის ყურადღება მიქცეულია იმ ნაზი და ფაქიზი სულის საბჭოთა ბავშვებისაკენ, რომლებიც ჩვენი დიდი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ქალაქ გარში დიდი ბელადის სახლისა და მისი აყენის სანახავად ჩამოდიან.

„მოსულხართ, სახლი რომ ნახით პატარა, მაგრამ დიდი, რომელმაც შობა მშვენიერად, რომ გაუფინტა წყველია!“

გორში ჩასული ბავშვებით აღფრთოვანებული პოეტი ჩვენი ქვეყნის საყვარელ ნორჩ თაობას შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„იხარეთ, თქვენ გაგიმარჯოთ, და გაფურჩქნეთ ვარდებად, ისეთი კარგი იყავით, სტალინს რომ გავხარლებ!“

ამ ლექსის ღირსება არა მარტო ღრმა შანაარსში მდგომარეობს, არამედ მის მზატერულ ფორმაცშიც. ჩვენი პოეტების მიერ ამხანაგ ლ. პ. ბერიაზე დაწერილ ლექსებს უაღრესად დიდი საზოგადოებრივი და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ქართველი მწერლების მიერ შექმნილ ამხანაგ ლ. პ. ბერიას ღრმა აზროვნებისა და ნებისყოფის გამომატველ ბრწყინვალე ქმნილებათა საგანძურში ა. შენგელიას თავისი წვლილი იქნეს შეტანილი. საბჭოთა ხალხის სულიერ განწყობილებიდან გამომდინარეობს პოეტის შემდეგი სტრიქონები, მიმართული ლ. პ. ბერიასადმი:

„საქართველოს რაინდო, ქვეყნის აღმშენებლო, სიხარულის მშობლო, ბნელის გამთენებლო, ბრძენთაბრძენის სურვილის შენ ხარ გამომსახველო.“

ჩვენი ყველა სიმღერას მკვია შენი სახელი“.

თარგმანი  
მიმდევრო სტრიქონებში ტრეკლერს მკვია შენი სახელი  
განის სურვილებს აერთიანებს და წერს:

„შენ იციცხლე, იციცხლე, ვიდრე სიტყვა ქართული, შენს სამკობად ნარნარებს შენზე ლექსით ვართული. შენ იციცხლე, იხარე, გმირთაგმირი ბერია, ჩვენი ყველა სიმღერა თვით შენ დაიფურია. დაილოცა აყვანი, შენ რომ გზარდა, ვარწია, შეუდრეველ რაინდად და უშიშარ არწივად“.

პოლო სტრიქონებში:

„დაველოცა მარჯვენა, სიხარულო გულისა, საიშედო დარაჯო, ხალხთა სიყვარულისა“.

კარგად მოიხანს ის წმინდა სიყვარული, რომელიც ცოცხლობს ხალხში ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიმართ.

პოეტი ჩვენს ახალგაზრდობას ესაუბრება ახალ ხეთწილზე, შრომის გამიბრებზე. პოეტი მარტოვად და უბრალოდ აცნობს ნორჩ თაობას რუსთავს და სამგორის მშენებლობას.

„პეი, შემოყრებით, მისმინეთ, სიმღერას უნდა გაშვინი! გესმით? მქუბარებს რუსთავი, გესმით? გუგუნებს სამგორი“.

და შემდეგ:

„გესმით? გუგუნებს რუსთავი, დიდი ხეთწილდის დიდება, სამგორს იკითხათ? სამგორიც ბარაქით დაიტვირთება“.

თუ ჩვეუკვირდებით ა. შენგელიას ლექსებს, დავინახავთ, რომ პოეტი ყოველ მხრივ ცდილობს ბაუშეს გააცნოს საგანი და მოვლენები იმგეზრად, რომ არ დაამძიმოს მისი გონება. მართალია, ბავშვის გონებას გამჭირაობა არ აქვია, მაგრამ იგი უკერ კიდევ გამოუცდელია, ამიტომ საჭიროა გამომსახულ იქნას თხრობის ისეთი ფორმა, რომლის მეშვეობითაც ბავშვი ადვილად გაეცნობა ყველა თანამედროვე საკითხის და საგნებს. აი, მაგალითად, პოეტი როგორი ფორმით ცდილობს ბავშვს შეაყვაროს წიგნი და გააცნოს მისი მნიშვნელობა:

„გსურს ასახელი შობელი მხარე,  
მას ეშასხურო საქმით და ფიქრით? —  
ამისთვის წიგნი ავიხელს თვალსს,  
ამისთვის უნდა გიყვარდეს წიგნი“.

და იქვე პოეტს უსწინს ახალგაზრდა მკითხველს, თუ რა მიზნით უნდა გიყვარდეს წიგნი:

„გიყვარდეს წიგნი—გონების თვლით  
რომ სახავს, გვაცნობს ქვეყნის ცხოვრებას!  
გიყვარდეს წიგნი და შენი ვალი  
ყოველ ნაბიჯზე გემახსოვრება!“  
(„გიყვარდეს წიგნი“).

ლექსში, — „სიმღერა შრომის გმირებზე“ სოციალისტური შრომის ორ გმირთან გვაქვს საქმე. პოეტი ამ ლექსში გვაცნობს მათ დამახებრებას საშობლოს წინაშე იმგვარად, რომ ახალგაზრდა მკითხველი წაიკითხავს თუ არა ამ ლექსს, დიანახავს შრომის გმირის სახეს და აღუძვრება სურვილი თვითონ გახდეს გმირი.

საბავშვო მწერლობა ერთ-ერთი ნაწილია საბჭოთა ლიტერატურისა, ამიტომ ისიც ისევე ეშასხურება ხალხის კომუნისტურად აღზრდის საქმეს, როგორც საერთოდ საბჭოთა მწერლობა. მაგრამ საბჭოთა საბავშვო მწერლობას მაინც აქვს თავისი სპეციფიკური თვისებები. საბავშვო მწერლობა უფრო არის პედაგოგიკასთან დაკავშირებული და უფრო მეტად თვალისწინებს პედაგოგიურ მოთხოვნებს. ეს რასაკვირველია, სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქმის საბავშვო წიგნი შეიძლება მხატვრულად მდარე გამოვიდეს, ოღონდ იგი პედაგოგიურად გამართული იყოს.

ა. შენგელიას წიგნში მოთავსებული ლექსები არა მარტო პედაგოგიურადაა გამართული, არამედ მხატვრულადაც. მაგ., ლექსი. — „რა ზელობა სჯობს“ (მაიაკოვსკის მიხედვით) დიდაქტური ხასიათისაა, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისითაც იგი გამართულია, ეს ლექსი შშრალ რჩევა-დარიგებას და ამა თუ იმ პროფესიის უბრალო პროზაიანდს კი არ ეწევა, არამედ ემოციურ ზეგავლენას ახდენს. კითხვლობს ახალგაზრდა ამ ლექსს და ცოცხალი სახეებით გრძნობს, რომ ყველა ზელობა პატივისცემის ღირსია, მისთვის ნათელი ხდება, რომ ყველა პროფესიის ადამიანი იქნება იგი ღურგალი,

ინეინერი, ექიმო, მფრინავი თუ კონსტრუქტორი, თვისი პატიოსანი შრომით ექვეყნის მშენებლობას ღებულობს კომუნისტურ საქმეში. ამ ლექსის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბავშვს ერთნაირად აყვარებს ღურგლობას და ინეინრობას, ექიმობასა და კონსტრუქტორობას. პოეტი სამარლიანად ეუბნება ბავშვს:

აირჩიე, რაც შენ მოგწონს,  
საჭიროა ყველა დარგი,  
ისწავლე და იბეჯიეთ,  
და ისტატი გაზდი კარგი.

სოციალისტური რეალიზმის ფერმდებელი მუშაობს გორკი აზრობა, რომ საბავშვო მხატვრულმა ლიტერატურამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვებს გემოვნების განვითარებაში და ცოდნისაყენ მისწრაფებაში. მაქსიმ გორკი სწერდა, რომ საბავშვო ნაწარმოები უნდა დაეხმაროს ბავშვს სასკოლო მეცნიერებაში ჩაწვდომის საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია პოეტი ა. შენგელიას ორი ნაწარმოები „თვეების გასაუბრება“ და „ანბანთ სიმღერა“. „თვეების გასაუბრებაში“ ბავშვი ეცნობა წელიწადის ყველა დროს ცალკე აღებულ თვეების მიხედვით. რა სახისაა და რას წარმოადგენს, მაგალითად, იანვრის თვე, საქართველოს ხალხისათვის მუდამაქმს აღსანიშნავი თებერვალი და სხვა. ისევე ითქმის „ანბანთ სიმღერაზე“ რომელშიაც პოეტი ელაპარაკება ბავშვებს მხატვრული სახეებით და უძმის წარმოდგენას მოვლენებსა და საგნებზე.

წიგნში შესულია სამამული ომის თემზე დაწერილი რამდენიმე ლექსი, სახელდობრ „წეჩალი მამს“, „მამის წერილი“, „ოქტომბრლის სიყვლილი“ და სხვა.

ა. შენგელიას საბავშვო ლექსებში გაიცოცხლებულია ბუნება. ბუნება პოეტის ლექსებში შესანიშნავად გამოხატავს ჩვენი თაობის განწყობილებებს. მის მიერ აღწერილი ბუნება არ არის დაღვრვილი, ცივი და მიუკარგბელი. იქ ბუნება ისევე სხეტავია, როგორც ბავშვის ხელი.

ა. შენგელიას საბავშვო ლექსები ქართული საბჭოთა საბავშვო პოეზიის კარგი შენაქნია.



ნ. ა. ჩაბუაშვილი: „პარტიული კომპარტიკული საფუძვლო ომის ფორმებზე“

სახელგამის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა გამოცემა ნ. ა. ჩაბუაშვილის ბროშურა: „პარტიული კომპარტიკული საფუძვლო ომის ფორმებზე“.

როგორც ავტორი სწერს, ბროშურა შედგენილია ცენტრალურ, რესპუბლიკურ პრესასა და საფრინტო განყოფილებაში 1941—1945 წლებში მოთავსებული წერილების საფუძველზე და აგრეთვე იმ საარტიკლო მასალების საფუძველზე, რაც დაეძღვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისიის არქივში.

ზემოაღნიშნული ბროშურა ავტორის მიუძღვნია ლენინურ-სტალინური კომპარტიკის 30 წლის-თავისადმი.

ლენინ-სტალინის პარტიის გმირული ბრძოლების ტრადიციებზე აღზრდილმა ახალგაზრდაობის კომუნისტურმა კავშირმა, რომელშიც პარტიის ხელმძღვანელობით განვლო ბრძოლისა და შრომის გმირული გზა, სამამულო ომის მატარებელი ჩასწერა თავისი საბრძოლო წარმატებების სახელოვანი ფურცლები.

საქართველოს კომპარტიკის სამშობლოს დასაცავად, ვერაფერს წინააღმდეგ წარგზავნა ათეული ათასი ჰაბუკი, ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი ბელადის უერთგულესი ახალგაზრდობა. პარტო სამამულო ომის წლებში საქართველოს კომპარტიკის საბჭოთა არმიის მისცა ათასობით ჰაბუკი და ჭაღვიფილი. ისინი გმირულად იბრძოდნენ სამამულო ომის ფორმებზე. საქართველოში საბჭოთა კავშირის 120 გმირიდან, რომელთაც ეს საამაყო სახელწოდება ბრძოლებში მიიღეს, ნახევარზე მეტი კომპარტიკელია, ან კომპარტიკის იბრძოლი ვაჟაკი. ჩვენი სახელოვანი გენერლების უმეტესობაც კომპარტიკისაა აღზრდილი.

სარეცენზო ბროშურის პირველ თავში აღწერილია პარტიული კომპარტიკული საბრძოლო

გზისთვის მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის გმირი ჭაღვიფის დაცვის დროს. როგორც საქვეყნოდ ცნობილია, პირველი გამანადგურებელი დარტყმა პიტლერის არმიამ ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქთან იგემა. ამ ბრძოლაში საბჭოეთის ყველა რესპუბლიკის ვაჟაკებთან ერთად, პარტიული კომპარტიკელი იყვნენ და საბჭოთა არმიის ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში მათაც მიიტანეს თავისი წვლილი. სარეცენზო წიგნის ავტორს მოეცა დამახასიათებელი წერილი მოსკოვთან მებრძოლი პარტიული კომპარტიკის შ. ჯაფარიძისა, შობილებისადმი გამოგზავნილი: „მეორესთან შობილება! ჩვენი მოსკოვი საფრთხეშია, მაგრამ პიტლერის სისხლიანი ზელი მოსკოვის მისდგომებთან იქნება მოკეთილი. მე და შამილი ახლა აქ ვიბრძვით ფაშისტების წინააღმდეგ, არ ვიცი, მე და შამილი თითქმის რაღაც უზიარევი ძალა არ გვაქვს ვერ თმანეთს. ზანდაბან ორი სამი დღე ვერ ვბრძვებით ერთმანეთს, მაგრამ ისევე ვართ. აი, მოულოდნელად დაიწყო საბაერო ბრძოლა ჩვენს შევარდნებზე და ფაშისტურ ძეგლებს შორის. საბაერო ბრძოლა ნახევარ საათს გაგრძელდა. 5 ფაშისტური ძეგლი ძირს დაეარება. ჩვენი „შევარდნები“ ისევე პაერში არიან... ისევე ბრძოლა პაერში. ვწვევთ წერილის წერას, რადგან ჩვენც, ტანკისტები, ბრძოლაში მივდივართ. დაწმენდებულნი იყავით, რომ კაცობიანებს თავსაც სისხლი ჩავაღრმობთ“.

სამშობლოს დაცვაში მონაწილეობას იღებდა პარტიული ხალხის დაუფარავი შვილი გენერალი კ. ნ. ლესელიძე, რომელიც აგრეთვე ჩვენმა სახელოვანმა კომპარტიკისა აღზარდა. სარეცენზო წიგნის ავტორი ჩამოთვლის მრავალ პარტიულ კომპარტიკელს, მოსკოვისათვის ბრძოლის მონაწილეებს.

თბილისში მოსკოვის დასაცავად სპეციალური ჯაფარიძის მატარებელი გაგზავნა. ამ მატარებლის პირადი შემადგენლობა თითქმის სულ კომპარტიკელთაგან შენდებოდა. მატარებელმა გმირულად შეასრულა თავისი წმინდა მოვალეობა. სამწუხაროდ, ავტორის აღზრდილი არ ქონია მასალები ამ ჯაფარიძის მატარებლის საგმირო საქმეთა შესახებ და ამ ბროშურაში იგი მხოლოდ ვაჟაკითაა ნახსენები.

\* ბროშურის პირველ ვერსიებზე გაპარულია ფაქტობრივი სისაბიძგე შეცდომა: ავტორი შესავალში სწერს: „მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს ლენინურ-სტალინურ კომპარტიკის ოცდაათი წლისთავი უსრულდება“. წიგნი გამოცემულია 1949 წელს.



გვირი ქალაქის ლენინგრადის დამცველთა რიგებში მებრძოლ ქართველ კომკავშირელთა საბრძოლო საქმეებიდან მეტად ამაღლებული ეპიზოდია მოყვანილი სარეცენზიო წიგნაკში. კომკავშირელ კატე პუბლიკის სახელი მთელს ლენინგრადს მოედო და აი, ჭუბაბრიას ჭვეჯი-ნაყოფს ეწვია ლენინგრადის მანქანათმშენებელი ქარხნის მეშათა დელეგაცია. მათ ქართველ კომკავშირელს გადასცეს ჭველა პიტერული მუშის, სამოქალაქო ომის გმირის, წითელ-გვარდიელის მაქსიმოვის საველე ჩანთა, ასეთი წერილით: „ქვირფასო აშხანავო სულთ და გულთ გოგონანი ჩემს ამ მკორე სამუქარს, ჩემოვის ვეელაზე სამხსოფრო ჩანთას. ამ ჩანთამ განელო ჩემთან ერთად სამხრეთის—კოლჩაკისა და დსავლეოვის ფრონტები. მას რომ პეტეველებს უნარი ჰქონდეს, იგი მოვიტხოვრობდათ მთელს სამოქალაქო ომზე. მაშინ მოვიტხოვრობ და გამარტახებულ ჭვეჯანაში ჩვენ ახჯარ უფრო გვიტოვდა, მაგრამ ვეელაფარს ვაძლეოთ და გავიმარჯვეთ. ეს ჩანთა ჩემი თანამგზავრი იყო ბრძოლებსა და გამარჯვებებში.“

ომი — ეს ვეელაზე სასტიკი ბრძოლაა. მხოლოდ ვაბედდენი და გულადნი იმარჯვებენ ომში. ვიგზაენით ღია ბარათებს იმ ქალაქის სურათებით, რომელსაც თქვენ იცავთ. მაგრად გართმევთ ხელს! მომწერეთ თავისუფალ წუთებში. ნურაფრად ჩაადგებთ სიყვდილს, ურტყით, ანადგურეთ ფაშისტური სიბინძურე. წითელ-გვარდიელი მაქსიმოვი“.

მიიღო რა კომკავშირელმა სამოქალაქო ომში გამოვლილი ჩანთა, აღუთქვა ლენინგრადელებს უკანასკნელ სიხლის წვეთამდე ებრძოლნა სავარელო ქალაქის დასაცავად; თავის შხრივ იგი სწერდა ლენინგრადში: „გაკეროდეთ საბჭოთა არტილერისტის სიტყვა. ისევე მამაცურად ვერტყამ და გავანადგურებ ფაშისტებს, როგორც თქვენ ანადგურებდით თეთრგვარდიელებს. ვეფიცავ საყუთარი მყერდით დავიცვა თქვენი და ჩვენი ლენინგრადი. წითელი მეომრები გამარჯვებენ და მაშინ მე დავბრუნდები თქვენთან საბრძოლო ჩანთით და პატაკით ჩვენი გამარჯვების შესახებ“.

ქართველ კომკავშირელს დორეულს ესტონეთის ე. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივან-

ნი სწერდა: „საბჭოთა ესტონეთის მუშა, ჩონელიც გვირ წითელ არმისტრუქტურულ ფლოტთან ერთად იბრძვის ნებუნქარებში-სისტური ურდოების წინააღმდეგ, აღუტოვანებით და დიდი მადლობის გრძნობით ისმენს ცნობებს სახელოვან ბალტეულ მფრინავთა საგმირო საქმეებზე, მათ მიერ საზიზღარი მტრის უღმობელ განადგურებაზე.“

„ეკავებოდა და ისტატობა, რასაც თქვენ იწენო, მოწმობს შესანიშნავ საბრძოლო თვისებებს მრავალმილიონიან ლენინგრადისწერი კომკავშირისას, რომლის წიაღშიაც აღიზარდეთ და რომლის ღირსეული შეიღები ხართ თქვენ და თქვენი მეგობრები...“

ურტყით მტერს უღმობლად, მოსპეთ იგი ვეელად, სადაც არ უნდა გამოინდეს“.

ეს შესანიშნავი დოკუმენტები ნათელყოფენ საქართველოს კომკავშირის მიერ გამოხრდილ ვეეკაცთა საბრძოლო წარმატებებს და ამაღლებულად აცოცხლებენ სამშელო ომის მრისხანე დღეთა მოგონებებს. ჩვენს კომკავშირს დიდაც შეუძლიან იამაყოს თავისი მებრძოლებით, ისინი ლენინგრადთანაც ისე იცავდნენ სამშელოს, როგორც მოზღოყთან და ვლადიკავკაზთან.

გვირი ქალაქის სევესტოპოლის ბრძოლებში ისახელეს თავი მფრინავმა აღ. წერწმომამ, ნოე ადამიამ და არკადი გევეშიძემ. ამითთან ერთად სარეცენზიო წიგნის ავტორი ჩამოთვლის მრავალ ქართველ კომკავშირელს სევესტოპოლისათვის ბრძოლის მონაწილეს, რომელთაც აგრეთვე გაითქვეს სახელი. ესევე იბრძოდნენ ახალგაზრდა ქართველები ოდესასთანაც.

სარეცენზიო ბროშურის ავტორი აღწერს სტალინგრადთან მებრძოლ ქართველი კომკავშირელების საბრძოლო საქმეებსაც. თვით თაყართელადე, სტალინგრადის ბრძოლების სახელმძოხვევილი მონაწილე, აღზრდილია საქართველოს კომკავშირის მიერ. თავართელაძის დღეისთვის გამობრძეულილობასა და მამაცობაზე ლამარაკოს ის ფაქტი, რომ ამ შენაერთში მოავრბობის ჯილდო მიიღო 8743 კაცმა, და მათში მრავალმა ქართველმა.

ბროშურაში შედარებით მეტი ადგილი აქვს დათმობილი კომკავშირელთა გვირობას ჩრდი-



ლოდი კავკასიის ბრძოლებში. ამ ნაწილში ავტორი მიმოიხილავს, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტებზე მოქმედ ორივე ქართული შენაერთის ახალგაზრდობის საბრძოლო საქმეებს. ლევან ბერიას, კავიტან ბუხაიძის, შ. ზაქარაიას, პირმისაშვილის, კანკავას, ლურსმანაშვილის, დ. სხვათა გმირობას.

ბროშურის შემდეგ თავებში აღწერილია კომკავშირელთა გმირობანი, ტამანის ნახევარკუნძულის, ყუბანისა და ყირიმის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში. ბოლოს ცალკე თავადია გამოყოფილი მოკლე ცნობები ქართველ კომკავშირელებზე „საბჭოთა კავშირის გმირებზე“.

მოუხედავად საკმაო ფაქტიური მასალისა,

ბროშურას სტემატიკობის ბევრეფექტურობაში ვერ გაცევათ ფაქტების გამწვანებლობა. ცემას. მკითხველი უსათუოდ შეტს მოედის, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ-კავკასიის ბრძოლების აღწერის დროს. იმ უმარავი მასალიდან, რომელიც შეიძლება ავტორს ხელთ ჰქონოდა ქართველ კომკავშირელთა მონაწილეობის შესახებ ჩრდილოეთ-კავკასიის ბრძოლებში, მიმზიდველი სურათის დახატვა შეიძლებოდა ეს კი შეტად სასურველი იყო.

ამისდა მიუხედავად ეს ბროშურა უთუოდ სათანადო როლს შეასრულებს ჩვენი ახალგაზრდობის, მტკიცე საბჭოთა პარტიოტების გმირული სულისკვეთებით აღზრდაში.

დ. გორდამია



**შინაარსი**

ილო მოსაშვილი — ჩემი ქვეყნის დებულებებს . . . . .	83-
დავით სულიაშვილი — შობლიური მიწა, მოთხრობა . . . . .	3
ოთარ ბილიძე — რუსთავის გარიყრაფი, პოემა . . . . .	7
ბაბრიელ ტალახაძე — მოთხრობა, დასასრული . . . . .	52
ბ. ს. პუშკინი — დუბროვსკი, თარგმანი იროლიონ ქავეცარაძისა . . . . .	61
უშაგანი ჩხიძე — ერთე მარჯანიშვილი — რევისორი და ზელმძღვანელი . . . . .	77
104	
—	
ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ, „კომუნისტის“ 11/7 სარედაქციო წერილი . . . . .	146
—	
ი. მირცხულავა — ი. ბ. სტალინის კლასიკური ნაშრომი „ლენინის შესახებ“ შესახებ, წერილი . . . . .	154
ლ. ბორბილაძე — მარქსიზმის თეორიის რევიზიის ცდების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, წერილი . . . . .	169
ი. ცინცაძე — ერთი უსაფუძვლო პასუხის გამო, წერილი . . . . .	181
—	
გიორგი იანაშვილი — „შექსპირის პიესების ქართული კრებული“, ბიბლიოგრაფია . . . . .	198
ვლადიმერ ჯიბუტი — „არეკო შენგელისა — „ანბანთ სიმღერა“, ბიბლიოგრაფია . . . . .	202
დ. გორდაძე — „ნ. ჩახავაშვილი — ქართველი კომკავშირელები სამამულო ომის ფრონტებზე“, ბიბლიოგრაფია . . . . .	205

პასუხისმგებელი რედაქტორი  
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯი:

ალექსანდრე აბაშიძე, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდიანი), იოსებ ბერიშვილი, გავლე ნიგორცვაძე, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (გაშაშვილი), ბესარიონ ფლანტი, ბალაბტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დავან შინგელაია.

ზელმძღვანელია დასაბეჭდად 31/IV-49 წ. ნაბეჭდო ფორმათა რაოდენობა 13 ფ. ში 01179. შეკვ. № 616. ტირაჟი 5.200.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან აღსკვნილი პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5. რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი № 3-23-42.

8360 8 836.

22/535



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ